საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ათ ტომად

პ. ინგოროყვას
რედაქტორობით

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი — 56

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს სახელმწიფო ქართული [illegible]
[illegible]
ინვ. №: 6 6 - 2063.
საინვენტარო № 3000000027596
საძიებო ბლექსი: 899.969 ჭ15-67

ილია ჭავჭავაძე

ტომი VII

წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე



ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი

(1893)

ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში

(1897)

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი

ტფილისი, 17 ივლისი, 1893 წ.

ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია. რა თქმა უნდა, მეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე სულ სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია და სხვა არა რა. დღეს ვეღარავინ იტყვის, რომ ამ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო გულში უსათუოდ ფულად განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი.

ხოლო გულში განაღდებული, გულში ფულად ქცეული ჯერ კიდევ შორს არის მართალ განაღდებაზე, მართალ ფულად ქცევაზე. სამწუხარო ის არის, რომ პურიდამ და ღვინიდამ ფულამდე დიდი და გასაჭირი მანძილია იმისათვის, ვისის ოფლითა და გარჯითაა მოპოებული იგი პური, იგი ღვინო. იგი ფულის პატრონიც, რომელსაც პური უჭირს საჭმელად და არა გასასყიდად, ამავე დიდს მანძილზეა შორს პურის პატრონზე.

ეს გარემოება, ეს ერთმანეთზე დაშორება ცალკე პურის

პატრონისა, რომელსაც ფული უჭირს, და ცალკე ფულის პატრონისა, რომელსაც პური უჭირს, მიზეზია იმისი, რომ შუაკაცი სჩნდება და იგი ერთისაგან პურს ჰყიდულობს, რომ მეორეს მიჰყიდოს. ამ ყიდვა-გაყიდვაში იგი ერთსაც ახდევინებს გასამრჯელოს და მეორესაც.

კარგია, თუ ეს გასამრჯელო, ეს ფეხის ქირა, სინდისიანია. ხოლო, რადგანაც ბუნება ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა იმაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ გამრჯელს შრომის ფასი ძლივ ეძლევა და პურის მსურველს ნამეტანობით ერთმევა, და ამ სახით დიდი ლუკმა სხვის ნაშრომ-ნაამაგარისა ჰრჩება იმას, ვისაც ხელიც არ გაუნძრევია საშრომ-საამაგოდ და მარტო შუამავლობა გაუწევია. ეს ლუკმა იმოდენად მეტია ხოლმე, რამოდენადაც გაჭირებულია ფულისათვის ერთის მხრით გამრჯელი, და პურისათვის მეორეს მხრით პირდაპირი მხარჯველი.

ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფულობა გვაიძულებს იაფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა.

ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს. ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელიღაა, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუხილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვ-

რებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითვეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.

ეს კახეთის რკინისგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ ჭახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არა ნაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავად-აზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ,—ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს. რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა.

ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა

ტფილისი, 20 დეკემბერი, 1897 წ.

ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა, რომ ქვეყანაზე გაბატონებას, ქვეყნის დაჩემებას მარტო ოქრო და ხმალი ეცილებიან ერთმანერთსაო*. პუშკინმა ეს ამ სამოცი წლის წინათ სთქვა, თუ უფრო ადრეც, და მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრიგად იცვალა ცხოვრება ადამიანისა. მაშინ იქნება ხმლის ქადილს ღონეც შესწევდა და ფულს უშიშრად პირში ედგა. ეხლა კი ხმალს მუცელში ენა ჩაუვარდა: ხმალმაც, როგორც ყოველმავე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძლეველს ბატონს ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ. ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ეხლა რაც არის—ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ცალკე ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა.

ბევრიც რომ თავი მოვიწონოთ და ყელი მოვიღეროთ, აქაო-და მე ბრწყინვალე თავადი ვარ, კეთილშობილი აზნაუ-

* Все мое, сказало злато,
Все мое, сказал булат.
Все куплю, сказало злато,
Все возьму, сказал булат.

პუშკინი

რი, მიწისმფლობელი, თუ მიწისმომქმედი, ტყუილი და სასაცილო დოინჯის შემოყრა იქნება. ყოველმა ამისთანამ ეხლანდელ დროში თავისი მშვილდი ძირს უნდა დასდოს გაბატონებულ ფულის წინაშე. რაც გინდ ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაჟკაცურად მხრებზე გადვიყაროთ და, ისპანიის გაკოტრებულ უდა-აზნაურივით, ულვაშები გავიწკიპოთ, ჟანგმოკიდებული ხმალი ჩამოვიკანკუროთ და დოინჯის შემოყრით ვიძახოთ: ჰოი ხმალი პაპაჩემისაო, ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეტყვის.

მართალია, აქ ფული მეტისმეტად სულგრძელად გვექცევა, რადგან ორში ერთის არჩევანს ჩვენს ნებაყოფლობაზე ავდებს. მაგრამ ბევრი სახარბიელო არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ისე გაბედოვლათდებოდა, ერთიცა და მეორეც ჩვენს ნებაზე მოეგდო. წყეულიყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა.

ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერულმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკელად. ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ უველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში.

თუ კანონს აქ დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ამისთანა ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს

და მჭამელისა და ჭამულის შუა არ ჩასდგება ხოლმე, რომ ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს. თუ კანონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია და ერთის ძალმომრეობა და მეორის ყმობა დასთრგუნა და გააქარწყლა და მით ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა, რატომ აღარ უნდა ამოიღოს თავისი ძლევამოსილი ხმა იქ, საცა ბატონი ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა. ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, ეს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობაა, რომ ამასთან აწ საუკუნოდ განსვენებული ბატონ-ყმობაც-კი მადლად ჩასათვლელია.

რა თქმა უნდა, ამ კანონისაკენ მიმართულს ღაღადებას ჩაგრულისას, ქურდბაცაცა ბურჟუაზია ჩვენ დიდ ცოდვად ჩაგვითვლის ბუკითა და ნაღარითა: პოლიციის მოწვევა რეტროგრადების საქმეაო. აქაურ ბურჟუაზიის სუტ-ლიბერალური ავანჩავანი „Новое обозрение“ მოგვდგება და წრიპინს დაიწყებს: დახეთ, დახეთ, შემუსრეს დედააზრი ლიბერალობისა, პოლიციას იწვევენო. ჩვენ აქ ასეთი წრიპინ-წივილი არ გვიკვირს: რაკი კუდზე ფეხს დაადგამთ, დაიწივლებს, მა რა ეშმაკია. ჩვენთვის საოცარი მარტო ის წინდაუხედავი კადნიერება და გაბედულობაა, რომელიც კაცს ნებას აძლევს ამისთანა ფეხმოკლე თვალთმაქციობა გაასაღოს, გაანაღდოს ლიბერალობის სახელითა. განა საკვირველია, რომ ამისთანა სუტ-ლიბერალობა ჩვენებურ წვრილფეხობაში მუშტარს პოულობდეს და ჰპოულობს კიდეც? განა ცოტა ბრძენია ქვეყანაზე, რომელსაც ჰგონია, რომ თავია ქუდისათვის გაჩენილი და არა ქუდი თავისათვის?

ჩვენ ამ საგანს, რომელიც შეეხება სახელმწიფო მოქმედებას საეკონომიო ურთიერთობის სარბიელზედ, იქნება სხვა დროს დავუბრუნდეთ და შეძლებისამებრ უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ. ეხლა-კი დავჯერდეთ ამ გზადაგზად ხსენებულს და ვთქვათ, რომ ასეა თუ ისე, აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა

და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოევლინა. მაგალითებრ, შადრევანი ნავთისა, ან ყალბი ფული მართალ ფულად არ გაასაღა, ან შამპანურით სავსე ბოთლი ცარიელ ბოთლად არ შემოეპარა საბაჟოს, ან ერთზე ორი სარგებელი არ აიღო გასესხებულ ფულში და სხვა ამისთანა ჟამთა საფერ საქმეში კოჭი ალჩუდ არ დაუჯდა და სინიდისმა არ დააბრკოლა. თუ არ ამ გზებით, დღეს კაცმა, მარტო და უფულომ, გაფულიანებაზე იმედი უნდა გადიწყვიტოს, რადგანაც მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო. ჩვენ, ქართველები, უფულონი ვართ და თუ აგრეა, რამღა უნდა გვიშველოს? სადღაა და რაშიღაა ხსნა? ჩვენი დღევანდელი თავში საცემი საკითხი სწორედ ეს არის და სხვა არა-რა. ამას უნდა შევალიოთ ყოველი ჩვენი სულიერი და ხორციელი ღონე და გზა ხსნისა როგორმე გავიგონოთ, გავითვალისწინოთ.

ერთგვარნი სახსარნი იმისთანანი არიან, რომ ჩვენს საკუთარს თაოსნობასა, მხნეობასა და საქმის გაბედულად შეჭიდებაზედ არიან დამოკიდებულნი. უნდა ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამგზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღონოა. ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა, იქა მკის, საცა არ უთესნია. იგი ქვეყანას ქონს აცლის და სამაგიეროს არას აძლევს, იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება, იგი ჰსუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს, იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს. უფულო კაცი და უფულო ერი მისი საძოვარია, მისი საცხოვრებელია, მაშასადამე, ჩვენის უღონობით არის იგი ძლიერი. ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე

მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი.

თუ ჩარჩული ფული (და სხვა ფულს-კი ჩვენში არა ვხედავთ), დღეს ჩვენში ცალკე კაცს თავში სცემს, ბევრს ერთად თავმოყრილს და მაგრად შეკრულს ძნელად თუ გაუძალიანდება, ძნელად თუ გაუსწორებს ომს, რომელს ეკონომიურს სარბიელზედაც გინდა შეხვდეს, იმიტომ რომ ჩარჩული ფული არა ჰქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო სთვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე, მკვდარია იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მოუწყვეტელი წყაროა გაღონიერებისა, გამდიდრებისა და თუნდ გაფულიანებისაცა, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული.

მინამ ჩარჩულს, ქურდბაცაცა ფულს გული თავისით ხისა აქვს და აბჯარი კი, ჟამთა ვითარების წყალობით, რკინისა, მასთან ომი კიდევ შესაძლებელია და საიმედო, იმიტომ რომ ომში გამძლეა მარტო გული რკინისა, თუნდ აბჯარი ხისაც იყოს, და არა პირიქით. მინამ საქმე ასეა, მოცდა და დაგვიანება მომაკვდინებელი ცოდვა იქნება ჩვენის მხრით. თუ ეხლავ არ ვუშველეთ თავს, ჩვენი საქმე წასულია. ამიტომაც ყოველსავე ეკონომიურ სარბიელზე საშრომს, საღვაწს, საწარმოებელს,—ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, კეთება და მოყვანა რისამე, თუ სხვა ამგვარი მექმეობა,—ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ. იმოდენად უნდა ერთად მოვგროვდეთ ღონით თუ ფულით, რამოდენათაც თვითეული ცალკე საქმე რომელისამე წარმოებისა იკმარებს გასამარჯვებლად. თუ დღეს ცოტანი ბევრსა გვძლევენ და გვჩაგვრენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე კაცისათვის ჰიდიღი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. აბა ჩარჩს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ. ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირება საქმე


(1886—1895)

ჰირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ
ამხანაგობათა შესახებ
(1886)

ხილის და გოსტნეულის გამსალებელი საზოგადოება
(1889)

ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების
საჭიროება
(1893)

კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი
(1895)



ჭირნახულის მოკმეცანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ

ტფილისი, 6 ნოემბერი, 1886 წ.

ამ სამ-ოთხს წელიწადში სოფლის ჭირნახულის ფასმა ჩვენში დაიწყო კლება და შარშან იქამდე მიაღწია, რომ პური ფუთი ცხრა შაურზედ ჩამოვარდა, ქერი ექვს-შვიდ შაურზედ და ღვინო, საცა საპალნე შვიდ-რვა თუმნად იყიდებოდა, იქ ძლივღა გადიოდა ოთხ და ხუთ-ხუთ თუმნად და ამის მუშტარსაც ვერ ჰშოულობდნენ. მიწისმომქმედს კაცს ამ ფასების დაცემამ ძალიან შეუცარა ხელი, ძალიან უკან დასწია ასე, რომ ხელის მოსაცვლელი ღონისძიებაც თითქმის სრულებით გაუწყვიტა. ეს ასეთი გაოემოება კიდევ ცოტად თუ ბევრად შესაწუნარებელი იქნებოდა, თუ ამ ფასების ძირს დაწევას ერგო რამ იმათთვის მაინც, ვინც სოფლის ჭირნახულსა ჰყიდულობს საჭმელად, სასმელად, თავისთვის მოსახმარად და არა გასასყიდად. სამწუხარო ის არის, რომ პირდაპირს მომქმედს დააკლდა ფასი ჭირნახულისა და ამით არა შეემატა-რა, თითქმის არა გაუიეფდა-რა თვითონ მხმარებელს-მსყიდველსა. ტფილისის ბაზარში ხალხი, თავის-თავის მკვებავი სოფლის ჭირნახულითა, ბევრს შეღავათს ვერა ჰგრძნობდა, რადგანაც ფასებმა მისთვის იმოდენად ვერ დაიწიეს, რამოდენადაც ეგ იყო დაწეული მიწათმომქმედთათვის. ეს სამწუხარო გარემოება გამოიყენეს მარტო ჩარ-

ჩებმა და ვაჭრებმა, რომელნიც ფასდაცემულ ჭირნახულს ჰყიდულობდნენ და თითქმის ფასდაუცველად ასაღებდნენ მხმარებელზედ.

საკვირველი ეს არის, რომ ეს ამბავი, ესე იგი ფასების ძირს დაწევა, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ჩვენს ჭირნახულს დიდი ბაზარი და გასავალი გაეხსნა, როცა, მაგალითებრ, პურს, ქერს, სიმინდს დიდძალი მუშტარი მოაწყდა საზღვარგარეთიდამ და როცა ჩვენებურჩა ღვინომ ფეხი გაიდგა და მოიკიდა რუსეთში. რადგანაც ხორბლეულობას, ევროპის ნავთსადგურებიდამ წაღებულს, ბაჟი დაედო ევროპაში ზოგიერთ სახელმწიფოთაგან და ბაჟისაგან ახსნილი იყო იგი ხორბლეულობა, რომელიც აზიის ქვეყნებიდამ მიდის, ამიტომაც ჩვენებურს პურსა, ქერსა, სიმინდსა, ევროპის ვაჭრები უბაჟოდ ეზიდებოდნენ და დღესაც ეზიდებიან თავიანთ ქვეყანაში და ამ გარემოებამ მოიწვია ჩვენს ქვეყანაში დიდძალი მუშტარი. ამ მიზეზს უნდა დავაბრალოთ ის აშკარა ამბავი, რომ ამ ბოლოს დროს ხორბლეულობის ფასმა იმატა, მაგრამ მაინც იქამდე ვერ მივიდა, რომ მიწათმომქმედს ხარჯი, გარჯა გაუსწოროს და ცოტა რამეც მოაგებინოს. ჩვენებურს ღვინოს კი, რომელმაც, როგორცა ვსთქვით, რუსეთში კაი ფართო გზა გაიხსნა, და რომელსაც ამ მიზეზით ფასი უნდა მოჰმატებოდა, ვერაფერი დახლი მოაქვს დღესაც მიწათმომქმედისათვის.

იქ, სადაც რომელიმე სავაჭრო, სააღებმიცემო საქონელი დიდს, ფართო ბაზარს ჰშოულობს გასასაღებლად და ამავე დროს ფასსა კლებულობს, იქ ეს დაუჯერებელი ამბავი მეტისმეტად საოცარია. საოცარია იმიტომ, რომ იქ ზოგადი კანონი საპოლიტიკო ეკონომიისა, რომელიც აგებულია ამღებთა და მიმცემთა რაოდენობაზედ, გაუქმებულად უნდა აღიარებულ იყოს, და ამის მაგიერ სხვა განგებ მოგონილი გარემოება უნდა მოქმედებდეს, იმ უსათუო პირობით კი, რომ ეს გარემოება გამოსარჩომი იყოს, ხელს უწყობდეს მომგონელთა. თუ ამას დავადგებით და სახეში ვიქონიებთ, რომ ამ გარემოების გამო, ვინც ირჯება და ჭირნახული მოჰყავს,

იგი ჰზარალობს აღებ-მიცემობაში, აშკარა იქნება, გამორჩომა ვის უნდა ჰრჩებოდეს. იგი ჰრჩება ჩარჩებსა და ვაჭრებსა, რომელნიც შუა უდგანან ერთის მხრით მომქმედსა, რომელსაც ფასს აკლებენ, ბეორეს მხრით მხმარებელს-ბსყიდველსა, რომელსაც თითქმის ფასდაუკლებლად აწვდიან იეფად ნაყიდს ჭირნახულსა. რა გზით უნდა ახერხებდნენ ამასა, რა ხერხი უნდა მოეგონოთ, რომ ეს ასე მოახდინონ? ჩვენის ფიქრით, ხერხად მიღებული უნდა ჰქონდეთ ერთს პირზედ დგომა. ადვილად მოსაფიქრებელია და მოსახერხებელი, რამდენმამე დიდმა ვაჭარმა ერთმანეთში პირი შეჰკრან, ჭირნახულის ფასი, სასყიდი და გასასყიდი როგორც უნდათ ისე გადასჭრან და ერთმანეთს პირობა დაუდვან, რომ ამ გადაჭრილს ფასებს არასგზით არ გადუდგნენ. გამორჩომა, მოგება, რომელიც ამ შემთხვევაში თვითეულს პირობის დამდებს თვალწინ ცხადად და ნათლად უდგა, თავმდებია მისი, რომ არც ერთი მათგანი შეკრულს პირს არ გასტეხს. ამაზეა, ამ აშკარა გამორჩომაზე, დაფუძნებული გამარჯვება მათის ხერხისა, სიმაგრე პირშეკრულობისა.

ამისთანა ადვილად შესაძლებელს ხერხზედ აგებული აღებმიცემობა, რასაკვირველია, იმ ნაყოფს მოიტანს, რასაც დღეს ჩვენში ვხედავთ, და ჩვენში დღეს იმასა ვხედავთ, რომ ერთის მხრით წვის სოფლის მოჭირნახულე, რომელსაც ჭირნახულის ფასი აკლდება, მეორეს მხრით ჭირნახულის მხმარებელი-ბუშტარი, რომელიც მაინც ძვირად ჰყიდულობს, და ამ წვადაგვაში ხელს იბანს მარტო ვაჭარი და მისი ყურმოჭრილი ყმა ჩარჩი. რა უშველის ამ გაჭირებულს, განგებ წამხდარს საქმეს? იგივე ხერხი, რასაც ვაჭრები ჰხმარობენ მოჭირნახულეთა და მამარებელთა წინააღმდეგ. ევროპასა და თვით რუსეთშიაც ეს ხერხი ცნობილია და განხორციელებულიც. როგორ და რა გზით არის ეს ხერხი განხორციელებული რუსეთსა და ევროპაში, ამაზედ ამ მოკლე ხანში ცალკე მოვალაპარაკებთ ჩვენს გაზეთში.

II

ტფილისი, 6 ნოემბერი, 1886 წ.

ევროპაშიაც დიდი ხანია შეჰნიშნეს, რომ ვაჭრების ერთს პირზედ დგომამ გაათახსირა, დაიმონავა პირდაპირი მომქმედი რაიმე ჭირნახულისა, და ცალკე კაცის მომჭირნეობამ, მხნეობამ და ჭიდილმა ვერ დაიხსნა გამრჯელი და მომქმედი მათის ხელიდამ და ძალმომრეობიდამ. 1820 წლიდამ საფრანგეთსა და გერმანიაში აღიძრა აზრი დასახსნელად მრეწველებისა ამ უნუგეშო ყოფისგან. რომ გავიგოთ, ამ აღძრულმა აზრმა როგორ იბარტყა და რახედ მიჰმართა თავისი ძალ-ღონე, ჯერ ყველაზე უწინარეს უნდა გამოარკვიოთ, რა არის ვაჭარი და რაში მდგომარეობს მისი საქმე. ვაჭარი შუაკაცია ჭირნახულის მომქმედთა და ჭირნახულის მხმარებელთა შორის; რაც მეტი აქვს ჭირნახულის მომქმედს, იმას ართმევს აღებ-მიცემობით და აწვდის მხმარებელს, რომელსაც ჭირნახული უჭირს საკვებავად და სახმარად. ამ შუაკაცობაში ვაჭარი იღებს, თავის ხარჯს გარეთად, თავის გასამრჯელოს, თავის სადალაღოს; ეს სადალაღო იმოდენად ბევრია, რამოდენადაც ჭირნახული ნაკლებ ნაყიდია და მეტად გაყიდული. ადამიანი საზოგადოდ და ვაჭარი განსაკუთრებით ხარბია და ამიტომაც ვაჭარი სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შეიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხმარებელსაც. ორივე ესენი ჰზარალობენ, და ამათს ზარალზე შენდება მოკლება სინდისზედ ხელაღებულ ვაჭრისა. რადგანაც ცხოვრება ადამიანისა გაჭირდა, ბოვნა ლუკმაპურისა დამძიმდა და გაძვირდა, ვაჭრობის უსინდისოებაძაც იმატა და ეხლა ვაჭარი უფრო ბევრს ითვლის თავისკენ, ვიდრე ოდესმე. რა გზით ახერხებს ამას ვაჭრობა, ჩვენ წინა წვრილში მოვიხსენიეთ. ამ გარემოებამ მეტად ჩააფიქრა მოჭირნახულენი და მხმარებელნიცა. იგრძნეს, რომ ერთიც და მეორეც იწველებიან ვაჭართაგან. შეუტყეს მანქანებაც, რომ აქ ერთ პირზედ დგომა აძლევს ვაჭრობას ძალ-ღონეს წველისას და

ამიტომაც ამ ერთს პირზედ დგომასვე წაავლეს ხელი, როგორც სახსარს თავისი ხსნისას. იფიქრეს, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ერთს პირზედ დგომა, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ჩვენი საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მხმარებელნი და მოჰირნახულე ერთმანეთს შევყაროთ უშუაკაცოდაო და თუ შუაკაცობა მაინცდამაინც საჭიროა, ჩვენ თვითონ კისრად ვიდოთ ეს შუაკაცობაო... ამ აზრებმა ევროპაში ფესვი გაიდგეს, მოედანი დაიჭირეს და ნაყოფიც მოიტანეს. შესდგა ზედიზედ ეგრეთწოდებული „ამხანაგობა მხმარებელთა“ მოავალგვარი. ამ ამხანაგობის აზრი ის იყო, რომ პირდაპირ მეჭირნახულესთან ჰქონოდა საქმე, მისგან პირდაპირ ეყიდნა ჰირნახული და თავის წევრთათვის მიეყიდნა, და ამ სახით ის სადალალო, რომელიც ვაჭარს მოგებად დაჰრჩებოდა, ან მოჭირნახულეს და მხმარებელს შორის გაეზიარებინა, ან მარტო მხმარებელთათვის დაეკუთვნა. რა თქმა უნდა, რომ პირველს საფუძველზედ აშენებული ამხანაგობა უფრო სამართლიანი იყო, მაგრამ სიხარბეს ზოგჯერ თავი ვერ შეემაგრა და ზოგიერთი ამხანაგობა თავისაკენ თლას უფრო ჰრჩებოდა. მაინცდამაინც ამხანაგობას, როგორც კრებულს, ისე ცალკე კაცის სიხარბე არ ექნებოდა, რომ განწირულებამდე მოჭირნახულე მიეყვანა, როგორც ცალკე ვაჭარს მიჰყავს, და მოჭირნახულე ამაში ცოტასა თუ ბევრს შეღავათსა ჰპოულობდა. ჩვენ ეს „მხმარებელთა ამხანაგობა“ დღეს ისე არ გვიზიდავს, როგორც მოჭირნახულეთა ამხანაგობა, და ამიტომაც ჩვენ ამ უკანასკნელზე ვილაპარაკებთ მით უფრო, რომ ჩვენის ტკივილის წამალს ამხანაგობაში უფრო ვხედავთ. ჩვენს ქვეყანას, რომელსაც მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, და რომელიც, მაშასადამე, ამათ რიგიანად გასაღებაში უნდა ეძებდეს სათავეს თავის კეთილდღეობისას, უფრო მოჭირნახულეთა ამხანაგობა ეჭირება. ჩვენ ამჟამად ჩვენის მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ „ღვინის დამყენებელთა“ ამხანაგობაზე, რომელიც დღეს გერმანიაში მოქმედებს დიდის სახელით და გამარჯვებით. ეს ერთი მაგალითი საკმაო იქნება, რომ კაცმა იმის

მიხედვით მოისაზროს, როგორ უნდა შედგეს ამხანაგობანიც, ვსთქვათ თუნდაც ხორბლეულობის თაობაზედაც.

„ღვინის დამყენებელი ამხანაგობა“ დღეს გერმანიაში გამართულია ბადენსა, ვიტენბერგში და რეინზედა. რეინის ამხანაგობა საკუთარის თვალით უნახავს ერთს ჩვენს ქართველს, რომელიც ამ ზაფხულს წავიდა საზღვარგარეთ და რომელსაც, სხვათა შორის, ჰქონდა აზრად ამისთანა ამხანაგობის ვითარება შეეტყო. მას გაუსინჯავს ყოველივე დაწყობილება ამ ამხანაგობისა, ყოველისფერი გამოუკითხავს, გაუგია. და ისე მოსწონებია, რომ სანატრელად გახდომია ჩვენის ქვეყნისათვის. ეს ამხანაგობა იმ აზრზე არის აგებული, რომ ღვინის მუშტარს-მხმარებელს პირდაპირ თვითონ უშუაკაცოდ მიაწვდინოს ღვინო, და რაც მოგებაა, ღვინის პატრონს ხელში დაუნარჩუნოს. ყველა ვენახის პატრონი ერთისა და იმავე სოფლის საზოგადოებისა ამხანაგად შესულია, დიდთა მემამულეთა გარდა, რადგანაც ამ უკანასკნელთ თავისი საკუთარი ღონე აქვთ ღვინოც კარგად დააყენონ და კაი ფასადაც გაასაღონ. ჯერ ვიდრე ამხანაგობა ფულის ღონისძიებას მოიპოვებდა, თვითეულს ამხანაგს თავისი კერძი ფული უნდა შეეტანა თვედათვე და ამით მიეცა ღონისძიება ამხანაგობისათვის გაემართა ყველაფერი, რაც საჭიროა საერთო მარნისა და ჭურჭლისათვის. მთავრობამაც, რაკი შეჰნიშნა, რომ საქმე რიგიანად დაეწყო, მიაშველა სესხით ფული, და დღეს იმ დონეზე დამდგარა ეგ ამხანაგობა, რომ მთავრობისგანაც ნასესხი ფულიც გადაუხდია და ამხანაგთაგან კერძო ფულის შემოტანაც მოუსპია, და პირიქით, დიდ მოგებასაც იძლევა. ყოველი ამხანაგი ვალდებულია თავისი ყურძენი მიიტანოს საამხანაგო მარანში დასაწურავად და ღვინის დასაყენებლად. სამის ხარისხის ყურძენია თურმე მხოლოდ მისაღები საერთო მარანში. ხარისხი ყურძნისა მისის წვენის სიტკბოზე არის დამოკიდებული. რაკი ყურძენს მიიტანენ, მაშინვე ცოტა წვენს გამოსწურავენ, მაქრის საზომით შეიტყობენ, რაოდენი სიტკბო აქვს, ამ რაოდენობაზე

აღნიშნავენ ხარისხს, და მომტანს აძლევენ ბარათს ამდენი და ამდენი ფუთი ყურძენი ამა და ამ ხარისხისა მოუტანიაო. წინათვე დანიშნულია თურმე, რის ნაკლებ არ უნდა ჰქონდეს ყურძენს სიტკბო, და თუ დანიშნულზე ნაკლები აქვს, არ მიიღებენ. როცა ამგვარად მოგროვდება ყურძენი, მაშინ ყოველ ხარისხს ყურძნისას ცალკე სწურავენ, ცალკე ადუღებენ და ცალკე აყენებენ. როცა ღვინო საკმაოდ მზად არის გასასყიდად, ჰყიდიან წვრილ-წვრილადაც და ნარდადაც, მოთხოვნილებისაებრ. ხარჯგარეთ დახლს მცრე უყოფენ ამხანაგთა, მათგან მოტანილ ყურძნის რაოდენობის კვალობაზე, და დახლიდანვე იღებენ ნაწილს საამხანაგოდ ძირის-ფულის შესადგენად. ისე კარგად მიდის თურმე ამხანაგობის საქმე, რომ დღეს-აქამომდე მომდურავი არავინ არა ჰყავს; პირიქით, ბევრგან მოჰკიდეს ხელი ამგვარ ამხანაგობასა და დიდს სარგებლობას ჰხედავენ. 1865 წელს დაიწყო ამგვარი მოძრაობა მევენახეთა შორის და პირველი ამხანაგობანი მაიშოსსა და ავრეილეში გაჩნდა 1869 წ., 1874 წ. კობლენცის ახლო, არას მდინარის დაცემულ ვაკეზე შვიდი ამისთანა ამხანაგობა შესდგა ვენახის პატრონთაგან. ამ ამხანაგობათა წყალობით ღვინის მსმელნი კარგ ღვინოსაც ჰშოულობდნენ სასმელად და რაც შეიძლება იეფადაც და ეს იეფობა არც მოჭირნახულეს აკლებს ფასსა, რადგანაც იგი იეფობა მოჭირნახულის ფასის დაკლებისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ ჯერ იქიდამ, რომ შუაკაცობისათვის სადალალოს არავინ ჰღებულობს, და მეორე იქიდამ, რომ წურვა, ღვინის დაყენება, მოვლა-პატრონობა, ღვინის შესანახი ჭურჭელი, თვითეულს ამხანაგს ცალკე ნაკლებ უჯდება, რადგანაც ყოველივე ეს საერთოდ კეთდება. ერთს მარანში, და ეს საერთო ხარჯი თვითეულისათვის ბევრით ნაკლებია იმაზედ, რაც თვითეულს ცალკე დაეხარჯებოდა. რაკი მოჭირნახულეს ნაკლებ უჯდება ღვინო, ამოდენადვე ნაკლებ ფასად გაყიდვასაც მისთვის არაფერი ზარალი არ მოაქვს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საგანზედ უფრო ვრცელ ცნობებს წარვუდგენთ ჩვენს მკითხველებს, როცა წესდებას ამგვარ ამხანაგობისას მივიღებთ. იგი ქართველი, რომელსაც ამ ამხანაგობის საქმე თავის თვალით უნახავს, გვპირდება გადმოგვცეს ყოველივე, რაც კი ამ საგანს ასე თუ ისე შეეხება.

ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება

ტფილისი, 3 თებერვალი, 1889 წ.

დიდი ხანია სჩივიან ჩვენი მემამულენი და მიწათმომქმედნი, რომ მოგივა მოსავალი ვაია, და არ მოგივა ვაგლახიო. არმოსულის ვაგლახობა ადვილად გასაგებია: არ მოგივა და თითქმის ცარიელზედ უნდა იჯდე მთელი წელიწადი და მეორე წლისათვისაც იმოდენად ვეღარ გაშალო ხელი, რამოდენადაც გული გერჯით, რადგანაც უმოსავლობა ამისათვის უღონოდა გხდით, ხოლო მოსულის ვაება კი, სწორედ მოგახსენოთ, რაღაც უცნაური რამ არის, პირველ შეხედვით მაინცა. მართლადა, მოსავლის მოსვლა რად უნდა იყოს სავაებო მემამულესათვის?

ყოველნი, და ყოველთა შორის ჩვენც, ამაზედ დასაბუთებულს პასუხს წარმოგიდგენენ. კაი მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია თავის დროზედ და უზარალოდ. თუ ეს არ არის, მოსავალი თუნდა გქონიათ, თუნდა არა. რომ არა გქონდეთ, კიდევ ესა სჯობია, ვიდრე გქონდეთ და თქვენის თვალითვე ჰხედავდეთ, რომ თქვენი ნაშრომ-ნაჯაფევი, თქვენი ამაგი, ან თქვენს თვალთა წინაშევე ჰფუჭდება, ან ჩალის ფასად უნდა გადაჰყაროთ, რადგანაც ყოველი სხვა გზა დახშულია. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სიმწარე თქვენის ყოფა-ცხოვრებისა გაორკეცებულია ჯერ იმითი, რომ ამისთანა ქონება არ-ქონებაზედ უფრო მეტად

საგრძნობელია, რადგანაც ზარალი გაფუჭებულისა ან ჩალის ფასად გადაყრილისა უნდა შეავსოთ სხვა გზით რითიმე, და მერე მით, რომ გული გიკვდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა.

ამ სახით სულითა და ხორცით მოუძლურებულს გული გიტყდებათ გარჯისა და შრომისათვის და ეს გულის გატეხა იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ კაცს ხელსაც აღებინებს მამულის კეთებაზედ, რადგანაც ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამაში, რასაკვირველია, ბრალი არც მამულს ედება, არც გამრჯელობას კაცისას, არამედ იმ გარემოებას, რომ განაღდება. ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფულად ქცევა მოსავლისა ბევრნაირის მიზეზით დაბრკოლებულია და ხშირად შეუძლებელიც. ყოველის ეკონომიურს მოქმედებას კერძო კაცისას-კი მარტო საგნად ეგ განაღდება აქვს ნაჭირნახულევისა და ნაშრომისა.

შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწევის განაღდებისა, და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი შინ სამყოფი. ამაზედ მოჭარბებულისათვის-კი იგი ყოვლად უქმი იქმნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის. რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთანა ყოფაა, იქ ეკონომიური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია.

სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ველარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გადაეყაროთ. ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წაგვიხდეს. გაგვიფუჭდეს. ამ მხრით ჩვენის ქვეყნის უკან ჩამორჩენა, ჩვენთა მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ბრალად ედება იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია. ყოველ ეკონომიურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. თუ ეს გამორჩენა ან არ არის, ან გაინელებულია, იქ თუნდა მხნეო-

ბაში სახელგათქმული ინგლისელი მოიყვანეთ, ისიც გულზედ ხელებს დაიკრებს და ხელს არ გაანძრევს,—რისთვის? რაო ჩემოო?.

გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ბაზარი და ვაჭრობა არ იყოს, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისე მოწყობილია, რომ უფრო გლეჯა-მტაცებლობასა ჰგავს, ვიდრე აღებ-მიცემობას, ნამეტნავად სოფლის ნაშრომის საქონლისათვის. ამ ბაზარში ძალიან გაძნელებულია, რომ საქონლის მომქმედმა პირდაპირ ინახულოს იგი მუშტარი, რომელიც ჰყიდულობს არა იმისთვის, რომ ხელახლად გაჰყიდოს, არამედ იმისთვის, რომ თითონ პირდაპირ მოიხმაროს. ამათ შუა ჩასდგებიან ხოლმე მრავალგვარნი ჩარჩები და სულ იმის ცდაში არიან, რომ საქონლის პატრონი მუშტარს არ შეახვედრონ. რადგანაც ამ ჩარჩებმა პირობის შეკვრა იციან და პირობაზე მტკიცედ დგომა, ამიტომაც ადვილად აისრულებენ ხოლმე ამ წადილსა. უმუშტარო პატრონი საქონლისა რჩება ჩარჩების ანაბარად და რა თქმა უნდა, ესენი ისე გაუხდიან საქმეს, რომ აბაზიანს გროშობით გაუნაღდებენ და მერე მუშტარზედ გროშობით ნასყიდს აბაზიანობაზედ გაასაღებენ. ამ გზით რასაც ჰკარგავს საქონლის პატრონი და რასაც მეტს აძლევს მუშტარი, სულ ჩარჩების ჯიბეში ჩადის და საქონლის პატრონიც ჰხარალობს და მუშტარიცა ერთსა და იმავე დროს. ამ სახით ორნივ ერთს ტაფაში იწვიან.

სოფლის საქონლის მომტანი აუცილებლად ამ ყოფაში ჩავარდება ხოლმე, და ან ისე უნდა გაჰყიდოს მოტანილი, როგორს ფასსაც ჩარჩები დასდებენ, ან უკანვე უნდა წაიღოს მოტანილი. წაიღოს და როდემდის ინახოს? წასვლა-მოსვლის და მოცდენის ხარჯი ვილას მოსთხოვოს? დიდი ხანია ეს უნუგეშო მდგომარეობა მიწათმომქმედისა ცნობილია ყველასაგან, დიდი ხანია ამისთანა ყოფას უჩივიან ჩვენი მემამულენი, და დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს აზრი იმაზედ მიმართული, რომ ამ სატკივარს წამალი რამ დაედოს.

დიდი ხანია ისიც გამორკვეულია, რომ აქ ცალკე კაცის ძალ-ღონით შეუძლებელია ეშველოს რამ საქმეს. აქ თუ უშველის რასმე, მარტო შეერთებული ღონე ამ მდგომარეობისაგან დაჩაგრულებისა, ესე იგი, ერთის მხრით მიწისმომქმედთა და მეორეს მხრით მუშტრებისა. ეს აზრი, ჩვენდა სასიამოვნოდ, მოიწონა და დღეს ჰლამის განხორციელებას.

გუშინ, 2-ს თებერვალს, ამ საქმის მეთაურებმა შეჰყარეს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ოცდათხუთმეტ კაცზედ მეტი მოსასმენად ამ საგნის შესახებ შედგენილ პროექტისა. პროექტის დედააზრი იგია, რომ ტფილისში ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა რიგიანსა და სწორ გზაზედ დააყენონ იმ განსაკუთრებულ აზრით, რომ როგორც მოწარმოენი ხილისა და ბოსტნეულობისა, ისეც ამაების მუშტრები, ჩარჩების ხელისაგან დაიხსნან და სყიდვა-გაყიდვაში არც ერთი აზარალონ და არც მეორე. ამისათვის, პროექტის აზრით, უნდა შესდგეს საზოგადოება მწარმოებელთა და მუშტართაგან და იმ საზოგადოებამ უნდა ხელთ იგდოს ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა. პროექტი ჰცდილობს ყოველივე იმისთანა შემთხვევა წინ დანახული იყოს, რომ მის მიერ ნაკისრ ვაჭრობაში ერთის იოტის ოდენა მოტყუება არ იყოს არაფერში. წმინდა მოგება უნდა გაუნაწილდეს იმათ, ვინც წევრად ჩაეწერება საზოგადოებაში. ძირის-ფული, ესე იგი, თავნი, უნდა შესდგეს ათასი თუმანი. ეს ათასი თუმანი 400 კერძად* არის გაყოფილი, თითო კერძი 25 მანეთია. ეს 25 მანეთი დანიშნულია მწარმოებელთათვის, რომელთაც ნება აქვთ რამდენიმე კერძი დაიკვეთონ. მუშტარმა უნდა ყოველწლივ წინ შეიტანოს თითო თუმანი, რომლის ანგარიშში შეუძლიან საქონელი წაიღოს ნისიად იმ დრომდე, ვიდრე მთელი თუმანი შეუსრულდება. ამნაირად შემდგარი საზოგადოება იქონიებს სახლს ქირით, საცა ყველას ნება აქვს თავისი ნაწარმოები მიიტანოს და ან თითონ, როგორც ჰსურს, გაჰყიდოს, ან თვით საზოგადოების მმართველობას მიანდოს. პირველ შემ-

* пай.

თხვევაში საზოგადოებას უნდა ცოტა რამ აძლიოს ნაწარმოების შეფარებისათვის. საზოგადოებას რამდენიმე ცალკე დუქანი ექნება სხვადასხვა ადგილას ქალაქში ხილისა და ბოსტნეულობის სავაჭროდ.

ჩვენ ადგილი არა გვაქვს დაწვრილებით მოვიხსენიოთ აქ ყველაფერი, რაც წაკითხულ იქმნა ხსენებულს კრებაზედ. ჯერხანად საკმაოა მარტო დედააზრი და საფუძვლის ჩვენება, მით უფრო, რომ ამ სასარგებლო საქმეზედ, იმედია, არა ერთხელ მოგვიხდება ლაპარაკი. დღეს-კი ეს უნდა შევნიშნოთ, რომ კრებულმა, შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საჭიროდ დაინახა საზოგადოების მოქმედება მარტო ხილისა და ბოსტნეულობის ვაჭრობაზედ არ შეაყენონ და ხორბლეულობის ვაჭრობასაც ხელი მოჰკიდონ, თუ ვინიცობაა საქმის წარმატება ამის ღონეს მისცემს საზოგადოებას. კრებამ გადასწყვიტა, რომ პროექტი წესდებისა შესდგეს, დაიბეჭდოს საყოველთაო საცნობელად და 12 თებერვალს წაკითხულ და გასინჯულ იქმნას კრებისაგანვე. კრება დანიშნულია სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ დიდის თანაგრძნობით მიიღო სარჩიელი ამ საქმის მეთაურთა და ეს თანაგრძნობა მარტო ცარიელი სიტყვა არ იყო: აქავ სამოცი კერძი დაიკვეთეს და კერძზედ თვითო მანეთი შეიტანეს წესდების დასაბეჭდად. დანარჩენი საკერძო ფული უნდა გადასცენ ბუღჰალტერს სათავადაზნაურო ბანკისას თ. ფავლენიშვილს.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს საზოგადოება შესდგეს. არ არის მიზეზი, რომ კაცმა იმედი არ იქონიოს ამისთანა საზოგადოებაზედ, თუ ჩვენი საკუთარი თვითმოქმედება და თანაგრონობა მხარს მისცემს. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მემამულეებმა პირველშივე გული არ გაიტეხონ და პირველშივე სულითა და გულით მიეგებნენ ამ დაწყობილებას. ყველგან ამ გზით ჰშველებიათ, ამ გზით დაუხსნიათ თავი იმ გაჭირებულ მდგომარეობისაგან, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ ჩაცვივნულნი. აქ მარტო საკუთარი სურვილია საჭირო, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვუშველოთ. ამ სურვილის გაღვიძებაზეა

დამოკიდებული მთელი სიმარჯვე საქმისაცა. დროა, რაც ცალკე მეცადინეობით ვერ შევიელით, იმას შეერთებულის ღონით შევეჯიდნეთ. კიდევ ვიტყვით: ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი, რომელიც ჩვენ ჯერ ამისთანაებში არ გვიცდია და რომელსაც ყველგან გაუმარჯვნია, საცა-კი უცდიათ. მოვიწვევთ ჩვენს მემამულეებს. რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, რადგანაც დიდად საიმედო და სასარგებლო საქმეა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება

ტფილისი, 7 იანვარი, 1893 წ.

ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შენაწყობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხანის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით, და საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის წყმწეობით სოფლად. პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემორომსა, საცა ბევრნაირი ჭია-ღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოლრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან.

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებული და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და

დამოკიდებული მთელი სიმარჯვე საქმისაცა. დროა, რაც ცალკე მეცადინეობით ვერ შევეღით, იმას შეერთებულის ღონით შევეჭიდნეთ. კიდევ ვიტყვით: ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი, რომელიც ჩვენ ჯერ ამისთანაებში არ გვიცდია და რომელსაც ყველგან გაუმარჯვნია, საცა-კი უცდიათ. მოვიწვევთ ჩვენს მემამულეებს. რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, რადგანაც დიდად საიმედო და სასარგებლო საქმეა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება

ტფილისი, 7 იანვარი, 1893 წ.

ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შენწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხანის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით, და საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის წყმწეობით სოფლად. პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემორომსა, საცა ბევრნაირი ჭიაღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოღრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან.

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებული და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და

გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა.

თუ ეს წინათ თქმული მართალია, და ამ მართალს მივიღებთ სახეში, მაშინ ცხადად დანახული იქნება ის გზაც, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ ჩვენის განკარგებისათვის და ეკონომიურ შემძლეობის გაძლიერებისათვის. ამ გზაზედ დამდგარმა კაცმა, რომ თვალი დააკვირვოს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელთბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწიოს გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნაყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა“.

ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური. პირველ ორგვარ მიზეზს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგანაც შორს წაგვიყვანდა მათის ამბების მოთხრობა. ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა მარტო ეკონომიურ მიზეზებს მივმართოთ.

ამ მხრით რომ დავაკვირდეთ ჩვენებურ მიწათმოქმედებას, დავინახავთ, რომ ამას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია: ერთი ცოდნა და მეორე სამუშაოდ გადადებული ქონება. ერთიცა და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვეღ წასდგამს. ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია*, იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი

* თავნი—капиталъ.

მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას.

მიწა გვაქვს, ხოლო ორივ ხსენებული განძი, ურომლისოდაც მიწა უქმია, უნდა ვიშოვოთ, უნდა მოვიხერხოთ. საცა მთელს ერზეა ლაპარაკი, იქ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა ბევრს არასფერს დააჩნევს მთელის ერის ცხოვრებასა, ბევრს არასფერს მოუმატებს იმ განძს, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის საერთოდ, საზოგადოდ. განცალკევებულ გარჯას და მხნეობას იქაც-კი, საცა ცოტად თუ ბევრად გახშირებულია, ბევრი არაფერი შეუმატნია ერისათვის საზოგადოდ და ჩვენში ხომ ამისი ჩამიჩუმიც არ ისმის. მაშასადამე, ამ კერძოდ გარჯასა და მხნეობაზედ ჩვენ არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუნდ იმიტომ რომ ამისათვის არც ერთს ჩვენგანს ცალკე ღონე არა აქვს, არც გონებრივი და არც ქონებრივი. აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ თვითოეული ჩვენგანი მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად არ აღამებდეს დღეს და სადღა აქვს დრო და მოცალეობა, გონება და ქონება, რომ ერის საერთო განკარგებას და გაძლიერებას მოახმაროს, შესწიროს.

ხოლო იქ, საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითეულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შეჰქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებაღა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ.

ჩვენ ამას წინათ მოკლედ მოვიხსენიეთ, რომ ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობა, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვათა სამაგალითოდ, ამ შეერთების გზას დასდგომია. მას განუზრახავს და ბევრგან განზრახვაც განუხორციელებია, რომ

პურის ერთმანერთში გაწერით საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზედ მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულების შეძენას, მიწათმოქმედების განკარგებას, სარწყავ წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შეძენას და სხვა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც შორიდამ თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლური მეურნეობის წარმატებას. ამ წელიწად-ნახევარში ამ გზით აქაურმა გლეხკაცობამ ნახევარ მილიონზე მეტი შეძლება მოიგროვა ისე უტკივარად და შეუწუხებლად, რომ არც-კი არავის შეუმცნევია ეს ასეთი დიდმნიშვნელობიანი მოძრაობა გლეხკაცობისა.

რატომ ამ გზაზედვე არ უნდა დადგეს ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობა? რატომ იქ არავინა ჰფიქრობს, რომ გლეხკაცობა შეაგულიანოს და ამისთანა საქმისათვის ხელი გამოაღებინოს. დარწმუნებული ვართ, რომ იქაური გლეხკაცობა სიხარულით მიეგებება ყოველს ამისთანა საქმის დაწყებას და მრჩეველს. რატომ ჩვენებური თავად-აზნაურობა არ ახილებს ამისთანა საქმისათვის თვალს? განა იმას-კი არ შეუძლიან ამ გზითვე საზოგადო ქონება გაიჩინოს და თავის უნუგეშო ცხოვრებას ამით სახსარი მისცეს, უნუგეშობისაგან გამოვიდეს. განა დიდი რამ არის, რომ თავად-აზნაურობამ გაიწეროს, თუნდ პურად, რამოდენიმე ნაწილი ყოველ წლით შესატანი საზოგადო ქონების დასაარსებლად და, როცა ამ გზით საკმაო ფული მოგროვდება, მოახმაროს თავის გაღონიერებას, გაძლერებას ქონებით, თუ გონებით?

ეს თავად-აზნაურობისათვის მით უფრო ადვილად მოსახდენია, რომ მას თავისი საკუთარი საგუბერნიო მართველობა ჰყავს, რომელსაც შეადგენს გუბერნიის მარშალი და დეპუტატთა კრებული. გლეხკაცობას არავითარი დაწესებულება იურიდიული არა აქვს საგუბერნიო. ამიტომაც საგუბერნიოდ მოწყობა ამ საყურადღებო საქმისა გლეხკაცობისათვის ამ მხრით გაძნელებულია და უიმისოდ ვერ გადაარჩება, თუ კანონმდებლობას არ მოსთხოვა, რომ ამ საგანს საგუბერნიო

მართველობა და გამგეობა გაუჩინოს. თავად-აზნაურობას-კი ამისთანა დაბრკოლება არ დახვდება წინ, თუ მოიწადინა შეერთებულის ღონით და ქონებით თავის ბედის გასწორება, თავის-თავის გამოკეთება და გაძლიერება.

ვისურვებთ, რომ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მარშლებმა და ყოველმა ცალკე კაცმა, რომელსაც კი ჩვენის ქვეყნისათვის გული სტკივა. ამასაც დავუმატებთ, რომ ამისთანა საქმის დაწყება და გაძღოლა ძნელი არ არის. წესი და რიგი, როგორ უნდა დაეწყოს ეს საქმე, უკვე გამოძიებულია და შემუშავებული გლეხკაცობისათვის. ამ შემუშავებულს წესსა და რიგს მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება მოუნდება, თავად-აზნაურობის მდგომარეობის შესაფერად. და სხვა არაფერი. საჭიროა მხოლოდ კაცი გამოჩნდეს ჩვენში, რომ ეს საქმე, ითავოს და განხორციელება ადვილია. დასასრულ, ამასაც დავუმატებთ, რომ ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავად-აზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არ-გაცემა – დაკარგვაა.

სწორედ ამისთანა საქმეზე არის თქმული, რომ „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.

კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი

I

ტფილისი, 4 ნოემბერი, 1895 წ.

გუშინდელმა კორესპოდენციამ თელავიდგან ფრიად სასიამოვნო ამბავი გვაუწყა. ამ კორესპოდენციიდამ სჩანს, რომ იქაურ თავად-აზნაურობას მიუგნია და ხელი ჩაუჭიდნია იმისთანა საგნებისათვის, რომელიც დღეს პირველ საჭირბოროტო საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ჩვენი ეგრეთწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს ჭირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან, და ჩვენში ხომ ძაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი ბოივლინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუ-

თი ვერ გადურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული.

ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ განწირულებამდე არ მივსულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა თავს არ ვუშველეთ, ჩვენ მოედანი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა სხვას დავუთმეთ. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ის არის, რომ ჩვენ საშუალსაუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისას და წყურვილისას; და როცა ჩვენ გატაცებულნი ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა, ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებულ ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვითაც თავს გვიქონავდა და გვეძახდა, — ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო. ჩვენც ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით და ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი კერძი ცხოვრებისა დღეს იმათ წინ უდგიათ, და ჩვენ-კი შორიდამ ვუყურებთ და ცალიერს თითს ვილოკავთ. დღეს ბარაქალა და მართალი ბარაქალა ჩვენგან იმათ ეკუთვნის, იმიტომ რომ ისინი მიუხვდნენ ახალთა ქართა ბერვას, დროთა ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადს და მოთხოვნილებას, თავისი ძალ-ღონე ჰკუისა, თუ ხელისა ამ ღაღადს, ამ მოთხოვნილებას შეუფერეს, შეუყენეს, გაღონიერდნენ ჯიბით, გაღონიერდნენ ყველაფრით, ხელთ იგდეს ამ საუკუნის ძლიერი ღონე — ფული და, მაშასადამე, ხელთ იგდეს დიდი სახსარი ყოველგვარის წარმატებისა. როცა ჩვენ ვისხედით და შუბლზედ ქუდშეკეცილები და მხრებზედ ყურთმაჯვადაყრილები „მრავალჟამიერს“ ვიძახდით, ისინი თავმოკაკუნებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე და სიცილად არა გვყოფნი-

დნენ და, ვინ იცის, იქნება გულშიც ამბობდნენ: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო. აი ბოლოს სიცილსაც შევესწარით: ბურთი და მოედანი ეკონომიურ ცხოვრებისა გამოგვეცალა ხელიდამ და დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლითა.

ჩვენ-კი, ვისის ქონებით, ვისის ნაჯაფევით, ვისის ნაღვაწით სხვანი კეთდებოდნენ, გავირიყენით, ცარიელზედ დავრჩით და დღეს შორს არა ვართ იქამდე, რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქმნეთ და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ, თუ თავს არა ვუშველეთ-რა, ვიდრე კიდევ შესაძლოა ბედს თავი ჩვენსკენ მოვუღრიჯოთ. თელავის თავად-აზნაურობა, მისდა სასახელოდ, მიმხვდარა ამ გაჭირვებას და შესდგომია საშველის ძებნას. რამოდენად სამკურნალოა და უეზარი ამ ჭირისა იგი წამალი, რომელიც მას მოუპოვია, — ეგ სხვა საქმეა, ამაზედ ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც. ხოლო სანუგეშო ის არის, რომ ჩვენის დღევანდელის ტკივილისათვის მიუგნია ზედმიწევნილად და ეგ ტკივილი მთელის თავის სიგძე-სიგანით თვალწინ დაუყენებია ასე თუ ისე მოსარჩენად და საწამლებლად. საცა მიზეზი ჭირისა ზედმიწევნილად მიგნებულია, იქ მკურნალობა ერთი-ორად გაადვილებულია.

II

ტფილისი, 4 ნოემბერი, 1895 წ.

ჩვენს მეთაურში ამ რამდენისამე დღის წინათ ის აზრი აღვნიშნეთ. რომ ეკონომიური მოედანი ჩვენში ჩვენ, მიწის-მშრომელთ. ხელიდამ გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა და დაინარჩუნა. ეს იქნება გადაჭარბებული აზრი იყოს, მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ჩვენის ნაამაგარისაგან გამორჩენა და მოგება სხვასა ჰრჩება და ჩვენ ჩვენს სახლში,

ჩვენს მიწა-წყალზე, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა, მაშინ ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს თავისი ადგილი აქვს და საბუთი.

ვიმეორებთ: გარეშემო ყველაფერი შეგვეცვალა, ამ ცვლილებამ მრავალგვარი ახალი საჭიროება აგვიჩინა, ცხოვრება გაგვიძვირდა, გაგვიძნელდა, ვეღარ ავდივართ აუცილებელს ჭირბოროტს დღისას. ამ უნუგეშო მდგომარეობის სისწვრივ ვხედავთ, რომ მტერი აღარ გვაცდენს მუშაობისაგან, მშვიდობიანობა ჩამოვარდა, სახლობას აღარავინ გვიწიოკებს, ნაშრომნაღვაწს არავინ გვიოხრებს, რკინისგზებისა და ზღვაზე სიარულის წყალობით ჩვენს ნაამაგარს კარი ფართოდ გაეღო, ცოტად თუ ბევრად ბაზარი გაუდიდდა, მუშტარი მოემატა, აღარა ვართ გარშემო მტრებისაგან და უგზოობისაგან იძულებულნი შინ კარჩაკეტილები ვისხდეთ, ჩვენი ვერა მივაწოდოთ რა სხვას, ან სხვისა არა მოვიწოდოთ-რა. სულ ყოველს ამასა ვხედავთ და მაინც ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია. რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარეობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს. ამ მდიდარს და მომცემს ქვეყანაში რადა ვართ ღარიბნი და ღატაკნი? მადა, რომ ჯერ მაინც კიდევ ვტრიალებთ იმ აზრთა წრეში, იმ სურვილთა და წყურვილთა მზიან-ჩრდილში, რომელიც იყო გამოსადეგი ამ მეცხრამეტე საუკუნის წინათ.

დღესაც ვიძახით თავმოწონებით: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი პურადი, გულადი, იგივ მხნე იგივ მღერელიო". მართალია, ბევრი არ არის სხვაგან ჩვენის ქვეყნისთანა ქვეყანა. ისიც მართალია, პურადობა და გულადობა ფრიად მოსაწონი და ტკბილად მისაჩნევი ღირსებაა ადამიანისა. მაგრამ ჭირი ის არის, რომ დღევანდელი უკუღმართი დრო მაგაებს აღარა ჰკმარობს, მაგაებიდამ ბევრს ვერას გამორჩება.

დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა

ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ. საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავეს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. ამ ბრძოლაში „ყურთმაჯუთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა“ ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა.

ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში. საფაბრიკო და საქარხნო წარმოების მოედანი, თუმცა დღეს ჩვენში საგრძნობელად ხელთ არავის ჩაუგდია, მაგრამ ამაებისათვის ჩვენ არამც თუ ქონება არა გვაქვს, არამც თუ საჭირო ცოდნა და გამოცდილება,—აზრადაც არავის მოსვლია ამაებისაკენ მიიხედოს და ეს დღეს მოცლილი და სხვისაგან დაუბერელი ადგილი მაინც დაიჭიროს. ამას ვინა სჩივის? ის ერთადერთი მოქმედებაც, რომელიც დღეს ჩვენ ასე თუ ისე პურს გვაჭმევს, ისეთს მდგომარეობაშია, რომ, თუ გზა და საფუძველი არ გამოეცვალა, ისიც ხელიდამ წაგვივა და ჩაუვარდება სხვას, ჩვენზე უფრო მხნეს, ჩვენზე უფრო მცდელს, მცოდნეს და გამჭრიახს კაცს. ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის,— უძრავი ქონებაა თუ მოძრავი,—რომ უხერხო და უმცდელ კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა.

თავი და თავი მიზეზი იმ უეჭველ ამბისა, რომ მიწათმოქმედება ჩვენში მატებას და გაძლიერებას მოკლებულია; რომ დღეს არ იძლევა იგი იმოდენას, რომ არამც თუ სახვალიოდ რაიმე გადავინარჩუნოთ, სადღეისოდაც არა გვყოფნის; რომ ჩვენს საკუთარ მიწაზედ ჩვენის უმხნეობით და დაუდეგრობით სხვის დღიურ მუშად გავიხადეთ თავი, და ვინ არ იცის, რომ დღიურ მუშის კერძი მსოფლიო სუფრაზედ იმოდენია, რაც მხოლოდ საკმარისია კაცს შიმშილით სული არ ამოხდეს, — ყოველ ამისი თავი და თავი მიზეზი იგია, რომ დღეს

ჩვენებურს მიწათმოქმედებას იგივე საგანი აქვს, იმავე საქმეს ეტანება და ზედ ალევს თავისს ძალსა და ღონეს, რაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში და კიდევ წინათაც უნდა გასძღოლოდა ასე თუ ისე მაშინდელთა მკვიდრთა საჭიროებას, და ამ სახით, მაშინ, როცა ჩვენს გარეშემო ყველაფერი შეიცვალა, ჩვენი ერთადერთი ეკონომიური სახსარი არც ზნეს იცვლის, არც ფერსა.

კიდევ ვიტყვით: მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებულ იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავისს მიწაზე, რასაც დღეს უფრო იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდამ მოვიტანთ. იგი ძვირფასი ჰირნახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მიდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?* ამას წინათ ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ თრიმლს დიდი მუშტარი ჰყავს რუსეთშიო და კაი ფასადაც გავაო.) აბა ჯერ თრიმლი რა არის, ჩვენებური ტყეები სავსეა მაგითი, და გამოდის, რომ მაგასაც-კი შესძლებია ქონების ღონე მოგვცეს, თუ ხელს მოვკიდებთ. სხვას ნუღარ ვიტყვით, რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოიღოს ბაზარში გასატანად.

---

* დღეს რომ ჩვენში პური ამბრეებში ჰლპება და თუ არ ჩალის ფასად მუშტარი არა ჰყავს, განა იმით არ აიხსნება, რომ აქაური ბაზარი სავსეა რუსეთიდამ მოტანილ პურითა, რომელიც ბაზარს უფრო იეფად უჯდება, ვიდრე ჩვენი შინაური პური?

თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა. განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვაროვნ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმომქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა. რასაკვირველია, ყოველს ამას სურვილისა და წყურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა, და როგორც ეტყობა, არც ეს აუცილებელი მხარე საქმისა დაუგდია უყურადღებოდ თელავის თავად-აზნაურობას: სხვათა მისაღწევ საგანთა შორის ცოდნისა და ხერხის გავრცელებაც დაუვალებია განზრახულის ამხანაგობისათვის.

მართალია, დიდი მოედანი დაუნიშნავს თელავის თავად-აზნაურობას მის მიერ განზრახულს ამხანაგობის მოქმედებისათვის, მაგრამ აქ სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის. ეხლანდელს დროში კრებული ძალა სასწაულთმოქმედობს. მართალია, გულგაშლილი ქართველი ჩვეულს არის, რომ თუ მოსახვეტია რამე, კაბდითი მოხვეტოს, და თუ არ ასე, მცირეზე ხელს არ წაიწვდენს, მაგრამ პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტა-ცოტაობისაგან დიდი საქმე გამოვიდეს. აქ საჭიროა მოთმინება და ამაზედ ცოტა უკაცრავად გახლავს გულჩქარი ქართველი, რომელიც სჩივის და ჰყვირის ხოლმე, როცა განზრახული იმავ დღესვე საესებით არ ეძლევა, ის კი ავიწყდება, რომ ღმერთი ყოვლადშემძლებელია და იმანაც კი ექვსი დღე მოანდომა ქვეყნის აშენებას.

ჩვენ, როცა დაწვრილებით შევიტყობთ, თელავის თავად-აზნაურთ როგორ დაუწყვიათ ხსენებული საქმე, კიდევ ვიტყვით რასმე ამ საგანზედ, სადამდინაც ჰკუა და გონება გა-

გვიწვდება. ეხლა კი ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო ამბად უნდა ჩაითვალოს თელავის თავად-აზნაურთა იმ გზაზედ ფეხის მოკიდება, რომელიც დღევანდელი საჭირბოროტო და საღაღადებელია.

III

ტფილისი, 16 ნოემბერი, 1895 წ.

ჩვენ ამას წინათ ორს მეთაურს წერილში მოვიხსენიეთ, რომ თელავის თავად-აზნაურობამ განიზრახა საეკონომიო გზაზე გამოსვლა და ამისათვის განაჩინა საზოგადოება შეედგინა. ეხლა პროექტი წესდებისა უკვე შეუდგენიათ, დაუბეჭდიათ და აპირობენ წარადგინონ, საცა ჯერ არს, დასამტკიცებლად.

იგი პროექტი, რომელსაც სათაურში აწერია—Проект устава „Союз сельских хозяев Кахетии“ ჩვენ მივიღეთ და მით ღონისძიება მოგვეცა ზოგიერთს მხარეს ამ ახალის საქმისას შევეხოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ თვითვეულს მუხლს ამ პროექტისას ვერ გამოვუდგებით, მეტად შორს წავა და ვგონებთ არც საჭიროა. საქმე დედააზრის გამორკვევაა და იმ მუხლების აწონ-დაწონვა, რომელთაც უნდა გაიტანონ ეს დედააზრი. სხვა წვრილმანი ადვილად მოსაგვარებელია და გასასწორებელი.

დედააზრი პროექტისა, ანუ მისაღწევი საგანი დასაარსებელ „კავშირისა“, ცხადად გამოთქმულია წესდების პირველ მუხლშივე და პირველი არის შემდეგი: სოფლის მეურნეობის ჭირნახულს მოუპოვონ იმისთანა მუშტარი, რომელიც ჭირნახულს ჰსაჭიროებს თავისთვის შინ სახმარად და არა გასასყიდად, და ამ გზით მწარმოებელი მხმარებელს შეახვედროს პირდაპირ უშუაკაცოდ, სახელდობრ, ისე რომ ჩარჩსა და ვაჭარს მოესპოს გზა სყიდვისა და გასყიდვისა, გამსყიდველად იყოს თვით მოჭირნახულე და მყიდველად მხმარებელი და ამათ შუა ჩარჩი და ვაჭარი არ ჩასდგეს.

ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი ისეთია, რომ ჩარჩი ან

ვაჭარი იძულებულ-ჰყოფს მოჭირნახულეს იეფად ჰყიდოს, რაც შეიძლება, თვისი ნაჭირნახულევი და მხმარებელმა, რაც შეიძლება ძვირად იყიდოს. ერთიც ჰკარგავს, რომ იეფად ჰყიდის და მეორეც, რომ იეფად ნაყიდს ძვირად ჰყიდულობს, ორივენი ზარალში არიან და მოგებაშია მარტო ჩარჩი ანუ ვაჭარი. ჩარჩი და ვაჭარი რომ ამ აღებ-მიცემობას თავიდან მოაშორონ, მოჭირნახულე და მხმარებელი პირდაპირ შეახვედრონ ერთმანეთს და ამ გზით იგი დიდი ლუკმა მოგებისა, რომელიც ჩარჩსა ან ვაჭარსა ჰრჩება, მოჭირნახულემ და მხმარებელმა შუა გაიყონ, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, ესეც კი საკმარისია, რომ პირველს მეტი ერგოს თავის ნაჭირნახულევისაგან და მეორეს ნაკლებ დაუჯდეს სახმარად საჭირო საგანი. ვთქვათ, როცა პურს ათ შაურად ფუთსა ჰყიდულობენ მოჭირნახულესაგან, ხუთმეტ შაურად ჰყიდიან მხმარებელზედ, თაბაუთი აქ ხუთი შაურია. ეს ხუთი შაური რომ შუაზე გაიყონ მოჭირნახულემ და მხმარებელმა, მოჭირნახულეს ფუთზე ერგება ათ შაურის მაგიერ სამი აბაზი და ხუთი გროში და მხმარებელსაც ფუთი დაუჯდება ხუთმეტ შაურის მაგიერ იგივ სამი აბაზი და ხუთი გროში. ამ სახით, ამათ შუა რომ ჩარჩი ან ვაჭარი არ ჰაჭანებდეს, ორივენი მოგებაში იქნებიან. ხსენებულს პროექტს საგნად დაუდვია, რომ სწორედ ამ გზით მოეშველოს მოჭირნახულეს და მხმარებელსა და ჩარჩი და ან ვაჭარი, რამოდენადაც შეიძლება, არ გაა ჰაჭანოს შუამავლად ამ ორთა ერთმანეთის სიკეთეზე დამოკიდებულ მკვიდრთა შორის. რასაკვირველია, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მოჭირნახულემ პირდაპირ მიაწვდინოს თავისი ნაჭირნახულევი მხმარებელსა და მხმარებელი პირდაპირ შეხვდეს მოჭირნახულესა. როგორ და რა გზით არის შესაძლო ეს საქმე მოხდეს?

რა თქმა უნდა, თვითეული ცალკე მოჭირნახულე და თვითეული ცალკე მხმარებელი ვერ დაიწყებენ ერთმანეთის ძებნას. ამისათვის არც ღონისძიება აქვს, არც მოცალეობა. აქ უნდა იმისთანა ადგილები აჩნდეს, საცა მოჭირნახულე თავის ჭირნახულს დააწყობს გასასყიდად და საცა თვითეული

მხმარებელი იპოვის სასყიდად თავის საჭიროსა. ხსენებულს პროექტს, მიუღია ეს სახეში, დადგენილი აქვს გამართოს თვალსაჩინო ადგილებში მაღაზიები, დუქნები, სარდაფები, საწყობები, საცა ყოველს მოჭირნახულეს, წევრსა თუ არა წევრს „კავშირისას“, შეუძლიან თავისი ჭირნახული მიიტანოს გასასყიდად. ამ დახმარებისათვის „კავშირი“ დაიაქს* იღებს იმოდენს, რამოდენასაც განაწესებს საზოგადო კრება „კავშირისა“.

თუ ეს დაწყობილება მოხერხდა და განხორციელდა, უეჭველია ეშველება რამ ჩვენს აწინდელს მდგომარეობას, რომლის წყალობითაც ორ გზით, როგორც გამყიდველს და მყიდველს, გვწოვენ და გვთვლიან, და დღეს საკითხი მხოლოდ ეს არის: მოხერხდება და განხორციელდება თუ არა. ჩვენ ამის პასუხის თქმას ვეცდებით მაშინ, როცა აღვნიშნავთ სხვა ორს საგანსაც, რომელიც მისაღწევად დაუნიშნავს ხსენებულს „კავშირსა“ და რომელსაც შემდეგ მოვიხსენიებთ.

IV

ტფილისი, 17 ნოემბერი, 1895 წ.

მეორე საგანი „კახეთის მეურნეთა კავშირისა“ იგია, რომ რაც სოფლის კაცისათვის საშინაოდ სახმარია და სასყიდელი, ყოველივე იგი, შეძლებისამებრ, პირდაპირ მწარმოებელთაგან იყიდონ, რადგანაც იეფად დაუჯდებათ, და ამის გამო იეფადაც შეეძლებათ გაჰყიდონ და სოფლის კაცს მიაწოდონ.

სოფლის კაცს თუ ხელს შეუწყობენ ღირებულ ფასად გაასაღოს თავისი ნაჭირნახულევი და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ, არა ნაკლები სამსახურია, რომ რაც შეიძლება იეფად მიაწოდონ ის, რაც მას სახმარად სჭირია და არა აქვს. აქაც საფუძვლად დადებულია ის აზრი, რომ მხმარებელი მოჭირნახულე პირდაპირ შეახვედრონ და ჩარჩი და ვაჭარი დაი-

* Комиссионная плата.

თხოვონ შუამავლობისაგან. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მოჭირნახულე სოფლის კაცი მხმარებელად არის დასახული და მისის ჭირნახულის მხმარებელი მოჭირნახულედ იმისა, რაც არა აქვს სოფლის კაცს და რაც მისთვის სასყიდელია. ამის აღსასრულებლად „კავშირს“ დაუდგენია იქონიოს საწყობები იარაღისა, თესლეულობისა და სხვა ყოველისა, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნისათვის, აგრეთვე ყოველ იმისა, რაც ადგილის მკვიდრთათვის საშინაოდ სასყიდელია.

მესამე საგანი „მეურნეთა კავშირისა“ არის განკარგება და წარმატება სოფლის მეურნეობისა კახეთში. რა თქმა უნდა რომ ამ მხრით არამც თუ კახეთი, მთელი საქართველო უკან ჩამორჩენილია იმოდენად, რომ ლამის მიწაზე ხელი ავიღოთ, რადგანაც იგი ჭირნახული, რომელსაც დღეს შევჩერებივართ და მოგვყავს და რომელზედაც ამოდენა შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიეფდა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ამ გაიეფებას იმისთანა მიზეზი აქვს, რომელსაც არამც თუ ბოლო ოდესმე მოეღება, არამედ დღედადღე გაძლიერდება და გადიდდება. დღეს პურზე, ქერზე და სხვა ამისთანა მარცვლეულობაზე შელეული ამაგი და ხარჯი მიწათმომქმედს ხელს არ მისცემს, რადგანაც იშვიათს შემთხვევათა გარე, ეგ მარცვლეულობა, სხვიდამ მოტანილი, უფრო იეფად უჯდება აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვიჯდება, და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამაგარი, ან ორმოებში დავალპოთ. რუსეთის პური ბევრად იეფია, ვიდრე ჩვენი, ჩვენის შრომისა და ხარჯის კვალობაზე, და აქ ცილობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე ან არ ვისწავლით ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვაღებინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვაღებინოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰაჯა და მიწა, და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და საზღვარგარეთაც. კიდევ ვიტყვით: იმას, რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნები-

დამ ეზიდება და რასაც ზედ ალევს არა ერთსა და ორს მილიონს მანეთსა, იმ ყოველისფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს.

ამ ცოდნის მოსაფენად და გასავრცელებლად „კავშირს“ საგნადა აქვს ჰბეჭდოს წიგნები, ბროშიურები, აგრედვე იქონიოს დროგამოშვებითი ჟურნალი ან გაზეთი, თავისის მოღვაწეობის შესაფერი. წიგნით ცოდნის გავრცელებას არა ჰკმარობს „კავშირი“ და საბუთიანადაც. წიგნი ამ შემთხვევაში ისე მალე მისაწვდომი და შესათვისებელი არ არის, როგორც მაგალითი, როგორც ის, რასაც კაცი თვალით ჰხედავს, რასაც გამოცდა აჩვენებს, ნამეტნავად თუ სახეში ვიქონიებთ იმ უმეტესობას ერისას, რომლის ფეხზე დაყენება ასე სანატრელია ჩვენთვის და რომელიც მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა.

რადგანაც მარტო წიგნი ვერ გაუწევს საკმაო სამსახურს დიდს საქმეს ცოდნის გავრცელებისას, „კავშირს“ განუზრახავს საქმე ისე მოაწყოს, რომ მსურველმა თავისის საკუთარის თვალით დაინახოს, რა უფრო სასარგებლოა კაცმა გამოაღებინოს მიწას, რაა სასურველი მოსაყვანად, რარიგად უნდა აკეთოს, რარიგად მოუაროს, რაგვარად უნდა შეუწყოს ხელი და იწარმოოს.

რომ ყოველივე ეს აჩვენოს მსურველს და დააჯეროს, რომ ამა თუ იმ ჭირნახულისაგან უფრო დიდი გამორჩენა ექმნება, „კავშირი“ კახეთში იქონიებს მიწებს, საცა ყოველ ამის მაგალითს და საბუთს თვალით დაანახვებს. რომ სხვა გზითაც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლად მომქმედს მოჭირნახულეს, „კავშირი“ გაიჩენს ხალხში გასავრცელებლად რაც საუკეთესო ხილია, ან საბოსტნე რამ, ან მცენარე, და იყოლიებს საუკეთესო ჯიშის პირუტყვსა, რომ ამით პირუტყვთშენება განკარგდეს ჩვენში და კაი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს.

ეი ეს სამი საგანია მოხსენებული წესდების § 1-ში, რომელიც „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირს“ მისაღწევად

დაუნიშნავს. შემდეგს წწ-შია დასახელებული სხვა საგნებიცა, მაგალითებრ, ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვა, იეფ კრედიტის დაარსება სოფლის მეურნეობის ტექნიკის განკარგებისათვის და მკვიდრთა ხელის გამართვისათვის.

საქმე დიდ ფარგალშია მოქცეული, როგორცა სჩანს, და სანატრელია, რომ აღსრულებაში მოვიდეს. ეხლა იკითხავთ: რა ღონე, რა შეძლება უნდა გასწვდეს ამოდენა საქმესაო? ამის პასუხს თვითონ წესდება „კავშირისა“ გვაძლევს და საჭიროა ამ მხრითაც ჯერ წესდება ვალაპარაკოთ.

V

ტფილისი, 29 ნოემბერი, 1895 წ.

ჩვენ ამას წინათ მოკლედ აღვნიშნეთ ის საგნები, რომელიც წინ დაუდვია მისაღწევად „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირსა“ და ყოველივე ეს იმით გავათავეთ, რომ საჭიროა გაეიგოთ, რა ღონისძიებით დაუპირებიათ ამ დიდის საქმის განხორციელება. ამის შესახებ პროექტი წესდებისა გვაუწყებს, რომ ღონისძიებას „კავშირისას“ შეადგენს საქმეში სატრიალებელი ფული და ზარალის მზღვევი თანხა.

საქმეში სატრიალებელი ფული უნდა შესდგესო:

ა) ერთხანად წევრთაგან შეტანილ ფულისაგან. აქ თვითეულ წევრზე, მისის შემოსავლის მიხედვით, დანიშნულია სხვადასხვა ზომით შემოსატანი. ვისაც 500 მანეთზე ნაკლები წმინდა შემოსავალი აქვს, იმან უნდა შეიტანოს ხუთი მანეთი და ვისაც 500-ზე მეტი, ერთი თუმანი, და ვისაც 100 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ის განთავისუფლებულია ერთხანად შესატანისაგან;

ბ) ყოველ წლივ შესატანის საწევრო ფულისაგან. აქ დანიშნულია წმინდა შემოსავლის კვალობაზე ასის თავზე ერთი;

გ) დაიაქისაგან, რომელსაც „კავშირი“ აიღებს მის შემწეობით გაყიდულ საქონლის კვალობაზე იმ ზომით, რომელიც დადგენილ იქმნება საზოგადო კრებისაგან;

დ) დაიაქისაგან, რომელსაც გადიხდიან მყიდველნი, თუ ამას საზოგადო კრება დაადგენს;

ე) იმ ფულისაგან, რომელიც „კავშირს“ შემოუვა საკუთარ სააღებმიცემო საქმისაგან და იმ ჭირნახულის გასყიდვისაგან, რომელსაც თვით „კავშირი“ მოიამაგებს, და

ვ) იმ სარგებლისაგან, რასაც მისდა კუთვნილი ფული შემოიტანს.

ზარალის მზღვევს თანხას ორი წყარო აქვს დანიშნული. ერთი ის, რომ რაც რამ ზემოდასახელებული ფული იქნება. იქიდამ ასის თავზე ერთი ამ თანხისთვის უნდა გადიდვას ყოველწლივ, და გარდა ამისა წმინდა მოგებისაგან ყოველწლივვე წესდებაში დანიშნული წილი უნდა ეძლეოდეს.

ჩვენა გვგონია, და არა-უსაბუთოდ გვგონია, რომ პირველ ორ მუხლში მოხსენებული სახსარი თავდაპირველი ღონეა, რომ „კავშირმა“ საქმე გაიმართოს და მოქმედება დაიწყოს; სხვა დანარჩენი შემოსავალი საგულვებელია მაშინ, როცა „კავშირის“ საქმე გაიწევს და ფეხს გასდგამს განზე ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინოდ და მოიპოვებს საკმაო ნდობას.

მაშასადამე, გამოსაკვლევად ჰრჩება მარტო ხსენებული პირველი ორი მუხლი იმ მხრით, მისცემს თუ არა „კავშირს“ იმოდენა ღონისძიებას, რომ პირველშივე „კავშირი“ არ დაბრკოლდეს და მკვდრად დაბადებულს არ დაემსგავსოს. რა თქმა უნდა, იმ მრავალ საგნების გასაძღოლად, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს, დიდი ფულია საჭირო, და ის ფული კი, რომელსაც ხსენებული პირველი ორი მუხლი შემოატაინებს წევრთ, წვეთი იქნება ზღვაში. ხოლო ჩვენ წინადაცა ვთქვით, რომ მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლისასაც. განზრახული „კავშირისაგან“ საქმე იმოდენად მრავალმტოიანია, რომ შესაძლოა პირველ ხანებში მარტო ერთს რომელსამე შტოს შეუწონოს „კავშირმა“ თავისი შეილება, იგი ამოქმედოს, და მერე, შეძლების გაძლიერების მიხედვით, თანდათან და თვითო-თვითოდ სხვა შტოებსაც მოჰკიდოს ხელი.

საფიქრებელი ეს არის, რომ ამისთანა საქმეში თანდათა-

ნობასაც თავისი საზღვარი აქვს. ეს საზღვარი დამოკიდებულია იმ საგანზე, რომელიც პირველ ხანშივე საჭიროა ამოქმედდეს, რომ „კავშირმა“ პირველშივე თავი იჩინოს თავისის აგებულებითა, გამჭრიახობითა და სიმარჯვითა და ამით ნდობა მოიპოვოს. თუ ამისთანა საქმეს ნდობა არ დაედვა კვაკუთხედ, ყოველივე მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელი. თუ ამ თვალით ამოირჩევა პირველ ხანის სამოქმედო საგანი, მაშინ თვით საგნის სიგრძე-სიგანე გვანიშნებს, — რაოდენი ღონეა საფიქრებელი, რაოდენი შეძლება უნდა მზად იყოს, რომ არჩეულს საგანს გასწვდეს უკლებლივ. ეს ერთი მხარეა საქმისა, რომელიც სახარჯავს თხოულობს, და აქ იქნება მეტნაკლებობას საჭირო ფულისას და შეძლებისას როგორმე მოევლებოდეს. ეს თვით „კავშირის“ მოთავეთათვის მიგვინდვია.

ხოლო ამ საქმეს აქვს მეორე მხარეცა, რომელსაც არა გზით არ ეღალატება და რომელიც პირველ ხანშივე მთელს თავისს საზღვრებში სავსებით უნდა დატეულ იქმნას და, მაშასადამე, უკლებლივ და სავსებით სახარჯოც უნდა საგულებელ იყოს. ეს ხარჯი ჯამაგირებია და გასამრჯელო იმ კაცთათვის, რომელნიც მოწვეულ უნდა იქმნან პირველშივე საქმის ფეხთაადგმისათვის, საქმის დაწყება-აგებისათვის. კოტა იქნება პირველში სამუშაო, თუ ბევრი, ამაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიცხვი საჭირო კაცთა, არამედ იმაზე, რომ საქმე სამერმისოდაც პირველშივე მკვიდრად დალაგდეს, ძირი მაგრად გაუკეთდეს, სათავე განზრახულს პოლოს პირველშივე შეუფერონ, დღევანდელი დღე, დღევანდელი საგანი, ხვალის მშობლად გაჰხადონ და საქმე თანდათან მატებაში შეიყვანონ და მატების გზაზე დააყენონ.

აქ ყოველივე ხელნაკლებობა ხარჯისა მომაკვდინებელი შეცდომაა. საჭირო კაცთა სავსებით მოწვევისათვის „კავშირმა“ არ უნდა დაზოგოს-რა პირველშივე, თუნდაც ხელთათვის საქმე არა იყოს-რა ჯერ, იმიტომ რომ თავიდათავი საჭიროება საქმის აგებაა, მისი დალაგებაა სამოქმედოდ, რადგანაც მარტო ეს აგება და დალაგება გამოიწვევს იმ

ნდობას, ურომლისოდაც „კავშირი“ და სხვა ყოველი ამისთანა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს, ერთს წუთსაც ვერ იხეირებს. ამ კაცთა მოწვევას და საქმეში ჩაბმას კარგა ბლომა ხარჯი მოუნდება.

იქნება ვიფიქროთ, რომ აქაც თანდათანობა სამსახურს გაგვიწევდეს და იმას დავებჯინოთ, რომ საქმეთა მატების მიხედვით, კაცებსაც მოვიმატებთო. რასაკვირველია, ზოგში იქნება ესეც მოსახერხებელი იყოს, მაგრამ უფროსერთში-კი მაგით ფონს ვერ გავალთ იმისთანა საქმეში, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს. ბევრი კაცია საჭირო პირველშივე. სათავის გაჭრა და გამაგრება იმოდენა ზღვა საქმისათვის, როგორიც „კავშირის“ საქმეა, სახუმარი არ არის, პირველშივე დიდს მისვლა-მოსვლას ნდომულობს, დიდს გარჯას, დიდს თვლის ტრიალს და გონების გაშლას.

თუ მართლა ასე აუცილებელია პირველშივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფული უნდა გაუძღვეს იმათს ჯამაგირს და გასამრჯელოს? საიდამ და როგორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“ ამისათვის? საკმაოა ის წევრთა შემოსატანი, რომელიც პირველ ჟრ მუხლშია დანიშნული? ჩვენ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

VI

ტფილისი, 3 დეკემბერი, 1895 წ.

მართალია, ბევრი ლაპარაკი იმისთანა საქმეზე, როგორც „კახეთის მეურნეთა კავშირის“ საქმეა. ზოგს არ იამება და იქნება სამდურავიც შემოგვითვალონ, მაგრამ ჩვენ ვერ შევუშინდებით ამ სამდურავს, რადგანაც იგი საქმე მეტად საყურადღებო საგნად მიგვაჩნია. ბევრს ვერ იპოვით ჩვენში იმისთანა ბიჯს, იმისთანა დაწყობილებას, იმისთანა სამოქმედოს რასმე, რომ ისე უკლებლივ, ისე ნიშნობლივ, ისე უკან დაუხევლად და პირდაპირ გატარებული იყოს წყურვილი თვითმოქმედებისა, როგორც „კავშირის“ წესდებაშია. აქ

ნაგრძნობია და ჰო-უარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისაგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი—გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვიღუპებითო, — ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მაოტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ. ეს ერთი სანუგეშო მხარეა ხსენებულ „კავშირისა“ და ფრიად სასიხარულოც მით, რომ აღძრულია აზრი თვითმოქმედებისა და ხალხის აუცილებელ საჭიროებისა გაჭირვებიდამ ხსნისათვის.

მეორე ხარე არანაკლებ სანუგეშო და სასიამოვნო ის არის, რომ „კავშირს“ დაუნახავს ის ჩვენ მიერ დიდის ხნის დავიწყებული და ჩვენგან დატოვებული ადგილი, საცა დღევანდელის დღის ვითარებისაგან ასე ცხარე ბრძოლაა არსებობისათვის და საცა ჩვენ ძლეულნი ვართ და სხვანი გამარჯვებულნი. სარბიელი ამისი დღევანდელი ეკონომიური ავკარგიანობაა და აი რა სარბიელზე საჭიდაოდ იწვევს „კავშირი“ თვითმოქმედების ძალ-ღონეს საზოგადოებისას. აღმოშობა, ფეხზე წამოყენება, თუნდ მარტო დასახელებაც იმისი, რომ თვითმოქმედებაა ჩვენი მხსნელი ჭირბოროტისაგან როგორც შემდეგში, ისეც დღევანდელ დღეს, სასიხარულო ნიშანია ჩვენის გამოფხიზლებისა, ჩვენის დაძინებულის აზრის დაძვრისა და მოქმედებისა, მით უფრო, რომ ეს თვითმოქმედების წყურვილი ხსენებულ სარბიელზე თვით საზოგადოებას გასჩენია და არა ორიოდე მწიგნობარსა, რომელთა ხმა ხშირად უდაბნოში მღაღადებელ ხმადა ჰრჩება ხოლმე, რაც გინდ ძალთალი და სახეირო იყოს.

ეს სანუგეშო მხარენი „კავშირის“ მიერ წამოყენებულ საქმისა მეტად საკეთილოდ საგრძნობნი არიან და ამიტომაც გრილად საუბარს ამაზე არ უნდა მოვერიდნეთ იმის შიშით, რომ ზოგი ჩვეული არ არის ამისთანა ბაზრალის საუბარის მოსმენისა და სამდურავს შემოგვითვლის,—რას აჭიანურებთ, მოვბეზრდითო.

ჩვენ წინა წერილში ვიკითხეთ: რადგანაც აუცილებელია პირველძივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფულს უნდა გაუძღვეს იმათს ჯამაგირს და გასამრჯელოს და რა

გორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“, რომ ამის ხარჯს გასწვდეს? ჩვენ ისიცა ვთქვით ამასთან, რომ თუ წესდებას „კავშირისას“ მივხედავთ, ამისათვის მარტო ორი წყაროა განზრახული. ერთი — წევრთა ერთხანად შემოსატანი და მეორე — ყოველწლობითი. ძალიან ვეჭვობთ, რომ ამ ორმა წყარომ „კავშირს“ ღონე მისცეს სამოქმედოდ გამოსვლისა. წესდება ამბობს, რომ რაკი „კავშირს“ 50 წევრი ეყოლება, მოქმედება უნდა დაიწყოსო. რა უნდა გახდეს ამ 50 წევრის შემოსატანი საქმის დაწყებისათვის?

ერთხანად შემოსატანი დანიშნულია იმაზე, ვისაც ორმოცდაათ თუმანზე ნაკლებ წმინდა შემოსავალი აქვს — ხუთი მანეთი, და ვისაც მეტი წმინდა შემოსავალი აქვს — ერთი თუმანი, და მერე ყოველწლივ ასზე ერთი მთელის შემოსავლიდამ.

ავიღოთ, — თუმცა დაუჯერებელია კი, — რომ პირველშივე ასი წევრი ჩაეწერა. ერთხანად შემოსატანი შეადგენს ასს თუმანს, ყველასი შემოსავალი ორმოცდაათს თუმანზე მეტი რომ ვიანგარიშოთ, თუმცა არც ეს არის დიდი საიმედო. სამწუხაროდ ჩვენდა, ყოველწლობითს შემოსატანს წესდებაში განსაზღვრული არა აქვს რა, რომ ანგარიში იქიდამ დავიწეროთ! იქა სწერია, ყოველწლივ თვითეულმა წევრმა ასზე ერთი უნდა შემოიტანოს წმინდა შემოსავლიდამაო. ამის გამო არ ვიცით, ნორმად ისევ ის ორმოცდაათი თუმნის მეტნაკლებლობაა მიღებული, თუ ნამდვილი ზედმიწევნილი შემოსავალი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნამდვილი, ზედმიწევნილი შემოსავალია, თორემ ისე, როგორც ერთხანად შემოსატანია დანიშნული, შეუძლებელია ანგარიში, რადგანაც ორმოცდაათს თუმანზე მეტობა თუ ნაკლებობა, განუსაზღვრელი რამ არის და განუსაზღვრელი ანგარიშის სათავედ შეუძლებელია რომ დაიდვას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველწლობით შემოსატანი ზედმიწევნილ შემოსავალზე უნდა იყოს გაანგარიშებული, ესე იგი. თვითეულ წევრს ცალკე უნდა აუნუსხონ შემოსავალი და ისე დააწერონ შემოსატანი ფული. დავანებოთ ჯერ იმას თავი, რაგვარად შესაძლებელია ამისთანა ანუსხვა შემოსავლისა, რომ არც მწვადი დაიწვას,

არც შამფური, — მარტო ის ვიგულისხმოთ რომ იმ ასს წევრს ორთა-შუა რიცხვით ას-ასი თუმანი წმინდა შემოსავალი აღმოუჩნდა. ვგონებთ, ეს მეტიც არის საგულვებლად და არა ნაკლები. აქედამ „კავშირს“ შეუდგა ასი თუმანი. ამ საბით პირველ ხანში საქმის დაწყებისათვის „კავშირს“ ხელთ ექმნება მარტო ორასი თუმანი. ამ ფულით ძნელად თუ რასმე გახდება კავშირი, იმიტომ რომ სხვა განზრახული შემოსავლები „კავშირისა“ იმისთანანი არიან, რომელნიც საქმის გამართვას და წარმოებას მოსდევს. ჩვენ ამ ორასი თუმნის ანგარიშისათვისაც კი იმისთანა მაგალითები ავიღეთ, რომელიც პირველ ხანში მოულოდნელია და მაინც ორას თუმანზე მეტი არ დაგვიდგა, და რა უნდა ჰქნას „კავშირმა“ თუნდ ამ ორას თუმნითა? ეს ხომ საჭირო კაცებსაც ჯამაგირად არ გასწვდება და საქმეს რითღა მიაწვდინოს ხელი? ჩვენ, რასაკვირველია, დიდად გვიამება, რომ „კავშირმა“ ამ სიძნელეს გზა როგორმე აუქციოს და რითიმე ან როგორმე გაუძღვეს თვისდა განზრახულს საქმეს, მაგრამ ვშიშობთ კი, რომ იმედი პირველშივე არ გაუმტყუნდეს.

გარდა ამისა, რა ღონისძიება აქვს „კავშირს“, რომ ზედმიწევნილი წმინდა შემოსავალი აუხუსხოს საკმაო ზედმიწევნილობით წევრსა? ჯერ იმ სახელმწიფოებში, საცა გადასახადი შემოსავალზეა დადებული, თვით სახელმწიფოს, რომელსაც აუარებელი მოხელენი ჰყვანან და იმოდენა ღონისძიება აქვთ, ვერ მოუწყვიათ ამისთანა საქმე ისე, რომ ნამდვილი შეიტყონ, და „კავშირი“ როგორ მოახერხებს? ან რა საჭირო იყო ამისთანა ყიხულზე წერა შემოსატანისა, როგორც თვალისა თვის უჩინარი შემოსავალია? განა ჩვენში ბევრმა კი იცის, ჩა შემოსავალი აქვს, და ან გადაწყვეტით შეუძლიან ამისი თქმა? შემოსავალი ხომ დიდად სამიზეზო და მიზეზიანი საგანია და სად, როგორ აუვა „კავშირი“ ათასნაირს სამდურავს, იმას ცოტას ახდევინებს და მე ბევრსაო, და სხვას ამისთანებს. თუხდ ეგეც არ იყოს, იმისთანა ქვეყანაში, საცა მამულში დატრიალებულს კაცს ვერ გაუგია, წელს რა შემოუვა და ხვალ რა, ხომ საჭირო იქნება ყოველწლივ ხელახლადი ანუსხვა შემოსავლისა და „კავშირმა“ ხომ თავისი დღე ამას უნდა შეალიოს?

ასე თუ ისე, წესდება „კავშირისა“ ამ მხრით მეტად შეუმუშავებელია, მეტად განუსაზღვრელი და ბუნდი. სხვა ნაკლებულობა რომ არა სჭირდეს-რა, მარტო ეს ბუნდიანობა საკმაოა, წესდება არ იქმნას შეწყნარებულ ვისგანაც ჯერ არს, თუ ესე წარსდგა დასამტკიცებლად. ჩვენ კი იმოდენად დიდი და კეთილი გვგონია თვით დედააზრი, რომ ვისურვებთ ამ „კავშირის“ მიერ დაწყებულ საქმისათვის ყოველსავე სიკეთეს და გამარჯვებას.

მკირფასი საალეგ-მიცემო ჭირნახულის საქმე
(1887, 1894)

მელიორაციის საქმე
(1889)

ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი

(1887)

ჩვენი სარჩიელის სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე

(1894)

მორწყვის საქმე წინათ და ეხლა

(1889)

ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი

ტფილისი, 16 თებერვალი, 1887 წ.

ამ ბოლოს ხანებში ჩვენმა ქვეყანამ და უფრო მისმა ბუნებურმა სიმდიდრემ მოიზიდა ყურადღება, როგორც თითონ რუსეთისა, ისეც საზღვარგარეთისა. საითაც კი მიიხედავთ, ყოველის მხრიდამ მარტო ის ისმის, რომ აი ეს და ეს ფულიანი ან ცალკე კაცი ან საზოგადოება მოდის და ამა და ამ საქმეს ჰკიდებს ხელსაო. ან აქამდე რატომ არ იყო ეს ამბავი, გვიკვირს. ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელია თითქმის ყოველისფრისა, რაც-კი რამ იზრდება, მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზედ. ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმოდენად კარგად, რომ ეხლა თითონ მთავრობაც-კი ჰცდილობს მეურნეობა ერთისა და მეორისაც ააყვავოს აქ და გაავრცელოს. რა თქმა უნდა, რომ ამგვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქმად არ ჩაივლის და დიდს სარფას მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისეც მთელს სახელმწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდზედ არ დაირგა და შავის მელნით არ მოირწყა. ამისთანა საქმეში არ-მცოდნე კაცი, თუნდა გულმოდგინეცა, ვერასფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევ-დაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაა-

ვიწყდება და დარჩება სახსოვრად მარტო უშველებელი ზვინი ქაღალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს თუ, რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხესაც და ჩაის ბუჩქსაც. ასე მოუვიდა აბრეშუმის საქმეს ნუხში, ასე მოუვიდა ვენახისა და ღვინის საქმეს კახეთში. ნუხშიაც და კახეთშიაც მთავრობამ არაფერი დაჰზოგა, რომ აბრეშუმის საქმე და ღვინისაც კარგად მოემართა და ფეხზედ დაეყენებინა, მაგრამ მოხელეობამ, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი, ვერც ერთგან ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა. ამისთანა საქმეს, როგორც ახალის სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯელი, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა. ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას „გამოცდილებას“ მთელის თავისის ვრცელის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ ხომ კაცს თავისი ცოდნა უნდა თვითონ საქმეში ეცადოს, და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს, რა ბუნებასთანა აქვს საქმე და რა ხალხთანა. ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის-რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახვებია ჩვენთვის, რომ უიმისოდ, რაცა ვსთქვით, ხელიდამ არაფერი გამოსვლია კაცს და საქმისათვის ის ვნებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა.

ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე

ტფილისი, 18 სექტემბერი, 1894 წ.

ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედებისა მოდის და ჩვენს საზოგადოებაში დიდი ლაპარაკია, რა ვუთხრათ და რა ვთხოვოთო. ამის მითქმა-მოთქმაში მრავალი სხვადასხვანაირი სათქმელი აღმოჩნდა და უფრო მრავალი სხვადასხვაგვარი სათხოვარი.

ჩვენა გვგონია, რომ ყველაზე უწინარეს თავდაპირველ საგნად უნდა წარუდგეს ბ-ნ მინისტრს ერთი ყველასაგან ადვილად დასანახი გარემოება და ყველასაგანვე თითქო დავიწყებული. ჩვენ ვამბობთ დავიწყებული, იმიტომ, რომ როცა ლაპარაკია ჩვენში აქაურ მიწათმოქმედების ავკარგიანობაზე და უნუგეშობაზე, იგი გარემოება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, თავი და თავი მიზეზია ჩვენის მიწათმოქმედების უნუგეშობისა და უკან დარჩენისა, არავისაგან არ არის ხოლმე სახეში მიღებული და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვადებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე, საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცადამაინც დაწმენდა უნდა.

ხსენებული გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის

მიწათმოქმედების გარს ყველაფერი გამოიცვალა და ამ ცვლილებას თავისდაგვარად უნდა შეეცვალა თვითონ მიწათმოქმედების გზა და მიმართულება ჩვენში. ეს არ მოხდა. მიწათმოქმედების სვლა ჩვენში ისევ ძველს საჭიროებას და მოთხოვნილებასა აქვს შეწონილი და შეფერებული და თუ ამას უწინ თავის პატივსადები საბუთი ჰქონდა, ეხლა ცარიელის ზარალის მეტი არა მოაქვს რა და მიწათმოქმედება, მამულის ასე თუ ისე კეთება, ხელს არ აძლევს მოჭირნახულეს იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა დღეს და შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის ჰავისა და მიწის მიხედვით.

მაშინ, როცა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო. არამც თუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივ გიაწვდიდა ხოლმე.—მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უნდა ძალაუნებურად მიქცეულ ყოფილიყო მასზე, რომ ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა სააღებმიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად.

ამ გარემოების ძალმოძრეობით ჩვენი მართლა-და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებულ იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოეღო, თუ არა და, მშიერი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არამცთუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც-კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც თუ ოცდაათ წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თით-

ქმის თვითეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავად, და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი.

აღებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, აღებ-მიცემობის სახსარი მისცა უფრო იეფის, უფრო კარგის საქონლის მოტანისა, და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა.

ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინათ მიწის მოსავლით იხდიდა ხალხი, და ეხლა ფულად სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის შოვნა მეტად გაძლიერებულ საჭიროებად შეიქნა ჯერ ხსენებულ მრეწველობათა ნაწარმოების სასყიდელად, და მერე სახელმწიფო ხარჯის სახდელად. ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძღოლად ჩვენში.

შემდეგ ვეცდებით გამოვარკვიოთ, ჩვენმა მიწათმოქმედებამ შეუფერა თავისი გზა ამ საჭიროებას, თუ არა.

II

ტფილისი, 21 სექტემბერი, 1894 წ.

ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ ფულის შოვნის საჭიროება გაგვიძლიერდა ცალკე იმ მიზეზით, რომ, რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექნა.

რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებმიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღეს ვანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახეირებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში.

სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს, თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, — რუსეთს აღარ ვიტყვით, — უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა

მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდე-საც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰა-ვითა და მიწით.

ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის-იქით დავად-გეთ, ჩვენ საქვეყნო თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირ-ფასს ჭირნახულს გავიტანდით და იქიდამ იმ საჭირო ჭირ-ნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გვიჯდება, როცა ჩვენვე მოგვ-ყავს შინ. მაგალითებრ, წელს ოდესაში პური ფუთი თითქ-მის 26 კაპეიკად იყიდებოდა, ნუთუ ოდესიდამ პურის მო-ტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნი-სათვის, რომელსაც, თუ რიგიანად ვიანგარიშებთ, შინაური პური ერთი-ორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ: თუმცა იშვიათი ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი შინაური პური ფუთი სამ-ოთხ აბაზზე ნაკლები იყოს, მაგ-რამ მაინც მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება-რა.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც, რუსეთის ჰავასა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთი-დამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნე-ბოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირ-ნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმა-როთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით.

ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართუ-ლება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსა-ღებია. — სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სა ხეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის

პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება.

ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალით, რომ აქ მიწათმოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიდრე თავისს მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა.

ბ-ნი მინისტრი მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მობრძანდება აქ ქვეყნის ვითარების შესატყობად და ჭეტად სანატრელია, რომ ჩვენზე უფრო მცოდნე კაცთა ეს განსხვავებული გარემოება აქაურ ქვეყნისა უფრო მეტის საბუთით წარუდგინოს და ამის საშველის სარჩიელი გამოურკვიოს. აქაური სამეურნეო საზოგადოება, როგორცა სჩანს მის განაჩენიდამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ საშველის სარჩიელზე დამდგარა. სჩანს ამ პატივცემულს საზოგადოებასაც იგი საჭიროება დაუნახავს, რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიეთ.

მოკრწყვის საქმე წინათ და ეხლა

ტფილისი, 20 მარტი, 1889 წ.

ამიერკავკასია მიწის პოხიერებით და ჰავითა ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს. ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ესევე ითქმის საქართველოზედაც, ნამეტნავად სურამს აქეთ. ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო. ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ.

თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად ეიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე“ — ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყალის შევედრება, წყალის მომადლება, ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან

შესართავამდე, და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ. რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რაც ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილია. მივიღებთ რა სახეში, რომ ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ, ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს, — რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმოსკდარა წისქვილის ქვებიდამ.

გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს დღე გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვაოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ, და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს—რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს.

მთავარმართებელმა თ. ბარიატინსკიმ შენიშნა, რა დიდი საქმეა ამიერკავკასიისათვის საერთოდ და საქართველოსათვის ცალკე სარწყავი წყალი. დაიმორჩილა შამილი თუ არა, მაშინვე შეუდგა ამის საქმეს და მიანდო ინგლისის ინჟენერებს ბელის და გამბას გამოეძიათ მთელი ის ადგილები, რომელნიც მტკვრის აყოლ-დაყოლებაზე მდებარეობენ. ბელი მალე დაეთხოვა ამ საქმეს და წავიდა. გამბა კი დარჩა, კარგად გამოიკვლია მტკვრის პირების არემარე და შეადგინა უშველებელი პროექტი იმაზედ თუ, — როგორ და რა გზით უნდა მოირწყას აღმოსავლეთი ამიერკავკასიისა. ეს საქმე მას აქეთ ხელუხლებლად დარჩა, ჩვენდა სამწუხაროდ.

დღეს რუსეთის მწერლობამ მიაქცია ყურადღება ამ ფრიად

საჭირო საქმეს. ერთს რუსულ ჟურნალში ჩვენ შევხვდით ამ საგანზედ წერილს ბ-ნ ვოიეკოვისას*. იგი ამბობს:

დროა, დიდი ხანია დროა, ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა, — ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეებზედ, თუკი მოვიწადინებთ. მტკვარი და არაქსი ერთ მილიონ დესეტინაზედ მეტს ადგილს მორწყავს მერე დიდ ნაყოფიერს ადგილსა. სარწყავი მიწები ძვირფასს მცენარეს გაზრდიან, რწყვა გააღონიერებს მიწებს და გაუძლიერებს მომცემლობას იმოდენად, რომ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალიც მოგვივაო. ყოველ ამის გამო სარწყავი დესეტინა ფასს მოიმატებს და ას თუმანზე** ნაკლებ არ ეღირებაო. მაშასადამე, რომ ამიერკავკასიაში რწყვის საქმე მოეწყოს, ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზედ მეტს ქონებას და მაინც არა ნაკლებ იმისა, რაც გერმანიამ დავლა წაართვა საფრანგეთს 1871 წელსაო.

თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრა აქ დიდი საქმეა, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბოლო არ მოედგას. მაგალითებრ, სამხრეთ რუსეთში, საცა მდინარეებს საწყლე დაბლები აქვთ, ძნელია წყლების ამოყვანა მაღლა და იქიდამ მიშვება. ამისათვის იქ ცალკე მოწყობა უნდა, ცალკე მანქანები წყლის მაღლა ამოსაყვანად და მერე არხში ჩასაშვებად. ჩვენში ეს არ დასჭირდებათ, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენებურს წყალს სათავე მაღალი აქვს და კარგი ავალა. ამიტომაც ჩვენში ოღონდ არხი იყოს, წყალი ადვილად და გაუჭირებლად მიეგდება და წავა.

---

* P. M., №2.

** წინათ ჰყავს ავტორს მოყვანილი, რომ ბევრგან დღესაც სარწყავი დესეტინა 800 მან. ღირსო, მაშინ როდესაც იქავ ურწყავი 10 მანეთად ძლივ იყიდებაო. საფრანგეთში 3000 მანეთად გადის სარწყავი დესეტინა და იქავ ურწყავი 50 მან.

ღვინის ქართულად დაყენება

(ნარკვევი)

1887

ღვინის ჭართულად დაყენება

I

ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის. ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედობაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მერმისს ელის. მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ყოველიგვარი ეგრეთწოდებული საპუნე მარცვალი. ამ ორგვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგივართ და დიდი ხანია მის გზაზედ ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ. ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქო ამ ხანგრძლივს წარმოებას ჩვენთვის არა უსწავლებია-რა, არავითარი გამოცდილება არ მოუცია თითქოს ყოველს მას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალალბედობით, უცაბედობით მოგვსვლია. აი ეს, ჩვენი ფიქრით, რით აიხსნება:

ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა-სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგვეღო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოცულს არემარეზედ. ამ მხრით ძალიან ჩამოვრჩით

დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც დღეყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინ სვლაში იყო. სახელოვანმა და საოცარმა ნამოქმედარმა კაცობრიობის ცოდნისამ და სწავლისამ ისე მოგვასწრო ჩვენ, როგორც საბნელეთიდამ უეცრად მზეზედ გამოსულსა. მეტის სინათლისა და შუქისაგან თვალთ დაგვიბნელდა. ძალოვანმა მეცნიერებამ, რომლის ნაღვაწი ჩვენს უვიცობას ხშირად სასწაულად მიაჩნდა და მიაჩნია, ისე დაიბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ისე თავბრუ დაასხა, რომ ერთიც და მეორეც ყურმოჭრილ ყმად გაიხადა და როგორც ტყვე გაჰბაწრა. აბა საცა უცხენოდ და უკამბეჩოდ უზარმაზარის სახლების ტარება მოიგონეს, საცა ტელეგრაფმა და ტელეფონმა სივრცე გააბათილა და ელექტრონმა ლამის ძველებურს თიღისმობას გადააჭარბოს, იქ ჩვენი ბეჩავი უმეცრება და უვიცობა ხმას როგორღა ამოიღებდა. როგორ არ უნდა გვეგრძნო ჩვენი არარაობა? როგორ არ უნდა გვეთქვა: ჩვენ რანი ვართ? რაც ჰყოფილან, ისინი ჰყოფილანო! რაკი კაცობრიობის ცოდნა-სწავლის საოცარმა ძლევამოსილობამ ასე აშკარად დაგვანახვა სხვა ქვეყნების უპირატესობა და წარჩინებულობა, ჩვენ ერთიც და მეორეც კისრად უნდა გვედო და დავდუმებულვიყავით, როგორც ძლიერის წინაშე უძლური, მეცნიერების წინაშე უმეცარი. სწორედ ეგრეც დაგვემართა: ჩვენც დავდუმდით და იმოდენად დავდუმდით, რომ რაკი კაცი უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, — ამას აღარ დავდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგვეღო განუსჯელად, აუწონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა-რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენებდა ხოლმე თვალწინ ჩვენ უმეცრებს და უცოდინარებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. საზღვარგარეთ ესეაო, თქვენც ესე უნდა

მოიქცეთო და ჩვენც, სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა და ვიჯერებდით კიდეც. ამას კიდევ არ გვაკმარებდნენ ხოლმე: რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო, ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით, ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო. ჩვენც ვიძახოდით: მართალი ბრძანებააო.

რაკი სხვაგან ჩვენზედ გაცილებით დიდი ოსტატობა გამოიჩინა ბევრმა ბევრში, ჩვენც დავიჯერეთ, რომ, ბევრი ბევრში კი არა, ყველანი ყველაფერში ჩვენზედ უკეთესნი ოსტატები არიან. დავიჯერეთ და მერე როგორ? ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ. ის-კი გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებავად, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედებისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიშში ჩასაგდები, გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა. ეს ჩვენი ნაცადი, ეს ჩვენი გამოცდილება გაგვიბათილა, გაგვიქარწყლა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნებისამ, რომელმაც ყველაფერში ბრმად ჩაგვითრია, რადგანაც ბევრში სამართალი და საბუთი მიუძღოდათ, როგორც გაცილებით ჩვენზედ წინ მავალთა და წარმატებულთა. ამ გარემოებას ერთი არავინ ჩაუფიქრდა და არა სთქვა: კაცო, იქნება ჩვენშიაც იყოს ერთი რამ კარგი, სხვისის სიტყვით ყველაფერს რატომ ესე ხელაღებით ვიწუნებთ!..

ეგ ჩვენის უმეცრების, უცოდინარობის ბრალია. თვით მსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრუმა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამო ჩვენი ვეღარა ვიკვლიეთ-რა, ვეღარა გამოვიძიეთ-რა. ან რაღას ვიკვლევდით, რომ ჩვენი აღარა გვჯეროდა-რა. ყოველს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ამ გაუბედაობამ გონებისამ თავისი დამღა დაასვა და დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელი სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართლადა, მერე როგორი ტყუილი? იქავ ტყუილად ცნობილი და აღიარებული. ამ ტყუილმა ისე არსად **არ** იჩინა

თავი, როგორც ჩვენებურ ღვინის კეთების საქმეში. აქ არამც თუ უცხო ქვეყნელები გზა-კვალს გვირევენ, თითონ ჩვენებიც კი, მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი, იმათზედ უარესად გვხვევენ მჭვარში. ჩვენნი შინაურნი ოსტატები ბრძანებენ, რომ ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო; ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა, ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარ დიდფასიან სასმელებისაო. საზღვარგარეთ კი, მეცნიერების შემწეობით, ერთნაირს გამძლეს ღვინოს აკეთებენ, შამპანურს, კონიაკს და სხვა ამისთანა სასმელებს ხომ რაღა თქმა უნდაო. აქედამ, ამ აზრებიდამ წამოსულნი ჩვენი შინაური ოსტატები ჰცდილობენ როგორმე მოგვარჯულონ, ღვინის კეთება შეგვაცვლევინონ ევროპიელთა მიხედვითა და ამ ცდას მორჯულებისას დიდ სამსახურად გვითვლიან. რასაკვირველია, ეს ჩვენი თავისიანები თავისით არ-რას ამბობენ. ესენი შეგირდები არიან უცხო ქვეყნელ ოსტატებისა, და რაც მათგან გაუგიათ, განუსჯელად გაუზეპირებიათ, და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მათი ოსტატები შესაძლოა სტყუოდნენ, შესაძლოა მათმა ოსტატებმა ბევრი არა იცოდნენ რა. ეს კი გონების თვალისაგან მოჰხსლეტიათ, რომ ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპიულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსადებია, ჭკვად მისაღებია? ამას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინის ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, მოშლილის წისქვილის რახუნია და ტყუილის ოსტატობის თავგაზვიადებული სიბრიყვე და კადნიერებაა. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ამით იმის თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია-რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა. მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენნი შინაურნი თუ

გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადაცხოვნე შინაურ ოსტატების ზედმოსევას და ქადაგებას ღვთისა და თქვენის წყალობით გადავურჩით.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს წერილებში ეს ჩვენი აზრი საგულისხმო საბუთებით შევამოწმოთ.

II

ჩვენ მინამ მოვიყვანდეთ ჩვენ მიერ წინა წერილში დაპირებულ საბუთებს ჩვენებურად ღვინის კეთების შესახებ და აქედამ ჩვენის ღვინის ავკარგიანობაზედ გამოვიკვლევდეთ რასმე, საჭიროა ავნუსხოთ, — რა წუნსა სდებენ ჩვენს ღვინოს და რა წამალს გვირჩევენ; მაშინ დავინახავთ, სადამდე მიდის მართალი და ტყუილი. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ წუნმდებელთა თქმული ამ საგანზედ არასფერზედ არ არის დაფუძნებული და სულ იქიდამ არის წარმომდგარი, რომ ჩვენ ყველაფერში ჩამორჩენილი ვართ სხვებზედ, და რაკი ყველაფერში უკანა ვართ, ღვინის საქმეშიაც უკან უნდა ვიყვნეთ, მაშასადამე, ჩვენი, რაც კია, არ უნდა ვარგოდეს. ამ საბუთით შეიარაღებულნი საკმარისად ჰხედვენ მარტო ზოგადის ფრაზებით წუნის დადებას და ამით იოლად წასვლასა.

ერთს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც შარშან დაიბეჭდა მოსკოვში რუსულად ამ სახელით: **О главнейших нуждах и потребностях Кахетии.** პატივცემულს ავტორს, რაკი ჩვენზედ ჰლაპარაკობს, ჰგონებია, რომ რაც-კი უნდა სთქვას ჩვენებურის ღვინისა და ვენახების კეთების თაობაზედ, სულ მართალი იქნება, ოღონდ ქება და მოწონება რისამე არ იყოს და ამიტომაც ბძანებს:

„Кахетинские виноградники мало доходны, что главным образом обусловливается неудачным выбором места для виноградников и патриархальным способом обработки виноградной почвы".

გამოდის, რომ ბ-ნ ავტორის აზრით ჩვენ არც ადგილის

შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამისჟმური გვქონია. აქ არც ერთის დასამტკიცებელი საბუთი არ არის მოყვანილი. ან რა საჭირო იყო! განა საკმარისი არ არის, რომ ქართველებმა არა იციან-რა და, მაშასადამე, არც ეს ეცოდინებათო. ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნს ავტორს, რომ რამდენი საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა. ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ აგვიგდებს. ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდამ კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბ-ნმა ავტორმა აიღოს რომელიმე სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილებზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია. მაგას ვერ იზამს, ათასში ერთსაც ვერ გვაჩვენებს. ეს მაგალითი ნუთუ იმის მომასწავებელი არ არის, რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჰკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. შეცდომა მოსვლია პატივცემულს ავტორს, ამ გზით არ გამოუძიებია საქმე და მარტო იმას დასჯერებია, რომ აბა ამათ საიდამ რა ეცოდინებათ, ყველაფერში ჩამორჩენილნი არიან და ამაშიაც ჩამორჩენილნი იქნებიანო.

ამ სახითვე მოჰქცევია ბ-ნი ავტორი ვენახების ჩვენებურად კეთების საქმესა. რას გვიწუნებს ბ-ნი ავტორი? გარკვევით და ჩამოთვლით არას გვეუბნება. მარტო ამას ამბობს, რომ ვენახის მიწას ადამის-ჟმურ წესით აკეთებენო. თვითონ ვაზის მოვლის წესს კი სრულებითაც არ იხსენიებს. ჩვენც ამ ვაზის მოვლის საქმეს თავი დავანებოთ და მიწის კეთების ამბავს შევუდგეთ.

რაში მდგომარეობს ეს ადამის-ჟმური წესი, არც ამას გვეუბნება, უსათუოდ იმავ მოსაზრების ძალით, რომ ძველი ხალხია, უკან ჩამორჩომილი, და რა დიდი ლარი და ხაზილა უნდა, რომ ადამის-ჟმური წესი ექმნებათო. მიწის კეთება ვენახისათვის—ბარვა და თოხნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა; სხვა რა არის, გვიბძანონ. ავტორი რომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებს, ნუთუ ამით იმისი თქმა უნდა, რომ ბარვა და თოხნა და მათზე დამოკიდებული მუშაობა ვენახის მიწისა ჩვენში ჯერ საჭიროდ ცნობილი არ არის? ან თუ ცნობილია, ნუთუ ჰგონებია, ბარვა და თოხნა არ ვიცით, როგორც რიგია? ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვახვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხნა, გაწმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს,—ეს მთქმელის მტკნარი უმეცრობა იქნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ევრეთწოდებულ. „პლანტაჟით“ მომზადება მიწისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზე ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპიელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. ამისი მაგალითი დღესაც თვალწინ გვიდგა ზოგს ალაგას და მხოლოდ დასახელება არა გესურს.

ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებუ-

რად ვენახისათვის მიწის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს-რა. ეგ ტყუილი ბაქიაობა იქნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას მიწისას ვენახებისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი და საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები. ეგ წესი მიწის კეთებისა ჩვენშიაც იგივეა, რაც სხვაგან, და ზოგჯერ სხვაგან ის არ არის, რაც ჩვენშია. მაგალითებრ, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმოწონება არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს მისგან ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამის-ჟმური წესიაო. არა, ბატონებო, თავიდათავი ტკივილი ჩვენის ღვინის საქმისა იქ არ არის, საცა ესე ადვილად ჰპოულობენ ჩვენი სხვისით მოლაპარაკე მეცნიერნი.

III

ერთის ჯურის ოსტატები ხომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებენ და ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას ამის შესახებ ჩალადაც არ აგდებენ, მეორე ჯურისანი თვითონ ღვინის დაყენებას და კეთებას ჩვენსას აბუჩად იგდებენ. არც ამ ჯურის კაცსა აქვს ზედმიწევნით გამოკვლეული, რისთვის, რას ამბობს? ყოველის კეთების ავკარგიანობა ნაკეთარმა უნდა გამოაჩინოს. რამოდენადაც ნაკეთარია კარგი ან ცუდი, იმოდენად კეთებაც კარგი, ან ცუდი უნდა იყოს. ეს აშკარაა. ერთმა რომ კარგი ურემი გააკეთოს, მეორე ვერ იტყვის, გამკეთებელს ურმის კეთება არა სცოდნიაო. ჩვენის ღვინის ოსტატობის დამწუნებელს რომ ჩვენი ღვინო ესინჯა და მის ავკარგიანობისაგან გამოეყვანა წუნი, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ შევუბრუნებდით, მაგრამ ესე არ იქცევა. მას უნახავს, ან გაუგონია, რომ ევროპაში სხვადასხვა ოსტა-

ტობაა ღვინის კეთებისა და დაყენებისა, და რადგანაც მაგავე ოსტატობას აქ ვერა ჰხედვენ, მარტო ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას. მაგალითებრ, საფრანგეთის მინისტრმა ქიმიკოსმა შანტალმა აღმოაჩინა, რომ შესაძლოა მჟავე ღვინოს სიმჟავე დაუკარგოს კაცმა; თუ ფხვნილი მარმარილო ჩააყარა, სიმჟავეს მარმარილო შეისვამს და მერე ძირს დაილექებაო. მერე მარმარილოს მაგიერად ამისათვისვე თაბაშირს* დაუწყეს ხმარება და ამ თაბაშირით ნაკეთობას საფრანგეთში plâtrage-ს ეძახიან და თვითონ სისტემას კი „შანტალიზაციას“. დოქტორმა ლუდვიგ გალმა თავის მხრით სხვა რამ მოიგონა. ამისის აზრით, ღვინის სიკეთე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენა სიტკბო აქვს ყურძნის წვენსა, ესე იგი, რამოდენა შაქარი, და თუ ყურძნის წვენს ეს აკლია, უნდა განგებ ჩაემატოსო. ამას „გალლიზაციას“ ეძახიან. გარდა ამისა ღვინოს ფერის მისაცემად სანდალს უშვრებიან, ჰიაფერსა, ლილას, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვას ათასგვარს წამალსა, მაგალითებრ, შაბსა, რკინის არჯაპსა, სპირტსა და ერთგვარს შენარევს ტყვიისას, რომელსაც „პროტოქსიდს (Carbonate) ტყვიისას“ ეძახიან. ერთგვარს ნივთიერებასაც ხმარობენ ღვინის საფერავად და ამ ნივთიერებას ფუქსინი ჰქვიან და ზოგჯერ ზედ დარიშხანსაც უმატებენ, ამას „ფუქსინიზაციას“ ეძახიან. მართალი კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ყოველს ამას ევროპაში დიდის მეცნიერობით, ოსტატობით და ხერხით ახერხებენ. მაგრამ განა კარგია ყოველივე ეს? ნუთუ ეს საკითხავი და გამოსაძიებელი არ არის!

რაკი ყოველივე ეს ევროპაშია და რაკი ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს, როგორც „შანტალიზაცია“, „გალიზაცია“, „ფუქსინიზაცია“, ჩვენს ოსტატებს ღვინისას თავბრუ უნდა დასხმოდათ. აბა ჩვენმა კაცმა როგორღა შეჰბედოს გამოძიება, სიტყვის შებრუნება, მერე ვისა? ევროპას და ევროპის მეცნიერებას! სჩანს ყოველივე ეს კარგია, რადგანაც ევროპაშია მიღებული, და რადგანაც ჩვენში, — ჯერ ღვთის მად-

* Гипс.

ლით, — შემოღებულ არ არის, არც ღვინის კეთება გვცოდნია და არც რიგიანი ღვინო გვქონია. აი რაზეა აშენებული აზრი ჩვენის მწვრთნელისა შინაურისა თუ გარეულისა. რატომ აღარ იკითხვენ, რომ ამ ოსტატობით და მეცნიერებით კეთება ღვინისა ღვინის სუნსღა არჩენს ყურძნის წვენსა? რატომ არ იკითხვენ, ეგრეთ ნაკეთები ღვინო ღვინოდ ჩაითვლებაღა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული?

ყოველს სასმელს, თუ საჭმელს, ყოველთ უწინარეს უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი არა. ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით და მეცნიერთაგან აღმოჩენილ წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ იმის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი თვისება ჰქონდეს! ეგ რაღაც „plâtrage“-ია და „ფუქსინიზაცია“, ძალიან გავრცელებულია თურმე სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში. ნუთუ ეს საკმაოა, რომ ჩვენც იმათ ავყვეთ და ჩვენი მარგებელი სასმელი მაწყინარად და ადამიანის მოსაწამლავად გადავაქციოთ. აი ამ ფუქსინიით შეზავებულ ღვინოზედ რას ამბობს ერთი მეცნიერი ჰუსსონი: „ერთი ჭიქა დავლიე თუ არა, მაშინვე ყელი გამიშრა და შემეკუმშა, ტუჩებზედ და ტუჩის კუთხეებში რაღაც უგემურობა ვიგრძენი ასე, რომ იძულებულ გავხდი ენით მესველებინა წამდაუწუმ. გემო შაბით ნაკეთებს ღვინოს უგვანდა. ენა და ტუჩები ცოტაოდნად შემეღება, გულის ზიდილი ვიგრძენი უფრო იმისაგან, რომ მაგისთანა ღვინო უნდა დამელია“.

ეს ფუქსინით ნაკეთები ღვინო ისეთი მაწყინარია, რომ, — უკაცრაოდ არ ვიყოთ — შარდსა წითლადა ჰღებავს და ადამიანს ტანში ჰხსნის, მოდით და ამას იქით გვითხარით, რატომ ფუქსინით ღვინოს არ აკეთებთ!.. რატომ „ფუქსინიზაცია“ — ეს მაღალხმოვანი სისტემა, მიღებული არა გაქვთ-ქო!.. იქნება ბევრში ცუდად ვექცეოდეთ ღვინოსა ჩვენში.

მაგრამ ამას-კი ვიტყვით, რომ ცუდად ნაკეთები ღვინო და მარგებელი უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მაწყინარი. ამაზედ დაწვრილებით შემდეგში ვეცდებით მოვილაპარაკოთ და იქნება ცოტად თუ ბევრად დავაჯეროთ ვინმე, რომ ჩვენებური ღვინის კეთება ისე აბუჩად ასაგდები, ისე მჩვარში გასახვევი არ არის, როგორც ზოგიერთსა ჰგონიათ, ევროპის მიხედვით თავბრუდასხმულთა.

IV

ჯერ მინამ შევუდგებოდეთ იმის გარჩევას, თუ რომელი კეთება ღვინისა უმჯობესია, ჩვენებური თუ სხვაებური, და ერთისა და მეორის ავკარგიანობას ერთმანეთს პირში წავუყენებდეთ უტყუარის განაჩენის დასადგენად, საჭიროა ვიცოდეთ, რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ,—რაგვარს უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა.

ამ საგანზედ აი რა აზრია გამოთქმული მეცნიერთაგან. ღვინო საკვებავი არ არის ადამიანის აგებულებისათვის; იგი აგებულებას საზრდოს არ აძლევსო; იგი მარტო სანელებელია და ყველაზედ უკეთესი სანელებელიც, რომელიც ძალიან კარგად ჰმოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედა. ამისთანა თვისებამ ღვინისამ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ძველს დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის* მიმდევარი, რომ მან თავის თხზულებაში სთქვა: „ღმერთთა ძლიერებამა არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო“. ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვადასხვაგვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა. მის მაგალითს აჰყვნენ ბოლოს მკურნალნი სიდენჰამი, სვიტენი.

* სახელოვანი მკურნალი ძველის საბერძნეთისა, სცხოვრებდა ქრისტეს წინათ მეხუთე საუკუნეში და მკურნალთა მამამთავრად დღესაც ცნობილია.

ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და დასასრულ ბროუნიცა, რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით „ბროუნიზმი“. მკურნალი სტოკესი დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით არჩენს, ფოდერე წითელას მარტო ღვინითა სწამლობს, ლებენსტეინ-ლებელი თითქმის ყველა სენსა მარტო ღვინითა ჰკურნავს.

ეს ღვინის მარგებლობა დამტკიცებულია მეცნიერთა გამოცდილებითა. მაგალითებრ, ზღვაში ღელვის დროს ორი გემი მომწყვდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა, ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს, და უფრო გაძლიერებულს, ვგონებთ, ელქანს ეძახიან, და მკურნალობაში „სკორბუტი“ ჰქვიან. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო-რა, ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ. როდესაც პარიზს გარს ერტყა გერმანიის ჯარი და გასვლა-გამოსვლა აღარავის შეეძლო, ზემოხსენებული სენი საშინელის სიმძლავრით გაჩნდა. მაშინ მკურნალმა ბრუადელმა ღვინო იხმარა წამლად და ამით არჩინა სნეულნი. ამასაც ამბობენ, ვითომც ციებ-ცხელებაში ცხროებას ანელებს ღვინო და საზოგადოდ აგრილებს ადამიანის აგებულებასა. ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო.

ეს იქნება გერმანელთა სტრობით მოსდის ფრანგსა, იქნება ყოველს ამაში ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, — ამბობს ერთი მწერალი, — ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა

სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა.

რა ჰხდის ღვინოს `ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ? მარტო ერთი ყოვლადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჯირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი.

V

ჩვენ ღვინის კეთების ავკარგიანობის გამო წინა წერილში* ვსთქვით, რომ ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა აჯობოს. ბუსსენგო, რომლის ღვინის ანალიზები უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად ითვლება, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ თუმცა მეცნიერებამ ამ უკანასკნელს დროში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად ითქმის, რომ შესაძლო იყოს ბუნებურ ღვინის მსგავსი რამ განგებ გააკეთოს ადამიანის ოსტატობამ და ხელმაო. ეგ იმიტომაო, რომ ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) და ჯანის შესახები ქეთილმოქმედება, დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არისო. გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა-რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს-რაო. მართალია სხვადასხვაგვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებრ, შაპტალიზაცია, გალლიზაცია, პეტიონიზაცია და სხვა აკრძალული

* იხ. „ივერია“ № 41, (1887 წ.)

არ არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება კაცმა ჰყიდოს, თუ ჰურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთებიო, საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან. ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა*.

ჩვენში ამ საგანზედ თავის დღეში არავითარი რჯულდება არა ყოფილა, და თუ ყოფილა, ჩვენ არსად შეგვხვედრია. მაგრამ ეს-კი ვიცით, რომ ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს. და ვისაც ეგ კანტიკუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილე და შიშიც მოსდევდა, იმიტომ რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც-კი მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა, და როცა ამჭრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეჰკრავდა კიდეც მარანს, რომ არავის გაეჭაჭანა. ესეთი პატივი ჰქონდა ჩვენში ბუნებურს ღვინოს, და თუმცა ესეთი პატივი არა აქვს დღეს ევროპაში, მაგრამ იქაც-კი მაინც ძნელად მოიპოვება კაცი, რომ წმინდა შეურეველ, ხელთუქმნელს ღვინოს ყოველთვის წინ არ აყენებდეს ხელთქმნილზედ. მაშასადამე, ჰეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო, ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინოებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოედ ამოქმედებს. ბუსსენგო ამბობს, რომ არავითარი ადამიანის მიერ მოგონილი ღონე ამას ვერ შესძლებსო, თუმცა მეცნიერებამ ბევრი ახალი იარაღიც მისცა ხელშიო. მეც-

* „Journal des Debats" 10 თებერვალს 1884 წელსა ამბობს, — რომ არა კანონი არ უშლის კაცს ღვინოში რამდენიც უნდა წყალი ჩაურიოს, ოღონდ-კი, თუ ჰყიდის ამისთანა ღვინოს, მუშტარი არ მოუტყუოს და ღვინის მაგიერ წყალ-ღვინო არ მიაჩეჩოსო. ერთის სიტყვით, გამსყიდველმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე, ღვინოში ამდენი წყალია განგებ დასხმული და ამდენი ღვინოო.

ხიერებამ ბევრი რამ აღმოაჩინა ქვეყანაზედ: მაგალითებრ. ღვინის დაფერვა თუ გინდა, ფუქსინი დარიშხანით ჩააყარეთ. თუ კაი ფერის მიცემა გინდა, რკინის შაბიამანი ჩაურიე ღვინოშიო; ან როცა ღვინოში წყალს ასხამ, რომ ეს არ შეემცნიოს, გოგირდის მჟავე (серная кислота) ჩაასხიო; და განა იგივე მეცნიერება არ იძახის, ერთიც, მეორეც და მესამეც მაწყინარიაო! კაცს წყალის გასაღება უნდა ღვინის სახელითა და სიყალბეს გოგირდის მჟავით ჰმალავს, კაცს წამლებით შეუღებავს ღვინო და ამით მუშტარის მოტყუება ჰსურს, — ეს ღვინის კეთებაა?!

არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ, ჩვენს ღვინის წახდენად ჩავთვლით და ამას ცოტად თუ ბევრად დავინახავთ, როცა იმის გარჩევაში შევალთ, რას ითხოვს ბუნება, რომ ბუნებური ღვინო შეიქმნას, და რას მოასწავებენ ის სისტემები ღვინის კეთებისა, რომელნიც ჩამატებასა და შერევნაზედ არიან დაფუძნებულნი და შეელიზაციად შაპტალიზაციად, გალლიზაციად და პეტიონიზაციად სახელ-განთქმულნი.

VI

ორი ჯურაა ღვინის მუშტრისა და თვითეული მათგანი ღვინისაგან იმასა ჰთხოულობს, რაც საკუთრად მისთვის სარფაა და სახეირო. ამ სხვადასხვაობას მუშტრისას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ამ სხვადასხვაობის მიხედვით სისტემაც ღვინის კეთებისა ორნაირია. ერთგვარი მუშტარი ღვინისა ღვინის პირდაპირი მხმარებელია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს იმისათვის, რომ თვითონ სვას, თვითონ გამოიყენოს და მოიხმაროს; მეორე ღვინის ვაჭარია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს მარტო იმისათვის, რომ ჰყიდოს. პირველს ღვინის სახელით იმისთანა სასმელი უნდა

რომ არამც და არამც მაწყინარი არ იყოს, და ამისთანა სასმელი, როგორც შემდეგში ვნახავთ, მარტო ბუნებური, შეურევნელი, წმინდა ყურძნის წვენის ღვინოა. მეორე კი, ესე იგი ღვინის ვაჭარი, მარტო იმას დაეძებს, რომ სასმელი ერთნაირის ფერისა, ერთნაირის გემოსი, ერთნაირად გამძლე იყოს ყოველს შემთხვევაში და იმოდენად ჰგვანდეს ღვინოსა, რომ პირდაპირს მხმარებელზედ გაასაღოს ხოლმე ღვინის სახელითა. ყოველივე ეს შეუძლებელია ბუნებურ ღვინისათვის, თუ წამლებით შეკეთებული და შერევნილი არ არის. ამას მერე ვნახავთ და ეხლა კი ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასმელის უწყინარობა უკან არის დაყენებული, როგორც იმისთანა ბარგი, ურომლისოდაც შეიძლება იოლად წასვლა, მაშინ როდესაც პირველს შემთხვევაში ამ უწყინარობას პირველი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ჩვენებურად ღვინის კეთებას ღვინის პირდაპირი მხმარებელი ჰყავს სახეში და ევროპიულად კეთებას—უფრო ღვინის ვაჭარი. ამ ორში რომელი კეთებაა ღვინისა უფრო მართალი, უფრო კარგი, უფრო სამჯობინარი და მოსაწონი თავისის აზრითა და განზრახვითა — ეგ ადვილად გამოსაცნობია.

ჩვენ ჯერ შევუდგებით იმის აღწერას თუ, იგი სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირდაპირი მხმარებელი ღვინისა, რაში მდგომარეობს და როგორ უძღვება თავის დანიშნულებას. ეგ სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა მოაშოროს ყოველივე ის, რაც თვითონ ბუნებას უშლის ყურძნის წვენის ბუნებურ ღვინოდ სრულად და სავსებით შექმნასა და იმ ყურძნის წვენშივე არსებულთა და მომქმედთა ძალთა ბუნებისასა ხელი შეუწყოს, ხელი მოუმართოს. მაგრამ მინამ საქმე ამაზედ მიდგება, ღვინის დამყენებელმა უნდა იცოდეს, რა ადგილმა რაგვარი ღვინო იცის, და რაგვარი ღვინოც ჰსურს, იმგვარს შეურჩიოს სავენახე ადგილიცა*. ბუნებური

* ჩვენ აქ ამაზედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯერ ჩვენში — ღვთის მადლით — ღვინის მკეთებელი და ვენახისა ერთი და იგივე მომქმედია, ამიტომაც რაც ვენახის პატრონის ავკარგიანობას უჭირს, ის ღვინის მკეთებელსაც, და რაც ღვინის მკეთებელს, ის ვენახის პატრონსაცა.

ღვინო სხვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადასხვაობაზედ. მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას, მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, გემრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. კირრეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული. მშრალის ქვიანის ადგილის ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდ ხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს. ჰავასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ჰუმბოლტის სიტყვით, ორთა-შუა ტემპერატურა წლისა უნდა იყო 9,5° რეომიურისა. ამასთან ზამთრის ორთა-შუა ტემპერატურა არ უნდა იყოს 0,5°-ზე უფრო ცივი, და ზაფხულისა — 18°-ზე არა ნაკლებ თბილი. ყურძნის წვენის სიტკბოზედ დიდი კეთილმოქმედება აქვს მზიანსა და თბილს დარსა ღვინობისთვეში. რა თქმა უნდა, რაც ჰავას, დარს, სიცხე-სიცივეს წლისას შეეხება, აქ ადამიანი ყოვლად უღონოა შველა რამ გაუწიოს ბუნებასა, მინამ ყურძენი დაუკრეფავია, მაგრამ მიწის ამორჩევა და განოყიერება-გაღონიერება-კი მის ხელთ არის. ღვინის ავკარგიანობაზედ ზედმოქმედება აქვს თვითონ სასუქსაც. ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზედ უკეთესად ცნობილია. ძალიან კარგად მოქმედობს ძვლების ფხვნილიცა, მჟავე ფოსფორი, მჟავე კირიცა*, რომელსაც ძვლებისაგანვე აკეთებენ და ფოსფორ-მჟავე აქვს. ჩვენში სასუქს იშვიათად სადმე ჰხმარობენ. კახეთში თითქმის სულ არ იციან, ზოგან-კი, მაგალითებრ, ქართლში და სომხითში არ ერიდებიან. ჩვენში ამ საგანზედ ერთობ ის აზრი აქვთ, რომ სა სუქი ღვინოს გემოს აძლევს და ახდენსო. მართალიც არის: ზოგიერთი სასუქი, რაშიაც ერთნაირი ნივთიერება „ამმონიაკი“ მეტისმეტად ჭარბად ურევია, ან სხვა რამ ძლიერად საგრძნობელი ყნოსვისათვის, ჰვნებს ღვინოსა. რაკი ესეა, ჩვენებური კაცი, კარგის ღვინის დამყენებელი, ერიდება სა-

* Суперфосфат.

სუქის შეტანას ვენახში საერთოდ, რა გვარის სასუქიც უნდა იყოს. აქაც, თუ გნებავთ, იგივ თანასაგრძნობელი აზრი მოქმედობს, რომ კაცმა თავისით არა გაურიოს-რა, არა ჩაუმატოს-რა ღვინოსა, და ეს უვიცობად არავის არ უნდა ჩამოერთვას, იმიტომ რომ, თუ ჩვენებურმა კაცმა სუპერფოსფატების გაკეთება არ იცის, ძროხის პატივით გაპატივება ხომ იცის საყანეებისა, და რა დაუშლიდა ამავე ღონის ხმარებას ვენახების გაპატივებისათვისაც, თუ არ ის აზრი, რომ ეგ ღვინოს ავნებსო.

რასაკვირველია, ადამიანის ხელთვე არის, თვითონ ყურძნის დაკრეფასაც დრო შეურჩიოს, და ამასაც ღვინის სიკეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში და ყველგან სხვაგანაც ღვინობისთვის ნახევრამდე დაიწყება ხოლმე ყურძნის კრეფა, ზოგჯერ ცოტა გვიანაც, რადგანაც, თუ კაი დარია, ყურძენი უფრო კეთდება, და ამას ევროპაში ცნობილობენ სხვადასხვა იარაღითა და ღონისძიებითა, და ჩვენში კი გაჭყლეტენ მარცვალს თითებ-შუა, და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედადღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ „წებო“ ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო, იმიტომ რომ ამ წებოს მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე. ამ ორ ღონისძიებათა გამო მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსვლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენებურმა კაცმა ის ევროპიული იარაღი შემოიღოს, უკეთესი იქნება. ხოლო ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენებურად ღვინის კეთებაში დავიწყებული იყოს, ან არ ვიცოდეთ იგი წესი, იგი მოთხოვნილება, რომელიც გვეუბნება, რომ ყურძნის დაკრეფას დრო უნდა შეერჩიოსო.

ყურძნის დაკრეფის დღიდან თავდება მოვალეობა ვენახის მკეთებელისა და იწყება საქმე და მოვალეობა ღვინის მკეთებელისა. ჩვენ ვენახის კეთებაზედ ბევრი არა ვსთქვით-რა.

იმიტომ რომ აქ ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს, ვისაც-კი ცოდნით და წინათაუღებელის აზრით ეს საქმე ჩვენში უსწავლია. კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამცთუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც. ჩვენ აბუჩად აგდებულნი ვართ მარტო ღვინის კეთების საქმეში. დღეს გაზეთში უადგილობის გამო ჩვენ შევდგებით იმ მიჯნაზედ, საცა თავდება ვენახის მკეთებლობა და იწყება მკეთებლობა ღვინისა.

VII

შევუდგებით რა ღვინის კეთების საქმის აღწერასა, საჭიროდა ვრაცხთ გავიხსენოთ, რომ მეცნიერებამ თუმცა ბევრი ღონისძიება აღმოუჩინა კაცს ყალბის ღვინის გაკეთებისათვის, მაგრამ იმავ მეცნიერებამ ბევრი სხვა ღონეც მისცა ადამიანს, რომ ბუნებური ღვინო ჯეროვანად კეთდებოდეს. ჩვენ მარტო ჯერ ამ უკანასკნელ ღონეთა ჩამოვთვლით და მასთან ერთად ვეცდებით დავანახოთ მკითხველს, რამოდენად ახლოა თუ შორსა ჩვენებური ღვინის მკეთებელი იმაზედ, რასაც ამ მხრით მეცნიერება გვირჩევს.

რაკი ყურძენი დაიკრიფა იმ დარისა და დროს შერჩევითა, რაც წინა წერილში ვსთქვით, კაცი უნდა ეცადოს, შეძლებისამებრ, მარცვალი ყურძნისა მოაშოროს კლერტსა და გადაარჩიოს. კლერტს რომ ჩვენში არ აცლიან ყურძენსა, ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება, ფეხქვეშ დაწურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის შერჩენა იმისათვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს, როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისაც ძირს ჩააქვსო, ამის გამო ღვინო მალე დაწმინდავდება ხოლმეო. ეს არ ვიცით, რამოდენად მართალია და ამას მარტო გამოძიება გამოაჩენს. ხოლო ეს კი ცნობილია მეცნიერთაგან, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლან-

დავს, თუმცა ესეც კი მართალია, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო, ესე იგი ჩვენებური ღვინო, უფრო ადრე და მალე დაწმინდავდება ხოლმე, ვიდრე უკლერტო. ღვინის საბაზრო საგნად გახდომისათვის ერთი უპირველესი საჭიროება მისი დაწმენდილობაა. რომ ჩვენებური კაცი ჰზრუნავდეს ღვინო მალე აქციოს საბაზრო, სავაჭრო საგნად, ეგ ადვილად მისახვედრია და შესაწყნარებელიცა. ჩვენს ფულით ხელმოკლე კაცს მალე უნდა ნაკეთარის ფულად ქცევა, რომ შემდეგის სამუშაოსათვის და ცხოვრებისათვის სახსარი და ღონე იქონიოს. იმას თანხა არა აქვს, რომ ხელი მოინაცვლოს. თუმცა ესე ხელდახელ შემზადებული ღვინო დიდ ხანს არა სძლებს, მაგრამ ჩვენებური ბაზარი ამას არ უფრთხის, რადგანაც იქ, საცა ღვინო იშვიათი სანუგბარი არ არის და ღვინის სმა თითქმის საჭიროებად არის გადაქცეული, როგორც ჩვენში, ღვინო მალე საღდება და დიდხანს შესანახად აღარ უხდება საქმე სირაჯსა. სულ სხვაა ევროპასა და რუსეთში. ერთგან და მეორეგანაც ღვინოს მარტო მდიდარი ხალხი სვამს და მდიდარი ხალხი ყველგან ცოტაა. საამათოდ გამძლე ღვინოები უნდა, რომ გზა აიტანოს და მუშტარს ელოდოს და უცადოს. ხოლო იქ, საცა, მაგალითებრ საფრანგეთში, ღვინოს უფრო ბევრი შინაური მსმელი ჰყავს, მაშასადამე, მუშტრად თვითონ თავისივე ხალხი ეგულება, როგორც ჩვენში იქაც ჰცდილობენ ახალი ღვინო მალე მომზადდეს და გამძლეობისას ამისთანა ღვინოებისათვის ბევრს არაფერს დაგიდევენ. იქ ამისათვის ბევრს გვარს ოსტატობას ჰხმარობენ და ამის გამო, მაგალითებრ პარიზში, საყოველდღეო ხალხისათვის სასმელ ღვინოში იმოდენა მართალი ყურძნის წვენია ხოლმე, რამოდენადაც წამლებით შეკეთებულ კვრინჩხის წვენში. ეს ოსტატობა იქ ძალიან კარგად იციან და, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით. მაინცდამაინც, ჩვენის ფიქრით, გემოსათვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია, თუმცა ჩვენებურს ხალხს ძალიან უყვარს ის პირის მბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინოს განგებ ნაკეთებს ეძახის. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, და ჩვენე-

გურს კაცს რომ თავისი საკუთარი გუნება ჰქონდეს ამ შემთხვევაში, ვინ რად უნდა სძრახოს. თუ დასძრახავს, იგი დაარღვევს იმ ევროპიულს ანდაზას, რომელიც გვიქადაგებს: De gustibus non est disputandum, ესე იგი, გემოს თაობაზედ კაცს სიტყვა არ შეებრუნებაო.

ყოველ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ჩვენში კლერტის გამოცლა არ იცოდნენ. იციან, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მარტო იმ ადგილებში იციან, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება თითქმის დაუწმენდავი, მაგალითებრ, კახეთის სოფლებში — შაქრიანსა, ფაშაანსა, ტურისციხესა და ზეგაანში, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება. რა წამსაც დასწურვენ ხოლმე, მაშინვე ჰაჰიდამ გადაარჩევენ კლერტსა და უკლერტო ჰაჰაზედ დაადუღებენ ღვინოსა. ამ ადგილების მაჭარი გათქმულია და ვაჭარიც დაწურვისვე უმალ ეტანება. განსხვავება აქ მარტო ის არის, რომ კლერტს ჩვენში დაწურვის შემდეგ აცლიან და სადუღარად ან სულ არ აძლევენ, ან ძალიან ცოტას. რა თქმა უნდა, რომ ამას სჩადის მარტო შეძლებული კაცი, იმიტომ რომ კლერტის გადარჩევას დრო და ხარჯი უნდა. ურიგო არ იქნება, ჩვენმა მეცნიერებმა თავის ტყუილს აბრუს ცოტა ხანს თავი დაანებონ და გამოიძიონ: ჩვენებური ხალხი, როცა ყურძნის წვენი საღვინედ უნდა, რატომ არ აცლის კლერტსა და როცა-კი სამაჭრედ — მაშინ-კი რად აცლის? ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენებურმა კაცმა კლერტის გაცლა ზოგ შემთხვევაში იცის და ზოგში არა, და რაკი ესეა, უმიზეზო არ იქნება, რომ საღვინე წვენს ყურძნისას კლერტზედ ადუღებენ ჩვენში ყველგან გამოუკლებლივ, როცა-კი მართლად ჩვენებურად აყენებენ ღვინოსა. ვინ იცის, იქნება კლერტზედ ნადუღარი ღვინო უფრო გამძლეც იყოს. ამას გვანიშნებს ის ამბავი, რომ საღვინე წვენს ყურძნისას უკლერტოდ არ ადუღებენ და სამაჭრეს კი ადუღებენ; სჩანს აქ საქმე ღვინის გამძლეობაზეა მიმდგარი და იქნება კლერტი ამ გამძლეობას რასმე ჰშველოდეს. რა თქმა უნდა, ამისი გადაჭრით თქმა გამოუძიებლივ ძნელია და მეტი არ იქნება, რომ გამოძიებულ იქმნას კლერტის თვისება ამ მხრით.

VIII

ევროპაში არამც თუ ყურადღებას აქცევენ, რომ ყურძნის მარცვალს კლერტი მოაშორონ და ისე სწურონ და დაადუღონ ღვინო, არამედ ზოგიერთს სახელოვანს ვენახში დაკრეფის დროს ზედ მტევანზედვე მაკრატლით ამოსჭრიან ხოლმე გაფუჭებულს და დაგოლვილს ყურძნის მარცვლებსა წინათვე, მინამ დაჰკრეფენ დასაწურავად. ჩვენში ბალღიც არ მოიპოვება ისეთი, რომ არ იცოდეს, რა კარგია ღვინისათვის გადარჩევა ყურძნისა. და თუ ყურძნის გაურჩევლობას ვინმე ცოდვად გვითვლის, ეს ჩვენს უვიცობას, არ-ცოდნას არ უნდა მიეწეროს. აქ სხვა მიზეზია და დიდად პატივსადებიცა. ეგრეთ გადარჩევა კარგა დროს, ჯაფასა და ხარჯსა ჰთხოულობს და ჩვენის ღვინის ფასი კი დღევანდელს ბაზარში ისეთი დაბალია, რომ უამისოდაც ძლივს აყენებს საზოგადო ხარჯსა, რაც მაგის გარდა ღვინის კეთებას უნდება. რასაკვირველია, მაგისთანა ჯაფას და ხარჯსა არ მოერიდება, მაგალითებრ, შატოდიკების პატრონი მარკიზი ლურ სალუსი, რომელსაც ბოთლი ღვინო თითქმის ოთხ-ხუთ მანეთად უსაღდება. ამისთანა ფასი რას არ შეაძლებინებს კაცსა! აკი ესეც არის. ამ მარკიზის ვენახში უფრო შორსაც მიდიან, მაგალითებრ თვითეულ მტევანისაგან მარტო დამწიფებულ და კარგად შემოსულს მარცვლებს ჩამოაცლიან ხოლმე და შემოუსვლელს ზედ ვაზზედვე დანარჩენის მტევნით სტოვებენ დასამწიფებლად. მოდით და ამის მნახველმა უსაყვედურეთ ჩვენებურს ღვინის მკეთებელს, რატომ შენც ასე არ იქცევი-თქო. აბა ოთხისა და ხუთის მანეთის მაგიერ ბოთლში ერთი მანეთი მაინც აღუოქვით ჩვენებურს მკეთებელს ღვინისას, თუ ამანაც თავისი ცოდნა ყურძნის გადარჩევის თაობაზედ საჭიროდ არ დაინახოს და საქმეში არ გამოიყენოს. საქმეში არხმარებული ცოდნა უცოდინაროზას არა ჰნიშნავს. ვინ არ იცის ჩვენში, რომ გადარჩევა ყურძნისა კარგია, და უფრო უკეთესია მარცვლეულად დარჩევა თუნდ მარკიზ სალუსისა-

მებრ! მერე სარფაა, ხეირია ჩვენში ეგეთი მძიმე და ძვირი ჯაფა და გარჯა, თუ ამ ცოდნის საქმეში გამოყენება ზარალის მეტს არას მისცემს კაცსა, რადგანაც ამ შემთხვევაში ღვინოს სიძვირით არავინ მიეკარება... ჩვენში ვინ ოხერი იქნება თავისი ქონება ზედ გადააყოლოს ღვინის კეთებასა, რომლის საეკონომიო მნიშვნელობა მარტო სარფა და გამორჩომაა და სხვა არა-რა.

ყურძენი, რაკი მოიკრიფა და გადირჩა, შეძლებისამებრ, დასაწურავად მიდის. ამისათვის ჩვენში ან ხის ნავია, ან ქვითკირის საწნახელებია, კარგად გალესილი. ევროპაში სხვაგვარი საწნახელებია. იქ ფიცრისაგან შეკრულია ერთი უშველებელი ოთხკუთხიანი უჯრა, რომელსაც ოთხკუთხივ გვერდები ამაღლებული აქვს. როგორც ჩვენში, ისეც ევროპაში ამგვარ საწნახელებში ფეხითა სწურავენ*. იქნება ფეხით წურვა, რომელიც ჩვენში ყველგან ხმარებულია, სასაცილოდ აიგდონ! მართალია, ევროპაში ყურძნის დასაწურავად ეხლა საქაჯავსაც** ჰხმარობენ, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ აძლევს ჩვენებურს მეცნიერს ცხვირი ზევით აიწიოს. ჯერ ხომ თვითონ ევროპიელნიც ბევრგან ფეხითა სწურავენ და მაშასადამე იქაც ისე ყოფილა. ამას ჩვენი მეცნიერები ევროპიელებს ვერ გაუბედვენ, მეტად თვალსაჩინო ტყუილი იქნება. მეორე ისა, რომ თვითონ მართლად მეცნიერნი ევროპიელნი ამტკიცებენ,—ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობნის საქაჯავით წურვასაო. იმათის სიტყვით, ფეხით წურვისაგან უფრო თანაბრად ისრისება ყურძენის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი კურკა ყურძნისა, არ იჭყლიტებაო. საქაჯავს უამისოდ ვერას გზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა-კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო. ეს ფეხით წურვა ზოგიერთ ღვინით გამოჩენილს ადგილებში ისე პატივცემულია ევროპიელთაგან, რომ პირველ მტევნებს ვენა-

* მოიწვევენ ხოლმე მემუსიკეთა, რომელნიც საცეკვავს უკვრენ, და მუშები საწნახელში, შიშველა ფეხით ჩამდგარნი, ჭცეკვაობენ და ამ სახით შეექცევიან კიდეც და საქმეც კეთდება.

** Пресс.

ხის პატრონს — ქალს მიართმევენ ხოლმე და იგი მოურიდებლად ხალხის წინაშე გაიხდის ფეხსაცმელსა და საკუთარის ფეხით სწურავს მორთმეულს ყურძენსა. თუმცა ესეა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში ყველა შემძლებელი კაცი ჰყიდულობს საქაჯავსა მარტო იმის გამო, რომ საქაჯავით უფრო მალე, უფრო უხარჯოდ იწურვება ყურძენი. საქაჯავები ჩვენში დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ ხალხი არა ჰხმარობს პირველ დაწურვისათვის; მხოლოდ ფეხით ნაწურ ჭაჭას გაატარებს ხოლმე საქაჯავში დანარჩენის წვენის გამოსაწურავად. მართალია, ჩვენებური საქაჯავი ისეთი ოსტატური არ არის, როგორც ევროპიული, მაგრამ არც ისე ძვირია, როგორც იქაური. აშკარაა, ჩვენშიაც სცოდნიათ, რომ შეიძლება წურვა საქაჯავითაც, და ერთი ვიკითხოთ, რატომ საქაჯავით წურვა არ დაუწყიათ?¦ ვსთქვათ ევროპიულს საქაჯავს იმიტომ არა ჰხმარობენ ჩვენში, რომ ძვირია, ან მოხმარება არ იცის ჩვენებურმა კაცმა, რატომ შინაური საქაჯავი მაინც არ უხმარიათ, — ეს ხომ არც ძვირია და არც ძნელი მოსახმარებელი? სჩანს ამას სხვა მიზეზი აქვს და იმ მიზეზთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს მას, რაც ფეხით წურვის სიკეთეზედ ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. აქ ხარჯი, სისწრაფე მუშაობისა კიდევ იმისათვის შეუწირავს ჩვენებურს კაცს, რომ ღვინოში წიპწის იოტიც არ გაერიოს, ესე იგი სხვა გარეშე რამ. ამას ძალიან ერიდება ჩვენებური ღვინის კეთება, როგორც წინადაც ვსთქვით, და ეს შიში და სიფრთხილე თანასაგრძნობელია.

IX

რაკი ყურძენი დაიწურება ხოლმე ასე თუ ისე, ტკბილს მიუშვებენ ხოლმე ბოჭკაში. თითქმის ყველა ევროპიელნი ღვინის ჭურჭლად, ამ შემთხვევაში და საზოგადოდაც, ბოჭკასა ჰხმარობენ. რასაკვირველია, შესანახავად სხვა სახის ბოჭკაა და სადუღარად სხვა სახისა, და ამ უკანა'სკნელთ რუსულად

ჰქვიან „ჩანი“. ჩვენში-კი უფრო ბევრგან პირდაპირ საწნახელისა თუ ნავის მილიდამ ქვევრში მიუშვებენ ხოლმე. ხოლო ამ ბოლოს ხანებში ზოგან „ჩანებსაცა“ ჰხმარობენ და შიგ „ჩანებშიცა“ სწურავენ კიდეც, განსაკუთრებით წითელს ღვინოსა. არსად არ შეგხვედრია ამოგვეკითხა. რომ ევროპაში ტკბილი რამდენსამე წვერად გაჰყოხ და ისე ცალ-ცალკე ჭურჭელში ადუღონ. ჩვენში-კი იციან: ვისაც დიდი მოსავალი მოსდის, საწნახელიდამვე გამოსულს ტკბილს სამ წვერად დაჰყოფს და ცალკე ცალკე ქვევრში მიუშვებს. ერთი წვერი იგია, რაც მუშების პირველ გავლაზე წვენი წამოვა საწნახელიდამ. ამას ცალკე მიუშვებენ და ამბობენ, ამისი დაბალი ღვინო დადგებაო, რადგანაც რაც ჭუჭყი, მტვერი ჩაჰყოლია ყურძენს და რაც მეტი წყალი აქვს, ამ პირველ ნაწურ წვენს გაჰყვებაო. ამ წვენის ფერი თითქმის მღვრიე წყლის ფერია. წვენი ამის შემდეგ მალე იცვლის ხოლმე ფერსა, ასე რომ კაცი თვალით ადვილად შეამცნევს. რაკი ეს მოხდება, ახლა წვენს სხვა ქვევრში მიუშვებენ; ნაბოლოვარად წვენი ერთხელ კიდევ იცვლის ფერსა, უფრო მოჭირებულის ფერისა შეიქმნება, უფრო სქელი და წებოიანი, და მამინ მესამე ქვევრში მიუშვებენ. რა თქმა უნდა, ამას მარტო დიდის მოსავლის პატრონი იქმს. საქმე ის არის, რომ ამ სამ წვერად დაყოფას ტკბილისას თავისი ცხადი აზრი და საბუთი აქვს. ამგვარად განცალკევებას სხვადასხვა სიწმინდისა, ფერისა და სისქის ტკბილისას, ცოტა თუ ბევრი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ღვინის სიკეთეზედაც.

ამას მარტო ერთი ნაკლი აქვს, თუმცა ადვილად მოსაშორებელი, მაგრამ საკმაოდ ყურს არ ათხოვებენ ჩვენში. ამ შემთხვევაში თვითეულ წვერ ტკბილისათვის ქვევრი იმოდენა უნდა იყოს, რომ ერთი დღის ნაწურმა ტკბილმა სადუღარად მოჰყაროს ქვევრი. თუ ქვევრი იმოდენად დიდია, რომ რამდენისამე დღის ნაწური სადუღარად ძლივს მოჰყრის, მაშინ ტკბილის მეორე და მესამე დღეს ჩამატება დუღილს ახანებს, აგვიანებს: დუღილის მალე გათავებისათვის საჭიროა ერთისა და იმავე დროის ნაწურით ერთსა და იმავე დღეს ქვევრი,

თუ რამ სხვა ჭურჭელი, იმოდენად აივსოს, რამოდენადაც ქვევრს თუ ჭურჭელს დუღილისათვის ავსებენ ხოლმე.

რაკი ტკბილს, ესე იგი წვენს ყურძნისას, ქვევრში თუ რაიმე სხვა ჭურჭელში ჩააყენებენ, მას მერმედ დაიწყება ის ბუნებური მოქმედება, რომელსაც ჩვენში დუღილს ეიახიან. ყველაზედ მეტად, თუ არ მთლად, ამ ბუნებურ მოქმედებაზეა დამოკიდებული ღვინის სიავკარგე, იმიტომ რომ ყოველისფრით ერთისა და იმავე ყურძნის წვენისაგან შესაძლოა სხვადასხვა ღვინოც დადგეს, თუ დუღილი სხვადასხვა გარემოებაში მოსვლია, სხვადასხვა გვარისა და ხარისხისა ჰქონია.

საჭიროა ჰაჰა და **კლერ**ტი ჩააყოლონ ტკბილსა, თუ არა? ჩვენ დუღილს ბუნებური მოქმედება ვუწოდეთ, იმიტომ რომ დუღილი აქ კაცის ხელით მიცემულის წამლით, თუ ნივთიერებით, არ აღიძვრის ხოლმე; ამ ნივთიერებას თუ წამალს თვითონ ბუნება აძლევს ყურძენსა. გამოჩენილმა პასტერმა დაამტკიცა, რომ იგი ნაწევრი, რომლის გამოც ტკბილი ადუღდება ხოლმე, ზედ ყურძნის მარცვლის კანზედვე არის მტვერსავით, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჰაოსავით. პასტერმა განგებ საცდელად დიდის სიფრთხილით წვენი ისე გამოსწურა ყურძნის მარცვალსა, რომ ჰაო არ ჩააყოლა; ნაწური მინის ჭურჭელში ჩაასხა და ჰაერი არ მიაკარა, იმიტომ რომ ჰაერშიაც ყოველთვის არის ის სამიკროსკოპო სხეული, რომელსაც ამადუღებელი თვისება აქვს. ყურძნის წვენი მინაში არ ადუღდა და როცა ის მტვერი, თუ ჰაო, ყურძნის მარცვლის კანისა ჩაუშვა, მარტო მას შემდეგ დაიწყო წვენმა დუღილი. აქედამ რა გამოდის? რას გვასწავლის, რას გვეუბნება ეს მაგალითი? ამის პასუხს შემდეგს ნომერში მოგახსენებთ და ამ პასუხისაგან აიხსნება, რის მაქნისიც არის ჰაჰა და რა საჭიროებას შეადგენს ღვინის კეთების საქმეში.

X

წინა წერილში მოვიყვანეთ გამოჩენილის პასტერის ნაცადი, რომ ყურძნის მარცვლის კანზედ არის ერთგვარი მტვერი, თუ ჰაო, რომელიც ადუღებს ყურძნის წვენსა და ურომლისოდაც წვენი სრულებით არა ჰდუღს. აქედამ რა გამოდის? ის გამოდის, რომ ვინც ჭაჭას არ ჩააყოლებს ტკბილს, იგი იმას აკლებს, რაც დუღილსა ჰშველის და ხელს უმართავს, იმიტომ რომ, თუმცა ნაწურს ტკბილს, ნამეტნავად ფეხით ნაწურს, იგი ამადუღებელი ჰაო გაჰყვება, მაგრამ უფრო მეტი კი ზედ ჭაჭას შეჰრჩება და ამიტომაც უჭაჭობა უნდა აუძლურებდეს დუღილსა და მით აგვიანებდეს და ახანებდეს. იქნება კიდეც ეს იყოს მიზეზი იმ ყველასაგან ცნობილ ამბავისა, რომ უჭაჭოდ ნადუღი ტკბილი გვიან დაწმინდავდება, გვიან დაღვინოვდება ხოლმე, რადგანაც ადრე დაწმინდავება ღვინისა ადრე დადუღებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, რომ ჭაჭის მიცემა ტკბილის კარგად და მალე ადუღებისა და დადუღებისათვის ეგრე მეცნიერულად არ არის მიგნებული ჩვენში, როგორც პასტერს მიუგნია, მაგრამ გამოცდილებით კი უცვნია ჩვენებურს კაცს, რომ ღვინის კარგად ადუღებისათვის ჭაჭა საჭიროა.

გარდა ამისა ჭაჭა თეთრის ყურძნისა, თუ შავისა, — სხვა სამსახურსაც უწევს ღვინოსა: იგი ფერს აძლევს, ჰღებავს ღვინოს. თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინის დასაყენებლად შავის ყურძნის ჭაჭას აძლევენ დუღილის დროს, ისე როგორც ჩვენში ვიცით, იმიტომ რომ საფერავი თუ საღებავი ყურძნის მარცვლის კანშია*. ეს საფერავი, როგორც შავს ყურძენსა აქვს, ისეც თეთრსა თავთავისდაგვარად. ამ საფერავებით თეთრით თეთრს და შავით შავს ღვინოსა ვფერავთ ხოლმე, როცა ჭაჭაზედ ვადუღებთ ტკბილსა, იმიტომ

* იქნება ჩვენში არ იცოდეს ზოგმა, რომ შავის ყურძნის წვენი, ისე ფრთხილად გამოწურული, რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, თეთრია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, წყლის ფერია.

რომ დუღილის დროს მარცვლის კანსა ტკბილი გამოსწოვს ხოლმე საფერავსა და იღებება, თუ ნამეტნავად კანი კარგად გასრესილია. ეს ვიცით და ჰაჰას სხვათა შორის ამისთვისაც ჩავაყოლებთ ხოლმე ტკბილსა. ხოლო ეს-კი ზოგჯერ გვავიწყდება, რომ რაკი ღვინოს დავურევთ და ჰაჰა ძირს წავა და დაილექება, მას შემდეგ ჰაჰა აღარც შემდეგის ჩუმის დუღილისათვის არის საჭირო, აღარც საფერავად, და თუ არ ახღენს, აღარას ჰშველის. ახლა გვეტყვიან: რად გინდათ რომ თეთრს ღვინოსაც ჰღებავთო? ჩვენ კიდევ ამას ვეტყვით: კაცია და გუნება. თუ ჰაჰის გამო წითელი ღვინო არა ჰხდება, რადგანაც თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინისათვის ტკბილს უსათუოდ ჰაჰაზედ ადუღებენ, თეთრის ღვინის ჰაჰაზედ დაყენება რად უნდა გვეღვედრებოდეს და არ-ცოდნაში გვეთვლებოდეს! თეთრი მოჭირებული ფერი ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარსა, ისე როგორც შავი მოჭირებული ფერი წითელის ღვინისა. ესეთი მოწონება იქამდე გაძლიერებულია ჩვენში, რომ ამ ბოლოს ხანებში სირაჯები სიყალბესაც კი აღარ ერიდებიან და სხვადასხვაგვარ წამლებით თეთრს, მაგრამ მცქრალს ღვინოს, განგებ მოჭირებულ ფერს აძლევენ.

კლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს იმის გარდა, რაც წინათ ვსთქვით. კლერტი ღვინოს კეთილ სუნოვანობას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს თურმე. კლერტში ერთგვარი ნაწევარია*, რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უამისოდ კეთილსუნოვანება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოს. ამას თვითონ მეცნიერი ღვინისმკეთებელი ტარდანი ამტკიცებს და. თუ ამას დავუჯერეთ, ღვინის გემოსაც-კი უფრო სასიამოვნოდა ჰხდის ის სიმჟავე, რომელიც ენასა ჰკბეხს და კლერტისაგან წარმოსდგებაო. გამოდის, რომ იმ სიკეთის გარდა, რაც კლერტზედ წინადა ვსთქვით, — ეს სიკეთეც კლერტის წყალობით ჰქონია ღვი-

* Дубильное вещество.

ნოსა. არ ვიცით, ეს რამოდენად მართალია. და თუ მართალია, მართალნი ყოფილან ჩვენებურნი ღვინის დამყენებელნიცა. რომელნიც უკლერტოდ ღვინოს არ ადუღებენ. თქმა არ ღნდა, რომ ყველგან საჭიროა ზომიერება. ზომას გადამეტებული პურის ჭამაც კი მაწყინარია. ჩვენში კარგმა ღვინის მკეთებელმა და დამყენებელმა კარგად იცის, რამდენი ჭაჭა და კლერტი მისცეს და ზომას თავის დღეში არ გადააცილებს. ჩვენში კარგად იციან, რომ გადაჭარბებული ჭაჭა და კლერტი ღვინოს ავნებს. ამაზედ იტყვიან ხოლმე, „დასწვავსო“ ღვინოს. მაშასადამე თუ ესეა, რომ კლერტი ღვინის გემოს არამც თუ აფუჭებს, აკეთებს კიდეც, და ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს რაღა საბუთი აქვთ წუნი დასდონ ჩვენს ღვინის კეთებას ამ მხრითა! თუ ეს კლერტის ჩაყოლება შეცდომაა და თუ ამისთანებში იმისთანა მეცნიერი ჰცდება, როგორც ტარდანი, ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით და კადნიერებითა!

XI

საწნახელიდამ ყურძნის წვენის გამოშვების შემდეგ იწყება სხვა ახალი ხანა ღვინის კეთებისა და ამ ხანას ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ეგ ხანა იგი დროა, როდესაც ტკბილი დუღილში შედის. ევროპაში დუღილისათვის ქვის ჭურჭელიც არის და ხისაც, როგორც მაგალითებრ „ჩანი“, „ბოჭკა“, და ყველა ის ჭურჭელი ჰაერზედ დგას სარდაფში, ან მარანში. ჩვენში თითქმის ყველგან ქვევრი იციან, მიწაში ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაფლული. ამ ქვევრსაც გვიწუნებენ. შემდეგ ვნახავთ, ზოგიერთ მცირეოდენ უხერხობასთან, რამდენი სახერხო და სამჯობინარი სიკეთე სჭირს ჩვენებურ ქვევრსა, და რამოდენად ეგგვარი ჭურჭელი შეფერებულია, მასთან, რასაც დუღილი ითხოვს და ღვინის შენახვა.

ჯარგის დუღილისათვის, გარდა იმისა, რომ კარგად და-

მწიფებულის ყურძნის წვენი უნდა იყოს, საჭიროა სითბო არა ნაკლებ 10°-ისა და არა უმეტეს 15°-ისა რეომიურის თერმომეტრით. ევროპაში მარანში, ანუ სარდაფში, საცა ტკბილი ჰდუღს, თუ 10°-ზედ ნაკლები სითბოა, ან „ჩანს“ ნამჯას შემოახვევენ გარშემო, ან ცეცხლს აანთებენ განგებ ამისათვის გაკეთებულ ბუხარში და ოთახსავით ათბობენ რამდენიც საჭიროა, — და თუ 15°-ზედ მეტია. განგებ აგრილებენ. მაშასადამე, სარდაფი ან მარანი განგებ ამ ორ შემთხვევისათვის აშენებული უნდა იყოს. ასეთი მარანი, თუ სარდაფი, ძვირად დაუჯდება კაცს; ამაზედ რომ კაცი ზედ გადაეგოს ჩვენში, ხეირის და გამორჩომის იმედიც იმოდენა უნდა ჰქონდეს, რომ ღვინომ, თავის საკუთარის ხარჯის გარდა, სარდაფზედ, ან მარანზედ დახარჯულის ფულის თავიც და სარგებელი თავის დროზედ ცოტა-ცოტაობით დაუბრუნოს პატრონსა. ზოგან არის კიდეც ჩვენში ამისთანა ძვირფასი მარნები, მაგრამ უფრო სახელისათვის, ვიდრე სახრავისათვის და გამორჩომისათვის; წინათაცა ვსთქვით,—ღვინო ჩვენში ჯერ ძლივს ააყენებს ხოლმე თავის ხარჯის ფასსა და იმ მცირეოდენს გამორჩომას, რასაც ყოველი კაცი ყოველის მრეწველობისაგან სამართლიანად მოელის. მაინცდამაინც ამისთანა მარანს მარტო შეძლებული კაცი თუ შესწვდება და ამისთანა კაცები ჩვენში მარტო ორიოდეა, უმრავლესობა-კი უღონოა ამისათვის. ამიტომაც ჩვენში უფრო ბევრგან ფარღალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დახურული, ბევრგან უკედლებოცა. მაშასადამე, პირველ შეხედვით კაცი იფიქრებს, რომ ჩვენში არა სცოდნიათ ჰაერის სითბო-სიგრილის მნიშვნელობა დუღილისათვის. აბა ფარღალალა მარანში, რა თქმა უნდა, თავისუფლად იმუშავებს ცივი თუ თბილი ჰაერი და ამიტომ არც მეტს სითბოს ეშველება რამე და არც მეტს სიგრილესა. შესცდებიან ვინც ასე იფიქრებს: დააკვირდით, ჭურჭელი, რაშიაც ჩვენში ტკბილს ადუღებენ, რა ადგილას არის. იგი ღრმად ჩასმულია მიწაში და გარედ ჰაერზედ არა სდგას. რატომ? სხვათა შორის იმიტომ, რომ ვერც გარეთი სიცხე ჩაატანს მიწას ისე მალე და ხელაღებით, ვერც სიცი-

ვე. მიწა ინახავს ქვევრს ერთსა და იმავე სითბო-სიგრილეში და გარეთი ჰაერის ცვლილება მაგოდენად არა სწვდება ქვევრსა და აქედამ ტკბილსა, რომელიცა ქვევრში ჰდუღს. იტყვიან, რომ რადგანაც ქვევრი აწოწვილია, ესე იგი, მაღალი, ამის გამო სხვადასხვა წელს ტკბილისას სხვადასხვა სითბო სიგრილე ექმნებაო: თავში, მიწის ზედაპირზე ახლოს ტკბილი ერთს სითბო-სიგრილეში მოჰყვება, ქვედა პირში სხვაშიო. ეს ცოტად თუ ბევრად მართალია, მაგრამ ეგ იმოდენა თაბაუთს არა იქმს. რომ ხელჩასაკიდებელ მიზეზად გახდეს ქვევრის დაწუნებისათვის. გადამეტებულ სიცხეს ძნელად თუ შეხვდება კაცი, რადგანაც კაი ვენახის პატრონს ძოუხდება ღვინის დადუღება ან ენკენისთვის ბოლოს ან ღვინობისთვის დასაწყისს, როცა მაგრერიგად არა ცხელა და ჩვენში ამ ხანებში იშვიათია ისეთი სიცივეც, რომ მიწა 10°-ზედ ნაკლებ სითბოზედ ჩამოახდინოს. საქმე ის არის, ამ 10° და 15°-ს შუა თანაბარი სითბო-სიგრილე ჰქონდეს ჭურჭელს გარშემო, — და ქვევრს, მიწაში ჩვენებურად ჩაფლულს, უსათუოდ ეს თანაბარობა ექმნება, რადგანაც, აკი ვამბობთ, ცვლილება გარეთის ჰაერისა მიწას მაგრერიგად ვერ ჩაატანს ხოლმე და მის სითბო-სიგრილეს ეგრე ადვილად ვერ შესცვლის. თუ კაცმა თერმომეტრით გასინჯა მიწის სითბო-სიგრილე ქვევრის პირის თავიდამ ბოლომდე სხვადასხვა სიღრმეზედ, არა გვგონია რომ ენკენისთვის დასასრულს და ღვინობისთვის დასაწყისს თერმომეტრმა 11° — 12°-ზედ ნაკლები აჩვენოს და 15°-ზე მეტი, თუ ძალიან იშვიათს წელიწადს არ შევხვდებით. ჩვენში გადამეტებულის სითბოსი უფრო ჰშინებიათ, როგორც ეტყობა. იმიტომ რომ კარგი დამყენებელი ღვინისა თრთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა. თრთვილი დასაწყისია სიცივისა, აქედამ სჩანს გადამეტებულის სიცხის შიში უფრო ჰქონიათ. მართალია, ეს იმითაც აიხსნება, რომ თრთვილი ყურძნის მარცვალს ჰკუმშავს, ცოტად აჭკნობს და, ამბობენ, მეტს წყალს აცლისო, მაგრამ ამ პატარა სიკეთეს არ ანაცვლებდნენ იმ დიდს სიკეთესა, რაც ღვინოსათვის დუღილია. თუ თან იმისი იმედი არა ჰქონოდათ, რომ ჩვენში ენკენისთვის ბოლოს და ღვინობისთვის დასაწყისს დუღილისათვის

მეტი სიცხე უფრო საფიქრებელია, ვიდრე მეტი სიცივე. ხში-რად ასეც არის, ნამეტნავად კახეთში.

გარდა ამისა, ერთს რასმეს კიდევ ვიტყვით. ვინ არ იცის, ენკენისთვის დამლევს და ღვინობისთვის დასაწყისს დღის სითბო-სიგრილე რამოდენად იცვლება ღამ-ღამობით ჩვენში. ეს ცვლილება ისეთი დიდია, რომ ყველა ჭურჭელს შეატანს, ჰაერზედ მდგომარეს, ასე რომ ჭურჭელს დღისით რომ 12°-ს სითბო სცემდეს, ღამ-ღამობით 9° — და 10° — სითბო და-ჰკრავს, თუ არ კიდევ ნაკლები. ესოდენი ცვლილება განა არ იმოქმედებს ამგვარს ჭურჭელში ღვინის დუღილზედ? მერე შეკრულს სარდაფსა და მარანში ხომ წმინდა ჰაერისათვის სამუშაოდ სადმე აჳ ფანჯარა, ან კარი, ღია უნდა ჰქონდეს, რომ ნახშირმჟავის ბუღმა კაცი არ დაარჩოს. აშკარაა, ამ მეტნაკლებობას სითბო-სიგრილისას ამ შემთხვევაში ძნელად რამ ეშველება და ჭურჭელი, რაშიაცა ჰდუღს ტკბილი, დღი-სით მოპეტებულ სითბოში იქნება და ღამით ნაკლებში. ქვევრს-კი ამით ან სულ არა დაუშავდება-რა, ან ძალიან ცოტა რამ, იმიტომ რომ მიწაშია, და გარეთის ჰაერის ცვლილება ისე ადვილად ვერ ჩაატანს და, მაშასადამე, ვერ შესცვლის მიწის სითბო-სიგრილესა.

ჩვენის მარნების ფარღალალობას ერთი სხვა სიკეთე სჭირს; ამისთანა ჳარანი უშიშია ადამიანისათვის და ამას არ შეიძ-ლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველის მხრით შეკრულს მარანს, თუ სარდაფს, დუღილის დროს დიდი სი-ფრთხილე უნდა თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს. როცა ტკბილი დიდს დუღილშია და ბუყბუყებს, მაშინ ზემოთ ბურ-ცებს ანუ ქაფს მოიგდებს. აქედამ ერთნაირი ბუღი გამოდის, რომელსაც ნახშირმჟავას ეძახიან მეცნიერნი. ეს ბუღი რომ ჩაისუნთქოს კაცმა, ძალიან ადვილად დაირჩობა. რომ დახუ-რულს და შეკრულს მარანში, თუ სარდაფში კაცს ეს არ დაემართოს დუღილის დროს, ხშირად უნდა ამისთანა სარ-დაფსა, თუ მარანში, წმინდა ჰაერი ამუშავოს და ატრიალოს, რომ ის ბუღი გავიდეს და წმინდა ჰაერი შევიდეს. ევროპაში ამის ასაცდენელად კარგად დამწვარს კირსაც ჰხმარობენ:

საღდაფსა, თუ მარანში, მოჰფენენ ხოლმე კირსა, და რადგანაც ნახშირმჟავას ძალიან იზიდავს კირი, ამიტომაც, რამოდენადაც ამოდის დუღილის გამო, იმოდენად კირი სჭამს, თუ ესე ითქმის.

ჩვენებურს კაცს გამოცდილებით უცვნია ეს ვითარება დუღილისა და რომ მეტი ჯაფა და სიფრთხილე არ აეკვიატებინა, სამჯობინარად დაუნახავს ღია მარანი, საცა ყოველთვის ნახშირმჟავასაც გამოსავალი აქვს და წმინდა ჰაერსაც შესავალი; ასადუღებლად საჭირო სითბო-სიგრილის თანაბაროპისათვის ქვევრი ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაუსვამს მიწაში და ამასთანავე აუცილებელი საჭიროება ღვინის კეთებისა თავის ჯიბის მეტნაკლებობისათვის შეუფერებია. აქ, როგორც ვნახეთ, მაგრერიგად არც მწვადი იწვის და არც შამფური.

XII

რა ყურძენიც გინდა აიღოთ, მისი წვენი, მეცნიერთა გამოკვლევით, ერთისა და იმავე ნაწევრებისაგან არის შემდგარი, განსხვავება მარტო ნაწევრების მეტნაკლებობაშია. ეს ნაწევრები არიან: 1) შაქარი, რომელსაც ზოგჯერ ასში, ოცდაათი წილი უჭირავს, ესე იგი, 30% და 14%-ზე ნაკლები კი არ ვარგა რომ იყოს; 2) აზოტი, რომელიც დუღილს ჰშველის, 0,2% — 0,8%: 3) პექტინი და სხვა წებოს მომცემი ნაწევარები; 4) სხვა ნაწევარები, რომელნიც ჯერ გამოცნობილნი არ არიან და რომელნიც ღვინოს გემოსა და სუნს აძლევენ; 5) ორგანიული სიმჟავენი და მარილები — ტარტარისა და 6) უორგანიული: ფოსფორის სიმჟავე, ხლორი კალციით, პატასი, მაგნეზია რკინითა და შავი ქვითა.

წვენი ყურძნისა, თბილ ღღეში დაკრეფილისა და დაწურვილისა, თითქმის მაშინვე მოჰყვება დუღილსა, და ერთის ღღისა თუ ღღენახევრის განჰავლობაში ჰმატულობს იმისდაგვარად, რამოდენა სითბოა მარანში. თვითონ დუღილი ათბობს წვენს ზოგჯერ რეომიურის თერმომეტრის 28°-დინ,

მაგრამ დუღილმა რომ თავის რიგზედ იმუშაოს, საჭიროა წვენის სითბო 22° — 23°-დე მაინც ავიდეს. თუ 29°-ს გადას. ცილდა სითბო, მაშინ შაქრის ალკოჰოლად გადაქცევას ხელი ეშლება და თვით ალკოჰოლიც ცხარე დუღილში ნახშირმჟავას გასდევს. შაქრის ალკოჰოლად გადაქცევაშია უმთავრესი და უპირველესი მნიშვნელობა დუღილისა.

დუღილის ხანგრძლიობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენი შაქარი აქვს წვენს და რამოდენად თბილა. ამის გამო ზოგან დიდხანს ჰდუღს ღვინოები. ზოგან არა, ასე რომ სულ ნაკლები ოთხი დღეა, და მეტი ორ კვირას ძნელად გადასცილდება. ხანი დუღილისა ორთა-შუად მიღებულია რვა დღიდან თხუთმეტ დღემდე.

კაცი ადვილად შეატყობს, როცა დუღილი გათავდება ხოლმე. დუღილის გათავების თავის დროზედ შეტყობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა ჩვენებურმა კაცმაც იცის, ისე როგორც ევროპიელმა. ჯერ თვალითაც შეტყობა დუღილის გათავება. რაკი ბუყბუყი აღარ ისმის და ბურცს, რომელშიაც ნახშირმჟავაა, აღარ იკეთებს წვენი, დიდი დუღილი გათავებულია. ყური კი რომ დაადოთ ქვევრის პირს, ანუ „ჩანს“, რაშიაც ევროპიელები ტკბილს ადუღებენ, შიგნიდამ მაინც შიშინი მოგესმით. ეს პატარა დუღილია. თანდათან ეს შიშინიც უფრო ნაკლებ და ნაკლებ ისმის და ბოლოს სრულად მისწყდება. ამის შემდეგ, ჭაჭა ზევით წამოვა და თავზედ ისე მაგრად შეიკვრის, რომ კეტით გასარღვევი გახდება ხოლმე. ამას, როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში, ქუდს ეძახიან. როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში ამ ქუდს სტეხენ და დაურევენ. დუღილი ხელახლად თავს იჩენს. ამ დუღილში ზემოთმოქცეული ჭაჭა და თხლე თანდათან ძირს ჩადის და ღვინო იწმინდება. ამასობაში ღვინოს სითბო თანდათან აკლდება ასე, რომ შიგ ღვინოში ოთხი-ხუთი გრადუსი სითბოლაა მეტი გარეთის ჰაერის სითბოზე. ყველაზედ უტყუარი მაჩვენებელი მისი, რომ დუღილი გათავდა, ერთი ნიშანია: რამდენადაც შაქარი ალკოჰოლად იქცევა, იმდენად სისქე ღვინისა ჰკლებულობს და თხელდება. ეს კლება სისქისა

დუღილის კლების მაჩვენებელია; ამისათვის ერთნაირი იარაღი აქვთ ევროპიელებს, რომელსაც „არეომეტრს“ ეძახიან, — ამას ჩაუშვებენ ღვინოში და თუ 12-ის საათის განმავლობაში ცვლილება არა აჩვენა-რა, უტყუარი საბუთია დუღილის გათავებისა. მართალია, ჩვენ ამ იარაღს არა ვხმარობთ და სასურველია, რომ ხმარებაში შემოვიდეს, — მაგდონადაც ძვირი არ არის და ადვილი მოსახმარებელია, — ხოლო აქედამ ის არ გაბოდის, რომ რაკი მაგას არა ვხმარობთ, არც ის ვიცით, რომ დუღილის გათავებას თავის დროზედ შეტყობა უნდა და შეტყობისათვის ცოტად თუ ბევრად გზაც არ ვიცოდეთ.

ამ ქუდის გატეხის და დარევის შემდეგ ღვინო დასაწმენდად მიიქცევა ხოლმე. ჩვენებური კაცი თვითონ ღვინის ბუნებას მიენდობა ხოლმე ამ შემთხვევაშიაც და დაწმენდისათვის არაფერს წამალს არა ჰხმარობს. რაკი ჭაჭა-თხლე ძირს წავა და თან ჩაიტანს ღვინოში გაუხსნელ ნაწევარებსაც, შემდეგ ამისა ღვინოს სიმჟავე აკლდება, ეძლევა სუნი, და მაშინ იტყვიან, ღვინო დადგა, მაჭარი დაღვინოვდაო. რაკი ღვინო ამ დონემდე მივიდა, მაშინვე უნდა გადაიღონ, ნამეტნავად თუ ჭაჭა და კლერტი მიცემული აქვს, იმიტომ რომ ჭაჭა და კლერტი ამის შემდეგ სწყენს ღვინოსა და აღარაფერსა ჰშველის.

ჩვენში ამას ყურს არ ათხოვებენ ხოლმე, იმიტომ კი არა, ვითომც არ იცოდნენ, რომ ჭაჭა და თხლე დაწმენდის მერმედ სწყინს ღვინოსა, თუ ხანი დასცალდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში ახლად დაწმენდილს ღვინოს მუშტარი უჩნდება თითქმის მაშინვე და ამის ლოდინში ჩვენებური გაჭირებული კაცი არა ჰჩქარობს ღვინის გადაღებას, მით უფრო, რომ ჭაჭა-თხლეზედ ღვინო უფრო გემოიანი, სუნნელოვანი და წმინდაა ხოლმე და მუშტარს ადვილად მოაწონებს თავსა. ამიტომაც იმის მაგიერ, რომ გიორგობისთვეში გადიღოს ღვინო და ხელახლად უცადოს იმის დაწმენდას მუშტრისათვის, იგი დიდხანს თხლე-ჭაჭაზედ ინახავს ღვინოს, და თუ მოუცდა ლოდინი, მაინც თებერვალს და მარტს აღარ გადა-

აცილებს და გადიღებს ხოლმე. მეტს ძნელად თუ ვინმე აყოვნებს, იმიტომ რომ, თუ გადაღებაში სითბომ მოასწრო, შესაძლოა ღვინომ ხელ-ახლად დუღილი დაიწყოს და ამ გვიანს დუღილს ღვინის წახდენა მოსდევს. ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში. და ამიტომაც, მინამ სიცივეები გავა, ღვინოს უსათუოდ გადიღებენ ხოლმე.

რაკი ღვინო გადაღებისათვის მზად შეიქმნება, ამ დღიდამ ღვინის დაყენება თავდება და იწყება თადარიგი ღვინის შენახვისა.

XIII

ღვინის შენახვისათვის ყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ თვითონ ყურძნის წვენსა ჰქონდეს უნარი გამძლეობისა ბუნებით დაყოლილი. ჩვენშიაც და ევროპაშიაც ეს ძალიან კარგად იციან. აქაც და იქაც ისიც ძალიან კარგად იციან, რომ გამძლეობა ბუნებურის ღვინისა სხვა-სხვა წამლებზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ, თუ რა ჯურის ყურძენის წვენია ღვინოდ გარდაქმნილი და რა მიწაზეა გაჩენილი თვითონ ყურძენი. ჩვენში, მაგალითებრ, მიღებულია, რომ რქაწითელი, მწვანე, რომელთაც ხშირად ფერისათვის მცვივანს ურევენ, ან მცვივანის ყურსის ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრს გამძლე ღვინოს იძლევა, აგრეთვე წითელს გამძლე ღვინოს — წმინდა მეურეველი საფერავი. ეს კიდევ საკმაო არ არის, რომ ღვინის გამძლეობის იმედი იქონიოს კაცმა. დიდი საქმეა ისიც, თუ რომელს და რა თვისების მიწაზეა მოყვახილი ყურძენი. თუ რქაწითელი, მწვანე ან საფერავი მთიმე, ღრმად მოსახნავ თიხიან მიწაზეა, — ამათი წვენი უფრო გამძლე ღვინოს იძლევა, ვიდრე იგივე ყურძენი ქვიშიანს მიწაზედ მოსული, ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში. ამიტომაც ტყუილი ცდაა, — ყოველ ჯურის და მიწის ყურძნის ღვინოს გამძლეობა მიანიჭონ, თუ არა სხვადასხვა წამლებით, და მაშინ ბუნებურ ღვინოზედ ხომ ხელი უნდა აიღონ.

ჩვენ ღვინოებს სწამობენ, რომ გამძლეობა არა აქვსო, მალე ჰფუჭდებაო. ეს ბევრში მართალია, მაგრამ ეს უცოდინაროების ბრალი კი არ არის, არამედ იმისი, რომ უფრო ბევრი ღვინო ჩვენში იმ მიწის ვენახებისაა და იმ ჯურის ყურძნისა, რომელნიც ბუნებითად გამძლე ღვინოს არ იძლევიან, თუ რაიმე წამლებით არ შეაზავე და ამ გზით ადრე და მალე არ გააფუჭე, ესე იგი, ბუნებური ღვინო წამლებით ნაკეთებ ღვინოდ არ გარდაჰქმენ. ჩვენ რომ ვსთქვით, გაუღლეობა ჩვენი ღვინისა ბევრში მართალიაო, იმიტომა ვსთქვით რომ ზოგში მართალი არ არის. ჩვენშიაც არის გამძლე თვისების ღვინო, საცა ჯურა ყურძნისა და თვისება მიწისა ამას ხელს უმართავს და შესწევს. არა ერთი და ორი ვენახის პატრონია ჩვენში, რომელსაც უცდია, რვა, ათი და მეტი წელიწადიც შეუნახავს ღვინო, და დაუნახავს, რომ მის ღვინოს გაუღლია დიდ ხანს და ამ გაღლებაში უფრო გაკეთებულა ყველაფრით. ამისი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა და არის ჩვენში დღესაც. რატომ ყველა ღვინო არ არის ამისთანაო, — ამისი თქმა, და იმისი, რატომ ყველა კაცი ბისმარკი არ არისო — ერთი და იგივეა. უფრო ჭკუას ახლოა კაცმა ეს იკითხოს: თუ ეჯრეა, რატომ დიდის ხნით შესანახავად ღვინოს სულაც არ აყენებენო საბაზროდ? იმიტომ რომ სარფა არ არის, რადგანაც, რაც დღეისამდე ბაზარი ჩვენში, სიყვარეს ამგვარის ღვინისას ვერ აიტანს და არც მუშტარი ჰყავს.

ეხლა აიღეთ, მაგალითად, შემდეგი ანგარიში. შევინახე და გამოვაყენე, ვსთქვათ, ათის წლის ღვინო რიცხვით ოთხასი თუნგი, ესე იგი ერთი კახური ურემი; იმისთანა ღვინო, რომელიც შესანახავად გამოდგება, ცოტათ თუ ბევრად კარგი თავი ღვინო უნდა იყოს; ამისთანა ღვინოს. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორმოც თუმნად გაჰყიდით ადგილობრივ, ახლობაშივე, ესე იგი, ბოთლს ერთს აბაზად. ვინახე ეს ღვინო ათი წელიწადი, ჯერ მარტივი სარგებელი, თუნდ ექვსი რომ ვიანგარიშოთ, ათს წელიწადში ორმოც თუმანზედ ოცდაოთხს თუმანს შეადგენს; აღარას ვიტყვით რთულს სარგებელზედ, რომელიც თავს თითქმის უსწორდება რვა წელიწადში, ესე

იგი ათს წელიწადზედ ადრე. ჯერ ამ გზით ათს წელიწადს უკან იგი ერთი ურემი ღვინო სამოცდაოთხ თუმნად უნდა დამიჯდეს. ახლა ამისი მოვლა ამ ათს წელიწადში, ღვინის დაკლება გადაწმენდ-გადმოწმენდაში, ხარჯი, ჭურჭელის დახაფრება, ჭურჭელის რეცხვა და სხვა ამისთანა, ერთს ამოდენას თუ არა მეტს ესეც შეადგენს და ამ სახით ათს წელიწადს შემდეგ ჩემი ორმოც თუმნიანი ღვინო ასს თუმნად მიზის და თუ ბოთლი ადგილობრივვე ათს მაურად მაინც არ გავყიდე, მე ვერც ჩემს გასამრჯელოსღა ავიღებ, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელს ათს წელიწადში სულ თორმეტს თუმანს ვანგარიშობ, ვერც სარგებელს, და თავნებედაც ძლივძლივობით გამოვალ. აბა ერთი იკითხეთ: რომელი სულელი იქნება, დღევანდელი ორმოცთუმნიანი ღვინო ათი წელიწადი ინახოს, რომ ასს თუმნად დაუჯდეს და, მაშასადამე, ასს თუმნადაც რომ გაჰყიდოს, თითქმის არა მოიგოს რა. თუნდ ამისთანა სულელი იყოს ვინმე, ახლა ამას აღარ იკითხავთ: სად არის ამისთანა ღვინის მსყიდველი? მაშინ, როდესაც ჩვენებური ბაზარი ამავ ღვინოს ახლობაშივე ბოთლს ერთ აბაზად ჰყიდულობს ალაგობრივ და თუ თვითონ ათს მაურზედ ნაკლებ გაჰყიდა, ჰზარალობს კიდეც, — იმედია განა თვითონ ეს ბაზარი ათს მაურად ბოთლს იყიდდეს ალაგობრივ? ათ მაურად ალაგობრივ ნაყიდი ბოთლი ხომ მანეთ-ნახევრად უნდა გაჰყიდოს, ან სულ ცოტა—მანეთად მაინც, რომ გამორჩომა ჰნახოს რამე. ვინ არის ჩვენში ამ ძვირის ღვინის მსმელი? ერთი ორიოდე კაცი, ისიც საგანგებოდ და არა საყოველდღეოდ. სულელობა და უგუნურობაა ორიოდ კაცზედ გაანგარიშებული, დაიმედებული, საერო მრეწველობა რამე, მაგალითებრ იმისთანა, როგორც ჩვენში ღვინის მრეწველობა არის. ან რა ჰკუაა, — კაცმა ათის წლის ღვინო სვაა მამასისხლად სასყიდი და ახლობაშივე სასიამოვნო და გაცილებით იეფს ღვინოს-კი თავი დაანებოს! ეს უეჭველი შორმხედველობა აქვს ჩვენებურს ღვინის მკეთებელსა, მარტო ჩვენებურს ბაზარზედ დღევანდლამდე დამოკიდებულს. და ღვინოს ისე აკეთებს, რომ მალე იყოს სასიამოვნოდ სასმელი, რად-

განაც აქ ჩვენში ღვინოს თითქმის მთელი ერი სვამს და ამის გამო დიდ ხანს დგომას არ ჰსაჭიროებს, თითქმის მეორე მოსავლამდევე ჰსაღდება. მთელი ჩვენი ღვინის ვაჭრობა ამ წინათ დანახულს აზრზეა აგებული და ამიტომაც არც ერთს სირაჯს. არც ერთს ვაჭარს ღვინისას იმისი სამზადისი არა აქვს, რომ ღვინო მის სარდაფში ორი, სამი და ოთხი წელიწადი ინახებოდეს. რაკი ამდენს ხანს ღვინო გაუსყიდავი არ დაურჩება — რა ხელსაყრელია ამისთანა სამზადისი?

ამ ბოლოს ხანებში ჩვენებურმა ღვინომ ფეხი შედგა რუსეთის ბაზარში. ეს გარემოება, რასაკვირველია, ღვინის გამძლეობის თადარიგს გააძლიერებს ჩვენში, რადგანაც იმ სიშორეზედ გადატანას ღვინისას ეხლანდელზედ მომეტებული გამოლეობა უნდა ჰქონდეს და ვაჭრობა ღვინისაც იქ, საცა, როგორც რუსეთში, ღვინოს მარტო შეძლებული კაცი სვამს, უნდა იმედოვნებდეს. რომ დახანებული ღვინო იმის სარდაფში არ გაფუჭდება გაუძლეობის გამო. ნურვინ იფიქრებს, რომ ამ თადარიგს ვერ შეუდგება ჩვენებური კაცი უვიცობის, უცოდინაროზის გამო. ღვინის ხელი ამ შემთხვევისათვისაც ძალიან კარგად იცის ჩვენებურმა კაცმა და თუ ჩამოუვარდება ევროპიელს რაშიმე, მარტო იმაში, რომ მარგებელის ღვინის წამლობით საწამლავად გარდაქმნა გამძლეობისათვის არ იცის და მადლი ღმერთსაც, რომ ეგრეა.

ამ სახით გაბედვით დავარწმუნებთ ყველას, რომ თუ ჩვენებურს კაცს ბუნებურის ღვინის შენახვა ჰსურს დიდ ხანს, ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ თვითონ ღვინო უნდა აირჩიოს შესაფერის ჯურის ყურძნისა და იმ ვენახისა, რომლის მიწა ან უნარს აძლევს ყურძნის წვენს ბუნებითად. ამას გარდა ისიც იცის, ამ შემთხვევაში რა გზით არის საჭირო ხელის შეწყობა, და ისიც იცის. ბუნებურ ძალთა ღვინისას რა გაუბრუნდებს ხოლმე გზასა და რა უშლის მათს თავისუფალ მოქმედებასა ღვინის გასამძლეოდ, ამ ცოდნას გამოიყენებს კიდეც, თუ დაინახავს სარფას, — ამ ერთადერთს საეკონომიო სანატრელს ყოველის მრეწველობისას.

XIV

ჩვენ ის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჩვენში, როგორც ევროპაშიაც, ორნაირი დუღილი იციან ღვინისა, და რადგანაც ეს თავის ადგილას არ მოვიხსენიეთ, ბოდიშს ვიხდით, რომ ხელახლად ამ საგანზედ ჩამოვაგდებთ საუბარსა. ერთნაირი დუღილი დახურულია და მეორე ახდილი. ჩვენში დახურულს დუღილს მისდევენ უფრო ალაზნის მარჯვენა მხარეს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრის სოფლებში. და ახდილს კი—უფრო გაღმა-მხარში, ალაზნის მარცხენა მხარის ადგილებში. საცა დახურული დუღილია, იქ რაკი თავის ზომის ჭაჭას მისცემენ „ტკბილსა“, ქვევრის ყელში ჯვარედინად ჯოხებს გასჭედენ საკმაოდ ხშირად, რომ, თუ ვინიცობაა ჭაჭამ დუღილის გამო ქუდის გასაკეთებლად ძალიან ამოიწიოს, ქვევრს სარქველი არ ახადოს და არ ამოვიდეს. აგრე გაწყობილს ქვევრს დახურავენ სარქველს და მიწას მიაყრიან. დუღილისაგან ამომბდარს ბუღსა, მაგალითებრ ნახშირმჟავისას, ამ გზით გამოსავალი აქვს იმოდენად საკმაო, რომ შიგ არ ჰგუბდება, და გარეთის ჰაერის მიკარებას კი ამ გზით ცოტა არ იყოს დაბრკოლება ეძლევა, რადგანაც დახურულის დუღილის ერთი მიზეზი ეს არის, სხვათა შორის. ახდილის დუღილისათვის კი სარქველს ხშირად არა ჰხურავენ, და თუ ჰხურავენ, მიწას აღარ აყრიან ასე, რომ ტკბილი ზეზე ჰდუღს და ზოგჯერ მდუღარი ტკბილი ქვევრის ნაპირებზედაც გადმოვა ხოლმე. როცა ტკბილი დიდის დუღილის შემდეგ უკან ჩაიწევს, ჯოხებს ქვევრის ყელში მაშინ უკეთებენ, მას შემდეგ დაჰხურვენ და მიწას მიაყრიან. რვა-ცხრა დღის შემდეგ ჭაჭა ზევით ამოვა, მიებჯინება ჯოხებს და ქუდს იკეთებს. ამ ქუდს, მინამ გასტეხენ და დაურევენ, ჯერ ზემო პირს მოსწმენდენ დიდის გულმოდგინებით იქამდე, ვიდრე მშრალს ჭაჭას მთლად არ ამოიღებენ და სველზედ არ დავლენ, და ამის შემდეგ დაურევენ. ამას ამიტომ ჰშვრებიან, რომ სიმშრალისაგან დამჟავებული და ძმარშეპარებული ჭაჭა, ჭაჭისა და ღვინის ჰუჰყო

არ ჩააყოლონ. ღვინო, რასაკვირველია, დარევის შემდეგ კიდევ ცოტად წამოჰდუღდება, ჭაჭა თანდათან ძირს წავა და თხლესთან ერთად დაიძირება. ამას ხანი უნდა და ამ ხანის გავლის შემდეგ კიდევ ახდიან ქვევრსა, და თუ ქვევრს წიპწა რამ, ანუ პრკე, ანუ რაიმე ქაფი ზედ მოუგდია, ამას ყოველს ბეჯითად ამოსწმენდენ, და თუ აბურცული ყურძნის მარცვლის კანია, ამას კი ხელახლად დასრესენ ხელით და ტკბილს მისცემენ. მერე გადამსების თადარიგს შეუდგებიან. გადამსებაში დიდს სიფრთხილეს ჰხმარობენ, რომ ერთიერთმანეთის ფერის, სიმაგრის და გემოს ღვინო მიუყენონ. ხშირად სრულად გავსებას ქვევრისას დრომდე აქაც ერიდებიან, რადგანაც იციან. რომ ღვინო ჩუმს დუღილს დიდხანს არ მოიშლის და ეშინიანთ ან ღვინომ არ ამოიწიოს და არ გადმოვიდეს ქვევრიდამა, ან ქვევრი არ გახეთქოს დაუტევრობისაგან, თუ სხვა გზა არ აქვს. ევროპაში დახურულს დუღილს, — მხოლოდ იმოდენად კი დახურულს, რომ დუღილის ბუღს გამოსავალი ჰქონდეს, — ამჯობინებენ. თუ ჩვენში ზოგან ახდილი დუღილია, ეს უვიცობას არ უნდა მიაწერონ, რადგანაც ჩვენც ვიცით დახურული დუღილი, და თუ ზოგან არ მივდევთ ამნაირს დუღილსა და ზოგან მივდევთ, რაიმე პატივსადები მიზეზი უნდა იყოს, ან ადგილზედ, ან ჰავაზედ, ან სხვა რაზედმე დამოკიდებული. ჩვენებურნი მეცნიერნი, იმის მაგიერ, რომ ხელაღებით მჩვარში გვხვევენ, ისა სჯობდა ამ მიზეზის გამოძიებას შესდგომოდნენ. იქნება ამით საცოდნელად ღირსი რამ ამოეჩინათ და იმათთვისაც კარგი იქნებოდა და ჩვენთვისაც.

ეხლა გადავიდეთ, ღვინის გამძლეობისათვის რა ღონეა ჩვენში მიღებული. წინათაც ვსთქვით,—ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ყველამ კარგად იცის, რომ გამძლეობის უნარი, თუ თვითონ ღვინოს არა აქვს ბუნებისაგან თან დაყოლილი, უწამლოდ ამისი აჩენა შეუძლებელია. ესეცა ვსთქვათ, რომ არის ჩვენში იმისთანა ჯურის ყურძნისა და იმისთანა ადგილის ღვინო, რომელსაც ეს უნარი ბუნებითად თან დაყოლილი აქვს. რომელიც ღვინის მოწამვლას ერიდება და მარტო ბუნებურ ღვინოზეა მიქცეული, როგორც ჩვენში, იმან ძა-

ლიან კარგად იცის, რომელი ყურძნის წვენი გამძლე ღვინოს იძლევა და რომელი ადგილი, და რაგვარად კაცმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ეს გამძლეობის უნარი ღვინისა არ დაიხშოს. ჩვენებურმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ ამისათვის მარტო ერთადერთი ღონეა—იმდენჯერ წმინდად გადაღება ღვინისა, ვიდრე ღვინო ლექის კეთებას არ მოიშლის. ამის შესატყობრად აი რა არის საჭირო: როცა ქვევრში, თუ ბოჭკაში, თხლე-ჭაჭიდამ გადაიღებენ დაწმენდილს ღვინოს, მაშინ ერთი ბოთლი ღვინო უნდა ამოიღოს კაცმა, კარგად დაუცვას და იმავ ქვევრის თუ ბოჭკის ადგილას დასდგას. დროგამოშვებით ინახულოს ეს ბოთლი, და როცა ჰნახავს, რომ ღვინოს ლექი გაუკეთებია ბოთლში, უსათუოდ ქვევრსა და ბოჭკაშიაც ლექს გაიკეთებდა. ქვევრისათვის ეს ისეთი ზედმიწევნილი ნიშანი არ არის, როგორც ბოჭკისათვის, იმიტომ რომ ქვევრში, რადგანაც მიწაშია, და ბოთლი ზეზე ჰაერზედ, გარემოება ერთისა და მეორისა სხვადასხვა არის სითბო-სიცივის და სინათლის სხვადასხვაობის გამო. ამიტომაც შესაძლოა, რომ ქვევრმა უფრო გვიან გაიკეთოს ლექი, ვიდრე ბოთლმა. აქ მარტო დროს მეტნაკლებობა ითამაშებს და ამას გამოცდილება ადვილად დაასწავლის კაცს, რომელი იკეთებს ადრე თუ გვიან ლექსა. ამ სახით, რაკი ბოთლში ღვინომ ლექი გაიკეთა, მაშინვე უნდა გადაიღონ, და ესე მოიქცნენ, ვიდრე უკანასკნელად გადაღებული ღვინო ბოთლში ლექს აღარ გაიკეთებს. ლექი აღარ ექმნებაო რომ ვსთქვით, ეგ მეტისმეტი მოგვივიდა, იმიტომ რომ, ამ გზით ძალიან კარგად გამოყენებული ღვინოც კი, თუ ძალიან დიდ ხანს შეინახა ბოთლში, მაინც ლექს გაიკეთებს თავის დროზედ, მაგრამ კარგად გამოყენებულის ღვინის ლექი ერთს ლარზედ ანუ ხაზზედ კეთდება და გარშემო კედლებს ბოთლისას არ გაეკვრის ხოლმე, როგორც ეგ გამოუყენებელმა ღვინომ იცის. ღვინოს ზემოხსენებულის გზით გამოყენებას ხუთი და ექვსი წელიწადი უნდება, და ამ ხანში ლექის გაკეთების უმალვე გადაღება და გადაწმენდა უსათუოდ საჭიროა, თუ გსურთ, რომ ღვინო გამძლე იყოს.

რაკი ესე მოუარეთ ხუთისა თუ ექვსის წლის განმავლობაში ღვინოსა, მერე კი ბოჭკებიდამ თუ ქვევრებიდამ ღვინო ბოთლებში უნდა ჩაისხას და განგებ არჩეულის პრობკით დაიცვას მაგრად. ბოთლების დაწვენით შენახვას უფრო ჰრჩეობენ ევროპიელნი, რადგანაც ამ გზით პრობკა ყოველთვის სველია, და თუ გაშრა კი, როგორც აყენებულს ბოთლს მოსდის, ღვინის სუნი ადვილად გზას იპოვის გამოსასვლელად. თუ ამრიგად დაწვენილმა ბოთლმა გარეშემო კედლებზედაც ლექი მოიკიდა, ეს იმისი ნიშანია, რომ აჩქარებულან და კარგად გამოყენებული ღვინო არ ჩაუსხამთ. უცოდინარნი კი სწორედ ამ კედლებზედ გაკრულ ლექით სტყუვდებიან და უვიცობის გამო იძახიან: აბა, კარგად გამომდგარი ღვინო ეს არისო. სულ სხვაა თუ ბოთლმა ლექი გაიკეთა მარტო იმ მხრივ, რომელზედაც დაწვენილია და მარტო ამ მხრის ერთის ხაზის გაყოლებაზე; მაშინ ითქმის, რომ ღვინო კარგად გამოყენებული ჩაუსხამთ ბოთლში. მართალია, ამ გზით ღვინოს გამძლეობა ეძლევა და რაც ხანი გადის, უფრო და უფრო კეთდება, ხოლო ხანს ღვინისას, მის გამძლეობას, თავისი საზღვარი აქვს, და თუ ღვინო ამ საზღვარს გადასცილდა, ეკარგება თავისი გემო, ღირსება და ფასი.

ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ბოთლებში გადაღებამდე არა ვჭიმავთ, იმიტომ რომ სახეში არა გვყავს, ვისთვის და რისთვის ავიკვიატოთ ამოდენა დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი. ჩვენ ღვინის ქვევრში შენახვის იქით აღარ მივდივართ, რადგანაც ჩვენის ეხლანდელის ბაზრის მიხედვით—ეგ მეტი ციებ-ცხელებაა. აბა უტკივარს თავს განგებ ვინ აიტკიებს მარტო ცარიელ სახელისათვის, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, საცა სახელთან ერთად გამორჩომის იმედიც ამოქმედებს კაცსა, როგორც მაგალითებრ ყოველს საეკონომიო მოღვაწეობაში საერთოდ და ღვინისაში საკუთრივ.

XV

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ჩვენი თადარიგი ღვინის გამძლეობის თაობაზედ ქვევრში ღვინის შენახვის იქით აღარ მიდის. რადგანაც ჩვენი ქვევრი მეტად ათვალწუნებულია ჩვენთა მეცნიერთაგან, ამიტომაც მეტი არ იქნება ქვევრის ავკარგიანობა ამ მხრითაც შეძლებისამებრ გამოვიძიოთ. ჯერ ყველაზედ უწინარეს ქვევრის სიკეთისათვის საჭიროა კარგის თიხისა იყოს და კარგად გამომწვარი. ამიტომაც ჩვენებური კაცი, ვიდრე ქვევრს იყიდდეს, ჯერ გამოიკითხავს, რა ადგილის თიხისაა და სად არის გამომწვარი. ყველამ იცის, სად და რა ადგილის ქვევრია კარგი. ამას დიდის გულმოდგინებით ეძიებენ და ამისათვის ფასსაც კი არა ჰზოგავენ. ქვევრს თუ არ ჩაჰკირვენ, ისე არ ჩასდგმენ მიწაში, ვისაც კი წელი მისდევს. ეხლა კი ზოგან შეუძლებლობის გამო ამ ხარჯს აღარ ეწევიან და ეს შეუძლებელნიც სურვილს იმოდენად არ სჭიმვენ, რომ ღვინის სიკეთით თავი ვიჩინოთო. კარგს ქვევრს, კარგად ჩაკირულს და მიწაში ჩადგმულს, რაც უნდა კარგი იყოს, ერთი დიდი წუნი მაინც აქვს და აქვს. ეს დიდი წუნი ჩვენის ქვევრისა ის არის, რომ არც გამოსაშვები მილი მოუხერხდება, არც ისეა მიწაში ჩადგმული, რომ სიფონით ღვინის გადაღება შეიძლებოდეს ერთის ქვევრიდამ მეორეში, რადგანაც სიფონით გადაღებისათვის ერთი ქვევრი მაღლა უნდა იდგეს და მეორე დაბლა. სადამდინაც დაბლა მდგომი ქვევრი მაღლა მდგომსა სწვდება, სწორედ იმ ხაზამდე გადმოვა სიფონით ღვინო მაღლიდამ დაბლა და მეტი ერთი ცვარიც არ გადმოჰყვება. ამიტომაც საჭიროა, რომ ერთის ქვევრის ძირი მეორე ქვევრის პირთან ერთს ლარზედ მოვიდეს, რომ სიფონით შესაძლო იყოს მთლად გადაღება ღვინისა ქვევრიდამ ქვევრში. რადგანაც ჩვენი ქვევრები ერთს მწკრივზეა ხოლმე ჩასმული მიწაში, და რაჴგანაც მიწაშია, ვერც გამოსაშვები მილი გაუკეთდება,—და ამავე დროს ჯერ

სხვა ღვინის ამოსაღები მანქანა შემოღებული არ არის*,— ამიტომ ჩვენებური კაცი იძულებულია ხელით და ჩაფით გადიღოს ღვინო. ერთიც და მეორეც მალე ამღვრევს ღვინოსა, დიდ ხანსაც უნდება კაცი. გარდა ამისა, რომ ამნაირს გადაღებას უფრო მეტი ხარჯი და დრო უნდა, ამნაირი გადაღება ძალიანა ჰლახავს ღვინოს, ის ეფირები და ნაწევარები, რომელნიც სასიამოვნო და ღირებულს სუნს აძლევს, ეცლება და ეკარგება, ნამეტნავად თუ ჩაფით ამოღებულს ღვინოს ღარებში ასხმენ და ისე მიუშვებენ ქვევრში. ჰაერიდამაც ღვინო მავნებელს ნაწევარებს და მტვერს ჩაიყოლიებს ხოლმე: ღვინო მეტად აზიზი რამ არის და ყოველ ამას მის სიკეთეზედ მოქმედება აქვს.

იქნება ბევრმა არ იცოდეს და ჩვენში ქვევრის ამ ნაკლზედ არა ერთი და ორი დაფიქრებულა: ცდაც კი იყო ამ ნაკლის მოსაშორებლად. ჩვენში იყო ერთი თ. გურგენიძე, რომელიც ჰცდილობდა ეს ნაკლი ქვევრისა როგორმე აეცილებინა, და ამას აქ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ მის აზრს ამ საგანზედ თავისი საბუთი აქვს და ადვილადაც შესასრულებელია. განსვენებული თ. გურგენიძე იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენებური მარანი სხვარიგად უნდა აიგოს. იგი ამბობდა, მარანი სამ კიბედ მაინც უნდა ჩაითხაროსო, ანუ უკეთ ვსთქვათ, მარანს სამი დიდი ბაქანი (ტერასა) უნდა გაუკეთდესო იმოდენად ერთიმეორეზედ მაღალი, რამოდენიც ქვევრს სიმაღლე აქვს, ასე რომ შუა ბაქანის ქვევრის პირი ზემო ბაქანის ქვევრის პირთან მოდიოდეს და ქვემო ბაქანისა შუა ბაქანის ქვევრის პირთან. ორთა-შუა სიმაღლე ქვევრისა რომ ვიქონიოთ საბეში, მკლავმაღლა გაჭიმულად აწვდილ კაცის სიმაღლეზედ მეტი არ გამოვა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ორი გაზანდრის ადლი. მაშასადამე, თვითო ბაქნის სიმაღლეს მოუნდება ორი ადლი და სამს ექვსი ადლი. თვითეულს ბაქანს, რასაკვირველია, იმო-

* ეხლა ამისთანა მანქანა არის თურმე მოგონილი. ჩვენ არ გვინახავს, და ამბობენ-კი, ძალიან კარგი არისო, თხლემდე ისე ამოაქვს ღვინო, რომ სრულებით არ ამღვრევსო. ერთს დაუბარებია ეს მანქანა ევროპიდამ და ოცდათოთხმეტი თუმანი დასჯდომია.

დენა დიდი მოედანი უნდა ჰქონდეს, რომ ქვევრი თავისუფლად ჩაიდგას და ჩათხრილ გვერდიდამ იმოდენა სიგანის მიწა შეჰრჩეს, რამოდენადაც ცვლილებას გარეთის ჰაერისას გაუძლებს და არ შეიყოლიებს. ეს ჩათხრილი გვერდია მარტო აქ საშიში, ვაი თუ ამან ვერ გაუძლოს გარეთის ჰაერის ცვლილებას, შესაფერი ურჩობა ვერ გაუწიოს, ცვლილება ჰაერისა ქვევრსაც მისწვდეს და ერთის გვერდიდამ ქვევრს ერთის ზომის სითბო-სიცივემ შეატანოს და სხვა გვერდებიდამ სხვა ზომისამ. მაშინ ქვევრს თავისი უმთავრესი მნიშვნელობა დაეკარგება, სახელდობრ, ისა, რომ ისე პირდაპირ მიწაში ჩადგმულს თანაბარი სითბო-სიცივე არტყია გარსა,— ზაფხულში ღვინისათვის საკმაოდ გრილი, ზამთარში საკმაოდ თბილი, გარეთს ჰაერს თუ შეადარებთ, — და ეს ღვინის გამძლეობისათვის დიდი რამ არის. ამ მხრით, გვგონია, მოევლებოდეს რამ თ. გურგენიძის აზრსა, და თუ მოევლება, თ. გურგენიძის აზრი მეტისმეტად საყურადღებოა და მჩვარში გასახვევი არ არის. ამნაირად აგებულს მარანში სიფონი ძალიან კარგად იმუშავებს ღვინის გადასაღებად და დიდს შეღავათს და ხეირსაც აჩვენებს ამისთანა მარნის პატრონს. მით უფრო, რომ სიფონი მეტისმეტად იეფია და ადვილად სახმარი.

ჩვენებურს ქვევრს ერთს სხვა წუნსაც სდებენ ჩვენი მეცნიერნი: მიწიდამ წყალსა და ნესტს სწოვსო და ღვინოში შეაქვსო. ეს მართალია, თუ ქვევრი კარგად ჩაკირული არ არის და ამასთან კარგის თიხისა და კარგად გამომწვარი. ეს არის მიზეზი, რომ როცა ზოგიერთს ქვევრს ცოტად მოაკლებ, ისევ რამდენისამე ხნის შემდეგ აივსება ხოლმე, თუ ნამეტნავად მარანსა ჰრწყვენ. ეს მატება ზოგს ქვევრის სიკეთედ მიაჩნია, მადლიანი, დალოცვილი ქვევრია და თვითონ ჰმატულობსო, და იმას კი აღარ ჰფიქრობენ ქვევრის უვარგისობისას: ან ცუდის თიხისაა, ან ცუდად გამომწვარია, ან ცუდად ჩაკირული.

გარდა იმისა, რაც წინა წერილში მოვიხსენიეთ, სხვა რა წუნი აქვს ჩვენებურს ქვევრსა? არაფერი, თუ კარგად არჩეუ-

ლია, კარგად მოვლილი და ნაპატრონები. ჯერ ერთი ისა, რომ თითქმის ქვად ქცეულია და ბოჭკასავით ღვინოს იმ ერთგვარს ნაწევარს არა ჰმატებს, რაც მუხის ფიცარსა აქვს და ღვინოს ზოგჯერ მეტად მწკლარტს გემოს აძლევს. ეს კიდევ არაფერი, რადგანაც ხშირად არ მოხდება ხოლმე, ნამეტნავად თუ ღვინო ძალიან დიდ ხანს არა ჰრჩება ბოჭკაში და თავის დროზეა გადაღებული ბოთლებში; თუ არა და ბოჭკაში ძალიან დიდ ხანს ნადგომს ღვინოს რაღაც კუპრის მსგავსი გემო შეძლევა.

ღვინო რომ კარგად შეინახებოდეს ჭურჭელში, მინამ ბოთლში გადასაღები გახდება, ამისათვის საჭიროა არც მეტისმეტს ნესტიანს ადგილას იდგეს, არც მეტისმეტს მშრალს ადგილას. ბოჭკა რადგანაც ზეზეა, ვერც ნესტისაგან შეინახავს თავს, ვერც სიმშრალისაგან, როცა ან სველობაა, ან გოლვა. ნესტისაგან ბოჭკას ობი ეკიდება, წელ-სარტყმელი წნელი ულპება, ჰწყდება და ხშირად ისე მოულოდნელადაც და ანაზდეულად, რომ ღვინოს დაღვრისაგან ვერც კი გადაარჩენენ ხოლმე. ეს ხშირად მოხდება ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა დღე და ღამე ერთმანეთს უსწორდება. როცა გოლვაა და მშრალობა, მაშინ ბოჭკა ძალიან იშრობს ღვინოსა, ასე, რომ ას ორმოცდაათს თუნგზედ შვიდ-რვა ბოთლს იკლებს თვეში, მაშინ როდესაც ზომიერად ნესტიანობაში კი მარტო ორსა, და თუ გასჭირდა სამს ბოთლსა. ამის გამო, თუ მშრალობაა, ბოჭკას თვეში ოთხჯერ და ხუთჯერაც გადავსება უნდა, და თუ ზომიერი ნესტიანობაა—ორჯელ მაინცდამაინც.

ღვინო ითხოვს, რომ მისი ჭურჭელი, რაშიაც სდგას, დიდს სიცხესაც მოცილებული იყოს და დიდს სიცივესაც, და მაინცდამაინც ისეთს გარემოებაში იყოს, რომ სწრაფად ცვლა გარეთის ჰაერის სითბო-სიცივისა ვერ მისწვდეს.

მზის სხივის სინათლე არ უნდა სწვდებოდეს ჭურჭელსა, იმიტომ რომ მზის სხივი ათბობს და ღვინოს აფუჭებს. ყოველს ამას ისეთი ჭურჭელი, რომელიც ბოჭკასავით ზეზე უნდა იდგეს, ვერას გზით ვერ აიცილებს.

ღვინომ რომ თავი დაიჭიროს, საჭიროა 10°-ზედ ნაკლები

და 12°-ზედ მეტი სითბო არ ერჩოდეს. ზეზე მდგომელს ჭურჭელს, რომელსაც ჰაერი ახვევია ყოველის მხრით, აუცილებლად ხან მეტი სითბო ექნება და ხან ნაკლები იმისდა მიხედვით, რა სითბო-სიცივეა გარეთს ჰაერში. მაინცდამაინც თანაბარობა, სითბო-სიცივის ზომის იგივეობა, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ღვინის კარგად შენახვისათვის.

რასაკვირველია, თუმცა ბოჭკას ამოდენა განსაცდელი სდევს, მაგრამ წამალიცა აქვს. რადგანაც ბოჭკა იმისთანა ჭურჭელია, რომ არც ერთს ზემოხსენებულს განსაცდელს თვითონ ვერ უძლებს და ევროპაში ესგვარი ჭურჭელი თითქმის ყველგან ხმარებულია, ამიტომაც იქ, რაც ჭურჭელს აკლია, იმას თვითონ მარანს, ანუ სარდაფს მოსთხოვენ ხოლმე. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის აღწერას, თუ როგორს მარანს, ან სარდაფს აშენებენ. ჩვენთვის ამჟამად საკმაოა მარტო ისა ვსთქვათ, რომ სარდაფს, ანუ მარანს, იმ წინდახედულობით აკეთებენ, რომ საჭირო სითბო-სიცივის ზომაც, სინათლისა, თუ ნესტ-მშრალობისა, — როცა უნდათ, — იმ დონეზედ დააყენონ ხოლმე, რა დონესაც დრო და ჰაერის ცვლილება მოითხოვს. ამ სახით იქ მარანს, ანუ სარდაფს, აკეთებენ იმ წინდახედულობით, რომ ღვინის ჭურჭელი ხსენებულს განსაცდელებს მოაშორონ, და ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს ღვინისას ვაყენებთ იმ მდგომარეობაში, რომელზედაც იმ განსაცდელებს ხელი არ მიუწვდებათ.

ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვად ქცეულ თიხისაა და მიწაში ჰზის სწორედ, — იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ მარანი ევროპიელს. აბა ყოველი ზემოხსენებული განსაცდელი ჩამოსთვალეთ და ჩვენებურ ქვევრით შენახვას ღვინისას ზედ მიაყენეთ, თუ ყოველს ამაში ჩვენმა ქვევრმა თავი არ დაიჭიროს, არ იმართლოს და ბოჭკაზედ მეტი სიკეთეც სართად არ დაამატოს, ჯერ იმით, რომ ქვევრით გაწყობილი მარანი გაცილებით იაფია, ვიდრე ევროპიული მარანი, რომელიც იმდენად უფრო ძვირია, რამოდენადაც ბევრი განსაცდელია წინ დასანახავი ბოჭკის გამო. მეორე ისა, რომ ჩვენი ქვევრი არ იშრობს ღვინოსა და ბოჭკა

კი; რაც უნდა კარგად გაკეთებული და ძვირფასი მარანი იყოს, უსათუოდ შეიშრობს და თვეში უკანასკნელად ორჯელ მაინც გადავსებას ჰსაჭიროებს. მესამე ასა, რომ ქვევრი მთელს საუკუნოებსა სძლებს და ბოჭკა კი არა. ესეც დიდი ანგარიშია საეკონომიო საქმეში. ერთი ეს არის, რომ ქვევრიდამ ღვინის ამოღება უფრო ხარჯიანია, უფრო ცოტად თუ ბევრად საზარალოა, როგორც ზემოთა ვსთქვით, ხოლო იგივე ქვევრი, როგორც ღვინის სადუღარი და შესანახი ჭურჭელი, ჩვენის ფიქრით, თუ არ სჯობია ბოჭკას, არაფერში არ ჩამოუვარდება.

როგორ ინახავს თანაბარად სითბო-სიცივეს ჩვენი ქვევრი— ეს ხომ წინათაც ვსთქვით, როცა დუღილზედ ვლაპარაკობდით. ისიცა ვსთქვით, რომ მიწით მჭიდროდ გარშემორტყმული და საკმაოდ ღრმად მიწაში ჩამჯდარი ქვევრი ზამთარში იმოდენა სითბოშია, რაც საჭიროა, და ზაფხულშიაც საკმაო სიგრილეშია, რადგანაც მიწა ზამთარში გარეთს ჰაერზედ ბევრად თბილია და ზაფხულში ბევრად გრილი, და ძნელად ერთსაც და მეორე შემთხვევაშიაც სითბო 10°-ზედ ნაკლები და 12°-ზედ მეტი ექნება, ნამეტნავად ჩვენში. სინესტეც გადამეტებული არა აქვს ჩვენში მიწას. აქ ჩვენში მეტისმეტი სიმშრალე უფრო საფიქრებელია, ვიდრე სინესტე, და როცა ეს არის, მარანსა ჰრწყვენ ხოლმე. მზის სხივი ხომ ვერას გზით ვერ მიეკარება მიწაში ჩადგმულს ქვევრსა, და ჩვენა გვგონია, ეს სიბნელე, რაშიაც ქვევრი იმყოფება, იქნება სწყინდეს კიდეც ღვინოს და ერთი წუნიც ქვევრისა შესაძლოა ეს გარემოებაც იყოს.

ამ სახით ერთი და იგივე საჭიროება ღვინის შენახვისათვის ჩვენგანაც იმოდენად ცნობილია, რამოდენადაც ევროპაში, და იმოდენადვე დაკმაყოფილებულია, ხოლო სხვადა სხვა გზით-კი. იქ მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ-კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც არა განსაცდელი არ ერჩოდეს.

XVII

რაც დღევანდლამდე წერილები იყო დაბეჭდილი, იმითი ვათავებთ ბუნებურ ღვინის კეთებაზედ საუბარს. რასაკვირველია, ჩვენ აქ ყველაფერი ვერ ჩამოვთვალეთ, რაც ჩვენში ბუნებურ ღვინის კეთების რთულს საქმეს შეადგენს. ამ რთულის საქმის ყოველის ცოდნა თვითონ ხალხში უნდა მოიძებნოს, და დავარწმუნებთ, რომ ჩვენში ბევრს იმისთანა კაცს იპოვიან, რომელნიც ამის შესახებ ბევრს რასმე ასწავლიან ჩვენს მეცნიერებს, ბევრს იმისთანას, რაც გაგონებითაც არ გაუგონიათ და ფრიად გამოსაყენი კი არის. ეს დაწვრილებით და უკეთესის ცოდნით აღწერა ჩვენებურად ღვინის კეთებისა ჩვენზედ უფრო მცოდნე კაცს უნდა დაეთმოს, და ჩვენ კი ამჟამად საკმაოდ დავინახეთ გვეჩვენებინა მკითხველისათვის მარტო ის უმთავრესნი მოქმედებანი ღვინის კეთებისა, მოვლისა და შენახვისა, რომელიც აშკარა მაგალითი და საბუთია იმისი, რომ, რაც ბუნებურ ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენაც ევროპიელთა. განსხვავება თუ რაშიმეა, მარტო იმაშია, რომ იქნება ისინი უფრო სასწრაფოს და ხერხიანს ღონესა ჰხმარობენ, და ჩვენ უფრო გვიანსა და უხერხულსა ერთსა და იმავე საჭიროებისათვის, ხოლო ორსავე ღონეს კი ერთსა და იმავე საგნამდე მიჰყავს. რკინისგზით მომავალი ქალაქს და ურმით, ორნივ ქალაქში ჩამოვლენ. ერთი მალე და გაუჭირებლად, მეორე გვიან და გაჭირებით, მაგრამ პირველი მეორეს ამის გამო ვერ უკიჟინებს, შენ არ იცი სად მოხვიდოდიო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რკინისგზა ხომ კაი გზაა, მაგრამ ტფილისიდამ, ვსთქვათ, ლილომდე არავინ გაიყვანს, იმიტომ რომ ხარჯი მეტი იქნება მოგებაზედ და არავინ დაგვძრახავს: „დახე რა უცოდინარნი არიან! მაშინ, როდესაც ევროპაში რკინისგზები იციან, აქ კი ამისი გაგებაც არა აქვთ, აუღიათ და ტფილისიდამ ლილომდე ურმით დადიანო“. ყველას თავისი მიზეზი აქვს, ღვინის კეთების საქმეს თავისი, და დიდად პატივსადებიცა, იმიტომ

რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, გაშასადამე, ისეთნივე გარდაუვალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი. ჩვენ იქნებ ბევრს რაშიმე ვცდებოდეთ, რადგანაც ჩვენი ცოდნა ჩვენებურად ღვინის კეთებისა ძალიან ფეხმოკლეა იმ ცოდნასთან, რაც თვითონ ჩვენმა ხალხმა იცის. ამაში ჩვენ არავის ავუხირდებით. ხოლო მთელი ეს ჩვენი გრძელი საუბარი მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ზოგიერთს უმთავრესს მოქმედებას ჩვენში ღვინის კეთებისას, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზი ავუხსენით და საბუთი ვუპოვეთ და ვეცადენით დაგვემტკიცებინა, რომ არც ერთი და არც მეორე უვიცობისაგან არ არის წარმომდგარი. პირიქით, რაც საჭიროა ბუნებურის ღვინისათვის, ჩვენ იგი ყოველი გვცოდნია, რადგანაც ჩვენებურს თვითეულს მოქმედებას იქ მივყევართ, საცა მიდიან ევროპიელნი, როცა ბუნებურის ღვინის დაყენება ჰსურთ. და თუ ამ სვლაში რაიმე მეტნაკლებობაა ჩვენსა და მათ შორის, ეგ იმ რთულ გარემოებათა ბრალია, რომელთა კრებულიც ხშირად ცოდნას უკან აყენებს და გამორჩომისათვის ათმობინებს ადგილსა. ესეთი ძალა აქვს საეკონომიო ძალასა.

დავამტკიცეთ ჩვენ ყოველივე ეს თუ არა, ეგ მკითხველის საქმეა, და ჩვენ-კი მხოლოდ ამას ვიკმარებთ, თუ ჩვენგან ახსნილი მიზეზნი და საბუთნი იმდენად ყურადღების ღირსნი აღმოჩნდებიან, რომ კაცმა ზურგი არ შეუქციოს და ანგარიში გაუწიოს, როცა ჩვენებურად ღვინის კეთების ავკარგიანობაზედ ჰლაპარაკობენ. ჩვენი დრტვინვა და ჩივილი მარტო ის არის, რომ მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზედ არ არის დამყარებული ჩვენთა წუნმდებელთა წუნი. ეს მეტისმეტი კადნიერებაა მთელის ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და, მაშასადამე, მთელის საუკუნოების გამოცდილება წინ უდევს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხანგრძლიობა ყოველთვის სიმართლეს მოასწავებდეს, მაგრამ იმოდენად პატივსადები კია ცნობიერის კაცისაგან, რომ განურჩევლად, გამოუძიებლად უარყოფას იუცხოვებს და უკადრისობად ჩასთვლის.

XVIII

რაც შეეხება ადამიანის ოსტატობით და ხელით ბუნებურ ღვინის გარდაქმნასა, ანუ ყალბის ღვინის შექმნას, რომელსაც ჩვენი მეცნიერნი მაინც კეთებას ეძახიან, ამაში კი, უნდა გამოვსტყდეთ, ევროპიელნი უანგარიშო მანძილზედ ჩვენზედ წინ არიან. რაც დღევანდლამდე მეცნიერებას ამ საგნის გამო აღმოუჩენია, სულ ყოველი ხელთა აქვთ ევროპიელთ ოსტატებსა. თუმცა ამ თითქმის ყოვლად შემძლებელმა მეცნიერებამ დიდი ძალ-ღონე მიჰმადლა ყალბის ღვინის ოსტატებს, მაგრამ ამავ პირუთვნელმა მეცნიერებამ გამოაქვეყნა საყოველთაოდ ყოველივე ეშმაკობა, რაც კი ბუნებურს ღვინოს, — ამ მარგებელს და სასიამოვნო სასმელს ადამიანისას, — ჰრყვნის, აფუჭებს და ხშირად სნეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაცა ჰხდის.

ვიდრე ამის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ყველაზედ უწინარეს ერთს აზრს, არა ერთხელ გამოთქმულს ჩვენში, პასუხი გავცეთ. მით უფრო ანგარიშში მოსატანია ეს აზრი, რომ იგი შიგნით ტყუილია და თვალად-კი მართალსა ჰგავს. ამ აზრს ძალიან ეჭიდებიან ოსტატურის ღვინის კეთების მომხრენი. იგინი ამბობენ: მარტო უმეცარი თუ იტყვის, რომ ქვეყანაზედ ბუნებური ღვინოაო, განა ბუნება ღვინოსა ჰქმნისო? აქ რაც არის, კაცია და იმისი ოსტატობა და ხელიო! კაცი რომ არ იყოს, განა ბუნება ღვინოს შეჰქმნისო? აბა მაგალითი გვიჩვენონო, სად აკეთებს ბუნება ღვინოსაო?

ამ ხუთმეტი წელიწადის წინ ვენაში ღვინის კეთების თაობაზედ გამოვიდა გერმანულს ენაზედ ერთი პატარა წიგნი ბ-ნ ბერშისა. იგი სწორედ ამასვე ამბობს, თითქო ჩვენებურ მეცნიერთათთვის ყური მოეკრავს, ამათგან უსესხნია იგი ზემოთმოყვანილი აზრი, და თუთიყუშსავით იმეორებსო, — ისე საოცრად ჰგავს იმის ნათქვამი ჩვენის მეცნიერების ნათქვამსა. ბ-ნი ბერში ამბობს:

„ყველაზედ ძლიერი და თვალად გამჭრე ხმალი, რომელიც ხელში უჭირავთ ღვინის ოსტატურად კეთების მოპირდაპირეთა, ერთი ყველასაგან ცნობილი ფრაზაა: „ყოველივე, რასაც კი ბუნებურ ღვინოში ჩაუმატებ, სიყალბეა, და სასმელი, ამ სახით შერევნილი, ღვინო კი აღარ არის, ნაკეთი სასმელია, ჯანმრთელობისათვის მავნებელიო“, ხოლო ესეთი აზრი უღონოა იმ საბუთის წინაშე, რომ ეგრეთწოდებული „ბუნებური ღვინო“ სულაც არ არსებობს; რომ როგორც გამომცხვარი პური, ისეც ღვინო ბუნების ნამოქმედარი არ არის“.

ცოტა ამას ქვემოთ ასე განაგრძობს:

„ყურძენი, თავის ანაბარობაზედ მიგდებული, თავის-დღეში არ გარდაქმნილა ღვინოდ, სწორედ ისე, როგორც ხორბალი თავისთავად არა ქცეულა თავის დღეში ფქვილად და პურად“.

ყოველივე ეს მეტისმეტი მართალია, მაგრამ ტყუილია მარტო აქედამ გამონასკული აზრი. აქაო და ხორბალი თავისთავად ფქვილად არა ქცეულა, განა აქედამ ის გამოდის, რომ ფქვილში კირის გარევა ძალიან კარგია, ან ღვინოში ანწლისა? რა არის ფქვილი? იგივ ბუნების ნამოქმედარი ხორბალია, ფხვნილად ქცეული ადამიანისაგან. რა არის ღვინო? იგივ ბუნების ნამოქმედარი წვენია ყურძნისა, სხვა სახედ ქცეული მისისავე თანდაყოლილის ბუნების ძალთაგან, რომელსაც კაცმა მარტო თავის ნებისა და სურვილისამებრ მიმართულება მისცა და რომელთაც მარტო ხელი შეუწყო. როცა კაცი იტყვის: ეს ფქვილი ბუნებურია, ამით იმისი თქმა უნდა, რომ აქ ფხვნილის ხორბლის მეტი არა არის-რა. როცა კაცი ამბობს: ეს ღვინო ბუნებურია, ეს იმას ჰნიშნავს, რომ აქ ყურძნის წვენის მეტი სხვა არა არის-რა. ესე რომ არ იყოს და ბ-ნ ბერშის აზრს ავყვეთ, მაშინ გაფცქვნილი და დაჭრილი ვაშლიც ბუნების ნამოქმედარი არ იქნება, რადგანაც ვაშლი, თავის ანაბარობაზედ დატოვებული, თავის დღეში არ გაიფცქვნევა და არ დაიჭრება იმ სახით მაინც, როგორც ამას კაცი იზამს ხოლმე.

თუმც ბ-ნი ბერში ასეთი თავგამოდებული მომხრეა ღვინის ოსტატურად კეთებისა, მაგრამ ისიც კი თავს იჭერს და მარტო სამს ნივთიერებას ჰხადის შესაწყნარებლად და მარტო ამ სამს ნივთიერებაზედ ამბობს, რომ მხოლოდ ესენი შეიძ-

ლება ჩაემატოს ღვინის გაბევრებისა და სიკეთისათვისო,— სახელდობრ: წყალი, შაქარი და შეურევნელი, გადაწმენდილი ჰაჰისა თუ ღვინის არაყიო (სპირტი). ამის ჩამატებას იგი იმით ამართლებს, რომ ეს ნივთიერებანი თვით ბუნებითა აქვს მინიჭებული ყურძნის წვენსა, თუ ღვინოსა, და ამიტომაც მათი ჩამატება ბუნების გარყვნა არ არისო.

განა სულ ერთი არ არისო, — ამბობს იგი, — ყურძნის წვენის შაქარი თვითონ ყურძენმა გაიკეთა, თუ შაქრის ლერწამმა და ჭარხალმა, რადგანაც წვენის დუღილში ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე საგანს იძლევაო. ამ სახითვე განა სულ ერთი არ არის, ალკოჰოლი ღვინისა იმ შაქრიდამ წარმოსდგა, რომელიც ყურძენსა აქვს, თუ კარტოფილის შაქრიდამაო. მთელის ქვეყნის ქიმიკოსები ვერ გამოიცნობენ, ალკოჰოლი ყურძნის შაქრისაგან არის წარმომდგარი, თუ განგებ ჩამატებულის შაქრისაგანა. ამას ვერ გამოიცნობენ, იმიტომ რომ არავითარი განსხვავება არ არისო.

ჯერ თვითონ ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ბ-ნი ბერშიც კი ჰთაკილობს, ძნელად ჰბედავს, ბუნებურ ღვინის შერევნასა, და რადგანაც გული მაინც ღვინის შერევნისაკენ მიუწევს და იგივ გული ამავე დროს როგორღაც ეთანაღრება, თავს იმით მართლულობს, რომ წყალი, შაქარი, ალკოჰოლი, თვითონ ბუნებით დაყოლილი თვისებაა ყურძნის წვენისა თუ ღვინისა და ამათი ჩამატება ბუნების წინააღმდეგი არ უნდა იყოსო; როცა, მაგალითებრ, ამინდმა ხელი არ შეუწყო, ყურძენი არ მოაწია და წვენი მჟავეა, მაშინ სჩანსო, ამბობს იგი, რომ ბუნებამ ვერ მოასწრო შესაფერის სიტკბოს მიცემა, და რაც ბუნებამ დააკლო, ის ჩვენ რომ ჩავუმატოთ — ეგ ბუნების გარყვნა კი არ იქნება, ნაკლის შევსება იქნებაო. წყალს, რასაკვირველია, მარტო ღვინის გაბევრებისათვის ჰხმარობენ, შაქარსაც ამისათვისაც და ალკოჰოლის შექმნისათვის, და გადაწმენდილს არაყს სიმაგრისათვის და უფრო ხშირად გამძლეობისათვის.

აი ის თავგამოდებულნი მომხრენიც იმ ოსტატობისა, რომელნიც მარტო ამაებს ურევენ ყურძნის წვენში, რაზედ

აფუძნებენ თავიანთს აზრსა და რით მართლულობენ თავსა. შემდეგ წერილებში ჯერ ამ თვითეულს შესარევს ცალ-ცალკე გავარჩევთ და მერე იმას, რასაც სხვა ოსტატები ჰხმარობენ მეტის ყალბობისათვის.

XIX

მოვაწყინეთ თავი ჩვენს მკითხველებს ასე გრძლად ლაპარაკით ღვინის თაობაზედ. მაგრამ რაკი ამისთანა საყურადღებო საქმეში შევტოპეთ, უნდა ბოლოც გავატანოთ და რაც სათქმელი გვაქვს, ყოველივე ვსთქვათ.

ღვინოში არის ერთნაირი ნაწევარი, რომელსაც გლიცერინი ჰქვიან. ეს გლიცერინი ისე ცოტაა ღვინოში, რომ ერთს ბოთლზე ერთი მისხალი ძლივს მოდის ხოლმე. რადგანაც ამ გლიცერინს, სხვათა შორის, ის თვისებაცა აქვს, რომ ღვინოს გამძლეობას აძლევს, ამიტომაც ხშირად უმატებენ ხოლმე. გლიცერინი იმ ზომით, რა ზომითაც ბუნებურს ღვინოშია, სრულებით მაწყინარი არ არის, მაგრამ ბოთლს ღვინოში რომ ერთის მისხალის მაგიერ ხუთი იყოს, მაშინ ადამიანს სწყინს და შარდს აკლებს, და თუ ათსა და თერთმეტს მისხალს გადასცილდა, მაშინ იქამდე ჰვნებს ადამიანს, რომ სისხლის შარდზედაც გაიყვანს. მაგრამ რადგანაც გლიცერინი თურმე გამძლეობას ჰმატებს ღვინოსა, ამიტომაც ერთმა კაცთმოყვარე მეაფთექემ, შეამჩნია რა ეს თვისება გლიცერინსა, დაიწყო გლიცერინით ღვინის შეზავება და კეთება. ამ ვაჟბატონს შეელი ერქვა და ამიტომაც მის სისტემას შეელიზაცია დაერქვა, რათა კაცობრიობას არ დავიწყებოდა ძვირფასი სახელი მისი, ვინც ღვინის გამძლეობის სიყვარულითა ადამიანის მოწამლვასაც არ მოერიდა. ამბობენ, თუ გლიცერინთან ერთად ალკოჰოლიც ჩამატებულია, მაშინ გლიცერინი ისე არა სწყენსო და ამიტომაც მარტო გლიცერინის მიცემა ღვინოში სასტიკად ასაკრძალველიაო*.

* „ენციკლოპედია საჭმელ-სასმელისა“, ტომი I.

გარდა ამისა არის კიდევ ერთგვარი მჟავე, რომელსაც სალიცილის მჟავას ეძახიან. ამ მჟავეს ჰხმარობენ ღვინის გამოსაკეთებლად და გასამძლეოდ. ყოფილმა მინისტრმა საფრანგეთისამ ტირარდმა აკრძალა ამისი ხმარება, რადგანაც მეტად მაწყინარად იცნა ადამიანის აგებულებისათვის, და ეს ბრძანება გამოვიდა. თუ არა ბორდოში, იმოდენა ღვინო აღმოჩნდა სალიცილის მჟავით ნაკეთები, რომ მინისტრი იძულებული გახდა პაემანი დაედვა იმ ღვინოების გასასაღებლად, თუმცა კი მაწყინარად ცნობილნი იყვნენ. ასეთი ძლიერი იყო დრტვინვა და ღაღადი ღვინის ვაჭრებისა, რომ მათმა ჯიბის ინტერესმა სძლია დანარჩენის ერის ჯანმრთელობის ინტერესსა. ამ შეუნდობელმა სისუსტემ მინისტრისამ ღონე მოაკლო მისვე კანონს ლ. სალიცილის მჟავით ღვინის მკეთებელს სასტიკად დევნა ვეღარ დაუწყეს. ზოგიერთი სასამართლოები ამართლებდნენ კიდეც ამაში დამნაშავესა. ხოლო საჰიგიენო კომიტეტმა საფრანგეთში სცნა სალიცილის მჟავის ხმარება უბარ საწამლავად ადამიანის აგებულებისათვის და პარიზის პრეფექტმა 23 თებერვალს 1881 წ. გამოსცა მთელის პარიზისათვის სავალდებულო ბძანება, რომ სალიცილის მჟავე არ იქმნას ხმარებული არც სასმელში რაშიმე, არც ხორაგეულობაში.

რაკი ალკოჰოლის ჩამატებით ღვინოს სიმაგრეს ჰმატებენ და ამ სიმაგრეს ჰმატებენ იმისათვის, რომ ღვინომ წყალის დასხმა აიტანოს, და ამ გზით ერთი-ორად იქცეს, თქმა არ უნდა, რომ ღვინო ფერს დაჰკარგავს. ამ ბოროტებას და სიყალბეს ზედ მოსდევს სხვა სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმაზეა მიქცეული, რომ დაკარგული ფერი დაუბრუნონ ღვინოსა და სიყალბე თვალად შესამჩნევი არ იყოს. ამის გამო ღვინოს განგებ ჰფერავენ. ღვინის დასაფერავად ბევრგვარი წამლებია ევროპაში ცნობილი. ყველაზედ გავრცელებული ეგრედ წოდებული ფუქსინიაა. ფუქსინიაზედ ლაპარაკი ჩვენ წინა წერილებშიაცა გვქონდა და აქ მეტი იქნება განმეორება მისი, თუ რამოდენად მავნებელია ეგ ფუქსინია და

რამოდენად შესაწყნარებელი თვით სისტემა, რომელიც გათქმულია ფუქსინიზაციის სახელითა.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა მრავალგვარს მოწამლვას ღვინისას. თითქმის უთვალავია სხვადასხვა ხერხი, სხვადასხვა წამალი, რომლის წყალობითაც ევროპაში ღვინოებს სწამლვენ მუშტრის მოსატყუებლად და მოსაწამლავად და გამორჩომას ანაცვალებენ ერის ჯანმრთელობას. ჩვენ აქ ვიყვანთ პარიზის სამუნიციპალო ლაბორატორიის გამოკვლევას ამ საგანზედ და იქიდამ დავინახავთ, რამოდენად გავრცელებულია საფრანგეთში, ამ ღვინის ბოლაზში, არაბუნებური ღვინის კეთება. ამ ლაბორატორიაში გასინჯული იყო 133 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოსი* და აღმოჩნდა, რომ 130 ჭაშნიკი ავის თვისებისა იყო და მარტო 3 კარგისა. ჟურნალ Voltaire-ში 1883 წლის 15 ნოემბერს გამოცხადებულია ამავე ლაბორატორიის ანალიზები და აი რა აღმოჩენილა: გაუსინჯავთ 650 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოებისა, რომელნიც წარდგენილი ყოფილა ლაბორატორიაში, და მარტო 60 აღმოჩენილა უწყინარი. ამ ანალიზებ-დამ აღმოჩნდა, რომ 871 სხვადასხვა ხერხი უხმარიათ ყალბობისათვის და 281 შემთხვევაში ორჯერ გადაუყალბებიათ ერთი და იგივე ეს ღვინოები. ოქტომბერში უსინჯავთ, დეკემბერშიაც ამავე ლაბორატორიაში წარმოუდგენიათ 821 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოსი და ამათში გაუყალბებელი ღვინო აღმოჩენილა მარტო 143 და ყალბობის სხვადასხვა ხერხი 968 დაუთვლიათ! აბა რა ქმნას მუშტარმა, როცა ასს სხვადასხვა ღვინოში მარტო ათი ურევია მართალი ღვინო? ზოგი იქნება ისეც მოკვდეს, რომ თავის სიცოცხლეში ამ ათს შემთხვევაში ერთი შემთხვევაც არ ერგოს მართალის ღვინის სყიდვისა და იძულებულია ძალაუნებურად სვას ყალბი და მაწყინარი ღვინო და იწამლოს ნელ-ნელა თავი.

ჩვენ ამით ვათავებთ ღვინის კეთების თაობაზედ ლაპარაკს და მარტო ისღა დაგვრჩა, რომ განვუზიაროთ მკითხველს

* „Petit dictionnaire des falsifications", L. Doufur.

ჩვენი აზრი, რის გამოც საჭიროდ დავინახეთ ასე გრძლად ლაპარაკი ღვინოზედ.

XX

წყალსა და შაქარს ჰხმარობენ ევროპაში სხვარიგადაც ღვინის გაბევრებისათვის. ეს რიგი გაბევრებისა ბოიგონა ლუდვიგ გალლმა და ამიტომაც ამ რიგს, ანუ სისტემას, ეძახიან გალლიზაციას. პეტიოს სისტემა მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ერთისა და იმავე ზომის ყურძნისაგან რაც შეიძლება ბლომად წვენი გამოხადოს ღვინის მსგავსი სასმელის დასაყენებლად და ამისათვის შაქრის წყალს ჰაჰაზედ ასხამს. გალლის სისტემას კი სხვა საგანიცა აქვს სახეში: ამას გაბევრებასთან თვითონ ღვინის განკარგებაცა ჰსურს და იმავ წამალსა ჰხმარობს. ხოლო განსხვავება ეს არის, რომ გალლი შაქარ-წყალს უშვრება თვითონ ყურძნის წვენსა და არა ჰაჰასა. იგი არაფრად აგდებს არც სუნს ღვინისას, არც სხვას მის თვისებასა, და მარტო იმაზედა ჰდგას, რომ ყურძნის წვენს ჰარტო ერთი რამ უნდა მოეთხოვებოდესო, ესე იგი ის, რომ ბევრი სიმჟავე არა ჰქონდეს და საკმაო შაქარი კი უსათუოდაო. როცა ან ერთი მეტია, ან მეორე ნაკლები, მაშინ კუდი ღვინო დადგებაო და ამიტომაც საჭიროა შაქარ-წყალი ჩაემატოს ყურძნის წვენსა; ამ გზით ღვინო ბევრდება კიდეცა და უკეთესიც დგებაო.

გალლის სისტემა აი რაგვარია: ვსთქვათ რომ კარგის ღვინის დასაყენებლად საჭიროა ყურძნის წვენს ასში ოცი წილი შაქარი ჰქონდეს* და $^1/_2$ წილი თავისუფალი სიმჟავე. ვსთქვათ, რომ ცუდი წელიწადი შეხვდა, ყურძენი ვერ მოიწია საკმაოდ და ყურძნის წვენში აღმოჩნდა, რომ ასს წილში ჰარტო 10 წილი შაქარია და მთელი ერთი წილი სიმჟავე.

* შაქრის რაოდენობის შესატყობლად ერთი იარაღია მოგონილი ევროპაში, რომელსაც საწყაოს შაქრისას ეძახიან; ამისთანა იარაღი ბევრგვარია და უფრო ცნობილია ბაბოსი და ჰეკსლვისა.

აგიღოთ მაგალითად ერთი თუნგი ამისთანა ყურძნის წვენი. რა უნდა ჰქნას ღვინის დამყენებელმა? გალლი ამბობს, რომ ჰაშინ ერთი თუნგივე შაქარ-წყალი გააკეთეთ, ისე კი, რომ 70 წილი წყალი იყოს და 30 შაქარი; იმ ერთს თუნგს ყურძნის წვენს დაასხით და ერთმანეთში გადაურიეთ; მაშინ ერთის თუნგის მაგიერ, რომელსაც მარტო 10 წილი შაქარი ჰქონდა და ერთი წილი სიმჟავე, ეხლა ორი თუნგი წვენი გექნებათ და ამ წვენს 40 წილი შაქარი ექმნება და ერთი წილი სიმჟავე. ამგვარად თითო თუნგში ასს წილზედ მოუვა 20 წილი შაქარი და $^1/_2$ წილი სიმჟავე, ესე იგი იმდენი, რაც მაგალითისათვის საჭიროდ ვიგულისხმეთ. ამ სახით ღვინოც ერთი-ორად მეტი დაგიდგებათ და არც ისეთი მჟავე იქნება, როგორც უამისოდ.

ჩვენა გვგონია, რომ ამ გზით კვრინჩხის წვენიც შესაძლოა ღვინოდ გადაიქცეს, თუ კი ახირდებიან და ღვინოს დაარქმევენ. აკი ესეცა ჰშვრებიან ევროპაში: ყოველგვარ ხილისაგან, რომელსაც კი შაქარი ცოტად მაინცა აქვს, ღვინოს აკეთებენ; მაგალითებრ, აპელსინისა, კრიჟოვნიკისა და სმოროდინის წვენისაგან ასეთს ღვინოს აყენებენ, რომ ჩვენებური მეცნიერნი უსათუოდ აღტაცებაში მოვლენ, თუ ჯერ არ მოდიან. ბ-ნი ბერში და მისის მოძღვრების მიმდევარნი დაგვიჟინებენ და იტყვიან: რადგანაც ყურძნის წვენისაგან თავისთავად ღვინო არა კეთდება ბუნებაში კაცის შეუწევნელად. ყურძნის წვენი რომ არ იყოს და კრიჟოვნიკისა იყოს, რა უშავსო!

დავანებოთ ამ სასაცილო საბუთს თავი და ისევ გალლის სისტემით ღვინის გაბევრებასა და განკარგებაზედ ვილაპარაკოთ. ჯერ თვითონ ამ სისტემის სახელოვანი მომგონი ბ-ნი გალლი თითქმის არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს იმ ჯერ მეცნიერების მიერ გამოუცნობელს ექსტრაქტულს ნაწევრებს, ურომლისოდაც, თვითონ ბ-ნ ბერშის სიტყვითაცკი, არა ღვინო არ გაკეთდება, არ შეიქმნება. ბ-ნს გალლს ღვინოში თითქო სხვა არა დაუნახავს-რა, გარდა წყლისა, შაქრისა და სიმჟავისა. იგი ამბობს, რომ კარგის ღვინის და-

საყენებლად საჭიროა ყურძნის წვენს ას წილში 24 წილი შაქარი ჰქონდეს, $^1/_2$ წილი სიმჟავე და 75 $^1/_2$ წყალიო. სხვა ნაწევრები? მაგალითებრ, ნაწევარი ცილასი, ღვინის მარილი, ღვინისა და ვაშლის სიმჟავე, სუნის მიმცემი ეფირები და ის ექსტრაქტული ნაწევარები, ურომლისოდაც ღვინო ღვინო არ არის და რაღაც ყალბი ხელთნაქმარი სასმელიაო? ვსთქვათ, გალლი ამ ნაწევრებსაც ჰგულისხმობს, — და ამ შერევნით რა ემართება ამ ნაწევრებს, რომელნიც ძვირფასს ღირსებას აძლევენ ღვინოსა, ამას ბ-ნი გალლი არ დაგიდევთ. მისი სისტემით ერთი-ორად ქცეულ ღვინოში, საცა მარტო შაქარწყალია ჩამატებული, ხომ ეს ნაწევრები ერთი-ორად ნაკლები იქნება, იმიტომ რომ რაც ერთს თუნგს ყურძნის წვენსა ჰქონდა, ეხლა ორს თუნგზე გაიყოფა, და, მაშასადამე, ერთი-ორად ნაკლები საბუთი გვექნება მის ღვინოს ღვინო დავარქვათ.

აკი ვამბობთ, ამას ბ-ნი გალლი არ დაგიდევთ და მასთან ერთად არ დაგიდევენ ისინიც, რომელნიც მართალის ღვინის მაგიერ ნახევარ შაქარ-წყალს და ნახევარ ყურძნის-წვენს ასაღებენ; ამას ამბობენ, რომ ეს მუშტრის მოტყუება არ არის. ეს სიყალბე არ არისო.

მაშ აბა ერთი მუშტარს, ვინც უნდა იყოს, ეს უთხარით: წელს მეტად მჟავე ყურძენი იყო, ღვინო ცუდი დადგებოდა. ჩვენ ავიღეთ და რაც ყურძნის წვენი იყო, იმდენი შაქარწყალი გავურიეთ, ასე გავატკბილეთ და აი მშვენიერი ღვინოა, იყიდეთ. თუ [illegible] მოგეკარებათ, დიდი საქმე იქნება.

ამ ბ-ნის გალლის მომხრენი თუმცა ამბობენ, რომ გალლიზაციით გაკეთებული ღვინო გემრიელია და კარგიო, მაგრამ მაინც იძულებულ არიან სთქვან, რომ ყველა შაქარი უწყინარ ღვინოს არ აკეთებსო. უსათუოდ ყურძნის შაქარი უნდა, თორემ სხვა, მაგალითებრ კარტოფილისა, დუღილში მეტად მაწყინარს ალკოჰოლს იძლევა და დიდად ჰვნებს ადამიანის აგებულებასაო; თვითონ შაქრის ღერწმის შაქრის თაობაზედაც კი გადაჭრით ვერ ითქმის, რომ უვნებელია, როცა ღვინოშია ჩარეულიო.

XXI

ხელოთნაქმარის, ანუ ოსტატობით ნამოქმედარის ღვინისათვის რამდენსამე ღონეს ჰხმარობენ ევროპიელნი. ერთი იმ ღონეთაგანი იმაზეა მიქცეული, რომ ცოტა ღვინო გააბევროს, ესე იგი ერთსა და იმავე ყურძნისაგან რაც შეიძლება ბევრი წვენი დააყენონ და ღვინოდ აქციონ. სხვა ღონეებს კი სახეში მარტო ისა აქვთ, რომ ღვინის ნაკლი განგებ შეავსონ და მით განაკარგონ.

ღვინის გაბევრებისათვის დღეს-აქამომდე ევროპაში ცნობილია ერთადერთი ღონე, ერთადერთი სისტემა, რომელსაც პეტიოტიზაციას ეძახიან. ეს სისტემა, ანუ ღონე, მოიგონა და პირველად იხმარა ბურგუნდიაში 1854 წელს ერთმა ფრანგმა, სახელად პეტიომ (Petiot). ეს საკვირველი აღმონაჩენი, რომლის გამო ბ-ნმა პეტიომ საქვეყნოდ სახელი გაითქვა, ჰით უფროა საკვირველი, რომ ათადამ-ბაბადამვე თურმე აღმოჩენილი ყოფილა და არის. მერე სადა და ვისგან? თურმე ნუ იტყვით, საქართველოში და ქართველთაგან, მაგრამ რადგანაც ამას „ღონიაშვილიზაცია“, ანუ „ქანდარაშვილიზაცია“ არა ჰქვიან, ამიტომაც ყური არავის უთხოვებია. პეტიომ კი აღმოჩენილის აღმოჩენითა ქვეყანაში სახელი მოიპოვა. ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ პეტიომ ჩვენი რამ მიითვისა და თავისის სახელით გამოამჟღავნა. ჩვენა გვწამს, რომ იგი თავისთავად ნიხვდა, მან თავისთავად მიაგნო იმას, რაც ჩვენში დიდი ხანია მიგნებული იყო და არის დღესაც, და იქნება ჩვენი მიგნებული რამდენისამე საუკუნის ხნისაც იყოს და ევროპამ კი მარტო 1854 წელს მიაგნო.

რაზედ არის დაფუძნებული პეტიოს აღმონაჩენი? იმაზედ რომ ჭაჭაში იმოდენა ღვინის ნაწევრები ჰრჩება კიდევ, რომ შესაძლოა ღვინისათვის წვენი კიდევ გამოიწუროს წურვით კი არა, წყლის დასხმითა, და თუ წყალს შაქრითაც შეაზავებთ და ცარიელის წყლის მაგიერ შაქარ-წყალს დაასხამთ, უფრო **კარგი** იქნება. რასაკვირველია, ყველა ეს ზომითა და საწყაოთი

უნდა. წყლის დასხმა ჭაჭაზედ ჩვენც ძალიან კარგად ვიცით. ზომაც ვიცით, რამდენიც უნდა. ისიც ვიცით, რომ წყალდას. ხმული ჭაჭა დუღილსაც დაიწყებს, თუმცა ძალიან სუსტად. ბალღს ვერ იპოვით ჩვენში, რომ ამ გზით ღვინის გაბევრება არ იცოდეს და ამისთანა ღვინის სახელი არ გითხრას. ამაც ჩვენში „შამანს“ ეძახიან და მდაბიო ხალხი, მუშა სვამს.

პეტიო მარტო ცარიელს წყალსა არა სჯერდება. იგი შა. ქარსაც უმატებს და იმდენად ატკბილებს წყალსა, რამოდე. ნადაც ტკბილია მართალი წვენი ყურძნისა. ამ გზით ერთსა და იმავე ჭაჭისაგან სამჯერ ოთხჯერ გამოხდის ხოლმე იგ ჭვენს, რომელსაც საფრანგეთში „პიკეტს“ ეძახიან და ჩვენში კი „შამანსა“. პეტიომ ხელახლად აღმოჩენა რომ არ და. გვასწროს უკვე ჩვენში აღმოჩენილისა, აქ საჭიროა ვსთქვათ. რომ იგი მარტო შავის ყურძნის ჭაჭისაგან ჰხდის თავის „პი. კეტს“. სჯობია ჩვენ დავასწროთ და გამოვაცხადოთ, რომ ჩვენში თეთრის ყურძნის ჭაჭისაგანაც „შამანს“ აკეთებენ და ამას იქით თუ აღმოჩენა უნდა ჩვენს მეცნიერებს, ესეც აღ. მოაჩინონ.

ახლა ვიკითხოთ: რა განსხვავებაა ჩვენსა და პეტიოს შო. რის? ისა, რომ პეტიო წყალს შაქარსაც უშვრება და ჩვენ კი არა. სათავე საფუძველი-კი ორსავე მოქმედებას ერთი და იგივე აქვს. ორგანვე ერთი და იგივე დედააზრია, სახელდობრ იგი, რომ ჭაჭისაგან წყლის დასხმით კიდევ შესაძლოა ღვი. ნის მსგავსი რამ სასმელი დადგეს. რატომ არა ეხმაროთ ამი. სათვის ჩვენ შაქარსა, როგორც პეტიო, და მარტო წყალსა ეჯერდებით? ნუთუ იმისათვის ვიტოვ? ჩვენებურმა კაცმა არ იცოდეს, რომ გატკბილებული წყალი უფრო კარგად აადუ. ღებს და კარგს შამანს დააყენებს? ამის უცოდინარეობაში ბალღსაც ვერ დაიჭერთ ჩვენში. ძალიან კარგად ვიცით, მაგ. რამ იქ, სადაც შაქარი ხილადაც კი ძნელი საშოვარი იყო. დღემდე მაინცა, ვინ გიჟი იქნებოდა შამანზედ ეხმარა ის, რაც ხილად და წამლადაც კი სანატრელი ჰქონდა. ეს ერთი. მეორე: ვისთვის უნდა გაეწია ეს დიდი ხარჯი შაქრისა? განა ჩვენში დღესაც კი ან ერთი ვაჭარი ღვინისა ფეხს შეადგამს

ამ მარანში, საცა შაქარ-წყლით ღვინოს აკეთებენ? ან ვისაც ინდათ უჩვენეთ პეტიოს შამანი, აუხსენით რა გზით არის ნაკეთები. და თუმცა ყველანი ამტკიცებენ, რომ შაქარ-წყლით ნაკეთები შამანი მშვენიერის გემოსი, სუნისა და მაგარიც არისო, მაგრამ არა გვგონია, სასყიდლად ახლო გაუაროს ვინმემ.

გამოჩენილი ქიმიკოსი საფრანგეთისა ჟირარი, რომელიც კარიზის ქალაქის ლაბორატორიის უფროსია, ამბობს, რომ თუმცა პეტიოს სასმელს სიმაგრეცა აქვს, სუნიც და გამძლეც არისო, და თუმცა ღვინოსაცა ჰგავსო, მაგრამ ღვინო კი არ არისო. საფრანგეთში აკრძალულია, რომ ეგ პეტიოს შამანი ვაჭრებმა ღვინის სახელით ჰყიდონ, თორემ ყალბობად და მუშტრის მოტყუებად ჩამოერთმევათ.

მეცნიერნი პეტენკოფერი, ფორსტერი და ჰილგერი ამტკიცებენ, რომ პეტიოს შამანში ბევრი შაქარი ჰრჩება გაუხსნელი, ალკოჰოლად არ-გადაქცეული. შაქარი იმისთანა თვისებისაა თურმე, რომ მთლად შეეწოვება ადამიანის აგებულებას სხვადასხვა, დუღილით არაგადაქმნილ ნაწევრებთან ერთად, გროვდება მათთან ერთადვე და აგებულებიდამ არც შარდსა და არც გამონავალს არ გამოსდევს. რაკი ზომას გადადის, გამოსვლას ჰლამიხ, გზას ეძებს, და სახსრებს ხელისას, მუხლისას, ფეხისას მიადგება, და რადგანაც აქ გზა არა აქვს, სიმსივნესა და ტკივილს აჩენს. ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ ევრეთწოდებული რუსულად „პოდაგრა“ * ან მიზეზით მოსდის კაცსა ამგვარად ნაკეთებ ღვინოებისაგანაო. ჭკუასთან ახლოა ეს ამბავი: „პოდაგრა“ შეუნიშნავთ ევროპიელ ღვინის მსმელთათვის, არა მარტო იმათთვის, ვინც უზომოდა ჰსმენ, არამედ იმათთვისაც, ვისაც ზომიერად ყოველდღე, მაგრამ ხანგრძლივად კი, ევროპიული განგებ შაქრით ნაკეთები ღვინოები უსვამს.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ეს „პოდაგრის“ ამბავი ისე

* ერთგვარი სიმსივნე ხელის, მუხლისა, თუ ფეხის სახსრებისა და ამის მიხედვით სხვადასხვა სახელებიცა აქვს.

გარკვევით და ხედმიწევნით ვერ ავხსენით, როგორც ამას მკურნალი იქმოდა. ხოლო ეს კი უეჭველად ცნობილია, რომ განგებ მიცემული შაქარი ზოგი წილი ისევ შაქრად ჰრჩება ღვინოში, გაუხსნელი, გარდუქმნელი, და ამას სხვა გაუხსნელ და გარდუქმნელ ნაწევრებთან ერთად აბრალებენ ეგრეთწოდებულ „პოდაგრასა“. ჩვენში-კი, საცა თითქმის ყველანი ღვინოსა ჰსმენ და ხშირად ბევრსაცა, ესგვარი სნეულება შემჩნეული არ არის.

ამ სახით, პეტიოტიზაციით ღვინის გაბევრება ჩვენშიაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენ უფრო უწყინარი სასმელი გვიკეთებია მაე გზით, ვიდრე გამოჩენილს პეტიოსა, იმიტომ რომ ჩვენს შამანს განგებ გარედამ მიცემული შაქარი არ ურევია. თუ სწორედ გვკითხავთ კი, ჩვენებური შამანიც და პეტიოს „პიკეტიც“ ორივე ღმერთმა შეინახოს, ორივე ყალბობად მიგვაჩნია თუმცა ჩვენ ის სიმართლე მიგვიძღვის, რომ შამანი ღვინის სახელით გარეთ არ გამოგვაქვს გასასყიდად და არავის ვატყუებთ.

XXII

ღვინის სიმაგრისა და გამძლეობისათვის ევროპაში უმატებენ ალკოჰოლსა, ესე იგი გადაწმენდილს არაყსა. ამას ეძახიან ალკოჰოლიზაციას. ამ ალკოჰოლს უფრო მაშინ ჩაურევენ ხოლმე მაჭარში, როცა პირველი დიდი დუღილი გათავდება. გამოჩენილი და ღვინის ანალიზებში ავტორიტეტად ცნობილი ქიმიკოსი ბუსსენგო ამბობს, რომ თუ ღვინოს 18% ალკოჰოლი აქვს, ანუ მეტი, იგი ბუნებურ ღვინოდ აღარ ჩაითვლებაო, იმიტომ რომ ამოდენა ალკოჰოლიანი წვენი ყურძნისა დუღილის უნარს ჰკარგავს და წვენში ნამყოფი შაქარი ალკოჰოლად აღარ გადადისო. იგი პირდაპირ ამბობს, რომ ამ სიმაგრის ღვინო ბუნებური არ არისო.

ამისდა მიუხედავად, მაინც ევროპაში ღვინოს გადაწმენდილს არაყს ასხმენ. ამისათვის, რა თქმა უნდა, ყოველად

წმინდა არაყსა ჰხმარობენ, იმისთანას, რომელშიაც ალკოჰოლისა და წყლის მეტი სხვა არა არის-რა; ბაზარში რომ გადაწმენდილი არაყი (სპირტი) იყიდება, ამისათვის ბევრად გამოსადეგი არ არის, რადგანაც იმოდენად გადაწმენდილი არ არის, რამოდენადაც ნაზი ბუნება ღვინოსი ითხოვს. ყველაზედ უკეთესი, ჭაჭისა ანუ თვითონ ღვინისაგან გამოხდილი და განგებ გადაწმენდილი არაყია. ძალიან იშვიათი საშოვარია ამისთანა არაყი ბაზარში, თუ განგებ ამისათვის გადაწმენდილი არ არის. მაგრამ რაც უნდა ძალიან კარგი არაყი იშოვოთ ამისათვის, მაინც განგებ ჩამატებული არაყი ღვინოს უფრო ახდენს, ვიდრე აკეთებს.

ამის დასამტკიცებლად აი რა მოგვყავს. მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ თუ არაყი (სპირტი) ჭარბად მიეცით ღვინოს, მაგალითებრ 5%—6%. ღვინო მაშინვე აირევა, აიმღვრევა, რაც უნდა წმინდა ანკარა ღვინო იყოს, ღვინო, რომელიც მინამდე ანკარასავით წმინდა იყო, ძირში ლექს გაიკეთებს და ამასთანავე ფერსაც იცვლის. ქიმიურად რომ კარგად გამოიძიოთ ეს ლექი, ჰნახავთ, რომ ის ესტრაქტული ნაწევარები, ურომლისოდაც ღვინო ღვინო არ არის, ღვინოდამ გამოსულა, გამორიდებულა და ლექში გამოზიდულა.

ცოტა არაყი (სპირტი) რომ ჩაუმატოთ ღვინოს, მაგალითებრ 2%—3%, მაშინაც ეგევე ამბავი მოხდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანშივე არა. პირველ ხანში ღვინოს ამ შემთხვევაში არა დაეტყობა-რა, არც აიმღვრევა, არც ფერი ეცვლება. მაგრამ რამდენისამე თვის შემდეგ, ანუ ერთის წლის მერმე, თუ ქიმიური ანალიზი მოახდინეთ, იმავ ამბავს ჰნახავთ, რაც წინათ თქმულს შემთხვევაში. გამოჩენილმა და სახელოვანმა ქიმიკოსმა შარლ ჟირარმა ბევრგვარად სცადა ზედმოქმედება არაყისა ღვინოზედ. ამისათვის აიღო ბურგუნდიის ღვინო და 20 ივლისს 1883 წელს ანალიზი ჩაუკეთა. ანალიზით აღმოჩნდა, რომ ამ ღვინოს აქვს 19,24% ის ექსტრაქტული ნაწევარი, ურომლისოდაც, ვიმეორებთ, ღვინო ღვინოდ არ ითვლება თვით ბუნებურ ღვინის უარმყოფელთაგანაც. ეს ღვინო აიღო და ჩაასხა ხუთს ბოთლში. პირ-

ველ ბოთლს მარტო 1% წმინდა არაყი (სპირტი) ჩაუმატა. მეორეს—2%, მესამეს—3%, მეოთხეს—4% და მეხუთეს—5%. სამს თვეს შემდეგ ქიმიური ანალიზი გაუკეთა სამს ბოთლს, რომელთშიაც 1%, 3% და 5 % არაყი იყო ჩამატებული. ღვინოში, რომელსაც არაყის ჩამატებამდე 19,24% ექსტრაქტული ნაწევარი ჰქონდა, ამ ზომისაღა აღმოჩნდა

1% ბოთლში — 16,40% ექსტ. ნაწევარი;
3% ბოთლში — 15,84% „ „ ;
5% ბოთლში — 15,80% „ „ .

ამ სახით გამოვიდა, რომ პირველმა თითქმის სამი წილი ექსტრაქტული ნაწევარი დაიკლო 19,24 წილიდამ, მეორემ და მესამემ, ცოტა მეტნაკლებობით, ოთხ-წილამდე.

დანარჩენს ორს ბოთლს ანალიზი გაუკეთა ერთის წლის შემდეგ, და რომელს ბოთლსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული, იქ მარტო 15,30% ექსტრაქტული ნაწევარიღა აღმოჩნდა, და რომელს ბოთლსაც 4% არაყი ჰქონდა — 14,30%. ჟირარმა იფიქრა, იქნება თვითონ ღვინოც უარაყოდაც თავისთავად ასე იცვლება და აქ არაყი არაფერს შუაშიაო. ამისათვის 20-ს ივლისს 1884 წელს წმინდა შეურეველ ღვინოს ანალიზი გაუკეთა და ისევ იმ ზომის ექსტრაქტული ნაწევარი აღმოჩნდა, ესე იგი ასს ნაწილში 19,24. ეს არ იკმარა ფრთხილმა მეცნიერმა. ოცის თვის შემდეგ კიდევ გაუკეთა ანალიზი შენახულს ბოთლს, რომელსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული და აღმოჩნდა, რომ ექსტრაქტულის ნაწევარის ზომა ბუნებურის ღვინისა ჩამოხდა 19,24-დამ 12,76-მდე. მაშინ-კი სარწმუნო საბუთი მიეცა ამ ამბებიდამ ჯეროვანი დასკვნა გამოეყვანა, და მისდა მიხედვით ჩვენ სარწმუნო საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ რაც უნდა წმინდა არაყი ჩაუმატოთ ღვინოს, თუნდა ასს წილში ერთი, ან ორი წილი, ღვინო ამით კი არა კეთდება, არამედ, რაც დრო გადის, უფრო ფუჭდება და ფუჭდება.

საფრანგეთის ბეცნიერი დიუმა ამბობს, რომ ჭარბად მიცემული არაყი პირველშივე აფუჭებს ღვინოსა; ზომიერად და ნაკლებად მიცემული კი — ნელ-ნელა, თანდათან დროთა

ჰიმავლობაშიო; რაც უნდა ცოტა არაყი მიემატოს, ღვინოს თავის-დღეში არა ჰრგებსო და ადრე იქნება თუ გვიან. ძლიერ მავნებელს ცვლილებას მოახდენსო.

არმან გოტიეც ამავე აზრისაა. იგი ამბობს, — როდესაც ღვინოს უმატებენ განგებ არაყსა, წყალსა ანუ სხვას რასმე, ღვინო ხელმეორედ ადუღდება ხოლმე და ამ უდროო დუღილის გამო ღვინოში იმისთანა სხვადასხვა გვარი წვენი ჩნდება, რომელიც დიდად მაწყინარია ადამიანის ჯანმრთელობისათვისაო.

პარიზის საექიმო აკადემიაში დაარსებულია სენატის კომისია სახელოვან მეცნიერთაგან და ამ კომისიას დავალებული აქვს გამოიკვლიოს, რარიგად მოქმედობს ადამიანის კარგამყოფობაზედ სხვადასხვა გვარად შეზავებული ღვინო. ამ კომისიამ დიდის ხნის ცდისა და გამოძიების შემდეგ სთქვა, რომ ევროპის ღვინოები, რომელშიაც კი ურევენ გადაწმენდილს არაყსა (სპირტსა), იმოდენად მაწყინარია, იმ სნეულებასვე უჩენს კაცს, რასაც ცუდი, დაბალი, გაუწმენდავი არაყი*, იმიტომ რომ გადაწმენდილი არაყი აფუჭებს ღვინოში იმას, რაც კი ძლიერ სასარგებლო არის კაცის აგებულებისათვისაო. მთელის საფრანგეთის, იტალიის, ვენგრიის და ისპანიის ღვინოები სულ გაფუჭებულია ღვინის მკეთებელთაგან და ამიტომ მაწყინარიაო. ეს არის მიზეზი, რომ ის კაციც, რომელიც ცუდს, გაუწმენდავს არაყსა სვამს, და ისიც, რომელიც ამ ევროპის ღვინოებსა ჰხმარობს სასმელად, ერთისა და იმავე სენით სნეულდებიანო.

---

* ვისაც ჰსურს დაწვრილებით შეიტყოს, რა დიდად მავნებელია ადამიანისათვის არაყი საზოგადოდ და დ ბალის ხარისხისა საკუთრად, ვურჩევთ წაიკითხოს ლექცია ამ საგანზედ ბუნგესი, რომელიც ფიზიოლოგიური ქიმიის პროფესორია ბაზელში. ეს ლექცია ამ უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა და რუსულადაც არის თარგმნილი.

XXIII

ჩვენ გავსინჯეთ სამი ევროპიული სისტემა ღვინის კეთებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ღვინის შეზავებისა განგებ ჩამატებულის წყლით, შაქრით და ალკოჰოლითა. ეს სამი სისტემა მით არის შესანიშნავი, რომ ამის მომხრენი უარჰყოფენ ამ შეზავებით ღვინის ბუნების გარდაქმნასა იმ საბუთით, რომ წყალი, შაქარი და ალკოჰოლი ბუნებური კუთვნილებაა ღვინისა, და მაშასადამე ამაების ჩამატება ღვინისათვის უცხო რამის ჩამატება არ არისო. ჩვენა ვნახეთ, ყოველივე ეს რამოდენად ჰვნებს თვითონ ღვინოსა და ამ ცოტად თუ ბევრად მარგებელს სასმელს ეს „ბუნებურნი კუთვნილებანი ღვინისა“ რამოდენად სცვლიან სავნებლად ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ წყალსა, შაქარსა და ალკოჰოლის გარდა კიდევ რამდენი სხვა საგანი და ნივთიერებაა, რომელსაც ევროპიელნი ჰხმარობენ ღვინოში სხვადასხვა აზრით. თუ ისინიც კი, რომელნიც „ბუნებურ კუთვნილებად“ არიან ცნობილნი, ახდენენ ღვინოსა, — რაღა უნდა ითქვას იმ საგნებზედ, რომელნიც ამ ბუნებურობასაც მოკლებულნი არიან?

ჩვენა ვსთქვით, რომ გალლიზაცია შაქარ-წყალს უმატებს ღვინოში, თუ ყურძნის წვენს ცოტა სიტკბო აქვს და ბევრი სიმჟავე. ამ შაქარ-წყლით ღვინოს სიტკბო ემატება და სიმჟავე თუმცა იმოდენადვე ჰრჩება ყურძნის წვენში, მაგრამ სიტკბოს მომატებით სიმჟავე თავის ძალას აღარ იჩენს. ხოლო არის მეორე სისტემაც, რომელსაც სახეში აქვს თვითონ სიმჟავე პირდაპირ დააკლოს, გამოჰზიდოს ყურძნის წვენისაგან. ამ სისტემას შაპტალიზაციას ეძახიან, რადგანაც იგი მოიგონა ყოფილმა საფრანგეთის მინისტრმა შაპტალმა. ამ სისტემაზედ გაკვრით ერთს წინა წერილშიაც მოვიხსენიეთ, ხოლო აქ პატარა ვრცლად ვიტყვით.

აი რაში მდგომარეობს ეს სისტემა. რა წამსაც სადუღარად მოჰყრიან ყურძნის წვენს, შიგ ჩააყრიან ან ფხვნილს თაბაშირს, ან ფხვნილს მარმარილოს. თაბაშირს ის თვისება

აქვს, რომ წვენის დუღილის დროს გაიხსნება, ამოდუღებულს ნაწევარს გააუქმებს და ამის გამო ღვინო მალე დაიწმინდება ხოლმე. ეს სისტემა ძალიან გავრცელებულია სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა, იტალიაში და სხვაგანაც. ამ თაბაშირის ჩამატებაზედ დაფუძნებულია შაპტალიზაციაც. ფხვნილი მარმარილო, თუ თაბაშირი, იზიდავს, ისვამს სიმჟავესა, ძირს მიდის და ილექება. ხოლო იმისათვის, რომ დუღილი არ დადგეს, შაპტალი შაქარსაც უმატებს; შაქარი აძლიერებს დუღილსა და ჰმატებს ღვინოს ალკოჰოლსა. ამ გზით თაბაშირსა, თუ მარმარილოს, ეკარგება ის თვისება, რომლის ძალითაც დუღილს შეაკავებს ხოლმე და სიმჟავის გამოკლების თვისებაღა ჰრჩება. აი რა წუნი სდევს ამ სისტემასა. რაც უნდა თაბაშირნა, ანუ მარმარილომ, მიიზიდოს და შეისვას სიმჟავე და მას მერმე ძირს დაილექოს, ღვინოში მაინც ჰრჩება მისგან სხვადასხვა კირეული ნაწევარები, მარილები, ან გახსნილი ღვინოში, ან მექანურად შეერთებული, და ეს მარილები მაწყინარნი არიან, ცუდს გემოს აძლევენ ღვინოს და ყოველივე ეს ძალიან ძნელი გამოსაცლელია ღვინისაგან*. ამიტომაც საფრანგეთში იქაურ სამხედრო სამინისტროსაგან აკრძალულია შაპტალიზაციით ნაკეთები ღვინო იხმარონ სამკურნალოებში; თუ ერთს ლიტრს** ღვინოში ეს თაბაშირი ორს გრამზედ მეტი აღმოჩნდა, ამისთანა ღვინოს არც ერთს სამკურნალოში არა ხმარობენ. შაქრის ჩამატების ამბავი ხომ ვიცით. ყოველივე ეს რომ სახეში ვიქონიოთ, აშკარად დავინახავთ, რა სიკეთესა სძენს ეს შაპტალიზაცია ღვინოსა.

რაც რამა ვსთქვით ღვინის კეთების თაობაზედ, თუ ყოველს იმას გავიხსენებთ და გონების თვალწინ წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ღვინის კეთება ორგვარია: ერთი ყალბის ღვინის კეთება და მეორე ბუნებურისა. ბუნებურის ღვინის კეთება, იგი ხელი თუ **ოსტატობაა**, რომელსაც საგნადა აქვს

* ტარდანი, 178 გვერდი.

** ლიტრი — ფრანგული **ლ**წყაოა, ჩვენებურად თითქმის **ორ** ბოთლ ნახევარი.

მარტო წმინდა, შეურევნელი ყურძნის წვენი აქციოს ღვინოდ და ეს ქცევა დაამყაროს მარტო ყურძნის წვენის ბუნებურ თვისებაზედ. ამგვარს ღვინის მკეთებელს მარტო პირდაპირი მსმელი ღვინისა ჰყავს მუშტრად სახეში და პირდაპირი მსმელი ყოველთვის წმინდა ყურძნის წვენის ღვინოს ირჩევს, ვიდრე განგებ წამლებით შეზავებულს და გაკეთებულს, რაც უნდა ეს უკანასკნელი თვალისა და გემოსათვის უფრო სამაცდურო იყოს პირველზედ. არა გვგონია ქვეყანაზედ მოიპოვებოდეს იმისთანა მსმელი ღვინისა, რომელმაც, რაკი დარწმუნებული იქნება, რომ ეს ღვინო წმინდა ყურძნის წვენისაა, და მეორე განგებ წამლებით შეზავებული, მართალს ღვინოს არ დაავლოს ხელი, რაც უნდა ყალბს ღვინოზედ დაბალი იყოს.

ჩვენა ვნახეთ, რომ მართალის ღვინის კეთებისათვის ჩვენშიაც იგივე ცოდნაა, რაც ევროპაში, და თუ ამაში ცოტა რამ მეტნაკლებობაა, იმოდენად ღირსშესანიშნავი არა არის-რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით ან ერთი აქოს, ან მეორე დაიწუნოს. თქმა არ უნდა, რომ დიდი ბაზარი ევროპისა, საცა მართალს ევროპულს ღვინოებს დიდი ფასი აქვთ,—დიდს ღონეს და შეძლებას აძლევს იქაურს მკეთებელს მართალის ღვინისას უფრო მომეტებული შრომა და ხარჯი გასწიოს, ღვინის კეთებას უფრო ბევრი ფული მოახმაროს, უფრო უკეთესი იარაღი და ჭურჭელი ახმაროს, გარემოება უფრო სახერხული მოუწყოს, რომ მართალს ღვინოს მთელი თავისი ბუნებური თვისება და ღირსება შეარჩინოს როგორც სიკეთისა, ისეც გამძლეობისათვის.

თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ წინ არიან, ესე იგი, თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ უკეთეს ღონესა, ხერხსა და იარაღსა ჰხმარობენ — ეგ მარტო საეკონომიო მიზეზით აიხსნება: იქ დიდს ხარჯს კეთებისას დიდი ფასი ჰფარავს და მოგებასაც აძლევს; ჩვენში კი ჩვენებური ღვინო, მარტო ჩვენს შინაურს ვიწროდ შემოფარგლულს ბაზარში მომწყვდეული, დიდს ხარჯს კეთებისას ვერ აიტანს და ზარალის მეტი არა გამოვა-რა. ამას უნდა მიეწეროს ზოგიერთი ჩვენი უხერხულობა ღვინის კეთებაში და არა იმას, ვითომ არ ვი-

ცოდეთ, რა გზით შესაძლოა ღვინის კარგად დაყენება და კეთება. ეს ერთი. მეორე მიზეზი, ისევ საეკონომიო თვისებისა, ის არის, რომ ჩვენში ღვინო საყოველთაო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ჩვეულია ღვინის სმასა. ამის გამო აქ ჩვენში ღვინის კეთების საეკონომიო ანგარიში უფრო მრავალთათვის უნდა იყოს დაჭერილი, ვიდრე ევროპაში, საცა ღვინოს, ნამეტნავად ჭართალს, მარტო მდიდარი კაცი თუ სვამს და ელირსება. რაკი მუშტარი ღვინისა ერის სიმრავლეა, მაშასადამე არამდიდარი ხალხი, — ღვინო, თუ იეფი არ არის. უნდა ჰშიშობდეს, რომ გაუსყიდველი დარჩება. რაკ უნდა დიდი ვაჭარი იყოს ღვინისა, ძნელად იქნება, რომ ათს ურემს იეფის ფასის ღვინოსთან ერთი ურემი ძვირფასი თავი ღვინო გაასაღოს. ჩვენს ბაზარში ძვირფასს თავს ღვინოს მდიდარი კაკიც ძლივა ჰყავს მუშტრად და ამისთანა მდიდარი ბევრი არ არის, და ისიც რაც არის, ძვირფასს ღვინოს იშვიათად თუ ჰხმარობს იშვიათს შემთხვევაში, როცა დიდი და გამოსაჩენი წვეულება აქვს. ამის გამო ჩვენებურმა ღვინის კეთებამ მარტო იმისთანა ღონეს ჩაჰკიდა ხელი მართალის ღვინის შექმნისათვის, რომელიც თუმცა ხანდისხან უხერხულია, მაგრამ იეფია და ძვირად არ უჯდება ღვინის მკეთებელსა. ეგ იეფობა ხარჯისა ნებას აძლევს ღვინის მკეთებელს იეფად ჰყიდოს ღვინო, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მარტო მუშტრის სიმრავლეა თავდები, რომ ღვინო გაუსყიდველი არ დარჩება. მთელს ევროპაში ვერც ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ, რომ წმინდა ყურძნის წვენის ღვინო, შეურევნელი და სხვადასხვა წამლებით არ შედგენილი, ისე იეფი იყოს, როგორც ჩვენში.

ეხლა ჩვენს ღვინოს სხვა ბაზარიც ეხსნება. ეგ ბაზარი რუსეთია. ჩვენი გულითადი რწმენა ეს არის, რომ ჩვენი ღვინოები ამ დიდს ბაზარში ფეხს მოიკიდებს, თუ ჩვენი ძველებური პატიოსანი საგანი ღვინის კეთებისა არ შევცვალეთ. ამ ბაზარმა გული უნდა დააჯეროს, რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა; რომ ჩვენს ღვინოში არა არის-რა, გარდა

ყურძნის წვენისა. ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა ჰქონია. თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბს ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია, იმიტომ რომ არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. ჩვენს ღვინოებს სხვა იმედი არ უნდა ჰქონდეს გაუძლოს ევროპიულ ღვინოების ცილობასა: ყალბის ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწევით, გასწრობას ვინღა იტყვის. მაშასადამე, ერთიღა დაგვრჩენია: მართლის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ; ეს რაღაც შაჰტალიზაციები, გალლიზაციები და სხვა „ციები“ შორს ჩვენგან, და ჩვენის ქვეყნის გარეთ, როგორც შიგნითაც, მარტო მართალი ღვინოები გავიტანოთ ბაზარში. ევროპამ რომ ღვინის კეთებაში სიყალბე აღარ იხმაროს და მარტო მართალი ღვინო აკეთოს, ეს მისი მართალი ღვინო მეათე ნაწილსაც ვერ გასწვდება, მაშასადამე, ჩვენს მართალს ღვინოებს მაზანდა დიდი ეჭვნება და მოცილეც მეტად უღონო ეყოლება მართალის ღვინის უქონლობის გამო.

რადგანაც დღეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ფიქრადა აქვს, ჩვენებურის ღვინის კეთებას უკეთესი და უფრო სახეირო გზა მისცეს და წარმატებაში შეიყვანოს, — ამას შორს წასვლა არ უნდა. ამისათვის, ჩვენის ფიქრით, მარტო ორი რამ არის საჭირო: 1) აზრი და საგანი ჩვენებურის ღვინის კეთებისა არასგზით არ შეიცვალოს, ესე იგი, ბუნებურის ღვინის კეთებას არავითარი სიყალბე არ შეეპაროს, და რადგანაც ამ აზრისა და საგნის განსახორციელებლად ბევრი კარგი სხვადასხვა ღონე და სახსარია ჩვენში თუ გარეთ, ამ ღონისა და სახსრის ცოდნისა და დახმარებისათვის სამი სკოლა მაინც გაიმართოს: ერთი კახეთში, მეორე ქართლში და მესამე იმერეთში: 2) კანონად დაიდვას, რომ თუ ღვინოში გარდა ყურძნის წვენისა რაიმეა ჯარეული, ან გასაბევ-

რებლად, ან დასაწმენდად, ან გასამაგრებლად, ან საფერავად, ან გასამძლეოდ, ღვინის გამსყიდავი მედუქნე მოვალე იყოს ღვინის ჭურჭელზედ, — ბოთლი იქნება, თუ ბოჭკა,— დააწეროს, რომ ეს ღვინო ამა და ამ ნაწევარით შეზავებულიაო. ეს კანონი გერმანიაში მოქმედობს და რუსეთშიაც მიღებული რომ იყოს, დიდს შემწეობას მისცემს ჩვენებურს ღვინოსა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, მარტო ხელსამძღვანი აზრი აღვნიშნეთ, იგი აზრი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საფუძვლად უნდა დაედოს კანონს ღვინის თაობაზედ, თუ ჰსურთ, რომ შინაურმა ღვინომ გზა გაიკაფოს რუსეთის ბაზრისაკენ და იგი აუარებელი ფული შინ რუსეთშივე დაჰრჩეს, რომელიც ევროპულს ყალბს და მაწყინარს ღვინოებზედ ეხარჯება დღესა, და ამასთან უწყინარი ღვინოც სვას ხალხმა. ამ ხელსამძღვანო აზრს ბევრი სხვა საჭიროებაც მოსდევს, რომ სურვილი კანონისა უქმად არ დარჩეს. ამ კანონების ვრცლად შემუშავება ჩვენ აზრად არა გვქონია და ამიტომაც ამით ვათავებთ ჩვენს გძელს ლაპარაკსა ღვინის თაობაზედა.

1887 წ.

მეთვალყურეობისა და მეღვინეობის საქმე
(1886—1900)

ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი
(1886 — 1887)

მევენახე გლეხთა მდგომარეობა
(1887)

მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში
(1889)

ფილოქსერა
(1889)

ვაზის სნეულებანი
(1889)

ვენახების წამლობის შესახებ
(1890)

ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი
(1892)

ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში
(1900)

ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი

ტფილისი, 26 აპრილი, 1886 წ.

ჩვენი ხალხი ძველის დროიდანვე ვენახის კეთებას მისდევს. ჩვენის ქვეყნის ბუნება და ნიადაგი სრულიად ხელს უწყობს ვაზის გაშენებას. დიდი სიმდიდრე თუ არ მოაქვს ღვინის მოსავალს ჩვენი ხალხისთვის, ცოტა შველას მაინც აძლევს, შრომა და ჯაფა მუქთად არ მისდით. შინ სახმარებლად თავისი საკუთარი ღვინო აქვს, ჭირსა და ლხინში ღვინის ყიდვა არ უნდება და მეტ ხარჯში არ შედის. მარტო ესეც საკმაოა, რომ ჩვენი ხალხი გულმოდგინეთ მიჰყოლოდა ღვინის წარმოებას და თავი არ დაენებებინა ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი იმისთანა ბედნიერი კუთხეა, სადაც ღვინო ისე უხვად მოდის, რომ ხალხს არამცთუ შინ სახმარებლად ჰყოფნის, არამედ გასასყიდადაც ბევრი ჰრჩება. ღვინო აქ დიდს შველას აძლევს ხალხსა, ათასგვარ გაჭირვებაში უმართავს ხელსა, ბევრს ხარჯსა და გადასახადს აშორებს თავიდამ. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს ღვინის წარმოებას ბევრი ისეთი უბედურება დაატყდა თავს, რომ საქმე სულ უკუღმა დატრიალდა. ღვინის მწარმოებელს ათასგვარი გარემოება უშლის ხელსა და ლამის ეს ერთი უმთავრესი ცხოვრების სახსარი სრულიად ხელიდამ გამოეცალოს. ავიღოთ ჯერ თუ გინდ „ნაცარი“, ეს უცნაური ვაზის სნეულება, რომელიც

აქამდე ჩვენს ვენახებს არა ჰშორდება და ზიანს აძლევს. ოცდახუთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ეს სენი ეწვია ჩვენს ვაზსა და ღვინის მოსავალი ძლიერ შეამცირა. ამას გარდა ფილოქსერა, ეს ვაზის მმუსვრელი მტერი, თითქმის კარს მოგვდგომია, შავი ზღვის პირებზე უკვე თავი იჩინა, და ისეთ უბედურებას უქადის ჩვენ ქვეყანას, რომ თუ დროზე არ ვიზრუნეთ და ამ ზედმოსეულს მტერს შესაფერად არ დავხვდით, შეიძლება ამ უბედურობამ ჩვენი ხალხი იქამდის მიიყვანოს, რომ ვენახებზე სრულიად ხელცარიელი დასოს. ამას ზედ დაემატა კიდევ ერთი ვაზის მტერი, რაღაც „ხაშმის“ ჰია, რომელზედაც ამ დღეებში ჩვენ გაზეთში გვქონდა ლაპარაკი. ბოგანა ჰია და ვენახის კალია, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინათ კახეთში ვენახები სულ მოჰპამა, — ხომ ცოტად თუ ბევრად მუდმივ არის ჩვენში.

მეორე გარემოება, რომელიც ღვინის წარმოების საქმეს ძალიან აფერხებს და ხელს უშლის ჩვენში, ტყის სიძვირეა. ახალი წესები ტყის ხმარებისათვის ძალიან აწუხებს ჩვენს ხალხს. ტყე ჩვენში უწინ თითქმის უბაჟო იყო და ყველა შეღავათით სარგებლობდა. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ შევიწროება ამ მხრივ სრულიად შეუძლებელი იყო, უტყეოდ ჩვენი ხალხი თავის საქმეს რიგიანად ვერ წაიყვანდა. ტყიდამ მას შეშისა და ფიჩხის გარდა, ჰიგო გამოჰქონდა ვენახებისათვის. ეხლა კი იმოდენა ბაჟი დაედო ტყესა, რომ ხალხი ხარჯს ვერ ასვლია და ერთხმივ უჩივის ამ შევიწროებას. აი, სხვათა შორის, ივრის ხეობიდამ რასა გვწერენ: „ვენახების შემუშავება ცოტა არ არის გვიგვიანდება და ზოგი თითქმის უჰიგოოდ რჩება, რადგანაც ტყისმცველების წრეგადასულ საქციელს საზღვარი არ აქვსო. კომლზე 90 ჰიგოა დადებული და თუ მეტს მოიტანს ვინმე, ასსზედ 61 კაპეიკი უნდა გადიხადოსო“ კარგად გაშენებულს ვენახს დღიურზე სამი ათას ვაზზე ნაკლები არ ექნება; და აბა ასს ჰიგოზე რომ სამი აბაზი იხადოს, ერთის დღიურის ვენახის პატრონი როგორ გაუძღვეს ამ ხარჯს. მერე კიდევ კარგი, თუ მოსავალი მოვიდა, თუ არა, ხომ პატრონი ხარჯს

ვერც კი აუვა. და თუ უმოსავლობა რამდენჯერმე ერთიერთმანეთს მოჰყვა, მაშინ ხომ კაცმა ხელიც უნდა აიღოს, ან ისეთი ვალში ჩავარდეს, რომ ველარ ამოვიდეს. თუ მთავრობამ ყური არ ათხოვა, წესები არ შესცვალა და ტყე სავენახედ მაინც არ გააიაფა, ამას უთუოდ უნდა მოველოდეთ. ხალხი ჰიგოს ფასს ვერ აუვა და უჰიგოდ კი ვენახის კეთება შეუძლებელია.

არის კიდევ ბესამე გარემოება, რომელიც არა ნაკლებ პირველი ორისა ხელს უშლის ღვინის წარმოებას. ეს გარემოება სრულის ყურადღების ღირსია. საქმე ის არის, რომ ღვინოს რიგიანი გასავალი არა აქვს. ღვინის ვაჭრობა სირაჯების და წვრილმან ჩარჩების ხელშია. ხალხი ამაზე მეტს მუშტარს ვერ შოულობს და ესენიც, როგორც უნდათ, ისეთ ფასს ადებენ. მეტადრე თუ ღვინის პატრონი ღარიბი კაცია და თან გაჭირვება დაადგა რამე, მაშინ ხომ ღვინო სულ მუქთად რჩებათ ხოლმე. თვითონ ღვინის მწარმოებელთ ეს ძალიან კარგად ესმით, მაგრამ რა ქმნან, რით უშველონ, სხვა გზა არ იციან, რომ ღვინო გაასაღონ. შეძლებული ღვინის მწარმოებელნი, თავად-აზნაურნი, როგორც არის, ამ ბოლოს დროს ცოტად თუ ბევრად ჰშველიან თავიანთ საქმეს, უწინდებურად თავიანთ სარჩოს სხვას ხელში აღარ უგდებენ. ეხლა თვითონ დამართეს სარდაფები და თავიანთ ღვინოს თვითონვე ჰყიდიან. ძალიან კარგი, რომ ამათ ყოველნაირი შეძლება და საშუალება აქვთ თავიანთ-თავს თითონვე მოუარონ, მაგრამ რა ქნან წვრილმანმა ღვინის მწარმოებლებმა, გლეხკაცობამ. როგორ მოახერხონ საქმე ისე, რომ თავისი სარჩო, თავისი ნაღვაწი სხვას არ აძლიონ თითქმის მუქთადა.

ამ სახით ვენახებისა და თვით პატრონების საქმე დიდ განსაცდელშია. დღედადღე, როგორცა ვსთქვით, ვენახებს მტერი ემატება. გარდა ამისა, ხომ წელიწადი ისე არ გავა, რომ რომელიმე მხარე ჩვენის ქვეყნისა არ დასეტყვოს და ვენახის პატრონი ცარიელზე არ დასოს, რომ ბოგანა ჭიამ და კალიამ ზოგიერთგან კვირტობაშივე არ მოსჭამოს ვენახი. ყოველივე ეს მოსავლის იმედს უკარგავს ვენახების პატრონს.

თუ ყოველს ამას გადარჩება ვენახი და კაი მოსავალი მოვა, ღვინოს გასავალი არ აქვს, ან ჩალის ფასად გახდება ხოლმე ჩვენის ეკონომიური მოუწყობლობის გამო. ამდენს ვენახის პატრონის გულისგამტეხელს და ხელშემშლელს გარემოებასთან ჭიგოს გაძვირება უნდა მეტად უმძიმდეს ვენახის მკეთებელს. სასურველია, რომ მთავრობა მოეშველოს ამ გაჭირვებულ ყოფას ვენახის პატრონებისას და ჭიგოს შოვნაში მაინც ჯეროვანი შეღავათი მისცეს.

* *

ტფილისი, 6 თებერვალი, 1887 წ.

ბ-ნი ა. ს. ერმოლოვი, თუ არა ვცდებით, შარშან თუ შარშან წინ გამოგზავნილი იყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან კავკასიაში აქაური ღვინის კეთების საქმის სასწავლებლად და საცოდნელად. ბ-ნი ერმოლოვი კარგა ხანს ყოფილა იმიერკავკასიის მხარეს, ყიზლარში და სხვაგან ჩრდილო კავკასიაში, საცა ვაზი ჰხეიროობს და ღვინო მოდის, ამიერკავკასიასაც სწვევია, მაგრამ ცოტა ხნით, როგორც გვახსოვს, ეგრეც უნდა ყოფილიყო, თუ თქვენც იტყვით: ამიერკავკასიაში ვენახებიც ბევრია, ღვინოც ბევრი და კარგიც მოდის, და ვისაც ღვინის კეთების ნახვა და გასინჯვა უნდა, აქ კი არ უნდა მომცდარიყო დიდის ხნით დაყოვნებით, აქ კი, საცა ბოლაზია ღვინისა, არ უნდა დაჰკვირვებოდა გასასინჯავად და საცოდნელად ღვინის კეთების საქმესა, არამედ იქ, საცა ჭყაპურტა ღვინო მოდის; „ჩიხირად“ ცნობილი, და საცა ყურძნის წვენის ღვინოდ ქცევისათვის ბევრი სხვა მასალაა კიდევ შესარევი და სამატი. მაგრამ კაცია და გუნებაო, ნათქვანია, ბ-ნ ერმოლოვს ასე უნებებია და ამიტომაც მისი ნაკვლევი, ნახული და ნაცადი, უფრო ჩრდილო-კავკასიის ღვინის კეთებას შეეხება, ვიდრე სამხრეთისას.

28-ს იმ იანვრისას ერთს საზოგადოების კრებაში* ბ-ნს ერმოლოვს ამ ამიერკავკასიის ღვინის კეთების საქმეზედ ულაპარაკნია. ჯერ ყველაზე უწინარესს ბ-ნს ერმოლოვს შეუდარებია სიკეთე იმიერკავკასიის ღვინოებისა ამიერის ღვინოე-

---

* 2-ое отделение Императорского Вольно-экономического Общества.

ბის სიკეთესთან და უთქვამს, რომ პირველსახედ ამიერკავკასიის ღვინოებისად ცნობილია კახური ღვინო, მაგრამ ეს ტყუილი ბრძანებაა, რადგანაც ამიერკავკასიის ღვინოები მრავალგვარნი არიან და ამათში კახური უფრო გავრცელებულიაო, ხოლო ეხლა სხვაგვარ ღვინოებსაც ბაზარი ეხსნებაო. უმთავრესი თვისება ჩრდილო-კავკასიის ღვინოებისა ის არის, რომ არავითარი განსხვავებული, განსაკუთრებული თვისება არა აქვთო, და ამიტომაც შესაძლოა მათი მსგავსი ღვინო განგებაც გაკეთდესო; რა გემოსაც გინდათ, რა ფერსაც, ყველაფერს ითვისებს და იშვნევსო. ეს არ-თვისებობის თვისება, ბ-ნ ერმოლოვის სიტყვით, იმითია კარგი, რომ ჩრდილო-კავკასიის ღვინოები უფრო ადვილად შესაკეთებელია; თუ ცოდნით და კარგად შეკეთდებაო, იმისთანა ღირსებას მიიღებს, რომ სასიამოვნო იქნება იმათთვის, ვინც უცხო ქვეყნების ღვინოს შესჩვევიაო. იმიერკავკასიის ღვინო ბევრით უკეთესია ამიერისაზედო; ამიერკავკასიის ღვინო, ღვინო-კი არ არის, მარტო ღვინის მასალაა, რომლისაგანაც შესაძლოა კაი ღვინის დაყენებაცაო და სხვანი და სხვანი ამგვარნი. როცა ამაებსა და ამის მსგავს ჰკითხულობთ, ჰკვიროობთ და გაოცებით ჰკითხავთ თქვენს თავს: ნუთუ ამგვარების ცოდნისათვის საჭირო იყო კავკასიაში წამოსვლა პეტერბურგიდამ? რად გარჯილა? განა ეს ცნობანი თვითონ პეტერბურგში კი ვერ მოიკრიბებოდა? მაგრამ ვინ იცის? იქნება ბ-ნმა ერმოლოვმა ბევრი იმისთანაც აღმოაჩინა ან ამიერ ან იმიერკავკასიაში, რომელიც მარტო ადგილზევეა შესაძლო აღმოსაჩენად. თუ ასეა, ბრალი ჩვენის სამდურავისა ამ გაზეთს უნდა დაედვას, რომელმაც ჩვენ მარტო ამისთანა ცნობანი გადმოგვცა ბ-ნ ერმოლოვის ნათქვამისაგან.

ეს კია, რომ ბ-ნს ერმოლოვს ყურადღება მიუქცევია იმისათვის თუ, რა არის საჭირო ღვინის კეთების წარმატებისათვის კავკასიაში, ოცი საგანი დაუსახელებია, რომლის ძალითაც შესაძლოა განკარგება და წარმატება ვენახისა და ღვინის კეთებისა და ღვინის აღებ-მიცემობისა კავკასიაში და ერთობ რუსეთშიაც. ამ ოც საგანთა შორის მოხსენებულია:

სკოლების გამართვა, მაგალითებრ, ყიზლიარში (?), საცა უწინაც ყოფილა; ხაზინის ხარჯით, ანუ ხაზინის შემწეობით, დამართვა საწნეხელებისა, აგრეთვე სარდაფებისა, საცა უნდა მოგროვილ იქმნას ტკბილი ღვინის დასაყენებლად და საკეთებლად; გამართვა საწყობისა, საცა უკეთესი იარაღი ღვინის კეთებისა უნდა იყიდებოდეს, ყიზლიარამდე (კიდევ ყიზლიარამდე? აბა ღვინის ბოღაზი უპოვია ბ-ნს ერმოლოვს?) როსტოვ-ვლადიკავკასიის რკინისგზის გაყვანა და ღვინის გადატანის ფასის დაკლება, ყიზლიარიდამ ასტრახანამდე ფოსტის გზის გახსნა, ნავთსვლა თერგსა და კუმაზედ, რისთვისაც საჭიროა ჩაღრმავება და ჩასწორება ამა მდინრეების ავალისა და სხვანი და სხვანი. ყოველივე ეს დიდის მოწონებით მიუღია პატივცემულს კრებას, კრებაში გამოჩენილან იმისთანა კაცნიც, რომელთაც ერთი მართლა ფრიად საჭირო და ადვილად აღსასრულებელი ღონეც დაუმატებიათ ბ-ნ ერმოლოვის მიერ წარმოთქმულ ზომათათვის ღვინის კეთების ზარსამატებლად. უთქვამთ, რომ საჭიროა ღვინის მკეთებელთ ხელი მოეწყოთ ფულის მიშველებითაო და ამისათვის უნდა მიეცეთ კრედიტი როგორც კერძო, ისეც სახელმწიფო ბანკისაგანაო და ამას გარდა ვენახები შეიკრას ფილოქსერისაგანაო. საეკონომიო საზოგადოების კრებას მიუღია ყველა ეს წინადადებანი და დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ყოველ ამისათვის.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვშურს ყიზლიარის ღვინის მკეთებელთათვის ყოველივე ეს სიკეთე, ღმერთმა ერთი-ათად მეტიც მისცეთ, მაგრამ რაკი სიტყვა ღვინოზეა ჩამოგდებული, ნუთუ ამიერკავკასია, რომელიც ყოველისფერით დედაა ღვინისა, დავიწყებული, გამოკლებული და სახსენებელი არ უნდა იყოს? ყურს ესმის და გონებას არა სჯერა ეს საარაკო ამბავი...

* *

ტფილისი, 17 თებერვალი, 1886 წ.

გუშინ სიტყვა ჩამოვაგდეთ მასზედ, რომ ჩვენს ქვეყანაში ქინაქინის ხისა და ჩაის ბუჩქის გაჩენას გვპირდებიან. ეს რა საკვირველია, სამერმისო საქმეა და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ვისაც ფიქრად მოსვლია ამ ახალის შემოღებით ჩვენი ქვეყანა ცოტად თუ ბევრად გაამდიდროს. ყველა ახალი, თუკი მით მოგვემატება რამ, კარგია და სანატრელი. მაგრამ ეს ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ხვალინდელი ქათამია, და ის დღევანდელი კვერცხი კი, რომელიც ხელთ გვიპყრია, დაუდევრობით ლამის გაგვილაყდეს. სამერმისო მერმისს მივანდოთ და სადღეისოდ კი უკეთესი და უფრო ჭკუას ახლო იქნებოდა გვეფიქრნა მასზედ, რაც დღეს ხელთა გვაქვს და რაც ჰლამის სიმდიდრის კარგა მოზდილ წყაროდ გადაექცეს ჩვენს ქვეყანასა, თუ კი ხელშემწყობი ეყოლება.

ეგ წყარო ღვინოა. ამიტომაც ამ საგნის ვითარების გამოძიება და გამოკვლევა და ყოველ ამის დაწვრილებით ცოდნა მეტი არ იქნება ჩვენთვის. მინამ ვიტყოდეთ რასმე, რა აბრკოლებს და რა ჰშველის ღვინის საქმეს ჩვენში, საჭიროა ვიცოდეთ, რამოდენა ღვინო მოდის ჩვენში და რამოდენის ბაზარის იმედი უნდა გვქონდეს ღვინისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ცნობანი ღვინის რაოდენობისა მარტო ერთის წლისა გვაქვს, სახელდობრ, 1870-ისა. ერთის წლის ცნობებზედ ძლიერ ძნელია რაიმე დასკვნის გამოყვანა მით უფრო, რომ არც კი ვიცით, სანდონი არიან ის ცნობები თუ არა, რადგანაც იმ წიგნში*, საიდამაც ჩვენ ამის ქვემოთ ამოვკრებთ

* Историко-Статистический обзор промышленности России, Т. I.

ამ ცნობებს, არ არის ნაჩვენები, რაზედ არის დაფუძნებული. რადგანაც ჯერ ხელთ უკეთესი სხვა არა გვაქვს-რა, მეტი რა გზაა, იგი წიგნი უნდა გავიმძღვაროთ წინ და მას დავეფუძნოთ.

ამიერკავკასია ღვინის მოსავლის კვალობაზე ხუთ ნაწილად არის გაყოფილი ხსენებულ წიგნში და თვითო ნაწილის მოსავალი ცალკეა მოხსენებული: ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ცნობანი 1870 წელს ეკუთვნიან და „ვედრით“ * არიან არიცხულნი:

	მოსავალი	შინ მოხმარიათ	გაყიდნიათ
შავი ხღვის და რიონის ნაპირები	3.253.500	2.276.750	975.750
კახეთი	2.915.080	728.770	2.186.310
მტკვრის ნაპირები	1.425.910	875.546	570.364
არაქსის ნაპირები . . .	952.200	575.520	383.680
შამახა-გეოკჩაი	95.737	23.934	71.003
სულ ამიერკავკასიაში	8.648.427	4.460.520	4.187.907

ამ სახით გამოდის, რომ ნახევარზედ მეტი ღვინო შინ ისმევა და მარტო ნახევარზედ ცოტა ნაკლები გადის ბაზარში გასასყიდად. რომ გავიანგარიშოთ, გამოვა, რომ ასზედ

	შინ ისმევა	იყიდება
იმერეთში	70	30
კახეთში	25	75
ქართლსა და სომხეთში .	60	40

მაშასადამე, ამიერკავკასიას თითქმის $4^1/_4$ მილიონი ვედრა ღვინო აქვს ბაზარში გასატანი და გასასყიდი; ვედრა რომ ერთიერთმანეთზედ მანეთ-ნახევრად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ღვინისაგან ამიერკავკასიას უნდა შემოუვიდეს ექვსი მილიონი და 375.000 მანეთი; აქედამ იმერეთს თითქმის მილიონ ნახევარი, კახეთს სამი მილიონი და თითქმის 279.000

* ვედრა სამი თუნგია ანუ 16 ბოთლი.

მანეთი, ქართლსა და სომხეთს თითქმის 855.000 მანეთი, და სხვანი.

იმიერკავკასიასა, დაღესტანსა და ყუბანის მხარეს, სულ მოდის 2.212.800 ვედრა ღვინო. აქედამ შინ სასმელად რჩება 588.245 და 1.624.735 გასასყიდად გადის. ბესარაბიაში, ყირიმსა, დონზედ და ასტრახნის გუბერნიაში მოდის სულ 4.042.950 ვედრა; აქედამ შინ სასმელად ჰრჩება 539.296 და გასასყიდად გადის 3.503.654.

ამ სახით გამოდის, რომ ამიერ და იმიერკავკასიაში და დანარჩენს ადგილებში რუსეთს სულ 15 მილიონამდე ვედრა ღვინო მოსდის წელიწადში; აქედამ 5.588.061 შინ სასმელად ჰრჩება ღვინის პატრონებს და დანარჩენი 9,316.296 გადის გასასყიდად. ეხლა იკითხავს მკითხველი, რა ბაზარი უნდა გაუძღვეს ამოდენა ღვინოსაო? მით უფრო ჰკვაში მოსასვლელი საკითხავია ეს, რომ საზღვარ-გარეთ სულ 0,02% ღვინო არ გააქვთ რუსეთის საზღვრებიდამ და თვითონ რუსეთის ხალხიც ყურძნის წვენის ღვინოს შეჩვეულნი არ არიან და არა ჰხმარობენ. ხომ ესეა, მაგრამ ორი და სამი მაგოდენა ღვინოც რომ იყოს, მარტო რუსეთის ბაზარს ვერ აუვა, თუ კი ჩვენი ღვინოები გზას გაიხსნიან და რუსეთს მოაწონებენ თავსა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ციფრებს რუსეთიდამ საზღვარგარეთ გატანილის ღვინისას და არაყისას და იქიდამ შემოტანილისას ფულად:

ორთა-შუა რიცხვით

წლიდამ	წლამდე	გატანილი	შემოტანილი
1853	1855	11.120 მან.	5.888.405 მან.
1856	1860	39.200 „	6.322.905 „
1861	1865	72.425 „	6.989.923 „
1866	1870	30.600 „	7.586.604 „
1871	1875	24.600 „	13.802.819 „
1876	1880	99.950 „	12.095.665 „

1880 წელს რუსეთში შემოუტანიათ ღვინო თითქმის $18^1/_2$ მილიონ მანათისა. აქედამ გამოდის, რომ რუსეთი შიგნითვე

ასაღებს არამც თუ იმ 10 მილიონს ვედრას, რომელიც რუსეთს თვითონ აქვს ყოველწლივ გასასყიდად, არამედ თვრამეტ მილიონ მანეთისას კიდევ სხვაგან ყიდულობს და შემოაქვს. მაშასადამე, ამიერკავკასიის ხუთი მილიონი ვედრა ღვინო ერთი-ოთხად და ხუთადაც რომ იქცეს, მაშინაც ძლივს გაუძღვება მარტო რუსეთის ბაზარსა. აქ მარტო გზების გახსნა უნდა და ბაზრის დაჭერა ღვინის სიკეთითა და იეფობითა. ჩვენს ღვინოს ძლიერი მეტოქე და მოცილე ჰყავს რუსეთის ბაზარში: ეგ მეტოქე ევროპაა, რომლის ღვინოსაც რუსეთი დიდი ხანია სვამს და დიდი ხანია შეჩვეულია. ამ მეტოქის განდევნა რუსეთის ბაზრიდამ და მისის ადგილის დაჭერა მეტად რთული და ძნელი საქმეა. ამ მხრით ოდესმე მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს, და მინამ ქინაქინის ხეს და ჩაის ბუჩქსა ჩვენში ვახეირებდეთ, რომ ამას, რაც დღეს ხელში გვაქვს, ხელი შეუწყონ და გზა მისცენ, არ იქმნება ურიგო.

* *

ტფილისი, 5 მაისი, 1886 წ.

ეხლანდელმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ოსტროვსკიმ იცნა, რომ წინანდელი კრედიტი სახელმწიფო ბანკისა მეტად უბარაქოა, რაკი ძარტო ვაჭრობის საქმეს ჰშველის და არა მიწათმოქმედების წარმოებასაც, ესე იგი იმ წარმოებასა, რომლის წარმატებაზედაც დამოკიდებულია მთელი კეთილდღეობა რუსეთისა, როგორც იმისთანა სახელმწიფოსი, რომელსაც თავდაპირველი ძალ-ღონე ეკონომიური მიწათმოქმედებისაგან ეძლევა.

ამ ბოლოს მთელმა რუსეთმა დაიწყო ლაპარაკი მასზედ, რომ ჩვენს სახელმწიფოში იმისთანა ქვეყნებია, რომელთაც ჰავა და მიწა ნებას აძლევს მევენახეობისას და ღვინის კეთებისა და დაყენებისას. მიაქცია რა ბ-ნმა მინისტრმა თავისი ყურადღება ამ მხრით საქმესა, სცნა, რომ ვინაიდან რუსეთს უცხო ქვეყნებიდამ დიდძალი ღვინო შემოაქვს, მაშასადამე დიდძალი ფულიც, ვითარცა ღვინის სასყიდელი, რუსეთიდამ გარეთ გადის. ამ ამბავმა მოახედა მთავრობა იმაზედ თუ,—განა არ შეიძლება რუსეთმა თავისი საკუთარი ღვინო იქონიოს, და თუ ღვინისაგან გამორჩომაა რამე, ის არა სჯობია, ისევ რუსეთის ხალხი გამორჩეს, ვიდრე უცხო ხალხიო.

ვიდრე ეს უტყუარი და საბუთიანი აზრი განსახორციელებლად გზას გაიხსნიდა, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ცალკე კომისია შესდგა ბ-ნის არხიპოვის თავმჯდომარეობით და ამ კომისიას დაავალეს აღმოაჩინოს იმისთანა ღონისძიებანი, რომ ღვინის საქმე რუსეთში განკარგდეს, გაძლიერდეს და წარმატებას მიეცეს. სახელმწიფო ქონებათა

და საფინანსო სამინისტროებში მრავალი თხოვნა იყო უკვე შეტანილი ვენახებისა და ღვინის პატრონებისა და მკეთებლებისავან მასზედ, რომ ძალიან უნუგეშოდ არიან დარჩენილნი. ვენახები უფუჭდებათ, ღვინოებს რიგიანად ვეღარ უვლიან, ვერა ჰყიდიან, და ეს სასარგებლო სახელმწიფოსა და ერისათვის წარმოება უკან და უკან მიდის, და ამიტომაც ითხოვეს რაიმე შველა და შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

კომისიას გაუსინჯავს ეს თხოვნანი. გამოუძიებია თვითონ საქმე, მათთა საჩივართა მიხედვით, და დარწმუნებულა, რომ მართლა ღვინისა და ვენახების პატრონები მეტად ცუდს მდგომარეობაში არიან. კომისიას, გარდა საკუთარის გამოძიებით მოპოვებულის საბუთებისა, ხელთა ჰქონია იგი ცნობანიც, რაც წინათ სამინისტროს შეუკრებია ღვინის წარმოების მცოდნე კაცთაგან. ამ ცნობათაგან აღმოჩენილია, რომ რაც რუსეთის ბაზარში ღვინოები ჰსაღდება, რაც ღვინო მიდის და მოდის ამ ბაზარში,—სულ ყალბი ღვინოებია, როგორც შინვე რუსეთში ნაკეთები, ისეც საზღვარგარეთიდამ შემოტანილი: ამ ყალბს ღვინოსა ჰსვამს რუსეთი და ამის მიუხედავად ფასი კი მეტისმეტად ძვირია, მაშინ, როდესაც თვითონ ღვინის ადგილს მართალი ღვინო მეტისმეტად იეფ ფასად ძლივს იყიდება, და ამ სახით ხშირად ნაწარმოების შემოსავალი თავისსავე ხარჯს არა ჰფარავს.

უცვნია რა ეს ყოველი, კომისიას ღვინის წარმოების აღსადგენად და შესაფერს გზაზედ დასაყენებლად დაუდგენია, რომ საჭიროა ხელი მოემართოთ ცალკე ვენახების პატრონებს, ღვინის კეთების სკოლები და შესაფერი მარნები დაჰმართონ თავ-თავიანთ მამულებში იქ, საცა ღვინოებს აყენებენ და ღვინოს ინახავენ; გაიმართოს ცალკე სახელმწიფო მარანი, ანუ სარდაფი, ღვინის დასაყენებელი და შესანახავი ყველასათვის სამაგალითოდ, რომ ვისაც ჰსურს, ისწავლოს, როგორც უნდა დაყენება ღვინისა და როგორი მოვლაა და პატრონობა საჭირო. გარდა ამისა, კომისიას ყურადღება მიუქცევია იმისათვისაც, რომ ყალბის ღვინის კეთებას და ბაზარში გამოტანას ყოველივე გზა შეეკრას, და თუმცა ამისათვის

სახსარიც აღმოუჩენია კომისიას, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ არ ვიცით, რაგვარნი არიან იგი სახსარნი, რადგანაც გაზეთები, რომელთაგანაც ეს ცნობები მოგვყავს, ვრცლად ამ საგანზედ არასფერს გვაუწყებენ.

ჩვენის ფიქრით, ყველაზედ უდიდესი და მართლად ზედმიწევნილი წამალი ღვინის საქმის განსაკარგებლად და წარსამატებლად იგია, რომ კომისიას დაუნახავს აუცილებელ საჭიროებად ღვინის მწარმოებელთ იეფი სახელმწიფო კრედიტი მიაშველოს. ამისათვის გადაუწყვეტიათ, რომ ღვინისმწარმოებელს გზა გაეხსნას—სახელმწიფო ბანკიდამ და მის ცალკე განყოფილებათაგან ფული ისესხოს ხოლმე, რაც შეიძლება იეფად, ვიდრე უკვე დაყენებულს ღვინოებს გაჰყიდიან და გაასაღებენ, და გასყიდვამდე ღვინოები ბანკს გირაოდ ექმნება.

არ შეიძლება კაცი სრულის თანაგრძნობით და სიხარულით არ მიეგებოს ამისთანა განაჩენსა. თუ ეს ფრიად სასარგებლო აზრი და განზრახვა კომისიისა უმაღლესის მთავრობისაგანაც შეწყნარებულ იქმნა, ჩვენი სრული მეცადინეობა იმაზედ უნდა მიიქცეს, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენის ქვეყნის ღვინის მწარმოებელნი ღობის გარეთ არ დარჩნენ. ამიტომაც მეტი არ იქნება ჩვენ თავად-აზნაურთა მარშლები ეხლავ შეუდგნენ ამ მეცადინეობას, შეჰყაროონ თუნდ საგანგებო კრება და კრების განაჩენით შუამდგომლობა გაგვიწიონ მთავრობასთან, რათა ეგ წყალობა სახელმწიფო კრედიტისა ჩვენც მოგვეფინოს; თორემ ვინ იცის, ყიზლიარმა კი თავი შეაფაროს ამ სულის ჩამდგმელს კრედიტსა და ჩვენ კი გამოკლებულ და დავიწყებულ ვიქმნათ.

ჩვენ ვწერთ ამას იმისათვის, რომ ყველამ, თავადია თუ აზნაური, უნდა მოსთხოვოს თავის მარშალს, ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, და ჩვენებურის ღვინის წარმოების უნუგეშოდ ყოფა, დავარდნილობა, ღვინის მწარმოებელის უქონლობა, უმაღლეს მთავრობას შესჩივლოს და ითხოვოს, რომ რაც სხვისათვის იქნება, იქიდამ ჩვენც არ გა-

მოგვწიროს. მით უფრო შესაწყნარებელი იქნება ჩვენი ესეთი თხოვნა და პატივსადები, რომ უმაღლესმა მთავრობამ და ნამეტნავად სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ოსტროვსკიმ ძალიან კარგად იციან, რომ ღვინის წარმოებისათვის ამიერკავკასია წარმოადგენს ყველაზედ უკეთეს ნაწილსა მთელს რუსეთში.

მევენახე გლეხთა მდგომარეობა

I

ტფილისი, 23 ივნისი, 1887 წ.

როცა ამბობენ, ესა და ეს ქვეყანა მდიდარი არისო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ იმ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ, რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანას, როგორც მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო. სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას. და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება. ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი ჰავისა გამო ვერა ჰხეირობს.

ეს ხომ ასეა, მაგრამ ერთი საოცარი ამბავი უნდა შევნიშნოთ. ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ჩვენის ყურით გულისხმიერ შინაურ კაცთაგან, რომ გლეხობა იქ არის ჩვენში ღარიბი და ყელთამდე ვალში ჩაცვივნული, საცა ვენახობა და, მაშასადამე, ღვინის კეთება გახშირებულია და საცა გლეხკაცობა ამ ვენახობაზედ არის უფრო მეტად თავდადებულიო. პირიქით, საცა გლეხობა მარტო ხვნა-თესვას მისდევს, იქ კი გლეხნი უფრო შემძლებელნი და უვალონი არიანო, ხშირად ამის დასამტკიცებლად თვითონ სოფლებიც დაუ-

სახელებიათ და ამ სოფლების მცოდნე კაცებს უთქვამთ, რომ ამ დასახელებულ სოფლებში მართლა ეგრეა გლეხთა მდგომარეობაო. ჩვენც თვითონ გამოგვიძიებია ეს საოცარი ამბავი ჩვენს ახლომახლო თითო-ოროლა სოფელში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოძიებას არც ერთგან არ გაუმტყუნებია ზემოხსენებული ნათვალევი შინაური კაცებისა: ყველგან, საცა კი თვალი მიგვწვდენია, გამოსულა, რომ გლეხობა იქ უფრო შეძლებულია და უვალო, საცა ვენახები ან სულ არა აქვთ, ან ძალიან ცოტად, და საცა უფრო ხვნა-თესვაა, ვიდრე სხვა რამ მიწათმოქმედება.

ეს ისეთი დაუჯერებელი ამბავია პირველი შეხედვით, რომ ჩვენს თვალსაც არ ვუჯერებდით და გულში ვამბობდით, თითო-ოროლა სოფლის მაგალითი ჯერ კიდევ საბუთი არ არის, სიღარიბის მიზეზად ვიცნათ საგანი სიმდიდრისა, რომელსაც ღვინო წარმოადგენს. მართალიც არის: როგორ დავიჯეროთ, რომ ღვინომ, ესე იგი, ამ შემთხვევაში მომეტებულმა წყარომ სიმდიდრისა, ერი გააღარიბოს. ეს მადლის ცოდვად გადაქცევა, ეს ლხინის ჭირად გარდაქმნა ჯუაში როგორღაც არ მოდის, ლოღიკა როგორღაც ვერ ითვისებს, ვერ იწყნარებს: აქ უნდა სხვა რამ მიზეზი იყოს და ამ მიზეზის გამორკვევა მეტად საინტერესო გახდა ჩვენთვისა. დრო გადიოდა და ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი დიდი მემამულე, რომელსაც ორასის დღის ვენახი აქვს გადაჭიმული ერთს ადგილას, ნებას არ აძლევს გლეხობას მის მამულში ვენახი აიშენოს სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩემი გლეხობაო, რომელიც ეხლა მარტო ხვნა-თესვას მისდევს და ცოტად თუ ბევრად წელმაგარია, გაღარიბდება, რაკი ვენახის დავიდარაბას აიკვიატებსო. ჩვენ ვიცნობდით ამ მემამულეს და საინტერესოდ გაგვიხდა მისგან ამ საგანზედ შეგვეტყო რამე. მან გვითხრა, რომ სწორედ ეგრე ვიქცევი ჩემს მამულში და ჩემისთანა უვალო და შეძლებული გლეხობა ბევრს არ უსახლიაო. ჩემს გვერდით ჩემობას ერთი პატარა სოფელი დაშენდა სახელმწიფო მამულზედაო, და როცა ამ პატარა სოფლის გლეხთა ვენახების გაშენება დააპირეს, ბევრი ეურჩიეთ, თუ თავის დაღუპვა არ გინდათ, ვენახებს თავი დაანებეთ, მარტო ხვნა-თესვას მიჰყე-

ვითო. არ დამიჯერეს და ეხლა ჰნანობენო, ყელთამდე ვალებში არიან, და ჩემი გლეხები კი იმოდენად კარგად არიან, რომ ისინი ამათ შეჰნატრიანო. დღესაც იმ ადგილებში გარშემო ვენახები აქვს გლეხობას და მარტო შუაგული მამულია ხსენებული მემამულისა, საცა არც ერთს გლეხს ვენახი არა აქვს და არც ნდომობს, რომ იქონიოს.

ჩვენ ეს ამბავი სულ სხვა მიზეზს მივაწერეთ, რადგანაც ლოღიკას როგორღაც არ ეფერებოდა. ჩვენ გვეგონა, რომ რადგანაც ხსენებულს მემამულეს სულ ხიზნები ჰყავს თავის მამულში, ამ მიზეზით ნება არ მიუცია ვენახების გაშენებისა, რომ მკვიდრად ფეხი არ მოიკიდონ მამულში და მერე სავიდარაბოდ არ გაიხადოს საქმე. ამის გამო სულ სხვა მიზეზი შევწამეთ და არა ის, რასაც იგი გვაუწყებდა. ეხლა-კი ეს საოცარი ამბავი სხვა მხრიდამაც ჰმართლდება.

ხომ მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენში ბ-ნმა ტიხიევმა რჩეულნი მოხელენი გაჰგზავნა სხვადასხვა ადგილას ჩვენში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურის ყოფა-ცხოვრების გამოსაძიებლად. ამათგან ერთმა, ბ-ნმა არღუთინსკიმ, გამოიძია თელავისა და სიღნაღის მაზრის გლეხობის ყოფა-ცხოვრება და როგორც ეტყობა საბუთიდანაც, და იმასაც, წარმოიდგინეთ, იგივე შეუნიშნავს შესახებ იმ გლეხებისა, რომელნიც მევენახეობას უფრო მისდევენ. იგი ამბობს, რომ საცა გლეხობა ვენახობას აჰყოლია ამ ორს მაზრაში, ნამეტნავად თელავისაში, იქ გლეხობა ვალშია, ღარიბია, და სახელმწიფო გადასახადის დარჩენილი ფულიც იქ მეტია, ვიდრე სხვაგანაო, ამის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს საკმაოდ შესაწყნარებელი.

რაკი ამ მხრითაც შემოწმებულია დღეს ის დაუჯერებელი ამბავი, რომელიც წინათ მოვიხსენიეთ, არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის ვითარებას არ ჩაუკვირდეს. როგორ გადაექცევა ჩვენს გლეხობას ერთი კაი მოზრდილი წყარო სიმდიდრისა სიღარიბის სათავედ, — ამის გამოძიება და გამორკვევა მეტისმეტად საინტერესოა და ჩვენ ამ საგანს ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ.

II

ტფილისი, 24 ივნისი, 1887 წ.

ცალკე ის მოწმობანი, რომ ყველგან, საცა გლეხკაცობა მისდევს ვენახის კეთებასა, გლეხნი სიღარიბეში არიან და ვალებით დამძიმებულნი, რომ ვენახები თანდათან ჰმატულობენ და მრავლდებიან ქართლ-კახეთში და ამ უკანასკნელ დროს უფრო ქართლში,—ორს ერთმანეთის შეუფერებელს და შეუწყნარებელს მოვლენას წარმოგვიდგენენ. თუ ვენახებითა ჰღარიბდებიან გლეხნი, რაღად მრავლდება ვენახები, და თუ ვენახები მრავლდება, რაღას ჰნიშნავს ხსენებული მოწმობანი?

ვენახების გამრავლება ხომ ანგარიშზეა დამოკიდებული, და თუ ვენახები ანგარიშში არ მოდის, თავს ტყუილად ვინ გაიცივებდა იმის გასამრავლებლად, რაც ხეირის მაგიერ მარტო ზიანისა და ზარალის მომტანია. ჩვენა გვგონია, რომ ამ ერთმანეთის დამლევს და შემმუსრველს ამბავის მიზეზს მივუხდებით, თუ თვალწინ წამოვიყენებთ იმ ეკონომიურს ძალღონეს, რომელიც გლეხკაცობას ვენახის გასაშენებლად აიძულებს.

ვენახი, თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა, დიდძალს მოგებას იძლევა. მაგალითებრ, ბ-ნ არღუთინსკის გამოძიებით გამოდის, რომ თელავის მაზრაში დღიურს ვენახზედ იხარჯება წელიწადში 34 მანეთი და შემოსავალი კი ორთა-შუა მოსავლისა იძლევა 110 მანეთსა ასე, რომ დღიურზედ წმინდა მოგება რჩება 76 მანეთი. ხვნა-თესვა კი იმავ მხარეს იძლევა წმინდა შემოსავალს დღიურზედ 10 მანეთსა და ორს აბაზსა, რადგანაც ბ-ნ არღუთინსკის გამოყვანილი აქვს ხვნა-თესვის ხარჯი დღიურზედ 14 მანეთი და ორი შაური და შემოსავალი 24 მანეთი და ათი შაური, ისიც მაშინ, თუ პურია დათესილი. სხვა მარცვლეულობა კი, მაგალითებრ, ქერი, სულ ოთხს მანეთს და ექვს შაურს წმინდა მოგებას იძლევა და სიმინდი მარტო სამს მანეთსა და ათ შაურს.

რაკი ხალხის გამრავლება ცოტად თუ ბევრად ყოველწლივ

წინ მიდის და ამის გამო სახნავ-სათესი მიწები აღარა ჰყოფნის ხალხსა, რა თქმა უნდა, სახნავ-სათესი მიწა იმისთანა სამუშაოდ უნდა აქციოს, რომელიც ხვნა-თესვაზედ უფრო დიდს შემოსავალს იძლევა. რადგანაც ბარად ჩვენის ქვეყნის მომეტებულ ნაწილში ყურძენი ჰხეირობს და ვენახობა შესაძლებელია, და რადგანაც ვენახი თითქმის ერთი-შვიდად მეტს იძლევა ვიდრე სახნავ-სათესი, აშკარაა, ვენახად ქცეული სახნავ-სათესი ერთი შვიდად მეტს სარჩოს მოიტანს; ამ სახით, ანგარიში თვალნათლად აჩვენებს გლეხკაცსა, რომ იგი ტანი მიწა, რომელიც ხვნა-თესვით საკმაო სარჩოს არ იძლეოდა, ვენახეობით კი გაუძღვება მისის რჩენის საჭიროებასა. ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამრავლებისა ჩვენში. ამაშივე უნდა მოიჩხრიკებოდეს მიზეზი გლეხის გაღარიბებისა და ვალში ჩავარდნისა, თუ ერთიც და მეორეც მართალია და არ მოჩვენებული ღრმად ჩაუხედავობისაგან.

ხვნა-თესვა იმისთანა რამ არის, რომ თუმცა ცოტას იძლევა, მაგრამ რასაც იძლევა, უფრო საიმედოა და მშრომელს უფრო ნაკლებ გაუმტყუნდება ხოლმე. ხვნა-თესვას მოსავლის იმდენი განსაცდელი, ფათერაკი არა სდევს, რამდენიც ვენახისას. გარდა ამისა, რომ სულაც მოუცდეს გლეხკაცსა, უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე ვენახის მოსავლის მოცდენა, იმიტომ რომ პირველ შემთხვევაში 14 მანეთი ეკარგება და მეორეში კი 34 მანეთი (თუ ბ-ნ არღუთინსკის ციფრები სარწმუნონი არიან და საკმაოდ ახლო არიან მართალ ციფრებზედ). იმას აღარ ვიტყვით, რომ ხვნა-თესვის მოსავლის ხელაღებით მოცდენა ძნელი და იშვიათი შემთხვევაა, ვენახის კი უფრო ადვილია და ხშირი, ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგა გვიან მოდის მოსავალი ვენახისა და, მაშასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშ უფრო დიდხანს იმყოფება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სეტყვა ავიღოთ, ხვნა-თესვის მოსავალი მარტო მკათათვის დამლევამდეა სეტყვის შიშქვეშ და ვენახისა კი თითქმის ღვინობისთვემდე, და ამ ხნის მან-

ძილზედ ვინ იცის რა არ დაემართოს ვენახსა, კაცზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო.

ერთის მხრით დიდის შემოსავლის იმედი, რომელსაც ვენახი იძლევა და რომელიც ცოტად თუ ბევრად საბუთიანია და დიდს ხარჯს აწევინებს, და მეორეს მხრით ის მრავალგვარი განსაცდელი, რომელიც თან სდევს ვენახის მოსავალსა და ხშირად ვენახის პატრონს ყველაფერზედ ხელს აბანინებს, უნდა ცნობილ იქმნას იმის მიზეზად, რომ ვენახის მიმდევარი გლეხი შეძლებით უფრო ულონოა, ვიდრე ხვნა-თესვის ამყოლი. ვენახს იმოდენა ხარჯი და მოვლა უნდა, რომ ერთი წელიწადი მოუცდეს გლეხსა, გლეხი უეჭველად ვალში უნდა ჩაიფლას, და ვალიც იმისთანა მძიმე პირობისაა, რომ ერთხელ ჩაფლული ძნელად თუღა იხსნის ვალისაგან თავსა. ჩვენ მოვიყვანეთ ბ-ნ არღუთინსკის მიერ გამოძიებული რაოდენობა ხარჯისა ერთის დღიურის ვენახის საკეთებლად, მართალზე ძალიან ახლო. ამ ციფრისაგან სჩანს, რომ ერთის დღიურის ვენახის პატრონს ვენახზედ ეხარჯება 34 მანეთი. ვენახი რომ მოუცდეს და 34 მანეთი ვალად დაედვას ერთის დღიურის ვენახის პატრონს გლეხსა, როგორღა დააღწევს ამ ვალისაგან თავსა.

რადგანაც ვენახი დიდის შემოსავლის იმედს იძლევა, და რადგანაც წინდაუხედაობა, რომელიც ჩვენს ზნეს შეადგენს, მარტო კარგს გვაფიქრებინებს ხოლმე და ათასნაირს განსაცდელს გვავიწყებინებს, ამიტომაც გლეხს გული უფრო ხალვათი აქვს ვალის აღებისათვის: ერთი მოსავალი მომივა და ვალსაც ერთბაშად გავუძღვები და ვახშსაცაო. იგი მართალია ამ ერთის კარგის მოსავლის მოლოდინითა, მაგრამ ხშირად ლოდინი ლოდინად ჰრჩება და გულხალვათად აღებული ვალი თავის ზედნადებით ზედ ეკეცება, და რამოდენადაც იმედგამტყუნებული მოსავალი ვენახისა აკლდება, იმოდენად, თუ არ მეტად, ჰმატულობს ერთხელ აღებული ვალიცა.

გარდა ამისა, თვითონ იგი სოფლის წურბელაც, რომელიც მარტო ფულის ბღარტობითა ჰცხოვრობს და ქვეყანას იმის მეტი მისგან არა ემუნათება რა, იგიც ვენახის იმედით

უფრო იძლევა ფულს ვალადა. იგი ფულის სასესხებლად მოსულს კაცს ყველაზედ უწინარეს ჰკითხავს ხოლმე: ვენახი გაქვსო, და თუ აქვს, ამისთანისათვის ფულს სასესხებლად უფრო ადვილად იმეტებს. რადგანაც ფულის პატრონი ყოველთვის წინდახედული და ანგარიშიანი კაცია, იმან კარგად იცის, ვენახი რა განსაცდელიანი ქონებაა; კარგად იცის, რომ თუ წელიწადი ემარჯვა, დიდს ღონეს აძლევს გლეხკაცსა, და თუ არა, ფული შესაძლოა დიდ ხანს დაებანდოს და გაებას. ცალკე ამ იმედიანის სიხარბით, ცალკე ფულის დიდ ხანს დაბანდების შიშით, იმოდენა სარგებელს დაუდებს ხოლმე პირობად, რომ კაცი ჰკვირობს, საღის ჭკუის პატრონი ამ სარგებელს როგორა ჰკისრულობსო.

ხოლო გაჭირებულს გლეხკაცს სარგებლის სიდიდეს და სიმძიმეს უსუბუქებს და საადვილოდ უხდის ისევ ის იმედი ვენახის მოსავლისა. ეხლა-კი სული მოვიბრუნოო, ხელი მოვინაცვლოო, ამბობს გულში, და ღმერთი მოწყალეა, სამერმისოდ ვენახი იმოდენას მომცემს, რომ ამასაც წარბშეუხრელად გავწვდეო. აკი ვსთქვით, გლეხკაცს ვენახის იმედით გული ხალვათი აქვს, და ეს იმედი მით უფრო ადვილად ჰკუაში მოსასვლელია, რომ ვენახი ბუნებითად დიდის მოსავლის შემძლებელია, დიდის მოგების მომცემია, თუკი ამინდი დაუდგა და განსაცდელს გადურჩა. ეს იმედი, უანგარიშოდ გაძლიერებული, წაიცდენს ხოლმე გლეხკაცობას, ცალკე ვალის აღების გზას უხსნის და ცალკე ვალის შიშს უკლავს. მაშინ როდესაც უამისოდ გლეხკაცი ერთობ მეტად უფრთხის და ერიდება ვალის აღებასა. ამ სახით, სამი მიზეზი ერთად მოქმედობს, ჩვენის ფიქრით, თუ მართლა ვენახის მიმდევარი გლეხკაცი უფრო ვალში ჩაფლულია, უფრო შეუძლებელია, ვიდრე ხვნა-მთესველი, რომელიც უფრო ცოტაზედ, მაგრამ უფრო ნაკლებ განსაცდელიანს და უფრო დიდად საიმედო მოსავალზედ დამყარებულია. ერთი მიზეზი ის უნდა იყოს. რომ ვენახის კეთების ხარჯი იმოდენაა, რომ თუ ვინიცობაა მოსავალი მოსცდა, გლეხი უვალოდ ამ ხარჯს ვერ გადურჩება; მეორე ისა, რომ დიდი მოგება ვენახისა ვალის

შიშს უფრთხობს გლეხსა და ძნელად საკისრებელს ადვილად კისრად აღებინებს; მესამე ისა, რომ იგივ დიდი მოგება ვენახისა ფულის პატრონს უფრო ადვილად ამეტებინებს სასესხებლად ფულსა ვენახის პატრონისათვის. ხოლო ყოველსავე ამ მიზეზს და ვენახის პატრონების ღარიბად ყოფნას მაშინა აქვს ადგილი, როცა დამტკიცებული იქნება, რომ რიგიანი მოსავალი ვენახისა ძალიან იშვიათია ჩვენში და ნაკლები ხშირი. გლეხის ჩაფვლა ვალში და ველარ ამოსვლა ადვილად წარმოსადგენია მარტო ამ შემთხვევაში. ნუთუ ჩვენში უმოსავლობა ვენახისა სჭარბობს მოსავლიანობას?

თუ მართლა დასაჯერია ის ამბავი, რომ გლეხკაცობა, ვენახების მიმდევარი, უფრო ღარიბია ხვნა-თესვის მიმდევარზედ, უეჭველად ესეც უნდა დავიჯეროთ. ჩვენ მაინც კიდევ საეჭვოდ მიგვაჩნია ეს შინაურ მოსაქმე კაცთაგან შენიშნული და მთავრობის მოხელეს მიერ შემოწმებული ამბავი. კარგი იქნებოდა, რომ სოფლად მცხოვრებმა მიხვედრილმა კაცმა თვალი დააკვირვოს ამ საოცარს ამბავს და თვისი აზრი ამ საგნის შესახებ გაგვიზიაროს. ეს მეტისმეტად საინტერესო საქმე იმად ჰღირს, რომ კაცმა ჯაფა გასწიოს და ზედმიწევნით გამოიძიოს. მართლა და, როგორ არ უნდა ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს მეტი სახსარი ჰქონდეს თავის რჩენისა და ის მეტი ჭირად გადაჰქცეოდეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიმდიდრე სიღარიბის მიზეზად გახდომოდეს.

მცენარეთა შენაცვლების საკითხი მეცნიერებაში

ტფილისი, 9 თებერვალი, 1889 წ.

ბ-ნ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავადმყოფობისა, რომელიც ამ დღეებში დაბეჭდილი იყო „ივერიაში“, მეტად შესანიშნავი წერილია. შესანიშნავია მით, რომ ჩვენში ჯერ არავის წამოუყენებია იგი მიზეზი ჩვენის ვენახების და ვაზის უღონობისა, რომელიც ბ-ნმა ვეზიროვმა ხსენებულ წერილებში გვაჩვენა. საბუთები, მოყვანილი ბ-ნ ვეზიროვისაგან თავის აზრის დასამტკიცებლად, ძალიან ჰკუაზედ ახლო არიან და იმოდენად საკმაოდ გამორკვეულნი, რომ კაცმა უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს პატივცემულის ავტორის აზრსა.

დედააზრი ბ-ნ ვეზიროვისა იგია, რომ მიწა, რომელზედაც გაშენებულია ჩვენში ვაზი, მოიღალაო. ამოდენა ხანია ვაზი სწოვს ერთსა და იმავე მიწასა და, რა საკვირველია, მიწა იმდენად გაღარიბდეს, რომ ვაზის საზრდოდ და სახეიროდ ბევრი აღარა შერჩენოდესო. ეს აზრი იმ უტყუარს საბუთზე აქვს დამყარებული, რომ სხვა ყოველს მცენარეს სწორედ ესევე შედეგი მოსდევს, თუ ზედიზედ მოჰყავთ ერთსა და იმავე მიწაზედა. ეს კანონი მიწისმოქმედებისა ყველამ კარგად იცის, დიდმა თუ პატარამ, გლეხმა თუ თავადმა. ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცენარე. ხაქერალში ქერს არავინ დასთესს, ნაპურალში პურს, თუ მცენარე არ უცვალა. თუ ყოველი სხვა მცენარე ისე სწოვს მიწასა,

რომ მეორე წელს იგივე მიწა იმ მცენარისათვის აღარ ვარგისობს, რატომ ვაზის გამოც ეს არ უნდა ვიფიქროთ, მით უფრო, რომ ვაზი არამც თუ ერთსა და ორს წელიწადს, არამედ ოცსა და ოცდაათს წელიწადს ერთსა და იმავე მიწაზედ ჰდგას და ერთისა და იმავე მიწიდამ გამოაქვს თავისი საზრდო და სასმელ-საჭმელი.

ყოველი ორგანებური არსება, მცენარეა თუ ცხოველი, დიდად დამოკიდებულია საჭმლის ავკარგიანობასა და მეტ-ნაკლებობაზე. თუ საჭმელი არ უვარგა, ან ნაკლები აქვს, თითონ არსებაც მჭლეა, უღონო, უძლური. მჭლე, უღონო და უძლური არსება წინათვე განმზადებულია სენისთვის, ადვილად შეიყრის ყოველგვარს სენსა, ადვილად დაეჩაგვრინება, ადვილად დაიძლევა, რადგანაც, როგორც მთელი აგებულება, ისეც ყოველივე ცალკე ასო იმოდენად დაუძლურებელი აქვს, რომ სენთან ბრძოლისათვის სენის მოსარევად არაქათი არა აქვს. თუნდ რომ სენიც არ იყოს, უღონო მცენარე დიდხა და ბევრს ნაყოფს ვერ გამოიღებს, გამოსავალი არა აქვს. ჩვენს ვენახებს, სხვათა შორის, უმოსავლობასაც უჩივიან. საცა უწინ დღიურს მიწას ხუთას-ექვსასი თუნგი მაინც უნდა გამოსვლოდა, დღეს ასს-ორასს თუნგს ძლივსღა სწურავენ ვენახის პატრონები.

ყოველს ამას ბ-ნი ვეზიროვი აბრალებს მიწის მოღალვას. მიწა გაცვდა და ვაზი ეხლა ველარ ჰშოობს იმოდენის სიუხვითა და სიკარგით თავის საზრდოს მოღალულს მიწამიო. ეს მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ძალიან ჭკუაზედ ახლოა, ნამეტნავად იმ მაგალითებსა და საბუთებს შემდეგ, რომელიც ბ-ნ ვეზიროვს მოჰყავს. რა არის ამისი წამალი? რამ უნდა უშველოს აქ გაჭირებულ საქმეს? რითა და რა გზით უნდა მიენიჭოს ვაზისაგან გამოწოვილსა და მოღალულს მიწას წინანდელი ნოყიერება, რომ ვაზმა უწინდებულად იხეიროს და თავი იკვებოს?

ბ-ნმა ვეზიროვმა ამის საპასუხოდ მიჰმართა თითონ ბუნებას და მიწათმოქმედების მეცნიერებას. აქედამ გამოირკვა, რომ ნაყოფთა-ცვლა თითქმის ერთადერთი სახსარია ხელ-

ახლად გაღონიერდეს მიწა რომელისამე მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია. ამისათვის მეტად საყურადღებო საბუთები მოჰყავს როგორც თავის საკუთარის გამოცდილებით გამოძიებული, ისეც სხვისაგან შემცნეული და დანახული. შორს რომ არ წავიდეთ, თითონ ჩვენშიაც ცნობილია ღირსება ნაყოფთ-ცვლისა, ჩვენმა მხვნელ-მთესველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ მიწას უნდა შეუცვალოს ხოლმე მცენარე. ქერს, პურს, სიმინდს იგი მუდამ უცვლის ხოლმე, თუ ერთსა და იმავე მიწაზედ უნდა ერთ-ერთის მოყვანა.

საკითხავი ეს არის: როგორ მოუხერხდეს ნაყოფთ-ცვლა ვენახსა? ამაზედ ბ-ნი ვეზიროვი, როგორც ფრთხილი მაძიებელი საქმისა, არაფერს გვეუბნება. „აი საგანიო, — ამბობს იგი, — რომელიც ღირსია მცოდნეთა მევენახეთა დაკვირვებისა და გამოკვლევისაო. ვინც ამ საგანზე სწორე პასუხს მოგვიგებს, იგი გვასწავლის მევენახეთა ბედნიერების საიდუმლო კარის გაღებასაო". მართლა, რომ დიდად და დიდად ღირსია კაცმა ამ საგანს გაუშტეროს ცოდნისა და გამოცდილების თვალი. ნაყოფთა-ცვლა იმ ადგილას, საცა ვაზია დარგული, შეუძლებელია, თუ ვაზი არ გადიკაფა და იმის სანაცვლოდ სხვა რამ არ დაითესა. ამ გარემოებამ დააბრკოლა უსათუოდ პატივცემული ავტორი, რომ წესი ნაყოფთ-ცვლისა ბოლომდინ არ მიიყვანა ვაზის შესახებ. მართლადაც ძნელი გასაბედია ამისი თქმა, ამდენის ვაივაგლახით აშენებული და გამართული ვენახი როგორ გამოიმეტოს კაცმა! მეორეს მხრით ესეც ანგარიშში მისაღებია: თუ ვენახი თავის ხარჯს ველარ ააყენებს, თუ საქმაო მოსავალს აღარ მოგვცემს, თუ გაგვაღარიბებს, რისღა მაქნისია? ამ ორ წყალს შუა დგომა ჩვენთა მევენახეთათვის მეტად მძიმე და ძნელი საქმეა. რა თქმა უნდა, ვენახების გადაკაფვას ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ ურჩევს ვენახის პატრონსა, ხოლო ამ ნაყოფთა-ცვლის საჭიროებას-კი ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღლილ მიწას, თავისი ძალღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს.

ამ საგანზედ ერთი აზრი მოგვივიდა ჩვენ და იქნება შესაწყნარებელი გამოდგეს, ამიტომაც საჭიროდ ვხედავთ აქ წარმოვსთქვათ. იქნება შესაძლო იყოს, იმისთანა მცენარე რამ მოინახებოდეს, რომ ვაზებს შუა მოვიყვანოთ და მოღალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმის საზრდოს მოჭარბებისათვის. მინამ ამ სარჩიელს მივიღებდეთ, ჯერ, რასაკვირველია, საჭიროა გამოვარკვიოთ: ნაყოფთ-ცვლაში რა მოქმედობს მიწის გაღონიერებაზედ წინანდელ მცენარისათვის? ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბუნება ამზადებს მიწას წინანდელ მცენარისათვის მით, რომ მიწა იმ მცენარისათვის ისევნებს, თუ თითონ შეცვლილი მცენარე ამზადებს მით, რასაც იგი სტოვებს მიწაში? თუ ეს უკანასკნელია, მაშინ ჩვენი სარჩიელი თავის საბუთს ჰპოულობს და, მაშასადამე, შესაძლოა, გამოგვადგეს კიდეც. არ იქნება მეტი, რომ ამ მხრითაც ჩაუკვირდეს კაცი დღევანდელს გაჭირებას ვენახებისას, რაკი გულს დავაჯერებთ, რომ მიზეზი გაჭირებისა მიწის მოღალვაა და სახსარი ხსნისა ნაყოფთ-ცვლა.

ფილოქსერა

ტფილისი, 19 ოქტომბერი, 1889 წ.

ფილოქსერა, ეს ყველა ჭირზედ უდიდესი ჭირი ვაზისა, ჰლამის მოედოს ჩვენს ქვეყანას. იმერეთში 16 სოფელში შორაპანისა და ქუთაისის მაზრისაში ფილოქსერა უკვე აღმოჩენილია, და ეს უფრო მით არის სამწუხარო, რომ ეს ორი მაზრა ბევრვენახებიანი მაზრებია. ეხლახან აქ რომ სახელმწიფო მინისტრი იყო, ამ ფილოქსერის თაობაზედ კრება გაიმართა თვით ბ-ნ მინისტრის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზედ გამოცხადდა, რომ მთელს ქუთაისის გუბერნიაში 60.000 დღიურამდე ვაზი არის გაშენებული, აქედამ 18.000 დღიური შორაპნის მაზრაზე მოდის თურმე და 16.000 დღიური — ქუთაისისაზედ. ფილოქსერა გაჩენილია, როგორც ვსთქვით, 16 სოფელში და მოდებული აქვს 120 ცალკე ვენახს, რომელთაც ერთად უჭირავთ 166 დღიური მიწა და მოფენილია 75 ვერსის სივრცეზედ.

კრებას, რომელიც მოხდა ამ წარსულს 30 სექტემბერს და რომლის თავმჯდომარედაც თითონ ბ-ნი მინისტრი ყოფილა, საჭიროდ დაუნახავს: 1) განიგრძოს ფილოქსერის გაწყვეტა სოხუმისა და ყუბანის ადგილებში და ქუთაისის გუბერნიის იმ ადგილებში, საცა ფილოქსერაა; 2) ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რომ ეს ჭირი არსად გადავიდეს, და თუ დასნეულებულ ვენახების ამოგდება დასჭირდებათ, ამაზე არ დაბრკოლდნენ, იმ პირობით-კი, რომ ვენახის პატრონებს სამაგიერო ეზღოს, 3) იმ ადგილებში, საცა ეს ფილოქსერის ჭირია, ეწამლოს ვენახებსა; 4) მკვიდრთა შორის მოიფინოს ცნობა მასზედ, თუ რა არის ფილოქსერა და როგორ

უნდა შეეჭიდოს კაცი ამ საშინელს ჭირსა; 5) გზები უფრო სასტიკად შეიკრას კარანტინებით, რომ ფილოქსერა არც ჭირიან ადგილებიდამ გავიდეს და არც სხვიდამ შემოვიდეს. და სხვა ამგვაონი.

ბ-ნს მინისტრს დიდის გულმტკივნეულობით მიუღია ეს საუბედურო ამბავი ფილოქსერის გაჩენისა ამიერკავკასიაში და აღუთქვამს იმუამდგომელოს უმაღლეს მთავრობის წინაშე — რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს ფულითა, რადგანაც ნაანგარიშებია, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერასთან საბრძოლველად ათი ათასი თუმანი ძლივს ეყოფაო.

ამასობაში, როცა სხვადასხვა კომიტეტები და კრებანი, აგრეთვე მთავრობა და სახელმწიფო მოხელენი, სწუხან და ჰფიქრობენ, როგორ მოაშორონ ჩვენს ქვეყანას ეს საშინელი ჭირი, რომელიც გვიქადის ჩვენის ვენახების თავიდამ ბოლომდე ამოგდებასა და აოხრებას, ჩვენ თითონ გულზედ ხელი დაგვიკრებია და ყურსაც არ ვიბერტყავთ, თითქო აქ არაფერია, თითქო არაფრის შიშია, რომ ერთი უდიდესი წყარო ჩვენის სიმდიდრისა, ჩვენის ცხოვრებისა, დაგვიშრეს და სრულად მოგვესპოს. ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრებთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ.

ეს ფილოქსერა სახუმარი საქმე არ არის და არც ხანდასაყოვნებელია. ვენახის პატრონებმაც ხელი უნდა გამოიღონ ამ საქმისათვის, და რაც შეიძლება მალე, თორემ მერე გვიანღა იქნება, მერე ვეღარას ვუშველით, და ის საქმე დაგვემართება, რაც საფრანგეთს მოუვიდა, საცა ასი-ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გადაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა. თუ მდაბიო ხალხი ვერ მიმხვდარა, — რა უბედურება უდგა კარწინ ფილოქსერის სახით, ჩვენი თავად-აზნაურობა მაინც რატომ თავს არ იჩენს, რატომ არ მოქმედობს? განა მეტი იქნება, რომ ჩვენმა მარშლებმა ამისათვის თავი გამოიდონ, შეჰყარონ თავ-თავისი თავად-აზნაურობა, მოიწვიონ მცოდნე კაცები და რაიმე

წამალი დასდონ ამ ჭირსა, რომელიც გვიქადის ვენახებისაგან ხელცარიელი დაგვსვას? თუ ადგილის კაცნი ამ გზით მხარდამხარ არ მიჰყვებიან მთავრობას, მარტო მთავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს-რა. დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის.

ვაზის სნეულებანი

ტფილისი, 23 დეკემბერი, 1889 წ.

ეს ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია. საცა-კი ეს ჭირი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ. მართალია, ამ ჭირმა ერთად და ერთ ზომით მოდება არ იცოდა. იყო იმისთანა წელიწადები, როცა ხან ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა გადურჩებოდა ხოლმე, ხან მეორე, და ხანაც ერთსა და იმავე მხარეში ზოგან ძლიერი იყო, ზოგან ნაკლები. ერთს ჩვენის ქვეყნის ნაწილს, სახელდობრ, სამეგრელოს, ისეთი ამბავი დააწია, რომ ვენახების პატრონებმა თითქმის ხელი აიღეს ვენახობაზედ და ვაზით ნაშენი ადგილები გაამინდვრეს. რა თქმა უნდა, ამ ოცდაათის წლის განმავლობაში არავინ არ ააყოლა თვალი ამ დაუნდობელ ჭირს ვაზისას, არავინ არ გამოიძია არც მისი მიზეზი, არც ვითარება.

ნუთუ, მაგალითებრ, თვალყურ-სადევნებელი არ იყო თუნდ ის ამბავი, რომ, ვსთქვათ, ერთს წელიწადს კახეთი ჰფუჭდებოდა ნაცრისაგან, მეორე წელიწადს ქართლი, ხან ერთსა და მეორეშიაც ჰსუსტდებოდა ნაცარი და ძლიერდებოდა იმერეთში? ან თუნდ ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ადგილას ზოგი ვენახი სულ გადარჩებოდა ხოლმე და ზოგი-კი იჩაგრებოდა და ჰფუჭდებოდა? ყოფილა იმისთანა მაგალითებიც, რომ ერთსა და იმავე ვენახში ერთს წელიწადს ერთი რომელიმე ჭრა წახდებოდა ხოლმე ნაცრისაგან და მეორე-კი საღი იყო, ან კიდევ წინათ გადარჩენილი მეორე წელიწადს ჰფუჭდებოდა.

უეჭველია, გულმოდგინე თვალი და საღი გონება, რომელსაც ნაცრის მოვლენა ღვთის წყრომისაგან მოვლინებული

არა ჰგონია და მიაჩნია მარტო ბუნებურ მიზეზთაგან გაჩენილად, აქ ამისთანა მაგალითებში ბევრს რასმე შეჰნიშნავდა, ბევრს იმისთანას რასმე თვალს მოასწრობდა, ბევრს იმისთანას დაინახავდა, რომელთა კრებულიც შეადგენს მიზეზს აგრე ჰრელ-ჰრელად, შიგადაშიგ და დროგამოშვებით ხან გახშირებას და გაძლიერებას ნაცრისას ერთს რომელსამე მხარეში, ხან დაკლებას და დასუსტებას. ამ შემთხვევაში მართალის მიზეზის პოვნა თითქმის ხიდის პოვნაა თავის დასახსნელი და გადასარჩენი. ეხლა ისე გამოდის, რომ ეს ნაცარი მთელი ოცდაათი წელიწადი ხელიდამ ცხოვრების სახსარსა და ღონეს გვაცლის და ამ ოცდაათ წელიწადს შემდეგ ამ სენის ვითარება იმოდენადვე ვიცით თითქმის, რაც ოცდაათის წლის წინათ ვიცოდით. გამოდის, რომ ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის ასე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა, როგორ მოვუაროთ ჩვენს თავსა და რა წამალი დავსდოთ. საკვირველია! ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი როგორ არ გამოგვიჩნდა, რომ თავისთავად დაჰკვირვებოდა ამ სენსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგო და სხვებისათვისაც გაეგებინებინა!..

ჩვენში არამც თუ გამოჩნდა ვინმე თავისთავად გამომძიებელი, იმისთანაც თითქმის არავინ გამოვიდა, თითო-ოროლას გარდა, რომ სხვისი დანახული ამ შემთხვევაში, სხვისი ნაცადი და ნაჭირნახულევი ეცნო, შეეთვისებინა, და ცნობილი და შეთვისებული გამოეყენა თავის სარგოდ და სხვების სამაგალითოდ.

ეს რა არის კიდევ! თავისით თვალის ადევნება, თავისით გამოძიება, ან სხვისი გამონაძიების შეთვისება, ცოტად თუ ბევრად გამჭრიახობას ჰთხოულობს, ცოტად თუ ბევრად რთულს გარჯასა და შრომას, და ამიტომაც ამ შემთხვევაში სხვისათვის მიუტევებელი უქმად-ყოფნა ჩვენს მიძინებულს გონებას და დამბლადაცემულს ხალისს ასე თუ ისე შეეწყნარება, თუმცა

ცოდვის დავთარში-კი მაინც ცოდვად დაეწერება სხვილის ასოებით.

ვაი ის არის, რომ ურთულ და ადვილად მოსავლელ საქმეშიაც იგივ უღონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. იფიქრეთ: აბა კალია რა არის, იმასაც კი ჰიდილი ვერ შევუბედეთ. ჩვენ ვამბობთ ვენახების კალიის გამო. ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ეს ბატონი კალია არა ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა კარგად იცის, ეს პატარა სულიერი რამოდენა წანახდენს, რამოდენა ზარალს იძლევა. ერთმა კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდამ მოიშოროს. ამაზე ადვილი რა არის? თვალი ადევნე სადა სდგებს კვერცხს, ამოიღე და დასწვი. ამით თუ სულ არ გაიჟლიტა, ბევრისბევრად გაწყდება მაინც. რასაკვირველია, ამას ერთისა და ორის კაცის ღონე არ გასწვდება, ამას ერთიანი გარჯა უნდა, მთელის სოფლობის ღონე და ჯაფა. საყოველთაო ჰირია და საყოველთაოდ ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჯიდებას. თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის წყეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის იმ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საკრებულო არსებას უნდა ჰქონდეს აზარმაცსავით, რომ ამ წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ჰზიდოს.

ყოველ ამ ჰირს, რომელიც თითონ თითქმის ხელში გვეძლევა,—აჰა, მიცანით, გაისარჯენით და თავიდამ მომიშორეთო, რომ ვერა გავუგეთ-რა და ამიტომაც ვერა დავაკელით-რა, ბევრს სხვა ახლად აჩენილს უარესს ჰირს ვაზისას რაღას დავაკლებთ. ვაზს ამ ბოლოს ხანებში იმდენი სხვა ახალი ჰირი ზედ დაატყდა, რომ კაცს უნებლიეთ ჰგონია, ხომ არ მოვიდა აღსასრულის დღე ვაზისაო. ამისთანა დღე ბევრს მცენარეს, ბევრს პირუტყვს დასდგომია და მთელი გვარეულობა სულ

მთლად განადგურებულა და ამოწყვეტილა, რადგანაც ბუნებური გარემოება ქვეყნიერებისა ისე შეიცვალა, რომ ამოწყვეტილთა არსებობა შეუძლებელიღა გახდა. მართალია, კაცობრიობა სცდილობს ყოველ ამ ახალ ჭირს ბუნება შეუტყოს და იმის კვალობაზედ უწამლოს დასნეულებულს ვაზს, მაგრამ აქაც ჩვენ ყურს არ ვიბერტყავთ და ვიძახით: როგორც მოვიდა თავისთავად, ისეც თავისთავად წავაო. ნაცრისა და კალიის გარდა, ობი, მილდიუ, ჟანგი, ფილოქსერა და სხვა ბევრი ჭიაღუა მიესია ვაზს და ჰლამის ბოლო მოუღოს. წარმოუდგენელია, რამ-სიდიდე უბედურება დაგვატყდება თავს, თუ მართლა ჩვენს ქვეყანაში ამოწყდება ვაზი. მართალია ჯერ ამაზედ, ღვთის მადლით, შორსა ვართ, მაგრამ ჩვენის უთაურობის ამბავი რომ ვიცით, ამ სიშორესაც შევიმოკლებთ. რომ არას დავდევთ და ყველაფერი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია, მაშ რა კეთილი დაგვეყრება?

კიდევ კარგია, ზოგიერთი მეცნიერი და სახელგანთქმული სწავლული იმედს იძლევა. მაგალითებრ, არის ერთი მეცნიერი და სწავლული კაცი სახელად მასკარტი. ამ მასკარტს ეხლახან უცნობებია პარიზის აკადემიისათვის მეტად საყურადღებო ამბავი. მასკარტის სიტყვით, სწავლულს რენუს რამდენისამე წლის განმავლობაში თვალი უდევნებია პარიზის სითბო-სიცივეებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ტემპერატურის მეტნაკლებობისათვის, და შეუნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ორთა-შუა ტემპერატურას პარიზისას დაუკლია, ესე იგი უფრო აციებულა, და ორმოც წელიწადის განმავლობაში ძალიან ცივი ზამთრები ხუთ-ხუთ და ექვს-ექვს წლობით ერთმანეთს ზედ მოჰყოლია. ამ სითბოს დაკლებას და სიცივის მომატებას დიდი ზედმოქმედება ჰქონია პირუტყვსა და მცენარეობაზე. ამ გარემოებას აბრალებენ თვით ვაზის ჭირთა მოვლენასაც და გახშირებას, რადგანაც ბევრმა სენმა ვაზისამ თავი იჩინა 1879 წლიდამ და თანდათან ძლიერდება და ჰმატულობს მას აქეთ. ხოლო მასკარტი იმ ნუგეშს იძლევა, რომ მომავალ წლიდამ მთელის ათის წლის განმავლობაში ისევ თბილი წელიწადები

მოჰყვება ზედიზედა განუწყვეტლივ, ასე რომ სითბოს მეტნაკლებობაში ბევრი თაბაუთი არ იქნებაო.

თუ მართლა ვაზის ჭირი აცივების ბრალია და თუ მასკარტის სიტყვა გამართლდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ვაზიც გამომჯობინდება და უწინდელს ზოსავლის ძლევას თუ არ დაიწყებს, ეხლანდელს ზარალს ხომ მაინც ცოტად თუ ბევრად აგვაცილებს. ესეც კარგი ნუგეშია, რაკი ჩვენს ბედსა და უთაურობას ისე განუგია, რომ ჩვენ თვითონ თითიც არ უნდა გავანძრიოთ და ყველაფერი ცის ანაბარად უნდა დავანარჩუნოთ. ესეც კია: იქნება ყოველივე ეს გამართლდეს საფრანგეთისათვის და ჩვენთვის-კი არა, რადგანაც ბუნება ჩვენის ქვეყნისა სხვაა და საფრანგეთისა სხვა. იქ შეიძლება ერთი მიზეზი იყოს და აქ მეორე. ჩვენებურ მიზეზის გამოძიებისათვის ხომ თავს არავინ შეიტკიებს, მაშ ვუცადოთ, ჩვენი ბრმა ბედი რას მოგვიტანს საკულავოდ.

ვენახების წამლობის შესახებ

ტფილისი, 23 მარტი, 1890 წ.

მოვიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტსა და ყვავილს ვაზი. პირველ ხანებში სიუხვე და სიმრავლე კვირტისა და ყვავილისა, რა თქმა უნდა, გაახარებს ვენახის პატრონის გულსა, ხოლო სასურველია ამ სიხარულმა ის უბედურება არ დაგვავიწყოს, რომ ჩვენი მტერი ვენახებისა—ნაცარი და ნამეტნავად მილდიუ—ჯერ კიდევ მოსავლინებელია. ან ერთი და ან მეორე, ან ორივე ერთად მიესევა აწ სასიხარულოდ გამოსულს ვაზსა და გაზაფხულის ლხინს შემოდგომის გლოვად გაგვიხდის, იმიტომ რომ ერთიცა და მეორეც შემძლებელია სრულად ხელი დაგვაბანინოს მოსავალზე, რომლის კარგი ნიშნები ყოველს გაზაფხულს მოაქვს ხოლმე ჩვენთვის.

ღმერთმა გვიხსნას ამისთანა გათახსირებისაგან მოსავლისა, მაგრამ წინათ ფიქრი, როგორ დავხვდეთ მტერს, როგორ გაუძღვეთ, როგორ ავიცილოთ თავიდამ, მეტისმეტად საჭიროა ეხლავე. ნაცარიცა და მილდიუც დაბინავებული მტერია ჩვენში და იმის მოვლენა დიაღ მოსალოდნელია. ეგ წყეულები მერე იმისთანები არიან, რომ თუ ვაზი წინათვე არ მოამზადე გაუმაგრდეს, მერე, როცა ან ერთი, ან მეორე გამოჩნდება და მიესევა, ყოველივე ღონე თითქმის უქმია და ყოველივე ჭიდილი უიმედო. აი რა მხრით არის სასურველი, რომ ყველა ვენახის პატრონმა წინათვე სამზადისი იქონიოს და წინათვე შეუდგეს ვაზს უწამლოს მტრის დასახვედრად და გასაბრუნებლად. წელს გაზაფხული—ცოტა არ იყოს—ადრე მოვიდა და შესაძლოა სითბომ ააჩქაროს ვაზიცა და მისის მტრების მო-

სევაც. ამიტომაც, რაც ადრე შეუდგებიან ვენახების წამლობას, მით უფრო დიდი იმედია გამარჯვებისა და უმოსავლობის თავიდამ აცილების.

შარშან, მაგალითებრ, კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს, ნაცარი შემჩნეული იყო ვაზზე აპრილის დასასრულს და მაისის დასაწყისს. მაისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში მილდიუმაც იჩინა თავი. თუ მივიღებთ სახეში, რომ შარშან გაზაფხული უფრო ცივი იყო და წვიმებიანი, ასე, რომ უფრო გვიანსა ჰგავდა, ვიდრე ადრეულს, ყოველ ამის გამო ვაზის დაყვავილებაც დაგვიანდა და ნაცრისა და მილდიუს გამოჩენაც. წელს გაზაფხული სულ სხვა იმედს იძლევა და შესაძლოა ყოველივე ეს ადრე წამოგვადგეს თავს. ამიტომაც ადრევე სჯობია თადარიგს შეუდგეთ.

არსებითი ძარღვი თადარიგისა ვაისა და ვუის ძახილში არ არის. საქმე ის არის, რომ საჭარჯო ფული იზრუნოს კაცმა, ვისაც ჰსურს თავის ვენახსა და ვენახისათვის გარჯას გამორჩეს რასმე. შარშან ამისათვის მთავრობამ, აქაურ სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობით, რამდენიმე ფული გადასდო. უეჭველია წელსაც გადასდებენ, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში. წელს ჩვენი ბანკიც აპირებს ერთი ხუთასიოდე თუმნით მიეშველოს ჩვენს ვენახების პატრონებს, მაგრამ არც ეს კმარა, სხვა არა იყოს-რა, ამბობენ, რომ მარტო კახეთში რამდენიმე ათასი დესეტინა ვენახიაო, ახლა ქართლი აიღეთ, ახლა სომხითი და სხვა ადგილები, და სად უნდა გასწვდეს ეს მცირეოდენი ფული. აქ საჭიროა თვითონ ვენახების პატრონთაც გაიკრან ჯიბეს ხელიო. მართალია, ბევრს არაფერს იპოვნიან ამ ჯიბეებში, მაგრამ ეს ასეთი საქმეა, რომ სხვაგან უნდა დაიკლონ, აქ არა დაზოგონ-რა და ერთი საყოველთაო სახსარი რამ იღონონ და ამ ურთიერთობით გაძლიერდნენ ერთმანეთის საშველად.

ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი

ტფილისი, 11 ნოემბერი, 1892 წ.

ჩვენში მეტად გაძლიერდა ის აზრი, რომ ცალკე მეცადინეობით, თვითოეულად, ცალკე უღლის წევით კაცი ვერაფერს გახდება. საქმე თავს ვერ მოდის და დაწყებისავე უმალ უღონობა მარტოობისა, ცალკე გამრჯელობისა, პირველ შემთხვევაშივე აუწყებს ხოლმე საქმის დამწყებსა, რომ მის განზრახულს საგანს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს.

დიდი საქმეა, რომ ამ მართალმა აზრმა ფეხი აიდგა ჩვენში, და თუმცა ჯერ-აქამომდე ამ ფეხად ადგომილს აზრს ბევრი არ უმოქმედნია, მაგრამ საცა-კი საქმეს ბურჯად მისცემია, საფუძვლად დასდებია, ყველგან გამარჯვებულა და იმედი გაუმართლებია. აიღეთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი ბანკები, საცა მარტო შეერთებულმა ღონემ გაატანინა ქართველობას მოედნიდამ მძიმე ბურთი საქმისა და დღეს უფულო ქართველობა ამოქმედებს ჩვენში მათის მეოხებით ცამეტს-თოთხმეტს მილიონს ფულსა. მეორე მაგალითია ჩვენი „ქართველთა წიგნების გამომცემი ამხანაგობა“. აქ გროშებით დაწყებულმა საქმემ იმდენი ღონე გამოიჩინა, იმდენი ბარაქიანი მალიათი, რომ დღეს ათას თუმნობით ატრიალებს ფულს თავის საქმეში. ამისთანავე ბედნიერი დღე მოელის „ამხანაგობას სახლების აშენებისას“. არ გავა ორი-სამი წელიწადი, რომ ამ ამხანაგობის მართლა-და ყველასათვის საყვარელი და სასარგებლო აზრი განხორციელდება და მისნი წევრნი საკუთარის თვალით დაინახავენ— რის შემძლებელია ძალ-ღონე ერთობისა.

დიდი ხანია და კარგა დიდი ხანიც მას აქეთ, რაც ჩვენში გაიღვიძა ნაყოფიერმა სურვილმა, რომ ეგ შეერთებული შეძლება და ძალ-ღონე საფუძვლად დაედოს სხვათა შორის ღვი-

ნის საქმესაც ჩვენში, კისრად იდვას იგი საზოგადოებამ და საზოგადოებურის ძალით დადგეს ჯეროვანს ფეხად და გაიმართოს სამოქმედოდ. ამ აზრმა იარა, იარა და დღეს ისე მომწიფდა, რომ ლამის განხორციელებას. მაგრამ როგორ და რა გზით? აი ამის გამო ჩვენ გვწადიან ორიოდე ჩვენი აზრი ვაუწყოთ ამ ნაყოფიერის სურვილის მეთაურებს და მომხრეებს.

ღვინის საქმეს ჩვენში ერთი დიდი საჭიროება აქვს, სახელდობრ ისა, რომ საბაზრო საქონლის თვისება* მიეცეს, რომ საქართველოს გარეთაც მუშტარი აიჩინოს, ბაზარი გაიმართოს. ვიდრე ამ საჭიროებას არ მოევლება, კეთილი სურვილი ღვინის საქმის მეთაურებისა და მოხმარებისა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს. მაშასადამე ჯერ ყოვლთ უწინარეს უნდა ვიღონოთ, როგორ და რა გზით მოვაწყოთ, რომ ღვინოს თვისება მივცეთ საბაზრო საქონლისა. სხვა ყოველი, ჩვენის ფიქრით, ადვილია, ოღონდ ამ მხრით შესაძლებელი გახდეს საქმის მოწყობა.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის. ის საბაზრო საქონელი არ არის, რომლისაც არ ვიცით, ბაზრამდე, მუშტრამდე იმ სახითვე მივა, რა სახითაც პატრონს გაუსტუმრებია ბინიდამ, თუ არა. ჩვენს ღვინოზედ სწორედ ამისთანა არვიცობა ითქმის. მინამ დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ჩვენი ღვინო ჩვენის მარნიდამ ბაზრამდე თავის გემოთი, ფერით და სუნით მივა და თავს დაიჭერს, იმ დრომდე ნურავის ჰგონია, რომ ღვინის აღებ-მოცემობამ ჩვენში ჩვენი სასურველი გზა გაიკაფოს. დღესაქამომდე ჩვენებური ღვინო ასე თუ ისე შინვე საღდებოდა, აქავ ჩვენში ჰშოულობდა მუშტარსა და მსმელსა, და რაც მოდიოდა ერთს წელიწადს, აქავ ისმოდა ერთისავე წელის განმავლობაში. ამ მოკლე ხანში ჩვენებური ღვინო თავს იჭერდა, თუმცა ესეც ვაითა და ვაგლახითა. ამიტომაც ჩვენში არავინა

* Свойство рыночного товара.

ჰფიქრობდა ღვინისათვის გამძლეობა მიეცა, რომ შორი გზა და ხანგრძლიობა აეტანა.

ეხლა ჩვენებური შინაური ბაზარი ვეღარ იტევს მთელს ჩვენის ქვეყნის ღვინის მოსავალს, და ეს ორის მიზეზის გამო მოხდა. ერთი მიზეზი ის არის, რომ მსმელი მოაკლდა, მეორე ისა, რომ ვენახების მოედანი გადიდდა და მოსავალმაც ამ ორ-სამ წელიწადში იმატა. მუშტარის დაკლება გამოიწვია იმან, რომ ამ ხუთმეტს-ოცს წელიწადში, მოუსავლობის გამო, ღვინო ჩვენს უმთავრესს ბაზარში, ესე იგი ტფილისში, გაძვირდა იმოდენად, რომ დაბალი ხალხი, რომელსაც ღვინის სმა პირველ საჭიროებად მიაჩნდა და რომელიც შეძლებისაგვარად ჰხარჯავდა, გაუფრთხა ღვინოს და მიეტანა უფრო იეფს პივას და იმას შეეჩვია. უნდა ესეც ვიქონიოთ სახეში, რომ ორთა-შუა და დაბალი ღვინოები თითქმის სულ ამ ჯურა ხალხში საღდებოდა სირაჯებისაგან. იმას აღარ ვამბობთ, რომ ღვინის სიძვირემ ყველგან შეამოკლა ღვინის ხარჯვა და სმა.

ამ სახით, ერთის მხრით მუშტრის დაკლებამ, და მეორეს მხრით ვენახების გამრავლებამ და ამ ორს-სამ წელიწადში მოსავლის მატებამ, ისა ჰქმნა, რომ დღეს ღვინო ბევრია და მყიდველი-კი ცოტა. აქედამ ცხადია საჭიროება იმის, რომ ჩვენმა ღვინომ ბაზარი იშოვოს რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ხოლო თუ ჩვენ ღვინოს გამძლეობა გემოსი, ფერისა და სუნისა არ მიეცა, თუ რაც სიკეთე ბუნებრივი აქვს, ის არ მიჰყვა ბაზრამდე, მსმელამდე, მხარჯავამდე, ბაზარი რუსეთისა და სხვა ქვეყნებისა ჩვენთვის უქმი ნატვრა იქმნება, რადგანაც უამისოდ ღვინის აღებ-მიცემობის წარმართვა იმოდენად, რომ ღვინის თავდაპირველმა პატრონმა რაიმე ხეირი ჰნახოს, შეუძლებელია.

აკი ვამბობთ, ჯერ მთელი ჩვენი ზრუნვა, ჩვენი მეცადინეობა იმას უნდა მიემართოს, რომ ეს გამძლეობა მიეცეს ჩვენს ღვინოსა, და სხვა ყოველი ადვილია. ამბობენ, ყველაზედ უწინარეს ფული არის საჭიროო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომად მიგვაჩნია. ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე, ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს

საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისას და მაშასადამე ფულისაც.

ოღონდ ეს არის, რომ ფული ფრთხილია, წინდახედული და მარტო კარგად და საიმედოდ აგებულს საქმეს ენდობა. კარგად და საიმედოდ ააგეთ ეს საქმე ღვინის გამძლეობისა, საბუთი მიეცით ქვეყანას, რომ თუ ფული გექნებათ, ღვინოს საბაზრო საქონლად გაჰხდით, რომ ყველასაგან ცნობილი სიკეთე აქაურის ღვინისა ღვინოს ხანგრძლივად რჩება, შორს გზას აიტანს, და მაშინ ფული თითონ დაგიწყებთ ძებნას, თითონ შემოგეხვეწებათ, საქმეში წილი დამიდეთო. იმიტომ რომ მაშინ ბაზარიც დიდი ექნება ღვინოს და მოგებასაც აღებმიცემობისას წინ ბევრი არა დაუდგება-რა. საცა მოგებაა, ფული დაკეტილ ზანდუკიდამაც თავისთავად ამოძვრება და თქვენ დაგიწყებთ ხვეწნას. ესეთია ბუნება ფულისა, როგორც ყოველ საეკონომიო ნივთისა,—იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია.

ამის მაგალითიც იგივე ბანკებია. ბანკების გამართვის დროსაც იძახოდნენ, მაგ ორიოდ გროშით, რაცა გაქვთ, ვის რას გაუძღვებითო, სულ ორის სამის დღის საგზალითო, და მერე ხომ გულ-ხელი უნდა დაიკრიბოთო, ვინ მოგცემთ საჭირო ფულსაო. ოღონდ საქმე კარგად აეგოსო, ამბობდნენ მეორენი, ოღონდ საიმედოდ დაეწყოს, და ფული თითონ მოგვნახავსო, და აი დღეს, ოცდაოთხი ათასის თუმნით დაწყებულმა საქმემ ცამეტი, თოთხმეტი მილიონი ფული მოიპოვა სამოქმედოდ.

კიდევ ვიტყვით: ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ.

ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში

ტფილისი, 3 აპრილი, 1900 წ.

დღეს-აქამომდე სულ ამას ჩივიან, რომ კახურს და ერთობ ჩვენებურს ღვინოს გასავალი არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა აქვს საიმისოდ დიდი ბაზარი და ამიტომ ღვინო ფასად ვერ გადის, და ჰზარალობს ამის გამო ვენახის პატრონი და ღვინის დამყენებელი. ეს ჩივილი მართალია. შინაური ბაზარი იმოდენა არ არის, რომ დაიტიოს იმოდენა ღვინო, რამოდენაც ჩვენში მოდის. ვენახებმა და ღვინის დაყენებამ ძლიერ იმატა ამ ოცს-ოცდაათს წელიწადში და ბაზარი კი თითქმის იგივეა, რაც იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის ამბავი, რომ გასასყიდი ღვინო ბევრია და მუშტარი-კი ცოტა. ამ მიზეზით ეკონომიური კანონი აღებისა და მიცემისა*, რომელიც ფასსა საქონლისას ასწევს და დასწევს ხოლმე, თუ სხვა ყოველივე გარემოება ერთნაირია, იმ დონეზე დადგა, როცა მიცემა მეტია აღებაზე. ამას უეჭველად ფასის ძირს დაწევა მოსდევს. აი სად არის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში ღვინოს ისეთი ფასი არ აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს და როგორიც ხელსაყრელი უნდა იყოს ამ სახის მრეწველობისათვის.

აშკარაა, ჩვენებურმა ღვინომ მუშტარი უნდა იმატოს, ბაზარი გაიდიდოს და მარტო შინაურს ბაზარს არ დასჯერდეს. გარეთი ბაზარი შორი ბაზარია. იქ რომ ღვინო გავიდეს და ფეხი მოიკიდოს, საჭიროა ჩვენებურს ღვინოს გამძლეობა ჰქონდეს, საჭიროა ღვინომ სასმელად თავი დაიჭიროს და არ წახდეს. ჩვენებურს ღვინოს სწორედ ეს თვისება აკ-

---

* спрос и предложение.

ლია, გამძლეობა არა აქვს. ეს იმიტომ კი არა, რომ ბუნებითად ჩვენი ღვინო ერთობ გამძლე არ იყოს. ჩვენებურ ღვინოსაც აქვს თვისება გამძლეობისა, ხოლო ბუნებასაც ხელის შეწყობა უნდა, რომ თავისი გაიტანოს. აი სწორედ ჩვენ ეს ხელი გვაკლია და ამიტომაც არც ერთი ღვინის დამყენებელი ჩვენში დარწმუნებული არ არის, რომ მისი ღვინო იმავე ღირსებით მიაღწევს ბაზრამდე, რა ღირსებითაც მარნიდამ ისტუმრებს, დიდხანს გაძლებას ღვინისას ნუღარ იტყვით. ერთის სიტყვით, ჩვენებური ხელშეუწყობელი ღვინო სავაჭრო საქონელი არ არის, ნამეტნავად დიდ გარეთა ბაზრისათვის: იგი ფუჭდება და ამიტომ მუშტარი უფრთხის.

რა არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენებური ღვინო თავს არ იჭერს და ფუჭდება? ყველამ იცის, რომ ღვინოც, თუ ხელს არ შეუწყობთ, სნეულდება, ავადმყოფობს, და გარდა იმისა, რომ სხვა, არა-ჩვეულებრივი რაღაც გემო ემატება, მალე მჟავდება, იმღვრევა, თავისს პირვანდელ ფერსა და გემოს ჰკარგავს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ამ სნეულების მიზეზი სხვადასხვა მიკრობებია, რომელნიც ღვინოს ეწვევიან ხოლმე აქეთ-იქიდამ და ღვინოში ჰპოულობენ თავისს ხელშემწყობს საზრდოს სიცოცხლისა და გამრავლებისათვის, და თვით ღვინოს კი ახდენენ და პირვანდელ ფერსა და გემოს უფუჭებენ.

მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ღვინოს ეს უბედურება არ დაემართოს, პირველ ყოვლისა საჭიროა იმისთანა ხელის შეწყობა, რომ ეს მიკრობები გაწყდნენ და ამოიხოცნენ. დაუძინებელმა ბეჯითობამ მეცნიერებისამ გვიპოვა, ღვთის მადლით, ამისი წამალიც.

ყველამ იცის, რომ წყალიც მიკრობების ბუდედ შეიქმნება ხოლმე, წყალიც ფუჭდება და სასმელად არამცთუ არ ვარგულობს, არამედ მავნებელიც არის, როცა ეს ჰირი გაუჩნდება. ამას წინათ ჟურნალ-გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ განწმენდა და მიკრობებისაგან დახსნა სასმელის წყლისა შესაძლებელი და ადვილი საქმეა ელექტრონის შემწეობით. ეს უცდიათ საფრანგეთში, სახელდობრ ქალაქს ლილში და

დაუნახავთ, რომ უკეთესი წამალი მიკრობების გამწყვეტი და სასმელის წყლის გამოსაკეთებელი ელექტრონია: სრულად თურმე სწმენდს წყალს ასე, რომ მიკრობების ნატამალსაც არ არჩენს. ესევე ღონე უხმარიათ ღვინის გასაწმენდადაც მიკრობებისაგან. ჟ. რიხტერს ამ ბოლოს ხანებში უცდია აქაც ელექტრონი და გასაშტერებლად გამოჰყენებია. ჯერ ყოვლის უწინარეს უნდა თურმე პასტერის მეთოდით მოიქცნენ ღვინოს, ადუღებულს 56—64 რეომიურის თერმომეტრის გრადუსამდე, და მერე მიუშვან ელექტრონი.

საქმე ის არის, რომ პასტერის მეთოდით ღვინოს სუნი, ბუკეტი ეკარგება, და ელექტრონი ამ დაკარგულს სუნს ისევ აღუდგენს თურმე ღვინოსა. გარდა ამისა, ღვინოს ეძლევა ყოველივე სიკეთე ძველის ღვინისა და დიდი გამძლეობა. სუსტი ღვინოც, რომელიც სასიამოვნო სასმელია, რადგანაც ცხარე არ არის, და რომელიც ძალიან მალე ფუჭდება, იგიც კი ელექტრონის შემდეგ გასაძლისად კეთდება და დიდ ხანს იჭერს თავს. ამასთან ღვინო ისეთია თურმე, როგორც ანკარა წყარო.

სასურველია, რომ ჩვენებურებმა ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და შეეცადონ ამ გზით ჩვენებურს ღვინოს ის ადგილი დააჭერინონ საქვეყნო ბაზარში, რის ღირსიც არის თვისის ბუნებურ სიკეთითა და მით მუშტარი მოიმატონ. კიდევ ვიტყვით: ეხლანდელი ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის, რადგანაც ხელშეუწყობლობის გამო თავს არ იჭერს, და მისი ფერის და გემოს ადვილად ცვლა და ადვილად გაფუჭება, წახდენა, მუშტარს აფრთხობს.

მეზავზეთეზის საქმე

(1887)

ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი

ტფილისი, 8 იანვარი, 1887 წ.

რუსეთში დიდძალი ფაბრიკები და ქარხნებია ბამბეულობის საქონლის საფეიქროსი. თანხა, რომელსაც ამ საქმეში რუსეთი ყოველწლივ ატრიალებს, რამდენსამე ასს მილიონს მანეთს იჭერს. ამ ბამბეულობის საქონლის საფეიქრო ფაბრიკებსა და ქარხნებსა რამდენიმე ასი ათასი მუშა-კაცი უნდება. ბაშასადამე, ესგვარი საფაბრიკო მრეწველობა ინახავს და ჰკვებავს რამდენიმე ასი ათას მუშას კაცს თავის სახლეულობითა და ცოლ-შვილითა. აქედამა სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საერო ეკონომიისათვის და სახელმწიფო ინტერესისათვის ამგვარ მრეწველობასა. ხოლო სხვა მხრითაც მეტად საზრუნველია და საფიქრებელი ეგ მრეწველობა რუსეთისათვის. საქმე ის არის, რომ თითონ მასალა ამ ფაბრიკებისათვის, ესე იგი ბამბა, რუსეთს საზღვარგარეთიდამ შემოაქვს და ამის გამო ეს უშველებელი მრეწველობა რუსეთისა სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული. რუსეთი ბამბას საზღვარგარეთ ჰყიდულობს და ამ გზით საზღვარგარეთს ყოველწლივ თითქმის 75 მილიონი მანეთი ოქროს ფული გააქვს რუსეთიდამ. ეს გარემოება არამც თუ ჰვნებს ეგრეთ წოდებულს „სავაჭრო ბალანსს“ * რუსეთისას, არამედ თვით ვექსილის კურსსაც აფოლებს და ამ მხრით ვნება შოაქვს სახელმწიფო ინტერესებისათვისაც.

ყოველივე ეს კარგა ხანია შენიშნულია მთავრობისაგანაც და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებისაგანაც. დღეს ამ ბამბის

---

* სავაჭრო ბალანსი იმას ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი, და თუ შემოტანილისა ღირებულება გატანილისას, მაშინ ამბობენ, ბალანსი საზარალოაო.

თაობაზედ ლაპარაკია ატეხილი იმ აზრით, რომ რუსეთმა როგორმე თავისი საკუთარი ბამბა გაიჩინოს და იქონიოს. საქართველო საკუთრივ, ამიერკავკასია საერთოდ, და შიდა-აზია, საცა ეხლა რუსეთს უზარმაზარი ადგილები უპყრია, ასეთი ქვეყნები არიან, რომელთაც ჰავა, ადგილ-მდებარეობა და თითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის. ამ ამბავმა ჩვენ გაგვახსენა 1862 და შემდეგი წლები, როცა ქართლ-კახეთში და ნამეტნავად იმერეთში ბამბის მოყვანაზედ მიიმართა დიდი და პატარა, ვასაც-კი ცოდნა და წელი მიუძღოდა. იმ ხანებში კარგა ძალი ბამბა მოჰყვანდათ და კაი ფასადაც იყიდებოდა. ნამეტნავად იმერეთმა იმარჯვა ამ შემთხვევაში, რადგანაც ზღვა ახლო ჰქონდა და გადატანის ფასი შესაძლებელ ჰყოფდა ბამბის საპალნეების სხვაზედ იეფად ზიდვასა. რომ ეს ამბავი ჩვენთვის საკუთრივ და ამიერკავკასიისათვის საერთოდ ალალბედობისა და შემთხვევის მოწყალება იყო, როგორც დღეს პურის ვაჭრობაა ჩვენში, ეს იმითი მტკიცდება, რომ დღეს ბამბა თითქმის აღარავის მოჰყავს და მის მოყვანაზედ თითქმის ხელი აიღეს. რა შემთხვევა იყო ისეთი, რომ მაშინ ამისთანა ციებ-ცხელება შეუდგათ ბამბის მოყვანისა და დღეს-კი ასე დასცხრა და განელდა?

ყველაზედ უდიდესი ბაზარი ბამბისა ისევ ჩრდილო-ამერიკაა. ასეთივე იყო იგი წინათაც. მთელს საქვეყნო ბაზარს თითქმის მარტო ჩრდილო-ამერიკა უძღვებოდა და აძღებდა. მინამ ჩრდილო-ამერიკის საქმე თავის რიგსა და წესზედ მიდიოდა, ბამბა რუსეთის უმთავრესს ბაზარში ნიჟეგოროდის იარმუკაზედ ფუთი ოთხსა და ხუთ მანეთად გადიოდა. მაშინ, რასაკვირველია, ჩვენებურს მოწვარმოებს ბამბისას ხელს არ მისცემდა ბამბა მოეყვანა, რადგანაც მარტო გადატანის ფასი სამ მანეთამდე ადიოდა ფუთზედ და მწარმოებელს ფუთზედ მარტო მანეთი ან ორი მანეთი-ღა რჩებოდა ყოველგვარ ხარჯის ასაყენებლად და თავის გასამრჯელოდ. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა გარემოება არავის წააქეზებდა იმ რთულსა, ხარჯიანს და ძნელ მუშაობისათვის, რომელიც

ბამბის მოყვანას სჭირდება. ამიტომ იმ დრომდე ბამბის მოყვანა ჩვენში ისე კანტიკუნტად სადმე, ხილად თუ იქნებოდა, თორემ გამოსარჩომად კი თითქმის არსად იყო, ერევნის გუბერნიის გარდა. ერევნის გუბერნიაში ბამბის მოყვანა ხელს აძლევდა მაშინ იმიტომ, რომ შიდა-რუსეთში რკინისგზები ასე ხშირი არ იყო და ამერიკის ბამბის შემოტანა შიდა-რუსეთში ავის გზების ხარჯს ძლივძლიობით ასდიოდა ასე, რომ ერევნიდამ ბამბის წაღება რუსეთში ცოტაოდენად უფრო სარფა იყო, ვიდრე ამერიკიდამა. ეს იმიტომ, რომ შიდა-რუსეთის გზებზედ ერევნის გუბერნია უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა, და თუ ამ გზებზედ ორსავე ერთი ხარჯი უნდებოდათ, ამერიკის ბამბას ფასი ემატებოდა ამერიკიდამ რუსეთამდე მოსატანისა.

ხოლო როცა ჩრდილო-ამერიკის შტატებ შორის ომი ასტყდა, მაშინ ბამბის იქიდამ ზიდვა შესწყდა ასე, რომ ევროპის ბაზარში თითქმის ხსენებაც კი გასწყდა ბამბისა. მაშინ იყო ის სახელოვანი გაჭირება, რომელსაც „ბამბის კრიზისს“ ეძახიან და რომელმაც აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თითონ ფაბრიკები და ქარხნები ინგლისსა და რუსეთში პირქვე დაამხო. მარტო რუსეთში 659 საფეიქრო ფაბრიკებიდამ, რომელნიც 1860 წელს მოქმედებდნენ, 1863 წელს 388-ღა დარჩა, თითქმის ნახევარზე ჩამოხტა. ისიც ძლივძლივობით სულს იტრიალებდნენ. ბამბა შიდა-აზიისა და ბუხარისა, რომელიც 1860 წლამდე ფუთი ოთხ და ხუთ მანეთად ძლივ გადიოდა ნიჟეგოროდის დიდს ბაზარში, ჩრდილო-ამერიკის შტატების ომის დროს 1861 წ. შვიდ-რვა მანეთამდე აიწია; 1862 წელს თორმეტ-ცამეტ მანეთამდე და 1863 წელს კი ოცდაორ ოცდასამ მანეთამდე. რა თქმა უნდა ამგვარმა ყოფამ ბამბის საქმისამ მთელს ქვეყნიერობაზედ თავისი ზედმოქმედება იქონია. მუშტარი ბამბისა ბუზსავით ყველგან ირეოდა, რასაკვირველია იმ ქვეყნებში-კი, საცა ჰავა და ადგილი ბამბის მოსაყვანად შესაფერი იყო ამ დიდმა ფასებმა და მუშტარმა ჩვენამდენაც მოაღწია და ყველა, დიდი და პატარა, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა, მიაწყდა ბამბის საქმესა. იმ ხანად იმერეთმა

კარგი გამორჩომა ჰნახა და ეს შემთხვევა ყველაზედ უკეთესად იმან გამოიყენა: დიდძალი თესვა ბამბისა დაიწყეს იმერეთში და კარგა ფული გაინაღდეს ამ გზით. დღეს ბამბის მოყვანის საქმე ჩვენში სრულიად შემწყდარია და ეს წყარო სიმდიდრისა ხელიდამ გამოგვეცალა. რა იყო ამისი მიზეზი და რა ღონისძიებაა სახმარი, რომ ეს სახეირო საქმე ჩვენთვისაც და რუსეთისათვისაც კვლავ აღორძინდეს, ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

**

ტფილისი, 9 იანვარი.

რა თქმა უნდა, რომ თუ რუსეთს ჰსურს თავისი საკუთარი ბამბა იქონიოს და ამ მხრით სხვა ქვეყნებზედ არ იყოს დამოკიდებული, ბამბის მოყვანას ძალიან ხელი უნდა შეუწყოს ყველგან, საცა-კი ჰავა და ადგილი შესაფერია ამ მცენარისა. შიდა-აზიის გარდა, ბამბა ძალიან კარგად მოდის ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთი და ერთობ იმერეთი ამისათვის ძალიან კარგი ადგილებია და ამ მხარეში რომ მთავრობამ თავისი შემწეობა მოაშველოს მიწისმომქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელი გაუმართოს, ყოველგვარი შეღავათი მისცეს, დიდძალს ბამბას რუსეთი ჯერ ამ ამიერკავკასიაში იშოვის. სწორედ ესე მოიქცნენ ინგლისელები. როცა ჩრდილო-ამერიკის შტატებ შორის ომი ასტყდა და ბამბის კრიზისმა თავი იჩინა, ინგლისელებმა არავითარი ღონე, არავითარი ხარჯი, არავითარი შემწეობა არ დაჰზოგეს, რომ სადმე თავის სახელმწიფოს საზღვრებში ბამბის მოყვანა ააღორძინონ და ფეხზედ დააყენონ. ინდოეთსა და ეგვიპტეშიაც კი, რომელიც ინგლისელებს არც კი ეკუთვნით, დიდძალი მეცადინეობა იხმარეს, დიდძალი ფული დაატრიალეს ამის გულისათვის. გარდა ამისა, თვით ინგლისის ფულის პატრონთაც, როგორც კერძო კაცთა, დიდძალი ფული მიაშველეს ბრაზილიას და ხვნა-თესვა ბამბისა დიდად გააძლიერეს იქაც-კი. ამ მთავრობისა და კერძო კაცთა ცდამ და ხარჯმა ამაოდ არ ჩაუარათ ინგლისელებსა. ამ მეცადინეობის და ხარჯის

შედეგი ის იყო, რომ 1.800.000 ფუთი ბამბა, რომელიც 1862—63 წ. წ. გამოჰქონდათ, მაგალითებრ, ეგვიპტიდან, ცხრა მილიონ ფუთამდე აიყვანეს 1884-85 წლებში. ეს იმოდენა ბამბაა, რამდენიც რუსეთის მრეწველობას და ერთობ რუსეთის ბაზარსა თითქმის სრულებითა ჰყოფნის. დღეს ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებულია, რომ რაც უნდა უეცარი უბედურება შეემთხვეს ჩრდილო-ამერიკის ბამბასა, ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებული იქნება, რომ ფაბრიკები და ქარხნები არ მოუცდება.

ინგლისელების მიხედვით, თუ საკუთარის მიგნებით, რუსეთშიაც ფულის პატრონებმა კერძო კაცებმა ხელი მოჰკიდეს ამ საქმესა და განიზრახეს რითმე მოჰშველებოდნენ იმ ქვეყნებს, საცა ბამბა მოდის. ამას წინათ სოვდაგარმა მაროზოვმა ჩვენს სოფლის სამეურნეო საზოგადოებას ბამბის თესლი გამოუგზავნა, რომ ხალხს დაურიგდეს და ხალისი აღუძრას ბამბის მოყვანისა. საზოგადოებამ დაურიგა იგი თესლი, მაგრამ, სამწუხაროდ, თესლი იმოდენად უხეირო გამოდგა, რომ მოსცდა და არ ამოვიდა. თვით მთავრობასაც ორი ნასწავლი კაცი გაუგზავნია ამერიკაში, რომ ისწავლონ ბამბის მოყვანის ხელი და მერე რუსეთის საზღვრებში მოჰფინონ თავისი სწავლა და ცოდნა და ამ მხრით შემწეობა აღმოუჩინონ მიწათმომქმედთა. რასაკვირველია, ეს ღონისძიებანი საკმაონი არ არიან, რომ ხალხმა ხელი მოჰკიდოს ბამბის მოყვანის საქმესა, თუმცა არც უიმისოა, რომ ცოტაოდენად მაინც ხელი არ მოუმართოს. ჩვენში ბამბის მოყვანის საქმის ცოდნა, მართალია, იმოდენი არ არის, რამოდენიც სანატრელია, მაგრამ იმოდენა კია, რომ კაცი ცოტათ თუ ბევრად ამ მხრით დიდს დაბრკოლებას ვერა ჰნახავს. ხომ იყო ჩვენში ცოტად თუ ბევრად გაძლიერებული ბამბის მოყვანის საქმე 1862-63-64 და სხვა წლებში, მინამ ბამბა კაი ფასად გადიოდა და ხალხს ხელს აძლევდა. საქმე ის არის,—ხალხმა გული დააჯეროს, რომ ბამბის მოყვანა სარფაა, თორემ მოიყვანოს და იმ ფასად ჰყიდოს, რომ ხარჯი ძლივს ააყენოს,— ამას ვერა მიწათმომქმედი ვერ გაუძლებს. ეს გარემოება

სულს ამოართმევს ხელახლად დაწყებულს საქმესა და ხალხი, რასაკვირველია, მოერიდება, რაც უნდა კარგი თესლი ბამბისა ურიგონ და რაც უნდა ბევრი უქადაგონ მსწავლულმა და მცოდნე კაცებმა.

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მისის ბამბა რუსეთის ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი ექმნება. საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა. თუ მართლა სასურველია რუსეთისათვის, რომ ამიერკავკასიამ თავისი ბამბა მიაშველოს, საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ამ სურვილს ასრულების გზაც მისცენ. ჩვენი ეკონომიური უბედურება ის არის აქაც, რაც პურის ვაჭრობაში: გადატანის ხარჯი მეტად ძვირად უჯდება მწარმოებელს და ესა გვხუთავს ჩვენ ყოველისფერში. ჯერ რომ რკინისგზა მეტად დიდს ფულს იღებს საქონლის წაღებ-წამოღებისათვის, მერე თვითონ რკინისგზამდინაც მიტანა ჭირია უგზო-უკვლოობის გამო. აი ამ მხრით მოშველება უნდა, ვისაც ჰსურს ბამბის მოყვანის საქმეს ფეხი აადგმევინოს ჩვენში. გამოცნობილია და გამოანგარიშებული, რომ თუ ბამბის მიტანა მოსკოვში მანეთზედ და მანეთ უზალთუნზედ მეტი დაჯდა, ჩვენს ბამბას გასავალი ან არ ექნება, ან თუ ექნება, ბამბის პატრონი ზარალის მეტს ვერასა ჰნახავს. რუსული გაზეთები ამბობენ, რომ სამხრეთ-რუსეთის რკინისგზებისა და რუსეთის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოების შორის მოლაპარაკება არისო, რომ შიდა-აზიის ბამბის გადმოტანა მოსკოვამდე ხუთ აბაზ უზალთუნზედ მეტი არ დაუჯდეს ფუთიო. სწორედ ამისთანა განკარგულებაა საჭირო ჩვენის მხრის ბამბისათვისაც, თუ ვისმე ჰსურს ბამბის მოყვანას ჩვენში ფეხი აადგმევინოს იმოდენად, რამოდენადაც სასურველია. თორემ დღეს ფუთი მოსკოვამდე თითქმის სამი მანეთი მარტო გადატანა ჯდება და სად გაუძლებს ამოდენა ხარჯს ჩვენებური ბამბა?

პურიშულის საქმე
(1886—1891)

პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში
(1886 — 1887)

პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ
(1887)

სიმინდის საქმე იმერეთში
(1891)

პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში

I

ტფილისი, 9 დეკემბერი, 1886 წ.

ჩვენ ამას წინათა ვსთქვით, რომ თუ რომელიმე საგანი ვაჭრობისა ნამეტანი არ არის და თვითონ საგნის მწარმოებელს არ ეჭარბება, მისი საბაზროდ გამოტანა ბევრს არას ჰნიშნავს და ამ სახით გამართული ვაჭრობა ვერც კეთილს მოასწავებს და ვერც ვაჭრობის მკვიდრ საფუძველზედ აგებასა. ამისთანა ვაჭრობა მარტო შემთხვევითია და დიდ ხანს თავს ვერ დაიჭერს. ამიტომაც ჩვენ ყველაზედ უწინარეს ჩვენს ახლად დაწყებულს ვაჭრობას პურისას ამ მხრით შევეხენით და დავინახეთ, რომ არავითარი სასტატისტიკო ცნობა არა გვაქვს შევიტყოთ, ეს ვაჭრობა პურის ნამეტანობამ გამოიწვია, თუ გაჭირების უღონობამ. ეხლა წარმოვიდგინოთ, მითომც შემდეგ რიგიანად გამოკვლევისა დავრწმუნდით, რომ პური გვეჭარბება, ამიტომ ვყიდით და გაგვაქვს საქვეყნო ბაზარში. მაინც დაიჭერს თუ არა თავსა ეს ახლად დაწყებული ვაჭრობა? ეს საკითხავი მაინც საკითხავად ჰრჩება იმ შემთხვევაშიაც, როცა ვიგულისხმებთ, რომ პური ჩვენში ნამეტანია და მოჭარბებული. საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი „კონკურენციას“ ეძახიან. რომ ამ ცილობაში ჩვენმა პურმა თავი გაიტანოს და საქვეყნო ბაზრის მოედანზედ თავისი შესაფერი ადგილი დაიჭიროს,

ორი აუცილებელი სიკეთე უნდა სჭირდეს: ერთი რომ თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და მეორე სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზედ.

რაც შეეხება თვისებას და ღირსებას ამიერკავკასიის პურისას, ამ მხრით ჩვენებური პური ბევრს სხვას არ ჩამოუვარდება, და თუ დღეს მაინცდამაინც ამ მხრით აკლია რამ, საქმე ადვილად გასასწორებელია, რადგანაც ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველსგვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღალის ხარისხიდამ დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე. ეს დღესაც არის ჩვენში და კეთილად განწყობილი ვაჭრობა უფრო გააძლიერებს შემდეგისათვის. მაშასადამე, დაგვირჩა გამოსაკვლევად: იეფობით შეუძლიან ჩვენებურს პურს შეეჯიდოს სხვა ქვეყნის პურს საქვეყნო ბაზარში, თუ არა?

პურის, როგორც სააღებ-მიცემო საგანის, ერთი უდიდესი ნაკლულევანება ის არის, რომ დიდი საპალნე ცოტა ფულს აყენებს: თითონ მძიმეა, ბევრს ადგილს იჭერს გადატანაში და ფასი კი ცოტა აქვს, ასე რომ ხშირად გადატანა პურის ფასადვე ჰჯდება. რა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში მისაჯლმოსავალ გზების ავკარგიანობას დიდი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს. აბა ამ მხრით გავსინჯოთ ჩვენი ქვეყანა და ვნახოთ, გზების სიკეთე რამოდენად გვშველის პურის გაიეფებაში.

შავის ზღვიდამ, როგორც ერთადერთი დიდი ძარღვი, მიდის რკინისგზა კასპიის ზღვამდე და ჰყოფს მთელს ამიერკავკასიას ორ დიდ, მაგრამ არა თანასწორ ნაწილად. პირველ შეხედვით, კაცსა ჰგონია, რომ ამიერკავკასიას ვაჭრობისათვის ორ ზღვისაკენ კარი ღია აქვს. ცოტად თუ ბევრად ეს, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ იმოდენად კი არა, რომ ამ რკინისგზის შემწეობით პურის ვაჭრობამ დიდი ფრთა გამოიბას. პირდაპირი ხეირი რკინისგზისა საზოგადოდ იმაშია, რომ მისის მეოხებით იეფფასიანმა, მაგრამ ბუნებითად დიდ საპალნიანმა საქონელმა აღებ-მიცემობისამ, როგორც, მაგალითებრ, პურია, სიმძიმე გზის ხარჯისა გადატან-

გადმოტანაში უნდა ადვილად აიტანოს და ბევრად მისაჩნევი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ თვით გადატანა, როგორც საქმე, მეტად გაადვილებულია რკინისგზით და ფასიც გადატანისა, როგორც ხარჯი გზისა, მეტად სუბუქია. მაგრამ ჩვენში ეს ესე არ არის. საზოგადოდ რუსეთში რკინისგზებზედ საქონლის გადატან-გადმოტანის წესები მეტად ხელს უშლის გადამტანელს და მერე თითონ ფასიც გადატანისა ძვირია. ჩვენში ხომ წესებიც უარესია და ფასიც მეტი. ფასს კიდევ როგორმე აუვიდოდა კაცი, რომ წესები არა ჰხუთავდნენ და საქონლის მოძრაობას არ აბრკოლებდნენ. მოიტან რომელსამე რკინისგზის სადგურზედ სოფლიდამ პურსა, თუ ამის მსგავს რასმე, და არ იცი, ერთი დღე მოგიგვიანდება, ერთი კვირა, თუ ერთი თვე საქონლის დადებამდე და გასტუმრებამდე. მინამ მოტანილს საქონელს სადგურიდამ დასძრავ და გაისტუმრებ, შენ შენი გემართება. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ საქონლისათვის წვიმისა და მზისაგან შესაფერი ალაჩუხი მაინც რამ იყოს, რომ ლოდინში არ დაგილპეს და არ წაგიხდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, არც ეს არის. აბა როგორ იხეიროს ამგვარ ყოფაში ვაჭრობამ? აბა რა ანგარიში იქონიოს მსყიდველმა თუ გამსყიდველმა ან ფულისა და ხარჯისა, ან დროსი და პაემანისა, რომელიც ასე საჭიროა ჭეშმარიტის აღებ-მიცემობისათვის და მარჯვედ ვაჭრობის წარმართვისათვის?

ამასაც თუნდა თავი დავანებოთ. რკინისგზის სადგურამდე პურს მოტანა არ უნდა? არის კი გზები ამისათვის სოფლიდამ? ამაზედ ხვალ მოვილაპარაკებთ.

II

ტფილისი, 10 დეკემბერი, 1886 წ.

გუშინ ჩვენი ლაპარაკი იმაზედ შევაყენეთ, რომ რკინისგზის სადგურამდე პურს გამოტანა უნდა თავის ბინიდამ და ვიკითხეთ: არის-კი გზები ამისათვის სოფლებიდამ? არის, როგორ არა, მაგრამ ვაი ამ გზებზედ მატარებელთ და საქონლის მზიდავთა. ჯერ როცა მშრალობაა, ჩვენი ძველებური

ფეხმძიმე ურემი კიდევ ვაი და ვაგლახით, როგორც არის, ახერხებს საპალნეების ზიდვასა, მაგრამ ვაი მაშინ, როცა ატალახდება ხოლმე, მაშინ ხომ ძაღლიც არ გაიგდება ჩვენებურს გზებზედ. ეს გზების უხეირობა ისე ამძიმებს უანისოდაც მძიმე საპალნეს, იმოდენად აცდენს თავის საქმიდამ კაცსა, ხარსა, კამეჩსა, იმდენს დროს აკარგვინებს, რომ არ შეიძლება ყოველ ამან თავისი საფასური ზედ არ შეაკეცოს გადასატან საქონელსა. თუ სადმე გზატკეცილებია დამართული და ამით გაადვილებულია საპალნის ზიდვა, იქაც მაინც ზიდვის გაიეფებას ბევრად არა ჰშველის-რა. გზის ბაჟი, რომელსაც იხდიან გზატკეცილზედ მოარულნი, ეგეც საგრძნობელი ხარჯია და თვით გადასატანს საქონელს ზედ ეკეცება, და რადგანაც გზატკეცილამდე მაინც გამოტანა უნდა საქონელს იმავე სავაივაგლახო გზებითა, ამიტომ გზატკეცილები მაგდენს არაფერს შეღავათს იძლევა საპალნის ზიდვის ხარჯში. შეუძლებელია, რომ ყოველ ამან საგრძნობელად არ დააძვიროს გადატანილი საქონელი საზოგადოდ და პური საკუთრივ. მერე რა გამოდის ამ დაძვირებიდამ? ემატება რამ თითონ მწარმოებელს და მიწისმომქმედსა? სრულებითაც არაფერი და საგულვებელი კია, რომ დააკლდეს კიდეც. აი რა მიზეზით. ამ შემთხვევაში პური მარტო ვაჭრობისათვის ძვირდება და აღებ-მიცემობას სამძიმოდ უხდება; ცილობას ვეღარ იტანს და საქვეყნო ბაზარში უქმად ჰრჩება. ბაზარში რომ გასავალი არა აქვს, მწარმოებელი იძულებულია შინ მოელოდინოს მუშტარსა, და წახდენის შიშმა და გაჭირვების სიმწვავემ ჩალის ფასად გააღებინოს დიდის ოფლით მონაგარი ჰირნახული.

რომ უგზო-უკვლობას ამისთანა შედეგი მოსდევს პურის ვაჭრობაში, ამისი ცხადი მაგალითი თვალწინა გვაქვს და დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ. სოფლად ეხლა პური ძლივ-ძლიობით იყიდება ფუთი სამ აბაზად, ცამეტ შაურად. იგივე პური ბათუმში გადის დღეს მანათად და სამ შაურად, მანათად და ერთ აბაზად, მაშასადამე ერთი ორად. ნუ გეგონოთ, რომ პურის ბათუმში წამღებს აქ დიდი მოგება ჰრჩებოდეს. ფუთზედ რომ ბევრი-ბევრი ორი შაური მოიგონ, ღმერთს

ორისავე ხელით მადლობას შესწირვენ. დანარჩენი ფუთზედ ათი შაურის განაღდება სადღა მიდის? გზა, და გზის უვარგისობა სჭამს. მერე რამდენსა სჭამს? თითქმის იმოდენასვე, რაც თითონ პური ჰღირს. განა ამ ყოფაში ვაჭრობას თავის დაჭერა შეუძლიან! აბა ჩვენებურმა პურმა ცილობა როგორ უნდა გასწიოს საქვეყნო ბაზრის მოედანზედ, როცა ამერიკიდამ, ამ პურის უზარმაზარ ბოღაზიდამ, უფრო ადვილია, უფრო მოსახერხებელია, უფრო იეფია პურის გადმოტანა ევროპაში, ვიდრე ერევნიდამ, გუმბრიდამ, კახეთიდამ და თითონ ქართლიდამაც ბათუმამდე. თუ ეს დაუჯერებელი ჰგონია ვისმე და მეტისმეტად თქმული, მარტო ეს იკითხოს: ესე რომ არ იყოს, სამ აბაზად დღეს ქართლში ღირებული პური ბათუმში ერთი-ორად რად უნდა ჰჯდებოდეს? არა გვგონია ამერიკიდამ მარსელში მოტანილმა პურმა ფუთზედ ათი შაური ანუ ამაზედ ცოტად მეტნაკლები იმატოს მარტო გადმოტანისათვის. დღეს მარსელში და სხვა .ადგილებში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზეა, ამერიკის პური იმავე ფასად ისყიდება, როგორც ჩვენებური, — ეს მაშინ, როცა ჩვენებურს მწარმოებელს ფუთზედ სამ აბაზზედ, თუ ცამეტ შაურზედ მეტი არ მოსდის. განა ეს სახარბიელო აღებ-მიცემობაა? განა სამი აბაზი და ცამეტი შაური ფუთზედ კაი ფასია? განა ეს იმისთანა ფასია, რომ მწარმოებელს ხალისი მოუმატოს პურის წარმოების გაძლიერებისათვის და ბლომად მოყვანისათვის? არა გვგონია. და თუ ამერიკელთათვის სამჯობინარია პურის ფასი ევროპაში იმოდენად დასწიოს, რომ გასვლა-გამოსვლის შემდეგ ჩვენს მწარმოებელს ფუთზედ მარტო სამი აბაზი, თუ ცამეტი შაური უნაღდდებოდეს, მაშინ აშკარაა, ჩვენს ვაჭრობას პურისას არავითარი ღონე არ ექნება საქვეყნო ბაზარში სული იბრუნოს და დიდხანს იდგომილოს. ჩვენებური პური ცილობას ვერ გაუწევს ამერიკის პურს, როცა ბაზრის ფასისაგან პურის პატრონს ფუთზედ მარტო სამი აბაზი ან ცოტა ამაზედ მეტნაკლები ფულიღა ენაღდება. თქმა არ უნდა, რომ თუ მოსავალი მოზღვავდა, ეს ჩვენი აზრი თავს არ დაიჭერს: რაკი პური თავსაყ-

რელად გატყვრება, მაშინ, რასაკვირველია, ეგ ფასიც სამყოფია. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ჩვენ სჯა ამ საგანზედ მაგ მეტად იშვიათს შემთხვევაზედ დავაფუძნოთ და არა ორთაშუა მოსავალი ვიქონიოთ სახეში.

რაკი ამას ვიქონიებთ სახეში და იმასაც არ დავივიწყებთ თუ,—რამოდენად აძვირებს საქვეყნო ბაზრისათვის ჩვენებურს პურს უგზოობა და გადატანის ხარჯი, მაშინ აწ დაწყებული პურის ვაჭრობა ბევრს საიმედოს და სახარბიელოს არას წარმოგვიდგენს და დიდ ხანს ვერც თავს დაიჭერს.

III

ტფილისი, 19 დეკემბერი, 1886 წ

წინა წერილებში ჩვენა ვსთქვით, რომ რადგანაც პურის მოსავლისა ჩვენში სასტატისტიკო ცნობანი არა გვაქვს, ჩვენ მოკლებულნი ვართ საბუთს ჯეროვანი და უტყუარი სიტყვა წარმოვსთქვათ მასზედ თუ, გვაქვს ჩვენ გასასყიდი პური, თუ არა. ისიც მოვახსენეთ მკითხველებს, რომ თუნდაც გვქონდეს, პურის გატანა საქვეყნო ბაზრამდე ძალიან ძვირად გვიჯდება და ერთი-ორად ჰხდის პურის ფასსა. გზა და გადატანა ამ შემთხვევაში თავისას არ იშლის და მაშასადამე იმისათვის, რომ ჩვენმა პურმა სხვის პურს იეფობაში კილობა გაუწიოს, ფასი თვით პურისმომქმედმა უნდა დაიკლოს. ჩვენის ფიქრით, ის ამბავი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი პური საზღვარგარეთ გადის, ჩვენს ეკონომიურად გაღონიერებას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ რაიმე უეცარს შემთხვევას, რომელიც შესაძლოა ხვალ არ იყოს და რომელზედაც, მაშასადამე, არარაიმე დასკვნა არ აიგება ჯერ-ხანად მაინც.

წარსულ 1885 წელს, როცა ამ პურის ვაჭრობამ ჩვენში ცოტა რამ გაიღვიძა, ფოთისა და ბათუმის ნავთსადგურები დამ სულ 681.595 ფუთი პური გაუტანიათ. ამ 1886 წელს კი ამ რიცხვმა ოთხ მილიონ ფუთამდე აიწია. შემთხვევაა ეს,

თუ დასაწყისია კარგა მაგრად ფეხმოკიდებულ ვაჭრობისა? სწორედ შემთხვევაა, ჯერ იმიტომ რომ 1885 და 1886 წელს ფასი პურისა ჩვენში ისე დაეცა, რომ თუმცა საზღვარგარეთ გატანა ძვირად უჯდებოდათ, მაგრამ თითონ პურის ფასი ისეთი დაბალი იყო, რომ ამ სიძვირეს გზისას და გატანისას იტანდა საქვეყნო ბაზარზედ. მეორე ისა, რომ ერთმა დიდმა პურის მოსავლის ქვეყანამ და პურის გამსყიდველმა ამ ხანებში ველარ მიაწოდა პური საქვეყნო ბაზარსა. ეს ქვეყანა რუსეთია. ამას გვიმტკიცებს ეხლახან პეტერბურგიდამ მიღებული დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც სათაურად აქვს: 1886 წელიწადი, როგორც სასოფლო-სამეურნეო წელიწადი *. ამ წიგნიდამა სჩანს, რომ რუსეთს, რომელსაც 1884 წელს საქვეყნო ბაზარში გაუტანია 13.000.000 „ჩეტვერტი“**, წელს თითქმის საშინაოდ საკმაო პურიც არ მოსვლია. ანეულად ნათესი პური, ამბობს იგი წიგნი, ამ 1886 წელს მოვიდა ძალიან ნაკლებადაო. გაზაფხულის პურმა ორთა-შუა რიცხვს ვერ გადააჭარბაო*** ამ ორიოდე სიტყვიდამა სჩანს, რომ რუსეთი ამ 1886 წელს ვერ შეიძლებდა საბაზროდ გაეტანა ბევრი პური. მართალიც არის: დღეს რუსეთში უჩივიან პურის ვაჭრობის დაკლებასა. ამ ჩივილში, რასაკვირველია, ის მიზეზიც არის. რომ უწინ თითქმის მარტო რუსეთი იყო ბოლაზი საქვეყნო ბაზრისა და ახლა კი ამერიკამ, ინდოეთმა და ავსტრალიამ

*„1886 год в сельско-хозяйственном отношении. Выпуск II.

** ჩეტვერტი, ორთა-შუა რიცხვით რომ ვსთქვათ, ათი ფუთი მაინც გამოვა.

*** В большей части черноземных губерний,—ამბობს იგი წიგნი,—сбор ея (озимой пшеницы) значительно ниже среднего, а в губерниях, где она возделывается в больших размерах, т. е. в юго-западных, срезних, черноземных и—из северных черноземных—в Курской, Орловской и Черниговской, сбор ея получился очень плохой, а во многих случаях, она погибла совершенно. Яровая пшеница дала урожай близкий к среднему. Из главных районов ея возделывания—в южном (губернии южныя степныя, часть юго-западных и средних черноземных) урожай яровой пшеницы получился, в большинстве случаев, на много ниже среднего, исключая Таврической губернии, где он выше среднего.

კილობა გაუწია, შესანიშნავი ადგილი დაიჭირა საქვეყნო ბაზარში და ბაზარს რუსეთის პური იმოდენა აღარ მოანდომა.

1868 წელს, როცა ამერიკამ კარგა საგრძნობლად გამოდგა ფეხი პურის საქვეყნო მოედანზედ, ამერიკის პური მოვიდა ევროპაში გასასყიდლად 6.834.000 ჩეტვერტი, რუსეთისა 12.062.000 ჩეტვერტი. მაშინ ინდოეთს სულ 600.000 ჩეტკერტი გამოეტანა და ავსტრალიას კი სრულიად არაფერი. შემდეგ ამერიკის პური უფრო და უფრო ჰმატულობს, და თუმცა ინდოეთიდამ პურის მოტანა თითქმის ისპობა, მაგრამ, მაგალითებრ, 1873 წელს მარტო ამერიკას გამოაქვს 22.872.000 ჩეტვერტი, რუსეთს კი 19.915.000. შემდეგს წლებში უფრო ძლიერდება ამერიკის პურის გამოტანა, მაგრამ რუსეთისაც ჰმატულობს. ამერიკა მაგრად ფეხს იკიდებს საქვეყნო ბაზარში, ხოლო როცა ავსტრალიასა და ინდოეთში რიგიანად მოაწყვეს პურის ვაჭრობის საქმე, ამერიკის პურის კაჭრობა არამცთუ ჰმატულობს, კლებულობს კიდეც. ამ ჰხრით მეტად საინტერესონი არიან შემდეგნი ციფრები.

აი რომელს ქვეყანას რამდენი ჩეტვერტი პური და სხვა ხორბალეულობა გამოუტანია ხორბლად, თუ ფქვილად 1879 წლიდამ:

ამერიკას	რუსეთს	ავსტრალიას	ინდოეთს
1879 წ.	1879 წ.	1879 წ.	1879 წ.
50.348.000	38.240.000	„	681.000
1880 წ.	1880 წ.	1880 წ.	1880 წ.
49.794.000	22.719.000	„	2.309.000
1881 წ.	1881 წ.	1881 წ.	1881 წ.
29.658.000	23.129.000	1.750.000	6.160.000
1882 წ.	1882 წ.	1882 წ.	1882 წ.
32.582.000	33.199.000	1.356.000	6.890.000
1883 წ.	1883 წ.	1883 წ.	1883 წ.
35.582.000	38.085.000	1.413.000	10.881.000
1884 წ.	1884 წ.	1884 წ.	1884 წ.
33.434.000	36.864.000	1.300.000	6.500.000

* აქ ამ წლისა მარტო თერთმეტის თვის ანგარიშია.

თუმცა ასეა და დღეს საქვეყნო ბაზარში ბევრნი მოცილენი არიან, მაგრამ, როგორც ვატყობთ, ამ ცილობამ უფრო ამერიკის პური შეჰხუთა, რუსეთის პურს კი ვერა დააკლორა და რუსეთს მაინც დიდი ადგილი უჭირავს. ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ რუსეთში პურის უმოსავლობას რა დიდი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს პურის ვაჭრობაზედ საქვეყნო ბაზარში. ზემოთ ნაოქვამისაგან სჩანს, რომ რუსეთი ამ 1886 წელს პურზედ ნაკლებად იყო. ამ გარემოებას, უეჭველია, უნდა აღეძრა პურის ვაჭრობა იმ ადგილებშიაც, სადაც თავის-დღეში არა ყოფილა. აი გამოცანა იმისი, რომ 1886 წელს ამიერკავკასიიდამ 4,000,000 ფუთი პური გაიტანეს ევროპაში. ეს მაშ რა არის, თუ არ შემთხვევა!.. როგორც ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისეც ერთი ეს მაგალითი საკმაო არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, გული დავაჯეროთ, რომ პურის ვაჭრობამ ჩვენში სამუდამო დვრიტა დაიდო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენს დაუჯერებლობას სამერმისოდ საბუთი არა ჰქონდეს და პურის ვაჭრობა გაძლიერდეს ჩვენში, მაგრამ ტყუილი სიხარულიც უქმი თამასუქია და გვეშინიან ბოლოს მარტო ეს გაუქმებული სიხარული არ დაგვრჩეს ხელში და არა ვსთქვათ:

ესეღა დაგვრჩა სანაცვლოდ
მის იმედისა დიდისა.

IV

ტფილისი, 20 დეკემბერი, 1886 წ.

რომ 1886 წელს გაძლიერდა ჩვენში პურის ვაჭრობა და ჩვენის ქვეყნიდამ საქვეყნო ბაზარში 4.000.000 ფუთი პური გავიდა, — ეს ამბავი უნდა მიეწეროს სხვა მიზეზსაც იმ მიზეზთა გარდა, რაც ჩვენ წინა წერილებში მოვიხსენიეთ. ეს სხვა მიზეზნიც იმისთანავე შემთხვევითნი არიან, როგორც წინანდელნი, მხოლოდ სხვა მხრით-კი. წინანდელი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იმ ქვეყნებმა, რომელთაც დიდძალი

პური გამოაქვთ საქვეყნო ბაზარში გასასყიდად, უმოსავლობის თუ სხვა მიზეზის გამო პური ამ 1886 წელს ნაკლებად გამოიტანეს და ბაზარს პური უჭირდა. ბაზარს პურის შოვნა გაუჭირდა და დიდი დანაკლისი იგრძნო მარტო იმით კი არა, რომ საკმაო პური არ მიიტანეს, პურის ნაკლებობა ბაზარში იმით უფრო გაძლიერდა, რომ იმ ქვეყნებმაც, რომელნიც პურის უქონლობის გამო, პურსა ჰყიდულობენ, ამ 1886 წელს უფრო ბევრი პური მოითხოვეს, იმიტომ რომ ამ წელს მოუსავლობამ საკუთარის პურისამ პურის საჭიროება გაუძლიერა. სულ ყველაზე მეტს პურს ჰყიდულობს საქვეყნო ბაზარში ინგლისი; 1884 წელს მარტო ამ ქვეყანას უყიდნია 24 მილიონი ჩეტვერტი. წლევანდელის წლის აგვისტოში ინგლისიდამ იწერებიან, რომ ამ წელს მეტად ნაკლები პური მოგვივიდაო, ასე, რომ წლევანდელი მოსავალი ორთა-შუა მოსავალზედაც ნაკლები ყოფილა. ორთა-შუა მოსავლად რომ ვსთქვათ, ავიღოთ, 100 კოდი, აი მეტნაკლებობა პურის მოსავლისა როგორ გამოიხატება ციფრებითა. აქ ჩვენ მოვიხსენიებთ რამდენსამე წელს და ყოველგვარ ხორბალეულობას და კარტოფილსა, რომელსაც ინგლისში პურის ადგილი უჭირავს.

წელს	ხორბალი	ქერი	შვრია	კარტოფილი
1881	90	110	80	98
1882	92	95,4	105,1	96,4
1883	91,6	94	106,6	120,6
1884	112,2	98,1	94,3	108,4
1885	101,4	99,2	93,5	92.7
1886	86,8	90,5	93,5	91,7*

აქედამა სჩანს, რომ ინგლისს, — ამ უმთავრესს პურის მსყიდველს საქვეყნო ბაზარში,—ამ უკანასკნელს ექვსს წელიწადში წლევანდელისავით უმოსავლო წელიწადი არა ჰქონია. ცხადია ამის შემდეგ, თუ ინგლისმა 1884 წელს მოინდომა 24 მილიონი ჩეტვერტი პური, როცა თითონ ორთა-შუა

*1886 год в сельско-хозяйственном отношении. გვერდი 23.

მოსავალზედ 12½% მეტი პური მოუვიდა, მაშ 1886 წელს, როცა 26%-მდე ორთა-შუა მოსავალზედ ნაკლები მოუვიდა, უფრო ბევრს მოინდომებდა. საფრანგეთს 1884 წელს უყიდნია 9.200.000 ჩეტვერტი პური. წელს საფრანგეთსაც ორთა-შუა მოსავალზედ ნაკლები პური მოსვლია. გერმანიასა, ავსტრიასა, ვენგრიასა, სერბიასა, რუმინიასა, ჰოლანდიასა, ისპანიასა და ოსმალეთში ორთა-შუა მოსავალს დაჰკლებია 5%-დამ 16%-მდე. რა თქმა უნდა, რომ ეს ქვეყნებიც უფრო ბევრს პურს მოითხოვდნენ ამ 1886 წელს, ვიდრე წინა წლებში. ამ სახით, პური ნაკლებად ჰქონიათ იმათ, ვინცა ჰყიდულობენ ერთის მხრით და მეორეს მხრით იმათაც, ვინცა ჰყიდიან. მაგალითებრ, ამერიკამ 1884 წელს საქვეყნო ბაზარში გამოიტანა 30 მილიონი ჩეტვერტი, წელს კი იმოდენად ნაკლები პური მოჰსვლია, რომ ასზედ თითქმის 23% დაჰკლებია. დაჰკლებია, აგრეთვე ავსტრალიას, რადგანაც 1883 და 84 წლებში 45 მილიონი ბუშელი* პური მოჰსვლია და ამ 1886 წელს კი მარტო 37 მილიონი. შორს რომ აღარ წავიდეთ, წელს მთელს ქვეყანაში ორთა-შუა მოსავლის კვალობაზედ 30½ მილიონზედ ნაკლები პური მოსულა. ცხადია, რომ ამ 1886 წელს დასავლეთი ევროპა იძულებული იქნებოდა ნება-უნებლიეთ აქეთ-იქით მიმდგარიყო, რომ საკმაო პური ეშოვნა, და აი რა მიზეზით მოაწყდა ამისთანა უგზო-უკვლო ქვეყანას, როგორიც ჩვენი მხარეა, რომელსაც პურის მიტანა საქვეყნო ბაზარში თითონ პურის ღირებულებაზედ მეტი უჯდება. ნუთუ ესეც შემთხვევა არ არის და იგი მკვიდრი ნიადაგია პურის ვაჭრობისა, რომელზედაც აუშენებია ბ-ნს არასხანიანცს ციხე-კოშკები თავის მოხსენებაში პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში?

V

ტფილისი, 5 იანვარი, 1887 წ.

ჩვენი წერილები პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში სავსე არ იქნება, რომ ერთი ის გარემოებაც არ წარმოვუდგინოთ მკითხველს, რომლის გამოც ჩვენში აღძრული 1885 და 1886

* 6 ბუშელი—1 ჩეტვერტია.

წელს პურის ვაჭრობა შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა მკვიდრად დაყენებულს წარმატებას პურის მოყვანისას. ვის არ ახსოვს, რა რიგად დაიწია ჩვენში პურის ფასმა 1884 წელს და ამ დაწეულმა ფასმა საგრძნობლად არც 1885 წელს აიწია. გარდა ამისა, თუმცა ფასები მეტად დაწეული იყო, ამ 1884 წელს თითქმის მუშტარი არა ჰყვანდა ჩვენს პურსა. აი ამისი მიზეზი რა იყო. ამ 1884 წელს პური დაჰკლებია, ჩეტვერტობით რომ ვიანგარიშოთ:

ინგლისსა და ირლანდიას	23.900.000
საფრანგეთს	9.200.000
გერმანიას	3.500.000
ბელგიასა და ჰოლანდიას	1.750.000
ისპანიასა და პორტუგალიას	500.000
იტალიასა და სიცილიას	1.500.000
შვეიცარიას	1.250.000
მექსიკას	250.000
დასავლეთ-ინდოეთს	950.000
შიდა-ამერიკას	990.000
პერუს	100.000
ბრაზილიას	250.000
სამხრეთ-ამერიკას	500.000
	44.640.000

იმავე 1884 წელს პური მოჰმატებია

ოსმალეთს	2.750.000
ავსტრო-უნგრიას	500.000
რუმინიას	1.000.000
რუსეთს	13.200.000
სპარსეთს	250.000
აღმოსავლეთ ინდოეთს	8.000.000
ავსტრალიას	750.000
ახალ-ზელანდიას	600.000
ჩრდილო-ამერიკის შტატებს	30.000.000
კანადას	650.000
ჩილის	750.000
ლაპლატას	200.000
	სულ 58.650.000

ამ ციფრებიდამ სჩანს, რომ **საქვეყნო** ბაზარს პურისას 44.640.000 ჩეტვერტის მუშტარი **ჰყოლია** და გამსყიდველი-კი 58.650.000 ჩეტვერტისა. ამ **სახით** საქვეყნო ბაზრისათვის თოთხმეტი მილიონი* ჩეტვერტი **პური** მეტი ყოფილა იმაზედ, რაც საჭირო იყო. აშკარაა, პურის ფასი უნდა დაცემულიყო საქვეყნო ბაზარში; აშკარაა, რაკი ჩვენს საზღვარგარეთ ამოდენად მეტი პური იყო, რომ იქაც მუშტარი ვერ ეშოვნა, ჩვენში იქიდამ პურის სასყიდლად არავინ მოვიდოდა 1884 წელს. ამან ძალიან დასწია პურის ფასი ყველგან და ნამეტნავად ჩვენში.

პურის ფასის ძლიერმა დაწევამ ის შედეგი იქონია, რომ ინგლისმა ირჩია საპურედ სახნავ-სათესს მიწებზედ—პურის მაგიერ სხვა უფრო ძვირის ფასის მცენარენი რამ მოეყვანა და ამიტომაც ხვნა-თესვა პურისათვის შეამოკლა ასე, რომ ასზედ თოთხმეტი დააკლო. ამერიკაში **პურის** ფასის დაწევის გამო ბევრს ადგილას მოსული ყანები აღარ დამკეს და ისე მიანებეს თავი მინდვრებზედ, რადგანაც მომკისა და გალეწვის ფასადაც არა ჰქონდათ **იმედი პური** გაეყიდნათ. ინდოეთში 227,481 აკრით** ნაკლები მიწები მოხნეს და მოთესეს. ამის გამო პურის რაოდენობამ 1885 წ. და ნამეტნავად 1886 წ. ძალიან იკლო და ფასმა აიწია. რაკი საქვეყნო ბაზარს პური შემოაკლდა იმ ადგილებიდამ, საიდამაც აქამდე მოსდიოდა პური, რა თქმა უნდა **მუშტარი** ყველგან დაიწყებდა ძებნას პურისას. ამის გამო **პურის მუშტარი** საზღვარგარეთიდამ ჩვენშიაც მოვიდა და მას აქეთია **პურის** ფასი **ჰმატულობს**.

აშკარაა, ეს მაგალითი და იმისთანა **შემთხვევა** ჰკვას ასწავლის ინგლისსაც და იმისთანა **პურის ბოლაზებსაც**, როგორნიც არიან ამერიკა, **ინდოეთი და ავსტრალია**. არას**გზით** მოსალოდნელი არ არის, **რომ 1885 და 1886** წლებით განსწავლული ინგლისი, ამერიკა, **ინდოეთი** და ავსტრალია,

---

* **Англо-Русский торговый журнал 1884 г. № 10, გვერდი 226.**

** **აკრი იმერულ ქცევაზედ 41 ოთხკუთხი საჟენით ნაკლებია.**

ჩვენ თავის მუშტარს პურისას დაგვითმობს. პირიქით, ყოველს ღონეს იხმარებენ, რომ ჩვენი საკუთარი მუშტარიც წაგვართვან. ეს უსაბუთო შიში არ არის და ძალიან ჭკუაზედ ახლოა. თუ კაცი კარგად დააკვირდება მიწათმოქმედებისათვის ავკარგიანობას ჩვენის ქვეყნის გარეთ. ამ საგანზედ შემდეგს ნომერში ზოგიერთს მოსაზრებას წარვუდგენთ მკითხველსა.

VI

ტფილისი, 7 იანვარი, 1887 წ.

საკვირველი გახშირება სამიწათმოქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტისმეტად აცოტავებს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არა კეთდებოდეს. გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ რომ ცოდნით ეკიდებიან საქმეს და ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ჰხმარობენ შემოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ეს ყოველი იმოდენად გააიეფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ ყოველი კუნჭული ამერიკისა რკინისგზით არის შეერთებული ნავთსადგურებთან და რკინისგზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იეფი, — მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ როგორც მეტიჩარა გამოდევნოს. ამასთან ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკის მიწათმოქმედს დაუჯერებელად იეფი კრედიტი აქვს სახელმწიფოსაგან, ასე რომ გაჭირების დროს მიწათმოქმედი სუბუქად და ადვილად ხელს ინაცვლებს. ამას ისიც ზედ დაურთეთ, რომ დიდს აღებ-მიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ პატიოსნება და ნამუსიც დიდს საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში. ჩვენებური ვაჭარი ისე თითქმის არ გაჰყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს და ამით ეხტი-

ბარი არ გაიფუჭოს სამერმისოდ. აქ ჩვენში ვაჭრობა მოტყუებაზედ უფროა დამყარებული, ვიდრე იმის ცდაზედ, რომ საქონლის სიკეთით და იეფობით მუდამი მუშტარი აიჩინოს კაცმა და თავისი ხშირად და ბევრჯელ გადატრიალებით იმდენი მოიგოს, რამოდენისაც ერთხანად ვაჭარს სიხარბე აქვს. ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელსაც სჯერდება, რადგანაც იქ თავისი იეფია და ამასთან ისეთი ეხტიბარი და ნდობა აქვს ევროპიის ვაჭრებთან, რომ უნახავადაც მარტო ერთის დეპეშით მილიონების პურსა ჰყიდის და ჰყიდულობს, და დარწმუნებულია, რომ არც ერთსა და არც მეორეში არც თითონ მოსტყუვდება და არც სხვას მოატყუებს.

ყოველივე ეს იმისთანა გარემოებაა, რომ ამერიკის პურის ვაჭრობა ჩვენს ვაჭრობას პურისას არ ახეირებს საქვეყნო ბაზარში, თუ ერთი უბედური წელიწადი არ შეხვდა ამერიკასა.

მეორე დიდი ბოღაზი პურისა ინდოეთია, რომელსაც დღეს თითქმის მესამე ადგილი უჭირავს პურის საქვეყნო ბაზარში. ინდოეთში მუშა ძლიერ იეფია, და თუმცა დიდი სასიხარულო აქ არა არის-რა, მაგრამ ამ იეფობის გამო პურის მოყვანაც იეფად უჯდებათ. თვითონ მიწები ძლიერ ნაყოფიერია და ცდა ინგლისელებისა, რომ პურის ვაჭრობაში ინდოეთმა თუ არ აჯობოს ამერიკას, ბევრით აღარას ჩამორჩეს-რა, ამაო ცდა არ არის. ჯერ ეს წარმოიდგინეთ, რომ იქ ათას-ხუთასი მილიონი დესეტინა მშვენიერი მიწა ჯერ თავისუფალია, უქმად არის და ელის კაცის მარჯვენა ხელს, რომ სულ საყანედ გადაიქცეს. გარდა ამისა, ინდოეთი ევროპის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა. ეს გარემოება პურის გადატანის ფასს ჰცვლის ინდოეთის სასარგებლოდ და ამერიკის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, ინგლისელები ჰცდილობენ ინდოეთის შიდა გზები იმოდენად კარგი იქონიონ, რომ პურის გამოტანა შიგნიდამ ნავთსადგურებამდე ბევრი არა ჯდებოდეს. იმის მაგალითად, თუ რამოდენად მარჯვედ მიჰყავთ ინგლისელებს ამ მხრით საქმე, საყურადღებოა შემდეგი ციფრები. 1853 წელს ინდოეთში რკინის-

გზები სულ $20^1/_2$ ინგლისურ მილის* მანძილზედ იყო; 1860 წ. 839 მილი რკინისგზა ჰქონდათ უკვე; 1870 წ. — 4,775; 1885 წ. 6,519 და 1881 წლის დასასრულს — 9,875. ესე სწრაფად კეთება რკინისგზებისა ამ სიდიდე მანძილზედ იმ ქვეყანაში, საცა იმოდენა სიმრავლეა მკვიდრთა და იმოდენა ბუნებური სიმდიდრეა, აშკარად გვაჩვენებს იმას, თუ რა ბედი მოელის ინდოეთს საქვეყნო ბაზარში საზოგადოდ და პურის ვაჭრობაში საკუთრივ. თითქმის ამისთანა სახეირო გზაზედვე სდგას ავსტრალიაც, ეს მეოთხე ბოლაზი პურისა, და მოდით და თქვენ იქონიეთ იმედი, რომ, თუ არ უეცარი და იშვიათი რამ უბედურება ჩამოთვლილ ქვეყნებისა, სხვა რაიმე აიძულებს საქვეყნო ბაზრის მუშტარს ამ ბოლაზებს პურისას თავი დაანებოს და ჩვენში მოვიდეს საჭიროდ!.. ამ იშვიათის უბედურების იმედით ნურავინ ნუ მოსტყუვდება და ხვნისა და თესვის რაოდენობა მარტო შინაურს ბაზარზედ გაიანგარიშოს. თორემ თუ წასცდა და ამ 1885—1886 წლების იშვიათს მაგალითებს მიჰყვა, პური ამბრებში დაულპება და ზარალის მეტს არასა ჰნახავს. იმას აღარ ვიტყვით, რომ არც ამ წლების ფასებმა პურისამ იმოდენად აიწია, რომ დიდად სახარბიელო ყოფილიყო მიწათმომქმედისათვის. თუ ეს ასეა დღეს, როცა ასეთი იშვიათი და ჩვენთვის სახეირო წელიწადები შეგვესწრო, რა უნდა ვიგულისხმოთ მაშინ, როცა რუსეთს, ამერიკას, ინდოეთს, ავსტრალიას და სხვა ქვეყნებს თავისი ორთა-შუა მოსავალი მოუვათ!.. მაშინ ის იქნება, რაც 1884 წ. მოგვივიდა: შინ სახმარზედ ნამეტანი პური ფუთი შვიდ შაურად, ორ აბაზად და ცხრა შაურად ძნელად იყიდებოდა და ეს თითქმის მარტო მომკისა, კალოზედ მიტანის და გალეწვის ფასსაც არ ააყენებს; ხვნა-ფარცხვა, თესლი, ღალა კი ტყუილ-უბრალოდ იკარგება სამუდამოდ. აშკარაა, ჩვენი ქვეყანა ამ მხრით წელს ვერ გაიმაგრებს. ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ

* ინგლისური მილი — $1^1/_2$ ვერსტია.

და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს. მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზე უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენ ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე—ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას.

კურეულის ქიდვა სამხედრო უწყების მიერ

ტფილისი, 16 მაისი, 1887 წ.

ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთადერთი წყარო შემოსავლისა და ამ შემოსავლით უნდა გაუძღვეს ჩვენი ხალხი ყოველგვარ საქვეყნო და შინაურ ხარჯსა. მრეწველობა და აღებ-მიცემობა ჯერჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია. ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა და უფრო მეტად მივარდნილი, მიყრუებული ალაგები, მოშორებულნი დიდ ქალაქებზე, მოკლებულნი უგზოობის გამო ბაზრებს, ეკონომიურად იმ მდგომარეობაში არიან, რომელიც საპოლიტიკო ეკონომიაში „ბუნებითს მეურნეობად“* არის ცნობილი. ამგვარ ეკონომიურის წესწყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას, ნაწარმოები თუნდა მომეტებულიც ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამგვარ მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან, ბაზრის უქონლობის გამო, თავის ნაწარმოებისათვის კარგი გასავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია. ამიტომ ცდილობს, ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს; ყოველ წვრილმან შინაურ გარდასახადში, იჯარაში, საცა-კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს; ასე უსწორდება, მაგალითად, ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირს და სხვებსა. უწინ, ამ საუკუნის დასაწყისამდე, თვით სახელმწიფო ხარჯსაც-კი პურითა და ღვინით იხ-

---

* Натуральное хозяйство.

დიდა. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, შემოღებულ იქმნა ფულით გარდახდა ხარჯისა. ცხოვრებამ-კი ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარჯეს, რაც უნდა ექმნა, და ფული კი უნდა ეშოვა და ყოველი ხარჯი ასე გაესტუმრებინა. მაგრამ როგორ ეშოვა ფული, როგორ ექცია თავის ნაწარმოები.ფულადა? ქალაქს წაეღო? ვინ იცის, ესეც სათუოა: ხან ფასი ნაკლები არის, ხან სრულიად ბაზარი არა აქვს რომელსამე ნაწარმოებსა. ხშირად რამდენსამე დღეს უნდა მოსცდეს და ნახევარ ფასადაც ვერ გაჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. კიდევ კარგი, ვისაც ქალაქი ახლო აქვს და იქ წაღება შეუძლიან თავის ნაწარმოებისა, ვინც შორს არის? ის, მეტი ღონე არ არის, იძულებულია ფულიან კაცს მიჰმართოს და თუნდ ჩალის ფასად მიჰყიდოს თავისი ნაწარმოები, ოღონდ გაჭირებაში ხელი გაიმართოს. აი აქ იჩენენ ხოლმე თავსა ყოველგვარი ჩარჩები. ამათ, რასაკვირველია, თავიანთი კერძო სარგებლობა, თავიანთი ინტერესები აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ დიდს სიკეთეს შესძენს, დიდს ღვაწლს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ვინც ჩვენ ხალხს ამ ჩარჩების ხელითგან დაიხსნის. ვისაც-კი გული შესტკივა ქვეყნისათვის და ჰსურს ხალხის კეთილდღეობა, წარმატება, უნდა ეცადოს, რა გზითაც-კი შეიძლება, შემწეობა მისცეს, ხელი მოუმართოს მწარმოებელსა, რომ მის ნაწარმოებს გასავალი ჰქონდეს; უნდა უჩვენოს გზა მეტადრე იმას, ვინც არც კი იცის, რას სადა აქვს გასავალი, რომელ ნაწარმოებს სად აქვს კარგი ბაზარი. დღეს თვით მთავრობა უჩვენებს ერთს წყაროს, რომელიც ღონისძიებას მისცემს მწარმოებელს თავის ნაწარმოები პირდაპირ მომხმარებელს მიჰყიდოს რიგიან ფასად და ჩარჩებს აღარ ჩაუგდოს ხელში. მხოლოდ აუცილებლად საჭიროა გზის მაჩვენებელი. რა წყაროა ეს და როგორ უნდა მიეცეს გზა ამ წყაროს, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

II

ტფილისი, 18 მაისი, 1887 წ

როგორც წინა წერილში მოვისმინეთ, უმთავრესი გაჭირვება ჩვენი მეურნეობისა იმაში მდგომარეობს, რომ მიწისმწარმოებელს თავის ნაწარმოებისთვის კარგი ბაზარი ვერ უშოვნია და ამიტომ იძულებულია ჩარჩებს მიჰმართოს და თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. ისიცა ვსთქვით, რომ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას ყველა, კერძო კაცი იქნება თუ საზოგადოება, ვინც იკისრებს და მოახერხებს, რომ მწარმოებელმა პირდაპირ ჩარჩების უშუამავლოდ, გარდასცეს თავის ნაწარმოები მომხმარებელს. ასეთი დახმარება თავის მოვალეობად უნდა ჩასთვალოს, ჩვენის აზრით, სამეურნეო საზოგადოებამ და თუ ახალის წყაროს გამოძებნას ვერ იკისრებს, იმდენი თაოსნობა მაინც გასწიოს, რომ ხელი შეუწყოს იმას, რასაც თვით მთავრობა უჩვენებს. აი ის წყარო.

ამას წინათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი მოწერილობა მოსვლია სამეურნეო მრეწველობის დეპარტამენტისაგან.

„მინსკის სამეურნეო საზოგადოებამ,—მოხსენებულია მოწერილობაში,—სთხოვა უმთავრესს საინტენდანტო გამგეობასა, რომ ხსენებულმა გამგეობამ სამხედრო მაღაზიებისათვის პური პირდაპირ მწარმოებლისაგან იყიდოს და არა იჯარადრებისა და ჩარჩებისაგანაო. მინსკის საზოგადოება ამასთანავე ჰპირდება გამგეობას, რომ ჩვენის მხრივ ყოველგვარ შემწეობას გაგიწევთო“.

ამას აუწყებს დეპარტამენტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასა და თანა სთხოვს: ყურადღება მიაქციეთ ამ წინადადებასა და გამოიყენეთ საქმეში სოფლის მწარმოებლების სასარგებლოდ, ესე იგი ეცადეთ, რომ მწარმოებელმა თავის ნაწარმოები პირდაპირ, უშუამავლოდ, სამხედრო უწყებას მიჰყიდოსო.

სრულის ყურადღების და თანაგრძნობის ღირსია ეს წინადადება. თუ დეპარტამენტის აზრი სისრულეში იქმნა მოყვანილი, ორივე მხარე დიდ სარგებლობასა ჰნახავს: მწარმოებელი კარგ ფასად გაჰყიდის თავის ნაშრომსა და სამხედრო უწყებასაც უფრო იეფად დაუჯდება, ვიდრე აქამდე უჯდებოდა. აქამდინ მთელი მოგება იჯარადრებისა და ჩარჩების ჯიბეში ჰრჩებოდა და ამასთანავე მოიჯარადრეები მწარმოებელსაც სცარცვავდნენ და სამხედრო უწყებასაც ატყუებდნენ; ხეირს არც ერთს აძლევდნენ, არც მეორესა. რასაკვირველია, ძრიელ სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, რომ მწარმოებელისა და სამხედრო უწყების შორის ისეთი შუამავალი ყოფილიყო, როგორც მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ორსავე მხარეს ინტერესებს მტკიცედ დაიცავდა და ერთსაც სარგებლობას მოუტანდა, მეორესაც. ამ საქმეს დახანება აღარ უნდოდა და საზოგადოებას, რაც შეიძლება, მალე უნდა განეხილა დეპარტამენტის წინადადება და ასე თუ ისე გარდაეწყვიტნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება როგორღაც აგვიანებს თურმე ამ საქმესა. საზოგადოებას დეპარტამენტის მოწერილობა გადაუცია ერთის თავის წევრისათვის, რომლისათვისაც დაუვალებია, გასინჯოს ეს წინადადება და საზოგადო კრებას წარმოუდგინოს თავის მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. მაგრამ, როგორც ისმის, საზოგადო კრება შემოდგომამდე აღარ იქნებაო და ასეთი საჭირო და საჩქარო საქმე კი მანამდისინ ძრიელ დაიგვიანებს. საჩქაროო, ვამბობთ იმიტომ, რომ შემოდგომისთვის მწარმოებელს, მიწის მუშას, მოხარჯე ხალხს, ხარჯის დრო მოადგება და ამ ხარჯს ისევ თავის ნაწარმოებით უნდა გაუძღვეს. ეს ნაწარმოები უნდა ფულად აქციოს და მაშასადამე ისევ ფულიან კაცებს, ჩარჩებს უნდა მიჰმართოს. ეს რომ არ მოხდეს, კარგს იზამდა სამეურნეო საზოგადოება, რომ ეხლავე გაემართა საგანგებო კრება განსაკუთრებით ამ საქმის განსახილველად და საჩქაროდ გარდასაწყვეტად. ამითი საზოგადოება თავის სასახელოდაც დიდს საქმეს ჩაიდენდა და ჩვენის ქვეყნის მეურნეობასაც დიდს სამსახურს გაუწევდა.

სიმინდის საქმე იმერეთში

ტფილისი, 9 ნოემბერი, 1891 წ.

სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრივ ერთი იმისთანა სარჩოა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ერთი თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდეც და ამით თავის ყოველდღიურს საჭიროებას უძღვება. მოუსავლობამ ევროპაში და ნამეტნავად სიმშილმა რუსეთში საკმაოდ ასწია ფასები სიმინდისა აგვისტოს და სექტემბრის თვეში. ამ თვეებში ფუთი სიმინდი იყიდებოდა სამ აბაზად, სამ აბაზ-უზალთუნად და ზოგან ოთხი აბაზამდენაც ავიდა, ნამეტნავად ჩვენის რკინის-გზების ახლომახლო ადგილებში. გატყვრა უეცრად განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალულ იქმნა, პურის ხორბლის გარდა, ყოველ სხვაგვარ ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანა.

რა თქმა უნდა, ამგვარი განკარგულება გამოიწვია შიდა-რუსეთის გუბერნიების სიმშილმა და ამ მხრივ ხსენებულს განკარგულებას საკმაოდ პატივსადები მიზეზი აღმოუჩნდა. ხოლო ჩვენებური მიწისმომქმედი ამ განკარგულებამ დიდს განწირულებაში ჩააგდო. სიმინდის ფასი ამ განკარგულების უმალვე დაეცა და ეხლა ამბობენ იმერეთში ექვსს და ხუთ შაურად ძლივსა ჰშოულობს მუშტარსაო.

თუ სახეში მივიღებთ, რომ წელს მოსავალი სიმინდისა არ იყო ურიგო, რომ ძირს დაწეულ ფასადაც ბაზარს ვეღარ ჰშოობს ჩვენებური სიმინდი, ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენს ზარალში არიან ჩაცვივნულნი აქაური სიმინდის პატრონები. საოცარი ეს არის: რუსეთში სიმშილია, ხალ-

ხი საჭმელად თითქმის ბალახსა ჰხმარობს, აიკრძალა გარეთ გატანა სიმინდისა მარტო იმ მიზეზით, რომ შინაც საჭიროა, და აქ ამოდენა სიმინდი თითქმის ჩალის ფასადაც არავის მიაქვს, მიაწოდონ დამშეულს ხალხსა.

რით უნდა აიხსნას ამისთანა საოცარი ამბავი? ვის უნდა დაჰბრალდეს ესეთი ყოფა საქმისა, რომ ერთს ადგილას სიმშილი მუსრს ავლებდეს ხალხს და იქავ, თითქმის გვერდით, თითქმის მეზობლად, სარჩო იმოდენა იყოს, რომ არ იციან სად და როგორ გაასაღონ? ჩვენში მოსავალი პურისაც კარგი იყო, კარგა ბლომა პური ჰდევს ჩვენში უქმად, ეძებენ მუშტარს და ვერა ჰშოულობენ, და აქავ გვერდით-კი, ვიმეორებთ, თვალთუწვდენს მანძილზე სიმშილია!.. ესეთი საოცარი ვითარება საქმისა დაუჯერებელია, თუმცა მართალზე მართალია. სად არის მიზეზი ამისთანა უთაურობისა, ამისთანა უთავბოლოობისა? სანატრელია დაუკვირდეს ვინმე ამ საკითხს და ჰპოვნა რიტი პასუხი მისცეს. ვის მოუვა ფიქრად წარმოიდგინოს, რომ ერთგან სარჩო იყოს და მუშტარს ვერა ჰშოულობდნენ და იქავ გვერდით სიმშილი იყოს. და სარჩოს ვერა ჰპოულობდნენ. გამოდის, რომ სიმინდის გარეთ გატანის აკრძალვამ ვერც დამშეულთ მიაწოდა სარჩო და სარჩოს პატრონებიც თითქმის ცარიელზედ დასხა.

ესე არ იქცევიან სხვაგან. მაგალითებრ, გერმანიამ თითქმის არც-კი იცის, რა არის სიმინდი, მაგრამ წლევანდელმა გაჭირებულმა წელიწადმა იძულებულ ჰყო ამ სახის სარჩოსათვის ყურადღება მიექცია. საქმე იმაშია, რომ რაკი რუსეთმა აკრძალა ჭვავის პურის გატანა საზღვარგარეთ, გერმანია, რომელიც თითქმის ამ სახის პურით იკვებება და რომელსაც წელს მოსავალმა ხელი არ მისცა, დიდს გაჭირებაში ჩავარდა. რომ როგორმე გამოიხსნას თავი ამ გაჭირებიდამ და ხალხს სახსარი მისცეს თავი გამოიკვებოს, შეუდგა იმის ცდას, რომ ხალხი როგორმე სიმინდს შეაჩვიოს. მით უფრო საიმედო იყო ამ გზაზე დადგომა, რომ ჩრდილო-ამერიკაში, საცა სიმინდი ყოველთვის მოჰყავთ, წელს საკმაო მოსავალი იყო სიმინდისა და იქიდამ ზიდვა სიმინდისა ჭვავზე და სხვა ხორბალზე იეფად

ჯდება. არც თვითონ ამერიკელებმა მოუყრუეს ყური ამისთანა ამბავსა. ან როგორ მოუყრუებდნენ, რომ ყოველს წელიწადს რამდენიმე ასი მილიონი ფუთი სიმინდი მოჰყავთ და გასაღება ამოდენა სარჩოსი ხუმრობა ინტერესს არ შეადგენს ჩრდილო-ამერიკისათვის. მაშინვე აფრინეს აქედამ გერმანიაში კაცი და დაავალეს, ხალხში სახელი გაუთქვას სიმინდს იმ აზრით, რომ ჰვავის პურის მაგიერ ხალხმა საჭმელად სიმინდი იხმაროს და ამ სახით ამერიკის დიდძალს სიმინდს ბაზარი გაუხსნას.

გაიმართა სიმინდის საჭმელად ვარგისობის თაობაზედ დიდი ლაპარაკი და ჰო-არაობა გერმანიის ჟურნალ-გაზეთობაში. მთავრობამაც მიიღო მონაწილეობა საქმის ვითარების გამოსარკვევად. სამიწათმომქმედო სამინისტრომ მიანდო ერთ თავის წევრს, გამოჩენილს პროფესორს ტილლს, გამოძიება ამ საქმისა. ამ მოკლე ხანში პროფესორმა ტილლმა ბერლინის სახელოსნო საზოგადოებაში თავისი ნაკვლევი წარადგინა ამ საგანზე. პატივცემულმა პროფესორმა ჯერ ის აღნიშნა, რომ დღესაც სიმინდი მეტად გახშირებული პურის მაგიერი საჭმელია ბევრგანაო. ჩრდილო და სამხრეთი ამერიკა, ვენგრია, რუმინია, იტალია, და ჩვენ დავუმატებთ საქართველოსაც, სიმინდის პურს ჩვეულს არიან. ქიმიურად გამოძიებამ დაუმტკიცა პროფესორსა, რომ სიმინდში ასში ოთხმოცდათერთმეტი ნაწილი (91%) ადვილად მოსანელებელია და თითქმის იმოდენადვე ნოყიერია, რამოდენად ჭვავი და პური, მაშინ, როდესაც ერთი-ორად ამაებზე იეფიაო. კარტოფილს-კი რომ შევადაროთ, სიმინდი ერთი-ოთხად უფრო ნოყიერიაო. ერთმა შეჰნიშნა, რომ სიმინდმა ერთნაირი სნეულება იცისო, რომელსაც იტალიაში „პელაგრას“ ეძახიან, და ამაზე პროფესორმა უპასუხა, რომ თუ უწმინდურად და დაუდევნელად მზადდება სიმინდი, მაშინ ეგ სენი მოსდევსო, მაგრამ თუ კარგად დაფქვილია და კარგად გამომცხვარი, არავითარი წყენა არ იცისო. თუ რამ აბრკოლებს სიმინდის საჭმელად ხმარებას ჩვენშიო, — სთქვა ბოლოს პროფესორმა, — ეგ ისა, რომ ჩვენ ჩვეულნი არა ვართ და როგორც ახალი საჭმელი გვეხამუშებაო.

გერმანიისათვის, რასაკვირველია, მეტად სასარგებლოა, თუ მოახერხა როგორმე ხალხი შეაჩვიოს სიმინდსა. მაშინ იგი ისე დამოკიდებული არ იქმნება რუსეთზე პურისა და სხვა ხორბლეულობის გამო, როგორც დღეს არის ეს დამოკიდებულობა გერმანიას ძვირად უღირს და ამიტომ ეჭვი არ არის, მთავრობა გერმანიისა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ სიმინდმა ჭვავისა და სხვა პურის მაგივრობა გაუწიოს. პირველი და უმთავრესი ამაში ის არის, რომ სიმინდი ერთი-ორად იეფად დაუჯდება და მეორე ისა, რომ ამერიკიდამ დაიწყებს ზიდვას და რუსეთის პურის შემაცქირალი აღარ იქნება.

ეს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა სიმინდისა გერმანიისა და ამერიკისათვის ჩვენთვის არაფერი ხელმოსაჰიდებელია. ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ აღგვენიშნა, რამოდენად შეუძლიან სიმინდს პურის მაგიერობა გაუწიოს ადამიანს. ხსენებულ პროფესორის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ სიმინდი, თუ კარგად მომზადებულია, ჭვავსა და სხვა პურზე ნაკლებ ნოყიერი არ არის. მაშასადამე, უფრო საკვირველი უნდა იყოს ის ამბავი, რომ აქაურს სიმინდს მუშტარი არ უჩნდება რუსეთში, საცა სიმშილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ზოგიერთი რუსეთის გაზეთები სწუხან, ჩვენს ტყეებში დიდი ძალი კრკო იღუპება უქმადაო, მაშინ, როდესაც შესაძლოა ხალხს საჭმელად გამოადგესო. ტყეში კრკოს ძებნას, აქავ რომ სიმინდი მზად არის, ამას რა სჯობია.

არ ზიდვა რუსეთში ჩვენის სიმინდისა, თუ პურისა, სხვა არაფრით აიხსნება, რომ საზიდავი ღონე არ არის: რკინისგზები და გემები საერთოდ, და ჩვენში საკუთრივ, ისე ვერ არის განკარგული, რომ ზიდვა ახერხოს საკმაო სავსებით. რა თქმა უნდა, რაც ხანი გაივლის, სიმშილი რუსეთში ახალ მოსავლამდე გაძლიერდება და მაშინ, გინდათ თუ არა, მოიხედვენ ჩვენსკენაც და, ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღებას მიიქცევს ამ უგზო-უკვლობის წამალის დასადებად.

დღეს ზამთარი კარზე მომდგარია და ამისთანა დროს არ-

თობ რუსეთის რკინის და ზღვის გზები უიმისოდაც ბევრგან შეიკვრის და ბრკოლდება ხოლმე და, მაშასადამე, ისეც უღონონი აქამდის, ეხლა უფრო უღონონი არიან. გაზაფხულმა რომ სხვა არა მოიტანოს-რა, იმას მაინც იზამს, რომ რუსეთში ზღვის და წყლის გზები გაიხსნება და რკინისგზებსაც დაბრკოლება არ ექმნება თოვლისაგან. გარდა ამისა, თვით პურის უქონლობა რუსეთში უფრო გაძლიერდება, რადგანაც ჯერ კიდევ ხალხს ცოტაოდნად შერჩენილი აქვს წლევანდელი მოსავლის პური და რამდენი ხანიც გავა, იმოდენად დაელევა. ეს გარემოება უსათუოდ იძულებულ ჰყოფს რუსეთის მუშტარს აქ ჩვენში სიმინდი და პური იყიდოს. ამიტომ იმედია, რომ გაზაფხულზე სიმინდი და პური საკმაოდ აიწევს ფასში. ჩვენ ვურჩევთ, ვისაც შეუძლიან, ნუ ჰყიდის ჯერ ჭირნახულსა, იმიტომ რომ ამით დამშეულებს ვერ უშველიან, რადგანაც ეხლა მარტო წურბელა-ვაჭრები ჰყიდულობენ, რომ იეფად ნაყიდი, მერე მამასისხლად მიჰყიდონ გაჭირვებულებს. აქ ერთი-ორად ზარალია: ჰზარალობს ჭირნახულის პატრონი, რადგანაც ეხლა იეფად იძულებულია ჰყიდოს, ჰზარალობს გაჭირებულიც, რომელიც შემდეგში იძულებულ იქნება უფრო მამასისხლად იყიდოს პური ვაჭართაგან, ვიდრე პირდაპირ ჭირნახულის პატრონთაგან. ისევ ის სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს, ვიდრე სიხარბით პირდაღებულ ვაჭარს პირი გაუვსოს.

მესაქონლეობის საქმე
(1887)

ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი

I

ტფილისი, 27 მაისი, 1887 წ.

საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი, ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს გარეთ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწათმომქმედსა და დიდს ზიანს აძლევდეს. ეს ნაკლი ისე საგრძნობელი არ არის მუშა-საქონლის გამოკვებისათვის, თუმცა აქაც-კი მიზეზად ედება მრავალს დავიდარაბას, ჩხუბსა და ვაი-ვაგლახსა. მუშა-საქონელი, რომელიც ყოველდღე ხელში უჭირს მიწათმომქმედსა, შინვე სოფელში ისე თუ ასე იკვებება. ამისათვის ზამთარ-ზაფხულს სოფლის თავისუფალი მიწებია და ამ მიწებზედ საქონელი იოლად მიდის. გაჭირების დროს საქონლის პატრონები ტყესაც არა ჰზოგავენ ხოლმე და თუ ზამთარი მეტად გაუძნელდათ და საჭმელზედაც ნაკლებ არიან, ნეკერს უკაფავენ და ისე გამოჰყავთ პირუტყვი. ეს მეტისმეტად მავნებელი ჩვეულება ტყეს ძალიან აზარალებს და ამიტომაც ამ ბოლოს ხანებში ნეკერს აღარავინ აჭრევინებს ტყეში. ამ მხრივ, როგორც სახელმწიფო ტყეები, ისეც საბატონონი,

შეკრულია, ნამეტნავად იმ ადგილებში, საცა მებატონე დღევანდელს კვერცხს ხვალინდელ ქათამს არ ამჯობინებს და იმ განძს, რომელსაც ტყე წარმოადგენს, ხვალინდელ დღისათვის ინახავს და უფრთხილდება. ასეა თუ ისე, მუშა-საქონელი და ორიოდე მოცადი ზამთარ-ზაფხულს შინვე გამოდის მით უფრო, რომ საზამთროდ პატრონი, ცოტაა თუ ბევრი, საჭმელს ბაფხულშივე უგროვებს და საზამთროდ უნახავს.

საძოვრების მოუწყობლობა სრულად ხელს უშლის დიდის საქონლის პატრონებს, ვისაც ცხვარი, ძროხა, ცხენის ჯოგი ჰყავს და ვინც, ერთის სიტყვით, საქონლის მოშენებას და გამრავლებას მისდევს. ამისთანანი ჩვენში ბევრნი არიან და ზოგიერთგან იმისთანა გლეხობაა, რომ მარტო საქონლის მოშენებაღა აქვთ ცხოვრების წყაროდ. ამ დიდძალ საქონლის მოსატრიალებლად ჩვენებურს სოფელს საკმაო ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარეთ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით. რადგანაც ამისთანა საქონელს დიდძალი საჭმელი უნდება გამოსაკვებავად და სათიბის უქონლობის გამო ამ საჭმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია, და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარეთ ჰკვებოს საქონელი,—ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის, სად რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძღვეს.

დაიძვრის თუ არა, მაგალითად, ქიზიყიდამ საქონელი და წამოვა თრიალეთისაკენ, ჯერ რამდენი ცალკე მეპატრონეთა მამულები უნდა გადმოლახონ. ყველა თავისას ითხოვს და ყველას თვითოეულად გაძღოლა უნდა გზადაგზა სხვადასხვა ზომით და სხვადასხვანაირად. ვინც იცის, რამდენ ნაჭრად დაყოფილია ხოლმე ერთ პატარა მანძილზედ მამულები მონა-

წილეთა შორის, ის ადვილად მიხვდება, რა წეწვა-გლეჯაში უნდა იყვნენ საქონლის პატრონები, როცა ან გაზაფხულზე იალაღზედ მიდიან, ან შემოდგომაზედ—ზამთარის საძოვრებზედ. ეხლა ამას ზედ დაართეთ ხიდებზედ გასატარებელი ბაჟი, გზატკეცილისათვის დაწესებული გადასახადი, საძოვრის სახდელი ფული, რომელიც ყოველს წელს ჰმატულობს, და მაშინ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში მოსაშენ საქონლის ყოლა და შენახვა უფრო სახელისათვის არის, ვიდრე სახრავისათვის. აი ეხლა, დადგა თუ არა გაზაფხული და საქონელიც დაიძრა ბარიდამ მთაში წასასვლელად იალაღებზედ, აუარებელი ჩივილი და დრტვინვა მოისმის მწყემსთაგან: არ იციან საწყლებმა, როგორ გაუძღვნენ ცალკე გზატკეცილის, ცალკე ხიდების ბაჟსა და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებსა, რომელნიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით, იმას ართმევენ. წართმევა ხომ წართმევაა და ზედ ერთვის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და ზოგჯერ იარაღის ხმარებამდინაც მიაღწევს ხოლმე საქმე. ამისთანა ყოფა შეუწყნარებელია და ბოლო უნდა მოეღოს.

დიდად საჭიროა, რომ კანონმდებლობამ ამ უნუგეშო ყოფას საქონლის პატრონებისას ყურადღება მიაქციოს, წესი და რიგი რამ ჩამოაგდოს, თორემ ეს კარგა მოზრდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვრებისა თანდათან უკან დაიწევს და გაშრობამდე მივა. თქმა არ უნდა, რომ დიდად ძნელი რამ არის ერთს განსაზღვრულს წესს დაუქვემდებაროს აქ კაცმა საქმე, მაგრამ რაც შესაძლოა, ის კი უსათუოდ უნდა მოხდეს და დადგინებულ იქმნას. ჩვენის ფიქრით, დიდი შეღავათი იქნება საქონლის პატრონებისათვის, რომ საქონლის სასიარულო გზები აიხსნას ყოველის გადასახადისა და ბაჟისაგან, და თუ აქ შეუძლებელია რაიმე წესი და რიგი დაიდვას კერძოდ სამფლობელო მამულების შესახებ, ხაზინამ მაინც დაუთმოს რამ იმოდენად მაინცა, რომ შესაძლოდ იქმნას საქონლის ყოლა და შენახვა. მაინცდამაინც ამ საქმეს ყურადღებით დაკვირვება უნდა, და საიდამაც მოევლება, უნდა მოევლოს. უამისოდ გაჭირდა საქონლის ყოლა და ეს საკმაოდ დიდი სახსარი ცხოვრებისა ჭლამის გაქარწყლდეს.

II

ტფილისი, 15 ივნისი, 1887 წ.

აღმოსავლეთ საქართველოში ბევრია იმისთანა ადგილები, სადაც სახნავ-სათესი მიწები ისე ნაკლებად არის, რომ კაცი მიწის მუშაობით საცხოვრებელს ვერ იშოვნის. ამისთანა ადგილებია, მაგალითად, ჩვენს მთებში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც უშველებელ კლდე-ღრეებში აქა-იქ თუ შეჰხვდებით თითო ბოხჩა ადგილებს, სახნავ-სათესად გამოსადეგს და გამოსარჩომსა. ბ-ნი მ. მაჩაბელი თავის გამოკვლევაში — **Материалы для изучения экон. быта государственных крестьян, т. V стр. 256** — ამბობს, რომ თიონეთის მაზრაში ისეთი ადგილებია, სადაც ოთხმოციოდე დესეტინა სახნავი მიწა გაფანტულია რამდენისამე ათის ვერსტის მანძილზე, მთებსა და კლდე-ღრეებს შორისო. ასე გაფანტული სახნავ-სათესი მიწა, რასაკვირველია, არაფერი განძია, პურს ვერ აჭმევს, ვერ გამოჰკვებს მთელს მაზრას. ხვნა-თესვით აქ კაცი ვერას გახდება, მიწის ნაწარმოები ცხოვრების საზრდოს ვერ მისცემს, მაშასადამე, აქ კაცმა სხვა წყაროს უნდა მიჰმართოს ცხოვრების მოსაპოებლად. ასეთს წყაროს თვით იქაური ბუნება უჩვენებს. მთებში მშვენიერი საძოვრები, იალაღებია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის მოშენებასა, ამიტომ ამ ადგილებში ხალხი საქონლის მოშენებას, მეტადრე ცხვრისას, მისდევს და ეს შეადგენს ერთს უმთავრესს წყაროს იქაურ გლეხის კეთილდღეობისას. მაგრამ საქონლის მოშენება ადვილი საქმე არ არის. საქონელს მუდამ უკან დევნა და ერთის ადგილიდამ მეორეში გადაყვან-გადმოყვანა უნდა. მთებში ზამთარი ადრე იწყება, 6-7-ის თვის განმავლობაში თოვლი სძევს,—საქონლის შენახვა აქ აღარ შეიძლება და პატრონმა ბარში უნდა ჩამოიყვანოს. და აი საქონლის პატრონს მთელს ზამთარს შირაქის მინდვრებში, ივრის ხეობაზე და სხვა ადგილებში გამოჰყავს საქონელი. დადგება ზაფხული, სიცხეებში საქონელი ბევრს ვეღარ აიტანს და პატრონმა ხელ-

ახლად ისევ უნდა მთაში გარეკოს საქონელი. თუშ-ფშავ-ხევსურები თავიანთ მთებშიაც ცოტაოდნად იოლად მიდიოდნენ, ჩაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც საძოვარი ადგილები ძლიერ შეცოტავდა, და ამიტომ ყარსის, დაღესტანის მთებისკენ, თრიალეთსა და, უკანასკნელ ხანებში, ვლადიკავკასისკენაც დაიწყეს საქონლის გარეკვა საზაფხულოდ.

ამ სახით, საქონლის პატრონი წელიწადში ორჯერ მთებითგან ბარში უნდა გაემგზავროს და ბარიდამ მთებში. და რადგან ჩვენში ხეირიანი გზები არსად არის, და თუ არის, ხეირიან რიგსა და წესს ძნელად შეჰხვდებით ამ გზებზე, ამიტომ ძლიერ დიდს შეწუხებას ივლის გადასვლა-გადმოსვლაში როგორც საქონლის პატრონი, ისე თვით საქონელიც.

დღეს ნებას არავინ მისცემს, რომ მის მამულში საქონელი შეჰრეკო და უფულოდ აძოვო. უწინდელი შარაგზები ბევრს ადგილას გზატკეცილებად გადაკეთდა, სადაც საბაჟოებია დაწესებული და უბაჟოდ არავის ატარებენ. სადაც ჯერ გზატკეცილები არ არის, სოფლებს და კერძო მემამულეთ დაუჩემებიათ გზები და გზად მიმავალს საქონელს უმახტოდ არ აძოვებინებენ. ბ-ნი მ. მაჩაბელი ამბობს, რომ მარტო თბილისის მაზრაში 19 სოკელი საძოვარში და გზაზედ გავლაში წელიწადში 7.250 მანეთს იღებსო.

ამ უკანასკნელს წლებში დიდძალი საქონელი და მეტადრე ცხვარი მიუდით ყარსისკენ თუშ-ფშავ-ხევსურეთ-კახეთიდგან ყოველს ზაფხულსა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ეს საქონელი გზატკეცილებზე გაეტარებინათ, მაგრამ ამ გზაზე იმოდენა ბაჟია დაწესებული, რომ ცხვრის პატრონი ვერ აუვა ამ გადასახადსა. მაგალითად, კახეთიდამ მომავალ ცხვარზე, პატრონმა, მანგლისის გზატკეცილზე, 60 ვერსტის მანძილისა, უნდა გადიხადოს ას ცხვარში 3 მანეთი; კახეთის სახელმწიფო გზაზე ამაზე უფრო მეტი გადასახადი ერთმევათ. გარდა ამისა, მახტა დაწესებულია ივრის, მტკვრის, ქალაქში, და ალგეთის ხიდზე, ასე რომ მარტო კახეთიდამ მანგლისამდე ასის ცხვრის გადალალვა ბარიდამ მთაში 10-12 მანეთამდე უჯდება, ანუ თითო შუათანა ცხვრის-ფარის პატ-

რონს მარტო გზა უჯდება ოც თუმნამდე. ვინც-კი იცის, რა შემოსავალი მოაქვს ცხვარსა, ის ადვილად მიჰხვდება, რომ ამოდენა ხარჯს ვერ აუვა საქონლის პატრონი. სწორედ ამ მიზეზის გამოც საქონლის პატრონი ერიდება დიდს გზებსა, და უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეებზე, კერძო მემამულეების მიწა-წყალზე, მიუდის საქონელი. წინათ საქონლის პატრონს ხმას არავინა სცემდა, მაგრამ დღეს, როცა მამულის პატრონებმაც ანგარიში ისწავლეს, საქონლის პატრონებს ხელი მოუჭირეს და უსასყიდლოდ თავიანთ მიწა-წყალზე აღარავის ატარებენ. თითქმის ყველას, ვის მამულზედაც საქონელმა უნდა გაიაროს, მეველეები უჭირავთ და საქონელს გზას უკრავენ, ან, თუ გზას მისცემენ, გადასახადს ართმევენ. თუმცა არიან ისეთი მამულის პატრონები, რომელნიც უწესოებას სჩადიან და უსამართლოდ ექცევიან საქონლის პატრონს, მაგრამ, რასაკვირველია, ბევრნი ისეთიც არიან, რომ საქონელს გზას არ აძლევენ თავიანთ მიწა-წყალზე, რადგან საქონელი ხშირად ნათესებში გადადის და მოსავალს ახდენს. ამ შემთხვევაში, საქონლის პატრონს უფრო მეტს გადასახადს ართმევენ. ასეთ გადასახადის გამორთმევა-კი უჩხუბოდ და უდავიდარაბოდ არ ჩაივლის ხოლმე. ამიტომ ზაფხულში, დაიძვრება თუ არა საქონელი ბარიდამ მთებში წასასვლელად, წამდაუწუმ გვესმის, ამა და ამ ადგილას ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა და ხშირად კაცისკვლაც მოხდაო. კერძო მემამულეების გარდა საქონლის პატრონებს ჩხუბს უმართავენ სოფლელებიც, რომელთ მამულებზე საქონელი გაივლის ხოლმე. მეტადრე დიდს შეწუხებას ივლიან საქონლის პატრონები მანგლისის ახლომახლო სოფლებისაგან, რომელნიც გზებს ჩემულობენ და საქონლის პატრონებისაგან გადასახადს თხოულობენ.

ასეთი უწესობა დიდს შეწუხებას აყენებს და ზარალსაც ბევრს აძლევს საქონლის პატრონს. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის და გზატკეცილებზე დაწესებული ბაჟი გზად მიმავალ საქონელზე სრულიად გადაეგდოთ; ან თუ ეს არ შეიძლება, ცოტად მაინც

შეემსუბუქებინათ ეს გადასახადი და ამით შეღავათი მიეცათ საქონლის პატრონებისთვის. აგრეთვე ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთხელვე გადაწყვეტილიყო და ყველას სცოდნოდა,—აქვთ ნება სოფლებს დაიჩემონ ის გზები, რომელიც იმათ ახლო მიდის, და მახტა აიღონ გზად მიმავალ საქონელზე, თუ არა. ამით საქონლის პატრონსაც შეღავათი მიეცემა, რომ თავის საქმე უკეთესად წაიყვანოს, და ბევრს უწესობას, კაცისკვლასაც, ბოლო მოეღება.

ჩვენი მშვრნელობა და მზეზის საკითხი
(1886—1893)

კახეთის რკინისგზა

(1886)

ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხები

(1886)

ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე

(1893)

კახეთის რკინისგზა

I

ტფილისი, 5 მარტი, 1886 წ.

ჯერ თუმცა მარტო ამბავად გავრცელებულია ტფილისში ხმა, რომ როკის ხეობაზედ რკინისგზას გამოატარებენ კავკავიდამო, მაგრამ დარწმუნებით კი ლაპარაკობენ. ეს სასიამოვნო ამბავი სარწმუნო პირთ ჩამოუტანიათ პეტერბურგიდამ და მით უფრო დასაჯერია, რომ მაღალხარისხოვან მოხელეთა მიერ არის გავრცელებული. ხუთის წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს და მისვლა-მოსვლა გაიმართოს ამ ახალ გზაზედაო. მამისონის უღელტეხილზედ კი გზატკეცილი გადავაო. ეს უკანასკნელი ამბავი მით უფროა შესანიშნავი, რომ მამისონის უღელტეხილი წინააღუდგა როკის ხეობას და საკმაოდ მოსარჩლეობა მოიპოვა აქაურთა მოხელეთა შორის. ბოლოს-კი, როგორც ვხედავთ, ბურთი და მოედანი როკის ხეობას დაჰრჩენია და ამ სახით ქართლს, მაგ ერთგულს და ჭირნახულს დედას ჩვენი ქვეყნისას, ერთი სახსარი კეთილდღეობისა და აღყვავებისა კიდევ მოჰმატებია. ჩვენ აქ სიხარულის მეტი არა გვმართებს-რა. ღმერთმა მშვიდობაში და ბედნიერებაში მოახმაროს ჩვენს მრავალტანჯულ დედა-ქართლსა.

დედა-ქართლის შვილთაგან ერთი პატარა, ლამაზი და მდიდარი ქვეყანაღაა ჩვენში ამ მხრით უნუგეშოდ დარჩო-

მილი დღეს. ეგ ქვეყანა კახეთია, ყოველისფრით შემკული და უხვად მომადლებული. უწინაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ არა გვგონია ბუნებით, ჰავით და გარემოცულებით ამისთანა შემკული სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს, არამცთუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში. აქაურის ჰაერის და მიწის თვისება ისეთია, რომ ყოველისფერის მოყვანა შესაძლოა, რაც-კი ადამიანის სულსა და გულს მოესურვება. თუმცა ეს ნაწილი ჩვენის ქვეყნისა ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველად თითქმის ბოლაზი ყოფილა, თუ არ მთელის საქართველოსი, მის უდიდესის ბაზარის ტფილისისა მაინცა. ამ ორმოცის, თუ ორმოცდაათის წლის წინათ ქიზიყის პურს ეჭირა მთელი ბაზარი ტფილისისა. ამას გარდა აქედამ მოდიოდა არაყი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა*, მშვენიერი სახელგანთქმული კახური აბრეშუმი, მშვენიერი სურნელოვანი თამბაქო, სამღებრო და სამკურნალო (სააფთიაქო) ყვავილი და ბალახი, აუარებელი ხილი, აუარებელი მატყლი, საკლავი საქონელი და მებრვე სხვანი.

ხოლო ყოველ ამა მადლით აღსავსე ეს ქვეყანა, ეს თვალმარგალიტი საქართველოსი, დღეს იმ განწირულებამდია მისული, რომ ყოველისფერისათვის თავი დაუნებებია და მარტო ღვინოსღა შესჩერებია. ამისი პირდაპირი მიზეზი გზების უქონლობაა. შიგ კახეთში იქაურთა მკვიდრთა ღვაწლით ალაზნის ორსავე პირას ასეთი გზატკეცილებია, რომ ბევრს სხვა ქვეყანას შეჰშურდება, მაგრამ ჰირი ეს არის, კახეთიდამ ბაზარში გამოსასვლელი გზა არ არის. ამ სახით, კახეთი თავის უკეთესს ბაზარზედ, ტფილისზედ, მოწყვეტილია და ამის გამო სხვა ქვეყნებზედაც. ბათუმ-ბაქოს გზამ მთელი იმიერი და ამიერი საქართველო შეაერთა შავის ზღვიდამ კასპის ზღვამდე და ამ რკინისგზამ იმერეთის, განჯის და ბაქოს გუბერნიები ასეთს ძლიერ მოცილედ აუჩინა გზასგარეთ დარჩენილს კახეთსა, რომ ბაზარი ამ გუბერნიებისა-

* ეხლა არის მთელი ადგილები, რომელსაც ბრინჯიანი, ბამბიანი და სხვა ამგვარი სახელები შერჩენიათ.

თვის უნდა ძალაუნებურად დაეთმო. დიდი რამ არის სწრაფი და იაფი გზა.

სისწრაფეს და სიიეფეს გზისას საქონლის გასასაღებლად ვერაფერი ვერ უპირდაპირებს. თვით სიკეთე და მაღალი ხარისხოვნება საქონლისა უღონოა ამ პირდაპირობის წინაშე. კახურის ღვინის სიკეთე შეუბღალველია ხომ ჯერ კიდევ, ღვინის სიკეთით ხომ კახეთს ვერც ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა ვერ დაჰკრამს და წინ ვერ წაუვა, მაგრამ ღვინოშიაც-კი, ანუ, უ!ეთ ვსთქვათ, ღვინის გასაღებაშიაც-კი სხვა მხარეებმა აჯობეს, რადგანაც სწრაფი და იეფი გზა აქვთ და კახეთი-კი ამ მხრით დაჩაგრულია და ილაჯგაწყვეტილი. ბევრს კახეთის ღვინის პატრონებს ხშირად ქვევრში ჰრჩებათ ღვინო უმუშტრობისა გამო და არ იციან რა უყონ.

ხვალ ამ საგანზედ კიდევ მოვილაპარაკებთ.

II

ტფილისი, 6 მარტი, 1885 წ.

კახეთზედ რომ არ გაიყვანეს რკინისგზა და უდაბურს ადგილებზედ გაატარეს, ამ შეცდომის გასამართლებლად ერთი საბუთი მოჰყვანდათ. თუ შეცდომის გასამართლებლად საერთოდ, და ამ შეცდომისა ცალკე, რაიმე საბუთი მოიპოვება, კიდევ იგი, რაზედაც ჩვენ დღეს დავიწყეთ ჩვენი მეთაური წერილი. მოგეხსენებათ, წინა მხარს და უკანა მხარს კახეთს ორ არა თანასწორ ნაწილად ჰყოფს თითქმის თავიდამ ბოლომდე ზურგი ცივის მთისა. ეს მთა ყოფილა უმთავრესი მიზეზი, რომ კახეთისათვის ბაქოს გზა აუცდენიათ. რაკი ეს მთა არისო ორი წყობა მოძრაობისა* უნდა ვიქონიოთო, ერთი, რომელიც წინა მხარს დაუწყებს სამსახურსა, მეორე უკანა მხარსაო. ეს იმოდენად ძვირად დაუჯდება რკინისგზასაო, რომ ზარალის აცდენისათვის იძულებულ იქნება – როგორც მგზავრსა, ისეც საქონელზედ მეტი ფული

* подвижной состав.

იღოსო. უსამართლობა იქნებაო, აბობდნენ ამ საბუთის მომხრენი, უკუნითი უკუნისამდე მეტი გზის ფული, მაშასადამე მეტი გადასახადი ახდევინონ კახეთის გულისათვის მთელს ქვეყანას შავის ზღვიდამ მოკიდებული კასპის ზღვამდეო.

ამ საბუთს არც მაშინ ჰქონდა ძლიერის საბუთის ღირსება და ეხლა უფრო არა აქვს, რადგანაც დღევანდელი დღე კახეთის რკინისგზის საქმისა სულ სხვა ვითარებას წარმოადგენს. დღეს კახეთი საკუთარს გზას ითხოვს, მაშასადამე ძვირად დაჯდება თუ იეფად, ორივეს თითონ იკისრებს და თითონ გაუძღვება. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მოწინააღმდეგენი კახეთის გზისანი ამტკიცებენ, რომ კახეთი ვერ გაუძღვება რკინისგზის ხარჯსაც და მაშასადამე რკინისგზა თავის ხარჯსაც ვერ ააყენებს და ზარალში იქნებაო. ამას იმითი ამტკიცებენ დღესაც, რითაც ბაქოს რკინისგზის გაყვანამდე ამტკიცებდნენ, სახელდობრ მით, რომ კახეთს იმოდენა გარეთ გასატანი საქონელი არა აქვსო, რომ მისთვის ღირდეს რკინისგზის გაყვანაო. იქაურთ მკვიდრთა არც იმოდენა მისვლა-მოსვლა ექნებათ, რომ ამან დაჰფაროს ზარალიო. ამ უკანასკნელზედ არას ვიტყვით, რადგანაც ცნობილია, რომ არც ერთი გზა რკინისა თავის ანგარიშს არ ამყარებს პასაჟირთაგან შემოსავალზედ, ნამეტნავად რუსეთში. ხოლო რაც შეეხება საქონლის ვითომდა სიცოტავეს, ეს კი, ჩვენის ფიქრით, შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოდ, დიდი შეცდომაა იმისთანა ქვეყანაზედ, როგორიც კახეთია, რომელსაც ბუნებური სიკეთე ჰავისა და დედამიწისა ასე უხვად ჰრგებია, კაცმა ჰსთქვას, რომ საქონელი არ ექნება ბაზარში გამოსატანიო. თუნდაც დღეს კახეთი სწორედ ამ უნუგეშო ყოფაში იყოს, მაინც სახვალიოდ ეგ არ ითქმის. რაც მოჰყავს დღეს კახეთს თავისთვის შინ სახმარად მოჰყავს. ამას ერთი ბეწვიც მეტიც რომ გადაამატოს, გადააჭარბოს, უქმად გადასაყრელად უნდა შინვე დარჩეს გზის უქონლობისა გამო. მეტისმეტი ეკონომიური წინდაუხედაობა იქნება, რომ დღეს კახეთი ამრიგად მოიქცეს, მრეწველობა გაიძლიეროს. ვინ ამაგობს ქვეყანაზედ ნაამაგების გადასაყრელად? ერთი ღვინოღა იყო

კარგი სააღებ-მიცემო საქონელი და იმანაც გზის უქონლობისა გამო ლამის დაიწიოს და იკლოს: ქართლმა, იმერეთმა და განჯამ გზის სისწრაფისა და იეფობის გამო ღვინის ბაზრიდამ ლამის გამოსწიროს, გამოდენოს კახეთი მაშინ, როდესაც კახეთს ღონე აქვს მთელი რუსეთი გააძღოს ღვინითა, ადვილი სწრაფი და იეფი გასატანი გზა რომ ჰქონდეს.

იმის მიხედვით, რომ რკინისგზა გაჰყავთ არა ორისა და სამის წლისათვის, არამედ სამუდამოდ, ანუ ვიდრე კაცობრიობა უკეთეს გზას მოიგონებს, კაცმა სახეში უნდა იქონიოს კახეთის დღევანდელი ყოფა კი არა, არამედ ის ბუნებური თვისება ჰავისა და დედამიწისა, რომლის შეერთებულის ძალით წარმოსდგება სიმდიდრე, თუ კაცი გულხელდაკრეფილი არ იჯდება. ყველასაგან ცნობილია, რომ საცა სარფაა, იქ მხნეობაც და მეცადინეობაც არის; იქ სარფა თითონ ამუშავებს, ამოქმედებს და აქეზებს კაცსა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა გამოსაცნობლად.

ამ სახით, საცა ბუნებური გარემოება, თვისება ჰავისა და მიწისა ხელშემწყობია ადამიანისა, იქ ერთადერთი მიზეზი მოქმედების, მრეწველობის გაძლიერების, ადვილად და იეფად მისაწვდენი ბაზარია. მიეცით ამნაირს ქვეყანას იეფი და სწრაფი გზა საქონლის გასატანად, გასასაღებლად, და მაშინ ჰნახავთ, დღეს უნუგეშოდ ყოფილი მხარე ხვალ რამ-სიგანედ გადიშლის ფრთებს და რა მრავალფერს საქონელს გამოიტანს საქვეყნო ბაზარში. ვისაც გაკვრით მაინც მოუხვედრებია თვალი კახეთისათვის, იგიც-კი უარს ვერა ჰყოფს, რომ ამ მართლა და ბუნებითად ბედნიერს უმცროს სახლისკაცს ქართლისას ბუნებური ძალი და ღონე არ შესწევდეს ქადილისა, ოღონდ გზა მომეციოთო და მე გიჩვენებთ—რა ვარ დღეს, რა ვიქნები ხვალა და რა მრავალფერის სიმდიდრით გამოვალ მოედანზედაო.

ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი

ტფილისი, 20 მაისი, 1886 წ.

კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია; დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხოვრების განკარგებისათვის კარგად შეკეთებული გზები, და ამიტომ დიდს ყურადღებასაც აქცევენ ამ საჭიროებას...*

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას, არა-ნაკლები ადგილი უჭირავს ამ უკანასკნელ გარემოებასაც, ე. ი. რიგიანად მოწყობილ და მისვლა-მოსვლის გასაადვილებელ გზების სიჩრავლეს. ამ გზების სიმრავლეს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ ეკონომიური ცხოვრება ასე წინ არის წასული ზემოთნათქვამ ქვეყნებში.

მგონი არც ერთს ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოს. ჩვენი ქვეყანა თითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია, გაზაფხულობით მთებიდამ მოვარდნილი ნიაღვრები სრულიად აფუჭებს, ჰხრამავს იმ საცოდავობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორო-

---

* ტექსტი ამოღებულია ცენზურის მიერ. რედ.

ბა, ალმართ-დალმართი, ოღროჩოღროები, ჩახრამული ადგილები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელებენ ხალხს ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლასა. სხვა ჩვენ მიყრუებულ მთებში გადავარდნილ ადგილებზე რომ არა ვსთქვათ-რა, ავიღოთ მაგალითად თუ გინდ კახეთი. ეს მშვენიერი, ყოვლის სიმდიდრით ბუნებისაგან უხვად შემკული მხარე ჩვენის ქვეყნისა, რიგიან გზატკეცილსაც კი მოკლებულია, რკინისგზაზე ხომ ვინღა რას ამბობს. ესრეთწოდებული კახეთის გზა ისეთ გახრიაკებულ, უადგილო ადგილას არის გაყვანილი, ისეა მოშორებული სოფლებზე,—გულითადაც რომ ჰსურდეთ, სოფლელები ამ გზაზე ვერ წამოვლენ და ისევ ძალაუნებურად თავიანთი ძველებური უსწორ-მასწორო გზები უნდა ირჩიონ. აი რამდენი ხანია დაწყებულია მეორე კახეთის გზა გომბორზე და აქამდინ სისრულეში ვერ არის მოყვანილი. ამ უგზოობის გამო კახელებს უძნელდებათ ხეირიან ფასად გაასაღონ თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწი; ბევრი სოფლის ნაწარმოები ხომ სრულიად უბრალოდ იღუპება და ლპება მხოლოდ იმის გამო, რომ უგზოობის მიზეზით შორს წაღება ყოვლად შეუძლებელია და ახლომახლო კი ფასი არა აქვს. მაგალითად, რამდენ ხილეულობას, ბოსტნეულობას და სხვა ამგვარ წვრილმან ნაწარმოებს, რომელიც ასე უხვად მოდის კახეთში, გასავალი ექნებოდა ქალაქში, რომ კარგი გზები იყოს და ჩამოტანადა ღირდეს. ეხლა კი ტყუილუბრალოდა რჩება, ვერც პატრონი სარგებლობს და ვერც სხვა.

თითონ ჩვენი ხალხი რომ კარგადა ჰგრძნობს დიდს გაჭირვებას გზების უქონლობის გამო, სწუხს და სურვილს აცხადებს, რომ ამ გაჭირვებას რითიმე უშველოს, ამას ცხადად გვიმტკიცებს შავი-ქვის მრეწველობის მაგალითი. აი მრეწველებს რა უთქვამთ მის ბრწყინვალებისათვის, კავკასიის მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისთვის, როცა მას ყვირილაზე ჩამოუვლია: „წინათაც გთხოვეთ და ეხლაცა გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნები დამ შავი-ქვის გადაზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადმოზიდვის ქირამ ძალიან აიწია; გთხოვთ

იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა. რკინისგზა გაიყვანონ ს. ჭიათურამდის".

ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ მის ბრწყინვალებამ დიდის თანაგრძნობით მოისმინა თურმე შავი-ქვის მრეწველების თხოვნა და შუამდგომლობა და შეწევნაც აღუთქვა. ღმერთმა ქნას, რომ ეს მაგალითი პირველი და უკანასკნელი არ იყოს. ჩვენ ხალხს კარგად ესმის გზების სარგებლობა, წინათაც უკისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზად არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყვანდეს.

ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე

ტფილისი, 13 თებერვალი, 1893 წ.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკია ჩვენ ქართველობა შორის კახეთის რკინისგზის გამო. ამბობენ, არიან იმისთანანიცა, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ამ საქმეზე თავად-აზნაურობას გული ააყრევინონ და ხელი ააღებინონ. ამისათვის, ვინ იცის, ხან რა საფრთხუნალს იგონებენ თურმე, ხან რას,—აი დაიღუპებით, აი მამულები დაგეყიდებათ, აი ეს მოგივათ, ის მოგივათ, თუ ამ საქმეს თქვენ მოჰკიდეთ ხელიო.

ამ ენით მითქმა-მოთქმას ზედ დაერთო კალმით მითქმა-მოთქმაცა. არც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა ყური მოუყრუეს ამ საქმეს და ხშირი საუბარი გამართეს. ზოგი უწონებს თავად-აზნაურობას, რომ ძლივს თვალი გამოახილე და შენის ქვეყნისათვის საჭირო საქმეში თაოსნობა გამოიჩინე და გსურს შენი ქვეყნის საქმე შენვე ჩაიგდო ხელშიო. ზოგი-კი სასაცილოდ იგდებს თავად-აზნაურობას, არა, ვინ შენ და ვინ ამისთანა საქმეო; შენ ამისთვის არც ჭკუა გაქვს, არც ცოდნა, არც ფული და რას ეჩრები არამკითხე მიამბესავითაო.

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ყოველ ამათ. ჩვენ ამისთანა მითქმა-მოთქმას არ უნდა ავყვეთ, ჯერ იმიტომ—რომ უნდა ვიგულისხმოთ, რათა ყოველივე ის, მოწონებაა თუ ძაგება, ჭეშმარიტის გულისტკივილისაგან მოსდით მომწონთაც და თავად აზნაურთა სასაცილოდ ამგდებთაც; მერმე იმიტომ, რომ ბევრჯილად შესანდობარია გულუბრყვილო არ-ცოდნა საქმისა და ჟინი ტყუილ-უბრალო ლაპარაკისა, თუ წერისა. ჩვენი დღევანდელი სურვილი მარტო ის არის, რომ, ჩვენის შეძლებისამებრ, მკითხველს გავაგებინოთ, რა საგანი ექნება განსახილველად

ეხლანდელ საგანგებო კრებას ბანკისას, გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებისაგან გამოწვეული.

კარგა მოგეხსენებათ ყველას, რომ დიდი ხანია თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, რომ კახეთში რკინისგზა გატარებულიყო. გუბერნიის მარშლის მეცადინეობით მარშან ეს შუამდგომლობა მთავრობისაგან პატივდებულ იქმნა და მთავრობამ საჭიროდ დაინახა კახეთში რკინისგზის გაყვანა. მთავრობამ აუწყა გუბერნიის მარშალს, რომ, თუ სხვათა შორის თავად-აზნაურობაც მოისურვებს ეს საქმე თითონ იკისროს, თითონ გაიყვანოს გზა და თითონ ისარგებლოს ამ გზის შემოსავლითა, თავის დროზე გვაცნობეთ თქვენი აზრი ამაზედა და ზედ დაურთეთ თქვენი პირობებიო, რა სახით და როგორ გინდათ ამ საქმის შესრულებაო.

ამ რკინისგზის საქმისათვის გუბერნიის თავად-აზნაურობას ცალკე კომისია ჰყვანდა ამორჩეული. როცა ხსენებული უწყება მთავრობისაგან მოვიდა, გუბერნიის მარშალმა მოიწვია კომისია, აცნობა განაჩენი მთავრობისა და მოჰკითხა: აბა ეხლა რა გზას დავადგეთო. კომისიას ამასთანავე მოხსენდა მთელი ვითარება ამ საქმისა, ყოველივე ეუწყა, რაც-კი გამოძიებული და გამორკვეული იყო ამ საქმის შესახებ და რამაც დაარწმუნა თითონ მთავრობა, რომ ეს გზა ფრიად საჭიროა და გამოსარჩენიც გამკეთებელისა და პატრონისათვის. კომისიაში გრძელი საუბარი გაიმართა, აქედამაც სინჯეს ეს საქმე, იქიდამაც, და ბოლოს იმაზე დადგნენ, რომ თუ სასურველია დასაბუთებული, წინდახედული და მართებული პასუხი მივცეთ მთავრობას, ყოველთ უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ, რა ადგილებს უნდა მოვახვედროთ ეს გზა, რომ უფრო სასარგებლო იყოს ხალხისათვის. საღ და როგორ უნდა გაიაროს გზამ, რა მანძილზე, და რა დაგვიჯდება, ვიდრე ეს და სხვა ამის მსგავსი ცნობები კარგად გამორკვეული და გამოძიებული არ გვექნება, წინათ ვერ ვიტყვით, ვიკისროთ თუ არა ამ გზის საქმე ჩვენაო.

ამიტომაც კომისიამ დაადგინა, მიუხედავად იმისა, ჩვენ გა-

ვაკეთებთ ამ გზას თუ სხვა ვინმე. ჯერ ის გადავწყვიტოთ, საჭიროა თუ არა ხსენებული ცნობების შესაკრებად გამოძიება მოვახდინოთო. კომისიამ, შემდეგ დიდი ბაასისა, საჭიროდ დაინახა, ჯერ, მინამ გზის გაკეთების თაობაზე ვიტყოდეთ რასმე, უნდა გამოძიება მოვახდინოთო. ამ გამოძიებას, რასაკვირველია, ხარჯი უნდა. გამოირკვა, რომ ათას ხუთასი თუმანი საკმაო იქნება გამოძიებისათვის. კომისიამ დაადგინა, რომ ეს მისი გადაწყვეტილება საგუბერნიო თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას მოხსენდეს, რათა ამ კრებამ იშუამდგომლოს ბანკის კრების წინაშე, რომ ეს ათას ხუთასი თუმანი ბანკმა გაიღოს.

საგუბერნიო კრებამ ეს განაჩენი კომისიისა შეიწყნარა და დაადგინა, ვთხოვოთ ზედამხედველ კომიტეტს მოიწვიოს საგანგებო კრება ბანკისა, რათა მან ნება დართოს ბანკს ეს ათას ხუთასი თუმანი ხსენებულ საქმისათვის გადადებულ იქმნას. ზედამხედველმა კომიტეტმა ამის შესახები ქაღალდი გუბერნიის მარშლისა გადასცა ბანკის გამგეობას,—თქვენ რას იტყვით ამ საგანზე, თქვენი აზრი გვაუწყეთო.

გამგეობას არ უნდა გასჭირებოდა პასუხის მიცემა, რადგანაც გუბერნიის მარშლის ქაღალდში მოკლედ და მკაფიოდ იყო დაყენებული საქმე: იგი აუწყებდა კომიტეტს, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობა შუამდგომლობს, ათას ხუთასი თუმანი ბანკმა გაიღოს კახეთის რკინისგზის გამოძიებისათვის, და ამისათვის გთხოვთ მოიწვიოთ საგანგებო კრება ბანკისა და ეს შუამდგომლობა წარუდგინოთ. აქედამა სჩანს, რომ საგანი ბ-ნ მარშლის ქაღალდისა ბანკის საგანგებო კრების მოწვევაა და ათას ხუთას თუმნის გაღება. რადგანაც ასევე მოკლედ იყო ქაღალდი თვით ზედამხედველ კომიტეტისაც გამგეობის მიმართ და არ იყო დასახელებული საკუთრივ, რა საგანზედ ითხოვდა კომიტეტი აზრს ბანკის გამგეობისას, ამ უკანასკნელმა მისწერა, რომ ჩვენ ამ საქმეში უსათუოდ ეს გვეკითხებაო: კანონი ნებას გვაძლევს ამნაირ საქმისათვის ფულის გაღებას და, თუ ნებას გვაძლევს, გვაქვს ამისათვის ფული თუ არაო! მარტო ამ ორ საკითხავზე უპასუხა ბანკის გამგეობამ და შეუ-

თვალა, კანონიც ნებას გვაძლევს და ფულიც მოსახერხებელია; სხვა რაც შეეხება თითონ გზის გამოძიებას, ამაზე ბანკის გამგეობა ვერას იტყვისო, რადგანაც არც გუბერნიის მარშალის ქალალდში, არც ზედამხედველ კომიტეტისაში, ამ საგანზე სიტყვაც არ არის ჩამოგდებულიო.

ზედამხედველმა კომიტეტმა განაჩინა, უარი ეთქვას გუბერნიის თავად-აზნაურობას ათას ხუთას თუმანზეო და ეს ჩვენი აზრი ბ-ნ მარშლის შუამდგომლობასთან ერთად წარედგინოს საგანგებო კრებას ბანკისასაო, რომელიც კომიტეტმა მოიწვია ამ 14 თებერვლისათვის.

ამ სახით დღეს საგანგებო კრებამ მარტო ეს უნდა განიხილოს: მიეცეს თუ არა ბანკიდამ ათას ხუთასი თუმანი, რათა გუბერნიის თავად-აზნაურობამ რკინისგზის გასაყვანად კახეთში საჭირო გამოძიება მოახდინოს ამ ფულით, მიუხედავად იმისა, თითონ იკისრებს ამ გზის კეთებას, თუ სხვას ვისმე დაეთმობა. მაშასადამე აქ არაფერი მოსატანია და ყოვლად უადგილოა წინასწარი მითქმა-მოთქმა, რომ გზას ვერ გააკეთებთ, არ შეგიძლიანთო და სხვა ამისთანა. ეგ გამოძიება თავისთავად საჭიროა და აუცილებლად საჭიროა მაშინაც-კი, თუნდ რკინისგზა სხვას დარჩეს გასაყვანად და არა თავად-აზნაურობასა.

საჭიროა, ჯერ იმიტომ, რომ მარტო ეს გამოძიება შეგვატყობინებს, რა გონებრივი და ქონებრივი ძალ-ღონეა საჭირო, რომ თავად-აზნაურობამ ეგ კახეთის რკინისგზა თითონ იკისროს გასაყვანად. მარტო ამ გამოძიების შემწეობით დავინახავთ სიმძიმეს საქმისასაც და იმასაც თუ, რა ღონე უნდა შეეწონოს ამ სიმძიმეს. უამისოდ ყოველი წინასწარი მითქმა-მოთქმა ამ რკინისგზის გაკეთების და მოგება-წაგების შესახებ სიზმარია უსაქმურ კაცისა, ისე, ენის მოსაფხანად გამოსაყენებელი, და სიბრძნეც თავად-აზნაურობისა იმაში გამოჩნდა, რომ ეს საკითხი: იკისროს მაგ რკინისგზის გაყვანა თუ არა,—სამერმისოდ დააგდო და არა ეხლავ, გამოუძიებლად, გამოურკვევლად გადასწყვიტა ასე თუ ისე.

ეს ერთი. მეორე, ეგევე გამოძიება საბუთს მოგვცემს იმი-

სას თუ, რამოდენად გამოსაჩენი იქნება თავად-აზნაურობისათვის, რომ ეგ რკინისგზა გააკეთოს და ამოქმედოს თავისით. ვინ იცის? იქნება ეგ გზა ერთ იმისთანა ულეველ წყაროდ ქონებისად შეექმნას თავად-აზნაურობას, რომ მით თავის საკუთარს და ქვეყნის საზოგადო საჭიროებას ცოტად თუ ბევრად გაუძღვეს და ნუთუ საშვილიშვილოდ სანანური არ გაუხდება, რომ ამისთანა საქმისაგან ხელცარიელი დარჩეს? განა ქალაქელები ეხლა თავში არ იცემენ, ეს კონკა ხელიდამ როგორ გაუშვით და სხვას მიეცით საჭმელადაო. ტფილელებს რომ ჰკუა ეხმარათ და ამ კონკის საქმის გამოსაძიებლად წინათვე დაეხარჯათ რამე, დღეს თავში საცემად საქმე არ გაუხდებოდათ. რად უნდა მოვეკიდნეთ კახეთის რკინისგზის საქმეს ეგრე ბავშვურად, ეგრე უთავბოლოდ, რომ გამოუძიებლად ავიღოთ, გულზე ხელები დავიკრიფოთ და ვიძახოთ, რა ჩვენი საქმეაო. რაკი თითონ საქმემ ჩვენკენ მოიხედა, რაკი შესაძლოა ეგ საქმე ჩვენ ხელთ ვიგდოთ, ნუთუ სასახელო იქნება ათას ხუთას თუმნის გულისათვის კარზე მომდგარი ბედი უკან გავაბრუნოთ და საშვილიშვილოდ საწყევარად გავიხადოთ თავი? აკი მოგახსენებთ, ეგ იმისთანა საქმეა, რომ შესაძლოა მაგ საქმიდამ ჩვენს სიღარიბეს წამალი რამ დაედოს, და ნუთუ ეს შესაძლოობა გამოუძიებლად, უსაბუთოდ, უნდა უარ-ვყოთ?

გვეტყვიან: ეგ ძალიან კარგი, თუ გამოძიებამ დაგვანახვა, რომ ღონითაც შევწვდებით მაგ საქმეს და გამორჩენაც გვექნება, მაშინ ეგ ათას ხუთასი თუმანი დაკარგული არ იქნება; ხოლო მაშინ რაღას იტყვით, თუ გამოძიება გამოარკვევს, რომ ვერც გზის კეთებას შევწვდებით და ვერც გამორჩენის იმედს ვიქონიებთ, მაშინ ხომ ეგ ფული წყალში გადაყრილი იქნებაო?

რას იტყვის გამოძიება, რა მხრივ დაგვანახვებს საქმეს, — ჩვენ ამაზე წინათვე ვერას ვიტყვით. ვთქვათ კიდეც რომ რკინისგზა ჩვენ ვერ ვიკისრეთ, — მაშინაც, ჩვენის ფიქრით, ეგ ფული დაკარგული არ არის. რაც გინდა იყოს, გამოძიება ხელთ მოგვცემს საკმაოდ სარწმუნო საბუთს ვიშუამდგომლოთ

მთავრობის წინაშე, რომ გზა მოახვედრონ იმ ადგილებს, რომელნიც ჩვენთვის სასურველია და ქვეყნისათვის უფრო მომეტებულად სახეირო. იმედია რომ, — სხვას ჩაუვარდება ეგ გზა ხელში, თუ ჩვენ შეგვრჩება, — მთავრობა მაგ დასაბუთებულ შუამდგომლობას უყურადღებოდ არ დასტოვებს. სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, განა ეს დიდი საქმე არ იქნება მარტო თავისთავად? მაგ ათას ხუთას თუმანით, რომ თუნდ მარტო ეგ სურვილი ავისრულოთ, გზას ქვეყნისათვის სახეირო მიმართულება მივცეთ, ნუთუ ამისათვის დახარჯული ფული დაკარგვაა ფულისა?

ჯერ მარტო ეს რომ მივიღოთ სახეში, მარტო ამ მხრით რომ შევხედოთ თავად-აზნაურობის მეცადინეობას, ეგეც საკმაო ზნეობრივი საბუთია, რომ თავად-აზნაურობამ ეგ ფული შესწიროს ქვეყანასა და ხალხსა. განა ამით თავად-აზნაურობა თავის პატიოსან დანიშნულებას არ აასრულებს ქვეყნის წინაშე? ნუთუ თავად-აზნაურობას ჰგონია, რომ ქვეყნისა და ხალხისათვის გაწირვა რისამე და ამით ხალხის გულის მოგება, ხალხში კეთილად ხსენება, ხალხში აბრუს გაძლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? ყოველივე ეს იგი ღონეა, რომლის მეოხებითაც თავად-აზნაურობა თავის არსებობის მიზეზსაც ნათლად დაანახვებს ხალხს და თავის ბედნიერების, შემძლებლობის ბურჯსაც მკვიდრად ააგებს. ეს ისეთი ფასდაუდებელი განძია, რომ მის მოსაპოებლად ათას ხუთასი თუმანი-კი არა, არაფერი არ უნდა დაზოგოს თავად-აზნაურობამა, რომელმაც სულ ყოველთვის გულში უნდა იქონიოს, რომ მარტო ამ გზით და სხვა არაფრით არ შეუძლიან გაუძლოს ამ წუთისოფლის ბედის ტრიალსა და მრავალგვარ საჭირბოროტოდ ზედმოსევასა.

კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ

(1877)

კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ

ამ ცოტას ხანში უმთავრესნი მომქმედნი პირნი „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისა“ გადადგნენ. ძველის პრეზიდენტის ნაცვლად საზოგადოებამ ამოირჩია ახალი, თ. დიმიტრი ჯორჯაძე და სეკრეტრად უფ. ხატისოვი. იმედია, რომ ამ ორთა თაოსნობით ჩვენი აქამდის მკვდარი „საზოგადოება“ გამოცოცხლდება და რაიმე სარგებლობას შესძენს ჩვენს ქვეყანასა. იმედია რომ ამ ორში არც ერთი არ გაექცევა ჯეროვანს შრომასა. ეს იმედი უქმის ჭკუის მონაბერი არ არის და საბუთიანია. ახალი სეკრეტარი, თითქმის თანამდებობის მიღებისვე უმალ, შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ მაგ „საზოგადოებას“ ცხოველი სული ჩაუდგას და მოაშოროს ის მიზეზნი, რომელნიც მას გზას უხლართავდნენ. 11 იანვარს მან წარუდგინა ხსენებულის საზოგადოების წევრთა კრებას წერილი მაზედ, თუ რა ცვლილებაა საჭირო და რაზედ უნდა იყოს მიქცეული „საზოგადოების“ ყურადღება საკვლაოდ, რომ „საზოგადოებამ“ ვალდებული სამსახური გაუწიოს კავკასიას საერთოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ. სიხარულით მოვისმინეთ იგი წერილი. მან გაგვიღვიძა ჩვენ ზოგიერთი აზრი, რომლის წარმოთქმისათვისაც ჩვენ დღეს დრო ჩავიგდეთ.

სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ რომ

ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ, რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში მეთქი. ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდს ფულსაც ხარჯვენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს.

ჩვენ მოკლედ მოვიხსენიებთ, რა წყობილება აქვთ მიღებული ევროპაში ზოგიერთს სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო წარმატებისათვის.

რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულისტკივილად არ იქცეს, მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით—მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება. ზოგიერთს სახელმწიფოში ესე იყო, რომ ორივე ეგ გზა მთავრობას განსაკუთრებით ხელთ ეჭირა და სასოფლო მეურნეობის საქმეთა მარტო თვით განაგებდა, თვით თავისის მოთანამდე პირთაგან სცნობდა საჭიროებას ხალხისას და თვით მოთანამდე პირთაგან მოპოებულს წამალს ადებდა. თითქმის ესე იყო საფრანგეთში, საცა სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განაგებდა ცალკე „სამინისტრო მიწათმოქმედობისა, ვაჭრობისა და საყოველთაო სამუშაოსი“. ამ წყობილებას ემდუროდნენ ფრანციელნი. ამბობდნენ, ეგ სამინისტრო მარტო მიწერ-მოწერაში ვარჯიშობსო და დროსა ჰკარგავსო, საქმე კი იმოდენად არა კეთდება, რამოდენადაც სასურველიაო. ამას გარდა მთავრობის მოთანამდე პირიო, რაც უნდა გულშემატკივარი იყოსო, ნამდვილს ადგი-

ლობრივს საჭიროებას ვერ შეიტყობსო, ჯეროვანად ვერ ასწონსო და დააფასებსო. ხალხს რაც უჭირს, თვითონ ხალხმა უკეთ იცისო, ამიტომაც მთავრობა უნდა ცდილობდეს, რომ თვით მიწათმომქმედთა იყოლიონ თვისის საჭიროების წარმომადგენელი კრებაო. უტყუარს, ნამდვილს და აუცილებელს საჭიროებას მარტო ეგ ადგილობრივნი წარმომადგენელნი იტყვიანო. ერთი მწერალი ლავერნი ამბობს, რომ სამინისტრომ მოსპო და გააუქმა საფრანგეთში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საბჭონი, რომელნიც ბევრად თუ ნაკლებ ატყობინებდნენ მთავრობასა ნამდვილს საჭიროებას საფრანგეთის სხვადასხვა მაზრიდამ, — და ამ სახით თვითონ ხალხს შეუვიწროვა თვითმოქმედობის ასპარეზი და ყველაფერი თვითონ სამინისტრომ ხელთ იგდოო.

ამგვარივე წყობილება არის ბელგიაში. მაგრამ რადგანაც ბელგია პატარა ქვეყანაა (სულ 536 ოთხკუთხი მილია), კარგი გზები აქვს, სწრაფი და დაუყოვნებელი ფოშტა, და თვით მოთანამდე პირთა ჩვეულებად არა აქვთ ტყუილუბრალო მიწერ-მოწერა, ყოველს თხოვნაზედ მალე იციან პასუხის მიგება, — ამიტომაც ფრანციელთა სამდურავის მსგავს რასმეს აქ, ბელგიაში, ადგილი არა აქვს. თუნდ ეგეც არ იყოს, ბელგიაში მთავრობამ ადგილობრივთ მიწათმომქმედთა საზოგადოებას მიანდო სოფლის მეურნეობის საქმეთა მართვა და გამგეობა, ასე რომ ადგილობრივის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით ადგილობრივი საზოგადოება გახადა. თვითონ მთავრობამ დაიშთინა მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა. ეგ ზედამხედველობა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა დროგამოშვებით შეჰყრის ერთად სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთა პირთა, რომელთაც მეურნენი ირჩევენ, შეადგენს ამათგან საბჭოს, რომელსაც მოჰსთხოვს ხოლმე ანგარიშს მასზედ, თუ სად და როგორ მიდის სოფლის მეურნეობის საქმე, გამოჰკითხავს ადგილობრივთა მიწათმომქმედთა საჭიროებას და მათის რჩევით და თვის შეძლებისა კვალად ნიშნავს კარგა ფულს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის.

ამბობენ, განსაკუთრებით ეს არის მიზეზიო, რომ ბელგიის სოფლის მეურნეობა ბევრად მაღლა დგას საფრანგეთის მეურნეობაზედა.

პრუსია უფრო წინ წავიდა ზოგიერთის უფლების დათმობის გზაზედ. აქ მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებას ყოველივე დაბრკოლება მოაცალოს და საცა საჭიროება მოითხოვს ფულით, ცოდნით, რჩევით, და, ხშირად მაგალითითაც, შეეწიოს მიწათმომქმედთა. სხვა ყოველისფერი თვითონ ხალხზედ არის მიჩემებული; მთავრობა მხოლოდ იქა შველის ხალხსა, საცა კერძო პირთა უღონობა ვერ მიჰსწვდება. ამის გამო გერმანიაში ჯერ კიდევ 1837 წლიდან ჩვეულებად არის, რომ მიწათმომქმედნი, დიდი თუ პატარა, ყოველწლივ ხან აქ, ხან იქ მოიყრის ხოლმე თავსა ურთიერთის საჭიროების საცნობელად და გამოსათქშელად. ამას გარდა გერმანიაში მიწათმომქმედთა საჭიროების გამომთქმელად და წარმომადგენელად 1541 სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაა, რომელთაც 120.000 წევრნი ჰყვანან. სასოფლო მეურნეობის საქმეს პრუსიაში განაგებს ცალკე სამინისტრო, რომელიც იმითია შესანიშნავი, რომ ძალიან ცოტა მოთანამდე პირნი ჰყავს, ტყუილუბრალო მიწერ-მოწერა არ იციან და თვით საქმის წარმოების წესი ისე მარტივია, რომ ყოველივე საქმე ადვილად და ხან დაუყოვნებლივ კეთდება. ამგვარის მოწყობილობისა გამო გერმანიის სასოფლო მეურნეობა დღედადღე ყვავის და წარმატებაშია.

სოფლის მეურნეობის მოწარმოეთა ამაზედ უფრო ბევრი უფლება აქვსთ ჰოლანდიაში და ნამეტნავად ინგლისში თვისიხ საჭიროების ვრცლად გამოთქმისათვის და მთავრობის წინაშე შუამდგომლობისათვის. ამ ქვეყნებში მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ საცა სოფლის მეურნეობას უჭირს, იქ მიეშველოს დაუყოვნებლივ: ამაში არასფერს არა ზოგავს და არა ხარჯს არ ერიდება. რობერტ პილის წარდგენითა 1846 წელსა ინგლისის მთავრობამ გადაჰსდვა სოფლის მეურ-

ნეობის მოწარმოეთა ხელის გასამართავად 18.750.000 მანეთი. 1846 წლიდამ 1850 წლამდე ინგლისის მთავრობამ სოფლის მეურნეობის მოწარმოეთ ორმოცდათოთხმეტ მილიონზედ მეტი მანეთი მიაშველა სესხობით. ჰოლანდიაში, თუმცა პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქაც მთავრობა მილიონებით შველის სოფლის მეურნეობასა. მაგალითად ჰარლემის ტბის დასაშრობლად 4.200.000 მანეთი მთავრობამ დახარჯა და ეხლა ეგ ტბის ალაგი მთელის ჰოლანდიის ბოღაზია. ზუიდერზის ტბის დაშრობისათვის 30 მილიონია გამოყვანილი. საცა სოფლის მეურნეობას თვისის საჭიროების გამოსათქმელად თვისი საკუთარი საზოგადოება ჰყავს, საცა ამ საზოგადოებას დაუბრკოლებელი შუამდგომლობა აქვს მთავრობის წინაშე და საცა მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ ყველგან საზოგადოების ჩვენებით და დანიშვნით თავისი შემწეობის ხელი მიაწვდინოს, ერთის სიტყვით - საცა მთავრობას სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით საზოგადოება ჰყავს და ამ საჭიროების პასუხის-საგებად და დასაკმაყოფილებლად მარტივი მთავრობითი წყობილება, იქ სოფლის მეურნეობა დღედადღე წინ მიდის ხალხისა და მთავრობის საკეთილდღეოდ.

აქედამ სჩანს, რა ნერგზედაც შეუძლიან აყვავება ჩვენს კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას. იგი უნდა იყოს ჰეშმარიტი წარმომადგენელი ადგილობრივთა მიწათმომქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა, რომ ამ გზით მთავრობას საშუალება ჰქონდეს სცნოს ნამდვილი, უტყუარი და აუცილებელი საჭიროება ჩვენის მეურნეობისა. მეორის მხრით — იგი უნდა იყოს შუამდგომელი მთავრობის წინაშე, რომ, საცა საჭიროა, მთავრობის მუდამი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიჰმართოს. მხოლოდ მაშინ ეს საზოგადოება გაუწევს ჯეროვანს სამსახურს თვით მთავრობასა და, მთავრობის შემწეობით, ქვეყანასაცა. თუ ეს ასე არ იქმნა, ეს „საზოგადოება“ ისევ ისე მკვდარი იქნება, როგორც აქამომდე იყო. ტყუილი გამართ-

ლებაა, რომ ჩვენებური სასოფლო მეურნეობის მოწარმოენი მონაწილეობას არ იღებენ „საზოგადოებაშიო“ და ამიტომ „საზოგადოებას“ ის ვერ შეუძლიან ჰქმნას, რის ვალდებულიც არისო. რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ რომ იმის სატკივარს საიდამ ეშველება, და გვერწმუნეთ. რომ დიდი და პატარა კარზედ მოგაწყდებათ.

მრევლობის საქმე
(1886—1889)

ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა

(1886)

შავი-ძვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე

(1886)

ნავთის საქმე კავკასიაში

(1887)

ნავთის ბაჟი

(1886)

ადგილობრივ შავ ნავთზე და ფცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო

(1887)

ნავთი საქმის მომავალი კავკასიაში

(1889)

ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა

(ლითოგრაფიის ქვის მადნის აღმოჩენის გამო)

ტფილისი, 30 ივლისი, 1886 წ.

ამბობენ, ჩვენი ვაჭრები და სოვდაგრები ფულიანი ხალხიაო. იქნება ეგრეც იყოს, ხოლო არა გვგონია სადმე იყოს ისეთი გამოუსადეგი და გაუბედავი ვაჭარი, აღებ-მიცემობის კაცი, ერთის სიტყვით, ფულით მომქმედი ადამიანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში არის ზოგადად და ტფილისში საკუთრივ. მთელს მოქმედებას ფულიან კაცებისას ჩვენში რომ თვალი დააკვირვოთ, ჰნახავთ, რომ იგინი მარტო ერთის ჯიბიდამ მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ, რომ ერთს ვისმეს მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში, საცა ათას გვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე.

აქაური ფულით მომქმედი კაცნი მარტო ორს მამა-პაპათაგან ნაანდერძევს საქმეს მისდევენ და ამას გარეითად სხვა არა იციან რა და არც სურვილი აქვთ იცოდნენ. ერთი საქმე ფუ-

ლის სესხად გაცემაა. ისიც მამასისხლად და იმოდენა მძიმე პირობით, რომ სესხის ამღებს ილაჯი უნდა გაუწყდეს ცხოვრებისა, თვითონ გასაწყლდეს, გაღარიბდეს, მიწასთან გასწორდეს, და ფულიან კაცს ერთი-ორად ფული მოაგებინოს, რომ მერე იგი ფულიანი, უფრო გაძლიერებული ერთის პირქვე დამხობითა, მეორეს მიესიოს და მეორე ჩაითრიოს, მერე სხვა და მერე სხვა. რა თქმა უნდა, ამისთანა საქციელისათვის დიდი შრომა და გარჯა საჭირო არ არის: იჯექ შენთვის გულხელდაკრეფილი შინ და ფული კი თავისთავად იბარტყებს, აქ მარტო მიცემა უნდა ფულისა და მერე მიღება თავისი ნაბარტყითა. მეორე საქმე დუქანში დილიდამ საღამომდე თვლემაა. ჰზის დუქნის პატრონი დაზგის წინ და მუშტარის ლოდინში ან ჭერში ბუზებსა სთვლის ძილისაგან დასიებული, ან ძილისაგანვე გასიებულს თავს აკანტურებს თვლემითა. თუ რამ ზრუნვა და ფიქრი აქვს, ყოველივე მიქცეულია მარტო იმაზედ, ვინ როგორ მოატყუოს, როგორ გაასაღოს კარგი საქონლის ფასად იეფად ნაყიდი დამპალი საქონელი, და თუ მის ბედობაზედ მუშტარი ვინმე უცაბედად შემოეხეტიალა, რაც შეიძლება ბევრი გამოჰგლიჯოს, ან წონასა და ზომაში მოტყუებით გამორჩეს რასმე. სცხოვრობს იგი ამ ხელობითა დღითი-დღე, სრულიად დარწმუნებული, რომ ეს ამისთანა ხელობა შრომაა და ჯაფა, არც იმას ჰფიქრობს, რომ მუშტარი შეიჩვიოს პატიოსნებითა, კარგის საქონლის ვაჭრობითა. არც ის ესმის, რომ ერთხელ მისგან მოტყუებული მუშტარი მისთვის სამუდამოდ დაკარგულია, არც იმის გაგება აქვს, თუ მცოდინარის და ჭკუაფხიზელის პატიოსანის ვაჭრის უტყუარი და სამართლიანი მოგება რაში მდგომარეობს. რაკი ერთხელ და ერთხელ გადუწყვეტია, რომ მანეთს ხუთი ან ექვსი შაური უნდა ამოაღებინოს, იგი მაგ მანეთს თუნდა მთელი წელიწადი უქმად ამყოფებს თავის დუქანში იმის ლოდინში, რომ ერთბანად აჰგლიჯოს ვისმე ერთხელ განზრახული ხუთი თუ ექვსი შაური. მისი ვაჭრობის უნიჭობა დღეს-აქამომდე ვერ მიმხვდარა, რომ შესაძლოა იგივე ხუთი და ექვსი შაური მოაგებინოს მანეთს, თუ რომ თითო გადატრიალებაზედ თითო

შაურს მოგებას დასჯერდება და ეცდება, რომ წელიწადში მანეთი ხუთჯერ და ექვსჯერ გადაატრიალოს. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა მოძრაობა, ჯაფა, გარჯა და ყოველს ამაზედ იგი ზარმაცია, ყოველივე ეს ეზარება, თუმცა კი ყოველ შემთხვევაში ჰქადულობს და მოჰკვეხს, რომ მშრომელი, გამრჯელი და მუყაითი საქმისა მთელს კავკასიაში მე ვარო, სხვანი სულ ზარმაცნი არიანო და ხელიდამ არა გამოუვათ-რაო.

ამ ტყუილ ბაქიებს, რომელნიც მარტო იმაზედ არიან მოცლილნი, რომ, როგორც ვსთქვით. ფული სხვისის ჯიბიდამ თავის ჯიბეში გადააქვთ და ქვეყნისათვის ერთის იოტის ოდენაც არა შეუმატნიათ რა, უცხო ქვეყნელთა მრავალ გზით პირიდამ ლუკმა გამოაცალეს. უკეთესნი ვაჭარნი დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელები არიან. ეს კიდევ არაფერი; რაც ჩვენის ცხოვრების განკარგებასთან ერთად ცალკე კაცისათვისაც გამოსარჩენია და სახეირო, ყოველივე ის ცხვირწინ გაეპარათ ჩვენებურს სოვდაგრებს, რადგანაც მათი ქებული ვაჭრობის ნიჭი საქმის სიკეთეს ვერ მისწვდა.

როცა ქალაქში ცხენის-რკინისგზის გამართვასა ჰფიქრობდნენ, ჩვენებურმა სოვდაგრებმა ვერ შეჰბედეს ამ საქმეს. ვერ შებედვა კიდევ არაფერია, საქმე ის არის, რომ მაგ გზის საქმე სიცილადაც არ ეყოთ, ასე შორსმჭვრეტელნიც არიან. „რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო, იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებით და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები. როცა ცხენის-რკინისგზა სხვა ქვეყნიდამ მოსულმა გაჰმართა და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ: „ვა, ეს საქმე ხელიდამ როგორ გავუშვითო“.

ესეთივე საქმე მოუვიდათ შავის-ქვის გამო: უცხო ქვეყნელებმა ეს აუარებელი სიმდიდრე ხელიდამ გამოსტაცეს. ესეთივე საქმე დაემართათ შაქრის ქარხანის გამო, რომელსაც ეხლა სხვიდგან მოსულები ჰმართავენ სკრაში, თ. კ. შალიკოვის მამულში, და ჩვენი სოვდაგრები კი დუქანში თვლემას ვერ მოჰშორებიან, ტიბიკონი არ უწერთ. სწორედ ეს ამბავი და-

ატყდებათ თავზედ ღვინის ვაჭრობის გამოცა. დღეს ჩვენებურს ღვინოს დიდი ფართო გზა ეხსნება. მეტისმეტად გადაჭარბებული იმედი არ იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენებურის ღვინის საქმეს ამ ათიოდ წელიწადში დიდი ბაზარი ექნება მთელს რუსეთში. აბა თუ ერთს ჩვენებურს ფულიანს კაცს ამ საქმის ალღო მაინც აეღო. თქვენც არ მომიკვდეთ; ჯერ სხვამ გაჭაფოს გზა და მერე იქნება გაჰბედონ აქაურებმა გატკეპნილ გზაზედ ფეხის გადგმა. ნავთის საქმეს კი ეს დღე არ დაუდგა ჩვენის სოვდაგრების უთაურობით? საითაც გინდათ მიიხედეთ და ყველგან ჰნახავთ, რომ ჩვენებურს ფულიანებს არც გონება უჭრით, არც თვალი, რომ სანახავი დაინახონ და ნამდვილს წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილოდ ერთობ.

აი ეხლაც აღმოჩენილა ჩვენს ქვეყანაში წყარო სიმდიდრისა აღბულაღში თავად დ. ზ. ბარათაშვილის მამულში. ალგეთზედ გამოჩენილა მშვენიერი ქვა სალითოგრაფიო და საკირე ქვა ისეთის მაღალის ღირსებისა თურმე, რომ უკეთესი აღარ უნდა. უნდა მოგახსენოთ, რომ სალითოგრაფიო ქვას დიდი გასაყალი და დიდი ფასი აქვს ევროპასა და რუსეთში. კაცი რომ ამ ქვის მოჭრას, კეთებას და გასყიდვას შეუდგეს, მოგება და დიდი მოგებაც უეჭველია, იმიტომ რომ დიდი ფასი და ბაზარი აქვს; ფასი და ბაზარი დიდი აქვს იმიტომ — რომ მთელს ევროპაში ამ ქვის მადანი, — თუ არა ვცდებით, — მარტო ბავარიაშია ზოლენჰოფენში და მთელი ევროპა ამ ქვას მარტო აქედამ ეზიდებოდა. ამდენი გაუზიდნიათ დღეს-აქამომდე, რომ დედამიწის ზედაპირზედ სულ მოულევიათ და ეხლა თურმე ღრმად თხრა სჭირია, ღრმად მიწაში ჩასვლა, რომ ქვა იქა სჭრან და ამოიღონ. მინამ ქვა მიწის მაღლა ყოფილა და ან ღრმად თხრა არ სდომებია, ქვა, რასაკვირველია, შედარებით იეფი იქნებოდა. ეხლა, რაკი თხრა არის საჭირო და მიწაში ღრმად ჩასვლაც, უეჭველია ქვის ფასიც აიწევდა და აიწია კიდეც. ჩვენში აღმოჩენილი სალითოგრაფიო ქვა კი ალგეთის ნაპირზედ ერთს უშველებელს, ტიტველა კლდეს წარმოადგენს თურმე. აქ მოჭრა და გათლა ქვისა მეტად ადვილია ამის გამო და მაშასადამე იეფიცა.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ ალგეთის წყალი და თითქმის ხელუხლებელი ტყეც ზედვე აქვს. ეს წყალი და ტყე დიდად ხელს შეუწყობს ქარხანას ქვის საჭრელ თუ სათლელ მაშინების სამოქმედოდ. ამისთანა კარგის და ხელშემწყობ გარემოებით მოცულს მადანს სალითოგრაფიო ქვისას კაცი ნატვრითაც ვერ ინატრებს.

ჰნახავთ თუ ეს მზადმზარეული აუარებელი სიმდიდრეც პირიდამა არ გამოეცალოთ ჩვენს ფულიან კაცებსა!.. საქმე ახალია, საჭიროა სხვისი თვალი და სხვისი ჭკუა, და მაშინ კი გვიანღა იქნება. მადნის პატრონს თ. ბარათაშვილს, ჩვენის ფიქრით, ძალიან კარგი უქნია, რომ დრო არ დაუკარგავს...

თ. ბარათაშვილს გამოჰლაპარაკებიან კიდეც გონებაფხიზელნი და გამჭრიახნი ევროპიელნი. ნიმუშად გაგზავნილ სალითოგრაფიო ქვებს აღტაცებაში მოუყვანია მცოდნე კაცნი. ეხლა მიწერ-მოწერა აქვთ თურმე ზოგიერთ ევროპიელ ფირმებს თ. ბარათაშვილთან და მორიგებაზედ აქვთ ჩამოგდებული სიტყვა. ერთი ნიმუში პარიზშიაც გაუგზავნია, რადგანაც იქაურს ვაჭრებს და სოვდაგრებს, რომელთათვისაც საინტერესოა ეს საქმე, მოუთხოვნიათ იგი ნიმუში.

ამ სახით ეს წყაროც აუარებელის სიმდიდრისა ჩაუვარდებათ ხელში ევროპიელთა...

შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე

ტფილისი, 15 ოქტომბერი, 1886 წ.

მივაქცევთ ჩვენის მკითხველების ყურადღებას ერთს მოწერილს ამბავზე, რომელსაც დღეს ჩვენ ფელეტონად ვბეჭდავთ. წერილის ავტორი მოგვითხრობს ერთს საყურადღებო და თან სამწუხარო ამბავს, რომელიც არა სანუგეშო, მაგრამ ნამდვილი სურათია ჩვენის ცხოვრებისა. თუმცა ის ამბავი, რომელსაც ავტორი მოგვითხრობს, მარტო ერთს მაზრას შეეხება, სახელდობრ, შორაპნის მაზრას, სადაც შავი-ქვის მადნებია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს ამბავი ჩვენს სატკივარს არ შეადგენდეს. შავი-ქვის წარმოების საქმეს იგივე ემართება, რაც ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს. ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთს საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ, და თუკი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალკ-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო. ვიმეორებთ, ყვირილით კი ბევრსა ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა, ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ, და მინამდე საქმემდის მივალთ, ჩალასავით აპილპილებული ჩალასავით ჩავქრებით ხოლმე.

რა არის ამის მიზეზი? შური მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა, — აი რა არის ამის უმთავრესი მიზეზი, აი რა

მიუძღვის წინ ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის ხელს ყველგან და ყოველისფრის საქმეში. ყველგან, საზოგადო საქმეში თუ ცხოვრებაში, კაცის ღირსებას ფასს არა ვდებთ, კაცის ღვაწლს პატივს არა ვსცემთ, არავის ვენდობით, გულწრფელობას არაფერში ვიჩენთ. ყოველთვის ვცდილობთ მეზობელს რითიმე ვუმტროთ, გაჭირება მივაყენოთ, ლუკმა პირიდამ გამოვგლიჯოთ და თუ შეიძლება სრულიად დავამხოთ, გავაღატაკოთ, მიწასთან გავასწოროთ. მეზობლის უბედურება ჩვენ კიდეც გვახარებს. რასაკვირველია, ეს ჩვენ ჩვენის უმეცრებისაგან მოგვდის: ჩვენ არ გვესმის ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამყარებული; რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება. დიდი ხანია დავიწყებულ∂ და განკიცხულია ის მოძღვრება, რომელიც საქვეყნოდ გაიძახოდა: „Homo homini lupus“, კაცი კაცისათვის მგელიაო... ამ მოძღვრებამ საზოგადოებას სიკეთე და ბედნიერება ვერ შესძინა. დღეს, პირიქით, სულ სხვა ქვაკუთხედს უდებენ ადამიანის ცხოვრების აგებულებას: ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთო.

ყველა ეს აზრად მოგვივიდა თავში, როცა ზემოთმოხსენებული მოწერილი ამბავი წავიკითხეთ, და საჭიროდ დავინახეთ ორიოდე სიტყვა გვეთქვა საზოგადოდ ჩვენის მკითხველების და განსაკუთრებით შავი-ქვის მწარმოებლების საყურადღებოდ. ბუნებას სიმდიდრე მოუცია, — რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიედინოს. არ იცით, საქმეს როგორ მოუაროთ? ცოდნა არა გაქვთ? მოიწვიეთ საქმის მცოდნე კაცები, ისინი გიჩვენებენ გზას. არა გაქვთ ფული? ოღონდ საქმეს გულით და გულდადებით მოეკიდენით, აჩვენეთ ქვეყანას, რომ საქმის ერთგულება შეგიძლიანთ და ფულს არავინ დაგიჭერთ. დიახ,

ჩვენ დაურიგებლადაც, შესდგომიან საქმეს შავი-ქვის მწარმოებელნი, მაგრამ თავისებურად კი, ე. ი. ჩვენებურად დაუწყიათ საქმე. ყველას მარტო იმის მადა გაჰღვიძებია, სხვას დავაკლო და მარტო ამ გზით მე შევიმატოო, ყველა სცდილობს, რაც შეიძლება დიდი ნაჭერი თითონ მოითალოს. დიდი ლუკმა ხელთ იგდოს და სხვა ცარიელზედ დასვას, გამოსწიროს, გზა დაუხლართოს მეზობელს, არავის მიუდგეს და თავისთვის მარტოდ იმუშაოს. ერთის სიტყვით, შურს, მტრობას, წვრილმანობას, შავი-ქვის საქმე დღეს იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა-ქვამ მართლა „შავი-ქვა და ნაცარ-ცხელი“-ღა მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაცა, ლამის ეს ღვთისაგან მონიჭებული სიმდიდრე და სიკეთე ჭირად და უბედურობად გადაექცეს ჩვენის საკუთარის ავზნეობითა და ავგულობითა. რა საკვირველია, ამას ყველაზედ ვერ ვიტყვით, მაგრამ თითოოროლა კაცი მრავალთა შორის ზღვაში დაცემული წვეთია, თუნდ ეგეც არ იყოს, განა თითონ ამ ორიოდე კაცს კი ავზნეობა მრავალთა არ უშხამავს და არ უწამლავს ყოველს წუთს ცხოვრებისას?! განა ხელს არ უცრის და არ აბრკოლებს?! განა ავზნეობასთან აუცილებელი ბრძოლა არ აკარგვინებს ამ ორიოდე კაცსა დროს, რომელიც უამისოდ მთლად მოჰხმარებოდა თვითონ საქმესა და საქმე ამით მოიგებდა და წარიმატებდა საყოველთაო საკეთილოდ!... უფულობას რომ უჩივიან, განა ფული ამ ავზნეობას არ უფრთხის? ამ ყოვლად სახეირო და სასარგებლო საქმეს ფული განა არ მოედინებოდა, თუ რომ ავზნეობის შიში და რიდი არ ჰქონიყო?... ფული იმისთანა ბუნებისაა, რომ თვითონ თავისთავად მიიზიდება ხოლმე ამისთანა გამოსარჩენ საქმისაკენ, თუკი დაიმედებული იქნება, რომ პატიოსან კაცის ხელში ჩავარდება, საქმეს მოხმარდება და არა სიხარბეს და ანგარობას ავზნეობისას.

ნავთის საქმე კავკასიაში

I

ტფილისი, 17 იანვარი, 1887 წ.

„რა ქმნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ შოვა“, — სწორედ ჩვენს ამიერკავკასიაზედ ითქმის. აქეთ-იქით იყურები, სინჯავ და ჰხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნჭული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველგვარს სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდევ ცოტა ვსთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხდება და ამ გზით საბედნიეროდ მიცემული სიმდიდრე ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე. აი თუნდ მაგალითად ავიღოთ ნავთი. იმოდენა ნავთი, რაც დღეს ბაქოში ამოდის და ღვთის წყალობით კიდევაც ამოვა, თითქმის ზღვას შეჰქმნის, მაგრამ რა გამოვიდა? დაატყო რამ ამ სიმდიდრემ აქაურობას? პირიქით, რამოდენა ქონება ჩანთქა ამ სიმდიდრის ვეშაპმა და რამოდენა კაცი შეძლებული და ქონებიანი თან ჩაიტანა და მიწასთან გაასწორა.

მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია. კავკასიაში ბევრს ადგილას ამოდის ნავთი, მაგრამ იმოდენა კი, რაც ბაქოში, არსად არ არის. ნავთი ამოდის ამიერკავკასიაში შემახიდსა და ტფილისის ახლო, ავხეთში მთელი ტბები

ზოგან, მაგალითებრ, ზემო-ხოდაშენში ბ-ნ საგინოვების მამულში, თუქურმიშაში და ბევრგან სხვაგან. მართალია, რომ ჩვენში ნავთი ბევრგან არის, მაგრამ ნავთის მრეწველობამ ფეხი მოიკიდა მარტო ბაქოში. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ნავთი აუარებელია, დიდი თხრა და ვაი-ვაგლახი არ უნ. და იმის ამოღებას, ასე, რომ შავის ნავთის ამოღება ფუთი $1^1/_2$—3 კაპეიკამდე უჯდება ამომღებსა. სხვა ადგილებში კი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფუთის ნავთის ამოღება ორ და სამ შაურ ნაკლებ ვერ დაისვეს. რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა გარემოება არაფერს ხეირს არ მოასწავებდა მშრომელისათვის და ამიტომაც შემახიაში, ტფილისის გარეშემოში, კახეთში და სხვა ამისთანა ადგილებში ნავთის საქმემ თავი ვერ დაიჭირა, ან როგორ დაიჭერდა, როცა ბაქოს ნავთი, გაწმენდილი და გადახალისებული, ტფილისსა და შემახიაში მარტო ორიოდე შაურით მეტად ჰღირს, ვიდრე ადგილობრივი გაუწმენდელი და პირდაპირ ამოღებული ნავთი.

ბაქოს ნავთის წყარონი ისე მდიდარნი არიან, რომ მართლა გასაოცარი და იშვიათი ამბავია. მთელს დედამიწის ზურგზედ თავის-დღეში არა ყოფილა ასეთი ულეველი და მეტისმეტად მდიდარი აუზი ნავთისა. საკვირველი ის არის, რომ ზღვა ნავთი ამოდის ყოველ ცისამარა დღეს და ნავთი არამც თუ კლებულობს, დღითიდღე მატულობს კიდეც მაშინ, როდესაც სხვაგან, მაგალითებრ, ამერიკაში, კლებულობს. რომ ცოტა მაინც შევატყობინოთ მკითხველს, რა დიდძალი სიმდიდრეა ნავთისა ბაქოში, საკმაოა მარტო ციფრები ვალაპარაკოთ. ყველგან ამერიკაა ცნობილი ერთ იმისთანა ქვეყნად, საცა მრავალი და მდიდარი ადგილებია ნავთისა და საცა ნავთის მრეწველობა დიდი ხანია ფეხმოკიდებულია და ფეხგამაგრებული. აი ბაქოს ნავთის მეტნაკლებობა რომ ამ ამერიკის ნავთის მეტნაკლებობას პირისპირ დავუყენოთ. მაშინ ციფრები თავის უტყუარს განაჩენს იტყვიან.

ყოველდღე ბაქოში ამოდის 500.000 ფუთი შავი ნავთი. ეს ნავთი ამოდის სულ 160-ის ჭიდამ. ამ ჭებს უჭირავს სულ ოთხი ოთხკუთხი ვერსტი. ამდენივე ნავთი ამოდის ამერიკა-

ში ყოველდღე, ხოლო იქ მოქმედობს 24.000 ჭა, და ადგილი, — საცა ეს ჭები მუშაობენ — სიგრძით 200 ვერსტია და სიგანით 40-ი, ანუ 8000 ოთხკუთხი ვერსტი. გარდა ამისა შემჩნეულია, რომ ამერიკაში ყოველ ექვსს წელიწადში ჭა ნავთისა ჰშრება და ამის გამო ყოველს ექვს წელიწადზედ ნავთის მრეწველნი იძულებულ არიან გადინაცვლონ ხოლმე ფეხი და ახლა სხვაგან სთხარონ და ეძიონ ნავთი. ამ უკანასკნელ დროში ამერიკელთ ორჯერ გადუნაცვლიათ ფეხი, სხვა ადგილებზედ გადასულან, რადგანაც პირვანდელ ადგილებზედ ნავთი დამშრალა. ბაქოში-კი ამ ათის წლის განმავლობაში არამცთუ უკლია ნავთსა, თითქმის ერთი-ორად უმატნია. მაგალითებრ, 1880 წელს ბაქოში 35 მილიონი ფუთი ნავთი ამოუღიათ, 1885 წ. — 115 მილიონი და წარსულს 1886 წელს — 170 მილიონი. აქამომდე სულ ამოუღიათ ნავთი 600 მილიონი ფუთი. სულ 800 დღიური მიწაკია ის ადგილი, რომელიც ამ უზარმაზარს რიცხვს ნავთს იძლევა, ასე, რომ თითო დღიურს უძლევია თითქმის $^{3}/_{4}$ მილიონი ფუთი. მეცნიერნი, რომელთაც ამ ორ სხვადასხვანაირს გარემოებას ნავთის წყაროებისას ყურადღება მიაქციეს, ამბობენ, რომ აქ შინაგანი მიზეზი მოქმედობსო. ამ შინაგან მიზეზად სთვლიან გეოლოგიურ წყობას მიწისას ბაქოსას და ამერიკისას. ამბობენ რომ ამერიკაში დიდი ხანია მიწისქვეშ ნავთი კეთებულა და გაჩენილაო. იგი ნივთნი, რომელთაგანაც ნავთი კეთდება მიწისქვეშეთის ძალთაგან, ამერიკაში სულ მოილია და აღარ არსებობენო, და ამიტომ, რაც წინა დროთაგან ნავთი კეთებულა და დარჩენილა მიწის ქვეშ, დღეს ამერიკაში მარტო ისღა ამოაქვთ, და რაკი ამოსწურავენ, რასაკვირველია, მას მერმედ ჭა შრებაო. ხოლო იმ გარემოებიდამ, რომ ბაქოში ნავთი დღეს არამცთუ ჰკლებულობს, ჰმატულობს კიდეც, მეცნიერთ ის აზრი გამოჰყავთ, რომ დღეს ბაქოში მიწისქვეშეთნი ნივთიერებანი ნავთის შესადგენად არამც თუ მოსპობილან, არამედ ჯერ კიდევ ბევრი არისო და დღეს ნავთის მომავლინებელნი მიზეზნი ჯერ კიდევ განუწყვეტლივ მოქმედებენო. ამ სახით გამოდის, რომ ბაქოს

ნავთის წყარო ჯერ კიდევ დიდხანს არ დაშრება და არ მოსწყდება თურმე.

ბაქოს ნავთის მრეწველობა არამცთუ ამ მხრით უფრო კარგს გარემოებაში უნდა იყოს და უნდა სჯობნიდეს ამერიკის მრეწველობას, არამედ სხვა მხრითაც. ამერიკაში ნავთისათვის კაცი მეტად ღრმად უნდა ჩავიდეს მიწაში და იქიდამ ამოსწუროს ნავთი. ბაქოში ნავთი ისე ღრმად ჩასვლას არ ითხოვს, რადგანაც დედამიწის ზედაპირზედ ახლოა ნავთი. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ამერიკაში განგებ ამოწურვა უნდა და აქ ბაქოში კი, რაკი ჰას ცოტად თუ ბევრად ამოსთხრიან, ნავთი შადრევანად სცემს და უხარჯოდ და უშრომელად თავის-თავად ამოდის. ამ სახით, ამერიკას ერთის ფუთის ნავთის ამოღება ერთი აბაზი უჯდება, ბაქოს კი სამის გროშიდამ ექვს გროშამდე. კაცი ამაების შემნიშვნელი და მნახველი იტყვის: მაშ ბაქოს ნავთის საქმე გაკეთებულა როგორღა გაუწევს ამერიკის ნავთი ცილობას ბაქოს ნავთს საქვეყნო ბაზარშიო!.. საბუთი და ლოღიკა საბუთისა სწორედ ამას ამბობს და საქმე კი სულ სხვასა, და ეს ბაქოს ნავთის შადრევანებზე არა ნაკლებ გასაოცარია. როგორც ამერიკისათვის, ისეც ბაქოსათვის თითქმის ერთად-ერთი ბაზარი ევროპაა, რომელიც ჩვენზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკაზედ, ასე რომ ამ მხრითაც კი ბაქო წინ არის. მაგრამ საოცარი ეს არის, რომ ყოველი მხრით ბუნებისაგან ხელმოუწყობელი ამერიკა ევროპის ბაზარში ყოველწლივ ცხრა მილიონს ფუთს ნავთს ასაღებს და ბაქო, ყოველ მხრით ბუნებისაგან ხელმოწყობილი, მილიონ-ნახევარსა! მოდი და ნუ გაოცდებით. გაგონილა! ბაქოს ნავთი ბევრიც აქვს, ამოღება თითქმის ერთი-სამად, ხან ერთი-თორმეტად ნაკლებ უჯდება, გზაც ახლო აქვს, და ამერიკის ნავთის ცილება კი ვერ აუტანია, როცა ევროპაში გააქვთ.

ნავთი იმოდენაა დღეს ბაქოში და ყოველდღე იმოდენა ამოდის, რომ ლამის წარღვნას მთელი ბაქო, უშველებელი ტბებია ნავთის ჭების გარშემო, ადგილიც არა აქვთ სად შეინახონ. გამოხდას და გადაწმენდასაც ვეღარ ასწრებენ და

ბაზარი კი ვერ გაუხსნია, ბაზარი კი ვერ შეუქმნია. ამას ვინა სჩივის? ნავთის ადგილების პატრონებს ეს სიმდიდრე თავში საცემად გახდომიათ, რადგანაც არ იციან, რა უყონ, როგორ მოუარონ, სად შეინახონ და როგორ უპატრონონ! ცალკე კაცია აქ ამ უბედურობის მიზეზი, გარემოება კაცთაგანვე შექმნილი, თუ ბუნება,— ეგ თქვენ გამოიცანით. ქვეყანას კი სასაცილოდაც არ ეყოფა, რომ ღმერთს მოუცია ასეთი ძვირფასი სიმდიდრე და ჩვენ კი ჭირად გადაგვქცევია. მახლას!..

II

ტფილისი, 19 იანვარი, 1887 წ.

ჩვენ წინა წერილში ნავთზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი და ეხლაც ამაზედ გვსურს განვაგრძოთ საუბარი. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ამ საგანზედ არასფერს ახალს ვერ ვიტყვით, და სრულებითაც გუნებაში არ გაგვიტარებია, ეს საქმე მთელის თავის სიგრძე-სიგანით გამოვიკვლიოთ. ჩვენ ამისათვის არც საჭირო ცოდნა გვაქვს და არც საჭირო ღონე. ჩვენ გვსურს მხოლოდ ზოგიერთს ცნობას ამ საქმის თაობაზედ თავი ერთად მოვუყაროთ და ამ ერთად თავმოყრილ ცნობათაგან ცოტაოდენი ნათელი მოვფინოთ ნავთის საქმესა, რომელზედაც ბევრს უცაბედად ჰლაპარაკობენ.

ყველაზედ წინ შესანიშნავი ბაქოს ნავთის გამო ის არის, რომ თუ ჰა დღეში 1.000 ფუთზედ ნაკლებ ნავთს იძლევა, მეჭარხნეები ამისთანა ჰას თავს ანებებენ, რადგანაც ხარჯსაც არ აყენებს. გამოანგარიშებულია, რომ სხვადასხვა ხარჯი ნავთის ამოღებისა, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ფუთზედ $^3/_4$ კაპეიკი მოდის. ესეც იმ შემთხვევაში, თუ 1.000 ფუთს მაინც იძლევა დღეში თითო ჰა. თუ ამაზედ ნაკლები ნავთი ამოდის, ხარჯი კიდევ ის უნდება, რაც ათას ფუთსა, და თუ ამაზედ ნაკლები ნავთი ამოვიდა, აშკარა ზარალია. ამერიკაში ახლად

გათხრილი ჭა იძლევა დღეში 80—200 ფუთამდე ნავთსა და იქ მაინც ამისთანა ჭებს ამოქმედებენ ისეთის ოსტატობით, რომ არამცთუ ჰზარალობენ, გამორჩომასაც მოელიან. ჩვენში კი ამისთანა ჭები უნავთო ჭებად ითვლება და ამისთანა ჭაზედ თავის-დღეში არავინ არ მოსცდება. ამ სახით ჭა, რომელიც ამერიკაში სიმდიდრის წყაროდ ითვლება, ჩვენში სიღარიბის მიზეზად შერიცხულია.

რა არის ამის მიზეზი? ყველაზედ უწინარეს ისა, რომ სატექნიკო ცოდნა არა აქვთ აქაურს მენავთეებს. ამ უცოდინარობის ბრალია, რომ ჭიდამ ამოღებულ შავ ნავთს ჰხდიან და გადაწმენდავენ ხოლმე მარტო სანათებლად ხმარებისათვის, და რაც ამ გამოხდას და გადაწმენდას გადარჩება, იმის გამოყენება არ იციან ჩვენმა მეჭარხნეებმა. თვითონ ამ გამოხდაშიაც ათში მარტო სამს ფუთს სანათებელს ნავთს ძლივს აყენებენ, დანარჩენი შვიდი ფუთი კი გადასაყრელად უხდებათ. სახელგანთქმული ქიმიკოსი მენდელეევი კი ამბობს, რომ თუ მეჭარხნეებს კარგი ცოდნა ექნებათ, ათს ფუთ შავ ნავთიდამ არამც თუ მარტო სამი ფუთი სანათებელი ნავთი გამოვა, არამედ რვაო. თუნდაც ამოდენა წმინდა ნავთის გამოხდა არ იყოს შესაძლებელი, მაინც კიდევ ნავთის გამონახადი, რომელიც ეხლა უცოდინარობით ტყუილუბრალოდ ჰფუჭდება და გადიყრება ხოლმე, მრავალგვარად გამოსაყენია და გამოსარჩომი. თუ კაცს ცოდნა და ხერხი ექნება. საქმე იმაშია, რომ შავი ნავთი მარტო იმითი კი არ არის სახეირო და გამოსარჩომი, რომ სანათებელ ნავთად გადიწმენდება ხოლმე, არამედ იმიტომაც, რომ დანარჩენ გამონახადიდამ შეიძლება კიდევ ბევრი რამ სხვა საბაზრო ნივთიც გამოიხადოს, მეტად კაი ფასად გასასაღებელი. მაგალითებრ, წასასმელი ზეთი*, ბენზინი, ვაზელინი, ერთგვარი სუნნელოვანი ზეთი, რომელსაც „ароматический углеводород“ ჰქვიან და სხვანი. თვითეულს ამას კაი დიდი გასავალი აქვს ევროპის ბაზარში და კაი ფასიცა. ყოველივე ეს ბაქოში მეტად

* См о ия масла.

ცოტა კეთდება დღეს, ჯერ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ მეჭარხნეებმა ამისი ხელი ან სულ არ იციან, ან ძალიან ცოტად იციან, და მეორე იმიტომ, რომ აქაც გადასატანს ღონეს მოკლებულნი არიან.

ეხლა აშკარაა ჩვენის მკითხველისათვის, რად არის ისე, რომ ჰა დღეში 80—200 ფუთამდე ნავთის მომცემი ამერიკაში სიმდიდრედ ითვლება და ჩვენში კი კაცი ახლოც არ უდგება. ამერიკაში ყოვლის ოსტატობით და ცოდნით ეკიდებიან ამ საქმეს. გარდა იმისა, რომ ერთისა და იმავე ზომის ნავთისაგან უფრო ბევრი სანათებელი გადაწმენდილი ნავთი გამოჰყავთ, იქ დანარჩენ გამონახადსაც ბევრს რასმეს ჰრჩებიან, ასე, რომ თითქმის თვითეული ნაწილი გამონახადისა სხვა რაიმე საფასურს და სასარგებლო ნავთს იძლევა. იქ არა იკარგება-რა, ჩვენში ათში შვიდი ფუთი ტყუილუბრალოდ გადასაყრელია; იქ ათს ფუთში რვას მაინც ასე თუ ისე ფასს ამოაღებინებს კაცი და აქ ჩვენში ათში მარტო სამს ფუთსა. მოდი და ამისთანა გარემოებას წინ დაუდეჭით!..

ბაქომ თუნდაც იმ მრავალგვარობით გამოიყენოს ნავთის გამონახადი, როგორც ამერიკა სჩადის, — სად გაასაღოს და ან როგორ გაიტანოს საქვეყნო ბაზარში? ჯერ მარტო ეს ვიქონიოთ სახეში, რომ ნავთის გამონახადიდამ გაკეთებულს სხვადასხვა ნივთიერებასა თვითონ რუსეთშიაც ვერ გაუხსნია ბაზარი. დღესაც რუსეთში ამერიკიდამ მოტანილს უფრო ჰყიდულობენ, ვიდრე ბაქოდამ. აქამომდე საქმე ისე ვერ მოუწყვიათ, რომ რუსეთმა თვითონვე მოიხმაროს თავისი საკუთარი სიმდიდრე.

III

ტფილისი, 19 იანვარი, 1887 წ.

ამ წინაზე ჩვენა ვსთქვით, რომ უთვალავი და აუარებელი ნავთი ამიერკავკასიისა ვერ მოგვიხმარია და ლამის ეგ, ჯერხანად დაუშრობელი წყარო სიმდიდრისა, თავში საცემლად

გაგვიხდესო. უმთავრესი მიზეზი ამ მოუხმარებლობისა ის არის, რომ ნავთის ბაზარში გასატანი სახსარი არა აქვთ. მართალია, ამიერკავკასიის რკინისგზა, რომელიც დღეს მუშაობს ბაქოსა და ბათუმს შუა, ეზიდება დღემუდამ ნავთსა, მაგრამ იმოდენა ნავთის გადატანის ძალღონე არა აქვს, რამოდენაც საჭიროა ნავთის სიმრავლის მიხედვითა. ბევრსა ჭლაპარაკობდნენ ვაგონების მომატებაზედ, მაგრამ რაც მომატება შესაძლო იყო, მოუმატეს, და ეხლა თუნდა კიდევაც მოუმატონ, ვერას გახდებიან, იმიტომ რომ მატარებლები საათში ერთხელ დაიარებიან და ამაზე ხშირად სიარული შეუძლებელია. როცა ამაზე გული დააჯერეს რკინისგზის გამგებელთა და ნავთის მწარმოებელთა, მაშინ დააპირეს მეორე ლიანდაგის დაგება, რომ ნავთის საზიდავმა ვაგონებმა ორის გზით იარონ. უფრო მდიდართ ნავთის მწარმოებელთ აზრი მოუვიდათ, რკინისგზას თავი დაანებონ და მილები დააწყონ ბაქოდამ ბათუმამდე და მილით ატარონ ნავთი. მეორე ლიანდაგის დაგებაზედ ლაპარაკი ამ ბოლოს დროს სრულიად შესწყდა, მილებით ნავთის გაყვანაზედ-კი დღესაც ბევრი ლაპარაკია.

ფიქრადა აქვთ, მითამ შავი ნავთი გაიყვანონ მილითა იმ ზომით, რო წელიწადში 50 მილიონი ფუთი გავიდეს ბაქოდამ ბათუმში. ამ ბოლოს ხანებში ისიც ისმის, რომ ეგ მილები სამტრედიის სადგურთან უნდა გაორტოტდეს, ერთი ტოტი წავიდეს ფოთზედ და მეორე ბათუმზედ, პროფესორ მენდელეევის ანგარიშით ერთი ფუთი შავი ნავთი მილით გაყვანილი ბაქოდამ ბათუმში დაჯდება არა უმეტეს 10—11 კაპეიკისა. ერთი უცნობი ავტორი „Биржевыя Ведомости“-ში ამტკიცებს, რომ ფუთის ნავთის გადატანა ბაქოდამ ბათუმში ცხრა კაპეიკზე მეტი არ დაჯდებაო. ამ სახით გამოდის, რომ ფუთი ნავთი თავის საფასურით და გზის ხარჯით 12—15 კაპეიკამდე დაჯდება ბათუმში. რადგანაც იგივე ნავთი ამერიკას 20 კაპეიკად უჯდება და ამასთანავე ბათუმში ჩატანილი ნავთი ევროპის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკისა, ამიტომ, ბ-ნ მენდელეევის აზრით, ბაქოს ნავთს

შეუძლიან ცილობა გაუწიოს ამერიკის ნავთსა და ამით ასწიოს და გააძლიეროს ჩვენი ცოცხალ-მკვდარი მრეწველობა ნავთისა. რასაკვირველია, ამ აზრის ასასრულებლად საჭიროა ბათუმში გაიმართოს შავის ნავთის სახდელი და გასაწმენდელი ქარხნები, თორემ შავის ნავთის მუშტრის შოვნა ძნელია. ამასვე ჰფიქრობენ მილით ნავთის გატანის მომხრენი. ჩვენ ამაზედ ცალკე გვექნება საუბარი. ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ მილით ნავთის გადატანის საქმე ხაზინამ თავის ხელიდამ არ უნდა გაუშვასო, — ამბობენ მილის მომხრენი, — თვითონ მილებიც ხაზინამ თავისის ხარჯით უნდა დააწყოსო, თორემ თუ ცალკე კაცს მიეცა ამისი ნება, უსათუოდ მონოპოლიას გამოიწვევს და ეს მონოპოლია ბევრს ნავთის მეჭარხნეებს ბოლოს მოუღებსო.

გამოანგარიშებულია, რომ ნავთის გასაყვანად მილების დაწყობა და ერთობ ამისი ხარჯი 25 მილიონს მანეთს ფულს დაიჭერსო. ძნელად გასაბედია ხაზინისათვის ეხლანდელს გაჭირებულს დროში ამოდენა ფული ამ საქმეს მოანდომოს და აქ დააბანდოს. გარდა ამისა, ერთი რამეც არის საფიქრებელი: მართალია ბაქოში ძლიერ ბევრი ნავთია და ჯერ არამც თუ დაშრობის, მომატების ნიშნებია, მაგრამ ადვილად საფიქრებელია, რომ ადრე იქნება, თუ გვიან, იქ, საცა ეხლა ნავთი ამოდის, ოდესმე ბოლო უნდა მოეღოს ნავთსაც. ამის შიშსა და ფიქრს მისცემია იმისთანა სპეციალისტი, როგორიც ცნობილი ინჟინერი სოკოლოვსკია. თუ მართლა აუცილებელია, რომ ოდესმე ბაქოს ნავთი კლებაში შევა, ამ მხრით გამოკვლევა საქმისა მეტად საჭიროა წინათვე, ვიდრე მილების დაწყობას შეუდგებიან. თუ ნავთის კლების დროს რკინისგზასთან მილებიც იქნება, მაშინ ან ერთმა უნდა დაიშალოს ნავთის ზიდვა და მაშასადამე შემოსავალზედ ხელი აიღოს, ან მეორემ. ორსავე შემთხვევაში ხაზინა იზარალებს.

„Биржевыя Ведомости“-ს ამ წლის № 8-ში ზემოხსენებული უცნობი ავტორი ამტკიცებს, რომ მილით ნავთის გაყვანა არავითარს სარგებლობას არ მოასწავებსო. იგი ამბობს, რომ, მართალია, ეხლა გადატანა გაწმენდილის ნავთისა ფუთი 16

კაპეიკადა ჰღირსო, მაგრამ შეიძლება ეს ფასი $8^1/_2$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს კაცმა და მაინც კიდევ რკინისგზა მოგებაში იქმნებაო. მილით გაყვანილი ნავთი-კი და მერე ბათუმში გადაწმენდილი 18 კაპეიკად დაჯდება ფუთიო. ამის დასამტკიცებლად აი რა ანგარიში მოჰყავს: შავის ნავთის გადატანა ბათუმში მილითა დაჯდება ფუთი 9 კაპეიკად. ორის ფუთის შავის ნავთიდამ გამოიხდება წმინდა ნავთი და სხვა სახმარი და სასარგებლო ზეთები სულ ერთად მარტო ერთი ფუთიო; მაშასადამე ფუთი გადაწმენდილი ნავთი თავის ზეთებით 18 კაპეიკი მოდისო. ესეც მაშინ დაგვიჯდება, როდესაც მილით გავიყვანთ შავს ნავთს ყოველწლივ 50 მილიონ ფუთზედ არა ნაკლებ. თუ რაიმე მიზეზით ამ რიცხვმა იკლო, მაშინ ის ორი ფუთი შავი ნავთი, რომელიც მარტო ერთს ფუთს წმინდა ნავთს აყენებს თავისის ზეთებით, 18 კაპეიკზედ უფრო ძვირად დაჯდებაო, იმიტომ რომ ხარჯი ერთი და იგივეა ერთს მილიონ ფუთს გამოიყვან მილებში, თუ ორმოცდაათს მილიონსაო. რკინისგზას-კი ბევრი ექმნება გადასატანი, თუ ცოტა, შეუძლიან რვა კაპეიკ-ნახევრად ჰზიდოს ბაქოდამ ბათუმამდე ნავთი და არა იზარალოს-რაო.

ამ სახით, საუბარი და ბაასი დიდია, და ამასობაში არც რკინისგზა ჰფიქრობს ნავთის გადასატანი ფასი $8^1/_2$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს და არც მილის დაწყობას შედგომია ვინმე. მინამ ან ერთისაგან გამოვა წყალობა, ან მეორისაგან, ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ. მოდით და ნუ გაოცდებით!..

ნავთის ბაჟი

ტფილისი. 5 მაისი. 1886 წ.

იყო დრო, როცა ნავთის ხმარება საწვავად მარტო შეძლებულს ხალხს შეეძლო. მას შემდეგ, რაც ბაქოში ასეთი აუარებელი ნავთი აღმოჩნდა, ეს სანათი დიდად გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და საყოველთაო საჭიროებად გარდაიქცა. ხალხი ეხლა ნავთს სხვა ყოველგვარ სანათს ამჯობინებს. დიდი ხანი არ გაივლის, რომ ნავთი სრულიად განსდევნის ჭონსა და ზეთსა, რომელიც უწინ დიდს პატივში იყო. ეს გარემოება სასიამოვნო ამბავად უნდა ჩაითვალოს. ხალხისათვის სულ ერთი არ არის, რას ხმარობს თავის სახლების გასანათებლად. ნავთი, როგორც საუკეთესო სანათი ნივთიერება, წარმატებაა ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. მეტადრე ჩვენში, სადაც ნავთი ასე იეფია, საგრძნობელ შეღავათს მისცემს ხალხსა, და რაც უფრო კიდევ მეტად გაიეფდება ნავთი, მით უფრო უკეთესი იქნება. ვისაც-კი ხალხის ეკონომიური წარმატება აფიქრებს, რასაკვირველია, თანაუგრძნობს ამ მოვლენას. ნავთის მწარმოებელნი-კი სულ სხვასა ფიქრობენ. ამათ მხოლოდ თავიანთი ჯიბე აწუხებთ, მხოლოდ თავიანთ კერძო ინტერესები გაუხდიათ კერპად და ყოველ საზოგადო, საქვეყნო ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ მას. ნავთის მწარმოებელნი და მეტადრე დიდნი მწარმოებელნი სწორედ გაუმაძღარ სვავებად გარდიქცნენ. რაც უფრო მეტ სიმდიდრეს იძენენ, მით უფრო მეტად ეხსნებათ შეძენის მადა. ეხლანდელი ნავთის შემოსავალი ვეღარ აკმაყოფილებთ. რა მოუხერხონ საქმეს, რომ შემოსავალი გააბევრონ? ცხადია.

რაიმე ახალი წყარო უნდა აღმოაჩინონ. იფიქრეს, აიღ-დაიღეს, ასწონ-დასწონეს და ბოლოს ასე გადასწყვიტეს:

ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ შინ, ჩვენსავე სახელმწიფოში, სახმარებელ ნავთს ბაჟი დაედოსო. თუ მთავრობა არ მოგვეშველება ჩვენ სრულიად დავიღუპებითო და ნავთის წარმოება სრულიად შესწყდებაო. უნდა გამოვსტყდეთ, რომ ნავთის მწარმოებელნი ძალიან მოხერხებული ხალხია. მართლა და ვის არ დააფიქრებს, ვის არ შეაშინებს ასეთი მუქარა. ხუმრობა ხომ არ არის! ნავთს თუ ბაჟი არ დაედო, ესე იგი ხალხი თუ მეტს ხარჯს არ იკისრებს, თავის ჯიბიდამ თუ მეტს ფულს არ გაიმეტებს ნავთის მწარმოებელთა სასარგებლოდ, ცუდი მერმისი მოელის, შეიძლება სრულიად უნავთოდ დარჩესო. აბა ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის? მეტს ხარჯს ვინღა დაიშურებს ნავთის მწარმოებელთათვის, ოღონდ კი ამგვარი უბედურება არ გვეწვიოს და უნავთოდ არ დავრჩეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ, ნავთის მწარმოებელთა ხრიკებმა თავი ვერ გაიტანა, მათმა მანქანამ ვერ გასჭრა. მათ წინააღმდეგ გამოვიდა ორი კაცი და საქვეყნოდ გამოააშკარავა ნავთის მწარმოებელთა ცბიერი და იდუმალი განზრახვა. მერე ისეთი კაცები გამოვიდნენ ამათ მოწინააღმდეგედ, რომელთაც ვერავინ შესწამებს, რომ ნავთის საქმე მათ ყველაზე უკეთ არ იცოდნენ. ერთი მათგანი არის გამოჩენილი მეცნიერი პროფესორი მენდელეევი, მეორე — ნავთის საქმის კარგი მცოდნე ბ-ნი პოლეტიკა. ორივენი სრულიად წინააღმდეგნი არიან, რომ შინ სახმარებელ ნავთს ბაჟი დაედოს. აი სხვათა შორის პროფესორს მენდელეევს რა უთქვამს ერთს საზოგადო ყრილობაზე: „ვაჭრობა, აღებ-მიცემობა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ქვეყნისათვის სიკეთეს, როდესაც სრულიად თავისუფალია საქმის სხვადასხვა ხელის შემშლელ გარემოებათაგან. ერთი ამგვარი გარემოება ბაჟია. ხელშეუხებლად ჩვენში ეხლა მხოლოდ ნავთის წარმოებაღაა, და უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ეს საქმე შემდეგშიაც ასე ხელშეუხებელი დარჩესო. რაც შეეხება საკუთრად ნავთის ბაჟსა, რომელიც ასე ძალიან სწადიანთ ბაქოს ბობოლა ნავთის მწარმოებელ-

თაო, მე ამ საქმეში ავისა და უპატიოსნო განზრახვის მეტს ვერასა ვხედაო. მაგრამ, ვინ არ იცისო, რომ ამ უკანასკნელს დროს ჩვენის მრეწველობის მოთავენი დიდრონ საქმის მწარმოებელნი სრულიად გაყალბდნენ, სინიდისს გადაუდგნენ და. თუ ხაზინას ერთის კაპეიკის სარგებლობა შესძინეს, თავიანთთვის უთუოდ ცდილობენ ერთი მანეთი გადასდონო. ასეთნი იყვნენ ჩვენში შაქრის მწარმოებელნი, ამასვე აპირობენ ეხლა ბაქოს ნავთის მწარმოებელნიო. არა, ჩვენ ამას ვერ შევიწუნარებთო, სჯობს ისევ ამათ სავსე ჯიბეს დააკლდეს ცოტაოდენიო, ვიდრე ისეც ცარიელი ხალხის ქისა უფრო მეტად დავაცარიელოთო!"—ასე დაასრულა თურმე ბ-ნმა მენდელეევმა თავისი სიტყვა.

ბ-ნ პოლეტიკას თითქმის ესევე აზრი გამოუთქვამს და თან ესეც დაუმატებია: „ჩვენ არამცთუ იმას უნდა ვეცადნეთ, რომ ნავთის წარმოება შემცირდესო, — არა, პირიქით, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ნავთი ამოვიღოთო. დროა ტყეებს შალავათი მივსცეთო, რომ ეს ძვირფასი და ქვეყნისთვის აუცილებლად საჭირო სიმდიდრე საბოლოოდ ხელიდამ არ გამოგვეცალოს, და არამცთუ სანთლის მაგიერ, არამედ შეშის მაგიერადაც რკინისგზებზე და ქარხნებში ნავთი ვიხმაროთო. უსაფუძვლოა აგრეთვე ბაჟის მომხრეთა ის საბუთი, რომ ვითომ ნავთის განუსაზღვრელი წარმოება და უზომოდ ხარჯვა ჩქარა გამოჰლევს ამ ბუნების სიმდიდრესაო". უნდა საშვილიშვილოდაც ვიფიქროთ, გაიძახიან ისინი გულშემატკივრადაო. ესეც ტყუილი შიშიაო,— ამბობს ბ-ნი პოლეტიკა:—ბუნებას სიმდიდრე იმიტომ მოუციაო, რომ მოვიხმაროთო. რაც შეეხება ჩვენს შვილიშვილებსაო, ამათზე მეცნიერება ჰზრუნავსო: — მეცნიერება ისეთ წარმატებაში შედისო, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც კაცობრიობას აღარც ხარჯი და აღარც ზრუნვა მოუნდება და სანათი მუქთად ეშნებაო."

ბ-ნ პოლეტიკას უკანასკნელი მოსაზრება რომ ერთობ გაზვიადებულ და ლიტონ სიტყვად არავინ ჩასთვალოს, ჩვენ აქ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს გამოჩენილის ქიმიკოსის ლიბიხის

სიტყვებს, რომელიც ამ ორმოცის წლის წინათ იყო წარმოთქმული: „მოვა დრო, როდესაც ქიმია ისეთს წარმატებაში შევაო, რომ, კაცობრიობა ვაშლს ხეზე კი აღარ მოჰკრებსო, არამედ ქიმიის შემწეობით, პირდაპირ სადილის დროს მოამზადებს და შეექცევაო".

ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო.

I

ტფილისი, 11 თებერვალი, 1887 წ.

ამ უკანასკნელ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, რომ ნავთსა და ნავთის ნაკეთარზედ ბაჟის დადების საქმე გადუდვიათ ორისა თუ სამის წლით. თუმცა ეს ამბავი გაზეთების მიერ მოიფინა, მაგრამ ირწმუნებიან, რომ მართალი არისო და ნამდვილად შეტყობილიო. ჩვენ ამის გარჩევას არ შევუდგებით, თუმცა საკვირველი კია. საკვირველია იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ჰქმნას ნავთის მრეწველობამ ან ბაჟის დადების ლოდინში? როგორ გაიაზგარიშოს თავისი დღევანდელი მოქმედება? რას შეუწონოს და რას დაუყენოს ქვეშ? ამის მოლოდინში ყოველთვის ფრთხილი ფული ხომ ადამიანის ჯიბიდამაც ვერ ამოჰყოფს თავსა და ვერ ჩაერევა იმ მრეწველობაში, რომელმაც არ იცის, ორისა თუ სამის წლის შემდეგ რის გადამხდელი შეიქნება და რა ტვირთის მზიდველი? ამ ორისა თუ სამის წლის მაყურებელი ფულის პატრონი მარტო ორის წლით თუ გაჰბედავს ფული დააბანდოს ნავთის საქმეში და ის ხანგრძლივი დაბანდება ფულისა კი, რომელიც ასე საჭიროა მკვიდრად საქმის დაჭერისათვის და თვითონ მრეწველობის წარმატებისათვის, ამ ორ წელიწადში მარტო უქმ ნატვრად უნდა დარჩეს, ვიდრე ბაჟის საქმე ასე თუ ისე გადაწყდება. ჩვენ ეს უცნაური გარემოება ისე გაკვრით მოვიხსენიეთ.

ჩვენ ზემოთხსენებულმა დეპეშამ მოგვაგონა ნავთის ბაჟის საქმე და ამ საქმემ ისეთი უცნაური ამბავიცა, რომელიც პირ-

ველ შეხედვით დაუჯერებელია და წინა თქმულს უცნაურზედ უფრო უცნაურია! როგორა გგონიათ? სართი დასწრებისა ვის უნდა ერგოს ნავთზედ ბაჟის დადების საქმის ატეხაზედ? სანაძლეო, წაუგებელი სანაძლეო შეიძლება კაცმა დასდოს, თუ ვინმე შორიდამ მაინც მიხვდება, გუმანს მაინც მიიტანს იმაზედ, ვინც ეს ბაჟი მოიწადინა. წარმოიდგინეთ, გამოდის რომ ნავთზედ ბაჟის დადება მოიწადინა თვით ნავთის მრეწველმავე!.... განა ისიც ერთმა და ორმა, — მთელმა კრებულმა. ამ კრებულმა სთხოვა მთავრობას დიდის თხოვნითა, რომ წყალობა გვიყავით და ჩვენს შავ ნავთს, ესე იგი ჯერ გადუწმენდელს და გამოუხდელს, ბაჟი დაადეთ, თორემ ამ დიდის სიმდიდრის მომასწავებელს მრეწველობას ნავთისას ჰლამის სული შეეხუთოს და თავის საკუთარს სიმდიდრეშივე ჩაირჩოსო. როცა შავ ნავთს ბაჟი დაედება და დაძვირდება, მაშინ ქარხანის პატრონი ეცდება ერთსა და იმავე ზომის ნავთისაგან რაც შეიძლება მეტი საბაზრო საგანი აკეთოს, — და ეხლა, როცა ათისაგან მარტო სამის გამორჩენა აქვთო და შვიდს-კი ცუდუბრალოდ ჰყრიანო, აუარებელი სიმდიდრე მტვრად მიდის და იკარგებაო. გარდა ამისა ხაზინასაც შემოსავალი მოემატება, რადგანაც ნავთის ბაჟი კარგა ბლომა ფულს შეადგენსო. ეს უთხოვნიათ თვით ნავთის მრეწველთა და ამ საბუთებით მოურთავთ თავისი საოცარი თხოვნა, რომელიც ჯერ-ხანად მთავრობას — ღვთის მადლით — არ შეუწყნარებია, დეპეშის სიტყვითა.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს ნომერში ამ უცნაურს თხოვნას შიგნეული გამოვუწვლათ და მაშინ აშკარად დავინახავთ ამ ჯერ არ შეწყნარებულთ მთხოვნელთ რის მუცლის ტკივილიცა აქვთ.

II

ტფილისი, 12 თებერვალი, 1887 წ.

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ნავთზედ ბაჟის დადება ითხოვა თვითონ ნავთის მრეწველმავე და მერე ერთმა და ორმა კი არა, — მთელმა კრებულმაო. ამას ცოტა გასწორება უნდა, ან უკეთ ვსთქვათ, უფრო ნათლად გამოთქმა, გამომზეება.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ნავთის მრეწველობას მიაწყდა ბლომა ხალხი. ამ ბლომა ხალხში იმისთანანიც არიან, რომელნიც უღონობისა და შეუძლებლობის გამო ცოტა ფულს ატრიალებენ და იმისთანანიც, რომელთაც მილიონები ჩააყარეს ამ ნავთის საქმესა. აი ამ დიდის ფულის პატრონები არიან ისინი, ვისაც ბედნიერი ფიქრი მოსვლიათ, მთავრობას სთხოვონ ბაჟი დაადონ შავს ნავთსა და მით მითამ ხაზინა გაამდიდრონ. ყველამ იცის, რომ ფული რამოდენადაც ბეკრია, იმოდენად ხარბია და გაუმაძღარი და ამიტომაც პირველ შეხედვით კაცს უკვირს, ამ დიდ ფულებიანს საიდან აღძვრიათ გულისტკივილი სხვის გამდიდრებისათვის. ყველა ბრალი შეიძლება კაცმა დიდფულიანს შესწამოს და ამისთანა ცილი-კი, რომ სხვის გამდიდრებისათვის გულმტკივნეულობდეს, მეტისმეტი უსამართლობა იქნება. თუმცა რუსები ამბობენ, რომ „Голь на выдумки хитра“, მაგრამ არც-კი მდიდარი კაცი ყოფილა ამისთანებში ბეჩავი და მოუხერხებელი. აი საქმე თურმე რაშია:

ნავთის საქმეს ბევრი წვრილი ხალხი დაეხვია. თვითეული მათგანი ცალკე, რასაკვირველია, ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა დიდფულიანს და გაბათილებულ იქმნებოდა, როგორც უქმი თამასუქი; დიდფულიანი, როცა კი მოისურვებს, თვითეულს ცალკე იმისავე ნავთში ჩაარჩობდა და ბურთსა და მოედანს ნავთის წარმოებისას თვითონ დაისაკუთრებდა. მაგ-

რამ ჭირი ის არის, რომ ეს წვრილნი მოსაქმენი ნავთისა რიცხვით საკმაოდ ბლომად არიან და დიდფულიანს მწარმოებელთ საქმე ისე გაუჭირეს, რომ ჰლამის გააკოტრონ. დიდფულიანები თუ გამოხდილ და გაწმენდილ ნავთს ფუთს, მაგალითებრ, ოთხ აბაზად გაუშვებდა ბაზარში, ეს წვრილნი სამ აბაზსა სჯერდებიან და ნავთის ფასს ძირს ჩამოახდენენ ხოლმე: დიდფულიანები თუ სამს აბაზზედ ჩამოვლენ ამათის მიხედვით, ისინი მაშინვე ფუთს ათ შაურად გახდიან და ამ „უბედურებისათვის“ დიდფულიანებს ვერავითარი წამალი ვერ დაუდვიათ. ამისთანა ცილებას და ჯიბრს ვერ უძლებენ მდიდარნი მრეწველნი და ხალხს კი, ესე იგი, ვინც ნავთსა ჰყიდულობს და ჰხმარობს, ამ ცილებისა და ჯიბრის წყალობით ნავთი იეფად უჯდება. ამ ცილებას და ჯიბრს ეს სიკეთე მოაქვს საყოველთაოდ, და ღარიბს ხალხს სანათებელი ნავთი თავის ჯიბის შეძლებისა-და-გვარად უჯდება და უხერხდება. რომ ეს ასე აღარ იყოს და წვრილთა მწარმოებელთა ილაჯი და სახსარი ამგვარის ცილებისა სულ გაუქარწყლონ, მდიდრებმა ეს ღონე მოიგონეს, რომ შავ ნავთს ბაჟი დაედოს. აი რა ანგარიში მიუძღვის წინ მდიდრებსა: რაკი შავ ნავთს ბაჟი დაედება, მაშინ ნავთის წარმოებისაგან მარტო ის იხეირებს და გამორჩომას ჰნახავს, ვინც დიდსა და ძვირფასს ქარხანას იქონიებს, და რადგანაც წვრილს მწარმოებელს ნავთისას მაგისი ღონე და შეძლება არა აქვს, უნდა თუ არა, ფარ-ხმალი ძირს უნდა დაჰყაროს და გულზედ ხელები დაიკრიფოს. ეხლა ფუთი შავი ნავთი ექვს გროშამდე ღირს ხოლმე ადგილზე. ვსთქვათ ფუთს ორი შაური ბაჟი დაადეს და ამ გზით ფუთი შავი ნავთი 13 კაპეიკად გახდა. თუ ქარხანა ყოველი მხრით ისე მოწყობილი და გამართული არ არის, როგორც ეხლანდელი ტექნიკა და მეცნიერება ითხოვს, ათის ფუთის შავის ნავთისაგან ბევრი-ბევრი სამი ფუთი საბაზრო ნაკეთარი* რამ დააყენოს, სხვა შვიდი ფუთი-კი გადასაყრელია და არაფერში გამოსაყენი. ამ სახით, რაკი

* продукт.

ბაჟი ათის ფუთისა იქნება გადახდილი და ამ ათ ფუთიდან მარტო სამი ფუთიღა დაუდგება გამოსაყენი და დანარჩენი გადასაყრელი, რა თქმა უნდა, მთელის ათის ფუთის ბაჟი ამ სამმა ფუთმა უნდა უზღოს მწარმოებელსა. ათის ფუთის ბაჟი შეადგენს, ზემოხსენებულ ანგარიშით, ერთს მანეთს, მაშასადამე ეს ერთი მანეთი სამმა ფუთმა უნდა ჰზღოს, ან თითო ფუთმა 33 $^1/_3$ კაპეიკი. კარგა მოწყობილი და გამართული ქარხანა კი ათის ფუთიდამ რვა ფუთს სხვადასხვაგვარს ნაკეთარს ნავთისას დააყენებს როგორც მეცნიერთაგან გამოკვლეულია. მაშასადამე, ის ერთი მანეთი ბაჟი, ათს ფუთზედ გადახდილი, ამ შემთხვევაში რვა ფუთმა უნდა ჰზღოს. აქ ფუთს შეხვდება 12 $^1/_2$ კაპ. აბა სად 12 $^1/_2$ კაპ. გადასახადი და სად თითქმის შვიდი შაური, როგორც წვრილს მწარმოებელთ მოუვათ. რაკი ფასებში ასე დიდი განსხვავება იქნება, როგორღა გაუწევს წვრილი მწარმოებელი ცილობას საქვეყნო ბაზარში? იმან თითქმის ხუთის შაურით მეტად უნდა ჰყიდოს ნავთის ნაკეთარი, რომ დიდი ქარხნის პატრონის ოდენობა გასწიოს, ან არა-და ხელი უნდა აიღოს წარმოებაზედ. რა თქმა უნდა ძალაუნებურად ეს უკანასკნელი ღონეღა დარჩება საცოდავს.

განა ეს იკმარეს ამ ქვეყნის მოკეთეებმა. ვსთქვათ, ამ ბაჟის დადებით წვრილნი მწარმოებელნი გააბათილონ და პირქვე დასცენ. მაინც კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე დარჩებათ. ეგ მეტოქე ამერიკაა, რომლის ნავთი გზას არ აძლევს ბაქოს ნავთსა საქვეყნო ბაზარში. ამის გაცლაცა ჰსურთ რუსეთის ბაზრიდამ მაინც, და ამიტომაც სთხოვენ მთავრობას, ამერიკის ნავთს ფუთზედ ერთი მანეთი ბაჟი დააღდეთ, რომ რუსეთში შემოტანა გაუძნელდეთ ამერიკელებსაო. რასაკვირველია, ჯერ მთავრობამ არც ერთი ამათი თხოვნა არ შეიწყნარა, მაგრამ თხოვნას ამითი თავისი სუნელოვანება არ დაჰკლებია და ეხლა ყველამ ვიცით, სადა სცემს იმ დიდთა მწარმოებელთა გულშემატკივარობა.

რაკი მდიდრები იმ გზით შემოიცლიან წვრილებს, რომელნიც დღეს კრიჭაში უდგანან, რაკი ამერიკასაც ბაჟით გზას გადაუღობენ, მაშინ ბურთიც იმათ დარჩებათ უცილოდ და მოედანიც და მაშინ მშვიდობით იეფობავ ნავთისავ. მდაბიო ხალხი, რომელსაც იეფობა ნავთისა შეძლებას აძლევდა სახლი გაენათებინა, სახლში სანათური ჰქონოდა, მაშინ უნდა გამოესალმოს ამ ნეტარებას, იმიტომ რომ გულშემატკივარნი დიდფულიანი მწარმოებელნი ნავთისანი ეცდებიან ისეთი ფასები დასდონ ნავთსა, რომ ხელმოკლე კაცი ვერ შესწვდება. აი რა მუცლის გვრემა შეჰყრიათ დიდფულიან მწარმოებელთ ნავთისას, რომ უთხოვნიათ შავ ნავთს ბაჟი დაადეთო. სწორედ ამისთანა საქმე დაჰმართა თხლე—ჭაჭისაგან არყის ხდას აწ განსვენებულმა ფისსუნმა, რომელმაც ასეთი ბაჟი და წესები შემოიღო, რომ თუ არ ძვირფასი ქარხანა, სხვა არავითარი ღონე არ იყო ამ ბაჟებს და წესებს გასძღოლოდა.

ნავთის საქმის მდგომარეობა კავკასიაში

ტფილისი, 14 ოქტომბერი, 1869 წ.

კარგი ხანია ხმა იყო დავარდნილი, თუმცა კანტიკუნტად-კი აქა-იქ, ვითომც ბაქოში ნავთი თავდება და ნავთის წყაროებს დასასრული უჩანსო. ეს ხმა ზოგჯერ აქაურ ჟურნალ-გაზეთებშიაც შემოპარულა, ზოგიერთი მალე დამჯერი კაცი ამის გამო დამფრთხალა და გამოსცლია ნავთის საქმეს, რომელიც თავისთავად დიდად სახეირო და გამოსარჩენია ფულის პატრონისათვის. ამ ზაფხულს ამ ხმამ ხელახლად აიდგა ფეხი და მთელს ევროპას მოედო. ინგლისურმა გაზეთებმა „Standart"-მა და „Morning Post"-მა თიბათვეში და მარიამობისთვეში მოჰფინეს მთელს ინგლისსა და ევროპას ის ხმა, ვითომც ბაქოში ნავთს ბოლო მალე მოეღება, რადგანაც ნავთის წყაროები შრებაო.

რასაკვირველია, ესეთი ამბავი ხალისს წაართმევს და დააფრთხობს ერთის მხრით სოვდაგრებს, რომელთაც სასარგებლო საქმე ბაქოს ნავთის აღებ-მიცემობისა ახალისებდა, და მეორეს მხრით ფულის პატრონებს, რომელთაც, ნავთის ამოღება და გამოხდა ადგილზედვე იმედს აძლევდა მოგებისას. იმისთანა საქმეში, როგორიც ნავთის აღებ-მიცემობაა, ნავთის ამოღება და გამოხდაა, დიდი ფული უნდა და, თუ არ დიდის ხნით და ხანგრძლივად შერჩენა საქმისა, ხელს არ მისცემს არც ნავთის აღებ-მიმცემს, არც ნავთის მომქმედს, ფული დააბანდოს და გააბას მოკლე ხნობით, რადგანაც მოკლე ხანში ვერც სარგებელს დახარჯულის ფულისას ააყენებს და ვერც თავნს დაუბრუნებს. უამისოდ-კი ვერც ერთი ჰკუადამჯდარი ვაჭრობა

და ანგარიშამყოლი მრეწველობა ვერ შეჰბედავს ვერა საქმეს, ნამეტნავად ნავთისას, რომელიც ყოველ შემთხვევაში დიდს წინასწარ ხარჯსა თხოულობს და დიდის ფულის დაბანდებას.

იგი შიში, რომელსაც უეჭველია გამოიწვევს სოვდაგართა და ფულის პატრონთა შორის ზემოხსენებულ გაზეთებისაგან დაყრილი ხმა, შეაფერხებს და შეაყენებს განდიდებასა და გაძლიერებას ნავთის საქმისას ბაქოში და, რა თქმა უნდა, შემძლებელია დიდი ზარალიც მოუტანოს როგორც ცალკე მრეწველთა და მომქმედთა, ისეც მთელ იმ დიდს აღებ-მიცემობას, რომელიც დღეს ფეხადგმულია და რომელიც სამერმისოდ უფრო დიდს იმედს იძლევა. ეს ამბავი შეუტყვია რუსის გამოჩენილს ქიმიკოსს მენდელეევს და გამოსარჩლებია ბაქოს ნავთსა საკმაოდ სარწმუნო საბუთებით, მას მიუწერია წერილი ლუდვიგ მონდისათვის, რომელიც პრეზიდენტია საქიმიო და სატექნიკო საზოგადოებისა ინგლისში. იგი სწერს, რომ „მე ჩემის მხრით სასარგებლოდა ვრაცხ თქვენს შუამდგომლობას მოვმართო იმისათვის, რომ ინგლისის მრეწველთა შორის გავრცელდეს მართალი ამბავი შესახებ კავკასიის ნავთისაო!“.

ბ-ნი მენდელეევი ბაქოს ნავთის წყაროების დაშრობის ხმას აბრალებს ჯერ უცოდინარობას და მერე რაღაც ხვანჯებს, კერძო სარგებლობისაგან გამოწვეულს და ამავ სარგებლობისაკენ მიმართულს. იგი უეჭველის ციფრებით ამტკიცებს რომ ბაქოში ნავთის ამოღება და გამოხდა არამც თუ ჰკლებულობს, არამედ ჰმატულობს კიდეც. მისის სიტყვით, 1876 წ. ამოღებულია ნავთი სულ 727.000 ფუთი. ამ რიცხვს ყოველ წელიწადს უმატნია, ასე რომ 1881 წ. ასულა 2.286.000 ფუთამდე და 1885 წელს-კი 6.250.000 ფუთამდე მისულა. ამ სახით, ცხრა წლის განმავლობაში თითქმის ერთი ათად უმატნია ამოღებულ ნავთის რაოდენობასაო. რასაკვირველია, ეს ამბავი სრულებითაც არ მოასწავებს ნავთის წყაროების დაშრობასაო. პირიქით, ბაქოში ნავთი ჯერ კიდევ იმდენად ბევრიაო, რომ ნავთის მომქმედნი არც-კი ჰკადრულობენ იმისთანა ჭას ნავთისას, რომელიც დღეში მარტო ორას ფუთს იძლევა და ამისთანა ჭები უქმად არიანო იმ დრომდე, ვიდრე ფასი ნავთისა არ აიწევს ხოლმეო.

რომ ბაქოში ნავთის წყაროებს სრულებით არ ემჩნევა ნიშნები დაშრობისა, უფრო ორი გარემოება ამტკიცებსო: ერთი ისა, რომ 1886 წ. და შემდეგაც იმისთანა შადრევნებმა ნავთისამ ამოხეთქა, როცა თხრა დაუწყეს ახალ ადგილებს, რომ იმის მსგავსი დღეს-აქამომდე არა ყოფილა არც ამერიკაში და არც თითონ ბაქოშიო; მეორე ისა, რომ 1885 წლიდამ 1888 წლამდე ამოღებულმა ნავთმა წელიწადში 116 მილიონ ფუთიდან 180 მილიონ ფუთამდე მიაღწიაო, წელს-კი პირველ იახვრიდამ მარტო პირველ აგვისტომდე 125 მილიონი ფუთი ამოღებულა, და რამდენიმე დიდრონი შადრევანი მოქმედობდაო ისე ძლიერად, რომ, მაგალითებრ, ბ-ნ კოშჩეევმა ვერც კი მოახერხა მოგროვება და რომანინის ტბაში მიუშვაო.

ყოველ აქედამა სჩანს, რომ ბაქოს ნავთი ჯერ კლებაში არ არის შესული. საცა ნავთის წყაროები ჰშრება, იქ ნავთის წარმოება ჰკლებულობს. ამის მაგალითად ბ-ნს მენდელეევს მოჰყავს პენსილვანია (ამერიკაშია), საცა 1882 წლიდამ დაწყებული ამოღებულის ნავთის რაოდენობა ჰკლებულობს, ასე რომ 1882 წლიდამ ამოღებულის ნავთის რაოდენობა 1888 წელს თითქმის განახევრდა. ბ-ნი მენდელეევი ამბობს, რომ ბაქოში ჯერ კიდევ იმდენია ნავთი რომ რკინისა და კასპიის ზღვის გზა გატანას ვერ ასდის. ბევრი-ბევრი კასპიის ზღვით ვოლგაზე და რკინისგზით გატანილ იქმნას 50 მილიონი ფუთი კეროსინი წელიწადშიო, მაშინ, როდესაც ბაქოს შეუძლიან წელიწადში ას ოთხმოცი მილიონი ფუთი ჰგზავნოს რუსეთში და საზღვარგარეთაო. ბ-ნი მენდელეევი ჰფიქრობს, რომ კასპიის ზღვის გემებსა და ბაქო-ბათუმის რკინისგზაზედ არ უნდა შეჩერდეს საქმე. საჭიროაო ნავთის საზიდი მილები დაეწყოს შავ ზღვამდე და იმითი იზიდოს ნავთიო. დღეს სხვადასხვა ინტრიგები უშლიან ამ მილის საქმესაო და დღეს იქნება, თუ ხვალ, ეგ საქმე უსათუოდ უნდა შესრულებულ იქმნასო.

ამ იმედზედ დამყარებული ბ-ნი მენდელეევი ამბობს, რომ როცა ეგ მილი დაეწყობა და ამ მხრით იეფი და მალი გზა გაეხსნება ნავთსაო, მაშინ თუნდაც ბაქოს ნავთი სრულად დაჰშრეს, კავკასია მაინც იმოდენა ნავთს მოგვცემსო, რომ

საქვეყნო ბაზარში პატივსადები ადგილი დაიჭიროსო. იმ გზაზედ, საცა მილი უნდა გავიდეს ბაქოდამ შავ ზღვამდე, მრავალი ნავთი არისო, არამც თუ ბაქოს ახლომახლო, არამედ შიგნითაც, მაგალითებრ დედოფლის წყაროზედ, ტფილისს ახლო, ქუთაისთან, გურიასა და სხვაგანაც. ეს ადგილები მილებით შეუერთდება შავს ზღვასა და კასპიისასა და მაშასადამე ნავთის საქმე აღებ-მიცემობისათვის იმავე მდგომარეობაში ჩავარდება, როგორც ჩრდილო-ამერიკის ნავთის ადგილები არიან ფილადელფიის, ნიუორკის და ბუფფალოს წინაშეო: ქარხნები ზღვების პირად იქნება და ნავთის ამოღება-კი რამდენსამე ასს ვერსტზედ შორსაო. ერთს ადგილს მაინც რომ გამოჰნდეს კავკასიაში ნავთი, მაინც ბევრით წინ წაუვა ეს ნავთი ამერიკის ნავთს, ჯერ იმიტომ, რომ ზღვამდე ჰიტანა იეფი იქნება და მაინცდამაინც ზღვის პირას მიტანილი ამერიკის ნავთზე ძვირად არ დაჯდებაო. არსად კავკასიაში, იქაც-კი, საცა ხელით ამოსაღებია ნავთი ჭებიდამ, კავკასიის ნავთი ფუთი 18 კაპ. არა ჯდება, როგორც ამერიკაშიო, კავკასიის ნავთი ყოველთვის ერთი-ორად, ერთი-სამად ამერიკის ნავთზედ ნაკლებ ეღირებაო.

ამისთანა მერმისს უქადის ბ-ნი მენდელეევი კავკასიის ნავთს, რომელსაც იგი ღირსებითაც მაღლა აყენებს ამერიკის ნავთზე, იმიტომ რომ ჩვენებური ნავთი თურმე „ახალია“ და ამერიკული „ძველიო“. ამ სახით გამოდის, რომ ტყუილი და უსაბუთო შიშია, ვითომც ბაქოში ნავთს აღსასრულის დღე დასდგომია, და თუნდ ესეც მოჰხდეს, ჩვენს ქვეყანაში ნავთი მაინც არ შესწყდება და ეხლა თითქმის უქმად მყოფი ადგილები ნავთისა დედოფლის წყაროზე, ნავთლუხსა, ქუთაისს ახლო, გურიასა და სხვაგან ბევრგან, გზას გაიხსნის საქვეყნო აღებ-მიცემობისა და ბაზრისათვის.

საადგილმამულო გადასახადის საქმე

(1900)

*

საზამთრო პოლიტიკა ევროპაში,
ფრიდრიხ ენგელსი და პროლეტკულტი

(1887)



სააღგილმამულო გადასახადის საქმე

ტფილისი, 8 მარტი. 1900 წ.

დღესა თუ ხვალ ჩვენში შემოღებულ იქნება ეგრეთწოდებული სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულისა*. ეს ის გადასახადია, რომელიც ყოველს წელიწადს უნდა იხადონ მამულის პატრონებმა და სამუდამოდ მფლობელებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ მამულების კვალობაზე, რაც ხელთ უჭირავთ და სახმარისია. არის მეორეგვარიც ადგილ-მამულის გადასახადი, რომელსაც საერობო ჰქვიან**. სახელმწიფო გადასახადი შეადგენს ხაზინის კუთვნილებას საერთო სახელმწიფო ხარჯების გასაძღოლად, საერობო გადასახადი-კი იკრიბება საერობო საჭიროებისათვის სახარჯოდ.

ერთიც და მეორეც გადასახადი საყოველთაოა ყველა წოდებისათვის გამოუკლებლად, რაკი მამულის პატრონი და მფლობელია: გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი, ერი,—ყველა ვალდებულია იხადოს ეს ორგვარი გადასახადი, და ამით არის შესანიშნავი და სამართლიანი, რომ ტვირთს ხარჯისხდისას და გაძღოლისას შეტოლებით ყველას კისრად სდებს და ერთს წოდებას არა ჰხდის მეორე წოდების შესანახად და ბარგად. გარდა ამისა, ეს ორგვარი გადასახადი მით უფრო

---

* Государственный поземельный налог.

** Поземельный налог земского сбора.

შესაფერი და სამართლიანი, რომ მდიდარს მდიდრულად ართმევს გადასახადს, და ღარიბს ღარიბულად, რადგანაც საადგილმამულო გადასახადს, როგორც ყოველს სხვას, მოსავალზე გაანგარიშებულს, საფუძვლად დადებული აქვს მარტო შემოსავალი ქონებისა თუ მამულისა და სხვა არაფერი.

საერობო გადასახადი ადგილ-მამულისა ჩვენს თავად-აზნაურთათვის ახალი ამბავი არ არის. იგი იხდის ამ გადასახადს 1887 წლიდამ. ხოლო სახელმწიფო გადასახადი იქნება მათთვის ახალი. გლეხნი-კი ორსავ გვარს გადასახადს დღეს აქამომდე კომლეულობაზე იხდიან. ეხლა ამათთვისაც ორივე გადასახადი მამულის კვალობაზე იქნება დადებული და, ჩვენის ფიქრით, ამ გზით გლეხს ეხლა მაინც ცოტა თუ ბევრი შეღავათი მიეცემა, რადგანაც გვგონია, რომ კომლეულობითი გადასახადი დღეს მეტი მოსდის, ვიდრე ადგილ-მამულის გადასახადი მოუვა. გვგონია, რომ ორთა-შუად გლეხს იმდენი მამული არ უჭირავს, რომ ადგილ-მამულის გადასახადი დღევანდელ კომლეულობითს გადასახადზე ნაკლები არ შეხვდეს, რაკი გადასახადი მამულზე გავა.

იქნება ამაში ვცდებოდეთ, და ჩვენ არავის არ ავუხირდებით, თუ ამაზე სიტყვას ვინმე შემოგვიბრუნებს. ჩვენი დღევანდელი საგანი ის-კი არ არის თუ ვისთვის იქნება სამჯობინარი ეს გადასახადი და ვისთვის არა; ჩვენ დღევანდელ წერილის საგნად აგვიღია მარტო ის, რომ გამოვარკვიოთ,— საადგილმამულო გადასახადი რა ბუნებისაა და რაზე უნდა იქმნას აგებული, რომ თავისი დანიშნულება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა არ დაეკარგოს.

საადგილმამულო გადასახადი იმავე არსებისაა, რაც სხვა ყოველი გადასახადი, რომელსაც ერთობ ეძახიან გადასახადს შემოსავლისას* და რომელიც პირდაპირთა გადასახადთა შორის უფრო სამართლიანია და უფრო სასურველად ცნობილი მეცნიერებისაგან. კომლზე გადასახადი, როგორა-

* Подоходный налог.

დაც დღევანდლამდე ჩვენშია, ანუ ქუდზე-კაცად, როგორადაც აქამდე იყო რუსეთში, მეტნაკლებობას ქონებისას არ დაგიდევდათ, იმიტომ რომ ხარჯის მხდელი იყო კომლი, ანუ ქუდზე-კაცი, იმისდა მიუხედავად, რა ქონებისაა ან ერთი, ან მეორე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხარჯის ფული ერთნაირად გაიწერებოდა ხოლმე ან კომლეულად ან ქუდზე-კაცად და მერე თვით ხარჯის მხდელებზე იყო მინდობილი გაწერილი ფული გაინაწილონ ერთმანეთში, როგორც უნდათ, და ამ განაწილებაში ღარიბი უფრო იჩაგრებოდა, ვიდრე მდიდარი. ეხლა-კი განზრახულია ეს პირდაპირი ხარჯი ახდევინონ მარტო ქონების კვალობაზე. თვით სახელწოდება საადგილმამულო გადასახადისა გვაჩვენებს, რომ აქ ქონებად იგულისხმება ადგილ-მამული და არა სხვა რაიმე მოძრავი კუთვნილება და მარტო ამით განირჩევა სხვა იმგვარ პირდაპირ გადასახადისაგან, რომელსაც ჩვენ ერთობ გადასახადი შემოსავლისა ვუწოდეთ ზემოთ.

რადგანაც საადგილმამულო გადასახადი ერთი დარგია ერთობ შემოსავლის გადასახადისა და განირჩევა სხვისაგან მარტო მით, რომ აქ გადასახადს საქმე მარტო ადგილ-მამულთანა აქვს და არავითარ სხვა ქონებასთან, ამიტომაც ძირეული საგანი საადგილმამულო გადასახადის სისტემისა, მისი ქვაკუთხედი, უნდა იყოს მხოლოდ წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა. სახელმწიფომაც და ეროვნებამაც აქედამ უნდა ართვან მამულის პატრონს და მფლობელს თავიანთი ნაწილი და მამულის პატრონსაც ამაში უნდა ჰქონდეს ღონე ხარჯის ხდისა და გაძღოლისა. სხვაფრივ საადგილმამულო გადასახადი არამც თუ არ აიგება, არც კი იგულისხმება.

მაშასადამე, საადგილმამულო გადასახადის პირველ და უკანასკნელ ხარისხის საგანი წმინდა შემოსავლის აღნუსხვა და გამორკვევაა. უამისოდ იგი ერთ ბიჯსაც ვერ წარსდგამს თავისის დანიშნულების განსახორციელებლად. რასაკვირველია, შესაძლოა აიღოს კაცმა და სთქვას: აი დღიურზედ ამდენი იხადეო, მაკრამ თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არის, მართალია, მრთმეველს ყოველთვის ის სურვილი ამოქმედებს,

რომ მეტი ართოს, მაგრამ არც მძლეველი უნდა იყოს ამ შემთხვევაში დავიწყებული, რადგანაც ამასაც ის სურვილი აქვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები აძლიოს.

რადგანაც ბუნება საქმისა ერთს იქითა სძლევს და მეორეს აქეთ, ერთადერთი ღონე მორიგებისა და ერთმანეთში განწყობისა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ორივენი იმაზე შესდგნენ, რაც შესაძლებელია ერთისაც და მეორისათვისაც. ამ შესაძლებელს მარტო ნამდვილად გამორკვეული და გამოძიებული წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა გვაჩვენებს მხოლოდ. იმიტომ რომ წმინდა შემოსავალი ერთის მხრით თუ წყაროა იმ ნაწილისა, რომელიც გადასახადად გამოსართმევია, იმავე დროს ძალ-ღონეა ხარჯის მხდელისა, რომლითაც იგი გაუჭირვებლივ უნდა უძღვებოდეს გადასახადს. ეს ორი თვისება საადგილმამულო გადასახადისა ერთმანეთთან განუყოფელად შეთვისებულია. ერთს ვერ განაშორებთ მეორისაგან ისე, რომ მთელი აგებულება და შენობა საადგილმამულო გადასახადის სისტემისა არ დაიფუშოს და წყალს წასაღებად არ მიეცეს. ამასთან ისიც სათქმელია, რომ სისტემა საადგილმამულო გადასახადისა, როგორც ყოველისავე სხვისა, ნაკლებად გაწერას-კი აიტანს და გადაჭარბებით-კი ვერა. ამიტომაც წმინდა შემოსავალს ადგილ-მამულისას წინდახედული და გონივრული საფინანსო სისტემა დიდის სიფრთხილით, დიდის გამოძიებით და შიგ-ჩახედვით იკვლევს, და თუ გაჭირდა და საქმის ვითარების გამო ნამდვილი ვერ გამოარკვია ზედმიწევნით, უფრო ადვილად ჰრჩეობს ნაკლებ შემოსავალზე დასდგეს, ვიდრე საეჭვოდ განდიდებულზე.

რადგანაც ნაკლებ შემოსავალზე დამყარება ამ შემთხვევაში მოასწავებს დაკლებას სახელმწიფო თუ საერობო შემოსავლისას, გვეტყვიან, რომელი ფინანსთა სამინისტრო გასწევს ამისთანა უანგარიშობასაო? ჩვენ ვუპასუხებთ: ყოველი იგი სამინისტრო, რომელსაც იმოდენა გონება აქვს იცოდეს, რომ სახელმწიფოს თუ ერობის გამდიდრება არ შეიძლება აშენდეს ხარჯის მხდელთა გაღარიბებასა და გათახსირებაზე. ეს იმას ეგვანება, რომ კაცმა კვერცხის გამოღების სიხარბით ქათამი დაჰკლას.

II

ტფილისი, 11 მარტი, 1900 წ.

ჩვენ ამას წინათ, როცა ვარჩევდით რა ბუნებისაა საადგილმამულო გადასახადი, იმაზე შევდექით, რომ პირველი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სისტემა ამ გადასახადისა, წმინდა შემოსავალია ადგილ-მამულისა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, რომ წმინდა შემოსავალი ამ შემთხვევაში თვითეულ ცალკე კუთვნილებისა ცალკე იყოს გამორკვეული და ანუსხული. მაშინ გაწერა გადასახადისა უფრო შეუცდომელი და უმეტნაკლებო იქნებოდა თვითეულ ცალკე ხარჯის მხდელისათვის. ხოლო ეს მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ნამეტნავად ჩვენში, საცა თვით რაოდენობა კუთვნილებისაც-კი ცხადად არ არის გამოანგარიშებული და ბევრმა არც-კი იცის, რამდენი მამული აქვს.

თუ ეს ასე ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, მაშინ როგორ და რა გზით უნდა გამოირკვეს, — სად რა წმინდა შემოსავალია, რომ ამაზე დაფუძნდეს საადგილმამულო გადასახადის შესაფერი მეტნაკლებობა?

საადგილმამულო გადასახადის გაწერისათვის ყველგან საკმაოდ მიღებულია იცოდნენ, მარტო ორთა-შუა რიცხვი წმინდა შემოსავლისა, რომელისამე ადგილისა, მაზრა იქნება, გუბერნია, თუ სხვა რამ სივრცე ამისათვის აღებული. რაც უფრო დიდი სივრცეა ამ შემთხვევისათვის აღებული, მით უფრო, რასაკვირველია, ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ძნელი გამოსაყვანია შეუცდომელად და ზედმიწევნით, იმიტომ რომ დიდს სივრცეზე დიდი სხვადასხვაობაა მიწის ნაყოფიერებისა, ჰავისა და სხვა იმისი, რაც შემოსავლის მეტნაკლებობაზედ მოქმედებს, და ეს სხვადასხვაობა ჩვენში უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე შიდა-რუსეთში. რომ ამისთანა შემთხვევაში მართალს შორს არ ჩამორჩნენ და რაც შეიძლება ახლო მიუვიდნენ, ორთა-შუა წმინდა შემოსავალის გამოსაანგარიშებლად და გამოსარკვევად მარტო ორთა-შუა სახის (ტიპის) მამული უნდა აღმოაჩინონ და ამისათვის ორი გზაა: ერთი იმ შემთხ-

ვევისათვის, თუ ვინიცობაა, დანიშნული სივრცე,—მაზრა იქნება, გუბერნია ან სხვა რამ რაიონი,—მიწის ნაყოფიერებით, ჰავით და სხვა გარემოებით, მაგალითებრ, ბაზრით, გზებით და სხვა ამისთანაებით იმოდენად ერთნაირია, რომ შიგა და შიგ სხვადასხვაობა არ მოქმედებს შემოსავლის მეტნაკლებობაზე. ამისთანა შემთხვევაში აღმოჩენა ორთა-შუა სახის მამულისა და მისის შემოსავლის ზედმიწევნით აღნუსხვა ძნელი არ არის. ამ გზით აღმოჩენილ ორთა-შუა სახის მამულის შემოსავალს გამოარკვევენ ხოლმე და ესეთი გამოკვლევა დაიდება ხოლმე მთელის დანიშნულ რაიონისათვის იმ ორთა-შუა წმინდა შემოსავლად, საიდამაც საადგილმამულო გადასახადმა თავისი წილი უნდა აიღოს და ხარჯის მხდელმაც თავისი ღონე ხდისა მოიპოვოს.

ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, დანიშნული რაიონი იმოდენა სხვადასხვაობას წარმოადგენს, რომ ერთი რომელიმე მამული ცალკე ვერ გვანიშნებს, ვერ გამოხატავს ორთა-შუა სახეს მთელის დანიშნულ სივრცისას, მაშინ საჭიროა მთელი სივრცე დაიყოს იმდენ დარგად, რამდენიც სხვადასხვაობის მიხედვით ორთა-შუა სახე მამულებისა გამოკვლევით აღმოჩნდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმაოა სამი დარგი ორთა-შუა სახის მამულებისა გამორკვეულ იქნას მცირე შემოსავლიანისა, შუათანისა და დიდ შემოსავლიანისა, თუ ერთი ოშვიათი რამ გარემოება მეტ დარგებად დაყოფას არ მოინდომებს. თვითეულის დარგის შემოსავალი ცალკე გამოირკვევა ხოლმე და ამ სამის დარგის შემოსავლიდამ ერთი ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოიყვანება და ეს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი დაიდება ხოლმე საფუძვლად საადგილმამულო გადასახადისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორსავ შემთხვევაში ანგარიშში ჩასაგდებია მხოლოდ ორთა-შუა სახის ადგილ-მამული, და ყოველი იგი, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია შემოსავლით და განსაკუთრებით კარგს და ხელსაწყობს გარემოებაშია, ანგარიშში მიღებული არასოდეს არ უნდა იქმნას ორთა-შუა წმინდა შემოსავლის დადგენაში, თუმცა საადგილ-

მამულო გადასახადი კი თავისის დიდ შემოსავლის კვალობაზე უნდა იხადოს. ამაზე საუბარი მერე გვექნება.

ეხლა-კი უნდა ვთქვათ, რომ რა გზობითაც უნდა იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, სახელმწიფო და ერობა ამ შემოსავლიდამ თავისს წილსა აღნიშნავს ხოლმე ასის თავობით, ესე იგი, პროცენტით. ვთქვათ, გამოირკვა, რომ დღიურზე ორთა-შუა შემოსავალი ერთი მანეთია, ვთქვათ. რომ ასის თავი საადგილმამულო გადასახადისა ორია, მაშინ შემოსავლიდამ ორი კაპეიკი ერგება საადგილმამულო გადასახადს. რადგანაც შემოსავალი გამორკვეულია დღიურზე, მაშასადამე, ხარჯის მხდელს გადასახადი დღიურზედ ორი კაპეიკი მოუვა. ამ სახით გადასახადი, გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავლისაგან, მერე დღიურობაზე გადადის და დღიურობით გაიწერება ხოლმე. ჩვენში საანგარიშოდ მიღებულია დესეტინა და, მაშასადამე, რაც აქ დღიურობით არის ნათქვამი, იგი დესეტინობით საგულისხმებელია, მხოლოდ ერთი-ორად-კი, რადგანაც ორი დღიური ერთის დესეტინის ტოლია.

III

ტფილისი, 15 მარტი, 1900 წ.

ჩვენ წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ საჭიროა გამოირკვეს ორთა-შუა სახის მამულის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე. რა თქმა უნდა, ეს ორთა-შუა შემოსავალი ვენახისა სხვაა, სახნავისა, ტყისა, საძოვრისა სხვა. ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სიმართლით გაწერისათვის უფრო სასურველია, რომ ამ თვითეულ ცალკე დარგის მამულისათვის ცალკე იყოს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოყვანილი და თვითეულის კვალობაზე ცალკე დანიშნული იყოს იგი წილი ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა, რომელიც საადგილმამულო გადასახადმა უნდა ირგუნოს თვითეულ ცალკე დარგის მამულის დღიურისაგან, ესე იგი, ვენახის დღიურზე, სახნავისა,

ტყისა და საძოვრისაზე ცალკე. მაშინ ვისაც რამდენი დღიური აღმოუჩნდება თვითეულ დარგის მამულისა, იმის კვალობაზე გამოერთმევა საადგილმამულო გადასახადი იმ დარგის მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავლიდან, ღღიურობაზე გამორკვეულიდამ.

ეჭვი არ არის, რომ ეგრეთი განთვითეულება ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა და აქედამ ეგრე დარგ-დარგად გაწერა საადგილმამულო გადასახადისა, უფრო შეუცდომელი, უფრო ზედმიწევნილი და მართალი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ამა სხვადასხვა დარგის მამულის შემოსავალს ერთმანეთში აურევენ და აქედამ ერთს ორთა-შუა წმინდა შემოსავალს დაადგენენ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდ მეტნაკლებობით გაწერა აუცილებელია და ასეთი დიდი მეტნაკლებობა უსამართლობა იქნება, მით უფრო არა სასურველი, რომ ამ გზით მცირე შემოსავლიანი მამულის პატრონი დაიჩაგრება და დიდ შემოსავლიანი-კი იშეღავათებს.

უამისოდაც ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, რაც გინდ ზედმიწევნით გამორკვეული იყოს, მაინც მცირე შემოსავლიან მამულისათვის მეტი იქნება და დიდ შემოსავლიანისათვის ნაკლები. ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სისტემის დადგენის დროს უნდა მორიგებულ იყვნენ, რომ მამულების დარგ-დარგ დაუყოფლობით უფრო არ გაძნელდეს სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა, ხოლო დარგ-დარგ დაუყოფლობით სამართლიანი და შეტოლებული გაწერა რომ გაძნელდება — ეს აშკარაა.

გვეტყვიან, თუნდ დარგ-დარგად იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, მაინც ხომ ორთა-შუა შემოსავალთან ექმნება საქმე საადგილმამულო გადასახადის სისტემას და აქაც ხომ ორთა-შუობის თვისება ის არის, რომ ყოველთვის უმცირესსზე მეტია და უდიდესზე ნაკლები. მაშასადამე, სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა აქაც იმავ ჭირშია, რაც პირველ შემთხვევაში. მართალია, მაგრამ აქ ეს აუცილებელი ჭირი ადვილად ხელში დასაჭერია და, მაშასადამე, ადვილად ასაცილებელიც.

ვთქვათ, გამოირკვა, რომ მთელ ამიერკავკასიაში ორთა-შუა სახის მამული დღიურზე იძლევა ორთა-შუა წმინდა შემოსავალს: ვენახი 10 მანეთს, სახნავი ორ მანეთს, ტყე და საძოვარი თითო მანეთს. ვთქვათ საადგილმამულო გადასახადი ორია შემოსავლის ასის თავზე. მაშინ გადასახადი დღიურ ვენახზე მოვა ერთი აბაზი, სახნავზე ოთხი კაპეიკი, ტყესა და საძოვარზე ორ-ორი კაპეიკი. ვთქვათ, ვენახები 50.000 დღიურია, სახნავები სამი მილიონი დღიური, ტყე და საძოვარი ოთხი მილიონი. ამის კვალობაზე ამიერკავკასიის საადგილმამულო გადასახადი სულ ერთად შეადგენს 210.000 მანეთს წელიწადში. რომ არ აგვიჭრელდეს მაგალითი, ვთქვათ, რომ ამიერკავკასიაში სულ ხუთი გუბერნიაა. ეს 210.000 მანეთი ხუთს გუბერნიაზე უნდა გაიწეროს. როგორ? განა პირდაპირ ხუთად უნდა გაიყოს ეს 210.000 მანეთი? არა, პირდაპირ ხუთად რომ გაიყოს, მაშინ ცოდვაა იგი გუბერნია, რომლის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე ნაკლებია და იგი გუბერნია, საცა ეგ შემოსავალი მეტია, იშელავათებს. ამ უსამართლობას ყოველთვის ერიდება წინდახედული საფინანსო სისტემა და თავისს დღეში არ შეიწყნარებს, თუ უნდა, რომ ერთობ საადგილმამულო გადასახადს თავისი გზა და სამართალი არ დაუკარგოს.

ამიტომაც უმაღლესი დაწესებულება, რომელსაც მიენდობა ხოლმე ამისთანა საქმეების გამგეობა, ადრიანვე შეკრებილ ცნობებისადა-გვარად დღიურზე შეახვედრებს გადასახადს ზოგს გუბერნიას მეტს და ზოგს ნაკლებს,. და ამ გზით ზოგს გუბერნიას იმ 210.000 მანეთიდამ ბევრი შეხვდება გადასახადი, ზოგს ნაკლები ყოველ თვითეულს დღიურზე, რაცკი გუბერნიაშია, იმისდა მიხედვით. ამ გზით მეტნაკლებობა გადასახადისა დღიურის კვალობაზე გუბერნიათა შორის სწორდება და გადასახადი შეტოლებით ჰხვდება თვითეულს ცალკე გუბერნიას. ამიტომაც ვხედავთ შიდა-რუსეთში, რომ ზოგი გუბერნია დესეტინაზე იხდის 5 კაპ. სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადს, ზოგი 3-ს, ამაზე ნაკლებსაც. ასე რომ ზოგს $^1/_2$, $^1/_4$, და $^1/_8$ კაპეიკამდე მოსდის დესეტინაზე.

საადგილ-მამულო გადასახადის სიმართლე ამასაც არა სჯერდება, ამასაც არა ჰკმარობს. იგი უფრო შორს მიდის და მეტს თანასწორობასა და შეტოლებას თხოულობს. ვთქვათ, გუბერნიაში ხუთი მაზრაა და აქაც ხომ შესაძლოა ერთის მაზრის ორთა-შუა სახის მამულმა მეტი ორთა-შუა წმინდა შემოსავალი იძლიოს დღიურზე და მეორისამ ნაკლები და აქაც ერთნაირად გაწერა გადასახადისა დღიურზე ერთისათვის ცოდვა იქნება და მეორისათვის უსამართლო მადლი. ვთქვათ, ხუთ მაზრიანს გუბერნიას ერთობილ გადასახადისაგან შეხვდა 40.000 მანეთი ზემოხსენებულ ანგარიშით, თვითო მაზრას აქედამ 8.000 მანეთი შეხვდება, პირდაპირ ხუთად რომ გავყოთ იგი 40.000 მანეთი. ხოლო ესეთი გაყოფა უსამართლობა იქნება, რადგანაც, როგორც ზემოთა ვთქვით, ზოგი მაზრა ორთა-შუა შემოსავლით მდიდარია. ზოგი ღარიბი. რომ ეს უსამართლობა არ მოხდეს, დაწესდება ხოლმე საგუბერნიო კრებული გადასახადისა*, რომელმაც გუბერნიაზე გაწერილი გადასახადი თვითეულ მაზრას იმოდენად უნდა შეახვედროს, რამოდენადაც თვითეულ მაზრის ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ორთა-შუა სახის მამულისა გამოირკვევა. ამნაირად მეტ-ნაკლებობა გადასახადისა, დღიურზე სწორდება მაზრათა შორისაც და უტოლდება ერთმანეთს. ამის გამო ერთს მაზრას გუბერნიის ერთობილ გადასახადისაგან მეტი შეხვდება ხოლმე და მეორეს ნაკლები.

ესეც კიდევ არა კმარა, თუ სასურველია, რომ საადგილ-მამულო გადასახადმა თავისი გზა და სამართალი ბოლომდე შეირჩინოს და ერთს ხარჯის მხდელს მეტი არ შეხვდეს და მეორეს ნაკლები, რადგანაც, როგორც გუბერნიაში, ისეც მაზრაში ორთა-შუა წმინდა შემოსავალთან გვაქვს საქმე და თვითეულ ცალკე მამულის ორთა შუა წმინდა შემოსავალი ზოგან ერთსა და იმავე მაზრაში მეტია, ზოგან ნაკლები. ამიტომაც სასურველია, რომ თვითეულ ხარჯის მხდელს მეტნაკლებობა გადასახადისა წმინდა შემოსავლის მეტნაკლებობის კვალობაზე გაეწეროს დღიურზე. ამის გამო სისტემა საადგილმამულო გადასახადისა საჭიროდ ჰხედავს დაა-

* Губернское податное присутствие.

წესოს სამაზრო კრებული გადასახადისა*. ევროპაში ეს სამაზრო კრებული თვითეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას გაუნაწილებს ხოლმე მაზრაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე საზოგადოების ორთა-შუა წმინდა შემოსავლის მიხედვით და იმ საბუთით, როგორც გუბერნია მაზრას უნაწილებს მეტნაკლებობის შესწორებისა და შეტოლებისათვის, სოფლის საზოგადოების კრებული გადასახადისა თავისის მხრით საზოგადოებაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე მემამულეს უნაწილებს თავის მიდამოში მის და წმინდა შემოსავლის კვალობაზე. ამ სახით და ამგზით თვითეული ცალკე მამული თითქმის ზედმიწევნით აინუსხება ხოლმე საადგილმამულო გადასახადის მაგარ ნიადაგზე დაყენებისათვის და ხარჯის მხდელს მიზეზი არა რჩება ან უკმაყოფილებისა, ან საჩივრისა, იშვიათს შემთხვევის გარდა, რადგანაც ყველანი შესწორებულნი და შეტოლებულნი არიან, რამოდენადაც-კი ეს კაცთა ხელთაგან შესაძლებელია ამ წუთისოფელში.

ამ გზით სოფლის საზოგადოების თვითეულ მემამულეზე ცალკე გაწერილმა გადასახადმა, ერთად თავმოყრილმა, უნდა შეავსოს ის ჯამი გადასახადისა, რაც სოფლის საზოგადოებას მაზრისაგან შეხვდა, მაზრამ რაც გუბერნიისაგან, გუბერნიამ რაც უმაღლეს დაწესებულებისაგან და მთლად კი უნდა შესდგეს მთელი რიგი 210.000 მანეთი, რაც ჩვენ მაგალითად ავიღეთ ვითომდა მთელ ამიერკავკასიისათვის.

გადასახადის განაწილებაზე რომ ვლაპარაკობდით, ცალცალკე აღარ ვახსენეთ ვენახი, სახნავი, ტყე და საძოვარი. არ გვინდოდა ტყუილ-უბრალოდ აგვეჭრელებინა ჩვენი წერილი, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილი იყო დაგვენახვებინა მკითხველისათვის მარტო იგი გზა, რომელზე სვლით საადგილმამულო გადასახადი თავისს სიმართლეს და სისწორეს მიაღწევს ხოლმე. ჩვენა გვგონია, რომ რაცა ვთქვით, ის ამისათვის საკმაოა და ერთნაირად მიეჩემება ყოველ დარგს მამულისას, გუბერნიაში იქნება, მაზრაში, თუ სოფლის საზოგადოებაში თავ-თავისს კვალობაზე.

* Уездное податное присутствие.

სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა

I

ტფილისი, 5 ივნისი, 1887 წ.

ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმალის ტრიალი.

ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა, ესე იგი იმისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას. დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე; დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდ ხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულზვიადად არის, რომ გაბედულად და კადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო პოლიტიკისას და საითაც გაბწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა, ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე კი არ არის, არამედ გატენილი ჯიბეა. არც

ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთი-ორად და ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერთი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ-კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა.

დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს. დღევანდელს ბრძოლას და ცილობას სახელმწიფოებისას დღეს სარჩულად უფრო ეს სიხარბე უდევს, ვიდრე სხვა რამ; ამისთვის იღწვიან, ამისთვის ემზადებიან, ამისთვის თოფ-იარაღს ხელსა ჰკიდებენ.

დიპლომატიამ დიდი ხანია მიაგნო ამ საეკონომიო გარემოებათა ძალმომრეობას, დიდი ხანია იცნა მისი ძალ-ღონე სახელმწიფოს ძლიერების მეტნაკლებობისათვის. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზე და სხვისას კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეტოს.

პირველის აზრის მისაღწევად ის ღონე იხმარეს, რომ საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოსი კოლონიების და სხვა ქვეყნების დაპყრობაზედ მიჰმართეს, სახელდობრ იმისთანა ადგილებისაზედ, საცა და საიდამაც საქონლის მიტანა და მიწვდენა თავისუფლად შეიძლებოდა აღებ-მიცემობის გასამართავად, — და მეორის მისაღწევად ისა, რომ თავ-თავის სახელმწიფოებს საბაჟო ზღუდეები შემოავლეს. პირველ ხანებში პირველს მიმართულებას უფრო უპირატესი და უაღრესი ადგილი ეჭირა ევროპის პოლიტიკაში და ყოველი სახელმწიფო,

რომელსაც კი (როგორც, მაგალითებრ, ისპანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას) გზა თავისუფალი ჰქონდა ზღვებზედ სავლელად, მიესია სხვა შორეულს ქვეყნებს დასაპყრობად, და ვისაც ზღვის გზა არა ჰქონდა, როგორც, მაგალითებრ, რუსეთს, მან ზღვებისაკენ გაიწია, რომ კარი გაიღოს შინიდამ გარეთ გასასვლელად.

ეს მიმართულება ერთს დროს ისე გაძლიერებული იყო, რომ თვითეული დიდი სახელმწიფო თითქმის მარტო ამისათვის იყო მოცლილი და თითქმის მარტო ამას ალევდა თავის ძალ-ღონესა. მაშინ, ვინც რა მოასწრო და შეირჩინა, დღეს თვითეულს ხელთ უპყრია და მაგრად ეჭიდება. მას აქეთ ეს მიმართულება ცოტად თუ ბევრად განელდა, დაწუნარდა, ჯერ იმიტომ — რომ თითქმის რაც სახარბიელო ადგილები იყო, უკვე დაჭერილია, და მერე იმიტომ — რომ თვითონ კვლავ დასაჭერი ქვეყნები თავგამოდებით ეურჩებიან უცხოთა ზედმისევასა და ისე ადვილად აღარ უვარდებიან სხვას ხელში, როგორც უწინ. ამას გარდა, თვით სახელმწიფოთა შორის ცილობა და შური ყველგან მოსარჩლეს უჩენს დასაჭერად ნიშანში ამოღებულს ქვეყანასა, თუ ერთი მათგანი სხვის დაუკითხავად წაეტანა. დასაჭერი ქვეყნები ამ სარჩლში, შურისა და ცილობისაგან გამოწვეულში, თავის დასახსნელს ღონესა ჰპოებენ, როცა გაუჭირდებათ ხოლმე.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, ამ მიმართულებისაგან მოიკალა სახელმწიფოთა პოლიტიკამ და ცოტად თუ ბევრად სხვა პოლიტიკისათვის ადგილი დაათმობინა. დიპლომატიამ იგრძნო, რომ დაზიანება სხვა სახელმწიფოსი მარტო იმით არ მოხდება, რომ სხვაგან ბევრს ადგილას ბინა და ფეხი მოიკიდოს საალებ-მიცემოდ; შესაძლოა მოცილე და სამტროდ თავგამოდებული სახელმწიფო სხვა გზითაც შეჰხუთოს. ეს გზა ის არის, რომ მისი საქონელი თავის საზღვრებში არ შემოუშოს, არ გააჭაჭანოს, ამისათვის ტამოჟნები და საბაჟოები დაჰმართონ და ამით ბაზარი აღებ-მიცემობისა ცოტად თუ ბევრად მოაკლონ და დაუკეტონ.

ძალმომრეობა ტამოჟნებისა და საბაჟოებისა დიდია ქვეყ-

ნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. საბაჟო გადასახადის მეტნაკლებობაზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, ისეც თვით ბაჟის დამდებისათვისაც. ამ ბაჟს შინაც და გარეთაც ბევრი წყენა შეუძლიან, თუ კაცი გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად მოიქცა. რადგანაც ესეა, დღეს თვითეული მოცილე სახელმწიფო ჰცდილობს თავის მოპირისპირეს ამ მხრით ავნოს რამე და საქონელს, რომლის სიმრავლითაც მოპირისპირე სახელმწიფო ცხოვრობს და იკვებება, იმოდენა ბაჟი დასდოს, რომ სახსარი და ილაჯი არა ჰქონდეს გაიჭაჭანოს ბაჟის დამდებს სახელმწიფოს ბაზარში.

ეს ორპირი მახვილია, თუ ზოგიერთს მეცნიერებს ვკითხავთ: ერთის პირით სახელმწიფო ჰვნებს სხვას და მეორითა თავის საკუთარს თავსაო. ასეა თუ არა, ამას შემდეგ წერილებში გამოვიძიებთ შეძლებისამებრ.

II

ტფილისი, 6 ივნისი, 1887 წ.

ჩვენა ვსთქვით, რომ უცხო ქვეყნების საქონლის შემოტანაზედ დადება ბაჟისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გადასახადისა, ახალი ამბავი არ არის კაცობრიობისათვის. ეგ ბაჟი, ანუ გადასახადი, არამცთუ გარედამ შემოსატან საქონელზედ იყო უწინ, არამედ შინაურს საქონელზედაც. ამიტომაც შინაც ზოგიერთგვარ საქონლისათვის ჰქონდათ ხოლმე გამართული საბაჟოები და ზოგიერთი საქონელი ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთის ადგილიდამ მეორეში ვერ გადავიდოდა უბაჟოდ. ამ უკანასკნელმა წყობილებამ თავისი დრო მოიჭამა და დღეს პირველსაჭიროდ სახმარი საქონელი ყველგან ამ ბაჟისაგან დახსნილია. თუ არის კვლავ რაზედმე, მარტო იმისთანაზედ, ურომლისოდაც კაცს გაუჭირებლად ცხოვრება შეუძლიან და რომელიც უფრო განსაცხრომია და საქეიფო, ვიდრე საჭირო, მაგალითებრ, არაყი, თამბაქო და სხვა მისებრი.

ჩვენ ამ შინაურს ბაჟზედ დღეს სიტყვის ჩამოგდება არ გვინდა. ჩვენი სურვილია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს ზოგიერთი რამ იმგვარს ბაჟზედ, რომელიც უცხოთა ქვეყნების საქონელზეა მიმართული. ამგვარი ბაჟი განსაკუთრდა მეშვიდმეტე საუკუნეში და სულ ცალკე, საკუთრად მისი შესაფერი წყობილება მიიღო. ამ ბაჟს ეხლა „სატამოჟნო“ ბაჟს ეძახიან და თუ საქონელმა რომელსამე ქვეყანაში შემოსავლის უმალვე ეს ბაჟი არ გადიხადა, ბაზარში ვერ გაიჭაჭანებს.

თავდაპირველად ამგვარის ბაჟის დადგენას და შემოღებას მარტო საფინანსო მიზეზი და საბუთი ჰქონდა, როგორც სხვა ყოველგვარს ბაჟსა. სახელმწიფო ჰფიქრობდა ამით ერთი მეტი წყარო ჰქონიყო შემოსავლისა და დღეს ეს არა-პირდა-პირი გადასახადი კარგა დიდს ლუკმას იძლევა სახელმწიფო ხაზინისათვის, თუ კი სახელმწიფოს ეს საქმე კარგად მოწყობილი აქვს. ხოლო თვით საქმის მსვლელობამ დროთა განმავლობაში აჩვენა სახელმწიფოს მმართველთა, რომ ეს სატამოჟნო ბაჟი არამც თუ საფინანსო, არამედ საპოლიტიკო და საეკონომიო აზრითაც შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს. მიაგნო, რომ შესაძლოა ამით უმტრონ კიდევ სხვა სახელმწიფოსა, რომელსაც საქონელი შემოაქვს, და შემწეობაც აღმოუჩინონ შინაურს მრეწველობასა გაძლიერებისათვის.

ქვეყანა ისეა განგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებულ ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთაშორისი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა.

რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი

იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრეთწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო.

აქედამ აშკარადა სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთაშორისო აღებმიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი სწორედ აქა და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან. აი, მაგალითად, თუნდ ინგლისი ავიღოთ. ეკონომიური ძალ-ღონე საკუთრივ ინგლისისა საფაბრიკო და საქარხნო საქონელია. ამგვარი საქონელი ისე ბლომად აქვს, რომ ძლივძლივობით ასაღებს ამ მთელს ქვეყნიერობაზედ. ვსთქვათ ამისთანა დიდმა სახელმწიფომ, როგორც რუსეთია, რომელსაც ასი მილიონი მკვიდრი ჰყავს, არ შემოუშვა ინგლისის საქონელი თავის ქვეყანაში და კარები გამოუგულა. აშკარაა, ასის მილიონის მუშტრის მოკლება დიდად საგრძნობელია და საზიანო უნდა იყოს თუნდ იმისთანა სახელმწიფოსათვის, რომელსაც სხვა ბაზრებიც აქვს თავისის გონიერებით წინადვე დაჭერილი. რამოდენადაც ეს ასი მილიონი მუშტარი სიმდიდრეს შესძენდა ინგლისს, როცა მის საქონელს იყიდდა, სწორედ იმოდენად გააღარიბებს, როცა აღარ იყიდის, და გაღარიბება ხომ უღონობაა. უღონობა მტრისა, თუმცა ღონეს არა ჰმატებს მოპირდაპირესა, მაგრამ ძლევის იმედს კი უძლიერებს და მტერს გზიდამ აცლის.

რასაკვირველია, სახელმწიფონი, რომელნიც საომრად გადაკიდებულნი არ არიან, ვერ გაუბედვენ თავისის ქვეყნის კარები გულახდილად და პირდაპირ ჩაუკეტონ ერთმანეთსა, რაც უნდა სამტროდ გული უცემდეთ. ესეთი ქცევა შესაძლოა ომის მიზეზადაც შეიქმნეს და ჩვეულებად მიღებული

არ არის ევროპის პოლიტიკაში. რომ ეს ასე არ მოუხდეთ, სხვა გზით მოუვლიან ხოლმე საქმეს, როცა ერთსა ჰსურს მეორეს ავნოს და ზიანი მიაყენოს. ღონედ რასაკვირველია, ისევ იმ „სატამოჟნო ბაჟსა“ ჰხმარობენ. სხვის საქონლის დენას გზა რომ გადუღობონ, აიღებენ ხოლმე, ამ ბაჟს იმოდენად გაადიდებენ, და მით საქონლის ფასს იმოდენად ასწევენ, რომ კაცი დღის სავალზედაც ვერ მიეკარება.

იტყვიან, ეგ ხომ ისევ ის კარის დაკეტა გამოვიდაო. მართალია, მაგრამ აქ ერთი იმისთანა პატივსადები მიზეზი მოჰყავთ ხოლმე, რომ გულნატკენს სახელმწიფოს ხმაც ვერ ამოეღება, თუმცა გულში კი ჰგრძნობს, რომ მოპირისპირე ერთსა ჰკაკანებს და კვერცხს-კი სხვასა სდებს. მიზეზად იმას ამბობენ, რომ იმ საქონლის შექმნა, რაც სხვიდამ შემოგვაქვს, ჩვენც შეგვიძლიანო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვისი საქონელი ჩვენს შინაურს ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა; როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდამ დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება, და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც როგორც გიჭირს, ისეც გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა, მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონვე გაჰყიდის და იყიდისო. ამ სახის ერის პირიდამ გავარდნილი ლუკმა მის ჯამშივე ჩავარდებაო.

რა თქმა უნდა, რომ როცა სახლში შიმშილით ბალღები გიტირიან, მაშინ ტაბლის გარეთ გატანა სულელობაა; როცა კაცს თვითონვე შეუძლიან თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება, თვითონ გულხელი დაიკრიფოს და გამოსარჩომი სხვას დაანებოს. მაგრამ საკითხავი ეს არის, მართლა ეგრე-კი მოხდება ხოლმე, როცა სხვის საქონელს ბაჟის შემოწმებით გზას არ აძლევენ?

მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ საკითხავს და ბევრი ჰო და არა ითქვა ამის გამო. დღეს ამ საგანზედ გადაწყვეტილი პასუხი არ არის მოცემული მეცნიერებისაგან. ამ საგანზედ ორგვარი წყობაა აზრისა, ერთმანეთის

მოპირისპირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან, და მეორეს პროტექციონობას. დღეს არც ერთს ჟურნალს და არც ერთს გაზეთს ისე ვერა ჰნახავთ, რომ ამ ორში ან ერთს სახელს არ ახსენებდეს და ან მეორესა. ამიტომაც არ იქნება ჩვენ მიერ მეტი გამოვირკვიოთ, რა იგულისხმება ან ერთს სახელწოდებაში, ან მეორეში. ეს გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ამ ბოლოს დროს ერთხელ ქებულს ფრიტრედერობას თითქო ზურგი შეუქცია და ერთხელვე გმობილს პროტექციონობას მოჰკიდა ხელი, იმოდენად თავისად გამოსარჩომად არა, რამოდენადაც სხვის სამტროდ და საზიანოდ.

III

ტფილისი, 9 ივნისი, 1887 წ.

ჩვენი გაზეთის №№ 112 და 113 ლაპარაკი ჩამოვაგდეთ ფრიტრედერობასა და პროტექციონობაზე, რომელნიც ორს სხვადასხვა ნაირს სისტემას შეადგენს შინაგანთა საქმეთა წყობისა და მსვლელობისათვის. რადგანაც დღეს არც ერთი პუბლიცისტი არ არის, რომ რომელსამე ჟურნალსა ანუ გაზეთში ან ერთს, ან მეორეს სისტემას არ ურჩევდეს თავის მთავრობასა, ამიტომაც საჭიროდ დავინახეთ ცოტად თუ ბევრად გვცოდნოდა. რაში მდგომარეობს ან ერთისა და ან მეორის არსება და ბუნება.

ამ ორსავე სისტემას ცალ-ცალკე დიდი ლიტერატურა მიუძღვის წინა; ბევრი რამ არის ერთსა და მეორეზედაც თქმული, მაგრამ ჩვენ ყოველს ამას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც სამეცნიერო ტრაქტატს არა ვწერთ. ამიტომაც ნუ დაგვემდურებიან, თუ ჩვენ მარტო მოკლედ ახსნას და განსაზღვრას მოვუნდებით თვითეულის სისტემისას.

ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებას. მოძღვრება მეცნიერო-

ბისა, რომელიც ჰქადაგებს აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ სააღებ-მისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი, — ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე, განგებ ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს. სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად მოსაპოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადო.

ამ მოძღვრებამ ფეხი აიდგა ევროპაში ადამ სმიტის* მეცადინეობითა. ეგ ადამ სმიტი მამამთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალხზედ აუყენებდა კაცობრიობას და კაცობრიობის სვე-ბედის გამგებელთა, რომელთაც

* ადამ სმიტი, საბელოვანი ინგლისელი პოლიტიკო-ეკონომი, გარდაიცვალა 1790 წ.

ხშირად შეჩვეული ჰირი ურჩევნიათ შეუჩვევარს ლხინსა. მით ამ ადამ სმიტის მოძღვრებას ბევრი არა დააკლდა-რა და თანდათან უფრო ძლიერ ფეხს იკიდებდა. ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში ინგლისში შესდგა კიდეც ცალკე დასი თავისუფალის აღებ-მიცემობის მომხრეებისა. სახელოვანებმა ინგლისელებმა კობდენმა, ბრაიტმა და სხვებმა შეადგინეს 1831 წელსა საზოგადოება, რომელსაც ეწოდებოდა ანტიკორნლაუ ლიგა და რომელნიც თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრების ძალით ჰთხოულობდნენ სამზღვარგარეთიდამ შემომავალს პურს ყოფილი ბაჟი სრულებით აეხსნასო. ეს პირველი იერიში იყო პროტექციონობაზედ მიტანილი.

ამ თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრებამ იმოდენად იმუშავა და იმოდენა თანაგრძნობა მოიპოვა, რომ როცა ინგლისში მთავარმინისტრად გახდა სერ რობერტ პილი 1841 წელსა, და მასთან ერთად მინისტრებად იყვნენ ველინგტონი და აბერდინი, მაშინ მაგ სამეცნიერო თეორიამ თვითონ ცხოვრებაშიც გზა გაიკაფა. ერთი უდიდესი სამსახური, რომელიც რობერტ პილმა გაუწია თავის ქვეყანასა, ის იყო, რომ 1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ. მისისავე მეცადინეობით გაუქმდა ეგრეთ წოდებული „ზღვათმსვლელობის კანონმდებლობა კრომველისა“, რომელიც ასე თუ ისე ჰხუთავდა აღებ-მიცემობის თავისუფალს მიდენ-მოდენასა.

მაშინ ამ ამბავს მიეგება მთელი ევროპა როგორც ძლევამოსილობას, გამარჯვებას ლიბერალობისას და მთელი ქვეყანა აქებ-ადიდებდა ძლევამოსილობის და გამარჯვების ჩამდენს სერ რობერტ პილსა, რომელმაც თვითონ ინგლისში ამით ისეთი სახელი მოიპოვა, რომ თაყვანსაცემელი გახდა უმრავლესობისაგან. ამ მოძღვრებას მოსარჩლენი გამოუჩნდნენ არა მარტო ინგლისში, საფრანგეთშიაც, ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე პაჟეს და სხვანი. დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი

გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვისმოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძველზედ შესდგა 1861 წ. აღებ-მიცემობის კონვენცია (ხელშეკრულება) ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

IV

თბილისი, 10 ივნისი, 1887 წ.

ევროპაში არსებობდა და მოქმედებდა უფრო თავისუფალი აღებ-მიცემობის სისტემა იმ დრომდე, ვიდრე გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს გადაეკიდებოდნენ. თ. ბისმარკი, რომელიც მანამდე ფრიტრედერობის მომხრე იყო, ამ სისტემას გადაუდგა საფრანგეთის გამოჯავრებით, და ერთს დროს გერმანიის კანონმდებლობა საბაჟო საქმეში პროტექციონობაზე მიიმართა და საფრანგეთის საქონელს ბაჟით მიდენ-მოდენის გზა შეუკრა გერმანიაში. რა თქმა უნდა, ერთის ქცევა მეორესაც ამასვე აქნევინებდა და ამ გზით დღესა ვხედავთ, რომ თითქმის თ. ბისმარკის წყალობით ევროპამ დაივიწყა სიკეთე ფრიტრედერობისა. დღეს ხელახლად თავი წამოჰყო და ფეხზედ წამოდგა წინათ უარყოფილი სისტემა პროტექციონობისა, ესე იგი იგი სისტემა, რომლის დაძლევაც დიდის სიხარულით მიღებულ იყო ამ ორმოცის წლის წინათ და მასზედ გამარჯვებული ფრიტრედერობა-კი — პატივცემული, როგორც სისტემა ლიბერალობის მოძღვრებისა.

პროტექციონობა ცოტად თუ ბევრად ერთს წინა წერილშიაც ავხსენით, რა არსებისაც არის. იგი იქიდამ არის წარმომდინარი, რომ შინაურს მრეწველობას მოპირისპირე მოაცალოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ სხვის ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-საბადებლის შოვნისა მოუმატოს. პროტექციონობა მოსარჩლეობაა, რადგანაც შინაურს მრეწველობას სარჩლს უწევს და ხელს უწყობს არსებობისა და გაძლიერებისათვის.

ყოველს ქვეყანას ან იმისთანა საქონელი შეაქვს და გამოაქვს სხვისაგან, რომელიც გადაკეთებულია საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობით სახმარ ნივთად, ან იმისთანა, რომელიც უნდა გადაკეთდეს ფაბრიკებითა და ქარხნებითა. მაგალითებრ, მატყლი მაუდის გასაკეთებლად, ან კიდევ პირდაპირ სახმარი, მაგალითებრ, პური. როცა თავისუფლად მიდენმოდენაა საქონლისა, მაშინ რომელისამე სახელმწიფოს შინაურს ბაზარში დიდი ცილობაა, და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოსა ჰრჩება, რომლის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იეფი. ერს ამისაგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა, იმიტომ რომ კარგს საქონელს იეფად ჰყიდულობს და მაშასადამე თავს ადვილად ირჩენს და იკვებავს.

პროტექციონელნი იძახიან,—ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ სხვის საქონელს ვსთქვათ, კარგსა და იეფსა, რომ ჩვენი ერი სხვისაგან ჰყიდულობს, ხომ საფასურად აძლევს რასმეო; რაკი აძლევს, სჩანს ჩვენის ერის სიმდიდრე გარეთ გადის, სხვას გააქვს და ის არ სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამშივე ჩავარდესო, სხვის საქონლის სასყიდლად გაღებული ქონება ისევ ჩვენს ერს შინ დარჩეს და თვითონ მოიხმაროსო; თუ ჩვენს ბაზარს სხვებისათვის როგორმე დავკეტავთ, ჩვენი ქონება ვაჭრობის გამო გარეთ აღარ გაიზიდება და ჩვენშივე დატრიალდებაო. გარდა ამისა, იგი საქონელი, რომელიც სხვისაგან შემოგვაქვს და მის სამაგიეროდ ჩვენი სიმდიდრე გარეთ გაგვაქვს, განა ჩვენში კი არ გაკეთდება, ჩვენში-კი არ შეიქმნებაო. რომ ჰკითხოთ: თუ ეგრეა, რატომ ეხლა-კი არა კეთდებაო? ამაზედ აი რა პასუხს იძლევიან: არა კეთდება იმიტომ, რომ სხვანი გვეცილებიან, სხვებს უფრო კარგი საქონელი მოაქვთ და უფრო იეფად ჰყიდიან, და რაკი ესეა, ცილობას ვერ გავუწევთო, რადგანაც კაცი იმას ეტანება, ვისაც კარგი და იეფი საქონელი აქვსო; ოღონდ საქონელი კარგი და იეფი იყოს და ვაჭრობაში იმას არ დაგიდევენ. ჩვენი კაცი ჰყიდის, თუ სხვა კაციო. თუ ამისთანა მოცილეს თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ კი საქმე სულ სხვა იქნება:

თვითონ ჩვენი ერი, კარგად იქნება თუ აეად, ხელს მოჰკიდებს საცილობელის საქონლის კეთებასა და ამ გზით თვითონ შინ გაგვემართება იგი მრეწველობა, რომლის უქონლობის გამო დღეს სხვანი ისე გვწოვენო. რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდის, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი შევიმაგროთ, მოვითმინოთ; ამ პირველ ხანების უკეთურებას და სიძვირეს ჩვენისავე სიკეთისათვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა და შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულის და გაძლიერებულის მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდრის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვის საქონლის სყიდვისა გამო გარეთ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დაგვრჩებაო.

რა გზით ნდომულობენ ამ ბედნიერების ჩამოგდებას პროტექციონელნი? ამისათვის ერთადერთი ღონეა „ტამოჟნა“, ესე იგი, საბაჟო. რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან-გამოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ჰხრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ ისეთი უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა.

ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდამვე დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა, და იქნება ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა-კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ბუნებითად იმისთანა რამ არის მუშტრისათვის, თუ თვითონ ვაჭრისათვის, რომ მარტო რგებას და გამორჩომას დაგიდევს და სხვა არაფერსა. ხოლო საქმე ის არის, რომ ხშირად ამ სისტემას

სხვა განზრახვითაც სჭიდებენ ხელსა და თავს-კი იმ საბუთებით ჰმართლულობენ, რაც ზევით მოვიხსენიეთ. დღეს თუ ამ სისტემის მომხრეობას გზა გაეხსნა ევროპაში, სხვა განზრახვის ბრალი უფროა, ჩვენის ფიქრით, ვიდრე, იმ საბუთებისა, რომელი ძალითაც პროტექციონობა ცოტად თუ ბევრად სახეში მისაღებია. დღეს ერთიმეორეს ამ გზით უთხრიან ორმოსა.

დღეს გერმანია რომ ბისმარკის ძალდატანებით რაც ძალი და ღონე აქვს პურზედ ბაჟს უმატებს და უმატებს, ვითომ რა აზრი და განზრახვა უნდა მოეჩხრიკოს ამ დაუდგრომელს მატებასა. გერმანიას, რომელიც პურის მოსავლის მიხედვით მდიდარ ქვეყნებში არ ჩაითვლება და რომელსაც, მაშასადამე, სხვის პური უჭირს, ამ ბაჟის მომატებით პური ხომ უნდა გაუძვირდეს. გაძვირება ხომ ღარიბის კაცის სულის შეხუთვას მოასწავებს. ნუთუ მართლა იგი გერმანია თავის ერს და ქვეყანას იმისთვინა სწირავს, რომ პურის მოსავალი შინ გაიძლიეროს! პური ხომ შამპანური ღვინო არ არის, რომ უმისობა გერმანიის ერმა ითმინოს იმ დრომდე, ვიდრე თვით ბევრს მოიყვანდეს, პური იმისთანა საჭიროებაა, რომ უიმისობა და შიმშილით სიკვდილი ერთია და მინამ პავლე მოვა. პეტრეს ხომ ტყავი გასძვრა!

თუმცა ეს ასრეა, მაგრამ თ. ბისმარკი შარშანდელს აქეთ სულ იმასა ჰცდილობს, პურს იმოდენა ბაჟი დაადოს, რომ გერმანიის ბაზარში სხვის პურმა აღარ გაიჭაჭანოს. ცხადია, ნიშანში რა აქვს ამოღებული თ. ბისმარკსა: იგი სახელმწიფო, რომელიც დღეს-აქამომდე დიდძალს პურს ასაღებდა გერმანიაში, დღეს გერმანიის ბაზრისაგან გამოკლებული უნდა იყოს და ამით ცოტად თუ ბევრად დაზიანდეს, ესე იგი ჯიბე შეუსუსტდეს. ამ სახით თ. ბისმარკი ისარს ისვრის და შვილდს კი ჰმალავს, პროტექციონობის კალთაში გამოხვეულს.

ამისთანა გარემოებას არ შეიძლება სხვანიც არ გადაეხარა პროტექციონობის მხარისაკენ და აი დღეს თითქმის ყველგან პროტექციონობის გაძლიერებას ვხედავთ, თუმცა მეცნიერებისაგან-კი ანდერძაგებულია და დაწუნებული.

წერილები საქართველოს საგანგებო-საკრედიტო და საფინანსო საკითხებზე
(1876—1894)

ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე (1876)

ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მოკრიბი კრების გამო (1886)

ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (1886)

ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილ-მამულო ბანკების შეერთების საკითხზე (1888)

საგლეხო ბანკის საკითხისათვის (1889)

საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის (1890)

ქუთაისის ბანკის საქმე (1890)

ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო (1890)

ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება (1893)

ქუთაისის ბანკის შესახებ (1893)

ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ (1894)

კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის (1894)

ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე

უფ. ნიკოლაძემ დაბეჭდა „დროებაში“ სტატია, რომელსაც ჰქვიან „ქუთაისის ბანკის საქმე“. თუმცა უფ. ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილის ნიჭიერებისა დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ არც მე მივცემ ჩემს თავს ნებას და არც თვით უფ. ნიკოლაძე მომთხოვს, რომ ამ პატივისცემას პირუთვნელობა მსხვერპლად მოვუტანო. საგანი, რომელსაც შეეხება იგი სტატია, ისეთის დიდის მნიშვნელობისა არის, რომ მაზედ მრუდე და უსაფუძვლო აზრების გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში დიდს ვნებას მოუტანს ჩვენს საზოგადო საქმესა. უნდა ვაღიარო, რომ იგი სტატია ამ საგანზედ იმისთანა აზრებს ჰქადაგებს, რომელნიც არა მგონია დამჯდარის გონებით იყვნენ მოსაზრებულნი და რომელთაც საქმის წახდენა შეუძლიან არამც თუ ქუთაისის, არამედ თბილისის გუბერნიაშიაც. ამის გამო მე ჩემს უწმინდეს ვალად ვრაცხ პირდაპირ აღვუდგე იმ სტატიასა. მით უფრო დიდის გაბედვით ვკისრულობ ამას, რომ მე კარგად ვიცნობ უფ. ნიკოლაძეს, თვით იგი მიმიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე აღმძრა იმავ ჭეშმარიტების სიყვარულმა და სიკეთის სურვილმა, რომლითაც შეიარაღებული თვით უფ. ნიკოლაძე ეგრე ნიჭიერად იბრძვის ხოლმე.

უფ. ნიკოლაძე თავისის სტატიის დასაწყისში ამბობს და მართლადაც ამბობს, რომ ვისაც ბანკის დაარსება უნდა, იმან ჯერ უნდა შეიტყოსო: „რანაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკის გახსნა უნდაო, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია იმ მხარეში და რომელი

წესი ყველაზედ უფრო სრულად დააკმაყოფილებს ამ საჭიროებასაო".

უფ. ნიკოლაძეს რომ აქ გამოთქმული აზრი თვით ეწამა და ეგ აზრი ეხმარა ქუთაისის ბანკის წესდების საზომად, მაშინ თვით დაინახავდა, რომ იმ წესდების შემადგენელს მაგ აზრისათვის არც ერთის სიტყვით არ უღალატნია. ვიდრე ჩვენ ამას დავამტკიცებდეთ, საჭიროა ავხსნათ, რა არის კრედიტი.

ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან ასე, რომ ერთიმეორეს ფულს* ასესხებს. მაგგვარი გარიგება მოხდება მაშინ, როცა გამრიგებელთ შორის ნდობაა. აი მაგ ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი.

ეკონომიური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. ეგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლოობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა.

რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამის გამო სხვადასხვაგვარი კრედიტიც არის.

კრედიტი, რომელიც მიწისმოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწისსამოქმედო** კრედიტსა.

* აზრის ადვილად გაგებისათვის სიტყვას „ფულსა" ვხმარობ და არა „თავნსა" (**капитал**).

** **Земельный**.

მიწისსამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ. გამოვიკვლიოთ ეგ ბუნება.

მიწისმოქმედებაზედ შეიძლება მიქცეული იქმნას შემწეობა კრედიტისა ორნაირის აზრით: ანუ იმისათვის, რომ კაცმა მალე და ერთბაშად მოიგოს რამე, ანუ იმისათვის, რომ თანდათან, გაუწყვეტლივ, ზედმიყოლებით და მკვიდრად ისე გააძლიეროს, წარმართოს, გააუმჯობესოს მიწისმოქმედება, რომ ხანგრძლივად, გაუწყვეტლად და თანდათან მოგება მატულობდეს და არ დაშრეს. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწისმოქმედება ქვეყანას არ ააყვავებს, იმიტომ რომ იქ ყოველივე დროებითია, სათუო და საეჭვოა. მეორე შემთხვევაში კი ქვეყნის წარმატება უეჭველია და მტკიცე.

მაგრამ მიწისმოქმედება იმისთანა ეკონომიური წარმოებაა, რომლისაც მკვიდრი და სამუდამო გაუმჯობესობა ხანგრძლივს დროს ითხოვს. ამგვარის წარმოების მსვლელობა თავიდამ შესრულებამდე დიდის დროის განმავლობაში მოხდება. არა კაცის ღონეს და მოხერხებას არ შეუძლიან ამ წარმოებას ფეხი აუჩქაროს, იმიტომ რომ აქ ყოველივე დამოკიდებულია იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მიწისმოქმედების ქვემდებარე თანამავალნი არიან და რომელთ თვისების შეცვლა კაცთაგან შეუძლებელია. მაგალითებრ, ხეს ვერ გაზდი იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს.

ამასთანავე ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ფული, ჩაყრილი მიწისმოქმედების გასაძლიერებლად, ისე შეუხორცდება ხოლმე მიწასა, რომ მისი იქიდამ ერთბაშად ამოღება შეუძლებელია. ამის გამო მიწისმოქმედება სამკვიდროდ ნაქმნარს ხარჯს ერთადერთს დროს კი არ გვიბრუნებს ხოლმე, არამედ ცოტ-ცოტობით და თანდათან გვაწვდის, იმ დროის განმავლობაში,

რაც მისი მსუსლელობისათვის საჭიროა. ეგ მსვლელობა 30, 40, 50 წელს მოითხოვს ხოლმე*.

აქედამ სჩანს, რომ მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესობისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მერე თავნსა, რომელსაც მასზედ ვხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბაშად, მაშასადამე, კრედიტიც, რომელიც ამ თვისების წარმოებაზედ უნდა იყოს მიქცეული, პირველი ხანგრძლივი უნდა იყოს, მეორე—ისეთი, რომ ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადიხდებოდეს.

რაკი მიწისსამოქმედო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მაშ ეგ კრედიტი კაცის პირადს ღირსებაზედ არ შეიძლება დამყარდეს, იმიტომ რომ კაცი დღეს არის და ხვალ არ იქნება, არც იმისთანა ნივთზედ, რომელსაც ხანგრძლივად გაძლება არ შეუძლიან უიმისოდ, რომ არ წახდეს და ფასი არ იკლოს. მაშ მიწისმომქმედს რით შეუძლიან მოიპოვოს ნდობა, ურომლისოდაც კრედიტი შეუძლებელია? მარტო მიწით, რომელსაც იმისთანა თვისება აქვს, რომ რამდენადაც დიდხანსა ძევს, იმოდენად ფასს მატულობს ხალხის გამრავლებისა და საერთოდ ეკონომიურის წარმატებისა გამო.

მაშასადამე მიწისსამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ხანგრძლივი იყოს, 2) ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადასახადი და 3) მიწით დაიმედებული.

ნუთუ უფ. ნიკოლაძე იტყვის, რომ ქუთაისის გუბერნია მიწისმოქმედი გუბერნია არ არის? ნუთუ იტყვის, რომ მიწისმოქმედების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს მიწისსამოქმედო კრედიტი? ნუთუ მიწისსამოქმედო კრედიტი არ არის თავიდამ ბოლომდე გატარებული ქუთაისის წესდებაშია სრულის სივრცითა და თვისებითა?

რით იწუნებს იმ წესდებას უფ. ნიკოლაძე? პირველი მით, რომ იგი გადმოწერილია სხვადასხვა წესდებიდამაო? და ამა-

* ვისაც ვრცლად უნდა ეს საგანი იცნას, როიეს თხზულება წაიკითხოს.

ზედ ისევ ხანგრძლივ ლაპარაკობს, თითქოს ეს ამბავი მართლადა დიდი საბუთი იყოს წესდების დასაწუნებლად. მაშ ამას იქით უებარი წამალიც დაუწუნეთ ექიმს, რადგანაც წამალი უსათუოდ იმისაგან არ იქნება მოგონებული, არამედ სხვისაგან ნასწავლი და მიღებული. თქვენ რა გინდათ, საიდამ არის გადმოწერილი წესდება? თქვენ ისა თქვით, ვარგა წესდება, თუ არა. არ ვარგაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე. იმიტომ არ ვარგაო, რომ ჯერ ქუთაისის გუბერნია გამოჯნული არ არის, ჯერ უძრავს ქონებაზედ საკუთრების უფლება გარჩეული არ არისო და კუთვნილებაზედ კანონიერი საბუთი არავისა აქვსო. მაშასადამე ბანკიდამ ფულს თითქმის ჯერ ვერვინ გაიტანსო.

ამის გამო ჩვენში ყოვლად შეუძლებელია აქციონერული ბანკის ხეირობაო ადგილ-მამულზედ ფულის გასასესხებლადაო.

განა მარტო აქციონერულის ბანკის თვისება არის, რომ დასაგირავებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო? ეგ თვითონ მიწათმოქმედების კრედიტის არსებითი სულია. ყოველს მიწისმომქმედის კრედიტის ბანკს, აქციონერული იქნება, თუ ერთმანეთის თავდებობითი, მაგ საგანზედ ერთნაირი წესი აქვს დადგინებული შეუცვლელად და მტკიცედ. უმაგისობა შეუძლებელია და უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთი მიწისმოქმედების კრედიტის ბანკი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება.

ეხლა ვკითხოთ უფ. ნიკოლაძეს თავისის სიტყვებითვე: რანაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომლისთვისაც ქუთაისის ბანკის წესდება დაიწერა? სრულს უფულობაში. მაშასადამე წესდებას რა უნდა ჰქონოდა სახეში? ფულის შოვნა სასესხებლად. რა ეკონომიური საჭიროებაა უფრო ძლიერი ქუთაისის გუბერნიაში? მიწისმოქმედება არამც თუ ძლიერია, განსაკუთრებითია, იგი ისეთი საყოველთაო და განსაკუთრებითი ეკონომიური წარმოებაა, რომლის წარმატებისათვისაც ქუთაისის გუბერნიას ფული ჰსჭირია. რომელი წესი ყველაზედ უფრო დააკმაყოფილებს ამ საჭიროებას? იგი წესი, რომელიც კრედიტს დაჰბადავს.

რაგვარი უნდა იყოს იგი კრედიტი? იგი უნდა იყოს მიწის-სამოქმედო კრედიტი.

ნუთუ უფ. ნიკოლაძე იტყვის, რომ ქუთაისის გუბერნია იმისთანა მხარე არ არის, საცა თითქმის მარტო ერთი ეკონომიური წარმოებაა, სახელდობრ მიწისმოქმედება? ნუთუ იტყვის, რომ მიწისმოქმედების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს მიწისსამოქმედო კრედიტი? ნუთუ მიწისსამოქმედო კრედიტი არ არის თავიდამ ბოლომდი შეუცვლელად, შეუშლელად, სრულის სივრცითა და თვისებით გატარებული და დაცული ქუთაისის ბანკის წესდებაშია? თუ ამას არ იტყვის, არც ის უნდა ეთქვა, რომ ქუთაისის ბანკის წესდების დამწერსა, თუ შემადგენელსა, ის მხარე და საჭიროება არ უცვნია, რომლისათვისაც ბანკის წესდებას ჰსწერდაო.

სხვა რით იწუნებს უფ. ნიკოლაძე ქუთაისის წესდებას? ჩავუდგეთ კვალში და თვითო-თვითო საბუთი გავურჩიოთ.

ჯერ წუნს იმითი სდებს, რომ იგი გადმოწერილია სხვადასხვა წესდებიდამაო და ამაზედ ისე ხანგრძლივ ლაპარაკობს, თითქო ეს ამბავი მართლადა დიდი საბუთი იყოს წესდების დასაწუნებლად. მაშ ამას იქით უებარი წამალიც დაუწუნეთ ექიმს, რადგანაც იგი წამალი უსათუოდ სხვისაგან იქნება მოგონილი და ხმარებული. როგორც სხვადასხვა სახის ნაკვეთიდამ ერთს ცხოველს სურათს ვერ შეადგენო, ისე სხვადასხვა წესდებიდამ ერთს რიგიანს წესდებასაო. ეს მაგალითი ისე არ უხდება იმ საგანს, რისთვისაც არის მოყვანილი, როგორც კამეჩს რახტი. მაშ დერციკს თქვენთვის შეკერილი სერთუკი დაუწუნეთ მარტო იმით, რომ მაუდი ერთისაგან უყიდნია, სარჩული მეორისაგან, ძაფი მესამესაგან და სხვანი, და უთხარით: რადგანაც სხვადასხვა კაცის ნაკვეთიდამ ერთი ცხოველი სურათი ვერ შესდგება, ამიტომაც სხვადასხვა ადგილას ნაყიდი თუ ნაშოვნი მაუდი, სარჩული და ძაფი, ერთს რიგიანს სერთუკს ვერ შეადგენდა-თქო.

ბესარიონ ღოღობერიძეს აუღიაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, ორი ერთმანეთის წინააღმდეგი ბანკი, ხერსონისა და ხარკოვისა, და მათი საერთო კალაპოტზედ შეუდგენია წესდებაო.

ეგ მართალია, მაგრამ ის ბანკები ერთმანეთის წინააღმდეგი კი არ არიან, არამედ ერთს ფესვზედ დგანან და ერთის საგანისათვის და საგანითა სულდგმულობენ. განსხვავება-წინააღმდეგობა რაშია? იმაშია, რომ ერთს ბანკს გირაოდ მიღებული უძრავი ქონება აქვს თავნად, ძირის ფულად*, მეორეს ნაღდი ფული. ერთი ბანკი თავის მოვალეებს უძღვება და პასუხს აძლევს განუყოფელად მთელის იმ მამულებიდამ, რომელიც გირაოდ აქვს მიღებული, მეორე—ჯერ მარტო იმ მოვალის მამულიდამ, რომელიც სესხის გადასახადის ფულს არ შემოიტანს, და მერე თავისის ნაღდის ფულიდამ. თვით ოპერაცია, მოქმედება კი ორივეში ერთია. ორივე ბანკი თავისის გირაოს ფურცლებით თვით სესხულობენ ფულებს გასასესხებლად, ორივე ერთი-და-იგივე პრინციპზედ არის დამყარებული, სახელდობრ მიწისსამოქმედო კრედიტის შინაარსზედ, ორივე ერთ-და-იგივე მიზანს სდევენ, სახელდობრ ფულს შოულობენ და ასესხებენ მიწისმომქმედს და მიწას იღებენ გირაოდ, ორივე ერთ-და-იგივე ანგარიშით მოქმედობენ და არსებობენ. განსხვავება ამაებში კი არ არის მათ შორის, მარტო გარანტიის თვისებაშია. ერთის ბანკი საზოგადოებას ეუბნება: ჩემს გირაოს ფურცლებს, რომელიც ჩემი ვექილია, ენდე და ფულად გამინაღდე, იმიტომ რომ, თუ გირაოდ მიღებული მაგ ფულს არ ააყენებს, ჯერ თვითონ მამული გაგვცემს პასუხს, და მერმე ყველას მამული, ვისიც კი შემოტანილია ჩემთან გირაოდ. მეორე ბანკი ეუბნება: ჩემს გირაოს ფურცლებს მოენდე, და ფულად გამინაღდე, იმიტომ რომ, თუ გირაოდ მიღებული მამული მაგ ფულს ვერ ააყენებს, ჩემი ნაღდი ძირის ფული გაგცემს პასუხსა. ამიტომაც სცდება უფ. ნიკოლაძე, როცა ამბობს, რომ „ერთი ბანკი დაფუძნებულია ურთიერთის ნდობაზედ და თავდებობაზედ, და მეორე — სესხზედ და გირაოზე". არა, ბატონო, ორივე ბანკი დაფუძნებულია მიწისსამოქმედო კრედიტის შინაარსზედ. მხოლოდ გარანტია საზოგადოების წინაშე სხვადასხვა თვისებისაა. ნუთუ მართლა იტყ-

* Основной капитал

ვის უფ. ნიკოლაძე რომ ხერსონისა და ხარკოვის ბანკს შორის სესხის აღებ-მიცემობისა და გირაოდ მიღების თაობაზედ სხვადასხვა წესი აქვს დადგინებული? ნუთუ იტყვის, რომ ხერსონის ბანკი თვით არ სესხულობს, როგორც ხარკოვისა, და ისე არ უძღვება ფულის მთხოვნელთა? ნუთუ ხერსონის ბანკი, როგორც ხარკოვისა, გირაოდ მამულებს არ იღებს და ისე ასესხებს ფულებს? მაშ რა არის გირაოს ფურცლები, რომლის მეოხებითაც ერთი და მეორეც ფულს შოულობენ გასასესხებლად? ნუთუ ეგ სესხის აღება არ არის? მაშ რას ნიშნავს პირველი მუხლი ხერსონის ბანკის წესდებისა, რომელიც ამბობს: **земский банк Херсонской губернии учреждается для доставления землевладельцам Херсонской губернии средств к получению ссуд, под залог поземельной собственности.** რას ნიშნავს ეს, თუ არ სესხის მიცემას ბანკიდამ მარტო იმ უსათუო პირობით, თუ გირაოდ იქნება შემოტანილი მამული? მითომ რა განსხვავებაა, რომ ხარკოვის ბანკის წესდება ამბობს: **Харьковский земельний банк учреждается для выдачи ссуд под залог недвижимой собственности** და სხვანი? ნუთუ ორივეში ერთი აზრი არ არის გამოთქმული? თუ არა სჯერა უფ. ნიკოლაძეს, გადიკითხოს ორივეს წესდება და იქა ნახავს, რომ ერთი ბანკი და მეორეც სესხს აძლევენ გირაოს ფურცლებითა, რომ ორივე ერთნაირ საშუალებით უძღვებიან სესხის მთხოვნელთა, რომ ორივე ერთნაირის საშუალებით შოულობენ მსესხებელთათვის ფულსა, რომ ორივე ერთნაირად თხოულობენ გირაოდ მამულსა.

ქუთაისის ბანკის წესდებას იწუნებს უფ. ნიკოლაძე მითაც, რომ ერთი მისი მუხლი საფუძვლად საგირაო მამულის დაფასებისას მარტო მამულის შემოსავლის რაოდენობას სდებსო და მერე მარტო ნიადაგს შემოსავლისაო. რა არის ამაში ცუდი და მოუნელებელი? მთელს ქვეყნიერებაზედ მიწისა და მამულის დაფასების საფუძვლად მიღებულია მისი შემოსავლის ღონიერება. ამ აზრით არის ხმარებული აქ მამულის შემოსავალი. ნუთუ უფ. ნიკოლაძეს ჰგონია, რომ მამული, რომელიც დღეს შემოსავალს არ აძლევს, იმ მუხლის ძალით გირაოდ არ

მიიღება? უსათუოდ ესე ჰგონია, რომ აჯამეთის ტყეს მაგალითი მოჰყავს. თუ ესე ჰგონია სცდება. გასინჯოს დაფასების ინსტრუქციები, რომლითაც ეგ მუხლი ახსნილია და გავითარებულია ხოლმე ყოველს ბანკში და მაშინ შეიტყობს, რომ შეიძლება მამულს დღეს შემოსავალი არა ჰქონდეს, მაგრამ ისეთის თვისებისა იყოს, რომ შეეძლოს შემოსავლის შემოტანა. მაშინ იგი შემოსავალი სხვადასხვა საბუთების მიხედვით ვარაუდით ცნობაში უნდა იყოს მოყვანილი და მას შემდეგ იგი გირაოდ მიიღება.

ჯერ ქუთაისის გუბერნია გამიჯნული არ არისო, ჯერ ადგილ-მამულის კუთვნილებაზედ კანონიერი საბუთი არავისა აქვსო. ამის გამო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, ყოვლად შეუძლებელია აქციონერულის ბანკის ხელრობაო ადგილ-მამულზედ ფულის გასასესხებლადაო. განა მარტო აქციონერულის ბანკის განსაკუთრებითი თვისებაა, რომ დასაგირავებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო, ეგ თვითონ მიწისსამოქმედო კრედიტის არსებითი სულია. ამისა გამო ყოველ ბანკს, აქციონერული იქნება თუ ურთიერთის თავდებობითი, მათს საგანზედ ერთნაირი ცხადი წესი აქვს დადგინებული მტკიცედ და შეუცვლელად. უმაგისობა შეუძლებელია, უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთი მიწისსამოქმედო კრედიტის ბანკი არც ყოფილა. არც არის და არც იქნება, ჩვენის დალოცვილის პრიკაზის მეტი. დაარღვიეთ ეგ კანონი და ამასთანავე გამოეთხოვეთ თვით ბანკსაც და იმ იმედსაც, რომელიც ბანკზედ არის დამყარებული. მიწისსამოქმედო კრედიტსა სხვა დედაბოძი არა აქვს, თუ არა უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. გამოაცალეთ ეგ ერთადერთი დედაბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა, „შესაძლებელი იყოო, — ამბობს უფ. ნიკოლაძე, —რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებია კაცსაო, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელწერილს მისცემდაო, რომ ადგილი ნამდვილად ამ პირს ეკუთვნისო. არ ვიცი, უფ. ნიკოლაძე ამას მართლის გულით ამბობს თუ საოხუნჯოდ. თუ საოხუნჯოდ—უფ. ნიკოლაძემ უნდა იცოდეს, რომ საწამლავით ოხუნჯობა საშიშარია. ნუთუ მას არ გაუგია, რომ მოწმეები და მეზობლები თავისის

ეზოს მიწას ჩაიყრიდნენ წაღებში და საცა უნდა წაგეყვანათ, ჰფიცავდნენ, რომ ჩემს მიწაზე ვდგევარო. მეზობლებმა რომ ბანკი მოატყუონ, ვინ იქნება პატრონი? ერთი ეს მითხარით: მემამულის მოდავე და ხელისშემშლელი ვინ არის სხვა ჩვენში, თუ არა მეზობელივე, და სად თქმულა, რომ მოდავემ თავისი მოკამათეს და მექიშპეს მისცეს მოწმობა, რომ ჩვენ შორის სადაო მამული შენია და არა ჩემიო. თუნდ ეგეც არ იყოს, ნუთუ უფ. ნიკოლაძეს ჰგონია, რომ მეზობელთაგან მოწმობის მიღება უფრო ადვილი და უხარჯო იქნება ჩვენში, ვიდრე კანონიერის საბუთის შოვნა. ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაგ მოწმობას, თუ რომ კანონი არ შეიწყნარებს, როცა მამულს მოდავე გამოუჩნდება. ეგ ხომ იმისთანა ბანკი იქნებოდა, რომელსაც ავიღე და აღარ მოგცემ ჰქვიან.

უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ქუთაისის ბანკსაო უნდა ჰქონოდა არათუ მარტო დაგირავებული მამულების ერთმანეთის გარანტია, არამედ ბანკის დამაარსებლებისა, ესე იგი, მთელის ჩვენის ფავად-აზნაურობის თავდებობაო. რადგანაც წესდებაში ეს არ არისო, ამის გამო სოფლის მამულის პატრონები, ვისაც მამულზედ მტკიცე საბუთი არა აქვსო, ბანკიდამ ფულის მიღებას ვერ მოესწრებიანო. ერთი მითხარით: მთელის ჩვენი თავად-აზნაურობის თავდებობა აქ რას უშველიდა? განა თვითონ თავად-აზნაურობა კი დაუდგებოდა თავდებად იმ პირს, რომელსაც კანონიერი საბუთი არა აქვს მამულზედა? განა თვითონ თავად-აზნაურობა კი ანდობდა იმ მამულს ფულსა, რომლის საბუთი კანონისაგან შეუწყნარებელია. თუნდ რომ ეგ თავდებობაც ყოფილიყო, განა თქვენს გირაო ფურცლებს განადიდებდა ვინმე, როცა თქვენი წესდებიდამ ეცოდინებოდა, რომ ბანკში გირაოდ შედის იმისთანა მამულიცა, რომელზედაც, თუ დავა ასტყდა, კანონს არ ეცოდინება - ვისად აღიაროს?

ქუთაისის ბანკის წესდების შემდგენელს უნდა მოეხერხებინაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, რომ ბანკს უფლება ჰქონოდა მსწრაფლად გარდაეხდევინა ხვედრი ფული მსესხებლისაგან, ვექსილის წესდების ზოგიერთი მიღებითაო. ღმერთმა უშველოს, რომ ქუთაისის ბანკის დამწერს ეს ფიქრადაც არ მოსვლია. რა სწრაფადაც ნაღდდება ხოლმე ჩვენში ვექსილები, ეგეც

ვიცით. ღმერთმა გვაშოროს მაგისთანა სასწრაფოსა. დეე, ისევ მაგ წესით ოსმალოს და ავსტრიის ბანკებმა აწარმოონ გადახდევინება. ჩვენთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩვენს ბანკში ვალის გადასახადად იმისთანა დარბაისელი და აუჩქარებელი არსებაა, როგორც ადგილ-მამული.

შემდეგ უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ბანკის წესდების შემადგენელის მიზანი იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეულიო, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდესო და ჩვენვე დაგვრჩესო. როგორ? მამულს გირაოდ აძლევს ბანკსა და თუ პირობა არ შეუსრულე, გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო რის გირაოღაა? განა ეგ შესაძლებელია? თვით უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ თუმც კარგი იქნებოდა, რომ საქმე ეგრე მოწყობილიყო, მაგრამ ამასთანავე ატანს, თუ ეგ შეუძლებელია, ისე მაინც უნდა მოხერხებულიყოო საქმე, რომ გარემთიელებს არ შეესყიდათ ჩვენი მამულებიო. ამისათვის ერთს სასაცილო ღონისძიებას გვირჩევს, იმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას არღვევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციასა სპობს. აი ის ღონის-ძიება: „ვსთქვათ, ამბობს ნიკოლაძე, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი (ვისაც არ ჰყავს?), რომელთაც ეწყინებათ, რომ შემდეგში ჩემი მამული ვისმეს გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს (რომ არ ეწყინოს?); ვთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს და სახეიროდ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხკაცობას და სხვა (რომ არ მიაჩნდეთ?); განა შეუძლებელიაო, ამბობს შემდეგ უფ. ნიკოლაძე, ამგვარს სახლისკაცებთან, მეზობლებთან და გლეხებთან ბანკი თავდაპირველადვე მორიგებაში შევიდეს დაფასების დროს და მტკიცე პირობა ჩამოართოს, რომ ვინიცობაა ჩემი მამული ბანკის ვალში გაიყიდოს, იმ ჩემმა მეზობელმა, სახლისკაცებმა და გლეხებმა ამა და ამ ფასად ის მამული აიღონ. რომ იმ თქვენმა მეზობლებმა სახლისკაცებმა, ანუ გლეხკაცებმა ეგ არ ინდომონ და გვითხრან, ჩვენც არ ვიცით, ჩვენს მამულს როგორ ვეპატრონოთ, თქვენი რაღად გვინდაო, — რას იტყოდით მაშინ? რა გიშველიდათ? ვსთქვათ რომ მოეცათ მაგისთანა პირობაცა და ბანკი

გაბრიყვებულიყო და მიეღო ეგ პირობა, — როცა მამულის გასყიდვის დრო მოვიდოდა და ისინი ყიდვას არ მოინდომებდნენ, რა კანონით დაატანდით ძალას, გინდათ, თუ არა, იყიდეო. რა ღონე ექნებოდა იმათს ადრინდელ პირობასა.

თუნდ ეგეც არ იყოს, თვითონ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა, აი ეს ერთი ურიააო, ის ერთი-ორად მეტს იძლევაო, მე არა ვარ თანახმაო, რომ მაგაზედ ნაკლებ ჩემმა მეზობელმა ჩემი მამული იყიდოსო,—რა ძალით, რა სამართლით, რა კანონით ხელ-ფეხს შეუკრავდით მამულის პატრონსა? ან მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა: ჩემი მამული ვაჭრობაში ჩააგდეთ, მეტად და დიდ ფასად გაიყიდებაო,—რა გზით შეუკრავდით მას ხელ-ფეხსა და ამაზე უარს ეტყოდით? რა სამართლით წაართმევდით მას მის ქონების უფლებასა? მერე აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს რა პასუხს ეტყოდით, სხვები იყიდიან ჩვენს მამულსაო. განა რითიმე შეიძლება წინათვე შეუშალოთ გზა ამ სამუხარო მოვლენასა? თუ კაი ფასს მოგცემენ და ამას სახეიროდ დაინახავთ, რა დააბრკოლებს მამულის თქვენის ხელიდამ სხვის ხელში გადასვლასა.

ერთის სიტყვით უფ. ნიკოლაძის სტატიიდამ სჩანს, რომ მის ფიქრით იმისთანა ბანკი უნდა ყოფილიყო ქუთაისის ბანკი, რომ : 1) არც ერთს ქვეყნიერებაზედ ბანკსა არ ჰგვანებოდა, და თუ ეგვანებოდა, მხოლოდ ოსმალოს და ავსტრიის ბანკებსა. 2) მასშია გიროაოს სახელი კი ყოფილიყო და სახრავი კი არა. 3) საფუძვლად და ქვაკუთხედად ჰქონოდა ჩვენი მამა-პაპის ძველი პრინციპი—ავიღე და აღარ მოგეცი. 4) მამულის პატრონს იმედი წართმეოდა, რომ მისი მამული რაც უნდა მეტად ღირდეს, იმაზედ მეტად არ უნდა გაიყიდოს, რასაც მეზობლები ერთხელ და ერთხელ მიჰსცემენ, 5) ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელ-ფეხ შეკრული იყოს და შევიწროებული.

ესენი გსურდათ, რომ ყოფილიყო ქუთაისის ბანკის წესდებაში?

დიდად და დიდად ვწუხვართ, რომ მაგისთანა აზრებსა

ჰფენს და ჰქადაგებს იმისთანა ჭკვიანი კაცი, როგორც უფ. ნიკოლაძე, რომლის სახელიც ბევრს წაიტყუებს, და ეგ წატყუება ფეხს შეუშლის არამც თუ მარტო ქუთაისის ბანკსა, არამედ თბილისისაცა.

დასკვნა:

მე რომ უფ. ნიკოლაძის ადგილს ვყოფილიყავ, ხელს მოვიჭრიდი და იმისთანა სტატიას კი არ დავსწერდი, რომელიც უმეცრებასა და უვიცობას საღერღელს უხსნის და ფრთას ასხამს.

ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მოკრიბი კრების გამო

I

ტფილისი, 10 მაისი, 1886 წ.

დიდი ხანია გამოცხადებული იყო, რომ თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის მორიგი კრება დაიწყება ოთხს მაისსა. პირველ გამოცხადების ხანიდანვე ყოველის მხრიდან ისმოდა ხმები, რომ ამ კრებისათვის დიდი მზადება არისო. ვისაც საზოგადო საქმე უყვარს, ვისაც უცვნია მისი მნიშვნელობა და ძვირად უღირს მისი ავკარგიანობა, მისთვის ეს ხმები სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. ეს ხმები ცხადი ნიშანია მისი, რომ ჩვენში საზოგადო საქმის მიმართ გულისტკივილი თანდათან მატულობს და აი სწორედ ამ მატებაშია თვითონ საქმის წარმატების იმედი. იყო დრო, როცა ბანკის კრების ხსენებაზედ ყურსაც არავინ იბერტყდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. იყო დრო, როცა არამცთუ რაიმე მზადება კრებისათვის, ჩამიჩუმიც არ იყო ხოლმე ამის თაობაზედ და ბანკის მომხრენი ჰშიშობდნენ კიდეც, ვაი თუ პირველ ხანში არც-კი შესდგეს კრებაო და კანონის მიერ სავალდებულოდ აღნიშნული ორმოცდაათი წევრიც არ მოგროვდეს კრებაზე, რომ კრება გაიმართოსო. რამდენიმე მაგალითიც ყოფილა, რომ მართლა ეს კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოგროვებულიყოს. მაშინდელს აქაურს რუსულ ჟურნალ-გაზეთობას, რომელიც ჩვენებურების ხელში იყო, სიცილად არა ჰყოფნიდა ამისთანა ამბავი და საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ მკვდრად დაბადებულმა საქმემ ასე

იცისო. არ ვიცით კი რად, და მაშინდელს ჟურნალ-გაზეთობას ბანკის საქმე აჩემებული ჰქონდა არა იმიტომ, რომ უკეთეს გზაზედ დაეყენებინათ, არამედ თითქო იმიტომ, რომ საერთოდ ამ ახლად შემოღებულს საქმეს სახელი გაუტეხონ და პირველ დღითვე აბრუ გაუცუდონ საზოგადოების თვალში. ეხლაც კანტიკუნტად ისმის ამისთანა ხმები ბანკის თაობაზედ და, სამწუხაროდ ჩვენდა, ზოგჯერ იმისთანა კაცთაგანაც, რომელთზედაც საზოგადოებას სამართლიანი იმედი აქვს, რომ ჯერ დაფიქრდება და მერე იტყვისო.

ყველამ, რასაკვირველია, თავისი იცის, ჩვენ კი ამას აღვნიშნავთ, რომ პირველ ხანებში ბანკის საქმეებს ყურს მარტო ორიოდ კაცი ადევნებდა და ბევრისათვის-კი ეს ახალი საქმე არასფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა. ბანკის მომხრეთა სწამდათ, რომ ბანკი დღესა თუ ხვალ მოიპოვებს ყურადღებას და გულისტკივილს საზოგადოების მხრით: სწამდათ, რომ ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაც აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზედ, და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულისტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა ჩვენდა საკეთილოდ და ჩვენდა იმედად.

დღეს ბანკზედ, ავად თუ კარგად, ყველგან ლაპარაკობენ, მის სვე-ბედზედ სჯა და ბაასი აქვს, მის განკარგებისა და საკეთილო და საიმედო გზაზედ დაყენების გამო ჰფიქრობენ, ნაკლს და ღირსებას უჩხრეკენ, უსინჯავენ, და ჩვენდა საბედნიეროდ ესეც უნდა დავუმატოთ, რომ თანდათან უფრო ცნობიერად, უფრო მომეტებულის ცოდნით, უფრო დიდის გულწრფელობით, საქმისადმი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდებიან ბანკის ავკარგიანობის ყოფასა და სვლასა. ეს სანუგეშო ამბავი, ჯერ თვით ბანკისათვის და მერე თვით საზოგადოებისათვისაც, ფრიად საყურადღებოა და ხელზედ დასახვევი მათ წინააღმდეგ, ვისაც გული გატეხილი ჰქონდა სასოწარკვეთილებისაგან, რომ ჩვენში არა გაკეთდება-რა, რადგანაც გულგრილნი, მცონარენი და დაუდევარნი ვართო.

ეს თერთმეტი წელიწადია თითქმის, რაც ბანკი არსებობს. რაც ამ ხანს კრება მომხდარა, კაცი რომ დააკვირდეს, ნახავს, რომ თვითეული შემდეგი კრება წინანდელს ბევრით და გაცილებით სჯობნებია არამცთუ მარტო წევრთა რიცხვით, არამედ შინაგანის ღირსებითაც. ყოველი შემდეგი კრება წინანდელზედ უფრო ცნობიერი, უფრო მცოდნე, უფრო ფრთხილი, უფრო გულახდილი და გულწრფელი მოსიყვარულე ყოფილა საქმისა. ეს, რაცა ვსთქვით, ყოველს ეჭვს გარეთ არის და ამიტომაც შეგვიძლიან ჩვენი იმედი უკეთესად საქმის წარმართვისა თამამად დავამყაროთ ამ სარწმუნო საბუთზედა. ჩვენ ჩვენის კრების კეთილგონიერებასა და გამჭრიახობაზედ ეჭვი თავის-დღეში არ შეგვიტანია, ცცირეოდენი ადგილიც ჩვენის გულისა ამ ეჭვისათვის არას დროს არ დაგვითმია და თვითონ კრებასაც არც ერთხელ მიზეზი არ მოუცია, რომ ჩვენს უეჭველობას საძირკველი შერყეოდეს და ჩვენი მისდამი იმედი არ გამართლებულიყოს.

ამიტომაც იგი ხმები, რომელიც რაღაც მუქარასავით წინა უძღოდნენ წლევანდელს კრებასა, არც ერთს ჩვენის საზოგადოების გულწრფელს მცოდნეს გულს არ უტეხდნენ. ყოველი გულმოდგინე და გულმართალი კაცი წინათვე ჰგრძნობდა, რომ არავისი მეცადინეობა და ხერხი სიმართლის კვალიდამ არ ამოაგდებს იმ ბარ-საკვეთს სამართლიანის განკითხვისას, რომელიც ჩვენ ჩვენის საზოგადოების კეთილგონიერებად დაგვისახელებია და გვიცნია. ეგ იმედი სამართლიანის განკითხვისა ყოფილა, არის და იქნება იმ მანუგეშებელ ზნეობრივ ძალ-ღონედ, ურომლისოდაც ყოველი მოღვაწე, საზოგადო ასპარეზზედ გამოსული, გულმკვდარია, უძლური და დაძაბუნებული. მრავალკეცი და რთული პასუხისგება საზოგადო მოღვაწისა, დიდი ჰირიც არის მისთვის და დიდი ლხინიცა. ხოლო ვიდრე პასუხისგება ლხინად გადაექცევა, ჯერ ათასს უსიამოვნობას, ათასს ვაი-ვაგლახს, ათასს კიცხვას და კილვას გამოივლის ხოლმე. იგი ამ მხრით მეიდანზედ გამოკიდებული ნიშანია და, საჭიროება ითხოვს თუ არ ითხოვს, ყველა უმიზნებს და ესვრის თავის ისარს, ზოგჯერ ტყუილუბრალო კიცხვაში ამოვლე-

გულს და მტრობის გულქვაობაზედ პირგალესილსა. ესეთი ყოფა აუცილებელია საზოგადო მოღვაწისათვის, და სწორედ აუტანელი იქნებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს სამართლიანის განკითხვის იმედი არ ასულდგმარებდეს და მაგ განკითხვაში არა ჰპოულობდეს ჯილდოს გამოვლილის მწუხარების სამაგიეროდ. იგი სამართლიანი განკითხვაა მისი ფარი, როცა ზედ მოესევიან, და მისი ხმალი, როცა თვით მიესევა. წლევანდელმა კრებამ ბანკისამ ყოველ უწინდელ კრებაზედ მომეტებულად დაანახვა ქვეყანას, რომ საზოგადო მოღვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუბრუდებელი სამართლიანობა. ამაშია იგი წყარო ღონისა, მხნეობისა და გულმოდგინეობისა, იგი წყარო, რომელსაცა სვამს საზოგადო მოღვაწე, როცა კიცხვა და კილვა, ათასნაირი მწუხარება და უსიამოვნოება გულს უშრობს ხოლმე რთულისა და მძიმე მოვალეობის ასრულების გზაზედ. ამით იგრილებს იგი დამწვარს გულს და იფონებს კიცხვა-კილვისაგან შეხუთულს სულსა, და ერთი წუთი ამისთანა მოფონებისა მთელის წლების მწუხარებას გადააჭარბებს ხოლმე თვისის ღირსებითა და სიკეთითა.

II

ტფილისი, 12 მაისი, 1886 წ.

თვითმოქმედება, თავით თვისის საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს,—იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზო-

გადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთისსოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მზნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად.

ეს თვითმოქმედება, ეს თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ხოლმე ცხოვრების ჭიდილში, მისი გამარჯვება, ძლევამოსილობით სვლა უეჭველია. მართალია, ეს თვითმოქმედება ხანდისხან ათასნაირ მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს-კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ, ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია. პირიქით, საცა ეგ თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი. თვითმოქმედებას არამცთუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახალის თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვითმოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა, უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არასდროს.

ერთი ამისთანა ნაყოფი თვითმოქმედებისა ტფილისის და ქუთაისის ბანკებია და მათის შემწეობით დაარსებული სათავად-აზნაურო სკოლები. იგინი ჩვენის საკუთარის თაოსნობით არიან დაარსებულნი და ჩვენის საკუთარის ძალ-ღონით წარმართულნი. იქნება ბევრმა ნამეტანობა და გადამეტება შეგვწამოს, მაგრამ ჩვენ-კი მაინც ამას ვიტყვით, რომ ბანკებსაც და მათის მეოხებით არსებულ სკოლებსა დიდი სასიკეთო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ მხრით, რომ იგინი ჩვენის თვითმოქმედების შვილნი არიან, ჩვენის თვითმოქმედების ძუძუთი იზრდებიან და იკვებებიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა მათი ბევრს ჩვენგანს გულსა და გონებაში ვერ მოუთავსებია, ვერ მოუნელებია, და ამიტომაც არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოლაშქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედ. არამცთუ ჩვენი დაბალის ღობის პუბლიცისტები, არამედ მოლექსენიც კი, და მათ შორის სახელგანთქმულნიც, არ ერიდებიან ბანკების ავად ხსენებას და სახელის გატეხასა. რისთვის და რადა? სწორედ მოგახსენოთ, ბევრჯერ დავკვირვებივართ ამისთანა ამბავს და წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიპოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამჯდარს და ნაფიქრს მსჯელობას შეესაგამება.

III

ტფილისი, 13 მაისი, 1886წ.

ჩვენ გუშინდელს ნომერში ვსთქვით, რომ თითქმის არც ერთს წუნისმდებელს მწერალსა და მოლექსესა არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსა. მარტო ეს კი ვიცით: ყველანი იძახიან, ბანკები ჩვენა გვღუპავსო და ამ კილოზედ ათასნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითა. რა საგანი უნდა აძლევდეს ამის მთქმელს საბუთსა?

საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ უჯერო და შეუწყნარებელი და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა

ვეძიოთ იგი საგანი. ამ შემთხვევაში ჩვენნი მწერალნი და მოლექსენი ამ მითქმა-მოთქმის ხმას აჰყვნენ უსათუოდ, თორემ თავისას გამოაცხადებდნენ რასმე. საზოგადოებაში ზოგი იძახის, რომ ბანკებმა ფულის სესხად შოვნის სახსარი გაგვიადვილაო და ამით მაცდურების კარი გაგვიღოო. ბანკები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვალებს არ ავიღებდითო და მაშასადამე ჩვენი მამულები ყოველის განსაცდელისაგან თავდახსნილი იქნებაო და ჩვენც უვალონიო. თუ ამისი მთქმელნი მართალის გულითა სდებენ ამით წუნს ჩვენს ბანკებს, ამისი წამალი ადვილია: ბანკის კრებამ დაადგინოს, რომ თავად-აზნაურსა და ერთობ ქართველსა, რომელსაც ადვილად საშოვარი სესხი ასე აცდუნებს, აეკრძალოს ბანკიდამ ფულის სესხად მიცემა, თუნდა რომ ძალიანაც უჭირდეს. ამითი იგი სამაცდურო კარი, რომლის მიზეზითაც ბანკებს წუნსა სდებენ, სამუდამოდ დახშულ იქნება და თავად აზნაურობას ცალკე და ქართველობას საერთოდ ნება ექნება მაშინ სთქვას, რომ დახსნილ ვარ ბოროტისა და მაცდურებისაგანაო. ხოლო არა გვგონია ბანკის კრებათა კეთილგონიერებამ ამ სასაცილომდე მიაღწიოს და გაუფრთხილებელი, გაუსინჯავი, და წინდაუხედავი კაცი ბორძიკს და წაქცევას იმით გადაარჩინოს, რომ მის გამო ნება არ მისცეს არავის სიარულისა.

ზოგი კიდევ იმიტომ ჰრისხავს ბანკებს, რომ მართალია ფული გვიჭირს სასესხებლად, ბანკის ვალს ვიღებთ, მამულებს ვუგირავებთ, და როცა პირობას ვალისას და სესხისას ჩვენის დაუდევნელობით ვერ ვუსრულებთ ბანკსა, ბანკი მამულებს გვიყიდის და ცარიელზედ გვსვამსო. მაშ რა უნდა ჰქმნას ბანკმა? ნუ გაგვიყიდის მამულებსაო, თვითონ ჩაიბაროს ჩვენი მამულიო, უპატრონოსო, რაც შემოვა, იმითი ვალი იშოროსო და როცა მოიშორებს, მამული ჩვენვე დაგვიბრუნოსო. ამ უთავბოლო, მაგრამ სანატრელს აზრს ბევრი მომხრე ჰყავს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მომხრეებზედ სხვა არა გვეთქმის რა გარდა იმისა, რომ „ნეტარ არიან მორწმუნენი“. ზემოხსენებულ აზრის პატრონებს ან სულ არ ესმით, რა არის ნდობა, „კრედიტი“, და რით გამოიწვევა იგი ნდობა, ან განგებ თვალდახუჭულნი არიან.

ბანკი ჯერ გაჭირვებულის კაცის მოციქულია ფულის პატრონის წინაშე და მერმე მისი თავმდებიცა. მისი კლიენტი ერთის მხრით სესხის ამღებია, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს, მეორეს მხრით ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ფული ასესხოს. ამათ შუა მოქმედობს ბანკი, ვითარცა მოციქული და თავდები. ამ მოქმედებისათვის ბანკის აგებულებაში იმისთანა რამ უნდა იყოს საძირკვლად დადებული, რომ ფულის პატრონი მიენდოს და ბანკის შემწეობით და თავდებობით ფული სესხის ამღებს გადასცეს. მოკლევადიან ბანკებს ამისათვის სხვა საძირკველი აქვთ, საადგილმამულო ბანკსა სხვა. ერთი ქვაკუთხედი საადგილმამულო საძირკვლისა იგია, რომ სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზედ შემოიტანს ბანკში რაც შემოსატანია, და ბანკიც გადასცემს ფულის პატრონსა, და მეორე იგია, რომ ფულის პატრონი დარწმუნებულია წინათვე, თუ ვადაზედ სესხის ამღებმა არ შემოიტანა, დაწინდული, დაგირავებული მამული გაიყიდება და გასყიდულის ფასით აუდგება ნასესხები. თუ ამითაც ვერ გაისწორა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავმდებისა, მისი პასუხის მგებელია. ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად. ტფილისისა და ქუთაისის ბანკებმა ათს მილიონზედ მეტი ფული იშოვეს გასასესხებლად ამ სამის უსათუო პირობითა. ეს სამი აუცილებელი პირობა ამ ბანკებისაგან კი არ არის მოგონილი, არამედ იგი პირობანი წარმომდგარნი არიან თვით კრედიტის ბუნებისაგან, რომელიც უიმათოდ ყურსაც არ შეიბერტყს ხოლმე და ადგილიდამ არ იძვრის.

თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს მამულების დაგირავებას, თუ პირობის გატეხას არ უნდა მოსდევდეს თვითონ მამულის გაყიდვა? მაშინ გირავნობა რა შუაშია და რა თამასუქია? აბა ერთი მიდით გარეშე კაცთან და უბრძანეთ: ფული მასესხე, მამულს დაგიგირავებ, იმ პირობით-კი, რომ თუ ნასესხები არ დაგიბრუნე, მამული არ გა-

მიყიდოო. ხომ სასაცილოდ არ ეყოფით ფულის პატრონსა!.. ეს უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც გულწრფელადა სწამთ, რომ მამულების გაუსყიდველობა შესაძლებელია, როცა კაცი მამულის თავდებობით იღებს ვალსა. გაგონილა განა: მამულზედ მანდევი ფულიო და მამულს კი ნუ აზღვევინებო, თუ მე გაგიმტყუნდი და პირობა ვერ აგისრულეო. აქ, სწორედ მოგახსენოთ, არავითარი ლოღიკა არ არის. იქნება გვითხრან, რომ რაკი ბანკი ჩაიბარებს მამულს, თვითონ მამული თავისის შემოსავლით გადიხდის ვალსაო. ამასაც მეტად მოკლე ფეხები აქვს. თუ თვითონ პატრონმა ბანკიდამაც ფული აიღო მამულზედ და მამულს ისე ვერ მოუარა, რომ ვალს გასძღოლოდა, ბანკმა საიდამ და როგორ უნდა მოუაროს. შორს რად მივდივართ,—თვითონ სახელმწიფო, რომელსაც თავისი საკუთარი შეუწყვეტელი წყარო აქვს სიმდიდრისა, სცდილობდა ამ ბოლოს ხანებში ამ მხრით როგორმე მოჰშველებოდა რუსეთის თავად-აზნაურობას და ვერას გზით ვერა გახდა-რა, არ შესაძლებელად იცნო,—ჩვენი ტფილისის და ქუთაისის ბანკები, რომელნიც კრედიტით მოწვეულის სხვისის ფულით მოქმედობენ, როგორ შეიძლებენ, და შეუძლებელს შესაძლებელად როგორ გარდაჰქმნიან!..

აკი ვამბობთ, ეს მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი, მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება. კიდევ ვიტყვით; ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მაგ ნეტარებას გამოკლებულნი ვართ.

ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი

(პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან)

I

ტფილისი, 24 მაისი, 1886 წ.

ჩვენ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით ორს მეთაურს (ივერიის №№ 102 და 103) წერილში იმა მითქმა-მოთქმის გამო, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ისმის ჩვენის ბანკების თაობაზედ *. ჩვენა ვსთქვით, რომ ბანკების წუნისმდებელს მწერალსა და მოლექსესა ჯერ არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებს, თუმცა კი იძახიან, ბანკები ჩვენა გვღუპავსო და ამ კილოზედ ათასნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითაო. „რა საგანი უნდა აძლევდეს ამის მთქმელს საბუთსა“, ვიკითხეთ ჩვენ და ამ კითხვას, ჩვენის შეძლებისამებრ, პასუხი მივაგეთ. ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ, უჯერო და შეუწყნარებელი, და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა ვეძიოთ იგი საგანი. მითქმა-მოთქმათა შორის ჩვენი ყურადღება მივაქციეთ ორს იმისთანას, რომელთაც უფრო გატაცება შეუძლიანთ კაცისა. ერთი იგი, რომ ბანკები არ ყოფილიყვნენ, ვალსაც არ ავიღებდითო და მაშასადამე მამულების დაკარგვის განსაცდელში არ ჩავცვივდებოდითო, და მეორე იგი, რომ ბანკებმა დაუგირავებელი მამულები არ უნდა ჰყიდოსო, ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო.

რომ მართლა ერთის აზრის მდინარეობაც ყოფილა ჩვენს

---

* იხ. ზემოთ, გვ. 340—348.

რედ.

საზოგადოებაში და მეორისაც, ამას ცხადად გვიმტკიცებს ორი წერილი, დაბეჭდილი უკვე „ივერიაში“, ერთი ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისა და მეორე ბ-ნ აკაკი წერეთლისა. აკაკი წერეთელს აუღია და თავის მფარველობის ქვეშ დაუყენებია ზემოხსენებულთაგან პირველი აზრი და ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს—მეორე. მინამ თვითეულის საბუთებს გავჩხრეკდეთ, ჩვენ ნებას ვითხოვთ ცოტაოდნად შევსდგეთ ერთს არასასიამოვნო თვისებაზედ, რომელსაც ჩვენს ქართულს პოლემიკაში, ჩვენდა სამწუხაროდ, პირველი ადგილი უჭირავს ხოლმე. ამის მიზეზს ისე ბ-ნ აკაკი წერეთელის წერილი არ გვაძლევს, როგორც ბ-ნის დიმიტრი ყიფიანისა.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი საკმაოდ მოზრდილს ნაწილს თავისის წერილისას იმა ბრალის დამტკიცებას ანდომებს, რომელსაც—ვერ გაგვიგია,—როგორ და საიდამ ჩვენა გვდებს. „ივერიაშიო“, ბრძანებს ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი—

„დაბეჭდილია ორი დიდი მოწინააღმდეგე მხარე, რომლითაც ტფილისისა და ქუთაისის ბანკების დამფუძნებელნი კარგად საგრძნობელად ვიტუქსებითო. ბანკის მნიშვნელობა თქვენ არ გაგეგებათო, რომ დრტვინვასა ჰბედავთო...“

„თქვენ ბრძანებთო,—გვეუბნება მერე კიდევ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი,—რომ ჩვენ (მითამდა ბანკის დამფუძნებელთ) ბანკისა არა გაგვეგება რა...“

რაკი ამისთანა ბრალსა გვდებს, მერე, რასაკვირველია, სამართალი მიუძღვის ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს გულის წყრომით იკითხოს:

„ნუთუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ კაცი, ამხანაგობა, მთელი თავად-აზნაურობა, ეს ხალხში უმაღლესს საზოგადოებად წოდებული თავად-აზნაურობა, აშენებდეს რასმე და არ იცოდეს კი რას აშენებს? რა სათქმელია, ღვთის გულისათვის!..“

მართალი ბრძანებაა: რა სათქმელია იგი, რასაც, ჩვენდა დაუკითხავად, ჩვენ ძალად გვათქმევინებს ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი! რა სათქმელია ყოველივე ის, რასაც ჩვენ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი გვაბრალებს და რაც ჩვენ სრულებითაც არც ფიქრად გვქონია და არც სიტყვით წარმოგვითქვამს. როცა ბ-ნ დიმიტრი ყიფი-

ანის მიერ დაწერილი ამისთანა ბრალმდებელი ოქმი წავიკითხეთ, გავეცანით. ჩვენი წერილები იმოდენად გვახსოვდა, რომ საკმაო იყო ამისთანა ბრალი გაოცების მიზეზად შეგვექმნოდა. ჩვენ იმოდენა პატივისცემა გვაქვს ბ-ნის დიმიტრი ყიფიანისა, რომ ვიფიქრეთ, უსათუოდ მეხსიერება გვღალატობს, უსათუოდ რაიმე უთავბოლო და წინდაუხედავი სიტყვა წამოგვცდა ჩვენს წერილებში, და იმ სიტყვამ მისცა მიზეზი ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს, რომ ჩვენთვის საყვედური ებრძანებინა, თორემ უამისოდ იგი არ ინებებდა უსაბუთოდ გამოკიდებას და ბრალდებას.

გადავიკითხეთ ხელმეორედ ჩვენი ნეთაური წერილები და წარმოიდგინეთ, არც ერთგან, არც ერთ სტრიქონში, არც, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შუა, არც მთელის წერილის შინაარსში, ნახსენები არ არის არც ბანკის დამფუძნებელი, არც თავად-აზნაურობა იმ აზრით, რომ ჩვენ გვეთქვას ან ერთსა და ან მეორეზედ, ვითომც ბანკის საქმეში არა გაეგებათ-რაო. თუ ამაში ვცდებით, ვთხოვთ ერთი სიტყვა, ერთი რომელიმე სტრიქონი და ადგილი გვიჩვენონ ჩვენის წერილებიდამ, რომელთშიაც არამც თუ პირ-პირ გამოთქმული იყოს, არამედ იგულისხმებოდეს მაინც, რომ საქმის არაგაგება მთელს დამფუძნებელთ დასსა, ან მთელ თავად-აზნაურობას ჰბრალდებოდეს ჩვენგან საერთოდ. ჩვენ თუ არაგაგებას ვაბრალებდით ვისმე და ეხლაც ვაბრალებთ, სახეში გვყვანდა მარტო იგი თვითოეულნი პირნი, რომელნიც მიზეზნი არიან სხვადასხვა მითქმა-მოთქმისა ჩვენს საზოგადოებაში. იგინი არც მთელს დამფუძნებელთა დასს შეადგენენ და არც მთელს თავად-აზნაურობას.

ეხლა ვიკითხოთ, რად უნებებია ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს ძალად თქმევინება ჩვენთვის მისი, რის თქმაც არ გვსურებია და არც გვითქვამს? რად უნებებია, გულის ამღვრევა ან ბანკის დამფუძნებელთა ან მთელის თავად-აზნაურობისა? მთელის თავად-აზნაურობის უცოდინარობა, უმეცრება ბანკის საქმეში, რა საკვირველიაო,—რისთვის ბძანებს ამას ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი? ჩვენ აქ რა შუაში ვართ? რად გვაბრალებს ამის თქმასა ჩვენ?

აი ეს არა-თქმულის თქმაა იგი არასასიამოვნო თვისება, რომელსაც ჩვენს ქართულს პოლემიკაში, კამაოობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, პირველი ადგილი უჭირავს ხოლმე. ნუთუ უმაგისოდ იმედი არა ჰქონია ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს, რომ თავის აზრს მომხრე მოუპოვოს? თვით იმ აზრის ბუნებაში იმოდენა სანუკბარო და სანეტარო რამ არის, რომ ბევრს მიიმხრობს და გაიტაცებს. ჩვენც მიგვიმხრობდა, რომ შეუძლებელი შესაძლოდ გვეცნა. დიაღ, ძმები ვართ ყველანი და ძმათა შორის მწარე მართალი სჯობია ტკბილს ოცნებასა. რომ ბ-ნის დიმიტრი ყიფიანის აზრი მართლა სასიამოვნო და სანატრელი ოცნებაა, ეს არა ერთხელ გვითქვამს და იძულებულ ვიქნებით შემდეგ ნომერში კიდევ განვიმეოროთ.

II

ტფილისი, 26 მაისი, 1886 წ.

არამცთუ საზოგადოებრივს საქმეში, კერძო კაცის საქმეშიაც შესაწყნარებელი არ არის იმისთანა მითქმა-მოთქმა, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს, რადგანაც შინაგანად ყოველ ღირსებას მოკლებულია. თუ ამისთანა მითქმა-მოთქმა ზოგჯერ სჭრის და ფეხს იკიდებს ხოლმე, ეგ მარტო იმიტომ, რომ გულის მოსაგები ფერ-უმარილი უსვია და, თუ კაცი არ ჩაუფიქრდა, ადვილად წაიტყუებს ხოლმე. როცა კაცს ცალკე და საზოგადოებას ერთად რამ უჭირს და ეძიებს სახსარს გაჭირებისაგან თავის ხსნისას, მაშინ ჭეშმარიტმა მოძმემ, მართალმა გულშემატკივარმა, ისეთი რჩევა უნდა მისცეს, რომელიც გარემოებას შეეფერება და რომელიც ასახდენია და აღსასრულებლად შესაძლებელი. თორემ იმას რომ გამოუდგეთ,—აცა, რაც იამება, ის ვუთხრაო, ეს ძმობა კი არა,—მტრობა იქმნება და, სწორედ მოგახსენოთ, ადვილი საქმეც არის. ამისთანა შემთხვევაში საქმე ის-კი არ არის—გაჭირვებულის გული მოიგო ცარიელის სიტყვით, არამედ ის, რომ თუ საშვე-

ლია რამ, ეშველოს, თუ არა და მოურიდებლად, პირდაპირ, ღობე-ყურეს მოუდებლად, უთხრათ: საშველი არ არის და ტყუილად გაგიზვიადებია სურვილი-თქო.

იყო, მაგალითებრ, დრო, როცა ბატონ-ყმობის გაუქმების ხმებით შეწუხებულს თავად-აზნაურობას გულსა ჰფხანდნენ იმით, რომ თვითო კომლს კაცზედ სამოც-სამოც თუმანს გამოგიტანთო,. ნუ გეშინიანთო. რა თქმა უნდა, ამ გულის მოსაგებს აღთქმას ბევრი აჰყვა, მაგრამ ბევრმა კი დიდის ეჭვით გაიქნია თავი და ეს დაუჯერებელი დაპირება ქარს გაატანა. ეს უჯერო ხალხი ამბობდა: „ნუ გჯერათ, ეგ შეუძლებელი არისო“.

ვინ იტყვის, რომ სამოც-სამოცი თუმანი თითო კომლზედ კაი ლუკმა არ იყო, მაგრამ ვინც კი ამ ლუკმისათვის მაშინ პირი დააღო, ისე პირღია დარჩა დღევანდლამდე.

ამისთანა მითქმა-მოთქმას ჩვენის ბანკების თაობაზედ ხომ ბოლო არა აქვს. ერთხელ და ერთხელ საჭიროა რომ ბოლო მოეღოს. ეს მითქმა-მოთქმა თვითონ ბანკებსაც აბრკოლებს. სახელს და აბრუს უტეხავს, ბანკიდამ ვალის ამღებსაც რაღაც ტყუილ იმედებს აძლევს და უამისოდაც უზრუნველს უფრო უზრუნველადა ჰხდის. ბანკიც წაგებაშია ამ უზრუნველობის გამო და ვალის ამღებიცა. ამ შემთხვევაში ღობე-ყურეს მოდება ღალატია საქმისა. საჭიროა გულახდილად ლაპარაკი, პირდაპირი, პირმოუფერებელი თქმა.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ისე პატივცემულია ჩვენში, რომ მისი სიტყვა განუკითხველად ბევრსა სჯერა. ჩვენ კი, იმედია, მოგვიტევებს, რომ განუკითხველად არ ვიჯერებთ. ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი იმოდენად განათლებული კაცია, რომ ითაკილებს კიდეც, თუ ვინმე განუკითხველად, ბრმად აჰყვება მის სიტყვასა, ნამეტნავად ამისთანა საზოგადო საქმეში, როგორიც ჩვენი ბანკებია, ჩვენის ფიქრით. რაკი საქმე ასეა, ჩვენ თამამად შევუდგებით მის წერილის განხილვას.

ბ-ნი ყიფიანი ბრძანებს:

„ჩვენ ასე დავადგინეთ, ასე ავიშენეთ ბანკი რომელიც ორმოცის თუ **სამოცი ათასის** თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირვებაში **ხელის გამართვასაო**“.

არა, ბატონო, ეს მართალი არ არის. სამოცი ათასის თუმანის ტრიალი ყველას ვერ მოგიხერხებდათ გაჭირებაში ხელის გამართვასა. ჯერ თითქმის ათი მილიონი ფული დაატრიალა ჩვენში ჩვენმა ორმა ბანკმა და გაჭირებაში დღესაც ბევრს ვერ უმართავს ხელსა და სამოცი ათას თუმნით იმას ვით შესძლებდით, რაც თითქმის ათმა მილიონმა ვერ შესძლო; ეს ერთი. მეორე—ბ-ნის დიმიტრი ყიფიანის სიტყვითვე დავამტკიცებთ, რომ ეგ იმედი არამცთუ ვისმეს ჰქონია ბანკის აშენების, თუ დადგინების დროს, არამედ თვით ბ-ნს ყიფიანსაც ფიქრად არ გაუტარებია, და რად ბრძანებს ეხლა ამას, არ ვიცით.

ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის საკუთარი პროექტი ბანკისა, რომელიც მთავრობამ უარ-ჰყო და არ დაამტკიცა, ამბობს:

§ 38. ხანგრძლივი სესხი მიეცემა ბანკის მიერ ზოგი ნაღდის ფულით, ზოგი საკრედიტო ფურცლითა *,—და სხვანი.

§ 39. საკრედიტო ფურცელნი გამოცემულ იქმნებიან იმდენი, რამოდენასაც ნამდვილი საჭიროება მოითხოვს არამცთუ მარტო ხანგრძლივის, არამედ ხანმოკლე სესხისათვისაც. ხოლო ჯამი საკრედიტო ფურცლებისა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის ძირის ფულს ათჯერ მეტად.

უკეთუ ორმოცისა თუ სამოცი ათას თუმნის ტრიალი ყველას მოუხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასა და მართლა ესა ყოფილა პირვანდელი იმედი ბანკის დამფუძნებელთა, რაღა საჭირო იყო საკრედიტო ფურცლები ძირის ფულზედ ერთი ათად მეტი, სახელდობრ, ოთხისა, თუ ექვსის მილიონისა!.. რად შეიტანა ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ზემოთ მოყვანილი ორი მუხლი თავის პროექტში, თუ მართლა მარტო 400.000, ანუ 600.000 მანეთის ტრიალი ყველას მოუხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასა? ამ სახით ბ-ნის დიმიტრი ყიფიანის საკუთარი მოწმობა ხელთა გვაქვს, რომ ბანკი, პირველ დადგინების დროს არ დასჯერებია 400.000, თუ 600.000 მანეთის ტრიალს და ოთხისა თუ ექვსის მილიონის საკრედიტო ფურცლებიც მოუწვევია საშველად და დასატ-

* ესე იგი, ეხლანდელი გირავნობის ფურცელი.

რიალებლად. მაშასადამე, არავის არა ჰქონია იმედი, რომ ბანკი 400.000 თუ 600.000 მანეთის ტრიალით ყველას მოუხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასა და ეხლა კი იგივე ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ბრძანებს:

„ასე დავადგინეთ, ასე ავიშენეთ ბანკი, რომელიც ოპერაციისა თუ სამოცი-ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასაო".

რომელი ერთი დავიჯეროთ? რად უნებებია ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს ამის თქმა ეხლა? ბევრი კი მოიფხანს გულსა და იტყვის: ვაი ეს რა დღეში ჩავცვივნულვართო!.. აქ ათი მილიონი ფული დაატრიალეს ჩვენმა ბანკებმა და ვერ მოგვიხერხეს ყველას გაჭირებაში ხელის გამართვა და თურმე ნუ იტყვით, 400.000 თუ 600.000 მანეთის ტრიალით ყველას ხელს გაგვიმართავდაო ის საოცარი ბანკი, რომელიც ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს სდომებიაო. გულის ფხანა კარგია, მაგრამ განა ეგ საქმეა!..

მეტად გაგძელდა ეს წერილი და დანარჩენს ხვალინდელს ნომერში გავარჩევთ.

III

ტფილისი, 27 მაისი, 1886 წ.

„თქვენ უნდა გეფიქრათ, ჩვენს მინისტრებსაო,—ბრძანებს ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი,—რომ ათისა, თუ თორმეტის ასისათვის, ეს იგი, 10—12% -ის გადახდა სასოფლო მამულისაგან ყოვლად შეუძლებელი არისო".

დავუკვირდით ამ სიტყვებს და, სწორედ მოგახსენოთ, ვერ გავიგეთ, ამით რის თქმა ჰსურვებია ბ-ნ დიმიტრი ყიფიანსა? ასის თავად რა მიუღია ამ შემთხვევაში: ნასესხები ფული, მაგალითებრ, ას მანეთზედ ათი თუ თორმეტი სარგებელი, თუ მამულის ღირებულება? განა არა," ერთმა ცნობიერმა ქართველმა გვირჩია: ბ-ნ ყიფიანს ცხადად ერთი სიტყვაც არა აქვსო თავის წერილში გამოთქმულიო. მე გირჩევთო, ჯერ გეკითხნათ ბ-ნ ყიფიანისათვის ახსნა მისი, რის თქმაც ჰსურსო და მერე მიგეცათ პასუხიო. ამ გონიერს რჩევას ჩვენ შევუშინდით, თუმცა მისი საჭიროება ჩვენც ვიწამეთ. შევუშინდით, იმიტომ რომ ვაი თუ იფიქრონ, „ივერია" ეგზემე-

ნიას უკეთებს, და მოვერიდენით, რომ ეს უმართებულობაში არ ჩამოერთვათ ჩვენთვის.

რომ ახსნა მართლა საჭიროა, ბ-ნ ყიფიანის ზემოხსენებულ სიტყვებიდამ სჩანს. თუ ნასესხები ფული იგულისხმება ასის თავად, მაშინ სხვა პასუხი აქვს და თუ ასის თავად მიღებულია თვითონ მამულის ღირებულება—მაშინ სხვა. ამას კი ვიტყვით, რომ საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცს ესეთი ორაზროვანი თქმა არ მოუვიდოდა ამისთანა შემთხვევაში. მაგრამ ბოდიშს ვიხდით, იქნება ბ-ნს ყიფიანს იმის თქმა უნდოდა, რასაც თვითონ სიტყვები ამბობენ, და სიტყვები კი ამას ამბობენ, რომ 10 თუ 12%-ის ხდა სოფლის მამულს არ შეუძლიანო. მაშ დავადგეთ ამ სიტყვას და 10 და 12%-ის ხდა სოფლის მამულის ღირებულობის კვალობაზედ გამოვიძიოთ და აქაც დავინახავთ, რომ საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცი ისე არ შესცდებოდა ანგარიშში, როგორც ბ-ნი ყიფიანი შემცდარა.

ჩვენის წესდების ძალით, თუ სოფლის მამულს ერთი მანეთი აქვს წმინდა შემოსავალი წელიწადში, იგი უნდა დაფასდეს 16 მანეთად (კაპეიკებს აღარ ვანგარიშობთ). აქედამ რვა მანეთი უნდა მიეცეს სესხად სოფლის მამულის დამგირავებელს. ჩვენის წესდების ძალისამებრვე ასზედ რვას იხდის სოფლის მამულის დამგირავებელი თავნსა და სარგებელსა. ამის კვალობაზედ სოფლის მამულს ბანკის ვალის გადასახადი ჰხვდება, ზემომოყვანილი მაგალითი რომ ავიღოთ, 64 კაპეიკი თავნსა და სარგებელში წელიწადში. მაშასადამე 16 მანეთის ღირებულების სოფლის მამული ჰხდილობს წელიწადში 4%-სა, რადგანაც 16 : 0,64—100 : 4 და არა 10 და 12%-სა, როგორც ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი. ეხლა ვიკითხოთ: საიდამ გამოუყვანია ბ-ნ ყიფიანს ამ სიდიდე სარგებელი?

თუ ბ-ნმა ყიფიანმა იგულისხმა გირავნობის ფურცლის კურსი და იმის კვალობაზედ იანგარიშა, რომ სოფლის მამული იხდის 10 თუ 12%-ს, აქაც ანგარიში არევია. მაგრამ, უკაცრავად, ანგარიში კი არა, თვით საგანი არევია, იმიტომ რომ თუ ერთხელ ასის თავად მამულის ღირებულობაა აღებული სარგებლის საანგარიშოდ, გირავნობის ფურცლის ღირებულებას არავი-

თარი ადგილი არა აქვს, და ვინც ხან ერთს ჩააყენებს მეორის ადგილას და ხან მეორეს, იმას საქმის არევა სდომებია და არა ახსნა. არ გვგონია, ამას დამტკიცება სჭირდებოდეს, და თუ საჭიროა, მოგვკითხონ და დავამტკიცებთ.

თუ ბ-ნს ყიფიანს ზემოხსენებულის სიტყვებით უნდოდა ეთქვა, რომ ბანკიდამ ფულის ამღებს ფული 10 თუ 12%-ად უჯდება და ეგ სამძიმოა,—ეს სულ სხვა საგანია, მაგას სულ სხვა პასუხი უნდა. ამ შემთხვევაში გირავნობის ფურცლების კურსსა დიდი და მხოლოობითი მნიშვნელობა აქვს სარგებლის სიმძიმის გამოსარკვევად. თუ ასეა, ბ-ნმა ყიფიანმა თავის ზემოხსენებულ ნათქვამში უნდა შესცვალოს სიტყვები: „საოსფლო მამულისაგან ყოვლად შეუძლებელი არის“, როგორც სიტყვები, რომელნიც საქმის მცოდნე კაცისაგან აქ მოსატანი არ იყო, იმიტომ რომ საადგილმამულო კრედიტის ვალს იხდის არა სასოფლო მამული, როგორც ბ-ნ ყიფიანს ჰგონია. ამ ორთა სიტყვათა შუა დიდი განსხვავებაა და ნურავინ დაგვწამებს, რომ ამ შემთხვევაში ვითომც ტყუილუბრალოდ გამოვეკიდენით სიტყვებსა. ხოლო ვინც სიტყვას საგნის შეუსაბამებლად, შეუწონებლად ჰხმარობს, მას არც თვითონ საგანი აქვს ნათლად წარმოდგენილი. ჩვენ ამისი თქმა გვინდა.

ასეა თუ ისე, უკეთუ ბ-ნი ყიფიანი ზემოხსენებულ სიტყვებს შესცვლის, მერე გვიბრძანოს, როგორ და რა ანგარიშით გამოჰყავს გირავნობის ფურცლის კურსის მიხედულობით 10 და 12%? ეგ იმისათვის არის საჭირო, რომ სახსარი გვქონდეს ანგარიშს კვალში ჩავუდგეთ, და ან სხვისი ჩვენ დავიჯეროთ, ან ჩვენი სხვას დავაჯერებინოთ. უამისოდ ყოველივე გამოძიება ბნელაში ხელების ფათურს ეგვანება.

„თქვენ საქმეს ასე გვიხსნითო,—ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი,—რომ ფულს რომ გაძლევთ, სხვებისაგან ვსესხულობთ, იმას გაძლევთო. ვინ რას გასესხებდათ, დახათრიჯამებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, რომ თავის ფულის სარგებლობა იმათ არ დააკლდებათო; არ დააკლდებათ ჯერ ამით, რომ ჩვენი ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდს ფულზედ არის აშენებულიო!..“ და სხვანი.

პირველ სიტყვიდამ პირველ წერტილ მძიმემდე რომ კაცი დააკვირდეს მთელს სტრიქონებს, ჰკვირობს, რად გარჯილა ამისი მთქმელი, რომ ეს უთქვამსო! რა სიტყვის შემობრუ-

ნებაა ეს? ჩვენც ვიცით,—არავინ გვასესხებდა ფულს, თუ დახათრიჯამებულნი არ იყვნენ, რომ თავის ფულის სარგებლობა მათ არ დააკლდებათ. ამისი უარი განა ვინა სთქვა? მაგრამ ამას თავი დავანებოთ, საქმე პირველ წერტილ მძიმეს ქვემო სტრიქონებშია:

„არ დააკლდებათ ჯერ იმითი, რომ ჩვენი ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდს ფულზედ არის აშენებულიო“.

თუ ამით ჩვენ გვირღვევს ბ-ნი ყიფიანი სიტყვას, ბანკის ნაღდ ფულზედ აშენება რა შუაშია? თვითონვე ბრძანებს, რომ „თქვენ გვიხსნითო, რომ ფულს რომ გაძლევთ, სხვებისაგან ვსესხულობთო“. თუ რამე ეთქმოდა ჩვენზედ ბ-ნს ყიფიანს, ამაზედ უნდა ეთქვა და არა იმაზედ, რომ „ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდ ფულზედ არის აშენებულიო“! ნუთუ ბ-ნს ყიფიანს ყური არ უთხოებია, რომ ბანკის საფუძველი ერთია და მისი ოპერაცია მეორე! ნუთუ არა სცოდნია დღეს-აქამომდე. რომ ჩვენი ორივე ბანკი, ვთქვათ, ნაღდ-ფულზე აშენებული, სესხს რომ იძლევინება, თვითონაც სხვისაგან სესხულობს? მაშ რა არის მთელი ოპერაცია გირავნობის ფურცლებისა? მაშ რა არის, რომ ორსავე ჩვენს ბანკს ძლივს მოუგროვდება ნაღდი ძირის ფული 800.000 მანეთი და ათის მილიონის ოპერაცია კი აქვს დღესაც!... გასაოცარია ეს ამისთანა ლაპარაკი. გაოცებას კიდევ გავუძლებთ, რომ ფრიად სამწუხარო არ იყოს იმისთანა მითქმა-მოთქმა საზოგადო საქმის გამო, საცა არც ბოლო ებმის თავსა და არც თავი ბოლოსა. ჩვენ ვეუბნებით, ჩვენი ბანკები სხვისაგან სესხულობენ ფულს და იმას აძლევენ თავის მხრით სესხადაო და ისინი კი გვეუბნებიან: არაო, ჩვენი ბანკები სესხზედ კი არა, ნაღდ ფულზეა აშენებულიო. ერთი მეორის რა პასუხია? თუ პასუხი არ არის, რად არის თქმული? ან თუ ამ ბ-ნ ყიფიანის სიტყვებში სხვა უფრო შესაწყნარებელი აზრი იგულისხმება, ვთხოვთ გვიბრძანოს.

ვეცდებით ხვალ დანარჩენებზედაც ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ და მითი გავათაოთ ლაპარაკი ბ-ნ ყიფიანის წერილის გამო.

IV

ტფილისი, 28 მაისი, 1886 წ.

რამდენსაც ტყეში შორსა და შიგნით შესდიხართ, ამბობს რუსული ანდაზა: იმოდენად უფრო მეტი შეშააო. სწორედ ესე მოგვდის ჩვენც ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის წერილის გამო: რამდენსაც მეტს ვუკვირდებით მის ნათქვამს, მით უფრო მეტს ბარდებსა ვპოვულობთ.

„ჩვენ რომ ჩვენს სესხში 10 და 12%-ს გვახდევინებთ,—ეუბნება ჩვენს ბანკებს ბ-ნი ყიფიანი,—ისინი კი (ესე იგი, ისინი, ვისგანაც ბანკები სესხულობენ) 6% გვჯერდებიანო... და სხვანი.

მტკნარი უცოდინაროზაა იმის მხრით, ვინც ამას გულდაჯერებით იტყვის. ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან, რომ ძალაუნებურად გვაიძულებენ სიტყვა გავაგრძელოთ და ანბანი საადგილმამულო კრედიტისა გადავიკითხოთ. აი რა ვერ გაუგია ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს: სიძვირე და სიიეფე კრედიტისა საზოგადოდ ორის საგნის რაოდენობით გამოიხატება. ამ ორს საგანში ერთი ცვალებადია და მეორე უცვალებელი. თავსა რომ A დავარქვათ, სარგებელს B და სიძვირეს კრედიტისას X. ჩვენი აზრი ამ ფორმულით

$$\text{გამოითქმის: } \frac{B \times 100}{A} = X.$$

ყველამ ვიცით, რომ სესხი, ესე იგი, კრედიტი ხან იეფია ხან ძვირი. მაშასადამე ჩვენს ფორმულაში X მუდამ ცვალებადია. რომ ეს უეჭველი ცვალებადობა X-ისა გამოიხატოს, ამისათვის საჭიროა A და B-ს შორის, ესე იგი, თავსა და სარგებელს შორის ერთ-ერთი იცვლებოდეს და მეორე უცვალებელი იყოს. მოკლევადიანი კრედიტი, როგორიც არის, მაგალითებრ, საკომერციო ბანკის კრედიტი, ამ ორს საგანში თავსა უცვალებლად ჰხდის, და მაშასადამე კრედიტის სიძვირის გამოსახატავად მეორე საგანს, ესე იგი, სარგებელს უნდა სცვლიდეს. ესეც არის: საკომერციო ბანკი თავსა ყოველთვის ასს-ასზედ ანგარიშობს და სარგებელს კი სცვლის. ხან შვიდია, ხან რვა, ხან ცხრა და მეტიც.

საადგილმამულო კრედიტში კი სარგებელი, რაც არის,

უცვალებელია, მაგალითებრ ტფილისის ბანკისა სულ მუდამ 6%-ია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სიძვირე კრედიტისა რომ გამოიხატოს, თავნმა უნდა ხან აიწიოს, ხან დაიწიოს. ესეც არის: ჩვენს გირავნობის ფურცელს ასზედ ექვსი სარგებელი აქვს. როცა ფული ძვირია, ამ ასზედ ექვსს არა ჰკმარობს ფულის მსესხებელი, და რადგანაც სარგებელი გირავნობის ფურცლისა უცვლელია, თავნსა სცვლის იმის კვალობაზედ რამოდენის სარგებლის აღებაც უნდა, ხან ათს თუმნიან ფურცელში რვა თუმანს იძლევა, ხან ცხრას, ხან მეტს, ხან ნაკლებს. როცა ათის თუმნის გაცემა, მაგალითებრ, შვიდ და ათ შაურად უნდა, მაშინ ათ თუმნიან გირავნობის ფურცელში რვა თუმანს აძლევს, იმიტომ რომ, ჩვენის ფორმულისამებრ, $\frac{6 \times 100}{80} = 7^1/_2$. როცა ფულის მსესხებელი სჯერდება მარტო 6%, მაშინ ათს თუმნიან გირავნობის ფურცელში ათ თუმანს ნაღდს ფულს იძლევა.

ამ სახით, საკომერციო ბანკი ბაზარში გადის და იძახის, ათის თუმნის ნაღდის სესხება მინდა, რა სარგებელს დამჯერდებითო. ამის პასუხად ფულის ბაზარი ეუბნება: ხან 7%, ხან 8%, ხან მეტს, ხან ნაკლებს. საადგილმამულო ბანკი კი გადის და იძახის: ექვს ნაღდს მანეთს გპირდებით სარგებელსა და რამოდენა თავნს მამცემთო. პასუხად ბაზარი ეუბნება ხან 80 მანეთს, ხან 85, ხან 90, ხან მეტს, ხან ნაკლებს და ეს პასუხი ბანკის გირავნობის ფურცლების ფასით გამოითქმის ხოლმე. მაშასადამე, კაცმა რომ სთქვას, ისინი, ვისგანაც ბანკები ფულებს სესხულობენ, 6% გვჯერდებიანო, ისიც უსათუოდ უნდა სთქვას, რომ ჩვენის ბანკების ათ თუმნიანი გირავნობის ფურცელი ათს თუმან ნაღდ ფულად გადის.

ეხლა ვკითხოთ ბ-ნ ყიფიანს, გვაუწყოს, — როდის ყოფილა იმისთანა ბედნიერი დრო, რომ ჩვენის გირავნობის ფურცლის ათს თუმანში ათი თუმანი ნაღდი ფული ეძლიოთ? თავისდღეში არა ყოფილა, თავის-დღეში ჩვენის ბანკების გირავნობის ფურცელი ათ თუმნიანი 97 მანეთს ზევით არ ასულა. თუნდ რომ ეს შემთხვევაც ავიღოთ, მაინც კიდევ შეცდომაა კაცმა სთქვას, რომ ისინი, ვისგანაც ჩვენი ბანკები ფულსა

სესხულობენ, 6% გვჯერდებიან, იმიტომ რომ ექვსს მანეთს წელიწადში 97 მანეთში გვჯერდებიან და არა ათს თუმანში. ზემოაღნიშნული ფორმულა ამოქმედეთ ამ შემთხვევაში და ამას ცხადად დაინახავთ.

ეს შეცდომა კიდევ არაფერია, ბევრს ზიანს არ მოიტანს, იმიტომ რომ აქ ციფრი თავის უტყუარს განაჩენს იტყვის, რაც უნდა საქმე ჰხლართონ. სამწუხარო და ყოვლად შეუწყნარებელია იმისთანა უმართლო იმედები, რომელსაც მარტო საღერღელის აშლა შეუძლიან უმეცარის კაცისა და სხვა არავითარი ღირსება არა აქვს.

„ისინიო, (ესე იგი, ისინი ვისგანაც ჩვენი ბანკები ფულსა სესხულობენ) 6% გვჯერდებიან და როგორ 5%-საც არ დაგვჯერდებიან, როდესაც 4%-იც სანატრელია იმათთვისო"—ბძანებს ბ-ნი ყიფიანი.

მერე ვინ უშლით, თუ კი ეგრეა. ეგ რომ მართალი იყოს, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ისინი აისრულებდნენ თავიანთ ნატვრასა. მაგისათვის საკმაოა აიღონ და 6%-იანი გირავნობის ფურცელის ფასი ისე ასწიონ, რომ ათს თუმანზედ ხუთი, ანუ ოთხი მანეთი სარგებელი მოუვიდეთ. თუ ხუთი ენატრებათ, მაშინ ათ თუმნიან გირავნობის ფურცელში თორმეტ თუმანს მისცემდნენ და თუ ოთხი—ხუთმეტს თუმანსა, რადგანაც პირველ შემთხვევაში 100:5=120:6 და მეორეში—100:4=150:6. რატომ არ იძლევიან, თუ 5% და 4% მათთვის სანატრელია?

ამას თავი დავანებოთ და ერთი ესა ვკითხოთ ბ-ნს ყიფიანს: სად ეგულება მაგისთანა ბოლაზი ფულისა, რომ 5% და 4% სჯერდებოდნენ სარგებლად? თვითონ სახელმწიფომ, რომლის სახელი და ქონებითი შეძლება ისეთია, რომ ჩვენი ბანკები მთელის თავისის ავლა-დიდებით მასთან მტკრადაც არ გამოჩნდებიან,— თუ კი სახელმწიფომ, ვამბობთ ჩვენ, სესხი ვერ იშოვა $6^1/_4$% ნაკლებ მთელს ევროპაში, ჩვენმა ბანკებმა 5% და 4% როგორ უნდა იშოვოს! ეგრეთწოდებული „ოქროს რენტა" რა დაჯდა ხომ ყველამ იცის, რომ სხვა არა ვსთქვათ-რა. ერთს იმისთანა სახელმწიფოსაგან აღებულს ვალს ვერ გვაჩვენებენ, რომ $4^1/_2$% ნაკლებ დასჯდომოდეს და ჩვენ ბანკებს კი ეუბნებიან: რატომ 4%, თუ 5% ფულს სესხად ვერ შოუ-

ლობენო!... ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ ფულის პატრონისათვის 5% და 4% სანატრელიაო!... თუ სანატრელია, „ოქროს რენტა“ რად დაუჯდა სახელმწიფოს $6^1/_4$%? სად იყვნენ მაგ 5% და 4%-ის მონატრული ფულის პატრონები? სიზმარში ნახულნი თუ არიან. ჩვენ იმას ვჩივით, რომ სიზმარს რა ხელი უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში?

თავად-აზნაურთათვის დაწესებულმა სახელმწიფო ბანკმა ძლივძლიობით შესაძლოდ დაინახა 5%-დ ფულის შოვნა და ჩვენს ბანკებს კი ეუბნებიან, — არამცთუ მაგ სარგებელით, მაგაზედ ნაკლებითაც ნატრულობენ ფული გასესხონ და თქვენ კი ვერ მიგიგნიათ ადგილიო.

სარგებელი ორის ნაწილისაგან შესდგება: ერთი სარგებელი სამატისა* და მეორე — სარგებელი საფრთხილობელისა**. რაოდენადაც ვალის ამღები სანდოა, იმოდენად ეს საფრთხილობელი სარგებელი ნაკლებია და იმოდენად ნაკლებ უჯდება ნასესხები ფული. თუ სახელმწიფო ბანკს 5%-იან გირავნობის ფურცლებით შესაძლოდ დაუნახავს ასზედ ასის ნაღდის ფულის შოვნა, ეგ იმიტომ, რომ მისდა მიმართ იმ ნაწილს სარგებლისას, რომელსაც ჩვენ საფრთხილობელი ვუწოდეთ, ადგილი ან სულ არა აქვს, ან თუ აქვს, ძალიან ცოტა. ეგრეც უნდა იყოს, იმიტომ რომ ჯერ სახელი სახელმწიფოსი რა არის ნდობის მოსაპოებლად, და ამას ზედ დაუმატეთ კიდევ მისი ქონებითი ძალა. სულ სხვაა კერძო ბანკი, მერე იმისთანა ბირჟაზედ შორი და სუსტი, როგორც ჩვენი ბანკებია. აქ საფრთხილობელ ნაწილს სარგებლისას შესანიშნავი ადგილი უჭირავს, რადგანაც ამისთანა ბანკს ისე არ ენდობიან, როგორც სახელმწიფოს სახელით შემოსილს და მთელის სახელმწიფო ქონებით დახათრიჯამებულს. ამ საფრთხილობელის ნაწილად დღეს ბირჟა ნასესხებ ფულში სახელმწიფო ბანკზედ $1^{38}/_{97}$%-ს მეტს გვართმევს ჩვენ, თუ მხედველობაში მივიღეთ აწინდელი კურსი ჩვენის გირავნობის ფურცლისა, ესე იგი, ას მანეთიანში 97 მანეთი.

ეხლა ვიკითხოთ: გარემოება ფულის ბაზრისა ესეთია,

* Процент роста.
** Процент риска.

ნუთუ ძალიან სათაკილოა ჩვენის ბანკებისათვის, რომ მათ $1^{38}/_{97}\%$-ით ნაკლებ ენდობიან, და ამიტომ ნასესხს ფულში მაგოდენად მეტს ართმევენ, ვიდრე სახელმწიფო ბანკსა!... გარდა ამისა, ესეც ვიქონიოთ სახეში, რომ ჯერ, როცა ჩვენი ბანკები ექვსს მანეთს ჰპირდებიან წელიწადში და 97 მანეთზედ მეტს ფულის ბაზარი მაგ სარგებლით ფულს არ აძლევს სესხად, 5 მანათი რომ გამოაცხადოს, რაღას მისცემენ? აბა მოიფიქრონ ეგ იმათ, ვისაც ჰგონიათ, რომ სარგებლის მეტნაკლებობა მარტო სესხის ამღებზეა, ესე იგი, ამ შემთხვევაში ჩვენს ბანკებზეა დამოკიდებული და არა სესხის მომცემლებზედაც, ესე იგი ფულის ბაზარზედ. ასზედ ექვს მანეთს სარგებელს ჰპირდებიან და ფულს ძლივძლიობით შოულობენ, მოსულან და იძახიან, ხუთი და ოთხი დაჰპირდით და ნატვრით მოგაყრიან ფულებსაო. ვისი შეცდენა უნდათ ამითი, არ ვიცით, ეს კი ვიცით, რომ ამისთანა სიზმრით პირს ჩაიტკბარუნებს უქმი კაცი და საქმიანი კი არ აჰყვება, რადგანაც ამისათვის არც ხალისი და არც მოცალეობა ექმნება.

ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე, რომ სიტყვა გრძლად მოგვდის და ჩვენი დაპირებისამებრ დღეს ვერ ვათავებთ ლაპარაკსა ბ ნ დიმიტრი ყიფიანის წერილის გამო. ამ წერილის თავშივე ვსთქვით, რომ რაც უფრო ვუკვირდებით ამ წერილს, მით უფრო ბევრს გასახსნელს კვანძსა ვპოვულობთ. ამ კვანძების გახსნას ხელს არ მოვკიდებდით, რომ მაგ კვანძებს ისეთი ფერ-უმარილი არ ესვას, რომელსაც, როგორც ყოველს გარეგან მილესვ-მოლესვას, მარტო ერთი ღირსება აქვს, მარტო ერთი უნარი: ცდუნება ბეცის თვალისა. საზოგადო საქმეში ამისთანა ფერ-უმარილიანი აზრები, ცარიელი ტკბილ-ტკბილი და თბილ-თბილი სიტყვები, ვნების მეტს ვერას იზმენ, შესაწყნარებელნი არ უნდა იყვნენ, და ამიტომაც იძულებულ ვართ ეს უსიამოვნო და უმადური შრომა კიდევ განვაგრძოთ და ეგ ფერ-უმარილი ჩამოვბანოთ. ვითხოვთ ბოდიშს მასზედ თუ — იქნება ბ-ნ ყიფიანის წერილს ორი თუ სამი მეთაური წერილი კიდევ მოვანდომოთ.

ხოლო ვიდრემდე ამ სარგებლის მეტნაკლებობაზე ჩვენს სათქმელს სრულად ვიტყოდეთ და გადავიდოდეთ იმ „ორიოდე

სიტყვაზედ მამულის გაუყიდებლობის“ შესახებ, რომელიც ყველაზედ მომეტებულად მაცდუნებელია უმეცართათვის, სა. ჭიროა ზოგიერთს საკითხავზედ პასუხი მივიღოთ. ეს სა. კითხავები ცალკედ არის ანუსხული და დეპეშების წინ დაბეჭ. დილი დღევანდელს ნომერში.

V

ტფილისი, 30 მაისი, 1886 წ.

ბ-ნი ყიფიანი რომ ეუბნება ბანკებს — რატომ 5% და 4% არ დააჯერებთ და ისე არა სესხულობთ ფულსაო, ამით უსა. თუოდ იმისი თქმა უნდა, რომ ეხლანდელი თქვენი სარგებე. ლი გირავნობის ფურცელისა ექვსიდამ ხუთსა და ოთხს პრო. ცენტზედ ჩამოახდინეთო. თუ ეს არ ვიგულისხმეთ, სხვას არავითარს აზრს არ მიუდგება ნათქვამი ბ-ნის ყიფიანისა. ვსთქვათ, დავუჯერეთ და ოთხს აღარ ვიტყვით, ხუთზედ ჩა. მოვახდინეთ ჩვენის გირავნობის ფურცელის სარგებელი. რა გამოვა? ის გამოვა, რაც დღეს უტყუარად არის იმის თვალ. ში, ვისაც ჯერ საქმე გამოუძიებია და მერე უთქვამს სათქმე. ლი. ტფილისის ქალაქის საკრედიტო ბანკი თავის ობლიგა. ციებში (იგივე გირავნობის ფურცელში) 5%-ს იხდის და ჩვე. ნი ბანკები 6%-სა. ფულის ბაზარი რა პასუხს აძლევს ან ერთს, ან მეორეს? დღეს პირველის ობლიგაციებს ათს თუმ. ნიანს ყიდულობს 80 მანეთად, მეორისას —97 მანეთადა. წი. ნა წერილში მოყვანილ ფორმულით გამოვა, რომ პირველს ნასესხები ფული უჯდება* $6^1/_4\%$, მეორეს** — $6^{38}/_{97}\%$. დი. დი განსხვავებაა? ღირს ამაზედ ლაპარაკი? ღირს ამაზედ ალია ქოთის ატეხა და უცოდინარის კაცის გონების ამღვრევა ურარაო იმედითა? აქ განსხვავება სულ $^1/_4\%$-ზე ნაკლებია და თუნდ მთელი $^1/_4\%$ ვიგულისხმოთ, მაინც ბოლოს და ბოლოს

* $\frac{5+100}{80}=6^1/_4$

** $\frac{5+100}{97}=6\frac{38}{97}$

ეს განსხვავებაც მარტო სიზმრად მოსაჩვენებელია. აი რა მიზეზით:

ბანკის ვალის წლიურ გადასახადელში სამი ნაწილია: სარგებელი სამატი, სარგებელი თავნისმხდელი და სარგებელი ბანკის სახარჯოდ და სათადარიგო თავნის შესადგენი. ციფრებით ასე გამოითქმის მათი რაოდენობა ვადა რომ $43^1/_2$ წელიწადი ვიგულისხმოთ, ესე იგი, იგი ვადა, რომელიც საოფლო მამულებზეა წესდებით დანიშნული: $6+^1/_2+1^1/_2=8\%$. $6^0/_0$ რომ 5%-ზედ ჩამოვახდინოთ, მაშინ თავნისმხდელმა სარგებელმა უნდა მოიმატოს $^1/_4\%$, თუ ვადა უცვლელად დარჩება, თორემ წინანდელი თავნისმხდელი სარგებელი $43^1/_2$ წელიწადს თავნს ვერ ააყენებს. ვისაც ეს არა სჯერა, ეგრეთწოდებულს ლოგარითმებს მიჰმართოს და ის დააჯერებს. ამ სახით გამოვა, რომ 5%-ად იშოვის ბანკი ფულს, თუ 6%-ად, ბანკიდამ ვალის ამღებს არა თუ არავითარი შვება არ მიეცემა, არამედ ცოტად იზარალებს კიდეც. აი რა ანგარიშით: 5%-იან გირავნობის ფურცელის 100 მანეთში 80-ს მანეთზედ მეტს ბირჟა არ იძლევა, როგორც ამტკიცებს კურსი ქალაქის საკრედიტო ბანკისა, რომელიც ფულის ბაზრის კვალობაზედ იმისთანავე გარემოებაშია, როგორც ჩვენი ბანკები, მაშასადამე გამოვა: $\frac{5+100}{80}=6^1/_4{}^0/_0$. თუ 5%-ზედ ჩამოხდება ჩვენი გირავნობის ფურცელი, მაშინ თავნისმხდელმა სარგებელმა უნდა მოიმატოს აწინდელზედ $^1/_4\%$. ამ სახით ბანკის ვალის წლიურ გადასახდელში ზემოაღნიშნული სამი ნაწილი ასეთს სახეს მიიღებს: $6^1/_4+^3/_4+1^1/_2=8^1/_2$. 6%-იანი გირავნობის ფურცელი კი რომ დარჩეს, დღეს 97 მანეთს იძლევიან 100 მანეთიანში და მაშასადამე გამოვა $\frac{6+100}{97}=6\frac{38}{99}\%$. ამ შემთხვევაში ის სამი ნაწილი ბანკის ვალის წლიურის გადასახდელისა ამ სახეს მიიღებს: $6\ ^{38}/_{97}+^1/_2+1^1/_2=8\ ^{38}/_{97}$. ამ სახით გამოდის 5%-იან გირავნობის ფურცლით ნაშოვნი ფული $8^1/_2\%$ უჯდება ვალის ამღებს და 6%-იან გირავნობის ფურცლით-კი $8\ ^{38}/_{97}\%$. მეორე შემთხვე-

ვაში უფრო ნაკლებ უჯდება, ვიდრე პირველში, იმიტომ რომ 8 $^{33}/_{97}$ ნაკლებია 8 $^{1}/_{2}$-ზედ. ესეთი მეტნაკლებობა იქნება ყოველთვის, რა კურსიც უნდა აიღოთ გირავნობის ფურცლისა, იმიტომ რომ თუ 6%-იანი აიწევს, ან დაიწევს, იმის კვალობაზედ 5%-იანიც აიწევს და დაიწევს.

უკეთუ ამის დასარღვევად იმაზედ მიგვითითებენ, რომ სახელმწიფო ბანკმა თავის გირავნობის ფურცელს 5% დაუნიშნაო, ეგ მარტო წინდაუხედაობის მაგალითი იქნება მიმთითებელის მხრით, იმიტომ რომ თუ 5%-იანის ფურცლით სახელმწიფო ბანკი 100 მანეთს მიიზიდავს ნაღდს ფულს, 6%-იანით 120 მანეთს მიიზიდავს და გამოვა რომ ბანკის ვალის ამღებელს წლიური გადასახდელი უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ნაკლებიც მოუვა, ვიდრე პირველში. აი საბუთიც: სახელმწიფო წლიური გადასახდელი ასზედ სულ 5 მანეთია და 75 კაპეიკი, თუ გირავნობის ფურცელი 5%-იანია, და თუ 6%-იანი, მაშინ ეგ წლიური გადასახდელი 6 მანეთი და 75 კაპეიკი იქნება ას-ოცზედ. ასზედ 5 მანეთი და 75 კაპეიკი უფრო მეტია, ვიდრე ას-ოცზედ 6 მანეთი და 75 კაპეიკი, რადგანაც $\frac{6{,}75 \times 100}{120} = 5{,}62\,^{1}/_{2}$. ესე იგი, ასზედ ამ შემთხვევაში მოვა 5 მანეთი და 62 $^{1}/_{2}$ კაპეიკი და არა 5 მანეთი და 75 კაპეიკი, როგორც პირველ შემთხვევაში მოდის.

მარტო მაგ მცირედით რომ უმძიმდებოდეს ტვირთი წლიურის გადასახდელისა ბანკის ვალის ამღებელს, კიდევ სათქმელი არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ 5%-იან გირავნობის ფურცელს თუ ამოქმედებთ 6%-იანის მაგიერ, მაშინ ან თავნისმხდელმა სარგებელმა უნდა იმატოს, ან აღებულის ვალის ვადამა. ერთიცა და მეორეც ცალკ-ცალკე სიმძიმეს კრედიტისას აორკეცებს და ასამკეცებს 6%-იანის ფურცლის შედარებით. მაგალითებრ, სახელმწიფო ბანკს იგივე თავნისმხდელი სარგებელი აქვს სასოფლო მამულზედ, რაც თბილისის ბანკსა, სახელდობრ, $^{1}/_{2}$%. რაკი სახელმწიფო ბანკის გირავნობის ფურცელი 5%-იანია და არა 6%-იანი, სახელმწიფო ბანკის ვალს ვალის ამღები იშორებს 48 $^{1}/_{2}$ წელიწადში და 6%-იანი კი რომ იყოს, მაგავე ვალს 43 $^{1}/_{2}$ წელიწადში მოიშო-

რებდა. ამ სახით თაბაუთი მთელი ხუთი წელიწადია, ესე იგი მთელი ხუთი წელიწადი ვალის ამღებმა აღებულს ვალზედ 5 $^{3}/_{4}$% მეტი უნდა შეიტანოს ბანკში ყოველწლივ. ვალი რომ 10.000 მანეთი იყოს, ხუთს წელიწადში მოვალე ბანკისა მისცემს ბანკს 2875 მანეთით მეტსა იმაზედ, რასაც 6%-იან გირავნობის ფურცელზედ მისცემდა. ვადა რომ 43$^{1}/_{2}$ წელიწადი დარჩომილიყო, მაშინ 5% გირავნობის ფურცელს თავნისმხდელი სარგებელი $^{1}/_{2}$-%-ის მაგიერ, $^{3}/_{4}$% უნდა ჰქონოდა. ასე რომ ვალის ამღებელს ყოველწლივ $^{1}/_{4}$% უნდა მეტი ეხადნა მთელს 43$^{1}/_{2}$ წელიწადის განმავლობაში. ვისაც ეს არა სჯერა, განვიმეორებთ, იმას ლოგარითმი დააჯერებს. მაშასადამე გამოდის, რომ ვისაც ჰსურს საადგილმამულო კრედიტი გააიეფოს და ამის სახსრად გვირჩევს 6%-იანი გირავნობის ფურცელი 5%-იანზედ ჩამოვახდინოთ, იმას ჰსურვებია ვაის გაგვყაროს და ვუის შეგვყაროს, და თუ ეს მიეტევება ამისთანა მრჩეველს, მარტო იმითი მიეტევება, რომ სურვილი კარგი ჰქონია, თუმცა მშიერს პურის მაგიერ ქვას აწვდის უნებურად.

ამ სახით უკეთუ ერთი და იგივე გარემოებაა ფულის ბაზრისა და ერთი და იგივე ნდობა, გირავნობის ფურცელს რომ სარგებელი მოაკლოთ, ბანკიდამ ვალის ამღებელს არამცთუ შეღავათს და შვებას რასმეს მისცემთ, არამედ უფრო დაუმძიმებთ. ამ გზით შვებას რასმე ნუ მოელით ბანკიდამ ვალის ამღებისათვის, თორემ შვების მაგიერ უფრო მეტს ტვირთს აჰკიდებთ და ქებული ძმობის მაგიერ გმობილ ამერიკელობას გავუწევთ.

ამიტომაც ტყუილად გუნებას იფუჭებენ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ გირავნობის ფურცლის სარგებელის დაკლებით შვება რამ მიეცემა ბანკიდამ ვალის ამღებელს, და ჩვენი ბანკები კი მითამ ამაში ჯიუტობდნენ და ამ შვებას მარტო ჰირველობის გამო არ იძლეოდნენ. აშკარაა, ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს რომ მოსურვებია სესხის გაიეფება, იმისთვის კი არ მოუკიდნია ხელი, რაც მართლა გააიეფებს, არამედ იმისათვის, რასაც არავითარი არაქათი არა აქვს ეგ სასწაული

მოახდინოს. ესეც ერთი მაგალითია მისი, რომ ბ-ნის დიმიტრი ყიფიანის საქებურს სურვილს საქმის ცოდნა არ დაჰხმარებია.

დაგვრჩა კიდევ გასარჩევი რამოდენიმე საგანი ამ სარგებლის დაკლების თაობაზედ.

VI

ტფილისი, 31 მაისი, 1886 წ.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი რომ შესაძლოდ ჰხედავს გირავნობის ფურცელზედ 6%-ისა 5%-ზე ჩამოხდენას, ჩვენ არ ვიცით, სახეში ძველნი ვალის ამღებნიცა ჰყავს, თუ მარტო ისინი, ვინც დღეის-იქით ისესხებს ფულს ჩვენის ბანკებიდამ. ჩვენ არ ვიცით, ამ გზით ვისი შეღავათი ჰსურს ბ-ნს ყიფიანს? ამიტომაც ჩვენ ბ-ნ ყიფიანის აზრს სარგებლის დაკლებისას ამ მხრით არ გავარჩევთ, ვიდრე ბ-ნი ყიფიანი გარკვევით არ წარმოსთქვამს ამ საგანზედ თავის სურვილსა. ეხლა შევუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რა გზით შესაძლოა გაიეფება საადგილმამულო კრედიტისა, სახელდობრ, რა ნაწილია ბანკის წლიურის გადასახდელისა იმისთანა, რომელსაც მართლა გაიეფება შეუძლიან, და რომელიც ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს. არ ვიცით რა მიზეზით, თვალიდამ მიჰფარებია.

ჩვენა ვსთქვით, რომ ბანკის წლიური გადასახდელი სამის ნაწილისაგან შესდგება: სარგებელი სამატი, სარგებელი თავნისმხდელი და სარგებელი ბანკის სხვადასხვა აუცილებელ ხარჯისა და სათადარიგო თავნის შედგენისათვის. აქ თავნისმხდელი სარგებელი არაფერს შუაშია, იმიტომ რომ იგი დამოკიდებულია ვადაზედ და სამატის სარგებლის რაოდენობაზედ. მაშასადამე ამ სამს ნაწილში თითქო ორი გვრჩება სამოქმედოდ კრედიტის გაიეფებისათვის: ერთი სარგებელი სამატი და მეორე სარგებელი ბანკისა. ჩვენ საკმაოდ ვრცლად ავხსენით, რომ თუ ფულის ბაზარი და ნდობა სესხის ამღების მიმართ ერთი და იგივეა, სამატის სარგებლის ექვსიდამ

ხუთზედ ჩამოხდენას გირავნობის ფურცლის სარგებლის ექვსიდამ ხუთზე ჩამოხდენა მოსდევს, და ეს გარემოება არამცთუ აიეფებს კრედიტსა, არამედ უფრო აძვირებს, როგორც წინა წერილში ვნახეთ. მაშასადამე, დარჩა მარტო მესამე ნაწილი, სახელდობრ სარგებელი ბანკის სხვადასხვა ხარჯისა და საოთადარიგო თავნის შედგენისათვის. ეს სარგებელი თბილისის ბანკს — წელიწადში $1^1/_2$% აქვს ყოველს ას გასესხებულს გირავნობის ფურცლის მანეთზედ. ამ $1^1/_2$% აწევ-დაწევას, როგორც კერძო და საკუთარს სარგებელს ბანკისას, არავითარი პირდაპირი ზედმოქმედება არა აქვს ფულის ბაზარზედ და მაშასადამე არც გირავნობის ფურცლის კურსზედა. მაგის დაკლებას მარტო ბანკის წმინდა მოგებაზედა აქვს ყოვლად ძლიერი მოქმედება, იმიტომ რომ სხვას ორს ნაწილს წლიურის გადასახდელისას, სარგებელს სამატსა და სარგებელს თავნისმადელსა, ბანკი ვალის ამღებს ართმევს და ფულის ბაზარს აძლევს მთლად და უნაკლულოდ ასე, რომ ბანკის სახეიროდ და ხარჯისა და ზარალის გასაძღოლად მხოლოდ ის ზემოსენებული $1^1/_2$%-ღა ჰრჩება ბანკსა. ამიტომაც ეგ $1^1/_2$% მთლად ბანკის ხელთ არის, წესდების ძალით ბანკს წარმატება კი არ შეუძლიან, და დაკლება კი დიახაც.

ვინც ცნობიერად და ცოდნით მოეკიდება ბანკის საქმეს და ისე მოისურვებს საადგილმამულო კრედიტის გაიეფებას, იმას სხვა გზა არა აქვს, თუ არ ეს $1^2/_2$%-ი. ამას უნდა ჩაავლოს კაცმა ხელი, და თუ რამ ეშველება გაიეფებას, ამ მხრით უნდა ეშველოს, სხვა ყოველი უქმი ნატვრაა და უქმად ჩაივლის კიდეც, თუ ერთობ თვით ფულის ბაზარმა არ გააიეფა საზოგადო კრედიტი. ფულის ბაზარი კი ამ შემთხვევაში საერთო ეკონომიურის მდინარეობის კანონებს ექვემდებარება და ამ კანონებზედ კერძო ბანკს ხელი არ მიუწვდება არასგზით, მარტო თავისის ნებით სარგებელს ვერც დასწევს და ვერც ასწევს.

რამოდენად შეიძლება ამ $1^1/_2$% დაწევა, რომ იმ დაწეულის კვალობაზედ საადგილმამულო კრედიტი გაიეფდეს? რომ ამ საკითხავს ცნობიერად და საქმის ცოდნით გავუძღვეთ, საჭიროა დაწვრილებით ვიცოდეთ, რა დანიშნულება აქვს ბან-

კის საქმეთა მიმდინარეობაში მაგ. $1^1/_2$%-სა. იგი ა) უნდა გაუძღვეს ბანკის მართვისა და გამგეობის ყოველწლიურს ხარჯსა, რომელიც, მაგალითებრ, ტფილისის ბანკისათვის დანიშნულია 35.000 მანეთამდე წელიწადში; ბ) იგი უნდა იყოს უმთავრესი წყარო ბანკის წმინდა მოგებისა, ურომლისოდაც ბანკი თავის დანიშნულებას ვერ მისწვდება და გ) მან უნდა დაჰფაროს ყოველივე ზარალი, რომელიც მოსალოდნელია და ხშირად აუცილებელიც ყოველ საქმეში საზოგადოდ და ბანკისაში საკუთრივ. რომ მივიღოთ მხედველობაში ყოველივე ეს ხაჭიროება ერთად და იგი ჯამი, რომელიც დღეს, მაგალითებრ, ტფილისის ბანკსა აქვს გაცემული, ესე იგი, 5.159.779 მანეთი, გამოვა რომ იმ $1^1/_2$% შეიძლება დავაკლოთ ბევრი-ბევრი $^1/_2$%, ისიც შიშითა და კრძალვითა.

დღეს, როცა ეგ $1^1/_2$% მთლად მოქმედობს, ტფილისის ბანკს მაგის მეოხებით წელიწ. დში შემოსდის 77.396 მანეთი*. ამაში სოფლის მამულების სესხებს შემოაქვთ ბანკის სასარგებლოდ 30.996 მანეთი და ქალაქებისას—46.400 მანეთი. თუმცა 77.396 მანეთი ისეთი დიდი ფული არ არის, რომ 35 000 მანეთი ბანკის ხარჯიც გადიხადოს, წმინდა მოგებაც იმოდენა მისცეს, რომ, მაგალითებრ, თუნდ სათავადაზნაურო სკოლა შეინახოს, რომელსაც 22.000 მანეთი უნდება წელიწადში, სათადარიგო თავნიც შეაგროვინოს და ყოველწლიური ზარალიც დაჰფაროს, მაგრამ ბანკს მაგის გარდა სხვა შემოსავალიცა აქვს და იმ შემოსავლის იმედით 1883 წელსა ტფილისის ბანკის გამგეობამ წინადადება შეიტანა მორიგს საზოგადო კრებაში და ითხოვა $1^1/_2$%-ის მაგიერ მარტო 1%-ის დანიშვნა. ამ სახით გამგეობამ შესაძლოდ დაინახა $^1/_2$% გაიეფება ტფილისის ბანკის კრედიტისა, მაგრამ კრებამ არ იყაბულა და ჯეროვანი საბუთებიც წარმოსთქვა უარყოფისათვის. ამ $^1/_2$%-ზედ მეტის დაკლება ყოველად ხეუღებელია, ვიდრე დღევანდელი ჯამი ბანკის მიერ გასესხებულის ფურცლებისა ერთი-ორად მაინც არ იქცევა.

* კაპეიკებს არსად არ ვანგარიშობთ სიმოკლისათვის.

სახელმწიფო ბანკი, ახლად დაარსებული თავად-აზნაურთა შესაწევნელად, $1^1/_2$%-ის მაგიერ სჯერდება მარტო $^1/_4$%-სა. ამ გარემოებამ არავინ არ უნდა წაიტყუოს. პირველი, რომ სახელმწიფოს აუარებელი შეძლება აქვს დღესვე თუნდ თავისის ხაზინიდამ ჰხარჯოს ფული, რაც საჭიროა ბანკის მართვისა და გამგეობის ხარჯად. მეორე - რომ არავითარი საჭიროება არ აიძულებს ზარალისათვის სათადარიგო თავნი იქონიოს, რადგანაც ზარალის საზღვევად თავმდებია მთელი ქონება სახელმწიფოსი, და მესამე — სახელმწიფო ბანკის სამოქმედო რაიონი მთელი რუსეთის იმპერიაა და მაშასადამე უეჭველია - დღეს არა ხვალე —სახელმწიფო ბანკის სესხად გაცემული ფული 500—600 მილიონი და მეტიც იქმნება, და ამოდენა გაცემულობიდამ რომ $^1/_4$% აიღოს, წლიური შემოსავალი 1.250.000 ან 1.500.000 მანეთს შეადგენს. ვგონებთ საკმაოა ეგ ფული მარტო ბანკის მართვისა და გამგეობის ხარჯის ჰირის მოსაწმენდად. ამ საბუთით აქ სახელმწიფო ბანკი მოსატანი არ არის და არც მაგალითია კერძო ბანკისათვის.

დაგვრჩა გასარჩევი ბ-ნის ყიფიანის „ორიოდე სიტყვა მამულების გაუყიდველობაზედ“. ამ საგნის შესახებ ისე მოვიქცევით, როგორც ჩვენ ჩვენს ცალკე საკითხავებში ვსთქვით.

VII

ტფილისი, 6 ივნისი, 1886 წ.

ბ-ნი აკაკი წერეთელი თავის წერილში, რომელიც „ივერიის“ № 110 იყო დაბეჭდილი პასუხად ჩვენის მეთაურის წერილებისა ბანკის შესახებ, ბრძანებს, რომ ბანკების თაობაზედ —

„რაც მითქვამს დღემდი და ან ახლა რასაც ვამბობ, ის შეეხებოდა და შეეხება მხოლოდ ქუთაისის ბანკსა; ტფილისის ბანკი არა მჭონია სახეში, და თუ ის ერთგვარობის გამო ესარჩლება, მისი ნებაა“.

რასაკვირველია მისი ნებაა, მაგრამ ჩვენს პოლემიკაში ტფილისის ბანკის მიერ სარჩლის გაწევა ქუთაისის ბანკის მი-

მართ საიდამ არის მოტანილი და რა შუაშია? ტფილისის ბანკს ამ საგანზედ ხმაც არ ამოუღია, არც თავისთავს გამოსარჩლებია და არც სხვასა. თუ იმ მიზეზით უთქვამს ეს ბ-ნ აკაკის, რომ „ივერიის“ რედაქტორი ტფილისის ბანკის გამგეობის წევრიც არის, ეგ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ტფილისის ბანკი ჰლაპარაკობდეს. ტფილისის ბანკის სიტყვის გამომთქმელი მთელი გამგეობაა და არა მარტო ერთი წევრი. მაშასადამე, ტფილისის ბანკის სარჩლზედ ლაპარაკი, აქ სრულიად უადგილოა, ზემოხსენებულს თქმულს ბ-ნ აკაკისას დიდი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გარჩევისათვის და თუ ჩვენ ამის შესახებ ვსთქვით რამე, სახეში გვქონდა ჩვენის მეთაურის წერილების პასუხისმგებლობა ტფილისის ბანკისაგან აგვეცილებინა.

რაც შეეხება თვითონ საგანს საქმისას, რომელმაც გამოიწვია პასუხი ბ-ნ აკაკისა, ამ საგანზედ ფრიად საყურადღებო აზრია გამოთქმული ბ-ნ აკაკის მიერ. ეს ისეთი აზრია, რომელსაც კაცი გვერდს ვერ აუვლის და ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოს.

„კარგი რამ, ან ავი თავის-თავობით არ იქნებაო, — ბრძანებს ბ-ნი აკაკი, — ეგ შედარებითი ღირსებაა. ყოველისფერს შესაფერი დრო ეჭირვება და მოხდენილი ნიადაგიო“.

თუმცა ეს აზრი ცოტა არ იყოს მოიძველებს და ხშირად ახლის წინააღმდეგ მოჰყავთ ხოლმე ძველ ს მომხრეებს, მაგრამ მაინც გაბედვით უნდა, რადგანაც ბევრმა იცის ხოლმე ამ აზრის ხელზედ დახვევა და მისის ძალით უარყოფა და გაცუდება ახლად შემოსაღებისა. ამ აზრით ბ-ნ აკაკის იმის თქმა უნდა, რომ ბანკი ჩვენთვის ადრეული ხილიაო, ამისავის აღარც ჩვენ ვიყავით მომზადებულნი და არც ჩვენის ცხოვრების ნიადაგიო. ეს იყო მიზეზიო, რომ მე თავდაპირველადვე ბანკის დაარსებას უარვყოფდი და ვეწინააღმდეგებოდიო.

ამ თეორიას რომ ავყვეთ, ყოველივე წარმატება ცალკე კაცისა, თუ ერთობ საზოგადოებისა და ერისა, შეუძლებელი უნდა იყოს. ცივილიზაცია, განათლება, წინსვლა უქმი სიტყვე-

ბილა იქნება. ქვეყანა იმითი მიდის წინ, რომ ეგ აგრე არ არის. ყოველივე დიდი საქმე კაცობრიობისა, ყოველივე ახლად შემოღებულნი, ახლად აღმოჩენილნი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომხადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან, ხოლო რაკი ერთხელ გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსაღებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს. როგორც ცალკე ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება სწრაფად გაივლის ხოლმე იმ სივრცეს ცხოვრების და მეცნიერების გზისას, რომელიც უკვე გამოუვლია სხვა საზოგადოებასა და სხვა ერსა, თუნდ რომ უკანასკნელთ ამ სვლაში მოენდომებინოს მთელი საუკუნოებიცა. თან დაყოლილი თვისებაა ადამიანის ჰკუისა, რომ ათასის წლის ნაღვაწსა, ნაცადსა და ნამოქმედარსა სწრაფად შეითვისებს და შეიხორცებს ხოლმე. ყოველივე მადლი და კეთილი ცივილიზაციისა, რომელსაც იქნება მთელი საუკუნოები მოსდომებია აღმოსაჩენად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად, ამ ადამიანის ჰკუის თვისების წყალობით მოჰფენია მთელს ქვეყნიერობასა. თუ ეს არ იყოს, ან ცალკე კაცი როგორ უნდა მომზადდეს უკეთესისათვის, ან საზოგადოება? მაშ სხვის ნაკვლევს, სხვის ნაცადს, სხვის ნამოქმედარს არავითარი ღირსება არ უნდა ჰქონდეს ჩვენში? მაშ ჩვენ ჩვენს გალავნებში უნდა ვიყვნეთ შეკეტილნი, როგორც ჩინელნი არიან, და ველოდეთ, აცა, როცა მოვემზადებით, მაშინ მოვიწვიოთ კეთილიცაო?

საადგილმამულო ბანკის სიკეთე სხვაგან ბევრგან უცდიათ. საცა პირველ გაჩნდა მაგისთანა ბანკი, იქ მაშინ მიწათმფლობელთა საქმე ჩვენზედ ბევრად უარესს დღეში იყო და მით იგი არავის დაუწუნია. აი რას ამბობს ერთი მეცნიერი*:

---

* Поземельный кредит и его современная организация в Европе (стр. 28.)

შვიდწლიანი ომი რომ გათავდა, მამულ-დედულის საქმე პრუსიის მემამულეთა სულ პირქვე დამხობილი იყო, პროვინკიები, საცა კი ჯარი იდგა, სულ აოხრდა და გავერანდა. მარტო ერთი ქონებაღა შერჩათ ცარიელი მიწა. სახლები და საოჯახო შენობანი გადიწვნენ და დაიქცნენ, პირუტყვ-საქონელი ან სულ არსად იყო, და საცა იყო, სულ გაწყდა შიმშილისა და უჭმელობისაგან, სახნავი მიწები რამდენსამე წელს ჯმად იყვეწ დარჩენილნი. მამულების ფასმა ორ მესამედს და ნახევარზედ ძირს დაიწია. ეს გარემოებანი ომის დროს არ იჩენდენ თავს, და რაკი 1763 წელს შერიგება ჩამოვარდა, მაშინ წარმოუდგნენ ყველას თვალწინ. თუმცა საზარელი ომები იყო, მაგრამ მებატონენი ამ ომებს ბევრს გამორჩნენ; დიდი ფული დაუტრიალდათ ხელში. ამ გამორჩომამ წაიტყუა ისინი და ფლანგვას და ტყუილ-უბრალო ხარჯს ბოლო აღარა ჰქონდა. ბოლოს რომ თავისი შემოაკლდათ, ვალების აღებას მიჰყვეს ხელი და დიდძალი ვალი დაატყდათ.

სწორედ ამ დროს, ამისთანა უნუგეშოდ ყოფილს მიწათმფლობელობას მოაშველა პრუსიის მთავრობამ საადგილმამულო კრედიტი, რადგანაც უკეთესი სახსარი სხვა ვერა იპოვა-რა. 1770 წელს სილეზიაში გამართა პირველი საადგილმამულო ბანკი, მერე 1777 წ. გაიმართა ბანკი ბრანდენბურგს. პომერანიაში 1780 წ., დასავლეთს პრუსიაში 1787 წ., აღმოსავლეთს პრუსიაში 1788 წ. და 1821 წ. პოზნანში.

რომ ამ ქვეყნებს დიდი შეღავათი მისცა საადგილმამულო კრედიტმა და თითქმის ფეხზედ წამოაყენა, ეს ამბავი ყველას ეპვგარეთ არის. მაშასადამე, საადგილმამულო ბანკს თავის არსებასა და ბუნებაში არავითარი საჭამლავი არა აქვს მემამულეთა დასაღუპავად. ჩვენის მოუმზადებლობის ნიშნად და საბუთად ბ-ნ აკაკის მოჰყავს, რომ:

„ჩვენმა ხალხმა, ქართველმა, დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხმარება ფულსაო; ან უნდა შესჭამოს და ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდაო“.

იქნება ეგრეც იყოს, ხოლო ზემომოყვანილ მეცნიერის სიტყვებიდამ სჩანს, რომ ამ ასის წლის წინათ არც პრუსიის თავად-აზნაურობას სცოდნია ფულის მოხმარება, მაგრამ ამას არ დაუშლია საადგილმამულო ბანკების გამართვა. პირიქით ზედიზედ გაუმართავთ კიდეც და იმით საშველი და სახსარი უპოვიათ, როგორც დღესა სჩანს.

VIII

ტფილისი, 7 ივნისი, 1886 წ.

ჩვენ წინა წერილში ბ-ნ აკაკის საპასუხოდ ისა ვსთქვით, რომ მეტისმეტი სიფრთხილეა კაცმა კეთილი იმითი დაიწუნოს, რომ ჩვენ მისდა მისაღებად მომზადებულნი არა ვართო, ჩვენთვის ახალი ხილიაო. ბატონ-ყმობის გაუქმების საქმე იქიდამ წარმოსდგა, რომ კაცმა კაცი კაცად იცნო და ამ კეთილის ცნობისათვის იქნება ბევრი მომზადებული არ იყო, იქნება იმათ, ვისაც ეს შეეხებოდა, არ იცოდნენ, როგორ უნდა მოეხმარათ თავისუფალი, არა-ბატონყმური შრომა, იქნება იმათ, ვინც ყმობიდამ გამოდიოდნენ, აო იცოდნენ, როგორ უნდა შეეშვნიათ მინიჭებული თავისუფლება, იქნება არც იმათ, ვისაც ჩამოერთვათ ბატონობა, არ იცოდნენ, როგორ განწყობილიყვნენ და მოთავსებულიყვნენ უყმოდ, მაგრამ სიკეთის და სიმართლის ძლევამოსილობამ ამაებს ყური არ ათხოვა და თავისუფალი, არა-ბატონყმური შრომა დაიდვა საფუძვლად ეკონომიურ ცხოვრებისად.

ვერავინ იტყვის უარს, რომ ბატონ-ყმობის გაუქმებამ პირველ ხანებში მრავალი ოჯახი უკან არ დასწია, მრავალიც სულ პირქვე არ დაამხო და გაანადგურა, მაგრამ ამით სახელოვანი საქმე ბატონ-ყმობის გაუქმებისა არავის დაუწუნებია, არავის იმისთანას, ვისაც სიკეთე ამ საქმისა ბინდბუნდად მაინც ჰქონდა წარმოდგენილი. განა ბატონ-ყმობის გაუქმების წინააღმდეგ ცოტას იძახოდნენ, რომ ეგ ჩვენთვის ადრეაო, ჯერ მაგისათვის მომზადებულნი არა ვართო, ცოდნა მამულის კეთებისა ჩვენში არ არის და თავისუფალ შრომისა და გარჯისათვის ჯერ არც ღონე გვაქვსო და არც გამოცდილებაო. ყოველივე ეს ზოგან მართალიც იყო, მაგრამ ამან არ შეაფერხა საქმე. ამასვე იძახოდნენ წინააღმდეგ ახალის სამართლის შემოღებისა, ერობის დაარსებისა და თითქმის რკინისგზების გამართვის წინააღმდეგაც. მაგრამ ყოველივე

ეს, კაცთა სასახელოდ, დაიმართნენ და დღეს მოქმედებაში არიან.

კეთილი იმისთვის არის კეთილი, რომ იმის მისაღებად არავითარი მომზადება არ უნდა: ყველას მოუხდება, ყველას არგებს. მაშასადამე დაწუნება და უარყოფა ახლად შემოღებულისა მარტო იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის ადრეა და ჩვენ მისდა მისაღებად მოუმზადებელნი ვართო, ჩვენის ფიქრით, შეცდომაა. ყოველს სიკეთეს, ყოველს ღონეს და სახსარს გზა შეეღობება, თუ კაცმა ხელზედ დაიხვია და სთქვა: აცა, ჯერ მზად არა ვართო. ჩვენის ფიქრით, მარტო ეს არ უნდა ეკმაროს მაგისთანა საბუთს დაწუნებისას. ეგ საბუთი, გარდა იმისა, რომ უმართლოა, მავნებელიც არის: ბევრს სიკეთეზედ ხელს დაგვაბანინებს, რომ მაგათ ავყვეთ.

„ცხადი იყოო,—ბრძანებს ბ-ნი აკაკი,—რომ ისინი (ესე იგი, ქართველები) ბანკიდან ადვილად გამოტანილ ფულს იმავე დღეს დააყენებდნენ, რაც ყმაში აღებულს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მეორე შემთხვევაში ფული ვალად აწვებოდათო... ფული ადვილად გამოჰქონდათ და სარგებლის შეტანის დროს ხელცარიელები რჩებოდნენ; რასაკვირველია, რომ მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ-კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ, მამასისხლად იღებდნენ განზედ სადმე სესხს და მით უფრო უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ“... და სხვანი.

კაცმა რკინისგზის ათვალწუნება რომ მოინდომოს, ამ სიტყვებს იქაც საბუთად გამოიყენებს, თუ ცოტაოდნად რკინისგზის შესაფერად შესცვლის მაგალითებსა. მაგალითებრ:

„ცხადი იყო, რომ ქართველები, რაკი ამისთანა ადვილად სასიარულო სახსარს ჰნახავდნენ და ასე იეფსაც, შინ ოჯახის მოსავლელად აღარ დადგებოდნენ და უიმისოდაც ოჯახზედ ხელაღებულნი, მისვლა-მოსვლაში გაატარებდნენ თავის ცხოვრებას. ჯერ როცა ეგ რკინისგზა არ იყო, მაშინ არა დგებოდნენ სახლში და ეხლა რაღა დააყენებდათ. გარდა ამისა, ჯერ როცა რკინისგზა არ იყო, თავისის საკუთარის ცხენით იოლად მიდიოდნენ წასვლა-მოსვლაში და ფულად ხარჯი არ მოსდიოდათ. რკინისგზისათვის კი ნაღდი ფულია საჭირო, და რადგანაც ეს სანუკბარი ხშირად მწყრალად არის ქართველთან, ამისათვის ქართველები იძულებულ იყვნენ ვალი აეღოთ ხოლმე და ამ სახით ჰკარგავდნენ დროს დროდ და განზედ ნასესხი ფულიც ვალად აწვებოდათ. ადვილად სიარულისათვის აღებულს ვალს მოშორება უნდოდა, მოვალენი აწუხებდნენ, ემუქრებოდნენ, მამა-პაპეულს გა-

გიყიდითო და, რასაკვირველია, მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ-კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ, მამასისხლად ხელახლად იღებდნენ განზედ სადმე სესხს ვალის მოსაშორებლად და მით უფრო უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ...“ და სხვანი და სხვანი.

ნუთუ აქედამ ის გამოდის, რომ რკინისგზა ჩვენთვის მავნებელია? არა გვგონია. როგორც რკინისგზა არ არის მავნებელი იმით, რომ ადვილად სასიარულო სახსარი მოგვცა, ისეც ბანკი, რომ ძნელად საშოვარი ფული ადვილად საშოვარი გაგვიხადა. ბანკი არაფერს შუაშია, თუ ვინმე ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჰყაროს, ან ტყუილუბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს. განა უბანკოდ დიდ-დიდნი მამულები კი არ გაუფლანგავთ!.. გამოდის, რომ მამულები არა ჰქონოდათ, არც გაჰფლანგავდნენ. მაშ მამულის ქონვაც მავნებელი ყოფილა. ესე რომ ვიაროთ, შორს წავალთ, იქამდე მივალთ, რომ ფულიც მავნებელი იქნება, იმიტომ რომ ბევრი ფულს დაჰხარბდება ხოლმე და მამულებსა ჰყიდის; აღებ-მიცემობაც ერთობ მავნებელი იქნება, ამიტომ რომ აღებ-მიცემობა არ იყოს, არც ყიდვა-გაყიდვა მამულებისა იქნება და მამულები პატრონებს ხელუხლებლად შეჰრჩებათ.

თუნდ ეგეც არ იყოს, სად იყო ჩვენი ბანკები, რომ მთელი ტფილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თითქმის, რომ თავის თავდაპირველს პატრონს ეჭიროს. სეიდაბათიდამ მოყოლებული ვერამდე და მთაწმინდიდამ მახათამდე მთელი ტფილისი სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვებისა იყო და ეხლა კი რას ვხედავთ? ჩვენა გვგონია, რომ მაშინ ფული ესე ადვილად საშოვარი ყოფილიყო, როგორც დღეს ბანკების მეოხებით არის, თუ სულ არა, კარგა მოზრდილი ნაწილი მაინც შერჩებოდათ თავიანთ თავდაპირველს პატრონებსა. ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეზიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არა-

ფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება.

ბანის აკაკის სიტყვებიდამ მარტო ერთი დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყვანოს, მარტო ერთი დარიგება: ნუ აიღებთ ბანკის ვალს, ვისაც სურვილი, ღონე და გარჯა არა აქვს აღებულის სესხით მამულის მოქმედება განაძლიეროს, უფრო გაანაყოფიეროს, უკეთესს დონეზედ დააყენოს და ამით ვალსაც გაუძღვეს და პატრონსაც არგოს. თუ მამულის განკარგებისათვის პატრონს საკუთარი სახსარი არა აქვს, იმ სახსარს საადგილმამულო კრედიტი აძლევს, ესე იგი კრედიტი, რომელიც შ. ფერებული და შეწონილია მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან. თორემ ბანკმა ვნება მოგვიტანა იმითიო, რომ ადვილად ნასესხი ფული გაუფრთხილებელს კაცს ჰღუპავსო, და ამიტომაც ბანკი უარსაყოფელიაო, ამის თქმა შორს წაგვიყვანს. ვის დაუშრია წყალი იმიტომ, რომ ზოგიერთს გაუფრთხილებელ კაცს არჩობს!.. აქედამ მარტო ერთი გონიერი დარიგება გამოდის: წინ დაუხედავად, გაუფრთხილებლად, წყალში ნუ შესტოპავს. ამის მაგიერ რომ ეს უთხრან გაუფრთხილებელთ, მოჰყოლიან და ეუბნებიან, წყალი დააშრეთო.

IX

ტფილისი, 9 ივნისი, 1886 წ.

საადგილმამულო კრედიტის ავკარგიანობის დაფასება და აწონვა ვისაც უნდა, იმან ყველაზედ უწინარეს ბუნება უნდა გაუსინჯოს თვითონ კრედიტსა იმ მხრით: უხდება თუ არა იმ საქმეს, რისთვისაც მოწვეულია. ამის გარეთ ყოველი სჯა და ლაპარაკი უქმია და უთავბოლო. რაკი ასე არევ-დარევით ვლაპარაკობთ ხოლმე საადგილმამულო კრედიტზედ, რაკი მისი ბუნება და დანიშნულება ცხადად არ არის ჩვენში წარმოდგენილი და ცნობილი ბევრისაგან, და ამის გამო სჯასა

და კამათობაში აზრთა არეულობა ჰსუფევს, საჭიროა ერთხელ და ერთხელ ვრცლად განმარტება საადგილმამულო კრედიტისა ყოველმხრივ. იქნება ეს ოდესმე მოვახერხოთ და ეხლა კი მოკლედ ვიტყვით, რომ ბუნება საადგილმამულო კრედიტისა სწორედ ზედგამოჭრილია ადგილ-მამულის საჭიროებაზედ და ამის გამო იმნაირად შეფერებულია მიწასთან და მიწათმოქმედებასთან, რომ ვისაც კი ჰსურს იგი გამოიყვანოს, უსათუოდ ხელს მისცემს და ახეირებს. დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედობის ღონისა და მომცემლობისა.

მიწათმოქმედობა და ერთობ ყოველივე მრეწველობა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მის ბუნებაზედ, იმისთანა რამ არის, რომ ხარჯს განკარგებისას და მომცემლობის გაძლიერებისას მალე და ერთბამად არ უბრუნებს პატრონსა. თავნი ფული, ჩაყრილი მიწაში განსაკარგებლად და მომცემლობის გასაძლიერებლად, დიდ ხანსა რჩება მოუბრუნებლად და ერთბამადაც უკუ არა ჰბრუნდება. მარტო კარგა ხნის განმავლობაში მიწა იხდის, ანუ უკეთ ვსთქვათ, უბრუნებს პატრონს თავნს ფულს და მის სარგებელს ცოტცოტაობით და თანდათანობით გაძლიერებულ მომცემლობის ნამეტანობისაგან. მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ მიწაზედ დამოკიდებული მრეწველობა, ყველაზედ უმაღლესად დამბრუნებელი თავისა თავისის სარგებლით, პირუტყვთ-მოშენებაა, და ამასაც კი უნდება თვრამეტი წელიწადი და არა ნაკლებ. სხვა ყოველი მრეწველობა, მიწაზედ დამოკიდებული, თხოულობს თითქმის ოცდაათს, ორმოცს და ორმოცდაათს წელიწადსა, რომ ამ ხნის განმავლობაში განკარგულებისათვის დახარჯული თავნი ფული და სარგებელი მისი თანდათანობით ააყენოს და დაუბრუნოს დამხარჯველსა. ესეთია ბუნება მიწისა და მიწათმოქმედობისა.

იგი ღონე, რომელიც მიწისა და მიწათმოქმედობის განკარგებისა და გაძლიერებისათვის მოიწვევს ხოლმე საჭირო ფულს, საადგილმამულო კრედიტია. მაშასადამე, ბუნება ამგვარის კრედიტისა შეთანასწორებული უნდა იყოს მიწისა

და მიწათმოქმედობის ბუნებასთან, სახელდობრ: კრედიტი უნდა იყოს ხანგრძლივი და ამასთანაც ისეთი, რომ მისგან მოტანილი და ნასესხები თავნი თავისის სარგებლით ერთბამად არ მოითხოვოს და სჯერდებოდეს თანდათანობით, ცოტცოტაობით ნასესხების დაბრუნებას. სწორედ ამისთანაა საადგილმამულო კრედიტი: ხანგრძლივია, მაგალითებრ, ტფილისის ბანკში $43^1/_2$ წელიწადზედ ნაკლები არ არის, და ამასთან თანდათანობით დამჯერი თავნის და სარგებლის დაბრუნებისა.

ერთადერთი წყარო, რომელიც ბანკიდამ ვალის ამღებს სახსარს აძლევს ვალის გადახდისას, მიწაა და მიწათმოქმედება, აღებულის ვალის თავნით განკარგებული და გაძლიერებული. რა პირობითაც თვითონ წყაროა ვალის მხდელი, თუ იმ პირობითვე არ არის აღებული ვალი, მხოლოდ მაშინ არის კრედიტი, ვალის მძლეველი, დასაწუნარი და უარსაყოფელი. საადგილმამულო კრედიტის პირობანი-კი სწორედ ამისთანანი არიან, რა პირობითაც თვითონ წყაროა მისი გამძღოლი: ხანგრძლივი და არა ერთბამად დამბრუნებელი ნასესხებისა, არა-ედ ცოტცოტაობით და თანდათანობით.

მაშ რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს?. განა ჩვენის ბანკების კრედიტი ამისთანა არ არის, ესე არ არის მოწყობილი? ამისთანაა და ესეა მოწყობილი, ხოლო ამბობენ, რომ ჩვენ მაგაებისათვის მომზადებულნი არა ვართ და ვერ მოვახერხებთო; ჩვენ რაკი ფულს ავიღებთ ვალადაო, მაშინვე ვჭამთო და ვალი ვალად გვაწვებაო. აქ ბანკი რა შუაშია? იმ შუაშიაო, გვიბძანებს ბ-ნი აკაკი, რომ ადვილად გვაძლევს სესხად ფულსაო და ეგ წაგვაცდენს ხოლმეო. რომ ადვილად არ იძლეოდნენ, ნუთუ მაშინ ჩვენი ბანკები უფრო გულშესატკივარნი, უფრო თანაგრძნობის ღირსნი, უფრო უკეთესნი იქნებოდნენ? ნუთუ მაშინ წუნი აღარ დაედებოდათ? ადვილად შოვნა ფულისა, არა გვგონია, ქვეყნის დამღუპავი იყოს სადმე, და თუ ჩვენს ქვეყანას ეგ დაჰღუპავს, პირველი მაგალითი იქნება მთელს ქვეყნიერობაზედ. ესე რომ ვიაროთ, იქამდის მივალთ, რომ საადგილმამულო კრედიტის გაიეფებაც უფრო ბოლოს

მოგვიღებს, რადგანაც იეფს კრედიტს უფრო ბევრი მუშტარი ეყოლება, უფრო ბევრი წაეტანება, იეფი კრედიტი უფრო ბევრს წააცდენს, ვალს ააღებინებს იმათაც-კი, ვინც სიძვირის გამო ეხლა ახლოსაც არ ეკარებიან. მაშინ ხომ სულ დავიღუპებით და დავიღუპებით!... ეხლა რომ ჩვენ ერთი ღვთის წყალობა გვეწიოს, გამოჩნდეს როტშილდი და გვითხრას: აბა ვისაც გიჭირთ, ფულს გასესხებთ, სარგებელი არ მინდა, ოღონდ თავნი დამიბრუნეთო, და თუ არ დამიბრუნებთ, თქვენს ქონებას ვაზღვევინებო,—ნუთუ ეს სანატრელი კაცი ქვეყნის დამღუპველად ჩაითვლებოდა მარტო იმით, რომ გაგვიადვილა ფულის შოვნა, ჯერ მით რომ ფულს სესხად გვაძლევს, და მეორე მით, რომ სარკებელს არა ჰთხოულობს! განა ამისთანა ვალის ამღებზედ კი არ ითქმოდა იგი, რასაც ბ-ნი აკაკი წერეთელი ამბობს ჩვენის ბანკებიდამ ვალის ამღებზედ, რომ რაკი თავნის დაბრუნების ვადა მოუვიდოდათ და ცარიელის თავნის გადასახდელადაც არაქათი არ ექნებოდათ —

„ჰამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი იმ შემთხვევას გადაჩენოდნენ; მამასისხლად ილებდნენ განზედ სადმე სესხს და მით კიდევ უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ: ერთხელაც იყო ის მამულები ეკარგებოდათ, და განზედაც კიდევ „როტშილდის“ წყალობით აღებული ვალი საშვილიშვილოდ ჰღუპავდა...“ და სხვანი.

არა, ბატონებო! თუ ვალის ამღებმა ვალი იმიტომ აიღო, რომ ფული შეჰამოს, იმას არა უშველის-რა, იმას არა იხსნისრა მიწასთან გასწორებისაგან. ყოველი წესი, რიგი, დაწყობილობა, სიკეთე, მარტო წინდახედულის, ფრთხილის, გონიერის კაცისათვის არის ქვეყნიერებაზედ და არა გიჟისა და დამთხვეულისათვის. გიჟი, დამთხვეული, დღეს იქნება თუ ხვალე, კლდეზედ უნდა გადავარდეს, ამ ბედს იგი არსად არ წაუვა. აქაო და ქვეყანაზედ გიჟები არიანო, ჰკუიანებისათვისაც ხელმოსაცვლელს და ხელთშესაწყობსაც ნურას იზამთო,—ეგ მეტისმეტი თავდაუჭერელი, შეუწყნარებელი და საუბედურო სურვილია.

X

ტფილისი, 10 ივნისი, 1886 წ.

„ბანკიც იგივე რულეტკა იყოო,—ბრძანებს ბ-ნი აკაკი წერეთელი,—ჩვენის მოუმზადებელ ხალხისათვისო და ამიტომაც, ვიმეორებ, იმ თავითვე წინააღმდეგი ვიყავით მისიო“.

რაკი ბანკი და რულეტკა ჩვენის ხალხისთვის ერთი და იგივეა ბ-ნ აკაკის თვალში, ქება-დიდების მეტი არა ეთქმის-რა, რომ ბ-ნი აკაკი იმ თავითვე ბანკის წინააღმდეგი ყოფილა. რულეტკა სწორედ სახლში შემოსაშვები არ არის, ხოლო ბანკი რამდენად ჰგავს რულეტკას, — ამისი-კი რა მოგახსენოთ, და ვისაც ეს ორი სულ სხვადასხვა საგანი ერთმანეთში აურევია, იმას სამართალი მიუძღვის ერთიცა და მეორეც წყალს მისცეს. პურიც რომ საწამლავად მომეჩვენოს და წყალში გადავაგდო, ამისათვის არავინ დამძრახავს, მხოლოდ იტყვიან, თვალს შეუცდენიაო.

თუმცა ბ-ნ აკაკის ბანკი და რულეტკა ერთსა და იმავე საგნად მიუღია ჩვენის „მოუმზადებელ ხალხისათვის“, თუმცა ამის გამო წინააღმდეგობაც გაუწევია, მაგრამ, რადგანაც ძალა ალმართსა ჰხნავს, ჩვენ ბანკის დაარსებას მაინც,

„ძალა-უნებურად დავჰორჩილდითო,—ბრძანებს ბ-ნი აკაკი, — და მხოლოდ იმას ვცდილობდით, რომ სიფრთხილე მაინც დაგვეჭირა და უსტავის რამოდენიმე მუხლი შეცვლილიყო“.

არ ვიცით მუხლთა ცვლილების გამო შეუტანიათ, თუ არა, რაიმე პროექტი ბანკის საერთო კრებაში და საერთო კრებას რა დაუდგენია? ეს კი ვიცით, ბ-ნ აკაკისავე სიტყვით, რომ

„ერთხელვე დაგეშილი და ბეჭდვითაც წაქეზებული უგნურება მუშტისა და არა სხვა რამე ძალით იმარჯვებდა და თავისი გაჰქონდა“.

ორში ერთი: ან შეცვლილის მუხლების პროექტი საერთო კრებას ბანკისას წარსდგენია და „უგნურებას მუშტისას“ უარუყვია, და თუ ესეა, მეტად სამწუხაროა, რომ ჭკუის საქმე

მუშტს გადუწყვეტია; ან არ წარსდგენია კრებას და ვისი ბრალია, თუ ამირანს გულში უმღერნია და ყმებო-კი ბანი მითხარითო, უძახნია?

არც ის ვიცით, ის „რაოდენიმე მუხლი“, რომელიც ბ-ნ აკაკის აზრით, უნდა „შეცვლილიყო“, რა და რა მუხლია. იმ რაოდენთამე მუხლთაგან ბ-ნ აკაკის მარტო ერთი მუხლიღა მოჰყავს მაგალითად:

„უსტავის ძალით ქუთაისის ბანკში დამფასებლებს კრება კი არ ირჩევს, მხოლოდ ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი,—ბრძანებს აკაკი;—ჩვენ ამიერ წინააღმდეგი ვიყავით და შიში კიდეც გამართლდა: არჩევანის დროს სადირექტოროები სიტყვას აძლევდნენ რომელიმე გავლენიან პირსა: „ოღონდ შენ-კი დამეხმარე, ამირჩიე, და შენ და ან ვისაც შენ მეტყვი დამფასებლად ავირჩევო... “ამითი აიხსნება ის მოვლენა, რომ ღირსეულებს აშავებდნენო.“

იქნება მაგალითი ყოფილიყოს, რომ ღირსეული გაეშავებინოთ და ეს, რასაკვირველია სამწუხაროა, მაგრამ აქ ეგ მუხლი რა შუაშია? ღირსეულის გაშავება ყველგან შეიძლება მოხდეს და ვინ იცის, იქნება ყველაზედ ნაკლებ იქ მოხდეს, საცა წინათვე სჩანს, ვინ არის თვითეულად პასუხისმგებელი ცუდის არჩევისათვის. თუნდ ეგეც არ იყოს, ნუთუ ერთმა სადირექტოროშ, ანუ თუნდ სამმა გამგეობის წევრმა იმოდენად იმძლავრონ ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის წევრთა საერთო კრებაში, რომ არჩევანი თავისაკენ დასძლიონ!.. თუ შიში ზემოხსენებულის მუხლისა მარტო მაგაშია, წამალი ადვილია, ისეთნი დირექტორნი და ზედამხედველ კომიტეტის წევრნი ამოირჩიეთ, რომ მაგისთანა ამბები არ იკადრონ და არ ჩაიდინონ. დირექტორთა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ხომ ბანკის საერთო კრება ირჩევს! მაშასადამე, თუ ბ-ნ აკაკის სიტყვა მიეღოთ განუკითხველად, იგივე საერთო კრება ვერაფერი თამასუქი ყოფილა კაი კაცების არჩევანისათვის. თუ იგი კრება მართლა იმისთანა დირექტორებს არჩევს, რომელნიც, ბ-ნ აკაკის სიტყვით, ასე ურიგოდ იქცევიან, მაშ რაღა იმედი აქვს ბ-ნ აკაკის, რომ იგივე კრება, ცუდის დირექტორების ამომრჩეველი, უცბად

გადაკეთდება და კარგს დამფასებლებს ამოარჩევს? აქ ერთი-მეორეს როგორღაც არ ებმის და ბ-ნ აკაკის სიტყვა ცოტა არ იყოს, ბუნდია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ან ეხლანდელს დირექტორებს ქუთაისის ბანკისას და ან წევრთა იქაურის ზედამხედველის კომიტეტისას წუნი რამ, ან ბრალი რისამე დავდოთ. ჩვენ ამაზედ შორსა ვართ. ჩვენ თუ ამ მხრით ვსთქვით რამე, საზოგადოდ ვსთქვით, და მარტო იმისთვის, რომ ბ-ნ აკაკის სიტყვას კვალში ჩაუდექით და მისი დასასკვნელი აზრი ბოლომდის მივიყვანეთ.

XI

ტფილისი, 25 ივნისი, 1886 წ.

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის წერილი ჩვენის წერილების პასუხად. ბეჯნაირად შესანიშნავია ეს წერილები, თუმცა საკამათო საგნის ახსნას ერთის იოტის ოდენაც არა ჰშველის. შესანიშნავია ჯერ იმით, რომ არ ვიცით, პატივცემულის ავტორის წერილებს რად დაჰკვებებიათ, რომ ჩვენ იმისთანა აზრების წარმოთქმასა გვწამებს, რომელიც ჩვენ არ წარმოგვითქვამს, და ეგრედ უცერემონიოდ ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის მიერვე დადგენილს აზრს ებრძვის თვითვე ბატონი ყიფიანი და, სწორედ მოგახსენოთ, გამარჯვებითაც ებრძვის, როგორც ეხლავე ვნახავთ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ბ-ნმა ყიფიანმა ორჯელ გვაღირსა თავისი პასუხი და ორჯელვე ასე მოგვეპყრა. ჯერ პირველ წერილში, რომლის გამოც აგვიტყდა ეს კამათობა, დაგვწამა, რომ ვითომც ჩვენ გვეთქვას, ბანკის დამფუძნებელთ და ერთობ თავად-აზნაურობას ბანკისა არა გაეგება-რაო. „რა სათქმელია, ღვთის გულისათვისაო?“ — გვიბრძანა ჩვენმა ბ-ნმა ყიფიანმა. ჩვენ მოვკითხეთ ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს მოეყვანა ამ ბრალის საბუთად ჩვენის წერილიდამ თუნდ ერთი სიტყვა, რომლისაგანაც სჩანდეს, რომ „საქმის არ გაგება მთელს დამფუძნე-

ბელთ დასსა ან მთელს თავად-აზნაურობას ჰბრალდებოდეს ჩვენგანა". ამის პასუხად ბ-ნმა ყიფიანმა ეს გვითხრა:

„103 №—ში რომ ბრძანებთ, ყველანი იძახიან ბანკი გვღუპავსო, ვინ არიან ეს ყველანი, თუ არა იგინივე ბანკის პატრონები, დამფუძნებელნი"?

ტყუილი კითხვაა, რადგანაც იმავ წერილში, საცა ეგ არის თქმული სწორედ წინა სტრიქონებში, მოხსენებულია ის ყველანი ვინ არიან. აი რა სწერია იქ:

„არც ერთს წუნის მდებელს მწერალსა და მოლექსესა არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსა. მარტო ეს კი ვიცით, ყველანი იძახიან — ბანკები ჩვენა გვღუპავსო, და ამ კილოზედ ათასნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითა".

ნუთუ აქ აშკარაა, ცხადად გამოთქმული არ არის, ვისზედ არის ნათქვამი ეს სიტყვები? ნუთუ აქ ყველას რომ ვახსენებთ, ვისმე ნება აქვს სიმართლის დაურღვევლად იგულისხმოს მთელი თავად-აზნაურობა და დამფუძნებელთა დასი და არა იგინი, ვინცა პროზითა და ლექსით ჰგალობენ, ესე იგი, მწერალნი და მოლექსენი. რად გამოუკლია ბ-ნს ყიფიანს თავი და ბოლო ფრაზისათვის და მარტო შუა წელი ამოუღია! ნუთუ ნება აქვს ვისმეს ასე მოიქცეს ძალმომრეობით? მაგრამ ბ-ნ ყიფიანს მაგისთანა ნება დაუჩემებია და იყოს ნება მისი. მაშინ, ესე იგი როცა ბ-ნ ყიფიანის მეორე წერილი დაიბეჭდა, ასეთს გადასხვაფერებას და გადატრიალებას ჩვენის აზრისას ყური აღარ ვათხოვეთ, რადგანაც საკამათო საგანს არსებითად არ შეეხებოდა. ეხლა კი, როცა ამისთანა ქცევა განიმეორა ბ-ნმა ყიფიანმა უფრო გაძლიერებით, იძულებულ შევიქენით მოგვეყვანა ეს მაგალითიც, რომ ეგრეთწოდებული „მანერა" ბ-ნ ყიფიანის კამათობისა უფრო ბევრის საბუთით და მაგალითებით დაგვემტკიცებინა.

დღევანდელს წერილშიც ბ-ნი ყიფიანი ხელმეორედ ძალას გვატანს, სთქვით, რაც მე მინდაო. და რადგანაც ჩვენ იგი ვერ გვათქმევინა, ჩვენ მაგიერ თვითვე მოუწადინებია თქმა:

„თქვენ ბრძანებთ, რომ ამ საკრედიტო ფურცლების გაბოცებისა ნება მთავრობამ უარ-ჰყოო, მაგრამ რომ მიეცა ბანკს ეს უფლება და ძირის ფულის ღირებულობა რომ ერთიათად იქცა, — როგორღა მოხდა?"

ერთი გვიჩვენოს ბ-ნმა ყიფიანმა, სად, როდის და ვინ პრძანა ეს არ ნაბრძანები ბრძანება? ამ უარყოფის გამო მთელს ჩვენს წერილებში მარტო სამ ნახევარი სტრიქონია და იმ სამ ნახევარ სტრიქონშიაც სრულებით ის არ არი'ს, რაც ძალად და განგებ უთქმევინებია ბ-ნ ყიფიანს ამ უმწეო სტრიქონებისათვის. აი ის სტრიქონები:

„ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის საკუთარი პროექტი ბანკისა, რომელიც მთავრობამ უარ-ჰყო და არ დაამტკიცა, ამბობს," და სხვანი.

თუ ამას გარეითად მთელს ჩვენს წერილებში ერთს სხვა სიტყვასაც გვაჩვენებს ბ-ნი ყიფიანი საზოგადოდ ან კერძოდ მთავრობის მიერ უარყოფაზედ ოქმ-ულსა, ეგ სასწაულთმოქმედებას მიეწერება. რაკი ნამდვილად ესეა, რაც ჩვენა ვსთქვით და ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ვერასჳზით ვერ დაგვიმტკიცებს, რომ ვითომც ჩვენ გვეთქვას „საკრედიტო ფურცლების" გამოცემის ნება მთავრობამ, უარ-ჰყოო, — ეხლა ვიკითხოთ, რა აიძულებს ხოლმე ბ-ნს ყიფიანს, რომ ასე უჯეროდ გვექცევა, თუ არ ერთგვარი „მანერა" კამათობისა!.. ჩვენ იქ მოვიხსენიეთ, რომ პროექტი ბ-ნის ყიფიანისა უარ-ჰყო მთავრობამაო, და პროექტში ყოველთვის ბევრი იმისთანა საგანია, რომლის გამოც შესაძლოა უარყოფილ იქმნას. სწორედ ესეც მოხდა; ფინანსთა მინისტრის ქალალდში უარყოფის მიზეზად სულ სხვა საგანია დასახელებული. ვსთხოვთ ბ-ნს ყიფიანს გვიჩვენოს, რომ ჩვენ გვეთქვას, ვითომც სახელდობრ საკრედიტო ფურცლების გამოცემის ნების თაობაზედ სამინისტროს უარი ეთქვას. ვერ გვიჩვენებს, და ამიტომაც როგორც მეორე მუხლი ავტორის ჩვენდა მომართ პასუხისა, ისეც მესამე, მეორეზედ მჭიდროდ დამოკიდებული, უქმად დახარჯული ტყვია-წამალია.

ამ გზით კამათობა შეუძლებელია და ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვაა და, სწორედ მოგახსენოთ, ძალიანაც ვწუხვართ, რომ ეს ასეა; მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ დიმიტრი ყიფიანთანა გვაქვს საქმე და ბ-ნს დიმიტრი ყიფიანსა, თუმცა ბევრში არ ვეთანხმებით, მაგრამ პატივს-კი ვცემთ ყოველთვისა.

ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ეს არ გვაკმარა. როცა მას წაუკითხავს ჩვენი წერილი, დაბეჭდილი № 113-ში, გული ამღვრევია ჩვენზედ და გვეუბნება:

„ისეთს კილოზედ გადასულხართ, რომელიც ზღვევას არღვევს, ძველებური ქართული ზრდილობისათვის უზრდელობისაგან დასაცველად დადებულსა".

შემდეგ ბ-ნი ყიფიანი ხელახლად გვიბრძანებს:

„ამ ნომერშიაც (115 №-ი) ვერ ათავებთ თქვენს წყრომას, მაგრამ მე ვეღარ მოგყვებით, რა კვალსაც თქვენ ადგიხართ, იმ კვალზე დგომა მე არ შემფერის. თქვენი მრავალმეტყველება იქნება ძალიან წარმატებული იყოს... მაგრამ მე ჩემი დიდ ხნიერის გამოცდილებით ამას გაგიბედავთ და მოგახსენებთ, ოომ მრავალმეტყველება ვერ დაჰფარავს ვერც უზრდელობას, ვერც დედაბერულს ლაქლაქსა"... „პირმოთნეობა, მლიქვნელობა, ბრიბლაობა მე ჩემს სიცოცხლეში არასდროს არ მიხმარია, რადგან ჩემთვის საჭირო არასდროს არ ყოფილა, და გარწმუნებთ, რომ არც არასდროს მომავალში ვიხმარო, როგორც უნდა გამიჭირდეს. რა რომ ვაცხადებ, რომ არც ამაში მწადს თქვენ შემოგეცილოთ..."

რაში? პირმოთნეობაში, მლიქვნელობაში, მხიბლაობაში?!. ეს რომელის ტიბიკონით არის ზრდილობად მიღებული? აი თუ სწორედ გინდათ, ამას ჰქვიან: „შეუდგებოდეს არა მოქმედებასა ჩემსა, არამედ მოძღვრებასა ჩემსა".

ამ ზრდილობიანის სიტყვა-პასუხის მაგალითს ჩვენ, რასაკვირველია, ბ-ნ ყიფიანის სახელით შევინახავთ და პირობას კი ვიძლევით, რომ თავისდღეში მის მიბაძვას და აყოლას არ ვიკადრებთ. არა გვგონია, რომ ჩვენის „ძველებურის, ქართულის ზრდილობისათვის უზრდელობისაგან დასაცველად დადებულს საზღვრებში" ამისთანა რამ მოიპოვებოდეს. არა გვგონია, ჩვენს წერილებში ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ამისთანა მართებული სიტყვები გვაჩვენოს. ჩვენ არც ერთი იმისთანა სიტყვა არ წამოგვცდენია, რომ წესს ზრდილობისას და მართებულობისას ისეთის კადნიერებით არღვევდეს, როგორც ამ შემთხვევაში ბ-ნს ყიფიანს მოსვლია. ჩვენ გულწრფელად და დიდის სინანულით ბოდიშს მოვიხდით ჯერ ბ-ნ ყიფიანისა და მერე ჩვენის მკითხველების წინაშე, თუ

ჩვენის წერილებიდამ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი დაგვიმტკიცებს, რომ მის მიერ მოხსენებულის ეჰითეტების მსგავსი რამ ჩვენ გვეხმაროს არამცთუ მის შესახებ, არამედ ვისიმე შესახებ როდისმე. ჩვენ ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის მიერ წარმოდგენილ აზრებთან და საბუთებთან გვქონდა საქმე და არც მის სახელს და ზრდილობას შევხებივართ და არც მის ლაპარაკის თვისების აღნიშვნასა.

ჩვენ საცა-კი ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისაგან ბრალსადებელი რამა ვსთქვით, — ეგ მარტო ის იყო, რომ მის მიერ უცოდინარობა საქმისა წარმოვსთქვით. ეს სამწუხაროა და არა საწყენი. არ ვიცით, რამოდენად დავამტკიცეთ ჩვენ ბ-ნ ყიფიანის უცოდინარობა. იქნება ამაში ვცდებოდეთ კიდეც,— ეგ მკითხველმა განსაჯოს, — ხოლო კაცმა რომ კაცს უთხრას, შენ საქმე არ იცი, არა მგონია ეს უზრდელობაში ჩამოართვას ვინმემ. ესეც კი უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ მართლმსჯელობას გახურებულის რკინის თვისება აქვს. იგი სწვავს, როცა სუსტს მხარეს შეეხება ხოლმე და მაგ თვისებას ვერავინ ვერ ჩამოართმევს მართლმსჯელობასა ზრდილობის სახელითა. ყველას ემწვავება ხოლმე, როცა ვარაყით მოოქროვებულს კაკალს დაჰხარის, შიგ კაი გული დევსო, და თქვენ-კი გაუტეხთ და შიგ გულის მაგიერ ჭიის საბუდარს დაანახვებთ.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი უფრო შორს მიდის და სწორედ მოგახსენოთ ვკვირობთ და ჩვენს ყურებს არ ვუჯერებთ. რომ ამ შემთხვევაში ჩვენი გაოცება კამათობის ხერხად, ანუ „მანერად“ არავინ ჩასთვალოს, ვსთხოვთ ბ-ნ ყიფიანის დღევანდელი წერილი სიტყვებიდამ: „თუ თქვენი აღშფოთებული გულის დამშვიდება იქამდის მოახერხეთ, რომ“.. ჩაიკითხოს ყურადღებით ამ სიტყვებამდე: „კეთილ ინებეთ გონზე მობრძანება და იკმარეთ ეს ჩემგან“.

მადლობელნი ვართ რჩევისათვის, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ძნელია ჩვენ იმ გონზედღა მოვიდეთ, რომლის შემწეობითაც აგეთის პატივით წარმოდგენილი გვყვანდა ჩვენ

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი. სხვა არას ვიტყვით: აქ მარტო დუმილიღა გვრჩენია პასუხისგების ღონედ.

„თქვენის საკითხავების პასუხებს ვერ გვაძლევს ყიფიანიო თუ ბრძანებთ, — ამბობს დასასრულ ბ-ნი ყიფიანი, — მე მოგახსენებთ, — ვერ კი არა, არ გაძლევთ, ამიტომ რომ მაგგვარი საკითხავების წარმოთქმა შეეფერება მხოლოდ მეორე კლასის მოწაფეს, და პასუხსაც ამხანაგი თუ აგებს, თორემ რაღა დროს თქვენგან სკოლური ცელქობაა“.

ბანზედ სიტყვის აგდება ამას ჰქვიან. მართლა რომ ცელქობა გაგვიწევია, რომ ბ-ნ ყიფიანის სიტყვები და აზრები გულდადებით მივიღეთ და გვეგონა, რომ ხუმრობაგაშვებით ბაასობდა ბანკების თაობაზედ. თურმე, ნუ იტყვით, შევცდით, და ეს შეცდომა თვითონვე ბ-ნ ყიფიანმა სიმართლის სიყვარულისა გამო დღეს გაგვისწორა. აი ცელქობა რაშია. ბ-ნმა ყიფიანმა მაშინ სთქვა:

„ახლა ყოვლად უსაფუძვლო იქნება და ყოვლად შეუძლებელიც არის ისეთი წესის დადგინება, რომ დაწინდრებულის მამულის გაყიდვა არ მოხდებოდეს“.

ჩვენ გვეგონა, ბ-ნი ყიფიანი არა ჰხუმრობს და ვკითხეთ: ახლა რომ უსაფუძვლოა და შეუძლებელი, როდისღა ყოფილა საფუძვლიანი და შესაძლებელი? ცხადია, რომ მის სიტყვების შედეგი ეს საკითხავი უნდა ყოფილიყო. არა, არ გაძლეკთ პასუხსაო,—ეგ ცელქობააო, გვიპასუხებს ბ-ნი ყიფიანი. ჩვენც დავუჯეროთ.

„ამ ზომაში ან რა იქნება ახალი, რომ სხვაგან არსად ყოფილიყოსო, ბრძანებდა ბ-ნი ყიფიანი იმ ზომის შესახებ, რასაც იგი ჩვენს ბანკებს ურჩევდა“.

არც ეს გვეგონა საცელქოდ ნათქვამი და ვიკითხეთ: სხვაგან სად ეგულება ბ-ნს ყიფიანს მაგისთანა ზომამიღებული ბანკი? ამაზედაც გვიპასუხა დღეს, რომ მაგისთანა საგანზედ კითხვა ცელქობააო. ჩვენც ესე გვეგონა, მაგრამ მაგის თქმა ზრდილობამ არ გაგვაბედინა და ეხლა, რადგანაც ბ-ნმა ყიფიანმა თვითონ ბრძანა, მეტი რა გზაა, უნდა დავემორჩილოთ. იმ მამულების მოვლისათვის, რომლის პატრონიც ვადაზედ ბანკში შესატანს ფულს ვერ შეიტანს, „შეიძლება

ცალკე ადმინისტრაცია დაინიშნოსო“, ბრძანა ბ-ნმა ყიფიანმა.

არც ეს გვეგონა ხუმრობით თქმული და ვიკითხეთ: „როგორ უნდა მოეწყოს ეს ადმინისტრაცია“ და სხვანი? ამაზედაც იგივე პასუხი მივიღეთ დღეს, ნუ ცელქობთო. ერთი გაგვიკითხეთ ღვთის გულისათვის: თუ აქ ცელქობაა, მართლა ვინ ცელქობს: ჩვენ, თუ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი?

აი რა მიზეზით ვსთქვით ჩვენ ამ წერილის დასაწყისში, რომ ბ-ნ ყიფიანის დღევანდელს წერილში ბევრი რამ არის შესანიშნავი. ჩვენ აქ მარტო ის მაგალითები მოვიყვანეთ, რომელიც ეგრეთწოდებულ „მანერას“ ბ-ნ ყიფიანის კამათობისას შეადგენს. ჩვენ არაფერს „ზედშესრულებს“ არ ვიხმარებთ ამ „მანერის“ სამკაულად, დეე თვით მაგალითებმა ილაპარაკონ. ჩვენ, სამწუხაროდ ჩვენის მკითხველებისა, მარტო ამასღა ვიტყვით, რომ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ბ-ნ ყიფიანის აზრებს ბანკის შესახებ, მათს არსებითს ვითარებას გავარჩევთ და ამით ჩვენის მხრით მოვსპობთ ყოველს ბაასსა ბ-ნ ყიფიანთან სამუდამოდ.

XII

ტფილისი, 4 ივლისი, 1886 წ.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ერთს დროს სულ სხვა აზრისა ბრძანდებოდა ბანკების თაობაზედ. აქაო და ერთი დრო არავის შერჩენიაო, არც ამ აზრს შერჩა ერთი დრო: იგი დროთა განმავლობაში იცვლებოდა ასე, რომ წინა აზრი მომდევარს აზრს აღარაფერში ჰგვანდა. ისტორია ამ ცვალებადობისა სულ თვრამეტს თუ ოცს წელიწადს იპყრობს. თუმცა მოსაწყენია, მაგრამ საგულისხმო კია, რომ კაცმა ეს ხანა ჩვენის ბანკების ისტორიისა გადაათვალიეროს. მაშინ ცხადად გამოგვეხატება, — რა სდომებია ბ-ნს ყიფიანს წინათ, რა სდომებია მერმედ, და რა ჰსურს დღესა. ჩვენ ამ ისტორიის მოკლე ხანას იმ სამის საკითხავის მიხედვით განვიხილავთ,

რომელიც შეადგენს არსებას და ბუნებას ჩვენის კამათობის საგნისას. ერთი: ვის სახელს არ ქმევდა ბ-ნი ყიფიანი ბანკსა და მის პატრონად და მონაწილედ ვის ხადიდა? მეორე: რა შელავათს იძლეოდა ვალის ამღებთათვის; და მესამე — მამულების გაუსყიდებლობას მართლა საფუძვლად უდებდა თუ არა მის მიერ განზრახულს ბანკსა?

ბ-ნ ყიფიანს სდომებია არა სათავად-აზნაურო ბანკი, არამედ საყოველთაო და ამასთანავე აქციონერული. აქციები, ანუ „პაი“ ას-ას მანეთიანი ყოფილა. სულ 6.000 აქცია ანუ „პაი“ ჰქონია განზრახული. აქედამ 2.000 აქცია თავად-აზნაურთათვის მიუჩეჩებია და 4.000 სხვა ყველა წოდების კაცისათვის. ამის გამო ბანკისათვის საყოველთაო ხასიათი მიუცია და არა სათავად-აზნაურო*. ყველა აქციონერისათვის დივედენდი დაუნიშნავს ბანკის მოგებიდამ. ბანკის მონაწილენი და კრებაში ხმის მქონებელნი არიან აქციის ანუ „პაის“ პატრონები** გირავნობის ფურცლების მფლობელნი და ბანკიდამ მსესხებელნი არა ნაკლებ 600 მანეთისა***. ამ სახით; თვითვე ბ-ნი ყიფიანი იმედოვნებს, რომ ნახევარზე მეტი ხმა ქალაქში მცხოვრებთ ექნებათ საბანკო კრებაში****.

ბ-ნს ყიფიანს ბანკის საფუძვლადვე დაუდვია ურთიერთ თავდებობა დაგირავებულის მამულებისა, რის გამოც მსეს-

---

* Этим дается банку характер общественный, ამბობს ბ-ნი ყიფიანი თავის საკუთარის ხელით დაწერილს წერილში, რომელსაც экстракт-ი ჰქვიან და ჩაკერებულია ბანკის მაშინდელ საქმეში, ნაწილი 2, გვერდი 257. იქავ გვერდი 263 — ბ-ნი ყიფიანი ამბობს: Ни я, когда я делал мое заявление дворянству, ни дворянство, когда оно высказывалось по этому заявлению, не выражали ни малейшего намерения замыкаться относительно учреждения банка в сословных пределах. Напротив того... и я и дворянство высказались в том смысле чтоб не придавать банку... никакого сословного характера...“

** აი რას ამბობს ამაზედ ბ-ნი ყიფიანი: прибыли банка и все капиталы составляют достояние пайщиков“ (ნაწილი 2, გვერდი 276).

*** § 57 ბ-ნ ყიფიანის პროექტისა.

**** იქვე გვერდი 230.

ხებელთათვის ხმა და მონაწილეობა მიუნიჭებია ბანკის საქმეებში *.

ამ სახით ბ-ნმა ყიფიანმა ბანკის მონაწილედ გახადა არამცთუ მარტო თავად-აზნაურნი, არამედ ყველანი, ვისაც კი რამდენიმე აქცია ექნება, ვინც კი ბანკიდამ ფულს ისესხებს, და ვისაც გირავნობის ფურცელი ხელში ექმნებოდა. ჩვენს დღევანდელს ბანკს რისხვით და წყრომით მოესია გაზეთს „დროებაში“ იგივე ბ-ნი ყიფიანი, რომ ურთიერთი თავდებობა დაგირავებულის მამულებისა შეიტანა თავის წესდებაში და დამგირავებელს ხმა მისცა საბანკო კრებაში. ჩვენდა სამწუხაროდ, ის ნომერი „დროებისა“ ხელთ არა გვაქვს, რომ ბ-ნ ყიფიანის რისხვა-წყრომა ამ საგანზედ წარგვედგინა მკითხველთათვის. მაგრამ ჩვენის სიტყვის საბუთად ისიც საკმარისია, რომ მოვიყვანოთ აქ ბ-ნ ყიფიანის წერილი 1884 წელს, წარდგენილი გორის თავად-აზნაურთა კრებაში. ამ წერილში ბ-ნი ყიფიანი ასე უკიჟინებს ჩვენს ბანკსა:

„ვალის ამღებნი ისეთივე წევრნი არიან, როგორც დამფუძნებელნი, და რადგანაც პირველნი ბევრად მეტნი არიან მეორეებზედ, აშკარაა, დღეს არა, ხვალ, ჩვენი ბანკი იმათი გახდებაო...“

ამ სახით გამოდის, რომ ჩვენმა ბანკმა ბანკის მონაწილედ გახადა მარტო თავად-აზნაურნი დამფუძნებელნი და სესხის გამტანი და ამით ბანკი, დღეს არა ხვალე, ხელიდამ გამოგვეცლება თავად-აზნაურობას; და მაშინ კი, როცა ბ-ნმა ყიფიანმა თავად-აზნაურობის სახელიც ჩამოართვა ბანკსა, როცა ბანკის მონაწილედ და კრებაში ხმის მქონებლად არამცთუ მარტო მამულის დამგირავებელი გახადა თავად-აზნაურობასთან ერთად, არამედ ყველა აქციონერია, 12 აქციის პატრონი, ყველა გირავნობის ფურცლის პატრონია, რომელთაც 1.200 მანეთის ფურცელი ექნებათ, და ამასთან იმედიცა ჰქონდა, რომ საბანკო კრებაზე ნახევარზე მეტი

* § 185, მუხლი 4 მესამის პროექტისა და 129 პარაგრაფი მეოთხის პროექტისა.

ხმა ქალაქში მცხოვრებთა ექმნებოდათ, — მაშინ კი, ჩვენი ბანკი თავად-აზნაურობას შეჰრჩებოდა და ხელიდამ არ გამოეცლებოდა!.. რატომ მაშინ არ შეიპყრა ბ-ნი ყიფიანი იმ შიშმა, რომლითაც ეხლა ჩვენს ბანკსა სდევნის, და რომელსაც. ბ. ყიფიანის პროექტით, ყველა მიზეზი მთლად დაუკლებლივ ჰქონდა და ჩვენს ბანკს კი იმ მიზეზთაგან მარტო ერთი აქვს, ისიც ღმერთმა იცის, ჩასათვლელია თუ არა მართალ მიზეზად? ეს ორი აზრი ერთისა და იმავე კაცის ერთსა და იმავე საგანზედ, ერთმანეთის შთამთქმელი და დამშრეტი, განმარტებას აღარ თხოულობს...

XIII

ტფილისი, 5 ივლისი, 1887 წ.

წინა წერილში ხომ ვნახეთ, რომ ბ-ნმა ყიფიანმა მის მიერ განჭრახულ ბანკს თავად-აზნაურთა სახელი ჩამოართვა და გაუქარწყლა. ისიც ვნახეთ, რომ სახელთან სახრავიც გამოაცალა პირიდამ, რაკი ბანკის მონაწილედ გახადა არამცთუ დამჯირავებელნი, რომელთ მამულების თავდებობა წესად შეიტანა პროექტში, არამედ აქციონერები და მფლობელნი გირავნობის ფურცლებისა. წინათ კი, ესე იგი 1867 წ. 6-ს მაისს, არწმუნებდა საგუბერნიო კრებას, რომ ღმერთმა გიხსნათ აქციონერებისაგანო, არამც და არამც აქციები არ შემოუშვათ ბანკშიო და ურთიერთ თავდებობაც მამულებისა ბევრში საზიანოა საზოგადოებისათვისაო*. ხოლო ამან სრუ-

* Не станет у меня,—бормотал б-н Ефиани тогда,— ни умения, ни желания замаскировать то, что будет само собою выступать из них (т. е. „если всю реализуемую сумму разбить на акции и собрать капитал посредством этих акций“)... В перспективе будущности все-таки (придется) видеть неизбежность того факта, что по истечении данного периода времени, мы составители банка не будем уже иметь на него никаких прав, а на ту часть его капитала, которая образуется из выпуска акций, явятся собственниками акционеры... Надобно устранить вовсе круговую поруку, так как она заключает в себе большое неудобство“. (Протокол губернского дворянского собрания, 6-го мая 1867 года, стр. 21 и 22).

ლებითაც არ დააბრკოლა ბ-ნი ყიფიანი და ყველა იგი, რითაც აფრთხობდა 1867 წელს თავად-აზნაურობას, მერე აიღო, გულუშიშრად შეიტანა თავის პროექტში, მითამ და აქ არაფერიაო და წინანდელის შიშის მაგიერ ასეთი ნუგეში მისცა თავად-აზნაურობას:

Банк не встретит в заведывании делами своими столкновения интересов, так как интересы всех участников тождественны. (часть 2-ая, стр. 276).

იქავ რამდენსამე სტრიქონ შემდეგ ახლა ამას ბრძანებს:

Таким образом в составе общества (банкового) является два разряда участников, которые пользуются совершенно одинаковыми правами в заведывании делами банка, тогда как интересы их не тождественны.

ზევით „тождественны", აქ კი „нетождественны"! მოდი და ნუ დაიჯერებთ, რომ ქვეყანას ღერძი გასტეხია!..

ამ გასაკვირველმა აზრის გარდაცვლამ სრულებითაც არ გააკვირვა თვით ბ-ნი ყიფიანი. პირიქით, ამ გარდაცვლას ერთი კაი საბუთიც მოუნახა. აი ის საბუთი:

Упорно держатся всего того? что однажды высказано, значило бы жертвовать ложному самолюбию средствами осуществления общеполезной цели... (Об'яснительная записка г-на Кипиани, ч. 2-ая, стр. 71-ая).

ამ საბუთით ბ-ნმა ყიფიანმა ორის-სამის თვის წინათ თქმული სულ უარ-ჰყო და ძირეულად შესცვალა, მერე როგორ? სულ წინააღმდეგად თავიდამ ბოლომდე. იგი იმავ წერილში ამბობს, რომ იძულებულ ვიყავით ზოგიერთ „მეორეხარისხოვანს" („второстепенные") საგნებში ჩემი პროექტი შემეცვალაო. აქციებისა და ურთიერთობის დაწესება ბანკის საქმეში „მეორეხარისხოვან" საგნად მიუღია ბ-ნს ყიფიანს და არა „პირველხარისხოვანად"!.. ბევრს ამისთანა წაჯეკუჯეკობის მაგალითს კიდევ წარმოვადგენდით, მაგრამ ეს საკმარისია.

ეხლა გადავიდეთ იმაზედ, თუ რა შეღავათს იძლეოდა გა-

ჰირვებულთათვის და ვალის ამღებთათვის ბ-ნი ყიფიანი? ჯერ იმას, რომ ვალის აღების მსურველს უნდა წარედგინა ბანკის სასარგებლოდ ერთხანად 2% ნასესხების ფულისა*. ეხლანდელი ჩვენი ბანკი კი სჯერდება $^3/_4$% სოფლის მამულებზედ და 1% ქალაქისაზედ. მეორე ისა, რომ თუ ვინმე დაგირავებულის მამულის დაყოფას მოიწადინებდა, ანუ ნაწილის გაცემას ჩუქებით, თუ გასყიდვით, უნდა გადაეხადნა 2% ბანკის სასარგებლოდ მთელის მამულის ღირებულობის კვალობაზედ**. ამ ახირებულს შეღავათს ეხლანდელი ბანკები არ იძლევიან, რადგანაც მაგისთანა უცნაური გადასახადი წესად არა აქვს მიღებული. მესამე: თუ დანიშნულს ვადაზედ მოვალე არ შეიტანს ფულს, ექვსს თვეს აცლის ბანკი (ეხლანდელი კი ორ თვეს) და ამაში ახდევინებს 1% თვეში***, როგორც ეხლანდელი ბანკი. მინამ ეს ექვსი თვე გავა, ფულის არშენტანს მოვალეს ნება აქვს (დიდი უფლებაა ჰქონია!..) შემოსატანში ან სხვა თავისუფალი მამული დაუგირავოს ბანკსა, ან მოძრავი რამ ქონება, სახელდობრ, ბანკის ბილეთები, აქციები, ობლიგაციები, ანუ თავდები წარუდგინოს ბანკსა. თუ ესენი ვერ მოახერხა და ექვსი თვეც გავიდა, მაშინ ბანკი ჩამოართმევს მამულსა და თვით იბარებს დროებითად****. ერთი წელიწადი რაკი გავა ბანკის მიერ ჩაბარების დღიდამ და მამულის შემოსავალი არ დაჰფარავს სრულად შემოსატანს ფულს, მამული უნდა გაიყიდოს (§ 222). თავისმხდელ სარგებლისა და ბანკის ხარჯის დასაფარავის გარდა, მოვალეს უნდა გადეხადნა ნასესხს ფულზედ ჯერ 6%-დამ 8%-მდე და მერე, როცა შეიცვალა, 5%-დამ 8%-მდე*****. ეხლანდელი ბანკი ამაში ახდევინებს მარტო 6%-სა და, მაშასადამე, 8%-ის გადახდევინების შიშს აცილებულია დღევანდელი მოვალე ბანკისა.

---

* § 105 მესამის პროექტისა, 90 § მეხუთე პროექტისა.

** § 110 იმავე პროექტისა.

*** § 214.

**** § 215.

***** **Об'яснительная записка § 2, часть 2, стр. 72.**

ეს გახლავთ ყოველივე შეღავათი, რაც ბ-ნმა ყიფიანმა მაშინ შესაძლოდ დაინახა. ერთიერთმანეთს რომ შეადაროთ ეხლანდელის ბანკის წესდება და ბ-ნ ყიფიანისაგან განზრახული, დაინახავთ, რომ ეხლანდელი წესნი ბევრით საშეღავათონი არიან, ვიდრე მაშინდელნი. დღეს სესხის მსურველი ბანკის სასარგებლოდ იხდის სოფლის მამულზედ $^3/_4$%-სა და ერთს პროცენტს ქალაქისაზედ ერთხანად, ბ-ნ ყიფიანის პროექტით კი ორს პროცენტსა ორსავე შემთხვევაში. დღეს გაყოფა დაგირავებულ მამულისა, ანუ ჩუქება და გაყიდვა ნაწილ-ნაწილ შესაძლოა ყოველის ფულის გადუხდელად ბანკის სასარგებლოდ, და მაშინ კი, ბ-ნ ყიფიანის პროექტით, 2% უნდა გადაეხადნა მთელის მამულის ღირებულობისა. თუ შეღავათია სადმე, სად უფროა შეღავათი? მარტო ერთით წინ არის შეღავათში, პირველ შეხედვით, ბ-ნ ყიფიანის პროექტი ეხლანდელის ბანკის წესდებაზედ. ეგ ის არის, რომ ექვს თვეს კიდევ აცლიდა ბ-ნ ყიფიანის პროექტი ფულის შემოტანასა პირველ ვადის შემდეგ და ეხლანდელი წესდება კი მარტო ორს თვეს აცლის. ხოლო ეს განსხვავება თვალით მოსაჩვენებელია და საქმით თითქმის სულ ერთი და იგივეა. აი როგორ: ეხლანდელის წესდების ძალით, მაგალითებრ, პირველ იანვრის შემოსატანში ინიშნება მამული გასასყიდად ივნისში, ასე რომ თითქმის იმავ ექვსის თვით ჰრჩება პატრონს მამული ხელში. ექვს თვეს შემდეგ ბ-ნ ყიფიანის პროექტით მამული უნდა ჩამოერთვას პატრონსა და ბანკმა ჩაიბაროს და ერთის წლის შემდეგ ისევ გაჰყიდოს, თუ მამულმა შემოსატანი ფული არ ააყენა, ან თვითონ პატრონმა არ შემოიტანა. რა თქმა უნდა, რომ რაკი მამულს ღონე ექნება დარჩენილის ფულის შემოტანისა, თვითონ პატრონი იქამდინ არ მიიყვანს, რომ მამული ჩამოერთვას. საქმე იმაშია, რომ პატრონს მაშინ არ შემოაქვს შემოსატანი ფული, როცა მამული ხელს აღარ აძლევს. ამისთანა კაცისათვის, რაკი ექვს თვეს უკან მამული ჩამოერთმევა გაყიდვით თუ დროებითად, სულ ერთია, მაშინვე გაიყიდება მისი მამული, თუ ერთი წლის შემდეგ. აქ რაკი კაცს მამული გულიდამ ამოუღია, ეს გარემოება თვალად მოსაჩვენებელი შეღავათია და სხვა არაფერი.

ხოლო ყველაზედ დიდი შეღავათი გაჭირვებულთათვის ბ-ნ ყიფიანის პროექტში იგია, რომ ვისაც „პაი“ ანუ აქციები არა აქვს, იმას უსათუო ნება არა აქვს ბანკიდამ ფული ისესხოს გრძელის ვადით *. სხვა რომ არ ვსთქვათ რა, წარმოვიდგინოთ მარტო გაჭირვებული გლეხი, რომელთზედაც ბ-ნი ყიფიანი—თავის წერილში ასე გულმტკივნეულობს:

В одну из главнейших целей банка входит действительное улучшение быта крестьян (открытием удобного кредита.) (Об'яснительная записка, стр. 76).

მოდით და გლეხს უთხარით: ჯერ აქცია იყიდე და მერე ფულს გასესხებთო! მერე რა? ათთუმნიანი აქცია. გლეხს, რასაკვირველია, ეს ათი თუმანი არ მოეძევებოდა და მაშინ შესაძლო იყო — ბანკიდამ ფულის სესხობაზედ ხანგრძლივის ვადით — უარი ეთქვათ, და ამის მერმედ ამისთანა წესის დამდები მაინც გვარწმუნებს, რომ:

В одну из главнейших целей банка входит действительное улучшение быта крестьян.

ორში ერთი: თუ „главнейший“-ა, რად გაუყრია ამისთანა ურდული ბანკის კარებისათვის გლეხის წინა და თუ „главнейший“ არ არის, რაღად გვარწმუნებენ „главнейший“-აო?

ბ-ნ ყიფიანს ეს სრულიად დაჰვიწყებია და ამ სიტყვით ემდურება და უკიჟინებს კი ეხლანდელს ბანკს, რომელსაც ყოველთვის სესხის კარი დაუბრკოლებლივ ღია აქვს ყველასათვის და სხვათა შორის გლეხისათვისაც:

Крестьянам не дано никакого кредита**.

ეს მტკნარი შეცდომაა, იმიტომ რომ, ვიმეორებთ, არავითარი დაბრკოლება ამისათვის გლეხს არა აქვს ეხლანდელის ბანკისაგან და ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის ბანკში კი კაი მოზრდი-

* ნაწილი 2, გვ. 264.

** წინადადება ბ-ნ ყიფიანისა, გორის თავად-აზნაურთ კრებაში წარდგენილი 1884 წ.

ლი ხარიხა იყო გადებული, როგორც წინათ ვნახეთ. მოდით და აქ თავი ბოლოს მიუყენეთ და ბოლო თავსა!...

XIV

ტფილისი, 7 ივლისი, 1886 წ.

ეხლა განვიხილოთ, რაგვარ იცვალა ბ-ნ ყიფიანის აზრი მამულის გაუსყიდებლობაზედ. ეს არის აქილესის ტერფი ბ-ნ ყიფიანის მოძღვრებისა, რომელმაც არა ერთს წაუხალისა გუნება. „კაცოო, — იძახოდნენ ამით წახალისებულნი, — ამაზედ მეტი და უკეთესი რა გინდა: მამულის ნახევარ ფასს ეხლავ ხელდახელ მოგცემენ, და თუ არ შეიტანე და არ გადიხადე ვალი, ნუ გეშინიან, დაგირავებულს მამულს არამცთუ გაგიყიდიან, თვითონვე მოურავადაც დაგიდგებიან, მოუვლიან, უპატრონებენ მამულს, ვალს გადაგიხდიან, შენც კიდევ ცოტა რასმე მოგაწვდიან ყოველწლივ და ბოლოს აშენებულს და გაკეთებულს მამულს ისევ უკან დაგიბრუნებენ ან შენ და, თუ შენ აღარ იქნები, შენს შვილებსაო!..“

რომ სწორედ საბუთი ჰქონდათ ასე ეფიქრნათ, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს იგი იმედები, რაც ბ-ნმა ყიფიანმა დაუქადა თავად-აზნაურობას 1864 წელსა, ესე იგი, როცა მართლა ბედნიერს აზრს ბანკის დაარსებისას პირველ უთაოსნა თავისდა ჭეშმარიტ სასახელოდ. ამ წლის 9-ს ნოემბერს, № 238-ით აღნიშნულ ქართულის წერილით „თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ“, ბ-ნი ყიფიანი ასე ინუგეშებოდა:

„რა დაგვიშლის ისეთი კანონები დავადგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითად შევიდოდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში, მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს, — ასე რომ, ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითონ იმას, ან იმის შვილსა თუ შვილისშვილსა, მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძლებოდეთ?“

1867 წელსა 6 მაისს ბ-ნმა ყიფიანმა მიაღებინა საგუბერნიო კრებას შემდეგი მის მიერ წარდგენილი ამ საგანზედ წინადადება, უფრო გაძლიერებული და უკან დაუხეველი:

„Никогда не подвергать продаже, без прямого на то желания заемщика, заложенного имения, предоставляя банку право на получение всего дохода с просроченного имения до погашения долга“*.

მერე, როცა საქმე ბანკის წესდების დაწერაზედ მიდგა და ეს უცნაური და უკან დაუხეველად გამოთქმული მუხლი უნდა შეეტანა წესდებაში დაპირებისამებრ, მაშინ ბ-ნმა ყიფიანმა იგრძნო, რომ დაპირებულის აღსრულება შეუძლებელია; იგრძნო, რომ არასგზით თავს არ დაიჭერს იმისთანა ბანკი, რომელსაც წესად ექმნება დადებული დაგირავებულის მამულების გაუსყიდაობა, ესე იგი გირაოს არ-გირავნობა; იგრძნო, რომ ამისთანა წესით ბანკი იმ ბანკად გადიქცევა, რომელსაც ძველადგანვე ჰქვიან „ავიღე და აღარ მოგეც“. რა ჰქმნა მაშინ ბ-ნმა ყიფიანმა? აიღო და თავისი მოგონილი უცნაური იგი წინადადება თავად-აზნაურობას გადააბრალი და უთხრა: შენის სურვილის აღსრულება არ შეიძლებაო. აი თვით ბ-ნ ყიფიანის სიტყვები ამ საგანზედ:

„Дворянство на уездных съездах выразило желание (?) установить беспродажность залогов. Дворянство же на губернском съезде выразило сомнение в возможности осуществления этого желания, так как оно могло повести к другой крайности — к уничтожению капитала..., следовательно трудная жертва могла в близкой или далекой будущности потерять свое значение“**.

ამის გასამართლებლად ზედ უმატებს ბ-ნი ყიფიანი თავის საკუთარს აზრს:

„При очевидной основательности этого опасения, заявленного в собрании губернском“, и т. д.***.

ბოლოს როცა თავის წესდებაში მამულის გაუსყიდაობას გზა აღარ მისცა და დაგირავებული მამული მაინც

* Предложение г-на Киниани, заслушаемое губернским собранием дворянства 1887 г. 6-го мая, стр. 25 (Дело об учреждении банка, часть 2-ая).

** Дело об учреждении банка, часть 2-ая, стр. 158.

*** იქავ, იგივე 158 გვერდი.

უნდა გაყიდულიყო, რაკი ბანკში შესატანი ფული ასე თუ ისე არ ადგებოდა, როგორ აუხსნა ეს გარემოება ბ-ნმა ყიფიანმა თავად-აზნაურობას? თუმცა ბ-ნმა ყიფიანმა ერთობ წესდების ასახსნელად მეტად გრძელი განსაძარტებელი წერილი წარუდგინა, თუმცა მთელი ფურცლები მოანდომა ახსნას ზოგიერთის მუხლისას, რომელსაც ამ მამულის გაუსყიდაობაზედ გაცილებით ნაკლები ინტერესი და მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ წესად დაუდო ბანკსა და ამ სახით გულითადი თვისი სურვილი შესცვალა, მარტო ეს ორიოდე სიტყვა აკმარა:

„Относительно беспродажности залогов я нахожу возможным легко согласить высказанные на этот счет весьма дельные мнения тем истекающим из их совокупности способом, который изложен мною в проекте устава“*.

იგი „способ“-ი ხომ წინათ ვნახეთ, როცა განვიხილეთ ბ-ნ ყიფიანის პროექტის შეღავათები.

აი ის — „никогда не подвергать продаже, без прямого на то желания заемщика, заложенного имения“— რაზედ ჩამოახტუნა ბ-ნმა ყიფიანმა მაშინ, როცა საქმე საქმეზედ მიდგა და თავი ბოლოს უნდა მოჰბმოდა! ნახტომი, როგორც ჰხედავთ, დიდია და ამიტომ საბუთი გვქონდა გვეთქვა, რომ ბ-ნმა ყიფიანმა ამ მამულების გაუსყიდაობის თაობაზედ ბოლოსდაბოლოს მოუქვევითაო.

ამ სახით ჩვენა ვნახეთ, რომ ბ-ნ ყიფიანის ყოფილს პროექტებში მამულის გაუსყიდაობის თაობაზედ ჩამიჩუმიც არ არის. 1884 წელს კი ეს „გაუსყიდებლობა“, ესე იგი, რაც ბ-ნ ყიფიანისავე სიტყვით, ამ შვიდმეტს წელიწადს წინათ შეუძლებელი იყო, რაც „могло повести к уничтожению капитала“ და წარმოადგენდა „очевидную основательность этого опасения“, შვიდმეტს წელიწადს უკან ხელახლად შე-

* Дело об учреждении банка, часть 2-ая, стр. 75.

საძლოდ გაუხდა*, აღარც „уничтожение капитала“, აღარც „очевидная основательность“. რა სასწაული მოხდა მას აქეთ, არ ვიცით და ეხლა რომ ვიკითხოთ, ბ-ნი ყიფიანი ამასაც „სკოლურ ცელქობაში“ ჩამოგვართმევს და რად გავიჭიროთ საქმე.

XV

ტფილისი, 8 ივლისი, 1886 წ.

წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ 1884 წ. ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებას წერილი და იმ წერილში ხელახლად აღძრა დაგირავებულის მამულის გაუსყიდველობის ამბავი. ამ სახით კვლავ მკვდრეთით აღადგინა ის, რაც თვითონვე 1867 წ. დაჰმარხა და რაც თვითვე, „в виду очевидной основательности опасения уничтожить капитал“, მაშინ უარ-ჰყო და არ გააჭაჭანა თავის პროექტებში. ხოლო ეს 1884 წ. წერილი მარტო ამ მხრით არ არის შესანიშნავი. ამ წერილშია გამოთქმული ზოგიერთი იმისთანა აზრები, რომელსაც ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი დღეს აღარ იხსენიებს. ჩვენი ისტორია ბ-ნ ყიფიანის აზრთა ცვალებადობისა სავსე არ იქნება, რომ ეს წერილი არ გავარჩიოთ.

ამ წერილში ბ-ნი ყიფიანი სხვათა შორის ბრძანებს: ჩვენ გვინდოდაო ჩვენს ბანკს ყოველივე ის ემოქმედნა, რის ნება „პრიკაზსა“ ჰქონდაო**, დღეს ამას სრულებითაც აღარ ახსენებს ბ-ნი ყიფიანი, თითქო ეს აზრი ისე უცაბედად იყო

* ეი რას ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი ამ საგანზედ თავის წერილში, რომელიც 1884 წ. გორის მაზრის თავადაზნაურობას წარუდგინა: „Но учредителям (банка) ни что не мешает подумать о детях своего неразсчетливого должника и установить дело хотя и новое, но вполне возможное— безпродажность залога: имение неисправного должника взять все в непосредственную администрацию банка на 1, 2, или 3 года, или до окончательного погашения долга, и возместить весь долг, возвратить заемщику, или наследникам его свободное уже от долга“.

** „Хотели допустить у себя все операции, которые производил Приказ общ. призрения“, ამბობს ბ-ნი ყიფიანი.

მაშინ გამოთქმული და თითქო როგორც უცაბედად თქმული დღეს მოსატანი აღარ არის. ჩვენც დავეთანხმებით.

იმავ წერილში გამოთქმულია ბ-ნ ყიფიანის მიერ სურვილი, რომ ეხლანდელი წესი დაფასებისა შეცვლილი იყოს და ამ დაფასებას ახალი საფუძველი დაედვას. ბ-ნი ყიფიანი იქიდან იწყებს ამ ახალის საფუძვლის მოძღვრებას, რომ გლეხთა განთავისუფლების კანონთა მიხედვით, მებატონეს არ უნდა დარჩეს მამული ნაკლებ იმისა, რაც გლეხთა საკომლოდ ერგოთ; და ამის შემდეგ ბრძანებს:

„Если по уставной грамоте получается примерно 1.000 руб. доход, то это служит верным указанием по крайней мере на такой же доход с остальной, свободной части имения, — значит стоймость такого имения, по раз установленной сложности 162/3, должна быть принята в сумме около 33.000 руб.

რომ ეს საფუძველი დაფასებისა მისაღები არ არის, ეგ იმითი უნდა მტკიცდებოდეს, რომ თვითონ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი დღეს მაგას აღარ ჰქადაგობს და თუ აქ მოვიყვანეთ, ეგ მარტო იმისათვის მოგვივიდა, რომ ეს შემდეგი აზრი ბ-ნის ყიფიანისა გაგვეგო:

„В таком случае —ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი, — банк мог выдать в ссуду около 16.000 руб, т. е. такую ссуду, которую можно погасить, внося ежегодно около 800 руб. (5%), менее половины всего дохода“.

ეს 5%-ი დაიხსომეთ, მერე გამოგვადგება, და ეხლა-კი ეს ვიკითხოთ აქა: როგორ მოგწონთ ანგარიში?.. აღარც სარგებელი — სამატი, აღარც ბანკის ხარჯი, აღარც გირავნობის ფურცლების სარგებელი, ერთის სიტყვით, სხვა არაფერი. ამ ანგარიშით 5%-ით მარტო თავნი უნდა დაიბრუნოს ბანკმა და რითღა იმოქმედოს, რითღა დააკმაყოფილოს ფულის პატრონი. სად იშოვოს და ვისგან უსარგებლოდ ფული — ყოველივე ეს მეტია ბანკისათვის, რომ იზრუნოს!..

ამავე დალაგებულ ანგარიშით გამოჰყავს ბ-ნ ყიფიანს, რომ ეხლანდელის ბანკის 240.000 მანეთი ძირის ფული 100.000 მანეთზედ მეტს მოგებას შემოიტანს ყოველწლივ. იქნება ეს

დაუჯერებელი ანგარიში არ დაიჯეროთ და აი ამის საბუთიცა:

„Так как банк мог производить операцию вдесятеро больше основного капитала (240.000 рубл.), то ежегодные по этим операциям приращения можно было ожидать свыше 10.000 руб. (5%)".

აბა და სასწაულთმოქმედება ეს არის: მანეთმა ათი შაური მოგება უნდა მოგცეთ ყოველწლივ, ბ-ნ ყიფიანის აზრით, აღარ იკითხავთ: ეს გაათკეცება ძირის ფულისა, რომლის მანქანებით უნდა მოხდეს? თვითონ ძირას ფული თავისთავად იბარტყებს? ნუთუ თავისთავად ერთიათად იქცევა ტრიალში? არ ვიცით, ამაზედ რა პასუხს მოგვცემენ და ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ ტფილისის საადგილმამულო ბანკს ნება აქვს, რაც ძირის ფული აქვს, ათი იმოდენა ფული ისესხოს და ის ატრიალოს. საადგილმამულო ბანკი ამას სჩადის გირავნობის ფურცლების შემწეობით. ეს გირავნობის ფურცლები ბანკის ვექსილებია. ამ ვექსილებით ბანკი გადის ფულის ბაზარში, და ვინც ენდობა, იმისაგან ფულსა სესხულობს. ამ სახით 240.000 მანეთიანს ტფილისის ბანკს, ვსთქვათ, 2.400.000 მანეთის სესხობის ნება აქვს კანონითა*. ფულს, რა თქმა უნდა, უსარგებლოდ არავინ ასესხებს; სარგებელი, ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისამებრაც რომ ასზედ ხუთი ჩავაგდოთ, მაინც გამოვა, რომ ის სასურველად მოჩვენებული 100.000 მანეთი, რომელიც ბ-ნმა ყიფიანმა თამამად საყოველწლიო მოგებად დაგვიქადა, არამც თუ მოგება იქნება, არც კი ეყოფა, რომ ოასესხის სარგებელი მაინც გაისტუმროს: ერთი 20 000 მანეთის დაყრა კიდევ მოუნდება ბანკსა თავის ჯიბიდამ და თვითონ თავსა და ბანკის ხარჯსა ვინღა ჩივის: ჩაილულის წყალი უნდა დალიოს.

ამ სახით გამოდის, რომ ის უცნაური მოგება, რომელიც ბ-ნ ყიფიანს წარმოუდგენია, ტყუილად გაღვივებული მაღაა. თუნდ ეგეც არ იყოს, ვის გაუგონია, რომ 5%-ად გასესხე-

* მარტო 1.600.000 მანეთის ნება კი ჰქონდა ტფილისის ბანკსა.

ბულმა ფულმა ასზედ ორმოცდაათი მოიგოს და არა მარტო ხუთი? ეს რომელი ანგარიშია!..

ამასაც თავი დავანებოთ: ზევით ხომ მოიხსენია ბ-ნმა ყიფიანმა, რომ 5%-ით თავნი გადიხდებაო, აქ კიდევ ბრძანებს, რომ იგივე 5%-ი 240,000 მანეთზედ 100,000 მანეთს მოგებას მოგვცემსო ყოველწლივ, — გამოდის რომ ერთი და იგივე 5%-ით ბ-ნი ყიფიანი თავნსაც გვაშორებს და მანეთზედ ათს შაურს მოგებასაც გვაძლევს ყოველწლივ. მეტი რა გინდათ, ვისაც თქმა და ქმნა ერთი და იგივე გგონიათ. ვინც ასე ანგარიშობს, იმისათვის შეუძლებელი აღარაფერი არ უნდა იყოს ბანკის საქმეში. ეს ყველაფერი 1884 წლის ამბავია. ეხლა ამაებზედ ბ-ნი ყიფიანი აღარ ბრძანებს. მას აქეთ ორი წელიწადი გავიდა, ყველაფერს ამას თავი დაანება და ეხლა სულ სხვას ითხოვს.

ხოლო ჩვენ ეს საქმით მოკლე და სიტყვით გრძელი ისტორია იმიტომ გავაბით, რომ გვეჩვენებინა, როგორ მოქმედობდა ბ-ნ ყიფიანის აზრი და სურვილი დროთა განმავლობაში, რა სიმტკიცე აქვს მის აზრს და სურვილს ბანკის საქმეში, და თვით ბ-ნი ყიფიანი რაგვარს გარკვეულს და ცხადს გზაზე მდგარა წინათ, როცა ბანკის საქმე მის ხელთ იყო, და დგას დღეს, როცა მის ხელთ აღარ არის.

XVI

ტფილისი, 11 ივლისი, 1886 წ.

წინათ მოგახსენეთ, რომ ბ-ნი ყიფიანი 1884 წელს გორის თავად-აზნაურთა კრების წინაშე ამტკიცებდა:

„Так как банк мог производить операции вдесятеро больше основного капитала (т. е. 240.000 руб.), то ежегодно по этим операциям приращение можно было ожидать свыше 100.000 руб“.

იქნება გეგონოთ, რომ ბ-ნს ყიფიანს მართლა სჯერა ეს თავისი ნათქვამი!.. არა, ერთი დრო არც ამ ნათქვამს შერჩენია. ერთს დროს ბ-ნი ყიფიანი სწორედ ამავ საგანზედ სულ სხვას ამბობდა და აი რასა:

„Размер выпуска (или, что тоже, размер операций) никогда не превзойдет тройного размера банковой наличности (т. е. основного капитала)*. Еслиб операции банка приходилось ограничить исключительно, или хоть главнейшим образом, операциею долгосрочных ссуд под залог недвижимых имений, — то доход от нея едвали мог покрыть расходы на самое содержание банка**.

ამ სახით გამოდის, რომ როცა ბანკის საქმე ბ-ნ ყიფიანის ხელში იყო, მაშინ „размер операции банка никогда не превзойдет тройного размера основного капитала“, და როცა მის ხელთ აღარ არის, „банк мог производить операции вдесятеро больше основного капитала“. მეორე ის გამოდის, რომ როცა ბანკი მის ხელთ იყო, „эта операция едва ли могла покрыть расходы на самое содержание банка“ და როცა მის ხელთ აღარ არის“, — „ежегодное по этой операции приращение можно было ожидать свыше 100.000 руб“.

ჩვენ ეს აქ იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ან ერთისა და ან მეორე აზრის საბუთიანობა გაგვესინჯა. ეგ დღეს მეტია, იმიტომ რომ დღეს ბ-ნი ყიფიანი არც ერთს ამას აღარ იმეორებს, თავი დაანება. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა ნიმუში იმისი, თუ როგორ იცვლება ერთისა და იმავე საგნის არსება, როცა „მე“ და „შენ“ ადამიანისა საქმეში ჩაერევა და თვითონ საქმე კი განზედ გაირიყება ხოლმე.

ყოველივე ეს, ღვთის მადლით, წარსულია. დღეს ბ-ნ ყიფიანს სულ სხვა დარდი აწლია ბანკის გამო. ჩვენ ეხლა დაგვრჩება გამოვიძიოთ იგი, თუ რაზედ დადგა დღეს ბ-ნი ყიფიანი ამდენს წინა და უკან სიარულს შემდეგ. ყოველივე იგი, რაც უწინ ჰქონია ფიქრად, რითაც უკიჟინებდა და სწუნობდა ეხლანდელს ბანკსა, ყველა იგი უკვე გულიდამ ამოიღო და დღეს*** მარტო სამს საგანზედ მოიმაგრა ფეხი და თანაც გვპირდება, რომ ამ სამს საგანს აღარ გადავალო.

---

* Дело об учреждении банка, часть 2-: „объяснительная записка“ г-на Кипиани, გვ.. 76-ая.

** იქავ, გვ. 71-ი, აქ ჩვენის მხრით უნდა დავუმატოთ, რომ ეხლანდელს ბანკს მაგ ოპერაციის მეტი, სხვა არა-რა აპერაციის ნება არა აქვს. მოკლევადიანი სესხი იმოდენად უმნიშვნელოა, რომ სათქმელიც არ არის.

*** „ივერია“ № 136, წერილი ბ-ნ ყიფიანისა.

„ამ სამს მუხლზედ არისო, — ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი, — ჩვენი გაცხარებული კამათობა და როგორც უნდა იყოს გაცხარებული, მე ამ სამის მუხლიდამ ვერ გამომიყვანსო“.

წინა წერილებიდამ ვიცით, რომ ბ-ნი ყიფიანი ერთობ მტკიცედ და შეურყევლად სდგას ხოლმე თავის ნათქვამზე და ამიტომაც სრულებითაც იმედი არა გვაქვს „ამ სამის მუხლიდამ იგი გამოვიყვანოთ“, ნამეტნავად რაკი გვპირდება, რომ ამ სამის მუხლიდამ აღარ გამოვალო. ჩვენც დავიჯეროთ და თვითეული იგი მუხლი ცალკ-ცალკე განვიხილოთ, რათა გავიგოთ ის სამი მუხლი რამოდენად მტკიცეა, რომ სამუდამოდ ზედ დგომას გაუძლოს და ფეხქვეშ არ დადნეს შარშანდელ თოვლსავით. აი პირველი მუხლი იმ სამთაგან:

„სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს, მოგვეთხოვებოდეს იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზე“, — ამბობს ბ-ნი ყიფიანი.

არ ვიცით, რა გავიკვირვოთ ამ შემთხვევაში, — ბ-ნ ყიფიანის მტკნარი უცოდინარობა ბანკის საქმისა, თუ იგი, რომ ერთი უშველებელი გარემოება ბანკის საქმისა თვალწინ გაჰპარვია. ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: ჩვენ სადაური ფულის პატრონები ვართ?“ ჩვენ პატრონები ვართ მხოლოდ 240.000 მანეთისა, რომელიც ძირის ფულად არის დადებული და არასგზით სესხად არ უნდა გაიცეს, 80.000 მანეთის გარდა, რომელიც დანიშნულია მოკლევადიან სესხისათვის და რომელიც ბანკის დაარსების დღიდამ უკვე ეძლევათ სესხად ფულის პატრონებსა, და სარგებელს იმ ზომაზედ ნაკლებაც სჯერდება ჩვენი ბანკი, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი „სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედ“. ხოლო ამას გარდა ჩვენს ბანკს ხანგრძლივის ვადით ექვს მილიონამდე ფული სხვა აქვს გაცემული. ვისია ეს ფული? ჩვენი კი არ არის, როგორც ჰგონია ბ-ნს ყიფიანს, არამედ გირავნობის ფურცლების პატრონებისაა, რომელთაგანაც ბანკს ეგ მაგოდენა ფული უსესხნია სესხის გასაცემად და სარგებელს აძლევს ყოველ ექვს თვეში. ამასაც თავი დავანებოთ, არ-ცოდნა არ-ცოდვააო, ნათქვამია, თუმცა კი საოცარია ეს უზარმაზარი გარემოება როგორ გამოეპარა თვალწინ ბ-ნს ყიფიანს?..

XVII

ტფილისი, 12 ივლისი, 1886 წ.

რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სარგებელს ახდევინებს, იმ ზომით ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკმა რომ ახდევინოს, მაშინ ამ უკანასკნელმა თავისი 6%-იანი გირავნობის ფურცელი 5%-ანზედ უნდა ჩამოახდინოს, როგორც ეს სახელმწიფო ბანკსა აქვს. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ წინა წერილებში, რომ ამ გზით კი არ გაიეფდება კრედიტი, არ შეუმსუბუქდება სარგებელი ბანკიდამ ვალის-ამღებსა, — იქნება უფროც გაუძვირდეს და დაუმძიმდეს. ანგარიშიც მაშინვე წარვუდგინეთ მკითხველსა. სჩანს ბ-ნს ყიფიანს ჩვენი ანგარიში არ შეუწყნარებია, არც ჩვენს საბუთსა ჰნდობია. ჩვენი საბუთი მაშინ ის იყო და დღესაც ის არის, რომ თუ 5%-ზედ ჩამოახდენთ ჩვენის ბანკის 6%-ს გირავნობის ფურცელს, მაშინ თვით თაენს ნაკლებს მიიღებს ვალის ამღები. ვწუხვართ, რომ ხელახლად უნდა განვიმეოროთ ერთხელ ნათქვამი.

ეხლანდელი საადგილმამულო ბანკი 6%-იანს გირავნობის ფურცლით იძლევა სესხსა. ეს ფურცელი ვალის ამღებს გააქვს ბაზარში და ნაღდ ფულზედ სცვლის, ანუ უკეთ ვსთქვათ, ნაღდ ფულზედ ჰყიდის. რა თქმა უნდა 6%-იანს უფრო მალე გაჰყიდის, უფრო ძვირად, ვიდრე 5%-იანს. თუ ბანკის მიმართ ნდობა ერთი და იგივეა და ფულის ბაზარში ამ დროს ასი მანეთი ხუთ მანეთად იშოვება წელიწადში, ექვს მანეთად ხომ ასოცს მანეთს მაინც მისცემენ. ამ შემთხვევაში სულ ერთია, თუნდა ხუთად ასი მანეთი გეშოვნოს, თუნდა ექვსად— ას ოცი. აი ამისი ფორმულა: $\frac{5 \times 100}{100} = 5$ და $\frac{6 \times 100}{120} = 5$.

ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, თუ კაცს განგებ არ დაუხშია „სასმენთა, კარნი“!..

რომ 5%-იანი ბილეთი და 6%-იანი ფულის ბაზარში ერთნაირად არ გავა, იქნება ეს არა სჯეროდეს ბ-ნს ყიფიანს. აი დასაჯერებლად რა უტყუარს და უეჭველს საბუთს წარმოვუდ-

გენთ. 5%-იანი სახელმწიფოს ბილეთი აღმოსავლეთის სესხისა ჰღირს $98\frac{1}{2}$-დამ $99\frac{1}{2}$ მანეთამდე ასი მანეთი, 6%-იანი ბილეთი კი სახელმწიფოსივე ჰღირს $124\frac{1}{2}$ მანეთად*.

თუ სახელმწიფო ბანკის 5%-იანსა და 6%-იანს ბილეთებ შუა ამისთანა განსხვავებაა ფასში, ტფილისის საადგილმამულო ბანკის ბილეთებს შუა მითომ რატომ არ იქნება!.. რა ხატი დაიხსნის ამ უეჭველის განსაცდელისაგან? ავიღოთ ზემოთმოყვანილი მაგალითი სახელმწიფო ბანკის ბილეთებისა და ვიკითხოთ: კაცმა რომ იმ 5%-იან სახელმწიფო ბილეთით ვალი აიღოს, უფრო იეფად დაუჯდება, თუ 6%-იანით? თქვა არ უნდა, რომ უფრო ძვირად დაუჯდება, იმიტომ რომ უფრო იეფია კაცმა წელიწადში ექვსს მანეთად $124\frac{1}{2}$ მანეთი იშოვოს, ვიდრე ხუთ მანეთად—$99\frac{1}{2}$ მანეთი. ჰკუაც ამას ამბობს და არითმეტიკაცა. პირველ შემთხვევაში ვალის ამღებს ფული დაუჯდება $4\frac{1020}{1245}$% და მეორეში კი $5\frac{45}{995}$%-ად.

ამაების გაგება არა ჰსურთ ჩვენს მოკამათეებს და ჩვენი ბრალი არ არის. დაჟინებულს „არას“ წინ არა დაუდგება-რა.

ესეც იქით მივაყენოთ და მარტო ესა ვსთხოვოთ ბ-ნ ყიფიანს: ჯერ სახელმწიფო ბანკის შეძლება, ღონე, ნდობა და სახელი მოანიჭეთ ჩვენს ბანკებსა და მერე იმოდნობა მოსთხოვეთ. დავიჯეროთ, ბ-ნმა ყიფიანმა არ იცოდეს, რომ რაც სახელმწიფო ბანკს მოეთხოვება, ის არ მოეთხოვება იმისთანა უღონო კერძო ბანკს, როგორიც ჩვენი ბანკებია!..

აი თვითონ მთავრობა ამ 6%-დამ 5%-ზედ ჩამოხდენის გამო რას ამბობს:

„Правительство имеет возможность предоставить дворянскому землевладению кредит на основаниях наименсе обременительных, так как цена закладных листов не будет уже в зависимости от доверия к тому или другому частному установлению, но будет поддержана кредитом государства“**.

---

* იხილეთ Биржевой бюллетень Петербургской биржи от 30 июня 1880 г.

** Вестник финансов, промышленности и торговли. № 26, გვ. 885.

მაშ რაზედ დაიხვია ხელზედ ბ-ნმა ყიფიანმა ამ უკანასკნელ დროს სახელმწიფო ბანკი და იმის სახელით ნიშნს უგებს სათავადაზნაურო ბანკსა, რომლის მთელი ავლა-დიდება მარტო 240.000 მანეთია!..

ჯერ მინამ სახელმწიფო ბანკი დაარსდებოდა, სხვა წუნსა სდებდა ჩვენს ბანკსა და სხვა გზით უკიჟინებდა ეს რამდენი წელიწადია, და ეხლა, როცა ამ ბოლოს დროს, სულ წელიწადიც ძლივს არის, სახელმწიფო ბანკი მის ბედობაზედ ვაჭნია, ახლა ეს დაიხვია ხელზედ და იმის წუნსა სდებს ჩვენს ბანკსა, — რატომ სახელმწიფო ბანკს არა ჰგევხარო. ეგ ხომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი გამოდის და არა ძვალრბილში გამჯდარი რწმენა!...

ამასაც თავი დავანებოთ, მითამ ეს განსხვავება სახელმწიფო ბანკსა და ჩვენ ბანკს შორის სულაც არ არსებობს. მარტო ეს მივიღოთ სახეში, რომ ტფილისის საადგილმამულო ბანკს ექვს მილიონამდე ფული გაუცია დღემდე და ეს ფული გირავნობის ფურცლის პატრონთაგან უსესხნია 6%-ად, თუმცა ბ-ნ ყიფიანს კი ჰგონია, რომ ეს ამოდენა ფული სულ ჩვენია. ეხლა ბ-ნი ყიფიანი რომ თხოულობს, 5% ს დაგვჯერდეს ჩვენი ბანკიო, ხომ გირავნობის ფურცლის პატრონებიც 5%-ს უნდა დაგვჯერდნენ იმაში, რაშიაც უკვე დაპირებულნი ვართ 6%-სა. გირავნობის ფურცლების პატრონებს რა პასუხს მისცემს ბანკი, რომ 5%-ზედ ჩამოხდენას გვირჩევს ბ-ნი ყიფიანი სახელმწიფო ბანკისამებრ? სამში ერთი: ან ექვს მილიონზედ წელიწადში 1%-ი თვითონ ბანკმა თავის ჯიბიდამ უნდა აყაროს და ისე გაუსწორდეს სარგებელში გირავნობის ფურცლის პატრონებს, ესე იგი, 60.000 მანეთი ყოველწლივ ზედ დაადოს; ნუღარ კი იკითხავთ,—საიდამ! ან უნდა გამოაცხადოს, ვინც 5%-ს არა მჯერდებით, მოდით და თქვენს გირავნობის ფურცელში ნაღდი ფული მიიღეთო! ამას ექვსი მილიონი ფული მოუნდება და სად ეგულება ამისი მადანი ბ-ნს ყიფიანს, არ ვიცით; ან უნდა ბანკმა გამოაცხადოს: უკაცრაოდ, თუმცა 6%-დ ფული ვისესხე თქვენგან, მაგრამ პირობას ველარ შე-

გისრულებთო, რაც გინდათ, ისა ჰქმენით, თუნდა თავში ქვა იხალეთო.

ამ სამში რომელს ერთს გვირჩევს ბ-ნი ყიფიანი, რომ ხელი მოვკიდოთ? უსათუოდ ერთ-ერთი კი უნდა გვირჩიოს, რაკი აღგვითქვა, რომ ამ „მუხლიდამ“ ვერაფერი ვერ გამომიყვანსო. ამ მუხლზედ მაგრად დგომას სამში ერთის არჩევა მოსდევს უსათუოდ და აუცილებლად.

ჯერ ბ-ნმა ყიფიანმა მოგვიხერხოს, რომ ჩვენის გირავნობის ფურცლების ფასს სახელმწიფო კრედიტის შეურყეველი ბოძი ჰქონდეს შედგმული და მაშინ მოსთხოვოს კერძო ბანკს საერთოდ და ჩვენს ბანკს საკუთრივ სახელმწიფო ბანკის უნარი. ნუთუ მთელს სახელმწიფო კრედიტზედ დამყარებული გირავნობის ფურცელი და ჩვენის თბილისის საადგილმამულო ბანკის კრედიტზედ—ერთი და იგივე ჰგონია ბ-ნ ყიფიანს!.. ჩვენმა 6%-იანმა ფურცელმა რომ სახელმწიფო ბანკის 5%-ანს ფურცელს ფასი გაუსწოროს, ისიც დიდი საქმე იქნება და დიდი სახელი სათავადაზნაურო ბანკისათვის.

. XVIII

ტფილისი, 14 ივლისი, 1886 წ.

მეორე მუხლი, რომელზედაც ბ-ნს ყიფიანს დაუპირებია მაგრად დგომა და რომლიდამაც გვპირდება, აღარ გამოვალო, შემდეგი არის:

„ჩვენ ფულის პატრონებს (?) ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შეღავათი გვეძლეოდეს, როგორსაც ის (ესე იგი სახელმწიფო) ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა-პატრონებს“.

განვიხილოთ ის შეღავათები რა შეღავათებია, რომელიც ისე ძლიერ მოუწადინებია ბ-ნს ყიფიანს. ეხლანდელის თავადაზნაურთა ბანკის წესით ბანკიდამ ვალის ამღებსა, პირველ ვადის გადაცილების შემდეგ, მარტო ორი თვე კიდევ შეღა-

ვათი ეძლევა და ამ ხანის განმავლობაში ერთმევა თვეში 1%-ი ჯარიმა შემოსატანად, დარჩენილ ფულზედ. ორ თვეს შემდეგ კი, თუ მაინც არ შემოიტანა, მამული ინიშნება საჯარო გასასყიდად და ეს გასყიდკა მეექვსე თვის დასასრულს მოხდება ხოლმე. თვითონ მთავრობა, რომელიც ადარებს კერძო საადგილმამულო ბანკის წესებს იმ წესებთან, რაც ახალს სახელმწიფო ბანკს დაედვა, აი რას ამბობს ზემოხსენებულ წესის შესახებ:

„Такой крайне строгий порядок взыскания находит себе некоторое оправдание в срочности обязательств, лежащих на самих банках по оплате купонов закладных листов, и в необходимости поставить исправное выполнение этих обязательств вне влияния всякой случайности. Но государственному кредитному установлению, учрежденному специально для поддержания дворянской земельной собственности, дана возможность проявлять, не впадая в излишния послабления, большую снисходительность в деле взыскания, и оказывать заемщикам временные льготы в тех исключительных случаях, когда неисправность не есть последствие дурного хозяйства, но происходит от непредвиденных бедствий, если при том ближайшее исследование положения дел заемщика приводить к убеждению, что непродолжительная отстрочка или рассрочка платежей в состоянии дать ему возможность поправить дела“ *.

დაუკვირდით ამ სიტყვებს და თუ ჩვენი სიტყვა არა გჯერათ, თვითონ სახელმწიფო ბანკს მაინც დაუჯერეთ. მე შემიძლიან ისე სასტიკად არ მოვექცეო ვალის ამღებსა, როგორც კერძო ბანკიო, იმიტომ რომ მე სახელმწიფო ბანკი მქვიანო და სახელმწიფოსათვის შესაძლებელიაო მეტი შეღავათი მისცეს ვალის ამღებსა, ისიც მაშინ, როცა დამტკიცდება, პირველი,—რომ ბანკში შემოსატანი ფული უთაურობით და დაუდევნელობით კი არა რჩება შემოუტანელი მოვალესაო, არამედ იმიტომ რომ განსაკუთრებული უბედურება რამ სწვევიაო, და მეორე,—თუნდა უბედურებაც სწვევოდეს, უნდა

* Вестник финансов, промышленности и торговли, № 26, გვ. 883.

დარწმუნებული ვიყოო, რომ შეღავათი, ჩემგან მიცემული, საქმეს გაუსწორებსო.

ახლა ვიკითხოთ, რა შეღავათს იძლევა, ისიც ასეთის სიფრთხილით და გამოძიებითა? პირველი,—პირველ ვადის გატარების დღიდამ ორის თვის მაგიერ, ექვსს თვეს აცლის დაწესებულის შემოტანას, პირველს ორს თვეში $^1/_2$%-ს ჯარიმას ართმევს და დანარჩენებში კი 1%-სა, და თუ არც ექვსი თვის განმავლობაში შემოიტანა, მამულს ჰყიდის; მეორე,—თუ ვალის ამღებს განსაკუთრებული უბედურება ეწია, მაგალითებრ, ცეცხლმა დააზიანა, წყალმა, სეტყვამ წაუხდინა მოსავალი, საქონლის ჭირმა დაუხოცა პირუტყვი, კალიამ, მწერმა რომელმამე გაუფუჭა ყანა, ვენახი და სხვა ნერგეულობა, ანუ თვით მამულის პატრონი გარდაიცვალა და მცირეწლოვანები დარჩნენ,—ამ შემთხვევაში ნება აქვს მოვალეს შეღავათი ჰთხოვოს *.

სახელმწიფო ბანკის წესდების 54 მუხლშია ჩამოთვლილი მთლად იგი შეღავათები, რაც ზემოხსენებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მიეცეთ ვალის ამღებთა. აი რა შეღავათებია: ან ბანკი სამს წელიწადს დააცლის, მარტო ერთის წლის შემოსატანს კი, და არა მეტს, იმ უსათუო პირობით, რომ დაცლილის შემოსატანის მეექვსედი ყოველ ექვსის თვის შემოსატანს ზედ დაერთოდეს და ამასთან ერთად შემოიტანებოდეს ხოლმე, ან ერთის წლით აცლის და წლის ბოლოს კი უსათუოდ უნდა მოშორებულ იქმნას. ამ დაცლილ შემოსატანშიაც სახელმწიფო ბანკი სარგებელს ახდევინებს ასზედ ექვსსა. ამის მეტს არავითარს შეღავათს არ იძლევა სახელმწიფო ბანკი და სჩანს ბ-ნი ყიფიანიც სწორედ ამას ითხოვს.

ამ სახით გამოდის, რომ ბ-ნი ყიფიანი ითხოვს, 1) ორის თვის მაგიერ პირველ შემოტანის ვადიდამ ექვსი თვე დაგვაცალოს ჩვენმა ბანკმაო და, 1% ჯარიმის მაგიერ $^1/_2$% გვახდევინოს პირველს ორ თვესაო და დანარჩენში კი 1%-იო.

* Утвержденные г. Министром финансов 4 декабря 1885 года правила действий и порядка делопроизводства Государственного дворянского земельного банка, § 46.

2) თუ რამ განსაკუთრებული უბედურება გვეწია, ან ერთის წლით დაგვაცალოს ერთის უბედურის წლის შემოსატანიაო, ან სამის წლითაო, რომ ნაწილ-ნაწილ შემოვიტანოთო და ამისათვის 7% გვახდევინოსო.

პირველზედ იმას ვიტყვით, რომ თუმცა ჩვენს ბანკს ორი თვე აქვს დადებული წესად და თუმცა ამას ითხოვს, თვითონ მთავრობის სიტყვისამებრ: „**срочность обязательств, лежащих на самих банках по оплате купонов закладных листов и необходимость поставить исправное выполнение этих обязательств вне влияния всякой случайности**“*, მაგრამ მაინც საქმე ისე მოდის, რომ მამული ექვს თვეზედ ადრე არ ჩავარდება ხოლმე გასასყიდად. და რადგანაც გასყიდვის დღემდე ყველას ნება აქვს შემოსატანი შემოიტანოს და დაიხსნას მამული გასყიდვისაგან,—გამოდის, რომ ისევ ის ექვსის თვის დაცლაა და ისევ ის ექვსის თვის შეღავათია. ბევრი-ბევრი ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკისა და სათავადაზნაურო ბანკის ვადებს შუა მამულების გასყიდვის შესახებ ორმა თვემ ითამაშოს. ეს სათქმელი არ არის. ორ თვეში $^1/_2$% ჯარიმაც ბევრს შეღავათს არ წარმოადგენს, რომ ღირდეს ან სალაპარაკოდ და ან იმად, რომ ამაზედ ვდგევარ და აქედამ ფეხს ვერავინ მომაცვლევინებსო. საქმე შეღავათების მეორე წყობაშია.

ბ-ნს ყიფიანს რომ ტფილისის საადგილმამულო ბანკის წესდება სცოდნოდა, ამრიგად არ გამოსჭრიდა ყელს ჩვენის ბანკის მოვალეებს, რომელნიც განსაკუთრებულის უბედურების გამო, ვსთქვათ, ვერ შესძლებენ შემოიტანონ დაწესებული შემოსატანი. ტფილისის ბანკი ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში უფრო მეტს შეღავათს იძლევა, ვიდრე სახელმწიფო ბანკი.

ტფილისის ბანკის წესდების 89 მუხლში სწერია, რომ ბანკმა ყოველწლივ მოგებიდამ უნდა გადასდოს 5% და აქედამ შეადგინოს ფული შესაწევრად თავად-აზნაურთა, რო-

* Вестник финансов и т. д., გვ. 833.

მელთაც ან ცეცხლით, ან მოუსავლიანობით და სხვა ამის მსგავს უბედურებით ზიანი რამ მოუვათ. 28 და 81 მუხლთა ძალითა ზედამხედველს კომიტეტს ბანკისას ნება აქვს ამ ფულიდამ შემწეობა აღმოუჩინოს უბედურებით დაზიანებულსა, მერე როგორ? თუნდ ისე, რომ უკან აღარ მოსთხოვოს, სრულებით აჩუქოს. არა ერთხელ, არა ერთისა და ორისათვის, შემწეობა აღმოუჩენია ზედამხედველს კომიტეტს ამ წესის ძალითა: ზოგის მაგიერ ზედამხედველს კომიტეტს ამ ფულიდამ მოუშორებია დაწესებული შესატანი დაზიანებულის მოვალისა, ზოგისათვის უსარგებლოდ უსესხებია ვადით, რაც ბანკში შესატანი ჰქონია, ზოგისათვის სარგებელი მცირეოდენი ურთმევია, ყოველივე ეს იმის მიხედვით, თუ რამოდენად დაზიანებულია მოვალე და ამასთან რამოდენად უქონველი და შეუძლებელია. დღესაც ამისთანა წესი აქვს შეღავათისა ტფილისის ბანკსა, არამცთუ მარტო დაზიანებულ მოვალისათვის, რომელნიც ამ შემთხვევაში უსათუოდ დამფუძნებელი კი უნდა იყოს, არამედ ყოველ დაზიანებულ რაიმე განსაკუთრებულ უბედურებით თავად-აზნაურისათვის, რომელსაც კი ბანკის ძირის ფულისათვის თავისი ხვედრი შეუწირავს.

ის შეღავათი, რომელიც გარემოების მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ ან სულ ეჩუქოს უბედურის წლის შესატანი დაზიანებულს მოვალესა, ან მუქთად, უსარგებლოდ სესხად მიეცეს, ან მცირე სარგებლითა,—ნუთუ ამისთანა შეღავათი უფრო დიდი არ არის იმ შეღავათზედ, რომელიც მარტო ვადით დაცლაა 6%-ით და სხვა არა-რა!...

ნუთუ ეს შეღავათი მეტი არ არის და ნაკლებია იმ შეღავათზედ, რომელსაც სახელმწიფო ბანკი იძლევა და ბ-ნი ყიფიანი ისე მაგრად ეჭიდება, რადგანაც ამბობს, აქედამ მე ვერავინ გამომიყვანსო... რად მოუწადინებია ბ-ნს ყიფიანს, რომ გვიქადაგებს, უფრო დიდს შეღავათს თავი დაანებეთ და ნაკლებ შეღავათზედ გადადითო!... ასე რად გასწყრომია ბ-ნი ყიფიანი დაზიანებულ მოვალეებს, რომ გვირჩევს ბევრს შეღავათს გამოაკლეთო და ცოტას დააჯერეთო. ორში ერთი: ან არ სცოდნია, სად რა ამბავია, ან ისევ ის მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

XIX

ტფილისი, 16 ივლისი, 1886 წ.

მესამე და უკანასკნელი მუხლი, რომლიდამაც არ გამოსვლას ბ-ნი ყიფიანი გვპირდება, შეეხება ბანკში დაგირავებულ მამულის გაუსყიდველობას. ეს აზრი ჯერ დაიბადა ამ სახით:

„Никогда не подвергать продаже, без прямого на то желания заемщика, заложенного имения, предоставляя банку право на получение всего дохода с просроченного имения до погашения долга“ *.

მერე ამ „никогда“-მ იარა და 1884 წელს აი რაზედ ჩამოხდა:

„Имение неисправного должника взять все в непосредственную администрацию банка на 1,-2 или 3 года, или до окончательного погашения долга и, возместив весь долг, возвратить заемщику, или его наследникам“ **.

ხომ ხედავთ, რომ წინანდელი „никогда“ 1884 წ. არც „никогда“ გახდა და არც „тогда“, ამ ორს სიტყვას შუა აზრი რაღაც ბარდებში გაება. შემდეგ ამისა მამულების გაუსყიდველობა დროებითად მამულის მოვლაზედ ჩამოხდა 1886 წ. ამ სახით.

„დროებითად ამგვარი მამულების მოვლა და შემოსავლის მიღება თუ ბანკისათვის მოუხერხებელი იქნება... შეიძლება ცალკე ადმინისტრაცია დაინიშნოს... ადმინისტრაციამ სრულის შემოსავლის 60 ან 70 % ბანკს აძლიოს ვალის გასტუმრებამდე და დანარჩენი ზოგი თავის მოსაქმობას მოახმაროს, ზოგი პატრონს გაუზიაროს, რომ შიმშილმა არ მოუღოს ბოლო, — თუ ამრიგად ვალის გასტუმრება მოხერხდა, მამული პატრონსვე დაუბრუნეთ, ან მის მემკვიდრეებს, და თუ არ მოხერხდა, მაშინ გაყიდეთ („ივერია № 109, წერილი ბ-ნ ყიფიანისა).

ცხადია, რომ ის წინანდელი უკან დაუხეველი „никогда“,

---

* **Дело об учреждении банка, часть 2-ая, გვ. 75.**

** წერილი ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისა, წარდგენილი 1884 წ. გორის თავად-აზნაურთა კრების წინაშე.

რომელიც 1884 წ. არც „никогда“ იყო და არც „тогда“— 1886 წელს მთლად „тогда“-ზედ ჩამოხდა. თვე-ნახევარი არ გასულა ამის შემდეგ, რომ ეს „тогда“ ცოტა არ იყოს კი. დევ შეიბერტყა და მოწვრილდა. აი ამ საგანზედ რას ამ. ბობს ის მესამე მუხლი იმ სახელოვან სამ მუხლთაგანი, რომელთ შესახებაც ბ-ნმა ყიფიანმა სთქვა, რომ არ გადავალო:

„ჩვენი ვადაგადაცილებული მამულები ჯერ თქვენს გამგებლობაში მიიღეთ და თუ ვალის გაწმენდა უიმედოდ აღმოჩნდა, — ამას ხომ დროით დაინახავთ, — მაშინ აიღეთ და გაყიდეთო. პირველს ნახევარ წელიწადსვე აღმოჩნდება, სასარგებლო იქნება ეს ბანკისათვის, თუ არა. თუ სასარგებლო იქნა, — ვალი რომ სულ გადიხდება, მამული პატრონსვე დაუბრუნეთ, თუ არა და გაყიდეთ; ვითამ ბანკს დარჩენია და მერე 6 თვის ვადაზედ გაყიდულა. („ივერია“ № 136, წერილი ბ-ნ ყიფიანისა).

აი ის სახელოვანი და უშველებელი „მამულის გაუსყიდველობა“ რომელსაც ჩვენ ყოველთვის უარვყოფდით, როგორც შეუძლებელს საქმეს, თვითონ მისმა მომგონმა ბოლოს და ბოლოს რაზედ ჩამოახტუნა. „ექვს თვეზედ გამოჩნდება, მამული ვალს გადიხდის თუ არაო და, თუ ვერ გადიხდის, გაჰყიდეთო“.

აბა ეს სიტყვებით დაფერილი ნაჭუჭა გატეხეთ და მაშინ შეიტყობთ რაც გამოვა, ამისათვის საჭიროა ავყვეთ ბ-ნ ყიფიანის რჩევას და მაგალითი წინ გავიმძღვაროთ.

ვსთქვათ, მაგალითად, მოვალემ არ შეიტანა ბანკის გარდასახადი იანვრისა. ბ-ნ ყიფიანის სახელოვანის მუხლის ძალით, მამული უნდა ჩამოერთვას პატრონს და ბანკმა ჩაიბაროს „თავის გამგებლობაში“. რადა? იმიტომაო, ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი, რომ „პირველს ნახევარ წელიწადსვე აღმოჩნდება“ ვალის გაწმენდა შეიძლება, თუ არა. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში პირველი ნახევარი წელიწადი 1-ს იანვრიდამ 1-ს მკათათვემდე იქმნება. ბანკმა რომ არ მიიღოს მამული თავის გამგებლობაში საცდელად, განა გამოუცდელად კი არ უნდა იცოდეს, რომ 1-ს იანვრიდამ 1-ს მკათათვემდე სოფლის მამულს არავითარი შემოსავალი არ ექნება? ვინ არ იცის, რომ ამ ხანში არც ღვინის მოსავალია, არც პურისა. ნუთუ ამას კიდევ გამოცდა უნდა! რაკი ეს ყველამ

გამოუცდელადაც იცის, ისიც ეცოდინება, რომ ამ ხანში მამული ბანკის ვალს ვერასგზით ვერ გასწმენდს. თუ ვერ გასწმენდს, ბ-ნ ყიფიანის აზრით,—უნდა გაიყიდოს. მაშასადამე, მიიღებს ბანკი მამულს თავის გამგებლობაში თუ არ მიიღებს, მამული ვალს ვერ გასწმენდს და მაინცდამაინც გაიყიდება ექვს თვეს უკან. დღესაც ესე არ არის ხოლმე? განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღევანდელის წესით, ამ ექვსს თვესაც მამული ისევ პატრონის ხელში რჩება და ბ-ნი ყიფიანი კი ამ შეღავათს, ამ შვებასაც არ იძლევა. მისის აზრით, მაშინვე უნდა ჩამოერთვას და ბანკმა ჩაიბაროს. ეს არის სიკეთე!.. ეს არის სიბრალული!.. ეს არის გულმტკივნეულობა!...

ნუთუ ამდენის მაგალითების შემდეგაც ცხადი არ არის, რომ „მამულის გაუსყიდველობა“ სანატრელია, მაგრამ ზღაპარია!.. თუ ზღაპარი არ არის, რატომ ერთი გარკვეული, დაბეჯითებული, ყოველმხრივ განმარტებული პროექტი არ წარმოადგინეს ამის მომგონებელთა, და როცა ყოველივე ეს მოესთხოვეთ, გვიპასუხეს,—ეგ „სკოლური ცელქობააო“, რომ თქვენს საკითხავებზედ პასუხი მოგცეთო. ამისთანა პასუხი უილაჯობის პასუხია, ბანზედ სიტყვის აგდებაა! აწინაირად აზრების ცვლა მამულის გაუსყიდველობაზედ უტყუარი ნიშანია მისი, რომ ეგ საქმე მოუთავსებელია, შეუწყნარებელია, შეუძლებელია.

შორს რად მივდივართ; თვითონ ბ-ნი ყიფიანი გვიმტკიცებს ამას, მისი სიტყვებივე მოწმად მოგვყავს, რომ მაგ „გაუსყიდველობის“ წესად დადება და ბანკის პირქვე დამხობა, ბანკის ფულის დაღუპვა ერთი იქნება.

„Так как желание установить беспродажность имения может повести к другой крайности – к уничтожению капитала. Основательность этого опасения очевидна“*.

თუ „очевидно“-ა, ეხლა რაღა ლიბრი გაეკრა ადამიანის

* Дело об учреждении банка, ч. 2-ая, стр. 158-ая, об'яснения г-на Киппани.

თვალსა, რომ წინანდელს „очевидно“-ზედ დღეს ასე დაჟინებით იძახიან, „очевидно“ არ არისო. რა სასწაული ზახდა ასეთი!..

ამით ვათავებთ ყოველს ბაასს ბ-ნ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის გამო. დასასრულ უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვსთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშლად, და უნდა ვაღიაროთ, რომ, ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ, ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენის ქვეყნისათვის, რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედვენ. ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა.

ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შეერთების საკითხებზე

ტფილისი, 22 ივნისი, 1888 წ.

Новое Обозрение-ს გუშინდელს ნომერში (№ 1553) ერთი წერილი იყო დაბეჭდილი, ქუთაისიდამ მოწერილი, შესახებ ჩვენთა საადგილმამულო ბანკების შეერთებისა. პატივცემული ავტორი თვითონ საგნის ბუნებასა და ვითარებაზედ არაფერს ჰლაპარაკობს, ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს მას, თუ რა გზით, რა პირობით უნდა გაიდოს ამ ორთა ბანკთა შორის ხიდი შეერთებისა, ერთის სიტყვით, თვითონ საგნის შიგნეულობას და თირკმელსა გვერდს უქცევს, თითქო ამ საქმეში ეს მხარე საგნისა არ შეადგენდეს არასფერს საგულისხმიეროსა. მთელის წერილიდამ მარტო ისა სჩანს გარკვევით და საბუთასმით, რომ იგი იმდურება და სამდურავის მიზეზად გვითითებს ბ-ნ ავალიშვილის მართლადა წინდაუხედავ სიტყვაზედ, ტფილისის ბანკის საზოგადო კრებაში წარმოთქმულზედ ამ საგნის შესახებ.

ეს საბდურავი რომ პატივცემულს ავტორს მარტო ბ-ნ ავალიშვილზედ შეეყენებინა, ჩვენ არას ვიტყოდით და მის წერილს დღეს სალაპარაკო საგნად არ გავხდიდით, რადგანაც ბ-ნი ავალიშვილი, თუ დაინახავდა საჭიროდ, თვითონ გასცემდა ასე თუ ისე პასუხს. ჩვენ თუ დღეს ამ საგანზედ ჩამოვაგდეთ სიტყვა, მარტო იმისათვის, რომ ავტორი ისე ბ-ნს ავალიშვილს არ ემდურება, როგორც თვით ტფილისის ბანკის საზოგადო კრებას, საცა ვითომ არც ერთს კაცს ხმა არ ამოეღოს და სიტყვა არ შეებრუნებინოს ბ-ნ ავალიშვილისათვის...

ჩვენის საზოგადო კრების ხმის ამოულებლობას ბ-ნ ავალი-შვილის ნათქვამზედ ავტორი ამყარებს Новое Обозрение-ს წე-რილებზედ და კრებაზე დამსწრე კაცების მოწმობაზე. Новое Обозрение-ს წერილები არ წაგვიკითხავს ჩვენ და დამსწრე კაცების მოწმობაზედ-კი ამას ვიტყვით, რომ იმათ ის არ გადაუციათ ავტორისათვის, რაც მართლა კრებაზედ მოხდა. ჩვენ ბევრი საგანი არ ვიცით იმისთანა, რომელსაც ისეთის გულმხურვალებით და გულისტკივილით მოჰკიდებოდეს კრე-ბა, როგორც ამ შეერთების საგანსა. ათ თუ თორმეტ კაც-ზედ მეტმა და მათ შორის ორმა გამგეობის წევრმაც ილა-პარაკა ამ შეერთების გამო და არც ერთს მათგანს დიდის სიხარულის და სიამოვნების გარდა არა გამოუთქვამს-რა ამ შეერთების გამო.

თუ არც ერთმა კრების წევრმა საჭიროდ არ დაინახა სიტყვა შეებრუნებინა ბ-ნ ავალიშვილისათვის, ეგ ჩვენის კრების გულგრილობას-კი არ უნდა დაებრალოს, არამედ თვითონ ბ-ნ ავალიშვილის სიტყვას, რომელსაც არავითარი საყურადღებო ღირსება არა სჭირდა და იმისთანაებზე ლა-პარაკი წყალის ნაყვა გამოვიდოდა, ჩვენს კრებას ამისათვის არც ხალისი ჰქონდა და არც მოცალეობა. უკეთესი პასუხი ბ-ნ ავალიშვილის თქმულისა ის იყო, რომ არავინ ყური არ ათხოვა, რადგანაც ამ შემთხვევაში ყურის თხოება დაუჰსახუ-რებელი ჯილდო იქნებოდა.

ამას იმითი ვამტკიცებთ, რომ ბ-ნ ავალიშვილის გარდა სხვა ყველამ, კრებაში ამ საგანზედ მოლაპარაკემ, აღტაცე-ბით და დიდის სიხარულით მიიღო აზრი ორთა ბანკთა შე-ერთებისა და ამ შეერთების გამო ბევრი გულმხურვალე სიტყვაც ითქვა. ამ სახით ბ-ნი ავალიშვილი სულ მარტოდ-მარტო დარჩა თავის შეუფერებელ ნათქვამითა. ასს კაცზედ მეტი იყო იმ კრებაზედ და არც ერთმა მათგანმა არ მოიწა-დინა არამც თუ მომხრეობა ბ-ნ ავალიშვილისა, არამედ ხმა, კრინტი არ დასძრა იმის შესახებ, რაც ბ-ნ ავალიშვილმა სთქვა, და ამ სახით იმისი ნათქვამი თითქო ერთს ყურში

შეუშვა და მეორიდამ გაუშვა. ამაზედ მეტი სიტყვის შებრუნებაღა იქნება ქვეყანაზედ? ამაზედ ძლიერი განაჩენი დაიდგინებაღა ვისიმე ნათქვამზედ?

ასში ერთის ცდომა და ასში ერთის დანაშაული განა საბუთია, რომ დანარჩენს ოთხმოცდაცხრამეტს კაცს სამდურავი შეუთვალონ? აი, ჩვენის აზრით, რა მხრით არის შესანიშნავი წერილი, რომლის გამოც დღეს ჩვენ სიტყვა ჩამოვაგდეთ. უმართლოდ, უსაბუთოდ, ტყუილად დასჯილი იქნება ჩვენი საზოგადოება, რომ ეს სამდურავი სამდურავად დარჩეს, და ვიმედოვნებთ, ავტორი ხსენებულის წერილისა დაგვიმადლებს, რომ საბუთი მივეცით შეცდომით გამოწვეული სამდურავი ჩვენს საზოგადოებას ააცილოს.

რომ ყველა პირუთვნელს და გულწრფელს კაცს სწორედ ჩვენ მიერ ზემოდ თქმული აზრი უნდა გამოეტანა იმ ჩვენის კრებისაგან, საცა წინადადება შეერთებისა გარჩეულ იქმნა, ამას ამტკიცებს თვით განაჩენი კრებისა, ერთხმად დადგენილი. თუ ეს საკმაო არ არის, ვიმოწმებთ მთელს ასს კაცს კრებისას და თვითონ რედაქციას Новое Обозрение-სას, რომლის ზოგიერთნი წევრნიც დაესწრნენ ხსენებულს კრებაზედ.

სასურველია, რომ ჩვენთა იმიერ და ამიერ მოძმეთა თავის-დღეში არ იფიქრონ, რომ ძმურად გამოწვდილი ხელი ძმურადვე გულმხურვალებით ჩამორთმეული არ იქნება. ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ფიქრისაგან!...

საგლეხო ბანკის საკითხისათვის

I

ტფილისი, 9 იანვარი, 1889 წ.

ჩვენ რაც შევიძელით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს უმთავრესნი საფუძველნი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა, რომელიც, დღეს არა, ხვალე ეღირსება ჩვენს ქვეყანასა. ამ სათავადაზნაურო ბანკთან ერთად განზრახულია მთავრობისაგან დაარსებულ იქნას ჩვენში საგლეხკაცო საადგილმამულო ბანკიცა. მეტი არ იქნება ვიცოდეთ რა საფუძველზეა აგებული რუსეთში ეს საგლეხკაცო ბანკი, რადგანაც უსათუოდ ეგევე საფუძველნი ექმნება დადებული საჩვენოდაც.

საგლეხკაცო ბანკის განსაკუთრებული და ერთადერთი აზრი ის არის, რომ გლეხკაცობას, რა უწყებისაც გინდ იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შეძენა, როცა მამულის პატრონს გასყიდვა უნდა და გლეხკაცობას სყიდვა. მთელი მოქმედება ამ ბანკისა იმაზეა მიქცეული, რომ გლეხკაცობას სესხად აძლიოს ფული მამულის სასყიდლად და ამნაირად ნასყიდი მამული გირაოდ იქონიოს ნასესხის გადახდამდე.

მამულის სასყიდლად ფული მიეცემათ სესხად ცალკე გლეხსაც, ამხანაგობასაც (ხოლო როცა ამ ამხანაგობაში სამზედ ნაკლები კაცი არ იქნება), ცალკე სოფელსა სოფლეულად, მთელს სასოფლო საზოგადოებას, თუნდა საზოგადოებაში რამდენიმე ცალკე სოფელი იყოს, ანუ რომელისამე დიდის სოფლის ერთს ნაწილსაცა, და რამდენსამე სასოფლო საზოგადოებასაც ერთად, როცა მამულს საერთოდ ჰყიდულობენ. ამ სახით ცალკე ზღვეხი

იქნება, თუ რამდენიმე გაამხანაგდებიან, ცალკე სოფელი, დიდი სოფლის რომელიმე ნაწილი, მთელი საზოგადოება, თუ რამდენიმე საზოგადოება ერთად, საგლეხო ბანკი ყველას მიაწვდის სესხსა მამულის სასყიდლად.

როცა მამულსა ჰყიდულობს მთელი სასოფლო საზოგადოება, მაშინ ბანკში შეტანილ თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას კანონიერი განაჩენი სოფლის საზოგადოებისა. ეს განაჩენი შედგენილი უნდა იქმნას იმ გლეხთაგან, რომელთაც ხმა აქვთ სოფლის ყრილობაში და რომელთა რიცხვი არა ნაკლებ ორის მესამედისა უნდა იყოს. ეს განაჩენი შემოწმებულ უნდა იქმნას სათემო* მართველობისაგან. როცა მამულს ჰყიდულობენ რამდენისამე სოფლის საზოგადოებანი ერთად, ამისთანავე განაჩენები უნდა წარუდგინონ ბანკსა და შიგ ჩაურთონ, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ ნასესხის ვადაზედ სახდელად. ამასთანავე თავდებობის ხელწერილი უნდა წარუდგინონ ბანკსა მაშინაც, როცა რამდენიმე გლეხი საამხანაგოდ ჰყიდულობს მამულსა.

საგლეხკაცო ბანკის წესდებაში განსაზღვრულია, რა რაოდენობის სესხის აღება შეუძლიან გლეხკაცობას. ეგ იმაზეა დამოკიდებული, მამულს საერთო სახმარად ჰყიდულობენ, თუ ცალკცალკე სახმარებლად. პირველ შემთხვევაში — თითო მამაკაცთა სულზე შეიძლება მიეცეთ თორმეტ თუმან ნახევარი, და მეორე შემთხვევაში თითო კომლზედ ორმოცდაათი თუმანი. თუ განსაკუთრებული პატივსადები რამ საბუთი იქნება, შესაძლოა ზემოხსენებულზედ მეტიც მიეცეთ, ხოლო ამისათვის განსაკუთრებული შუამდგომლობაც უნდა და ყოველივე ამისთანა წარმატებაზედ უსათუოდ ფინანსთა მინისტრისაგან ნებართვა უნდა აიღოს ბანკმა. ამ პატივსადებ საბუთთა შორის დასახელებულია, მაგალითებრ, იგი, როცა სასყიდელი მამული სარწყავი სათიბია, ან საბოსტნეა, ან საკანაფე, და სხვა ამგვარი.

როცა ამისთანა მამულია სასყიდელი, მაშინ განსაკუთრებული

* Волостной.

დაფასება უნდა მოხდეს მამულისა, და რამოდენადაც დაფასდება, დაფასების მანეთზედ მიეცემა არა უმეტეს ხუთმეტის შაურისა. სხვა ყოველ შემთხვევაში-კი წინათვეა დანიშნული, რა ადგილას, რა მხარეში, რამდენი უნდა მიეცეს დესეტინაში. ეს წინათვე დანიშნული ფასი გამორკვეულია რუსეთში ფინანსთა მინისტრისაგან, რომელიც დავალებულია ამ შემთხვევაში დაითანხმოს შინა საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებიცა.

გლეხკაცობა, რომელიც ისურვებს ბანკს მიჰმართოს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის, თვითონ უნდა მოურიგდეს მამულის პატრონს. მორიგების პირობა უნდა ხელმოწერილ იქმნას ორისავე მხრისაგან და შემოწმებული ან ნოტარიუსისა, ან მომრიგებელ მოსამართლისა და ან სათემო მართველობისაგან. ამ პირობაში ზედმიწევნით აღრიცხული უნდა იყოს: რამდენი სული გლეხი ჰყიდულობს მამულს, რამდენს დესეტინას, და თითო დესეტინას რა ფასად. თუ ვინიცობაა, ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ ასწვდება მორიგებულს ფასს, მაშინ ხსენებულს პირობაში ნაჩვენები უნდა იყოს დასამატებელი ფული როგორ და რა გზით უნდა გადუხადოს მამულის პატრონს მსყიდველმა.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ გამოსატანი ფული აუდგა მორიგებულს ფასსა და მსყიდველმა არაფერი არ უნდა დააყაროს, მაშინ საქმე მალე თავდება, ფული ეძლევა გამსყიდველს და ნასყიდობის წერილი მსყიდველსა, რასაკვირველია, მას შემდეგ, როცა ეგ წერილი კანონიერად დამტკიცებული იქნება უფროსის ნოტარიუსისაგან; ხოლო მაშინ-კი, როცა მორიგებულ ფასს ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ აუდგება, მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს ან დასამატებელი ფული, ან ხელწერილი გამსყიდველისა, რომ ფულს აცლის ვადითა. თუ მამულის მსყიდველმა სამის თვის განმავლობაში მას იქით, რაც სესხის გატანა დაუნიშნეს, ან დასამატი ფული, ან ხსენებული ხელწერილი მამულის პატრონისა არ წარუდგინა ბანკს, ბანკი საქმეს აბათილებს.

ბანკისაგან ნასესხებ ფულზედ გლეხკაცი იხდის წელიწადში ყოველს ასს მანეთს ნასესხზედ რვა მანეთს და ათს შაურს

თავნსა და სარგებელში, თუ ოცდაოთხის წლით და ნახევრით აღებულია სესხი, და თუ ოცდათოთხმეტის წლით და ნახევრით — მაშინ შვიდ მანეთსა და ათს შაურს.

უმთავრესნი საფუძველნი საგლეხკაცო ბანკისა ესენია. ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვუდექით არც იმ წვრილმანების ჩამოთვლას, რომელიც აუცილებლად თანა სდევს ამისთანა რთულს საქმეს, არც თითონ ბანკის შინაგან აგებულებას, და არც მის საქმეთა წარმოების რიგსა და წესსა. ჩვენ გვსურდა გამოგვერკვია მარტო ძირითადი აზრი ამ ბანკისა და უფლება და მოვალეობა მათი, ვის საკეთილდღეოდაც დაარსებულია. ამ მხრით ჩვენ დაგვრჩა გამოკვლევა მარტო იმისი, თუ რა შეცავათებს ჰპირდება ეს მართლა და სასარგებლო ბანკი გლეხკაცობას, რომელიც ბანკს მიჰმართავს ფულის სასესხებლად მაგულის სყიდვისათვის. ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

II

ტფილისი, 10 იანვარი, 1889 წ.

ყველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი, როგორც ყოველივე სხვა ბანკი, ჰყიდის გირაოდ მიღებულს გლეხკაცთაგან ნასყიდს მამულს, თუ ვინიცობაა გლეხკაცმა ბანკში შესატანი ფული თავის ვადაზედ არ შეიტანა ნასესხის მოსაშორებლად. ეს ყოველ საადგილმამულო ბანკისათვის აუცილებელი და თავი და თავი საჭიროებაა. უამისოდ საადგილმამულო ბანკს ერთი დღეც გაძლება არ შეუძლიან. რომ ეს არასასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია, ამას ამტკიცებს თვით ეს საგლეხკაცო ბანკი, რომელსაც კაცი ვერ შესწამებს, რომ გულითა და სულით არ უნდოდეს ამ შავისა და უბედურის დღისაგან დაიხსნას მსესხებელი. მაგრამ რას იზამთ, რომ ამას ვერ იშვნევს ბუნება საადგილმამულო კრედიტისა და თვით ყოვლადშემლებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს საგლეხკაცო ბანკს ბოძად უდგა, უღონოა წესად დაიდვას გაუსყიდველობა დაგირავებულ მამულისა, თუ მსესხებელი დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდა ბანკსა.

ამ მხრით გლეხკაცობას ვერაფერს შეღავათს მისცემდა საგლეხკაცო ბანკი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ იფიქროს, რაკი ბანკმა მაყიდვინა მამული, თითონვე როგორღა გამიყიდისო. გაგიყიდით, თუ ბანკს მის პირობას არ შეუსრულებთ. ხოლო ზოგიერთს შეღავათს-კი იძლევა ბანკი და ყველაზედ წინ შეღავათად ჩასათვლელია ის, რომ ბანკი ვადაზედ შესატან ფულს ყოველს ექვსს თვეზედ წინ კი არა სთხოვს გლეხკაცობას, როგორც სხვა ბანკები, არამედ სესხის დღიდგან ექვსის თვის შემდეგ. ეს საკმაოდ საგრძნობელი შეღავათია, იმიტომ რომ გლეხკაცს, რომელიც მამულსა ჰყიდულობს ბანკისგან ნასესხის ფულით, ისე ებღერტება ჯიბე, რომ ყოველი გროში მისთვის სანატრელია, და სად შეუძლიან იმავე დროს ნასესხის ფულის სარგებელი ექვსის თვისა წინათვე გაიღოს. ექვსის თვის შემდეგ-კი სულ სხვაა, საკმაო დრო აქვს ან ნასყიდს მამულს გამორჩეს რამ, ან თავის მარჯვენასა, გროში გროშს შეაკეცოს და შესატანი გადაიხადოს.

მართალია, თუ ვადაზედ გლეხკაცმა ბანკში შესატანი ფული არ შეიტანა, და ნება აქვს მამულის გასყიდვის დღემდე შეიტანოს, მამული გასყიდვისაგან დაიხსნას, მაგრამ ვადის გადაცილების დღიდამ ფულის შეტანის დღემდე თვეში ერთი გროში ($^1/_2$ კაპეიკი) ჯარიმა უნდა გადაიხადოს ყოველს არ შეტანილს მანეთზედ. ეს ჯარიმა ეპატიება, თუ ჯეროვანი მოწმობა მთავრობის მოხელეობისა მიიტანა ბანკში მასზედ, რომ შესატანი ფული დააგვიანა რაიმე უბედურების გამო, სახელდობრ, ან დაეწვა რამ, ან წყალმა ავნო, ან სეტყვამ, ან საქონლის ჭირმა, ან კალიამ წაუხდინა ნათესი, ან სულ მოუცდა მოსავალი, ან უეცრად მოკვდა, ან ქვეშაგებად ჩავარდა ოჯახის გამძღოლი კაცი და სხვა ამისთანა.

ამაყე მიზეზთა გამო შესაძლოა გლეხკაცს აღროვონ თვით ვადაზედ შესატანი ფულიცა, ხოლო იმ პირობით კი, რომ ნარჩენი* შეტანილ იქმნას ორის წლის განმავლობაში, ასე

* недоимка.

რომ ყოველ ექვსის თვის შესატანს ნარჩენის მეოთხედი ზედ შეეკეცოს ხოლმე. თუ ორი წელიწადი ზედაზედ შეემთხვა გლეხკაცს ხსენებული უბედურება რამ, მაშინ შესაძლოა ედროეოს გლეხს იმ ხანის შესატანი ფული სამის წლით, იმ პირობით, რომ ერთი მეექვსედი ნარჩენისა ზედ შეეკეცოს ხოლმე ყოველ ექვსის თვის შესატანს და ნარჩენის მანეთზედ თვეში ერთი გროში ($^1/_2$ კაპ.) სარგებელი იხადოს.

გლეხკაცს, რომელსაც ეყიდება მამული ფულის არ-შეტანის გამო, ერთი შეღავათიც ეძლევა მამულის გამოსახსნელად გასყიდვისაგან. ამისთანა გლეხკაცმა უნდა წარუდგინოს საბუთი ბანკსა, რომ ნარჩენს ფულს მოიშორებს ან მით, რომ იჯარით გასცა მამული, ან მით, რომ ნაწილს მამულისას ჰყიდის, ან სასოფლოდ ახვნევინებს მამულს, ან სხვა რაიმე გზით, რომელსაც ბანკი საბუთად შეიწყნარებს.

გარდა ამ შეღავათებისა, გლეხკაცობას ისიც მინიჭებული აქვს ბანკისაგან, რომ არავითარს ხარჯს არა სწევს სახელმწიფოდ არც სესხის აღებაში, არც მამულის სყიდვაში, ყოველივე ქალალდი მამულის სყიდვის თაობაზედ თავისუფალია ყოველ გადასახადისაგან, არც ღერბის ფული, არც დასამტკიცებელი, არც სამწერლო მასალები * არ ერთმევა გლეხკაცს ამ შემთხვევაში. ხოლო ნასყიდობის წერილზედ დანიშნულია ოთხი აბაზი თაბახზედ, თუ ფასი ნასყიდისა ხუთს თუმანზე მეტია, და თუ ნაკლები — სამი შაური თაბახზედ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესნი საფუძველნი და ყველა შეღავათი, რომელიც მოხსენებულია რუსეთის საგლეხკაცო ბანკის წესდებაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეიცვლება ეს წესდება ჩვენის ქვეყნის მიხედვითა. ეს-კი აშკარაა, რომ ეგ წესდება, შეუცვლელად ჩვენში გადმოტანილი, არ შეფარდებული, არ შეწონილი ჩვენის ქვეყნის ვითარებასთან, იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რის შემძლებელიც არის, და იმოდენად ფეხს ვერ გაიდგამს, რამოდენადაც სასურველია ჩვენებურ გლეხკაცობისათვის. რუსეთი სულ სხვა ქვეყანაა, იქაურს გლეხკაცს სულ

* Канцелярские пошлины.

სხვა გზა აქვს ცხოვრებისა და აქაურს სხვა. თითონ მეურნეობაც აქაური და იქაური სულ სხვაა და ეს სხვაობა უნდა იქმნას იმ ხიდად, რომელიც აქაურმა საგლეხკაცო ბანკმა უნდა გაიდვას ჩვენში სავლელად და სამოქმედოდ.

III

ტფილისი, 11 იანვარი, 1889 წ.

ერთი დიდად საგრძნობელი წუნი საგლეხკაცო ბანკისა ის არის, რომ გლეხკაცისაგან სესხის აღება ამ ბანკიდამ მეტად გაჭიანურებულია. ამას თითონ რუსეთშიაც უჩივიან. ჯერ მინამ გლეხკაცი ბანკის კარამდე მივა, თავისი დაემართება: მეტად ბევრი მიწერ-მოწერაა, მეტად ბევრს ქაღალდებს ჰთხოულობს ბანკი გლეხკაცისაგან, მერე იმისთანა ქაღალდებსა და განაჩენებს, ურომელთოდაც ძალიან ადვილად შესაძლოა სესხის აღების საქმეს თავი და ბოლო მოებას. ჩვენ აქ დაწვრილებით ჩამოთვლას არ შევუდგებით და მაგალითად თუნდ ერთს გარემოებას მოვიყვანთ. თუ გლეხკაცები ან სოფლეულად, ან საამხანაგოდ მამულსა ჰყიდულობენ და სასყიდლად ფულსა სესხულობენ ბანკიდამ, ხელწერილი უნდა დაუდონ ბანკსა, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ და ეს ხელწერილი უნდა შეამოწმებინონ ჯეროვანად. რა საჭიროა, რომ ყოველს ცალკე შემთხვევაში ამაზედ არ მოაცდინონ გლეხკაცობა, დრო და ხარჯი არ გააწირვინონ? განა პირდაპირ წესდებაში ვერ აინიშნება, რომ თუ გლეხკაცნი ან სოფლეულად ან საამხანაგოდ მამულსა ჰყიდულობენ და ამისათვის ბანკიდამ ფულს ისესხებენ, მოვალენი არიან იკისრონ ერთმანეთის თავდებობაცა. განა ამას იმნაირივე ძალა არ ექნება, რაც ცალკე შემთხვევაში ჩამორთმეულს ხელწერილსა!

ამისთანა და სხვაც მისებრი ფორმალობა ტყუილუბრალოდ აჯანჯლებს საქმეს, მეტს ხარჯსა, დროსა და აქეთ-იქით სიარულს ითხოვს, და ყოველ ამით უძნელებს გლეხკაცს ბანკის კარამდე მისვლას. გლეხკაცი ისე არაფერს უფრთხის, როგორც

სამწერლოებში გაბმას, ქაღალდების წერას და ამისათვის ტანტალსა. სასურველია, რომ ჩვენში საგლეხკაცო ბანკის წესები ამ მხრით გადაისინჯოს და რაც მეტი ფორმალობაა, შეძლებისამებრ გამოკლებულ იქმნას. ამ ფორმალობის განმარტივება, ისე-კი, რომ საქმეს არა ეზიანოს-რა, პირველი საჭიროებაა საგლეხკაცო ბანკისათვის, თუ უნდა პირველ ხანშივე გლეხკაცობის გული მოიგოს უამისოდ გლეხკაცობა შორს გაუდგება ბანკსა და ძნელად მიეკარება, ნამეტნავად ჩვენში, საცა გლეხკაცი ძალიან ჰშიშობს იმისთანა საქმეში გაებას, რომელსაც ბევრი მიწერ-მოწერა და უკან დევნა მოსდევს. ეს ადვილად მისახვედრიც არის: გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს. იმას აღარ ვიტყვით, რომ ქაღალდების წერასა და საქმის უკან დევნას თავისი აუცილებელი ხარჯი აქვს.

საადგილმამულო ბანკს საზოგადოდ ერთი ძირითადი საგანი აქვს, რომლის მოწყობასა და ვითარებაზედ დამყარებულია ჯერ თვით ბანკის სიმაგრე და სიმტკიცე და მერე მსესხებელის ინტერესი. ეგ საგანი გირაოდ მისაღებ მამულის დაფასებაა. დაფასება ორგვარია: ერთი ნორმალური და მეორე სპეციალური. ნორმალური იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს წინათვე დანიშნული აქვს, რა ფასად უნდა მიიღოს დესეტინა ამა და ამ ადგილას. ავიღოთ, მაგალითად, ქართლი; თუ ქართლი მამულის ღირებულების კვალობაზედ ცოტად თუ ბევრად ერთნაირობას წარმოადგენს, ბანკი წინათვე ჰნიშნავს, რომ ქართლში დესეტინას ამა და ამ ფასადა სთვლის. ეს ფასი ნორმად არის დადებული. რაკი სესხის მსურველი წარუდგენს ბანკს საბუთებს იმისას, თუ ქართლში ამდენი და ამდენი სახმარი და გამოსაყენი დესეტინა მაქვსო, ბანკი აღარც მამულის გასინჯვას შეუდგება, აღარც იმის ავკარგიანობის აწონ-დაწონვას, აიღებს და წინათვე დანიშნულ ფასის კვალობაზედ გაიანგარიშებს სესხს და მისცემს. ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ნორმალური ფასი მამულისა ყოველთვის ნამდვილზედ ნაკლებია და საგრძნობლადაც ნაკლები, ასე, რომ ორთა-ბუა რიცხვით მაღალ-დაბალი მამული თუ დესეტინა, ვსთქვათ, ორ თუმნად ჰფასობს, ნორმალური ფასი ამაზე ქვევითადაც ჩამოდის და თითქმის დაბალის მამულის ფასს არ აღემატება.

თქმა არ უნდა, რომ ეს ასეც უნდა იყოს. რაკი მამულს უნახავად და გაუსინჯავად გირაოდ იღებს ბანკი, უსათუოდ

იმ ფასად უნდა იანგარიშოს, რა ფასადაც იმ ადგილებში უკანასკნელი დაბალი მამული გადის, ესე იგი, იმ ფასად, რომ დაიძახო ვყიდიო, მსყიდველი მაშინვე იპოვო. მსყიდველის პოვნა უეჭველია მხოლოდ მაშინ, როცა მამული ძალიან იეფია. უამისოდ მამულის უნახავად ფასის დადებაში შეცდომა აუცდენელია და შეცდომას ზიანი მოსდევს ბანკისათვის. ამიტომაც ნორმალური ფასი მამულისა შეადგენს უმცირესს ფასს მამულის ღირებულობისას, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მინიმუმია მამულის ღირებულობისა.

სპეციალური დაფასება-კი სულ სხვა არის. ამას აზრადა აქვს გამოარკვიოს ნამდვილი ფასი მამულისა და რაც შეიძლება ახლო მიუვიდეს მის ჭეშმარიტს ღირებულებას. ამ აზრის შესრულება შეუძლებელია, თუ განგებ ამისათვის დანიშნულმა კაცმა, თუ კომისიამ, თითონ მამული არ ინახულა, დაწვრილებით არ გასინჯა, მისი ავკარგიანობა არ გამოიკვლია, შემოსავალ-გასავალი არ აღრიცხა და ყოველ ამით არ გამოარკვია ფასი.

რუსეთის საგლეხკაცო ბანკის წესდებაში მიღებულია უფრო ნორმალურის დაფასების წესი. იქა სწერია, რომ ფინანსთა მინისტრი, შინა საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრების დაკითხვითა და თანხმობით, ყოველს ცალკე მხარისა თუ ადგილისათვის ჰნიშნავს, რაოდენი სესხი უნდა მიეცეს იმ მამულზედ, რომელსაც გლეხკაცი ბანკის შემოწმებით ყიდულობსო ამ მხარესა თუ ადგილებში. რუსეთში მარტო განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ნება დართულია სპეციალური დაფასება სასყიდელის მამულისა.

ჩვენში ყოვლად მოუხერხებელია ნორმალური დაფასება. აქ არამც თუ გუბერნიას, მაზრას, სოფელს, არამედ სოფლის ნაწილსაც, ცალკე ტანის მიწებსაც, ერთ ფარგალში ვერ მოაქცევს კაცი ღირებულობის კვალობაზედ. ერთსა და იმავე სოფელში, ერთსა და იმავე მამულში, ასეთი სხვადასხვაობაა მიწების ღირებულობისა, რომ საცა ერთი ტანი მიწა ერთ თუმნად ჰღირს, იქავ მეორე ტანი ოც და ორმოც თუმნად ძლივს გასამეტია. რუსეთი ერთი უშველებელი ტრიალი მინდორია. იქ ამის გამო დიდი მეტ-ნაკლებობა არ არის მიწების სიკე-

თის სხვადასხვაობაში. იქ ადვილად შემოსაფარგვლელია კარგა დიდ მანძილზედ იმისთანა ადგილი, საცა ერთნაირობა მიწებისა ბევრს მეტ-ნაკლებობას არ წარმოადგენს და, მაშასადამე, იქ არც ერთნაირის ფასის დადება არის ძნელი. აქ ჩვენში-კი სულ სხვაა. აქ მთა-ბარიანი ადგილმდებარეობა ჩვენის ქვეყნისა სრულიად სცვლის ამ გარემოებასა და ერთისა და იმავე სოფლის წრეშიაც-კი შეუძლებლად ჰხდის ერთისა და იმავე ფასის დადგენასა. ამიტომაც ჩვენში საგლეხკაცო ბანკი ვერ მოიხერხებს ნორმალურს დაფასებას და უნდა მარტო სპეციალურის დაფასებით იხელმძღვანელოს, ესე იგი, ყოველი ცალკე მამული ცალკე მოსჩხრიკოს, გასინჯოს და ფასი ისე დასდოს. ამ მხრითაც საგლეხკაცო ბანკი ჩვენში ჰსაჭიროებს ჩვენის ქვეყნის შესაფერი წესები შემოიღოს.

რუსეთის წესდებაში ხსენება არ არის ვენახებისა. ჩვენში ვენახები გლეხკაცისათვის დიდი რამ არის, თუ ყოველგან არა, ბევრგან მაინცა. თუ გლეხკაცს ბანკი შემწეობას არ მისცემს ვენახი იყიდოს, ეს ძალიან შეუშლის ხელსა და გლეხკაცს უკან დააყენებს. ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ მხრით გლეხკაცი უნუგეშოდ დარჩება, რაღგანაც ამისი მაგალითი უკვე გვაქვს. ნაყმევებს ნება აქვთ საკომლო* შეისყიდონ ნაბატონართაგან ხაზინის შემწეობით, ხოლო ვენახების შესასყიდლად-კი ხაზინა არაფერს შემწეობას არ აძლევს. ეს კარგა დიდი დანაკლისია ნაყმევებისათვის, და თუ ამის მიხედვით საგლეხკაცო ბანკმაც გამორიცხა ვენახები ბანკის შემწეობით სასყიდელ მამულთაგან, ძლიერ დააკლდება გლეხსა. რუსეთის გლეხკაცობა ხვნითა და თესვით ირჩენს თავსა და ადვილად ასახსნელია, რომ იქ მთავრობა სცდილობს მარტო სახნავ-სათესი შეაძენინოს გლეხკაცსა. ჩვენში ზოგი იმისთანა მხარეა, საცა ხვნა-თესვას იმდენად არ მისდევენ, რამოდენადაც ვენახისა და ხილის ბაღსა. რა ჰქმნას ამ ადგილების გლეხმა, თუ საგლეხკაცო ბანკი არ მიეშველა ვენახებისა და ხილის ბაღების სყიდვაშიაც. სასურველია, რომ ეს ნაკლებულობა რუსეთის საგლეხკაცო ბანკისა, რუსეთში არაფრად შესამჩნევი, ჩვენში აუცილებელ იქმნას.

* надел.

საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის

I

ტფილისი, 23 იანვარი, 1890 წ.

ბატონ-ყმობა გაუქმდა რუსეთში თუ არა, ყმურს მოწყობილობას სოფლისას და მიწათმოქმედებისას ბოლო მოეღო, დიდს გაჭირებაში ჩაცვივდნენ როგორც მიწათმფლობელი თავად-აზნაურობა, ისეც მიწათმომქმედი გლეხობა. განთავისუფლებული გლეხობა ერთს ჭირს გადაურჩა და მეორეს შეეყარა, თუ არ იმისთანავე შეუბრალებელს, არც ბევრად ნაკლებს. გლეხკაცობას ზედ მუწუკად დააჯდა ეგრეთწოდებული „სოფლის წურბელა“, რომელიც ჩაიგდებდა თუ არა გაჭირებულს გლეხს, სწოვდა იმის ნაამაგევსა და ნაჭირნახულევსა ასე, რომ ზოგჯერ ცარიელზედაც დასვამდა ხოლმე.

ეს წურბელა თანდათან ჰმატულობდა და დღესაც კლებაში არ არის. სიხარბემ ამ სოფლის წურბელებისამ იქამდე მიაღწია, რომ სულით განთავისუფლებული უფულო გლეხი, ხორცით ამ წურბელების ყმად გახდა და რასაც თავის ოფლითა და ამაგით ჰშოულობდა, სულ ამ სვავის გასაძღომად ხელიდამ ეცლებოდა. საცა ეს იყო, ხომ ეს გარემოება ასწორებდა გლეხს მიწასთან, და საცა ეს არ იყო, იქ გაჭირება გლეხკაცისა აიძულებდა გლეხს, რომ თავისი ნაამაგევი და ნაჭირნახულევი ჩალის ფასად გადაეყარა, ოღონდ-კი ეშოვნა საკმაო ფული სახელმწიფო და საზოგადოებურ გადასახადის მოსაშორებლად, ან თავის შინაობაში ნაკლებობის შესავსებ-

ლად. ამ ორ გზით იღუპებოდა გლეხკაცობა და არსად იყო წამალი ხსნისა. განათლებულმა ნაწილმა რუსეთისამ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს და ბევრი საუბარი გაიმართა, ბევრი აზრი წარმოითქვა, ბევრი სხვადასხვა პროექტი დაიწერა მასზედ, თუ ამ სატკივარს რა წამალი დაედოს.

სხვათა შორის გაძლიერდა ის აზრი, რომ გლეხკაცობას შინვე უნდა გავუმართოთ კრედიტი, ადვილად მისაწვდენი და შეღავათიანი. შორს სიარული აღარ მოუნდათ, აიღეს და გერმანიიდამ გადმოიღეს ერთნაირი საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც დაერქვა „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“. ამ საკრედიტო ამხანაგობას პირველში ასეთი სახელი ჰქონდა, ასე იმედოვნებდნენ, — თუ გვიშველის, ეს გვიშველისო, —რომ 1878 წლამდე ერთი ერთმანეთზე არსდებოდა ეს ამხანაგობა.

ჩვენშიაც ფეხი აიდგა ამ ამხანაგობის დაარსების სურვილმა და პირველ ხანებში ხშირად გვესმოდა, აი აქ შესდგა ამხანაგობა, აი იქაო. თუ საზოგადოება არა, ჩვენი ინტელიგენცია ხომ სიხარულით ფეხზედ არ იდგა, როცა ხმა გავარდებოდა, რომ აი ამა და ამ სოფელმა ამხანაგობა შეადგინაო. ამაზედ ბევრსა ჰლაპარაკობდნენ, ბევრსა სწერდნენ, გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა დაარსებულ ამხანაგობათა წლის ანგარიშები და ასე თუ ისე ეს ამხანაგობანი თავისთავზე ხმას გვაღებინებდა და გვასაუბრებდა. ეხლა მისწყდა ყოველივე ხმა, ეს მაშინდელი სასიხარულო ამბავი დღეს არც-კი ვისმე ახსოვს, არავის აინუნშიაც არ მოსდის, აღარავინ ჰკითხულობს, — როგორ მიდის იმათი საქმე, რა წამალი დასდეს სოფლის სატკივარს, ჰგრძნობენ გლეხნი რასმე სიკეთეს ამ ამხანაგობათაგან, თუ არა. ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენში ეს ამხანაგობანი შემოღებულ იქმნენ და ეს ხანი საკმაო მაგალითებს მოგვცემდა, გვეცნო ყოველივე ავი და კარგი, თუკი ვინმე თვალყურს ადევნებდა ამ საქმეს და მის ვითარებას საყოველთაო საცნობლად გახდიდა. სხვას ვინა სჩივის, თითონ ამხანაგობანიც ჩაჩუმებულნი არიან, ხმას არ იღებენ და, რომ არ ვიცოდეთ იმათი არსებობა, ვიტყოდით,

აღარ არსებობენო. წლის ანგარიშებიც-კი აღარ იბეჭდება არსად. სულ მისწყდა იმათი ხმა და გაჰქრა იმათი ამბავი.

რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო დუმილი იმ საქმის თაობაზედ, რომელიც, რაც უნდა იყოს, თავის დროზედ ასე საიმედო და სასიხარულო იყო ყველასათვის, ვისაც ჩვენის სოფლისა და გლეხკაცობისათვის გული შესტკიოდა. ნუთუ იმას, რომ ჩვენ ყველაფერზედ მალე აპრიალება ვიცით ცეცხლმოკიდებულ ჩალასავით და ისევ მალე ჩაქრობა ჩალასავითვე! ან იქნება იმას, რომ გლეხკაცობამ, რაკი დაინახა, რომ ამ ამხანაგობისაგან ბევრი არა გამოდნა რა, გული აიყარა და იმასთან ერთად გული ავიყარეთ ჩვენც? მიზეზის პოვნა ძნელია, როდესაც ჩვენ ამ საგანზე არავითარი ცნობა არა გვაქვს. ხოლო ეს-კი ვიცით, რომ ამ საქმეს რუსეთშიაც გაუგრილდნენ.

პეტერბურგის განყოფილებამ იმ კომიტეტისამ, რომელიც განაგებს ამ ამხანაგობათა საქმეებს, ეხლახან გამოაცხადა თავისი ანგარიში და სხვათა შორის აღიარა, რომ 1878 წლამდე ამ ამხანაგობათა რიცხვი ჰმატულობდა და მას აქეთ დიდს კლებაში შევიდაო, ასე რომ ამ ბოლოს ხანებში თითქმის აღარც-კი ისმის, კიდევ არსდება ამხანაგობა თუ არაო. ამასთანავე იგი ანგარიში ამბობს, რომ ამ საქმის კარგად მსვლელობას გზა შეუკრა იმ გარემოებამ, რომ გლეხკაცობაში არ აღმოჩნდნენ იმისთანანი, რომ საქმე გაეგოთ და ცოდნით გასძღოლოდნენო. 1878 წლიდამ ბევრი ამხანაგობა სრულად მოისპოო და თითქმის ნახევარი ამ მოსპობილთაგანი უკაცობის მიზეზით გაუქმდაო.

ასეა თუ ისე, ამ ამხანაგობამაც, როგორც სჩანს, ვერ იხსნა სოფელი გაჭირებისაგან და გლეხკაცობა რუსეთში ამ მხრით ისევ უნუგეშოა. ეს თვით უმაღლესს მთავრობისაგან უკვე შენიშნულია. ამ უკანასკნელ წლებში სოფლის ნაწარმოების ფასმა ძალიან ძირს დაიწია რუსეთში, იმოდენად ძირს, რომ თვით მთავრობამაც ყურადღება მიიქცია. ხომ არც ჩვენ გადავრჩით ამ უფასურობას. შინაგან საქმეთა სამინისტრო-

ში შედგენილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიძიოს და გამოარკვიოს მიზეზი სოფლის ნაწარმოებთა ფასის დაფოლებისა. რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ კომისიას უკვე გაუთავებია თავისი საქმე და შეუმზადებია პროექტი მოკლევადიან ახალ კრედიტისა გლეხკაცთათვის. ეს პროექტი ამ მოკლე ხანში წარდგენილ იქნება სახელმწიფო საბჭოს წინაშე გასარჩევადო. აქედამა სჩანს კომისიას დაუნახავს, რომ სოფლის ნაწარმოების ფასის ნაკლებობას მიზეზად აქვს უქონლობა გლეხკაცთათვის შესაფერ კრედიტისა.

რა აგებულება ექმნება ამ ახალს საგლეხკაცო კრედიტს, გაზეთები არას ამბობენ. ხმა-კი დადისო, ვითომ იგი კრედიტი გირავნობაზე იქნება დაფუძნებული, იმ პირობით, რომ ვისაც სესხად ფულის აღება მოუნდება, ის იმის გირაოდ პურს უნდა ჩამოვიდესო და ის პური შენახულ იქმნება განსაკუთრებით ამისთვის გამართულ ამბარში, ვიდრე გლეხკაცი კარგს მუშტარს აიჩენსო. ამ გზით გლეხკაცი თავის საყოველდღეო საჭიროებისათვის, მაგალითებრ, თუნდ სახელმწიფო და საერთო გადასახადის მოსაშორებლად, ყოველთვის ხელს გაიმართავს და იძულებულ აღარ იქნება გაჭირების გამო იეფად ჰყიდოს თავისი ჭირნახულიო. ეს კრედიტი იქმნება სახელმწიფო და, მაშასადამე, უფრო იეფი და შეღავათიანი, ვიდრე კერძო. სასურველია, რომ ამ მხრით ჩვენს გლეხკაცობასაც მოეშველნენ და ამით დაიხსნან ესენიც მჭამელთა და მწოველთაგან.

II

ტფილისი, 25 იანვარი, 1890 წ.

ჩვენ ამას წინათ საუბარი ჩამოვაგდეთ ეგრეთწოდებულ „გამსესხებელ-შემნახველ საზოგადოებათა“ შესახებ ჩვენში. იმ ცნობათაგან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, სჩანს, რომ მას აქეთ, რაც ამგვარის კრედიტის შემოღება დავიწყეთ,

ამიერ და იმიერ საქართველოში სულ ოცდათექვსმეტი წესდება ყოფილა დამტკიცებული მთავრობისაგან ამხანაგობათა შესადგენად. აქედამ ჩვიდმეტი წესდება არის ამიერ საქართველოსი და ცხრამეტი იმიერისა. ამათგან სამი ამხანაგობა არც-კი დაარსებულა, თუმცა წესდება დამტკიცებული ჰქონია: დანარჩენი ოცდაცამეტი გამართულა და დაუწყია მოქმედება. ამათშიაც გაუქმებულა ცამეტი და თავის დუქან-ბაზარი აულაგებია. დარჩენილა სულ ოცი. ამ ოცშიაც არის რომელიმე ამხანაგობა გაუქმებული თუ არა — არა ვიცითრა. ეს კი ნამდვილია, რომ თუ სადმე ეგ ამხანაგობანი კვლავ არსებობენ, იმათი არსებობა არსებობად არ ჩაითვლება: ძლივძლივობით თურმე აჩანჩალებენ თავის საქმეებს და თითქმის სულის ამოხდომაზე მიმდგარან.

ასეთი დასასრული იმ დასაწყისისა, რომელმაც დიდი და პატარა ჩვენში მისძრა-მოსძრა, რომლისაგანაც ყველანი ბევრს რასმე მოველოდებით და რომელიც დიდს იმედებს იძლეოდა, მეტად სამწუხაროა, მეტად ჩასაფიქრებელი. მარტო ნუგეშად ისღა თუა დღეს ჩვენთვის, რომ ეგეც გამოვცადეთ, ეგეც ვნახეთ და ჩვენის სოფლის საქმე ამ მხრით მაინც არ გასწორდა. გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ერთხელ ნახულს კაცი ასე თუ ისე გამოიყენებს შემდეგისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თუ ნაცადს ისე მოვექცევით, როგორც ჭკუის მასწავლებელს მაგალითს. თუ არა და, დროც ტყუილად დაკარგულია და ამაგიც.

ეს ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა ეს ამხანაგობანი. ვიმეორებთ, ეს საკმაოდ გრძელი ხანია, რომ კაცმა ამ გრძელ ხანში ნახული, გამონაცადი, დღეს ჭკუად მოიხმაროს და გაარკვიოს, რა ჭია ჩაუჯდა გულში პირველს ხანშივე ამხანაგობას, რა სოლი აკლდა, ან რა გაუტყდა იმ თვალს, რომელიც ატრიალებს ამგვარ ამხანაგობათა საქმეს? რაშია მისი შეუფერებლობა, რატომ ასეთი ბოლო მოჰყვა მაშინ, როდესაც ასეთის იმედებით და ქადილით გვესტუმრა

პირველ ხანებში? სასურველია და ფრიად სასარგებლოც იქნება ვიცოდეთ, რა მიზეზი იყო, რომ ამგვარმა ამხანაგობამ ჩვენში ვერც ფეხი მოიკიდა რიგიანად და ვერც თავი შეიმაგრა.

მართალია, თავდაპირველ მიზეზად იმას ჰხადიან, რომ ვითომც გლეხკაცობას მომზადებული კაცები არა ჰყვანდა, რომ ეს საქმე გაეგოთ და მის ბუნებურ ვითარების გამო წარემართნათ. უეჭველია, ამ მიზეზს უსათუოდ ცოტად თუ ბევრად ადგილი აქვს აქ, მაგრამ აქ რომ მარტო უკაცობას დავაბრალოთ მომხდარი ამბავი, ჩვენის ფიქრით, უსაბუთო იქნება და თუ არა უსაბუთო, წინასწარი მაინც.

ბევრი საქმეა იმისთანა, რომ თვითონ თავის გულშივე ატარებს იმ სენს, რომელიც თავის დროზე ბოლოს მოუღებს ხოლმე. ამისთანა საქმე, რაც უნდა კარგი მცოდნე და ხერხიანი კაცებიც შეხვდეს, თავს არ დაიჭერს და დღეს იქნება თუ ხვალე თავის აგებულებაში ჩამდგარს ჭირს უნდა თან გადაჰყვეს. აი ამ მხრით ეს ამხანაგობანი გამოძიებულნი არ არიან. ძნელია კაცმა გამოიძიოს იგინი მარტო იმ წესდების ავკარგიანობის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვთ დადებული ამგვარ საკრედიტო დაწესებულებათ. ესგვარი გამოძიება უფრო თეორიული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენს ამხანაგობათ მთელის ცამეტ-თოთხმეტის წლის ისტორია აქვთ: მთელის ცამეტ-თოთხმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოუვლიათ, ბევრი რამ გადაჰხედიათ, მერე არა ერთს რომელსამე ადგილას, არამედ ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველს კუთხეში, ქართლსა, კახეთსა და იმერეთში. მაგალითები ამ ამხანაგობათა ავკარგიანობისა ამ გრძელ ხანში ყველგან ბევრი მოგროვდებოდა და ეს მაგალითები რომ ხელთა ჰქონდეს კაცს, შესაძლო იქმნებოდა ცოტად თუ ბევრად უტყუარი აზრი გამოერკვია მასზედ თუ, — რა იყო ჩვენი სოფლისა და გლეხკაცობისათვის სარგო და ხელმოსაჭიდებელი ამ ამხანაგობაში და რა არა. აქედამ კაცს შეეძლო გამოეცნა რაგვარი საკრედიტო დაწესებულება უფრო ხელ-

შემწყობი იქნებოდა, უფრო სახეირო და სასურველი ჩვენებური სოფლისათვის.

დიდს მადლს დასდებდა ჩვენს სოფელს და ჩვენს გლეხკაცობას, თუ იმ ადგილის კაცი ვინმე, საცა ეს ამხანაგობანი მოქმედებდნენ, ამ მხრით ჩაუკვირდება ამ საქმეს და ბლომა საბუთებს შეჰკრებს იმის ავისას და კარგისას. აქ ერთს უდიდესს საბუთს შეადგენს თვით გლეხკაცობის აზრი. მეტად საყურადღებო იქნება ცოდნა იმისი, თუ რა თვალით უყურებენ გლეხნი ხსენებულ ამხანაგობათა, რა მიზეზით აიყარეს გული, რას მოელოდნენ და რაში გაუმტყუნდათ მოლოდინი.

ვწერთ ამას იმ იმედით, რომ ჩვენის სოფლისა და გლეხკაცის გულშემატკივარი კაცი ყურს ათხოვებს ამ წერილით წინწამოყენებულს საგანს, ადგილასვე გამოარკვევს საბუთებს და მიზეზებს ამხანაგობათა ავკარგიანობისას და ამ გზით შესაძლოდ გახდის კაცმა უფრო შესაფერებელი, უფრო კეთილად გამოსაყენი სხვა სახის საკრედიტო დაწესებულება ურჩიოს ჩვენებურ გლეხკაცობას, რაკი „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა“ ასე თვალდათვალ დაგვანახვეს თავისი უღონობა და უხეირობა.

ქუთაისის ბანკის საქმე

I

ტფილისი, 3 აგვისტო, 1890 წ.

ქუთაისის ბანკის წლევანდელ კრების გამო მითქმა-მოთქმა დღედადღე ჰმატულობს და ძლიერდება. მას აქეთ, რაც იქაურმა ზედამხედველმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა ხელმეორედ მოწვევა კრებისა, ეს მითქმა-მოთქმა უფრო გახშირდა და უფრო ცეცხლს უკიდებს უამისოდაც გაფიცხებულს და გამწვავებულს საქმესა. ამ მითქმა-მოთქმისაგან სჩანს, რომ წლევანდელი კრება იმ ჭკვადამჯდარ და გულწრფელ კაცთა კრებული-კი არა ყოფილა, რომელნიც შეყრილან საზოგადო საქმის კეთილად მოსაწყობად და გასამართავად, არამედ მოედნად გამხდარა, საცა ორი კაცი ერთმანეთს შესჭიდებია გამგეობაში თავმჯდომარეობისათვის და თვითეულს თავისი მომხრენი მოურეკნია, რომ ვნახოთ ბურთს მოედნიდამ მე გავიტან, თუ შენაო.

მართლა, რომ ამ მითქმა-მოთქმის განსაკუთრებული საგანი გამგეობის თავმჯდომარის ამორჩევაა, თითქო წლევანდელს კრებას საკუთრივ და ბანკის კრებას საზოგადოდ სხვა საინაღვლელი და საფიქრებელი არც ჰქონებია და არცა აქვს. ყველა საგანი დავიწყებულია და ასენოვანი მითქმა-მოთქმა მარტო ამ არჩევანზეა შეჩერებული და ამაზე ჰლესავს თავის ბასრს კბილსა. რა არის მართალი ამ მითქმა-მოთქმაში და რა არის ტყუილი, ამას კაცი ძნელად გამოარკვევს, რადგანაც უეჭველი და უტყუარი საბუთი ამისთანა შემთხვევაში ძნელია კაცმა ხელთ იგდოს, მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ,

რომ თუ ასში ერთი მაინც გამართლდა ის ხმები, რაც ისმის შესახებ იმისა თუ,—რა გზით, რა ღონისძიებით, რა უკადრისის საქციელით მორეკილ იყვნენ „კენჭოსნები“ ერთისაც, მეორის მხრითაც, მარტო ისღა უნდა კვნესით ვიძახოთ: ვაი რა დროს შევესწარით და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ!

თუ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტად თავს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შემწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სხვის გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა ავზნეობას შევეჩვიენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, რიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუგეშითღა გავუსწოროთ თვალი ჩვენს მერმისსა? რა პირითღა დავენახოთ ქვეყანას? რა სახელიღა გადავცეთ ჩვენთა მემკვიდრეთა თუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ასე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადავიჩეხებით?

ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ყოველნი, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ. რა თქმა უნდა, ამ სარბიელზე ჭიდილი ბუნებური მოვლენაა კაცთა საქმეთა მსვლელობაში და არვის არ ეკიჟინება. ხოლო ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზე უნდა აწონილ იყოს, უამისოდ ჭიდილი, — საზოგადო სარბიელია, თუ საცალკეო, — რყვნაა და არა წვრთნა ადამიანურ გრძნობისა, ღირსებისა და კაცურ-კაცობისა. ყოველივე მოთავე დასისა, ყოველივე ცალკე წევრი და მომხრე მისი, ყოველივე ეგრეთწოდებული „კენჭოსანი“ ამ სასწორით ხელში უნდა შედიოდეს კრებაში და ამ სასწორით მოქმედობდეს, არჩევანია, თუ სხვა საქმე რამ გასარჩევი და გადასაწყვეტი. ვინც ასე არ იქცევა, იგი ჰღალატობს თავის კაცურ-კაცობას, იგი ჰღალატობს კრებას, საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავისთავის პატრონი, თავის საკუთარის ღირსების მჭონებელი, მომვლელი და დამცველი.

ჩვენ გვემძიმება, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ჰითქმა-მოთქმა ორსავე მხარეს ერთნაირად აბრალებს უკადრისის ღონისძიების ხმარებას არჩევანის დროს, და თუ განსხვავებაა რაშიმე, მარტო ამ ღონისძიების მეტნაკლებობაშია და არა უკადრისობის მორიდებაში. ეს ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო ამბები სახელს უტეხს მთელს კრებას, მთელს საზოგადოებას, თვითეულს ცალკე წევრს კრებისას, ჩირქსა სცხებს ჩვენს ადამიანობას, ჩვენს კაცურ-კაცობას. არამცთუ დაჯერება ამ ამბებისა, გაგონებაც-კი გულს უწყლავს ყოველ კაცს, ვისაც-კი გაუგია, რა არის გრძნობა ადამიანის ღირსებისა, თავის სიმაღლიდამ ძირს დაშვებული, დაკემული.

აკი ვსთქვით, თუ ჩვენდა სამწუხაროდ, ასში ერთი მაინც მართალი გამოდგა იქიდამ, რასაც ჰლაპარაკობენ დღეს, უეჭველია დიდს საგონებელს და სანაღვლეს უნდა მივეცნეთ და ხვალინდელ უარესობის შიშმა უნდა შეგვაძრწუნოს. ნაძირალთა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თავის ლამით და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც-კი მიეკარება. თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადავუღობოთ, ვიდრე დროა, თორემ მერე გვიანღა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ!

ჩვენ შორსა ვართ, რასაკვირველია, იმაზე, რომ ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო საქციელი ან ერთს მხარეს, ან მეორეს თავზე მოვახვიოთ. ჩვენ, როგორც უკვე ვსთქვით, ამისათვის უტყუარი და უეჭველი საბუთი ხელთ არა გვაქვს, ცალიერის სიტყვისა და მითქმა-მოთქმის მეტი, და ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია ამისთანა შემთხვევაში. ხოლო ამ მითქმა-მოთქმას ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მაგალითს იმისას, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედულობით, რა სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამო-

დიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სამოქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულმა მტრობამ ვერა იპოვოს-რა ხელის მოსაჭიდებელი. აქ მცირეოდენი ეჭვიც საკმარისია, რომ ჭორმა და მითქმა-მოთქმამ თავისი საზარელი და დაუნდობელი ქსელი გააბას, რაცგინდ კაცი მართალი იყოს, და ამით პირქვე დაამხოს არამცთუ ღირსება ადამიანისა, თვითონ იგი საქმეცა, რომლის სამსახურად კაცი მოედანს გამოსულა. ესეც კია: უცეცხლოდ ბოლი არ ავარდებაო, როგორც რუსები იტყვიან, და — ვინ იცის — იქნება არც აქ გაუშლია მითქმა-მოთქმას ფრთა უმიზეზოდ. აი ეს არის სამწუხარო და სავალალო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი თვით ჩაუფიქრდებიან ყოველს იმას, რაც ამ მითქმა-მოთქმამ მოჰფინა ჩვენში, და ჭორსა და მართალს გამოარკვევენ, რადგანაც იგინი თვით საქმეში დგანან, ყოველს ჭორს თუ მართალს სათავეშივე ჰხედვენ და ამის გამო იმათს თვალს არა უნდა გამოჰპარებოდა-რა. იმედი გვაქვს, რომ, თუ რამ ამ მითქმა-მოთქმისა გამართლდა, იგინი სამართლიანის რისხვითა და წყრომით მსჯავრს დასდებენ იმას, ვისაც უკადრისობა უკადრნია, სათაკილო არ უთაკილნია და სამარცხვინო არ შერცხვენია. ჩვენა გვჯერა, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი ამ ამღვრეულს საქმეს დასწმენდენ და ქვეყნის წინაშე გამოვლენ იმ საქებურ სახელით, რომელსაც ჰნატრობს ჩვენთვის ყოველი ჩვენი კეთილისმყოფელი, და რომლის მაგალითიც არა ერთხელ უჩვენებიათ ჩვენთვის ჩვენს იმიერ მოძმეებსა, როცა ქვეყნისათვის ზრუნვას და გულისტკივილს თავისუფლად მისცემიან მათდამი უხვად მინიჭებულ მხურვალებითა და თავგამოდებითა.

ჩვენ-კი ამ მითქმა-მოთქმას ადგილს არ მივცემთ საქმის განსჯასა და განკითხვაში. აქამდინაც ხმას იმიტომ არ ვიღებდით, რომ მარტო მაგ ცალიერ მითქმა-მოთქმის ანაბარად ვიყავით და მწერლობას არ შეჰფერის საქმე განსაჯოს და განიკითხოს მარტო მით, რასაც ამბობს და ჰლაპარაკობს ას თუ ათასენოვანი მითქმა-მოთქმა. ხოლო ეხლა,

როცა ხელთ ვიგდეთ უტყუარი საბუთები საქმის გამოსარკვევად, ხმის ამოუღებლობა ცოდვად ჩავთვალეთ და აქ მარტო გულახდილობა და პირდაპირი, კუდგამოუბმელი საუბარი-ღაა საჭირო. ჩვენ ეხლა ამ საუბარს შევუდგებით. ჩვენი საგანი ის იქნება, რაც მოხდა და რამაც აწეწა საქმე, როგორც არჩევანების დროს, ისეც მას მერმეთა. ყოველ ამის საბუთები თვითონ წლევანდელ კრებისა, ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის ქაღალდებშია მოქცეული. ჩვენ მარტო ამ საბუთებს წავიმძღვარებთ და ვეცდებით თვითეულის მოქმედება მისდა კუთვნილ ნათელქვეშ დავაყენოთ.

II

ტფილისი, 4 აგვისტო, 1890 წ.

ჩვენ მინამ ვიტყოდეთ რასმე ჩვენსას მასზე — წესიერად მოხდა თუ არა გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი ქუთაისის კრებისაგან, საჭიროა ვიცოდეთ ყოველივე გარემოება ამ არჩევანისა დასაწყისიდგან დასასრულამდე. უ-მისოდ ყოველივე სიტყვა ცალიერი თქმა იქმნება, რადგანაც ხელთ არ გვექნება საბუთი განსჯისა და განკითხვისა. აი როგორ მომხდარა ეს არჩევანი თითონ კრების სიგელის სიტყვით.

არჩევანი გამგეობის თავმჯდომარისა მომხდარა 18-ს მაისს. წინა დღეს, როცა კრებას საიმდღეისო საქმეები გაუთავებია, თავმჯდომარეს კრებისას გამოუცხადებია, რომ ხვალ 12 საათზე დაიწყება კრება, რწმუნების წერილებს გადავსინჯავთ და შევამოწმებთ, მას მერმე შევუდგებით არჩევანსაო. კრება, რა თქმა უნდა, დაშლილა იმ იმედით, რომ ხვალ 12-ს საათზე ადრე არ გაიმართება კრებაო. 18-ს მაისს ადრე მოგროვილან კენჭოსნები და ახირებით მოუთხოვნიათ: ეხლავ გაიმართოს კრება, 12-ს საათს ნუღარ მოვუცდითო. თავმჯდომარე ამ ახირებულს თხოვნას დაჰმორჩილებია და 11 საათსა და 15 წუთს კრება გაუმართავს. კრების დაწყების

უმალვე 15-ს კაცს გამოუცხადებია, რომ რწმუნების წერილები გვაქვს და მიიღეთო. თავმჯდომარეს მოუხსენებია კრებისათვის, რომ ყველა რწმუნების წერილი ვერ შევამოწმეთო, რადგანაც აუარებელი წერილია და მათი გადასინჯვა და შემოწმება რამდენსამე დღეს მოინდომებსო. კრების ახირებულ თხოვნის გამოო, ამბობს კრების სიგელი, წერილების შემოწმებაც თავდანებებულ იქმნა, მორიგ საქმეთა განხილვაცა, და პირდაპირ შესდგომიან თავმჯდომარის არჩევანს. თვით კენჭის ჩამოტარების დროს, კრების ახირებულ ბრძანებითვე, ახალი რწმუნების წერილები მიუღიათ იმათგანაც-კი ვინც წევრთა სიებშიაც არა ყოფილა ჯერ ჩაწერილი. ამ სახით და წინათ წარდგენილ რწმუნების წერილების ძალით კრებაზე 1455 ხმა შემდგარა. ორს ჩამოუტარებია კენჭი, ერთს უწინდელს თავმჯდომარეს თ. დადიანს და მეორეს ბ-ნ ჩიკვაიძეს, რომელსაც ხმის უმეტესობა ჰრგებია და ამის გამო, წესისამებრ, თავმჯდომარეს ბ-ნი ჩიკვაიძე გამოუცხადებია ამორჩეულად.

ჩვენ ყოველ ამაში ერთის მხრით კრების ახირება გვაკვირვებს და მეორეს მხრით თავმჯდომარის აუხირებლობა. აშკარაა, არც კრებას სცოდნია თავისი უფლება და მოვალეობა, არც თავმჯდომარეს. ან სცოდნიათ, და არც ერთს საჭიროდ არ დაუნახავს მოქცეულიყო თვისდა უფლებისა და მოვალეობისამებრ.

კრება, მართალია, უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმართველობისა, მაგრამ ნურავის ნუ ჰგონია, რომ იგი ყოვლადშემძლებელი იყოს და რაც ინებოს, იგი ჰქმნას. აქ ყოველს ნაწილს თვითმართველობისას კანონისაგან შემოფარგლული აქვს, რა უფლების პატრონიც არის, და მარტო ამ ფარგალს შიგნით იგი ხელშეუხებელი მბრძანებელია და გამგებელი. 82 მუხლი ბანკის წესდებისა ცხადად გვაჩვენებს, რაზე მიუწვდება ხელი კრებას, რის გაჩხრეკა და განკითხვა აქვს მინდობილი. ამის გარეთ ყოველივე მოქმედება კრებისა თვითნებობაა, ძალმომრეობაა, ყოველ რიგიან კაცისაგან შეუწყნარებელი, შეუფერებელი და წუნდასადები. 82 მუხლი წესდებისა ვალად

სდებს არ-მოსულს წევრს, თუ ჰსურს, თვისი მაგიერობა, თვისი ხმა მიანდოს მარტო ან იმას, ვინც თითონ ხმის მჭონებელია, ან მახლობელს ნათესავს. ამასთან რწმუნების წერილი უნდა შემოწმებულ იქმნას ორის მოწმისაგან, და წარდგენილ სამის დღის წინათ მაინც, ვიდრე კრება დაიწყებს მოქმედებას. ეს ვალდება 82 მუხლისა ფუჭი სიტყვა იქნებოდა, თუ რომ კანონმდებელს აზრად არა ჰქონებოდეს რწმუნების წერილების წინათვე გასინჯვა და შემოწმება, რადგანაც უამისოდ ვერ გამოირკვევა, შეფერებულია თუ არა რწმუნების წერილი მასთან, რასაც ვალად სდებს კანონი. მინამ ეს მუხლი კანონისა არსებობს, კრებას უფლება არა აქვს გაუსინჯავ და შეუმოწმებელ რწმუნების წერილს ძალით ვისმე აკუთვნოს ხმა, თუ კენჭი, და თუ აკუთვნა, ეგ თვითნებობის, გაუწურთვნელ საზოგადოებურ გრძნობის ახირება იქნება და არა იგი თავდაჭერილი და სამართლიანი გამგეობა საქმისა, რომელიც ჰბადავს და აჩენს მოსაქმის მიმართ ნდობასა და პატივისცემას.

ნუ დავივიწყებთ, რომ კრება უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმმართველობისა და მით უფრო საფრთხე და საშიშია მისი თვითნებობა და უსამართლოდ ქცევა, იმიტომ რომ, თუ უმაღლესი ორგანო ბანკისა შესაძლებელ ჰხდის ძალმომხრეობით საქმის ასე თუ ისე ბრუნვას, თუ იგი არაფრად ჰხადის კანონს, რომელიც შექმნილია მარტო იმისათვის, რომ ქვეყნის წინაშე უთავდებოს წესიერება და რიგიანობა ბანკის საქმეთა სვლასა, მაშინ ვიღას უნდა მიენდოს ადამიანი? ჩვენ ვშიშობთ, რომ ამისთანა ქცევამ კრებისამ ბანკი არ მოიდნოს და თან არ გადიყოლიოს. მაშინღა გასცენ პასუხი ქვეყანას იმათ, ვინც თავგასულ ჟინისა და ახირების წყალობით კანონი ქვეშ ამოიდო და ეს ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელიც ჩვენ გვეგულებოდა ჩვენდა საწვრთნელად, სარყვნელად გაგვიხდა.

ჩვენ გვიკვირს, იმ ათას კაცში, რომელიც ამ წლევანდელ კრებას დაესწრო, ერთი როგორ მაინც არ გამოჩნდა იმისთანა, რომ კრებისათვის თვალი აეხილებინა და ეთქვა: „ამას

რას ვჩადით? როგორ ვკადრულობთ, რომ არც-კი გვინდა გავიგოთ, ჩვენთან ერთად ჩვენი მოწილე, ჩვენი მოამაგე, ჩვენი მოძმე მოსულა აქ ჩვენს საერთო საქმეზე ჰოსა და არას საითქმელად, თუ სასაცილოდ ავუგდივართ ვისმე, რაღაც ფარატინა დაუჭერია ხელში და უნდა ჩვენი ღირსება გადათელოს და თავისი საკუთარი ჟინი და თავგასულობა ჩვენდა საერთო სურვილად გადააქციოს. თუნდ ეგეც არ იყოს, თუნდ არავისაც არ ეკადროს ჩვენი მოტყუება, მაინც გაუსინჯველად რწმუნების წერილების მიღება თვითნებობა იქნება და რას იტყვიან ჩვენზე: აი, ერთად-ერთი საზოგადო საქმე აბარიათ, ერთად-ერთი საქმე აუჩენიათ, და აღარც წესს დაგიდევენ, აღარც რიგს, აუღიათ და რაც ჟინსა და ახირებას მოუწადინებია, იმას სჩადიან. არა, ნუ ვიქმთ მაგას, ნუ გავიტეხთ სახელს, ჭორსა და მითქმა-მოთქმას მიზეზს ნუ მივცემთ, რომ თავისი ჭუჭყიანი კბილი ჩაგვკიდოს და შეგვწამოს რამ. ამას ითხოვს ჩვენი საკუთარი ღირსება, მართებულობა, ჩვენი საზოგადოებური პატიოსნება, საზოგადოებური მაღალზნეობა და მოვალეობა".

მეორეს მხრით გვაკვირვებს ქცევა თვით კრების თავმჯდომარისა. კანონითა და ყველგან მიღებულ ჩვეულებით, თავმჯდომარეა სრული გამგებელი კრებისა, ხელმეუვალი მიმცემი რიგისა და წესისა. არავის ნება არა აქვს ურჩოპა რამ გაუწიოს თავმჯდომარეს, რაკი თავის თანამდებობას ასრულებს. ყოველი წევრი კრებისა ცალკე და თითონ კრებაც საერთოდ ხმაამოუღებლივ უნდა ემორჩილებოდეს თავმჯდომარის დანადგენს: თუ ვინმე აუხირდა, ნება აქვს განაძეოს და კრებიდამ გარეთაც გააყვანინოს, ნება აქვს თითონ კრებაც გააუქმოს, თუ სხვა გზა არ არის რიგისა და წესის ჩამოსაგდებად. ამ სახით თავმჯდომარე სრული და ხელშეუვალი მმართველია და გამგებელი კრებისა.

ვსთქვათ, კრებამ მართლა ახირებით ითხოვა, რომ 12-ს საათზედ კი არ დაიწყოს თვისი მოქმედება, როგორც წინა დღეს გამოეცხადებინა თვით თავმჯდომარეს, არამედ თითქმის ერთი საათის წინათ; ვსთქვათ, ერთი კაციც არ გამოჩნდა

იმოდენა ხალხში, რომ წამომდგარიყო, თავის თავის ღირსებაც დაეფარა, კრებისაც და თავმჯდომარისაცა და ეთქვა: ეს რა ამბავია? რა უწესობა და ურიგობაა, რომ 12 საათზედ მოწვეულია საკრებულოდ საზოგადოება და 11-ს საათზე-კი თვით კრებასა ვმართავთ. გვაოცებს, როგორ დაუთმო თავმჯდომარემ კრებისამ თვისი უეჭველი უფლება და დაემორჩილა ახირებას ზოგიერთისას, თუნდ მთელის ერთიანის კრებისას! იმათ რა პასუხს აძლევდა, რომელთაც, თავმჯდომარის გამოცხადებისამებრ, გულში ედვათ მოსვლა 12-ს საათზე კრებაში მონაწილეობის მისაღებად და ამ დრომდე შინ არხეინად ისხდნენ იმ იმედით, რომ მანამდე არა მოიდება-რაო.

იქნება სთქვან, ერთი საათი გინდ წინ იყოს, გინდ უკან, რა თაბაუთიაო. სცდება, ვინც ამით ჩააფუჩეჩებს ამ არსებითს შებღალვასა და შეხუთვას კრების წევრთა უფლებისას. ერთი საათიც საკმაო ხანია, რომ ერთის უჯერო განზრახვის მოწადინეებმა ერთად თავი მოიყარონ, თავმჯდომარეს ხელდახელ კრება გაამართვინონ და საქმე გადაწყვიტონ სხვების დაუკითხავად, მოპირისპირეების დაუსწრებლად. აი, სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, მარტო ამის შიშით გამოუცხადებლივ დანიშნულ დროს შეცვლა არასგზით შესაწყნარებელი არ უნდა იყოს.

ეს ერთი. მეორე, როგორ იპატია თავმჯდომარემ დარღვევა იმ ცხადის კანონისა, რომ რწმუნების წერილები სამის დღით წინათ მაინც, ვიდრე კრება დაიწყება, წარმოდგენილ უნდა იქმნას გამგეობაში, და ამის მიუხედავად თავმჯდომარემ თვით კენჭის ჩამოტარების დროს წარდგენილი წერილები მიიღო იმათგანაც კი, ვინც წევრთა სიებში ჩაწერილნიც არა ყოფილან. კრებამ ინება და თავმჯდომარე რას იქმოდაო, იტყვიან. როგორ თუ კრებამ ინება? კრებას რომ ენება და მოეთხოვა, ბანკის კასა გააღე და ფულები ჩვენ დაგვირიგეო, ნუთუ ამ თხოვნას, თუნდა დიდის ახირებითაც გამოთქმულს, დაემორჩილებოდა თავმჯდომარე, აქაო და ნებაა კრებისაო. კანონი თვით კრებაზე უმაღლესია და იქ, საცა კანონია, თავ-

მჯდომარემ ხმაც არ უნდა ამოაღებინოს კრებას. ეს, მისი პირდაპირი მოვალეობაა.

ან ოთხას-ხუთასი, თუ ამაზე მეტი, რწმუნების წერილი როგორ ამოქმედა თავმჯდომარემ გაუსინჯავად და შეუმოწმებლად? მართალია, სიგელშია მოხსენებული, რომ ეს მოხდაო „по настоятельному требованию собрания“, მაგრამ განა თავმჯდომარე ამ „настоятельное требование“-ს კრებისას ვერ მიაგებებდა „настоятельное требование“-ს კანონისას და ვერ იტყოდა, რომ მე ნებას არ მივცემ კრებას ყოველივე ფარატინა აქ ვექილობის საბუთად ამოქმედოს, ვიდრე ჯეროვანის გზით არ გამოირკვევა, რომ იგი მართლა რწმუნების წერილია, ბანკის წევრისაგან გამოღებული, და ბანკის წევრსა ან მის მახლობელს ნათესავსა აქვს მიღებული?

ან თვით კრებამ როგორ შეიშვნია, როგორ შეიფერა,— ამაზე უფრო მეტს ვიტყვით, — როგორ იკადრა, რომ რიგიანობა, წესიერობა გადათელა, გაუსინჯველ, შეუმოწმებელ რწმუნების წერილების ძალით საზოგადო საქმეში ვისმე ხმა აკუთვნა და მით მოქმედება მთელის კრებისა საერთოდ და თითოეულის წევრისა ცალკე საეჭვოდ გახადა, ჭორსა და მითქმა-მოთქმას პირში მისცა ბრალიანისა და უბრალოს თან გასატანად.

ჩვენ ყოველს ამას არ დავიჯერებდით, თუ ამისი საბუთი, დაწერილი და თვით კრების თავმჯდომარისაგან ხელმოწერილი, წინ არ გვედვას, კიდევ ვიტყვით, იმ ათას კაციან კრებულში ერთმა მაინც როგორ არ იგრძნო მთელი უკეთურობა, მთელი წინდაუხედაობა, მთელი უკადრისობა ამისთანა საქციელისა, რომელიც უფრო მუშტის გაძალიანებასა და ძლევამოსილობასა ჰგავს, ვიდრე ჰკვადამჯდარ გონიერების განსჯასა და განკითხვას? როგორ ერთი ვინმე არ აიმღვრა სულითა და გულით და სამართლიანის რისხვა-ჭექით არ აუხილა კრებას თვალი ამისთანა საქციელზედ? ჩვენდა სამწუხაროდ, კრების სახელით შემდგარს სიგელში კვალიც არ არის იმისი, რომ ამისთანა ამბავი შეენიშნოს ვისმე და ხმა ამოელოს. ხუმრობაა, საზოგადო საქმის გადაწყვეტილებაში

ოთწას-ხუთასი* ხმა ერიოს და არ იცოდნენ კი, ეს ამოდენა ხმა ვისია, საიდამ არის და როგორ არის დაჩემებული!

რა გამოვიდა ეხლა ყოველ იმისაგან, რომ ამ უწესოებამ ხმაამოუღებლივ ჩაიარა და არც კრება და არც მისი თავმჯდომარე თავთავის დანიშნულებას არ მიჰყვნენ. ისა, რომ როცა არჩევანი გათავდა, მხოლოდ მას მერმედ დაინახეს თვისი ნახტომი. დამარცხებულები მხოლოდ ეხლა სწამებენ გამარჯვებულებს, თქვენ გაიმარჯვეთ იმისთანა რწმუნების წერილების შემწეობით, რომელნიც, თუ გასინჯულ ყოფილიყვნენ, გაბათილდებოდნენ, როგორც უწესურად შედგენილნიო. რატომ ესეთივე ცოდვა დამარცხებულებს არ უნდა მოეკითხოთ? ეგ დალოცვილები, მაშინ სად იყვნენ, როცა სხვებთან ერთად იძახოდნენ კრებაზედ: არ უნდა გასინჯვა წერილებს, გაუსინჯავად მივიღოთო! და თუ ამას არ იძახოდნენ, ხმაამოუღებლივ რათ ჩაატარეს ეს ამისთანა ამბავი? თუ მართლა რწმუნების წერილებში ზოგიერთი, ან სულ ერთად გასაბათილებელი იყო და ამასში დამარცხებულნი უცოდველნი იყვნენ, მათი საკუთარი ანგარიში მაინც ხმას ამოაღებინებდა, რომ სხვა არა ყოფილიყო-რა. სჩანს, ყველა ამ წერილების იმედზედ ყოფილა, ვნახოთ კენჭი რას იტყვისო, და მერე ჩვენ ვიცითო. ნუთუ ურემი რომ გადაუბრუნდაო. მარტო მაშინ დაინახეს გზა და საფლობი!..

ბრალი ეხლა თანასწორად ყველას ედება და ყველამ უნდა იტვირთოს ის მძიმე პასუხისგება, თუ ვინიცობაა ამისთანა უწესოებამ ბანკის საქმე პირქვე დაამხო. ეს პირქვე დამხობა ადვილად მოსალოდნელია, თუ რომ უკეთესმა ნაწილმა ბანკის საზოგადოებისამ მთელი თვისი მხნეობა არ იხმარა, მთელი გულწრფელი და უანგარო სიყვარული საქმისა არ მოიშველია, და ეს უკადრისი, უვარგისი „მეობა“ არ გან-

* თუმცა ზედამხედველი კომიტეტი ამბობს, რომ რწმუნების წერილები ათასამდე იყოო, მაგრამ სიგელი კრებისა იმოწმება, რომ კრებამ დაიწყო მოქმედება **„при наличности 1020 членов имеющих 1455 голосов.“** თუ ამ უკანასკნელს დავუჯერეთ, სჩანს, რომ რწმუნების წერილები სულ 435 ყოფილა და, **რა თქმა უნდა,** ამოდენავე ხმა იქნებოდა ვექილობით.

დევნა ბანკის საქმეებისაგან და მარგებელი და პატიოსანი „ჩვენობა“, ეხლა ამ წინდაუხედავ „მეობისაგან“ მიწასთან გასწორებული, ფეხზე არ წამოაყენა მთელის მისის სახელითა და დიდებით. ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული „მე“ საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ“ უნდა ჰღალადებდეს. უამისოდ ეს ერთად-ერთი საზოგადო საქმე, რომელიც ქვეყნის სიყვარულმა შეჰქმნა ჩვენში და იმედი გვქონდა, რომ ქვეყნის სიყვარულივე ძუძუს მოაწოვებს და გაზრდისო, ჩვენისავე ხელით სამარეს გაითხრის და ჩვენს სახელს შეაზარებს ჩვენთა შვილთა და მომდევართ.

ჩვენ აქ უწესოება კრებისა ვახსენეთ არა იმისათვის, რომ მის განაჩენების შეწყნარება არა გვწადდეს. ვიდრე ეგ განაჩენები არსებობენ და ჯეროვანის გზით არ გაბათილდებიან, — თუ საამისონი არიან, — იმ დრომდე ჩვენ ნება არა გვაქვს იგინი არ შევიწყნაროთ, არ ვიყაბულოთ. ხოლო ჩვენ გვსურს, რომ ამისთანა უწესოებას შემდეგში მაინც ადგილი აღარა ჰქონდეს და მით მოქმედება კრებისა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს. უამისოდ ბანკის საქმეთა სვლა შეუძლებელია. ეხლა-კი მეტი გზა არ არის, კრების განაჩენებზედ უნდა დავდგეთ და იმის დანადგენს საერთოდ, და არჩევანების შესახებ ცალკე, უნდა დავემორჩილნეთ.

მით უფრო, რომ ეხლა საქმე ამ განაჩენების გაუქმებაზედ არ არის მიმდგარი და არც ეს გარემოება აწუხებს ყოველს ჩვენს გულშემატკივარს. საგანი ეხლანდელის გამწვავებისა და განსაცდელისა სულ სხვაა. ეს საგანი იგი განხეთქილებაა, რომელიც ჩამოვარდა ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობის ახალ თავმჯდომარის შორის მას მერმე, როცა კრებამ თავისი გაათავა და დაიშალა. აქ არის იგი ტკივილი, იგი იარა, იგი მუწუკი, რომელიც ზედ ააჩნდა მთელს ტანს ბანკისას და ჰლამის ბანკი თან გადიტანოს, თუ თავის დროზე სიფრთხილით და გონებადადებით არ გამოირწყო და თუ ბანკის კეთილის მოსურნეთ არ გამოიჩინეს იგი მხნეობა და მედგრობა, რომელიც ერთადერთი სახსარია ამისთანა განსაცდელისაგან მშვიდობით გადარჩენისათვის.

III

ტფილისი, 7 აგვისტო. 1890 წ.

ადვილად ასაკინძი და გამოსარკვევი არ არის იგი საოცარი, დაუჯერებელი ამბები, რაც არჩევანის შემდეგ ქუთაისის ბანკში მოხდა და. რამაც ისეთნაირად არია და აჭიკჭყნა საქმე, რომ ბანკს თითქმის ორმოს უთხრის გადასაჩეხად, და ისინი-კი, ვისის მოწყალებით ამ განსაცდელში ჩავარდა ბანკი, მარტო იმის ცილობაში არიან, ღრამატიკა მე უფრო უკეთ ვიცი, თუ თქვენაო. ამ ამბებში ბევრი რამ სასაცილოა, რომ ასე სამწუხარო არ იყოს, რადგანაც აქ საზოგადო საქმეა ჩარეული, ბევრი რამ მეტია, ბევრი რამ მარტო ენის ქავილისაგან არის ცუდუბრალოდ ჩართული, და უფრო უხეირო და ფეხმოკლე ფანდებსა ჰგავს, ვიდრე პატიოსანს სურვილს საქმის ახსნისას, საქმის დახსნისას განსაცდელისაგან.

ყოველ იმას, რაც ამ ამბებში მეტია და ცუდუბრალოდ მიდებ-მოდებული, რომ ყური ვათხოვოთ, გეგონებათ განგებ დანაძლევებულან, საქმე ისეთს კვამლსა და მჭვარტლში გაჰხვიონ, რომ მისი არც თავი სჩანდეს, არც ბოლო. არსებითი დედაგული საქმისა ბნელ კუთხეში მიაგდეს, ადამიანის საღს თვალს მიუმალეს და ეხლა „მე თუ შენაობის“ საქანელაზე ჰქანაობენ და „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს ხმაზე ბუქნას უვლიან. საზოგადოება უყურებს და ჰკვირობს, — ეს რა ამბავი ეწვია, ეს რა ხათაბალაში გაება ბანკის საქმე, ადამიანის გონება თავის კოჭაკებს მოსწყდა და თავდაყირა დაეკიდა, თუ სხვა რამ ღვთის წყრომაა ჩვენზე მოვლენილიო.

თითონ დედაგული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ღერო საქმისა, მეტად სადაა და ურთული, მეტად ადვილად დასანახია მთელის მისის სიგრძე-სიგანით, თუ ჩამოვაცლით ყოველ იმას, რაც მეტია და რაც უფრო მიდებ-მოდებას და გაძვრენ-გამოძვრენის ფანდებსა ჰგავს, ვიდრე საქმის თვალსაჩენად დაყენებას.

19-ს მაისს ქუთაისის ბანკის კრებამ გაათავა თავისი საქმეები და დაიშალა. თანახმად არჩევნისა, ძველი თავმჯდო

მარე გამგეობისა გადადგა და ახალმა დაიჭირა თავისი თანამდებობა. ორი ახლად ამორჩეული წევრი ზედამხედველ კომიტეტისაც თავ-თავის ადგილას დასხდნენ. ყოველ ამის მნახველს კაცს ეგონება, რომ საქმე ჰლამის თავის ჯეროვანს გზაზედ დადგომასა და სვლასაო. 29 მაისამდე ეგრეც იყო. ხოლო ამ დღეს ზედამხედველ კომიტეტს მიერთვა არზა, ექვსის კაცისაგან ხელმოწერილი. ჩვენ ამ არზის საგანს მოკლედ მოვიხსენიებთ, მით უფრო, რომ აქ ამ არზას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, და თუ საჭიროდ დავინახეთ მისი ხსენება, მარტო იმისათვის, რომ იგი ტყუილუბრალოდ ხელზე დაიხვიეს და ჰსურთ საბუთად გამოიყენონ.

ამ არზაში სწერია, რომ გთხოვთ შემდეგი გარემოებანი შეამოწმოთ და შემოწმების ასლი (კოპიო) მოგვცეთო: 1) რომ დღეს-აქამომდე არც ერთი განაჩენი კრებისა არ არის დაწერილი და სიგელში მოქცეული, 2) რომ არც ერთი რწმუნების წერილი არ იყო წარდგენილი გამგეობაში სამი დღის წინათ კრების დაწყებამდე, როგორც წესდება ჰთხოულობსო, 3) რომ თავმჯდომარემ კრებისამ საქვეყნოდ გამოაცხადა. რწმუნების წერილები გარჩეულნი და შემოწმებულნი არ არიანო და მაინც ეს წერილები ამოქმედაო, 4) რომ დანიშნულ საათზე ადრე თავმჯდომარემ მოახდინა კრებაო. ბოლოს მოარზენი ითხოვენ, რომ თუ ყოველივე ეს მართალი აღმოჩნდა, ზედამხედველი კომიტეტი მოვალეა ყოფილი საზოგადო კრება კანონიერად არ იცნოს და ყოველი მისი განაჩენი გააუქმოს და ახალი კრება მოიწვიოსო.

30-ს მაისს, ესე იგი ამ არზის მეორე დღეს ზედამხედველ კომიტეტს დაუდგენია, ხსენებულ არზაში მოხსენებული გარემოებანი გამოირკვეს და „вопрос оставить открытым до следующего собрания комитета“. 31-ს მაისს იმას მოარზეთა შეუტანიათ კომიტეტში სხვა ახალი არზა და უთქვამთ, რომ ჩვენი წინანდელი საჩივარი შეეხება მარტო იმ განაჩენებს კრებისას და არჩევანს, რომელნიც კენჭის ყრით გადასწყდაო.

2-ს თიბათვეს შეყრილა ზედამხედველი კომიტეტი, ხელ-

ახლად მოუსმენია თვის თავმჯდომარისაგან მოხსენება იმ არჩევის თაობაზე, რომელიც ექვსმა კაცმა წარუდგინა 29 და 31 მაისს, და დაუდგენია: გადისინჯოს ყველა, რაც რწმუნების წერილები იყო წარდგენილი წლევანდელ კრებაში — для обнаружения правильности полномочий, მიენდოს ეს საქმე კომიტეტის წევრს ან ნ. ლორთქიფანიძეს, ეთხოვოს დაუხანებლივ შეუდგეს ამ შრომას და, რაც აღმოჩნდება, მოახსენოს კომიტეტსჯ. მთელს კრებას კომიტეტისას, ექვსის წევრისაგან შემდგარს, ხელი უწერია ამ განაჩენზე უარის უთქმელად, და მაშასადამე, უეჭველი ყოველის წევრის აზრი და სურვილი ესა ყოფილა.

ბ-ნი ლორთქიფანიძე შესდგომია თვისდა მინდობილ საქმეს და 5 ივნისს გადაუცია კიდეც გამგეობისათვის კომიტეტის განაჩენი 2 ივნისისა, მაგრამ, როგორცა სჩანს, გამგეობას არ დაუნებებია რწმუნების წერილები. საქმის სისრულისათვის საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ 6 ივნისს შეუტანია ქაღალდი გამგეობაში 125 კაცს, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენ შევიტყეთ, ვითომც კომიტეტს მიუღია თავის-თავზე უფლება განიკითხოს მოქმედება უკანასკნელის კრებისა, რომელიც უმაღლესი ორგანოა და არ ექვემდებარება მისგანვე დაყენებულ ზედამხედველ კომიტეტის ზედამხედველობას, ამიტომ ვიწვევთ გამგეობას წესდება არავის დაარღვევინოს და უფლება საზოგადო კრებისა ხელშეუხებელ ჰყოს; ეს ჩვენი განცხადება ეუწყოს კომიტეტსა და თუ იგი მაინც თავის მინდობილობის საზღვარს გადავა, ყოველივე მოხსენდეს საზოგადო კრებასაო.

7 ივნისს ახალს თავმჯდომარეს ბ-ნ ჩიკვაიძეს მოუხსენებია გამგეობისათვის ბ-ნ ლორთქიფანიძის მინდობილობაცა და ზემოხსენებული განცხადებაც 125 კაცისა, და გამგეობას დაუდგენია, რომ რადგანაც ეს ორი ქაღალდი ისე მჭიდროდ დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, რომ საგანი პირველისა არ უნდა იქმნას გადაწყვეტილი, ვიდრე გამგეობას არ ეცოდინება რას იტყვის კომიტეტი მეორე ქაღალდის გამო, ამიტომ აღსრულება იმისი, რაც ბ-ნ ლორთქიფანიძემ ითხოვა,

დარჩეს სამერმისოდ (оставить открытым) და ასლი ამ განაჩენისა გადაეცეს კომიტეტს ხსენებულ ქაღალდებთან ერთად.

11 ივნისს თავმჯდომარეს კომიტეტისას მოუხსენებია, რომ გამგეობამ არ შეასრულა განაჩენი კომიტეტისა და არ დაანება ბ-ნ ლორთქიფანიძეს რწმუნების წერილებიო. ამის გამო კომიტეტმა დაადგინა — ხელახლად მოეთხოვოს გამგეობას სამის დღის განმავლობაში შეასრულოს განაჩენი კომიტეტისა 2 ივნისისა, და იმის შესახებ-კი, რომ ამ აუსრულებლობის უადგილო მიზეზი უჩვენებია გამგეობას თავის 7 ივნისის განაჩენში, ცალკე ვიქონიოთ სჯაო. ამ ხანად ხუთის წევრისაგან სამს ერთხმობით მოუწერია ხელი ამ განაჩენისათვის და ორს-კი განაჩენზე დაუწერია, რომ ამას წინათ კომიტეტმა მოისურვა რა გადახილვა რწმუნების წერილებისა, სახეში უმთავრესად ისა ჰქონდაო, რომ შეიტყოს საქმის ვითარება და შემდეგისათვის რაიმე წესი გამოარკვიოს იმ ბოროტმოქმედების თავიდამ ასაცილებლად, რომელიც აწ არსებულ წესსრწმუნების წერილობით ვექილობას მოსდევსო. ის-კი, — შეუდგება თუ არა კომიტეტი აღმოჩენილ საბუთების ძალით წლევანდულ კრების განაჩენების გაუქმებას, განუსჯელი და გადაუწყვეტელი დარჩაო. ამიტომ და იმის გამოც, რომ საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო, ამბობს ამის დამწერი წევრი ბ-ნი ლოლუა, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნიაო: 1) ეხლავ გადაწყდეს, — კომიტეტი სცნობს თავის თავს იმ უფლების მქონებლად, რომ განიკითხოს და გააუქმოს საზოგადო კრების განაჩენები და 2) შეუდგეს და განიხილოს რწმუნების წერილები და მთელი წარმოება საქმეთა ბანკის დაარსების დღიდამ აქამომდე. ამას ხელს აწერს წევრი კომიტეტის ბ-ნი ლოლუა, და წევრივე ბ-ნი ჯორჯიკია, რომელიც ამბობს, თანახმა ვარ ბ-ნ ლოლუას აზრისაო.

21 ივნისს ზედამხედველ კომიტეტმა, მოისმინა რა მოხსენება თავის თავმჯდომარისა მასზე, რომ დღეს-აქამომდე გამგეობა ბანკისა არ ასრულებს კომიტეტის განაჩენებს 2 და 11 ივნისისას, დაადგინა: წესდების (§ 78, მუხლი 15) ძალით აღძრას საქმე შესახებ გამგეობის წევრთა და მის თავმჯდო-

მარის პასუხისგებისა, ამ უკანასკნელთ მოეთხოვოს პასუხი, და ამისათვის ორი დღე ვადა მიეცეთ ამ დროიდამ, როცა ამის განაჩენს მიიღებენ*.

გამგეობამ 25 ივნისს თავისი პასუხი წარუდგინა კომიტეტს, და ამ პასუხის შედეგი ის იყო, რომ კომიტეტმა 2 ივლისს განაჩინა, გადაყენებულ იქმნას გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ჩიკვაიძე თანამდებობისაგან, ეს განაჩენი წარედგინოს განსასჯელად საგანგებო საზოგადო კრებას, რომლის მოსაწვევად დაინიშნოს 2 სექტემბერი, და დანარჩენ წევრთა პასუხისგების საქმე გაუქმდეს. ამ განაჩენზე ორს წევრს ხელი მოუწერია და არა ჩაურთავს-რა, სამს დანარჩენთ წევრთა შორის ერთს ჩაუწერია, მე ჩემს ცალკე აზრზე ვდგევარ შესახებ გამგეობის თავმჯდომარის პასუხისგებისა და სასჯელისაო, ორს-კი მოკლედ დაუწერიათ: ჩვენ ცალკე აზრისანი ვართო.

16 ივლისს წევრმა კომიტეტისამ ბ-ნ ლოლუამ კომიტეტში განცხადება შეიტანა და სხვათა შორის ამბობს, რომ კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე ოთხი სხვადასხვა აზრი შესდგა შესახებ გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ჩიკვაიძის პასუხისგებისა, და, მაშასადამე, ამის შესახები განაჩენი ხმის უმეტესობით არ არის დადგენილიო, ამის გამო მე ჩემის მხრით საჭიროდ ვრაცხ იგი განაჩენი ხელახლად გასინჯულ იქმნასო.

ჩვენ ჯერ-ხანად ამაზე შევწყვეტთ ჩვენს საუბარს. მართალია, ყოველივე ეს, რაც აქ მოვიყვანეთ, წასაკითხად და მოსასმენად მოსაწყენია, მაგრამ მეტისმეტად საყურადღებო მაგალითი კია იმისი, თუ რა გზით შესაძლოა მარტივი, ადვილად დასანახი და გასათავებელი საქმე კაცმა ასჭიჭყნოს და ცუდუბრალოდ გააჭიანუროს.

---

* ამ 21 ივნისსვე კომიტეტში შეიტანეს ახალი არზა, 50 კაცისაგან ხელმოწერილი, ხოლო ამ არზას არ ვიხსენიებთ, რადგანაც საქმის გამოსარკვევად არაფრად საჭიროა, თუმცა სათვალავში-კი ჩასაგდებია იმის მაგალითად, თუ რა ცუდუბრალოდ იხარჯება მელანი და ქაღალდი.

IV

ტფილისი, 8 აგვისტო, 1890 წ.

ჩვენ წინა მეთაურ წერილიდამ ვნახეთ რა ცუდუბრალო წრიპინი ასტყდა კალმებისა ქუთაისის ბანკის უკანასკნელ საქმისა გამო იმათ შორის, ვინც მახლობელნი გამგებელნი არიან ბანკისა, და ვინც, მაშასადამე, საზოგადოებისაგან მინდობილ საქმეს უნდა აკეთებდნენ და არა კალმებს აწრიპინებდნენ საჩხირკედელაოდ. ყოველივე ეს რომ ცხრილში გავატაროთ, დავანიავოთ, ჩალა-ჩულა ნიავს გავატანოთ და დასარჩენი დავანარჩუნოთ, რა ურთული, რა სადა და მარტივი საგანი დაგვიდგება თვალწინ განსაკითხად, ოღონდ-კი სურვილი ყოფილიყო საქმე ისე დაენახათ, როგორც არის და არა ცდილიყვნენ ბანზე სიტყვის აგდებას. საქმე მთელის მისის სიგრძე-სიგანით ადამიანის ხელის გულზე დაეტევა და ხელის გულსავით ცხადი და აშკარაა.

ზედამხედველმა კომიტეტმა მოითხოვა რწმუნების წერილები, რომელნიც წლევანდელ კრებაში წარდგენილ იყვნენ და რომელნიც როგორღაც ხელთ ჩავარდნია ახალს თავმჯდომარეს გამგეობისას, და ბ-ნი თავმჯდომარე არამცთუ ამ წერილებს, წევრთა სიებსაც-კი აღარ ანებებს ჯერ თითქმის მთელის გამგეობის სახელითა და მერე თავის საკუთარით. აი ავი და კარგი ამ საქმისა, აი დედაგული მისი რაშია. ერთი გვიბრძანეთ, აქ რა დიდი ლარი და ხაზილა უნდოდა, რა გაბმა-გამობმა, რა ღობე-ყორეს მოდება, რა ბანზე სიტყვის აგდება და გაძვრენ-გამოძვრენა. აქ ერთის მხრით კანონიერი ქცევაა, მეორეს მხრით ყოვლად უკანონო და არასგზით არ შესაწყნარებელი ურჩობა.

აქ თუ საკითხავია რამ, მარტო ისა, რომ აქვს თუ არა ზედამხედველს კომიტეტს ნება და უფლება რაიმე სიგელი ბანკისა საერთოდ და რწმუნების წერილები საკუთრივ მოი-

თხოვოს ერთის მხრით. და მეორეს მხრით ჯერ გამგეობას ერთად, და მერე მის თავმჯდომარეს ცალკე, კანონი და საბუთი რამ მიუძღოდა, რომ გაუჯიუტდა და მოთხოვნილი არ დაანება? გამგეობა ერთად და მისი თავმჯდომარე ცალკე მოვალენი არიან ყოველივე კანონიერი განაჩენი ზედამხედველ კომიტეტისა ხმაამოუღებლივ აასრულონ, თუ არა ჰსურთ პასუხისგებაში მიეცნენ. ამას აშკარად ამბობს § 78 წესდებისა, რომ ზედამხედველს კომიტეტს არამცთუ აქვს უფლება, მოვალეობა ადევს წესიერად სვლას ბანკისას დღედაღამ თვალყურს ადევნებდეს, მის სარგებლობას ჰზრუნავდეს, წესდების ასრულებას სცდილობდეს, და თუ ავი რამ შეამჩნია, ჯეროვანი ღონისძიება იხმაროს ამ ავის ასაცილებლად, ეს აშკარადა სჩანს § 78-ს მეთექვსმეტე მუხლიდამ.

მაშ როგორ და რა გზით შეასრულებს კომიტეტი ამ დიდს მოვალეობას, თუ ბანკის ქაღალდების გასინჯვის ნება არა ჰქონდეს? ზედამხედველმა კომიტეტმა დაინახა, — აქ სულ ერთია სხვამ დაანახვა, თუ თითონ თავისით დაინახა, — რომ წლევანდელ კრებაში უწესოება იყო: რომ ჯეროვანი რწმუნების წერილები არ იყვნენ წარმოდგენილნი, და მოიწადინა ამ რწმუნების წერილების გადახილვა, ვსთქვათ, თუნდ იმ აზრით, რომ აღმოაჩინოს ავკარგიანობა ვექილობისა,—ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ამისი უფლება არა აქვს კომიტეტს, ესე იგი იმ კრებულს, რომელსაც კანონი ვალად სდებს თვალყური ადევნოს წესდების აღსრულებას, და თუ ბოროტმოქმედებაა რამ, მიიღოს შესაფერი ღონისძიება ამ ბოროტმოქმედების განსაძევად. ნუთუ შესაძლებელია აქ ორი სხვადასხვანაირი აზრი კაცმა იქონიოს, თუ განგებ კაცი გონების თვალს არ დაიხშობს! ნუთუ შესაძლებელია, — რომელსამე წევრმა ზედამხედველ კომიტეტისამ ამ უეჭველის უფლების შებღალვა არ ითაკილოს, ყური მოიყრუოს, თვალი დაიხუჭოს ამისთანა საქციელზე, რომელიც ერთის მხრით სრულად აუქმებს ზედამხედველობას კომიტეტისას და მეორეს მხრით აბატონებს თვითნებობას, ურჩობას, უჯათობას გამგეობისას, თუ მის თავმჯდომარისას.

იმის მაგიერ, რომ ჯეროვანის გულისწყრომით თავი გამოიდოს ამ შებღალულ უფლების აღსადგენად, ამ თავდაუჭერელ თვითნებობის განსადევნად, კომიტეტის რომელსამე წევრმა განა რაღაც ფარატინები უნდა სწეროს სიტყვის ბანზე ასაგდებად? მაშ რა არის, თუ სიტყვის ბანზე აგდება არა, ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრი, 11 ივნისის განაჩენზე* ზედმიწერილი? აქ საკითხი ის იყო, გამგეობა თუ თავმჯდომარე მისი ეურჩება ჩვენს კანონიერს განაჩენსა და რა უნდა ვქნათო, ეს ორი წევრი კი მოჰყოლია და იძახის: ჯერ გადავსწყვიტოთ, ნება გვაქვს, თუ არა საზოგადო კრების განაჩენები განვიკითხოთ და გავაუქმოთ, და თუ მაინცდამაინც არ იშლით წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვას, მაშ საჭიროა წინანდელი წერილებიც და მთელი საქმეები ბანკისა დასაწყისიდამ დღევანდლამდე სულ ერთიანად გადავსინჯოთო. ძალიან კარგი, რატომ არა, მაგრამ ერთი მეორეს რას უშლის? ახლა გამგეობას, თუ მის თავმჯდომარეს, რომ ეს ამოდენა საქმეები კვლავაც არ დაენებებინა, ნეტა მაშინ რაღას იტყოდნენ ეს ორი ცალკე აზრის წევრნი? ეს ამბავი ამნაირ გამგეობისაგან, ამისთანა თავმჯდომარისაგან, ხომ ადვილად მოსალოდნელია, ადვილად საგულვებელი, იმიტომ რომ მაგალითი თვალწინ ჰქონდათ.

ნუ დაივიწყებთ ამასაც, რომ 2 ივნისის განაჩენისაგან სჩანს, რომ ამ ორ წევრსაც სხვებთან ერთად საჭიროდ დაუნახავთ წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვა და სხვებთან ერთად მოუთხოვნიათ ეს წერილები და, როცა გამგეობას ურჩობა გაუწევია და ეს წერილები არ დაუნებებია, მხოლოდ მაშინღა შარსავით მოუდვიათ, რაღა მარტო წლევანდელ წერილებს გადაჰკიდებიხართ, თუ ეგრეა, მთელი საქმეები ბანკისა გადავსინჯოთ თავიდამ ბოლომდე და მასთან ერთად წინანდელი რწმუნების წერილებიცაო. ეს აქ რა მოსატანი და ჩასართავია, თუ კაცს გული გულის ადგილასა აქვს და თუ გონება სხვაგან არ უქრის. ნუთუ უფიქრიათ, —

* იხ. „ივერია“ № 199, გვერდი მე-2, სვეტი 1-ლი.

კომიტეტი ამ შრომის სიდიდეს შეუშინდება და წლევანდელ წერილებსაც ამის შიშით თავს დაანებებსო? სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთს შებრუნებას სიტყვისას, ასეთს სამატსა და ჩასართავს იქ, საცა ლაპარაკია, გამგეობა ვჭრ გვანებებს წერილებსა და რა ვქნათო. უკაცრაოდ-კი ვართ და ყოველ ამაში ყველაფერია, გარდა გულწრფელობისა და საქმის სიყვარულისა.

ან რა საჭირო იყო, რომ 125 კაცი მოცლილა და გამგეობისათვის უთხოვნია, არიქა, საზოგადო კრების უფლებას ემუქრებიან, ამ უფლების ჩამორთმევას ჰლამიან, და აბა, თუ კაცები ხართ, თავი გამოიდეთ და საზოგადო კრების ციხე-ქალაქი გაიმაგრეთო. მერე ვინ ემუქრებოდა, ვინ ჰლამობდა, რომ ტყუილუბრალოდ გარჯილა, ერთი და ორი კაცი კი არა, მთელი ას ოცდახუთი? ნუთუ ზედამხედველი კომიტეტი, ესე იგი ის მათ მიერვე რჩეულთა კრებული, რომელსაც, როგორც თვითონ იმათვე, ისეც მთელმა საზოგადოებამ მიანდო, თვალყური გეჭიროს, რომ წესი და რიგი, საზოგადო სარგებლობა არავინ საერთოდ და გამგეობამ საკუთრივ არ მოიდნოს და ქვეშ არ ამოიდოსო? როგორ? ვის მეთვალყურედაც დანიშნულია კომიტეტი, იმასვე ეხვეწებიან, კომიტეტისაგან დაგვიხსენიო? მერე ვინა? წევრნივე იმ კრებისანი, რომელმაც ზედამხედველი კომიტეტი ამოირჩია და დაავალა გამგეობის ავკარგიანობა ეხლა შენთვის ჩაგვიბარებია, შენ იცი და შენმა გონიერებამ, როგორ უპატრონებ, როგორ მოუვლი, ცუდსა და ავს წინ როგორ გადეღობები და კარგს როგორ შეეწევი და წინ გაუძღვებიო.

ან სად არის აქ მუქარა რისიმე? კომიტეტს ერთი სიტყვაც არ წასცდენია მასზე, თუ გაუქმება საზოგადო კრების განაჩენებისა ჰსურს. ამის მოწმად თვით კომიტეტის დანადგენები არიან.

ჩვენ გავიგეთო, ამბობს ის 125 კაცი, და ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრიც გაუბედავად გვანიშნებს, რომ ამაზე კერძოდ ლაპარაკი ჰქონიათო კომიტეტის წევრთა. იქნება

ასეც იყო, მაგრამ „გავიგეობით“ საქმის აშლა, რელაციების წერა? კერძოდ ნათქვამი აზრი ერთისა თუ მეორის წევრისა მთელის კრებულის განაჩენი ხომ არ არის, და თუ არის, ეს განაჩენი გამოაქვეყნონ. არა, აქ ან ეს 125 კაცი და მათთან ერთად ბ-ნები ლოლუა და ჯორჯიკია თვალხუჭუნობას ჰთამაშობენ, ან არა-და გულთამხილაობას ჰჩემობენ და გულთმისნობას აჰყოლიან.

იქნება აქ მიზეზად ხელზე იხვევენ ექვსის კაცის არზას, საცა ამათ თავის-თავისათვის მეტი ნება მიუციათ და ზედამხედველ კომიტეტს ჰკუას ასწავლიან როგორ მოიქცეს, და თუ ვინიცობაა მოარზეთა მიერ შენიშნული უწესოებანი გამართლდნენ, ჰთხოულობენ, რომ საზოგადო კრების განაჩენები, ჯერ სულ ერთიანად და მერე მარტო არჩევანები, გააუქმეთო. ამ ექვსის კაცის თქმა განა უსათუოდ იმას მოასწავებს, რომ კომიტეტი არც აიღებდა, არც დაიღებდა და ამ ნათქვამს აჰყვებოდა? იტყვიან, მაშ თავის განაჩენში რად მოიხსენია კომიტეტმა იგი არზა ექვსის კაცისაო, თუ აყოლა არ უნდოდაო?

ნუ დაივიწყებთ, რომ იმ არზაში ორი საგანია და ამ ორში ერთისათვის უსათუოდ ყური უნდა ეთხოებინა კომიტეტს, თუ თავის მოვალეობის ღალატი არ უნდოდა. ამ არზაში ნაჩვენებია რამდენიმე უწესოება საზოგადო კრებისა და სხვათა შორის რწმუნების წერილების უვარგისობაცა. კომიტეტმაც სრულის მისდამი მინიჭებულ უფლების ძალით და თანახმად თვისის მოვალეობისა დაადგინა, რომ ყოველ ამას გამოძიება და შემოწმება უნდა, და რადგანაც სხვათა შორის რწმუნების წერილებზეა ეჭვი შემოტანილი, საჭიროდ დაინახა იგინიც მოეთხოვნა. არვინ იცის, ამ გამოძიების შემდეგ რა გზას დაადგებოდა კომიტეტი. ეს-კი აშკარაა, რომ მცირეოდენ დაკვირვების შემდეგ თვითონ კომიტეტი არ გაჰბედავდა გაუქმებას კრების განაჩენებისას, იმიტომ რომ ეს მისი საქმე არ არის, და თუ უამისოდ ბანკის საქმეთა სვლას შეუძლებლად დაინახავდა, უსათუოდ ჯეროვან გზასაც იპოვიდა და ჯერო-

ვან ადგილსაც. განა მეტისმეტი გულთამხილაობა უნდა, რომ თუ საიმისო მძიმე არა ამოჩნდებოდა-რა ამ გამოძიებისა და შემოწმებისაგან, კომიტეტი მხოლოდ შეუდგებოდა იმისთანა წესი და რიგი რამ ერჩია, როცა დრო იქნებოდა, კრებისათვის, რომ სამერმისოდ მაინც გამოძიებით დანახულს უწესოებას ადგილი აღარ ჰქონოდა.

ესეა თუ ისე, ჯერ მინამ კომიტეტს საბუთი არ მოუცია კრების განაჩენების გაუქმების სურვილი შევწამოთ, მინამ ეს შეცდომა არ მოუხდენია და მარტო უწესოების გამორკვევას შესდგომია, — იმ დრომდე საქმეს წინ ვერავინ გადუხტება და ბრალს ხსენებულ სურვილისას ვერავინ დასდებს კომიტეტს. ეხლა-კი ექვსის კაცის ნათქვამს ამ გაუქმების შესახებ თავზედ ახვევენ, თითქო ეს ნათქვამი ჯადო-ნაქმნარი იყოს, რომ ვერც მარჯვნივ აიხვეოდეს გზა და ვერც მარცხნივ. ამ ექვს კაცს ბევრიც სხვა რომ ეთქვა უწესო და ურიგო, კომიტეტისა რა გადასახადია? განა კომიტეტი აიღებდა და ყველაფერზე, რაც ენაზე მოუვა ექვს თუ ასს კაცს, იტყოდა: „ბალი აღაო“? ვისა აქვს ნება ეს იფიქროს და არა ის, რის თავმდებიც ადამიანის საღი ჭკუაა და გონიერება!.. ამ სახით, თუ იგი არზა საბაბად გაუხდა კომიტეტს უწესოების გამორკვევისათვის, აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ კრების განაჩენების გაუქმებისათვისაც ამ ექვსის კაცისაგან კომიტეტი ჭკუას ისესხებდა და მათ დარიგებისამებრ მოიქცეოდა. რა თქმა უნდა, ამ მხრით იგი არზა გაისინჯებოდა და კუთვნილი პასუხი მიეცემოდა, ისიც მაშინ, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა კომიტეტი.

ახლა ნახეთ, რა კუდი გამოაბა გამგეობამ იმას, რომ კომიტეტის განაჩენს ეურჩა და რწმუნების წერილები არ დაანება. 7-ს ივნისის განაჩენს გამგეობისას ამის თაობაზე რომ გულში ჩაჰხედოთ, გაოცდებით, თუ სადამდე შესძლებია ადამიანს საქმე არიოს და ასჭიჭყნოს. გამგეობას ეუბნებიან, რწმუნების წერილები მოგვეციო, და ის-კი ამაზე დამდგარა და იძახის, უკაცრაოდ, ვერ მოგართვითო. თუ გნებავთ, ჯერ

შეგვატყობინეთ, რას ჰფიქრობთ და რას იტყვით. 125 კაცის არზის გამო, და მერე ავიღებთ, დავიღებთ, დაგანებოთ წერილები, თუ არაო. თუ ამ უცნაურ პასუხის საბუთს იკითხავთ, გამგეობა არა ნაკლებ უცნაურად გარწმუნებთ, რომ რწმუნების წერილების ჩვენ მიერ არ-დანებებას და ამ 125 კაცის არზას, რომელიც ჰთხოვს გამგეობას—ნუ გააუქმებინებთ კომიტეტს კრების განაჩენებსა და კრების უფლებას ნუ შეარყევინებთო, ისეთი მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან, რომ ერთის უმეოროდ განკითხვა და განსჯა შეუძლებელიაო. აი მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ეს არის.

რა შუაშია აქ 125 კაცის არზა, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის, და რა აქვს საერთო ამ არზასა და რწმუნების წერილების არ-დანებებას?

ან ალარ იკითხავთ, — არსებითად რას ჰნიშნავს თხოვნა ამ 125 კაცისა? განა იმას არა, რომ კომიტეტმა-კი არ იქონიოს გამგეობაზე ზედამხედველობა, არამედ გამგეობამ კომიტეტზე? აი, თუ გნებავთ, გაუქმება საზოგადო კრების განაჩენისა ეს არის! ნუთუ ეს ამისთანა თხოვნა 125 კაცისა მართლაც არ აუქმებს განაჩენებს კრებისას, რომელსაც ზედამხედველობა გამგეობაზე დაუწესებია და მიუნიჭებია კომიტეტისათვის და არა გამგეობისათვის კომიტეტზე. ნუთუ ეს-კი კრების განაჩენის გაუქმებას არ ერჩის და ის-კი ერჩის, რომ კომიტეტმა რწმუნების წერილები მოითხოვა, ერთი ვნახო რა წერილებიაო.

თქვენ გეუბნებიან, რწმუნების წერილები მოგვეცითო, და თქვენ-კი იძახით, ჯერ შეგვატყობინეთ, 125 კაცის არზას რა პასუხს აძლევთო და მერე ჩვენ ვიცითო. ხომ ორში ერთი პასუხია მოსალოდნელი, თუ რომ კომიტეტი თავზე ხელს აიღებდა და ამ უცნაურ შემთხვევაში პასუხის მიცემას არ ითაკილებდა, ან იტყოდა: ბარაქალა, რომ ეს 125 კაცი ასე ირჯება და ჰფრთხილობს კრების პატივისათვის, როცა ამ კრებას არავინ ცუდს არას უქადის; ან: ვწუხართ, ტყუილ-

უბრალოდ გარჯილან და გული გაუხეთქნიათ გამგეობისათვის, იმიტომ რომ ჯერ ეგ ამბავი კომიტეტს, როგორც კრებულს, გუნებაშიაც არ გაუტარებია, და ჩვენი რა ბრალია, რომ ვისაც რა აგონდება, ის ეზმანებაო.

ხუმრობაგაშვებით და ეს 125 კაცი რომ ძალიან თავგამოდებულნი იყვნენ და გამგეობას ეხვეწებოდნენ, გვიშველეთო, არიქა, ხელიდგან ნუ გაუშვებთ, ნუ დაანებებთ რწმუნების წერილებსაო, თორემ კომიტეტს თქვენზე ნაკლები ჰკუა აქვს, თქვენზე ნაკლებ გული შესტკივა საზოგადოებისათვის და ერთს ხათაბალას და ვაი-ვაგლახს ასტეხსო,—განა აქედამ ის გამოდის, რომ მართლა გამგეობაა ზედამხედავი კომიტეტისა და არა კომიტეტი გამგეობისა, განა აქედამ ის გამოდის, რომ კომიტეტს არ უნდა მოეთხოვნა რწმუნების წერილები და გამგეობა უნდა გასძალიანებოდა!.. როგორც გნებავთ აპტყელეთ, ასორსლეთ, აგუნდავეთ ეს არზა 125 კაცისა და მაინც აქედამ ერთის ბეწვის ოდენას საბუთს ვერ გამოიტანთ იმისას, რომ წერილების არ-დანებებას გამგეობისაგან და ამ არზას ერთმანეთისა რამ ეცხოთ, ერთმანეთისა რამ ეკეროთ. და თუ მაინცდამაინც გამგეობა ამ არზას დაჰბღაუჭებია, გადი და გამიტანეო, ან ხელზე დაუხვევია, ეგ უილაჯობის ილაჯია, ეგ ის არის მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, როგორც ზემოთა ვსთქვით.

ამ 7-ს ივნისის განაჩენი გამგეობისა მარტო იმითია შესანიშნავი, რომ აქ გამგეობამ არ-დანებება რწმუნების წერილებისა, როგორც ჰხედავთ, თავის საერთო საქმედ მიიჩნია. ეს დასახსომია, იმიტომ რომ მერე ვნახავთ, როგორ გადასთქვა გამგეობამ ეს სიტყვა და ხელი დაიბანა, ჩვენ აქ არაფერს შუაში ვართო, მარტო თავმჯდომარეა რაც არისო, თქვენ იცით და მაგანაო. კარგია, ვინც ისე დაწუნარებულია ამ დაუწუნარებელ შემთხვევაში, რომ არც ბარაქალა უნდა ამ ალიაქოთისა და არც ოლოლო.

V

ტფილისი, 9 აგვისტო, 1890 წ.

წინათაც მოგახსენეთ და ეხლაც ვიტყვით, რომ საქმე, რომლის გამო დღეს ატეხილია აყალ-მაყალი ქუთაისის ბანკის წევრთა შორის და თვით საზოგადოებაშიაც, მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა რწმუნების წერილები მოითხოვა და გამგეობა თუ მისი თავმჯდომარე გაჭირვეულდნენ და არ ანებებენ. ჩვენ არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ ამისთანა უჯერო თვალაუხილველ საქციელს გამგეობისას, თუ თავმჯდომარისას? არ ვიცით, რა საბუთი მოვუპოვოთ, რა გზით ავხსნათ, რა ცოტაოდნად მაინც შესაწყნარებელი და ადამიანის გონიერებისაგან მისაღებელი აზრი აღმოვუჩინოთ ამ ჭირვეულობას, ამ უჯათობას, რომელსაც ასე წინდაუხედავად, ასე თავზე ხელაღებით, ასე კადნიერად თავი წამოუყვია იქ, საცა არც ერთს და არც მეორეს არც მიზეზი აქვს. არც ადგილი, არც გზა და არც შორი მანძილი.

ვნახოთ ეხლა, თვითონ გამგეობა და მისი თავმჯდომარე რას ამბობენ და ამ გამოუცნობელ ამოცანას როგორ გვიხსნიან. ამის თაობაზე გამგეობამ ქუთაისის ბანკისამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა თავის 23 ივნისის განაჩენში. ყოველი ვითარება ამ საქმისა გამგეობას მოუსმენია თავის თავმჯდომარისაგან. ჯერ, რასაკვირველია, მოხსენებულია, როდის, როგორ და რა გზით მოქმედებდა კომიტეტი და რა განაჩენები დაუდგენია. აქ დავიწყებული არ არის არც ექვსის კაცის ორი არზა, არც 125 კაცისა, არც თ. ან. ლორთქიფანიძის „предложение“, ყოველივე ეს უკლებლივ მოყვანილია განაჩენში. ჩვენ ამაებს აღარ გავიმეორებთ, რადგანაც წინანდელ მეთაურში საკმაოდ ვრცლად მოვიხსენიეთ და ყოველი იგი ჩვენთვის არ „ახალია, ძველია“. ხოლო ამ განაჩენის პირველ ნაწილში ერთი რამ არის, საქმის ვითარების ახსნისათვის გამოსადეგი. თავმჯდომარეს გამგეობისას

მოხსენების დროს წარუდგენია გამგეობისათვის სიგელი იმისა, თუ რა უჩვენებიათ ბანკში მოსამსახურეთ: კასირს თ. ი. ა. მიქელაძეს, ბ-ნ ე. ო. ქაჯაიას, თანაშემწეს საქმეთა მწარმოებლისას, და მ. ვ. ქელბაქიანს, უფროსს მწერალსა. ამ სიგელიდამ სჩანსო, ამბობს განაჩენი გამგეობისა, რომ მეორეს დღეს, შემდეგ კრების დაშლისა, ქელბაქიანმა რწმუნების წერილები და სხვა ქაღალდები ბანკის „სტოროჟს“ სვანაძეს მისცა, წაიღე ბანკშიო. ამის მეორე დღეს ქელბაქიანს აუღია და ყოველივე ეს შკაფში ჩაუწყვია. 1 ივნისამდე ეს ქაღალდები აქა ყოფილა შენახული და ამ დღეს კი ბ-ნ ჩიკვაიძეს შეუნიშნავს, ვაი თუ აქ შკაფში დაუშავდეთ რამეო. აუღიათ იმას და ქაჯაიას, შეუხვევიათ რწმუნების წერილები გაზეთის ქაღალდში, შეუკრავთ ძაფით, დაუკრავთ ბეჭედი და „**просто**“ მისცესო კასირს მიქელაძეს, რომელსაც ქაჯაიამ 2 ივნისს გამოართვა რიგზე მოსაყვანად, მაგრამ იმ სახითვე ისევ უკან დაუბრუნაო. 3 ივნისს კი დაბეჭდილი ბოხჩა რწმუნების წერილებისა მიიღო ბ-ნ ჩიკვაიძემა, რომელმაც ითავა და თანდასწრებით კასირისა, საქმეთა მწარმოებლისა და ქელბაქიანისა სხვა ბეჭედიც დაჰკრა და ჰსთხოვა თანდამსწრეთ, ბეჭდები დასინჯეთ, რომ მერე, როცა გახსნიან ამ ბოხჩას, მოწმად იყვნენ, რომ ბეჭდები მთელები არიანო. ამის შემდგომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ აიღო და ეს რწმუნების წერილები თავის სტოლში ჩასდოო. ის არის და ეს დღე, ბ-ნს ჩიკვაიძეს სტოლში აქვს თურმე და არავის არ ანებებს.

გამგეობას იმის მაგიერ, რომ ეფიქრნა, რა ნება გვაქვს ან ჩვენ ერთად, ან თავმჯდომარეს ჩვენსას ცალკე, რომ ამ ქაღალდებს კომიტეტს არ ვანებებთო, 23 ივნისს დაუდგენია:

1) ზედამხედველ კომიტეტს ნება არა აქვს მიიღოს განსაკითხად და გასარჩევად თხოვნა შესახებ საზოგადო კრების განაჩენებისა და არჩევანის გაუქმებისაო[1].

[1] ჩვენ აქ ეგრეთწოდებული „მოტივები“ გამგეობისა არ მოგვყავს, იმიტომ რომ მეტი ბარგია. საქმე ეს ამისთანა დასკვნებია, რომელთაც დასტალუღად მარტო ეს ეთქმის: „არამკითხე მოამბეო“.

ვსთქვათ ესეა, ხოლო ამ გარემოებას რწმუნების წერილების არ-დანებებასთან რა ხელი აქვს, რა აქვს საერთო? ან ვინა ჰკითხავს გამგეობას ბარი ათ შაურად არის, თუ მეტნაკლებად?

2) ზედამხედველს კომიტეტს არ უნდა ეწარმოებინა ექვსის კაცის არზაო.

ვსთქვათ ესეც ესეა, ხოლო რწმუნების წერილებს რომ არ ანებებენ, ამის პასუხი აქ სად არის?

3) ზედამხედველი კომიტეტი მოვალე იყო პასუხი მოეცა იმ განაჩენის თაობაზე, რომელიც გამგეობამ 7 ივნისს დაადგინა შესახებ 125 კაცის არზისაო.

ვსთქვათ ესეც ასეა, ხოლო განა აქედამ ის გამოდის — მაგრა მოუჭირეთ ხელი რწმუნების წერილებსა და არამც და არამც არ დაანებოთ კომიტეტსაო. თორემ ეს ხომ ტყუილი გამოკიდებაა. კომიტეტმა ამაზე პასუხიც მისცა და გაათავა კიდეც: მაგაების მოკითხვა თქვენი საქმე არ არისო.

4) ერთხელ რაკი თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩიკვაიძემ 16 ივნისს აცნობა კომიტეტსა, ჯერ ქაღალდები კომიტეტისა 2 და 11 ივნისისა არ მომიხსენებია გამგეობისათვისაო და ეს მართლადაც ასე იყოო, კომიტეტს პასუხის საგებლად არ უნდა გაეხადნა წევრნი გამგეობისაო.

აქ მოსახსენებელი გამგეობისათვის არა იყო-რა, რადგანაც, როგორც მერე ვნახავთ გამგეობის განაჩენებიდამვე, მარტო თავმჯდომარე გასძალიანებია კომიტეტს, მარტო მაგას გაუწევია ურჩობა და არ დაუნებებია, მაშასადამე, მარტო მაგასვე უნდა გაეცა პასუხი კომიტეტებისათვის. თუ აქ მოსახსენებელი რამ იყო ვისთვისმე, ისევ თავმჯდომარეს თავის-თავისათვის უნდა მოეხსენებია. თუ ამაზე მერე გამგეობა დაემდურებოდა, განა ვერ ეტყოდა, თქვენ აქ რა შუაში ხართ, მე ვარ რაცა ვარო. არა გვგონია დანარჩენი წევრნი აჰხირებოდნენ, არა ჩვენც შენთან თავი დაგვიდვია, და რად ჰნებულობთ, რომ ამ სახელოვანს საქმეში ჩვენ წილს არ გვიდებო. მაინცდამაინც თუ მოხსენება საჭირო იყო, რაღა დაგვიანება უნდოდა ამ ორიოდე სიტყვის თქმას: კომიტეტი

რწმუნების წერილებს ითხოვს, ეს წერილები მე მაქვს და არ ვანებებ, თქვენ ამაზე რას იტყვითო? რა თქმა უნდა, ამის პასუხი ეს იქნებოდა: შენ არ ანებებ და შენვე მიეც პასუხიო.

5) საზოგადო კრების სიგელებისაგან სჩანსო, ამბობს განაჩენი გამგეობისა, რომ რწმუნების წერილები კომიტეტის განკარგულებაშია და, მაშასადამე, კომიტეტს უნდა სცოდნოდა ვის მიაბარა ეს წერილები და როდის. სიგელი ბ-ნ ჩიკვაიძის მიერ წარმოდგენილი ცხადად იმოწმებაო, რომ ეგ წერილები გამგეობის, როგორც კრებულის, ხელში არ არის, და თუ თავმჯდომარეს აქვს ეხლა, ეგ იმას არ ჰნიშნავს, რომ გამგეობას ჰქონდესო. კომიტეტმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ გამგეობას რწმუნების წერილები თავის-დღეში არ მიუღია და ყოველთვის, როგორც უწინ, ისეც ეხლა, ამ წერილების საქმეს საზოგადო კრება კომიტეტთან ერთად განაგებდაო. ამ სახით, გამგეობა ამ წერილების არ-დანებების თუ დანებების საქმეში არაფერს შუაშია და პასუხისგებაში რად იძლევიან დირექტორები მაინცაო.

ყველაზე ახირებული და უცნაური თავის გამართლება ეს მეხუთე მუხლია. ჯერ ესა ვსთქვათ, რომ ორ დანარჩენს წევრს გამგეობისას თითქო იმ დრომდე არა სცოდნიათ, რომ რწმუნების წერილები მათ არა აქვთ, ვიდრე ამის საბუთად ბ-ნს ჩიკვაიძეს სიგელი არ წარუდგენია. თითქო თვითონ ქაღალდების ხელთ არ-ქონება საკმაო საბუთი არ არის. თუ ეს ამბავი მანამდინაც სცოდნიათ, 7 ივნისის განაჩენშივე იგივე გამგეობა იტყოდა ამას და კომიტეტს აღებ-მიცემობას არ დაუწყებდა, ჯერ თქვენ სთქვით თქვენი აზრი 125 კაცის არზის თაობაზე და მერე ჩვენ ვიტყვით ჩვენსასაო. თუ ამ წერილების არ-დანებების საქმე მაშინ გამგეობას თავის საქმედ არ მიაჩნდა, პირდაპირ იტყოდა, საქმე როგორ არის და ცუდუბრალოდ არ დაიხვევდა ხელზე 125 კაცის არზასა. რა საჭირო იყო? ორის სტრიქონით გაათავებდა სათქმელს: ჩვენკი არა, თავმჯდომარე არ განებებთ და თქვენ იცით და ამანაო. და თუ მაშინ საერთო საქმედ მიიჩნია, ეხლა რაღამ შეუცვალა გუნება?

მართალია დღეს ბ-ნ ჩიქვაიძე, გამგეობის მოწმობით, გვეუბნება, რომ მე ვარ და სხვა არავინ, რომ არ განებებთ რწმუნების წერილებსაო, ხოლო არ ვიცით-კი, რა ხელსაყრელია აქ ამისთანა უადგილო ვაჟკაცობა, რომელიც გაკადნიერებულს ჰირვეულობას და გაჰირვეულებულს კადნიერებას უფრო ჰგავს, ვიდრე სხვა რასმე სიკეთეს. პირიქით, უმჯობესი იყო თავის შეცდომა ეცნა, წერილები დაენებებინა და გასცლოდა ამ საქმეს, იმიტომ რომ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

იქნება ეს ამბავი სხვის ვისიმე თვალში ახალ თავმჯდომარის ბარაქალობას ჰნიშნავდეს და ჩვენ-კი ვიტყვით, რომ აქ ან მეტისმეტი წინდაუხედავობაა, სახტომის გაუზომლობაა, სრული უვიცობაა მისი, თუ სად იწყება უფლება და მოვალეობა თავმჯდომარისა და სადა თავდება, ან განგებ მოწადინებული სურვილია კაცმა მტვერ-ბუქი ააყენოს, აყალმაყალი ასტეხოს. სხვა ვერა წარმოგვიდგენია რა.

ამბობენ, აქ თავმჯდომარემ თავი გაიწირა მრავალთათვისაო, იმიტომ რომ რწმუნების წერილები ბევრს ბოროტს აღმოაჩენს, თუ ზედამხედველმა კომიტეტმა გადასინჯაო. მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ მრავალთათვის ასე სწუხს და თავს იტკიებს ერთი კაცი, ზედამხედველი კომიტეტი, ეს მთელი კრებული რატომ აღარ შესწუხდებოდა, რატომ აღარ ჩაუფიქრდებოდა და რად გამოიმეტებდა მრავალსა. რაო? ნუთუ ამისათვის ჰკვამ გაუჭრა და გულმა ტოკვა დაუწყო მარტო თავმჯდომარესა და ყველა სხვისათვის კი ყოველივე ეს მიუწვდომელი და გაუგებარია? ეხლა უფრო უარესი დღე არ დააყენა თავმჯდომარემ იმ მრავალსაც, თავის თავსაც და მისდამი მინდობილ ბანკსაცა, როცა საქმე ლამის სასამართლოდ გახდეს. ამით თუ ამართლებს ვინმე თავმჯდომარის საოცარს საქციელს, ტყუილად ირჯება: იგი თავის-თავსაც ატყუებს და სხვასაც.

თუ მართლა ბანკის თავმჯდომარეს ეს მრავალთა ბედი აწუხებდა, რწმუნების წერილების არ-დანებებაზე კი არ უნდა გაჯიუტებულიყო, არამედ იგი წერილები თვითვე უნდა მიე-

ტანა კომიტეტისათვის და კომიტეტთან ერთად ეზრუნა, რომ, თუ ვინიცობაა ბოროტი რამ აღმოჩენილიყო, ამ ბოროტს შინვე, კარზე გამოუტანებლად, წამალი რამ დასდებოდა, თუ საამხანიოდ არა, სამერმისოდ მაინც. აი, თუ მართლა მის საქციელს გულისტკივილი საქმისა ედვა სარჩულად, თუ მართლა თავმჯდომარეს აწუხებდა შედეგი, რწმუნების წერილების ავ-კარგიანობისაგან წარმომდგარი, რა გზას უნდა დასდგომოდა და უჯათობისათვის არ ჩაეკიდნა ხელი, რომელიც, თუ ეხლავ არა ეშველა-რა, უეჭველად ყველაფერს საქვეყნოდ გახდის და სხვათა შორის იმას, რის შიშიც თავმჯდომარეს მითამ გულში ჰქონებია, ზოგიერთის სიტყვით. აქ წამების გვირგვინის დაჩემება ჯერ ერთი რომ უადგილოა, და მეორე — ბავშვის ქაღალდის ქუდით მორთვას და გაბუებით დოინჯის შემოყრას უფრო ჰგავს, ვიდრე სასახელო შარავანდედს წვალებულ-წამებულისას.

ესეც იქით იყოს. თვითონ ბ-ნი თავმჯდომარე და მასთან ერთად მთელი გამგეობა ამ თავის განაჩენის მეხუთე მუხლით იმოწმება, რომ რწმუნების წერილები თვითონ კომიტეტის განკარგულებაში ყოფილა წინათაც და ეხლაც. თუ ესეც არის, მაშ რა დაერქვას იმას, რომ კომიტეტს ეს განკარგულება გაუუქმეს და აღარ ანებებენ მას, რაც მისი კუთვნილია და მის განკარგულებაში უნდა იყოს? აქ ტაციობაა და სხვა არაფერი. რომ ამის ჩამდენს ის მაინც ეთქვა, ჩემია და არ განებებთ, კიდევ ჰო, თორემ იძახის — თქვენია და არ განებებო. როგორ? **სხვის** კუთვნილი ქაღალდები ხელში დაუბღუჯნიათ და მაშინაც არ ანებებენ, როცა პატრონი თავისას ითხოვს. და აქ კიდევ გაბმა-გამობმა უნდა სიტყვას? განა კითხვაღა უნდა, ვინ არის აქ ბრალი და უბრალო?

ყოველივე ეს მოვისაზრეთო, ამბობს დასასრულ განაჩენი გამგეობისა, და დავადგინეთო*: „2) ეუწყოს ზედამხედველ კომიტეტს, რომ გამგეობას, როგორც კრებულს, არცა ჰქონია და არცა აქვს რწმუნების წერილები და 3) გამოვსთქვათ

* პირველი მუხლი განაჩენისა არ შეეხება საქმეს, რომელსაც ვარჩევთ.

ჩვენი აზრი ექვსისა და 125 კაცის არზების გამო იმ სახით, რომ ექვსის კაცის ორს არზას (29 და 31 მაისისას) უარი ეთქვას, რადგანაც ჯეროვანის გზით არ არის წარდგენილია, და 125 კაცის არზა კი ყოველფერში კანონიერად საცნობელია".

ვსთქვათ მართლა მოისაზრეს ყოველივე ის გარემოება, რაც განაჩენის ხუთს მუხლშია ჩამოთვლილი, ხოლო ვიკითხოთ — ეს ხუთი მუხლი რას მოასწავებს? სხვას არასფერს იმის გარდა, რომ კომიტეტს არ უნდა ექმნა ესა და ესაო. ვინ ვის ეუბნება ამას? ვინ ვის ასწავლის ჰკუასა? ვინ ვის აძლევს ამ უცნაურს დარიგებას? გამგეობა კომიტეტს, ზედამხედაობის ქვეშ მყოფი თავის ზედამხედველს, დასარიგებელი დამრიგებელს, და ამ მხრით — თუ მართალი გნებავთ — უმცროსი უფროსს, ხელქვეითი ხელისუფალს, ბრძანებული მბრძანებელს. გაგონილა ასე თავდაყირა დაკიდება საქმისა! თუნდ ეგეც არ იყოს, აქაო და კომიტეტს ესა და ეს არ უნდა ექმნაო, განა აქედამ ის გამოდის, რომ ბ-ნ ჩიკვაიძეს ის უნდა ექმნა, რაცა ჰქმნა?

ყოველ ამის მნახველმა, ყოველ ამის მსმენელმა კომიტეტმა სხვა რა უნდა ჰქმნას, რომ არ ურჩიოს ახლად მოწვეულ კრებას გადააყენოს თანამდებობისაგან ახალი თავმჯდომარე, რომელმაც ასეთი თვითნებობა, კანონის მიუხედველობა, ასეთი გაუგებრობა საქმისა გამოიჩინა შესვლის პირველ დღესვე. კომიტეტმა თავისი ჰქმნა და ეს თვითნებობა ვერ მოარჯულა; ხელმეორედ სთხოვა გამგეობას, ეს ჩემი რწმუნების წერილები მომეცითო, ამისათვის ვადაც მისცა, ეგებ დაინახონ, რომ უკანონობას სჩადიან და დაიშალონო, მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ, რწმუნების წერილები მაინც არ დაანებეს და არა. სხვა რა ჰქნას ამ შემთხვევაში კომიტეტმა, ერთი გვიბრძანეთ? პოლიცია მოიწვიოს, სასამართლოს მიჰმართოს, თუ ამ თვითნებობას დაუჩუმდეს და თავისი ზედამხედველობა გააუქმოს, ფუჭ სიტყვად გაჰხადოს! აქ ორში ერთი გზაა: ან კომიტეტი უნდა დაჰნებდეს ჰირვეულობას თავმჯდომარისას, ან ეს ჰირვეულობა უნდა დაინებიოს. პირველი თავზე ხელის

აღებაა კომიტეტისათვის და მეორე შეუძლებელია, რაკი თავმჯდომარე ასე უჯიათობს.

აქ ტყუილად ნურავინ ნუ იგონებს, რომ ამ შემთხვევაში კომიტეტი ვითომც არჩევნების და კრების განაჩენების გაუქმებას ეტანებოდეს. საქმე ცხადია: კომიტეტი ჰხედავს ბანკის საქმეში ურჩობას, თვითნებობას თავმჯდომარისას და მარტო ამ ურჩობისა და თვითნებობის გამო ურჩევს ახლად მოსაწვევს კრებას თანამდებობისაგან გადააყენეთო, — და არა იმიტომ, რომ იგი კანონიერად ამორჩეული არ არისო.

საქმე ესეა, ხოლო ახალი ხათაბალა ის არის, რომ ამ საგანზე განაჩენი კომიტეტისა 3 ივლისისა ხმათა უმრავლესობით არ დადგენილა და დღეს ყაყანი ამაზეა. ჩვენ ეს ყაყანი კი არ გვაკვირვებს, ჩვენ ის გვაოცებს, ან ერთმა რომელმამე წევრმა კომიტეტისამ როგორ იუარა ეს გადაყენება თავმჯდომარისა და თუ იუარა, გულში რომ ჩაიხედა, თავის-თავს რა პასუხი მისცა. ნუთუ აქ ყოვლად შეუწყნარებელი ურჩობა და თვითნებობა ვერა ჰპოვეს თავმჯდომარისა, და თუ ჰპოვეს, ვერ დაინახეს, რომ საზოგადო საქმეში საერთოდ და ბანკისაში საკუთრივ ამისთანა ამბები ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუნდობელი და დედაბუდიანად განსაძევია.

სხვა არა იყოს რა, მარტო ბ-ნ ჩიკვაიძის ეგრეთწოდებული „კონფიდენციალური“ წერილი, 16 ივნისის თარიღით აღნიშნული და Новое обозрение-ში დაბეჭდილი, საკმაოა კაცმა წაიკითხოს, რომ თავზე ხელი წაივლოს უარესის მოლოდინითა და შეჰკივლოს: ეს რა ღვთის წყრომა გვეწვია და ვის ხელში ჩაგვიგდია ბანკიო. ამისთანა კადნიერი, ამისთანა უმართებულო, ამისთანა სათაკილო სიტყვა-პასუხი და—უკაცრაოდ არ ვიყოთ —ამისთანა უწმაწური წერილი ძნელად დასაჯერია, რომ გამგეობის თავმჯდომარის ხელიდამ იყოს გამოსული, ესე იგი იმ კაცის ხელიდამ, რომელიც საზოგადოებას საზოგადო საქმის მოთავედ დაუყენებია.

არ გვესმის, რისთვის არის დაწერილი ეს ამოდენა წერილი და ვისთვის? ამ წერილიდამ უფრო ისა სჩანს, რომ მის დამწერს კრილოვის ზღაპრები კარგად სცოდნია და ბანკისა-კი

მაგრედ რიგად არა. აბა რა მოსატანი იყო ბანკის საქმეში: ჩემის ამორჩევით საზოგადოებამ დაამტკიცაო, რომ დღეს ცუდმედიდობას გვარიშვილობისას და დიდკაცობისას ადგილი დააცლევინა და დაულოცა მითამდა ადამიანის ღირსებასაო. დეე, ამით გაბრიყვდეს, ვინც გასაბრიყვებელია და ჩვენ კი ეწუხვართ, რომ ახლად ამორჩეულს თავმჯდომარეს დიდ-პატარაობის საღერღელის ამშლელი მიზეზი ასე უადგილო ადგილას საბუთად მოუხმარებია.

მითამ რაო? საზოგადოებამ რაკი პატარა აზნაური ჩიკვაიძე ირჩია და დიდი თავადი დადიანი გადააყენა, განა ამით ისა თქვა, რომ ღირსეული კაცი მარტო აზნაურებ შორის მოიპოვება და სხვაგან არსად არაო. და თუ ესა სთქვა, ნუთუ აქ სასიხარულო და სახარბიელო არის რამე გონებაგახსნილ კაცისათვის? საწვრილფეხო ლიბერალობა თუ მოსტყუვდება ამით, თორემ ეს ამისთანა „მითქვამს და მიყივლიაო“ შორს მანძილს ვერ გაირბენს. ან ნეტავი მართალი მაინც იყოს ის, რასაც ამის გამო ბ-ნი ჩიკვაიძე ამბობს თავის „კონფიდენციალურ“ წერილში. თუ მართლა ქუთაისის საზოგადოება აქამომდე მარტო დიდ გვარეულობის ცუდმედიდობას ბანს აძლევდა და ღირსეულს კაცებს არ ეძებდა ყველგან, საცაკი ხელი უწვდიდა, მაშ ბ-ნ დადიანამდე განუწყვეტლივ რად ირჩევდა გამგეობის თავმჯდომარედ აზნაურშვილებს? განა ბ-ნი ჩიკვაიძე ამისი პირველი მაგალითია და უკანასკნელი? სჩანს ქუთაისის ბანკის საზოგადოება, თავისდა სასახელოდ, უწინაც არ დაგვიდევდა გვარიშვილობის დიდ-პატარაობას, მაღალ-დაბლობას და საცა ეგულებოდა ღირსეული კაცი, იქიდამ ირჩევდა. მაშ რად უნებებია ბ-ნ ჩიკვაიძეს, რომ ამისთანა უხეირო და უკბილო საბუთისათვისაც ხელი ჩაუვლია და ქვეყანას აუწყებს, რომ ჩემის არჩევანით დემოკრატიამ გაიმარჯვაო! სწორედ მოგახსენოთ, ასლი საომარი მოედანი კია ბანკი არისტოკრატიის და დემოკრატიის ერთმანეთთან დასაჯახებლად, თუ არ დაგიშლიათ!.. აი სწორედ ამისთანა საბუთების წამოყენება, აი ამისთანა სიმების ადგილიდამ დაძვრა ნაძირალთა გრძნობათა აშლას მოასწავებს.

არ ვიცით, ამით ვის აებმის თვალი გარდა ქუთაისისა და ტფილისის ბულვარის წვრილფეხობისა და ჩვენ კი ამ ეგრეთწოდებულ „კონფიდენციალურ“ წერილს მეტს აღარას გამოვუჩხრეკთ, იმიტომ რომ ყველა იგი სათქმელადაც სათაკილოა და სასმენლადაც. მტერი რას უზამს კაცს იმას, რაც ქვეყნის თვალში ამ წერილმა დაჰმართა მის დამწერსა*.

VI

ტფილისი, 11 აგვისტო, 1890 წ.

სწორედ მოგახსენოთ, არც ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის ბანკისა გადაურჩება სამართლიანს სამდურავს. მეტისმეტი გულდაუდებლობა, დაუდევრობა ეტყობა მის განაჩენებს იმ საქმის თაობაზე, რომლის გამოც ეხლა ასეთი აყალმაყალია ატეხილი და რომელიც იმოდენად სამძიმო და სანაღვლელია, რომ კაცს არ ეპატიება ხელდახელ შეხანხვლა განაჩენებისა. მართალია ეგრეთწოდებული „რეზოლუციები“ არ ჰთხოულობენ დასაბუთებას, მაგრამ თვით აზრი-კი რეზოლუციისა ცხადი და თვალსაჩინო უნდა იყოს იმოდენად, რომ არაფერი კუდგამოსაბმელი არა დარჩეს რა. სამწუხაროდ ჩვენ და, კომიტეტის განაჩენებში ამას ვერა ვხედავთ. პირიქით, ვხედავთ, რომ არც იმისთვის უნაღვლიათ აზრი ცხადი იყოს, არც იმისთვის, რომ საჭირო სისრულით გამოეთქვათ.

აბა რა არის, თქვენი ჰირიმე, ეს რეზოლუცია კომიტეტისა (მაისი 30) შესახებ წინათხსენებულ ექვსის კაცის არზისა:

---

* ან რას ჰნიშნავს ის უკანასკნელი წერილი ბ-ნ ჩიკვაიძისა, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა აქაურ რუსულ გაზეთებში. კაცს ეუბნებიან, შენი საქციელი ბანკს ძირის მოთხრას უქადისო და ის კი იძახის: თქვენ კიდევ რუსული წერა არ იცითო, და ის დალოცვილი „Новое Обозрение“-ც, იმის მაგიერ რომ სასაცილოდ აიგდოს ეს ამისთანა პასუხი, აუღია და რაც ძალი და ღონე აქვს ამტკიცებს, არა, რუსული წერა ძალიან კარგად იციანო. თითქო აქ ამის მეტი სადარდელი არა იყოს რა.

„По прошению, поданному (აქ დასახელებულია ექვსი კაცი)..., постановил: приступить к установлевию фактов, изложенных в прошении, и вопрос оставить открытым до следующего заседания"... და სხვანი.

მოდით და გაიგეთ, რომელი вопрос-ია открытый? რომელი вопрос-ია აქ საგულვებელი? ნუთუ ამ вопрос-ის დასახელება აქ საჭირო არ იყო? ასეთს სიტყვანაკლებს განაჩენს კაცი რომ ჰკითხულობს, ჰგონია, ამის დამწერს გულში რაღაცა სდებია სათქმელად და ან მოცლა არა ჰქონია სიტყვა დაესრულებინა, ან დაჰზარებია ორიოდე სიტყვის ჩამატებაო. აი ამისთანა სიტყვამოკლეობამ იცის მითქმა-მოთქმის ატეხა და ვინ იცის, იქნება ამანაც მისცა გამგეობას მიზეზი შეეწამა, რომ ეს вопрос-ი უსათუოდ არჩევანის გაუქმებას მოასწავებსო.

ან რა არის განაჩენი 11 ივნისისა?

„Постановил: предложить правлению исполнить в течение трех дней постановления наб. к-та 2-го сего июня, а о неисполнении правлением постановления комитета 2-го июня (изложенного*) в протоколе 7-го июня, под предлогом вопросов не уместних, иметь суждение особо".

აბა რა არის ეს ფჩხილებში მოყვანილი ფრაზა? განა აქედამ აზრი რამ გაიგება? აშკარაა, აქ კომიტეტს საჭირო მუყაითობა არ გაუწევია და დაუდევნელად უწერია განაჩენი. იქნება ასლი განაჩენისა, რომელიც ჩვენა გვაქვს, შეცდომით არის გადაწერილი. თუ ესეა, ბოდიშს ვიხდით კომიტეტის წინაშე, და თუ სწორედ არის გადაწერილი, ნურას დაგვემდურებიან ამ გულდაუდებლობის ჩვენებისათვის.

---

* Изложенного, изложенных, თუ изложенном? ჩვენ ქაღალდში ვერ გავარჩიეთ, რადგანაც გადამწერს, როგორც ეტყობა, ამ სიტყვის ბოლოში შეშლია ასოები. ხოლო ამას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ, როგორც გნებავთ აბრუნეთ ეს სიტყვა, მაინც ფრაზა, ფჩხილებში ჩასმული, თავიდამ ბოლომდე გამოუცნობელი და გაუგებელია.

ან რა არის განაჩენი კომიტეტისა, 3-ს ივლისის დადგენილი:

„Наблюдательный комитет, в составе (აქ ხუთი წევრია დასახელებული), выслушав, объясненне правления 25-го июня сего года за № 7345, по большинству голосов постановил удалить от должности председателя правления Мих. Дв. Зем. Банка К. Н. Чикваидзе и постановленне это представить на обсуждение чрезвычайного собрания, которое созвать на 2-ое Сентября сего 1890 г...

ხელს აწერენ:

1) Председатель Кн. С. Церетели.

2) При особом мнении по вопросу о личной ответственности и о наказании по отношению к председателю правления Л. Асатиани.

3) Сп. Джорджикия (при особом мнении).

4) Л. Лолуа (при особом мнении).

5) А. Лордкипанидзе.

გამოდის, რომ ხუთში მარტო ორს დაუდგენია ეს განაჩენი, სამს და დანარჩენს-კი თავისი საკუთარი ცალ-ცალკე აზრი ჰქონიათ. ბ-ნ ლოლუას, თუ საბუთი არა, მიზეზი ხომ ჰქონდა ეთქვა თავის განცხადებაში, რომელიც 16 ივლისს შეუტანია კომიტეტში, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არისო, რადგანაც ხუთ წევრს შორის ოთხი სხვადასხვა აზრი აღმოჩნდაო.

რად უნდა მომხდარიყო ჯერ იმის თქმა, რომ ხმის უმეტესობით დადგენილ იქმნა ეს განაჩენიო და მერე კი გამოსულიყო, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არის? აშკარაა, აქაც იგივე ხელდახელობაა, იგივ დაუდევნელობა, და სამწუხაროა, რომ ასეა.

ზედამხედველი კომიტეტი, ან, უკეთ ვსთქვათ, მისი თავმჯდომარე პატარა ხანს რომ ჩაჰფიქრებოდა ამ საქმეს, დაინახავდა, რომ აქ განსაკითხი ოთხი საგანია, თუმცა ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგრამ შესაძლოა თვითეულმა ცალკე სხვადასხვა აზრი აუჩინოს გამკითხველს. აქ, ჩვენის ფიქრით, პირველი საკითხი იყო: გამგეობის თავმჯდომარის საქციელი ურჩობა და თვითნებობაა, თუ არა? მეორე — თუ ურჩობა და თვითნებობაა, გავჩუმდეთ, თუ პასუხის საგებელი გავხადოთ? მესამე — თუ პასუხის საგებლად გავხდით, რა სა-

კანონო დავსდვათ: ვურჩიოთ კრებას გადააყენონ თანამდებობისაგან, თუ სხვა რამ სასჯელი დავასახელოთ, და მეოთხე — თუ გადაყენება ვურჩიოთ, მორიგ კრებას მოვუცადოთ, თუ საგანგებო მოვიწვიოთ, და თუ მოვიწვიოთ, როდის?

იქნება გვითხრან, ახლა სასამართლოს წესები შემოგვაღებინეო! მითამ რატომ არა, როცა უმისობა შეუძლებელია? განა სასამართლოს წესი კი ისე ალალბედად არის დადგენილი და არა საქმეთა ვითარებისაგან წარმომდგარი? ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში თვით ბუნება და ვითარება საქმისა ამას ითხოვდა. აკი ბოლოს ისე გამოვიდა, რომ წევრთ გასჭირებიათ, გასძნელებიათ ერთის გადაწყვეტილის ჰოს თქმა ოთხს საგანზედ ერთად. ეს აშკარადა სჩანს ბ-ნ ასათიანის ზედ წარწერისაგან: იგი ყველაფერზე თანახმაა, გარდა სასჯელისა. ადვილად საფიქრებელია, რომ დანარჩენ ცალკე მოაზრეთაც ესევე დაჰმართოდათ შესახებ სხვა რომელისამე საგნისა. თუ ესეა, ადვილად დასაჯერია იგი ხმის უმეტესობა, რომელსაც გვაუწყებს კომიტეტი თავის განაჩენით. მაგალითებრ, ხუთში ორი წევრი ყველაფერზე თანახმანი არიან, ესე იგი, მთელი ოთხი საგანი უარის უთქმელად მიუღიათ. ბ-ნ ასათიანს უთქვამს, რომ მე მარტო სასჯელის თანახმა არა ვარო. მაშ აშკარაა სამი დანარჩენი საგანი უყაბულნია. დანარჩენ ორ ცალკე მოაზრეთა შორის ერთს უთქვამს, მაგალითად თუნდ ბ-ნ ლოლუას — მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ხოლო საგანგებო კრებას ნუ მოვიწვევთ და მორიგს მოუცადოთო, და მეორეს, ვსთქვათ ბ-ნ ჯორჯიკიას, — დავუჭუმდეთ, ისა სჯობიაო. რა გამოდის აქედამ? ისა, რომ თუ ესეა, მართლა ხმის უმეტესობით გადაწყვეტილა საქმე. აი როგორ: საცილობელი საგნები, აქ, ჩვენს მაგალითში, ხომ სასჯელია და საგანგებო კრება, და რადგანაც ბ-ნი ასათიანი მიჰმხრობია ორს ყველაფერში, გარდა სასჯელისა და ბ-ნი ლოლუა ყველაფერშივე გარდა, ვსთქვათ, საგანგებო კრებისა, მაშ სასჯელიც სამის ხმის უმეტესობით არის მიღებული ბ-ნ ლოლუას მიმხრობით და საგანგებო კრების მოწვევაც ბ-ნ ასათიანის ხმით.

ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ საქმე სწორედ ამ გზით გადაწყვეტილა. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ თუ თავმჯდომარეს კომიტეტისას ოთხი საგანი ცალ-ცალკე დაეყენებინა გამოსაკითხად, შესაძლოა ხმათა მეტნაკლებობა ამ გზით უფრო ნათლად გამორკვეულიყო და ისე არ გამოსულიყო, როგორც ეხლა, რომ ფიცი კომიტეტისა ხმის უმეტესობის თაობაზე გვწამს და ბოლო კი გვაკვირვებს. იქნება საქმე სწორედ ეგრეც იყო განკითხული, ხოლო განაჩენი ისე ხელდახელ ალალბედობაზე დაწერილა, თითქო საიმისო არა იყოს-რა, რომ ამაზე მეტად შეწუხებულიყო დამწერი, გზა განკითხვისა სხვისთვისაც დაენახვებინა და საქმე საჰო-არაოდ არ გაეხადნა.

თუნდ ეგეც არ იყოს, რას ჰნიშნავს **постановил удалить**? აქაც განაჩენს ხელდახელობა ეტყობა, იმიტომ რომ უფრო ჯეროვანი და უმიზეზოა კომიტეტს ეთქვა: „**предложить чрезвычайному собранию удалить**“... და სხვანი, თორემ ეხლა კი გამოდის, ვითომ თვით კომიტეტს მოუწადინებია თავის ძალით **удалить**, მაშინ, როდესაც წესდების § 78, მუხლი 15, ამბობს: „**Ведению Наб. К-та подлежит: постановление заключения об удалении от должности членов правления**“... და სხვანი. მართალია, მეორე ნაწილი განაჩენისა ცხადად ამბობს, რომ საქმე შესახებ თავმჯდომარის გადაყენებისა უნდა გადაეცეს განსასჯელად ახლად მოსაწვევს კრებასაო, და ამით ცხადდება აზრი პირველ ნაწილისაც, მაგრამ მაინცდამაინც სასურველია განაჩენები ისე იწერებოდეს, რომ საჭოროდ და კლანჭმოსადებად არა დასტოვოს-რა.

ჩვენ ყოველ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ აქაოდა კომიტეტი ცხადად არა სწერს თავის განაჩენებს, და ამიტომაც გამგეობა, ან მისი თავმჯდომარე, უნდა თვითნებობდეს და ურჩობდეს. აქ არც ერთს და არც მეორეს თავის გასამართლებელი არა აქვს რა. მით უფრო, რომ რასაც კომიტეტი ამათა სთხოვდა, ამის შესახებ განაჩენი მეტისმეტად ცხადია და კუდგამოუბმელი. თუ ესე არ ყოფილიყო, აბა საცა მიზეზ-მიზეზ და დოს მარილი აკლიაო, იქ კი ამას ხელ-

ზე არ დაიხვევდნენ და არ იტყოდნენ: რომ ვერა ვავიგეთ რა კომიტეტისა, რა აგვესრულებინაო.

ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერილებს, რომელიც მეტად გრძელი მოგვივიდა და იქნება მოსაწყენიც. თუ ესეა, შეგვინდონ და იმას აპატიონ, რომ ეს საქმე ჩვენდა საერთო საქმედ მივიჩნიეთ და ჩვენც ისე გვაწუხებს, როგორც თვითეულს წევრს ქუთაისის საზოგადოებისას, იმიტომ რომ ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგანაც ერთსულნი და ურთხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ.

ჭუთაისის ბანკის საქმეთა გამო

I

ტფილისი, 1 ნოემბერი, 1890 წ.

გაგონილა იმისთანა ამბები, რაც ქუთაისის ბანკის კრებაზე ისმის სიტყვით, თუ ბეჭდვითა? მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად იძულებულ გამხდარან გარედამ ყაზახები და პოლიციელები დაეყენებინათ და შიგნით ისეთი ალიაქოთი და არეულობა მოუხდენიათ, რომ კრებისა და საკუთარის თავის ღირსების პატივისმცემელთ საჭიროდ დაუნახავთ გარს შემორტყმოდნენ ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას, გუბერნიის მარშალს თ. წერეთელს, რომ მის ხელშეუხებელ და საპატიო ღირსებას არავითარი უკადრისობა არ ეკადრებინათ. სახელი და მადლობა მათ, ვინც ასეთი გულმტკივნეულობა და მართებულობა გამოიჩინეს შესახებ გუბერნიის მარშალისა და სირცხვილი და ძაგება მათ, ვინც ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას საამისოდ გაუხადეს საქმე. ამ უკანასკნელთა ქცევას რა სახელი დაერქვას, არ ვიცით. კაცი უყურებს ყოველს ამას და ჰკვირობს, — ეს სადა ვართ? რა საზოგადოებაა ის კრება, საცა მესაძლოა ამისთანა ამბების მოხდენა?

შეყრილან საქმეთა გასარჩევად, მართალის გამოსარკვევად და არა-რა წესს და რიგს კი არ დაგიდევენ. არც პატივისცემა თვითონ კრებისა, არც თავმჯდომარისა, არც თვითეულ ცალკე წევრისა, არც კანონისა, არც მართებულობისა და რიგიანობისა, არც თავის-თავისა, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი უარყოფილია და მარტო ჭვარტლმოკიდებული გული

თვითნებობისა, ძალმომრეობისა, ჰღაღადებს და ამღვრეულს საქმეს უფრო ამღვრევს, ჰრყვნის და აწბილებს. აუშვია აღვირი პირგახეულობას და არავის ნებას არ აძლევს სთქვას რამე, თვითონ კი ჰყვირის და ჰღრიალებს, „არ გვინდა, არ შეიძლება, ეხლავ კენჭი“, თითქო საგიჟეთიდამ ეს-ეს არის ეხლა გამოვარდნილა მარტო იმისათვის, რომ იყვიროს და იღრიალოს უთავბოლოდ. ვის სასარგებლოდაც ეს თავზე ხელაღებულობა დღეს ქუთაისის ბანკის კრებაში ასე კადნიერად და მოურიდებლად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოგიერთთა მჭვარტლიანს გულში ასეთი ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და საფარფაშოდ. ნუთუ ამ გზით გამარჯვება გამარჯვებაა და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა!

რას ჰფიქრობს ქუთაისის ბანკის საზოგადოება? რატომ არ იძიებს, რატომ არ იკითხავს, ვინ არის მიზეზი ამისთანა სათაკილო ამბებისა? განხეთქილება და დასთა ბრძოლა ამისებრ საქმეებში ყოველთვის არის და ყოფილა, ხოლო საქმის იქამდე მიყვანა, რომ საჭიროდ დანახულია გარს ყარაულები და პოლიციელები სიჯრთხილისათვის შემორტყმოდეს, არასოდეს არ ყოფილა, და დღეს რად მოჰხდა ეს და ვინ არის მიზეზი ამისთანა წინდახედულ გაფრთხილების მოვლენისა? განა მარტო ამ მიზეზის გამოწვევა საკმაო საბუთი არ არის, რომ მისი მომავლინებელი სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულისწყრომით უთხრას: „შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძვალისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას, ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო ხაქმეს ძირს უთხრი, პირქვე ამხობ, და ჩვენვე გვწურთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ. შორს, შორს ჩვენგან“!

ვინც ამ გაჭირებულს დღეს ამას იზამს, ვინც ამას არ ეტყვის დამნაშავეს და მით მამულიშვილურ ვაჟკაცობას არ გამოიჩენს, მან გასცეს პასუხი ქვეყანას, მომავალს, თავის თავს, თავის სახლობას და თავის ცოლ-შვილსა.

II

ტფილისი, 2 ნოემბერი, 1890 წ.

დღე ისე არ გადის, რომ ახალი სამწუხარო და სავალალო ამბავი არ მოგვიტანოს ქუთაისიდამ. „არ ვიცით ეს რა დაჰმართვიათ ქუთათელებს? რა ღვთის წყრომა სწვევიათ? რამდენსამე თავგასულს კაცს აუღიათ გონიერებასა და მართებულობაზე ხელი და ლამის მთელი საზოგადოება ერთმანეთს დააჯახონ, ერთმანეთი გააქელვინონ, საქმეც დაჰლუპონ და თავიანთი თავიც ქვეყნის სამარცხვინოდ გაჰხადონ. შესაძლოა ყველგან ამისთანა ორიოდე თავგასულის არსებობა, მაგრამ საკვირველი ეს არის, სხვები როგორ აჰყოლიან, სხვები როგორ ამოსდგომიან მხარში, სხვები როგორ ჰთამაშობენ შუშპარს ამ თავგასულობის სტვირ-საკრავზე? ნუთუ აქ ყველაფერი ცხადი არ არის? ნუთუ ეს თავგასულები პირდაპირ არ სჩანან, და თუ სჩანან, როგორ არა ჰხედავენ ამათ ისინი, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ვინც ასე ბრმად მისცემიან ოინბაზობას თავგასულებისას, რომელთაც, როგორც ეტყობათ, ყველა სიკეთე საზოგადოებური, ყველა რიგი და წესი კაცად-კაცური, ყველა მართებულობა უსირცხვილოდ გაუწირავთ, რომ ფიცი, თუ აღთქმა არ გაუტეხონ თავის მბრძანებლებს და მით იმათს შეუწყნარებელს სამარცხვინო ჟინს ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურონ. ნუთუ არავის ეთაკილება ეს ასეთი სათაკილო ყმობა, ასე ხელის-აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა თავის კაცურ-კაცობისა!

„არ შეიძლება, არ გვინდა, ეხლავ კენჭი“, — აყვირებენ თავგასულები თავის მომხრეებს უთავბოლოდ, წინდაუხედავად. ისინიც ჰყვირიან და არავის აცლიან ლაპარაკსა, თითქო ეშინიანთ რიგიანი და ჭკუადამჯდარი სიტყვა არავინა სთქვას და წინათვე განზრახული გეგმა მოქმედებისა, ფი-

ცით შეკრული და შებოჭვილი, არ ჩაგვიშალოს, არ ჩაგვიფუშოსო. ყველაზე მეტად საკვირველი ის არის, რომ მყვირალანი არ ჩაჰფიქრებიან და არ უკითხავთ თავის-თავისათვის, ეს რომ ვყვირით სხვის ჩაძახილსა, რანი ვართ ამ შემთხვევაში?. ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაგვიხდია თავი? ქვევრები ვართ, რომელთა რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოიძახონ, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რომ ათჯერ ჰზომოს და ერთხელ გამოსჭრას, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი.

ან რა არის ეხლანდელ საგანგებო კრებაში იმისთანა, რომ ასეთი გაწბილებული და ცეცხლმოკიდებული განხეთქილებაა ჩამოვარდნილი კრების წევრთა შორის? წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: საქმე მეტად უხვანჯო, მარტივი და სადაა. ზედამხედველ კომიტეტი ამბობს, რომ ბანკში არა მოხელის თვითნებობა არ უნდა იყოს შეწყნარებული, და თვითნება კაცი, თუ მაინცდამაინც თავისას არ დაიშლის, უნდა განდევნილ იქმნას ბანკის მოხელეობიდამ. ნუთუ აქ შესაძლოა კაცმა ორი სხვადასხვა აზრი იქონიოს უიმისოდ, რომ ჭკუა-გონებაზე განგებ ხელი არ აიღოს და სინიდისი არ გააჩუმოს? ნუთუ თვითნებობაზე საცნობელი არ არის ის ამბავი, რომ თავმჯდომარემ გამგეობისამ არ დაანება კომიტეტს ვექილობის წერილები, რომელნიც თვითვე იცნა კუთვნილებად კომიტეტისა, და მაინც გაჯიუტდა და არ დასთმო, თუმცა არა ერთხელ შეუთვალა კომიტეტმა, ნუ ჰნებულობ უარსაო. ნუთუ მომხრენი გამგეობის თავმჯდომარისა ეხლაც არა ჰხედვენ, რა ვაი-ვაგლახი მოსდევს ამ თვითნებობას?

დღევანდელი საგანგებო კრება, დღევანდელი წეწვა-გლეჯა, დღევანდელი საშინელი განსაცდელი, რომელსაც არ ვიცით, როგორ გადაურჩება ქუთაისის ბანკი, ეს ყარაულები და პოლიციელები ბანკის კრების სხდომაზედ, ეს ქვეყნის ყბადაღება, ეს ერთმანეთზე გადამტერება და თითქმის მუშტით წევა ერთმანეთზევე, სულ ამ წყეულ-შეჩვენებულ თვითნებობის შედეგია. თუ დღეს ასეა, როცა წინდახედულობა კო-

მიტეტისა სათავეშივე, დასაწყისშივე ყელში მისწვდა მაგ თვითნებობას დედაბუდიანად განსაძევად, რაღას უნდა მოველოდეთ მაშინ, როცა იგი სამუდამოდ ფეხს მოიკიდებს ბანკში თვითნებობის მომხრეთა მოწყალებით. ღმერთმა გვიხსნას ამისთანა დღისაგან, და ჩვენ კიდევ გვჯერა, რომ მაღალი ზნეობა ქუთაისის ბანკის წევრთა თავს გამოიჩენს ეხლანდელ კრებაში და თავის სასახელოდ საქმის ამრევსა და გამრყვნელს თავის უტყუარს მსჯავრს დასდებს.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამას დაუკვირდით, და ვინც განგებ თვალს არ იბრმავებს და ყურთა სმენას არ იხშობს, გვითხარით, რა პასუხია გამგეობის თავმჯდომარის პასუხი თ. დ. მიქელაძის კითხვაზე? როცა კრების თავმჯდომარეს გამოუცხადებია, რომ ვექილობის წერილები ჯერ სულ არ არის შემოწმებული და კრება უნდა კვირისათვის გადიდოსო, რა საკვირველია, ურიგობისა და თვითნებობის მომხრეთა ყვირილი შეუქნიათ: „არ გვინდა, შეუმოწმებლად იყოს, არ შეიძლება, ეხლავ კენჭიო“. მაშინ თ. დ. მიქელაძეს უკითხავს გამგეობის თავმჯდომარისათვის, — თქვენი აზრი გვიბრძანეთ, შესაძლოა შეუმოწმებლად ვექილობის წერილებისა კენჭის ყრაო, თუ არა? გამგეობის თავმჯდომარეს არ უღირსებია პირდაპირ თ. მიქელაძისათვის პასუხი და კრებისათვის კი მოუხსენებია ოქროს ფიცარზე ოქროთი დასაწერი სიტყვები: კანონით არ შეიძლება და მე კი, როგორც კალისტრატე ჩიკვაიძეს მგონია, რომ შესაძლებელიაო*. როგორ? თუ კანონით შეუძლებელია, იმას, თუნდ როგორც კალისტრატე ჩიკვაიძეს, რად უნდა ეგონოს შესაძლებლად? რაო? განა ბ-ნი ჩიკვაიძე კანონზე უმაღლესად დააყენა ვინმემ? მისი „მგონიაობა“ აქ რა მოსატანია? საცა კანონია, იქ მგონიაობა, თუნდ ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძისა, შინ უნდა იჯდეს ხმაამოუღებლად. კიდეც ეგ არის, ბატონო, რომ კანონი ერთს ამბობს და თქვენ კი სხვა

* ძნელად დასაჯერია ამისთანა კუდიანი პასუხი, თუმცა სარწმუნო კორესპონდენტისაგან არის მოწვდილი. მაინცდამაინც ამის პასუხისგება თვით კორესპონდეტისათვის გვეკისრებია.

გგონიათ. ამის მეტს არას გიჩივის ზედამხედველი კომიტეტი და ამ შემთხვევაში ენამან თქვენმან გამხილათ თქვენ და ვისაც ყურნი აქვთ სმენად, ისმინონ.

ან რა პასუხია ასეთი ორპირი პასუხი? ვინც ეს გაიგონა კრებაში, გულში ნეტა არ იოცა — ეს ვისთან გვქონია საქმეო! კანონი ერთს ამბობს და მე კი სხვა მგონიაო, ამას ამბობს თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა საქვეყნოდ, ბანკის საზოგადო კრებაში, ბანკის საქმის თაობაზე! აქ რაღა სხვა ლარი და ხაზი უნდა სამართლიანი მსჯავრის დასადგენად, როცა კაცი თვითონვე ამბობს; კანონი ერთს ამბობს და მე სხვა მგონიაო. აქ საქმე, რომლის გამოც დღეს ასეთი ალიაქოთია ატეხილი ქუთაისში, თავისთავად ჰლაპარაკობს, თავისთავად ჰღაღადებს გაბგეობის თავმჯდომარის ბაგითა. მარტო ბრმანი და ყრუნი თუ იტყვიან,—არა ვხედავთ, არ გვესმისო.

თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება

ტფილისი, 4 ნოემბერი, 1893 წ.

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ რამდენმამე მიწისმომქმედმა ტფილისის გუბერნიისამ მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი ამგვარის სახელწოდებით: „წესდება ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა“.

ეჭვი არ არის, რომ ამისთანა საკრედიტო დაწესებულება ფრიად საჭიროა ჩვენში.

აწ არსებულნი საკრედიტო დაწესებულებანი — სახელმწიფო, თუ საზოგადოებისანი, — რომელთაც კი საგნად აქვთ მოკლევადიან სესხით ხელი გაუმართონ ფულისთვის გაჭირებულთ და ამისათვის ვექსილის ჩამორთმევა, ანუ საქონლის ვირაოდ მიღება იკმარონ, თითქმის მარტო იმათ უღებენ კარს კრედიტისას, ვინც ვაჭარია და ვინც სავაჭრო საქმეს და საქარხნო, თუ საფაბრიკო მრეწველობას მისდევს. ამ სახით ვაჭრობას დიდი და ფართო გზა აქვს მიცემული საჭირო ფული იშოვნოს თავის საქმეში სამოქმედოდ და სატრიალებლად.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. ხოლო არ შეიძლება სახეში არ იქონიოს სახელმწიფომ, თუ საზოგადოებამ, რომ მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა საჴურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორ-

ძინდება და არ წარიმატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს.

ერთი ამისთანა მრეწველობა არის მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და ავლადიდება ერისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. აი სწორედ ესგვარი მრეწველობაა დატოვებული ამჟამად უკრედიტოდ. სწორედ სოფლის მეურნეობას არსადა აქვს გზა ფულით ხელი გაიმართოს მოკლე ვადით, რომ მით გაიძლიეროს, მოიმატოს ღონე, წლიდამ წლამდე აწარმოოს საქმე გაუჭირებლივ და საკმაო სიდიდითა.

გვეტყვიან, მაშ საადგილმამულო ბანკები რის მაქნისნი არიან, თუ მეურნეობას არა ჰშველიანო.

სოფლის მეურნეობა ერთი იმისთანა საქმეა, რომელსაც ორი დიდი გაჭირება აქვს თავის გაძლიერებისათვის. ერთია სამუდამოდ განკარგება მამულისა, რომელიც დიდხანს დაბანდებას ფულისას ჰთხოულობს და ამასთან დაბანდებულს ფულს წვრილწვრილად და თანდათანობით აბრუნებს უკან და არა ერთხანად და მთლად. ამ საჭიროებას იმისთანა კრედიტი უნდა, რომელიც ხანგრძლივია და წვრილწვრილად გადასახდელი. აი სწორედ ამისთანა კრედიტს იძლევა საადგილმამულო ბანკი.

ხოლო სოფლის მეურნეობას, მიწათმოქმედებას სხვა მოკლე ვადის საჭიროებაცა აქვს. მაგ., საჭიროების მანძილია მოკლე ხანა მოსავლიდამ მოსავლამდე. ამ მოკლე ხანში მეურნეობას ხშირად უჭირს ხოლმე ხარჯის გასაძღოლად ფული. ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი თავის დროზე და თავის ფასად ვერ გაუყიდნია, ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი ნაკლებია და არა სწვდება ხარჯსა. რა ჰქმნას ამ სოფლის მეურნემ? უნდა სადმე იშოვოს ფული ახალ მოსავლამდე. რადგანაც ამ მოსავლიდამ მოსავლამდე ხარჯს ახალი მოსავალი მთლად და ერთხანად უბრუნებს ხოლმე, ამიტომაც მეურნისათვის საშიშარი არ არის სესხის ვადად ახალი

მოსავალი დაიდოს და პირობად ერთხანად და მთლად დაბრუნება ნასესხისა. ამ გაჭირებას უნდა სწორედ იმისთანა კრედიტი, რომელიც მოკლევადიანია და ერთხანად მოსაშორებელი.

საადგილმამულო კრედიტი ბუნებითად ხანგრძლივია, რთული, მრავალის აუცილებელ ფორმალობით დატვირთული, და კაცი, მინამ მის მოთხოვნილებას აასრულებს, მოსავლიდამ მოსავლამდე გაჭირებას ვერას უშველის. მოკლევადიანი და ერთხანად მოსაშორებელი კრედიტი-კი სწრაფია და დაუყოვნებელი. მოსავლიდამ მოსავლამდეც ხომ იმისთანა ხანაა, რომ სწრაფს და დაუყოვნებელ მიშველებას თხოულობს. ამგვარი კრედიტი ემყარება მხოლოდ მსესხებელის ან კეთილსინდისიანობას და შეძლებას, ან მის წარდგენილს მოძრავს გირაოს.

აწ მომქმედნი ტფილისში საკრედიტონი, სახელდობრ „ტფილისის საზოგადოება საურთიერთო კრედიტისა“, „ტფილისის საკომერციო ბანკი“ და აგრეთვე „განყოფილება სახელმწიფო ბანკისა“, რომელნიც ამგვარ მოკლევადიან კრედიტს აწარმოებენ ჩვენში, — მარტო სავაჭრო მრეწველობას ხელს უმართავენ და თითქმის მარტო იმათ ჰშველიან, ვინც ვაჭრობაშია.

ამ სახით კრედიტ-გარეთ დარჩენილ არიან მარტო ერთნი მიწათმომქმედნი. მარტო ესენი არიან მოკლებულნი იმ კეთილმომქმედ შემწეობას წესიერად დაყენებულ კრედიტისას, რომელსაც შეუძლიან აწვდინოს გაჭირვებულს შეღავათიანი სესხი მოკლე ხნით, ერთის მოსავლიდამ მეორემდე.

დღევანდელი მოკლევადიან კრედიტის წესი სხვაფრივადაც სჩაგვრენ მიწათმომქმედსა. თვითონ სოფლის მეურნეობის ნაამაგევი ჭირნახული, რაც გინდ ბევრი ჰქონდეს მიწათმომქმედს, მის ხელში უქმი განძია, ვიდრე გაჰყიდის და ფულად აქცევს. არც ერთი ზემოხსენებული საკრედიტო არ დაიგირავებს ხოლმე იმ ჭირნახულს და ამ გზითაც სესხით ხელს არ უმართავს მის პატრონს. ამის გამო იგი სიმდიდრე, რომელსაც ჭირნახული წარმოადგენს, უქმადა ჰდევს როგორც პატრონისათვის, ისეც თვით წარმოებისათვისაც მთელს დროს,

მოსავლის დღიდამ გასყიდვამდე. ეს არამც თუ ზარალია ცალკე კაცისათვის, არამედ ქვეყნისათვისაც. ეს ამბავი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგივე ჭირნახული, რაკი მრჩემედისაგან ვაჭრის ხელში გადავა, შესაძლოა გირაოდ მიღებულ იქმნას სესხის სათავდებოდ.

ესეთი უნუგეშობა მიწათმომქმედისა თვით მთავრობამაც ამ ბოლოს ხანებში დაინახა და საჭიროდ სცნა გაულოს კარი კრედიტისა მიწათმომქმედს, თუ იგი პურს წარუდგენს გირაოდ. 2 აგვისტოს ამ წლისას გამოვიდა ეგრეთწოდებული „დროებითნი წესნი“, რომელთ საგნადა აქვთ ხსენებულ გაჭირებას მიწათმომქმედისას უშველოს და გაჭირებულს ხელი შეუწყოს.

ჩვენებურნი მიწათმომქმედნი, რომელთაც ხსენებული წესდება წარუდგინეს მთავრობას, იმედოვნებენ, რომ მთავრობა მაგისთანავე სანუგეშო მზრუნველობას და ყურადღებას მიაქცევს ტფილისის გუბერნიის მიწათმომქმედსაც. ამ იმედით შეუდგენიათ წესდება იმისთანა კრედიტისა, რომელსაც საგნადა აქვს ანდრო სესხი ან ვექსილზე, თუ ვექსილის მომცემი კეთილსაიმედოა, ან იმისთანა საქონლის გირაოზე, რომელიც ნამოქმედარია სოფლის მეურნეობისა, მაგალითებრ, პურზე, ღვინოზე, სიმინდზე, ქერზე, მატყლზე, ბამბაზე და აბრეშუმზე.

თვითეული აქ ჩამოთვლილ ქონებისა წარმოადგენს იმისთანა ღირებულ საგანს, რომელიც სესხის მოკლე ვადას გაუძლებს ისე, რომ არ წახდეს, და ამიტომ საკმაოდ უთავდებებს სესხსა მით უფრო, რომ სესხად მიეცემა მარტო ნახევარი ღირებულებისა. ეს ნაწილი ბანკის ოპერაციისა სულ ახალი საქმეა მოკლევადიან საკრედიტოსათვის, თუ არ ვცდებით, და ამიტომაც ბევრი ახალი მუხლი ჩაურთავთ წესდებაში, რაც სხვა წესდებაში არ იყო აქამდე, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა შემოწმებულ იქმნას გირაოდ მისაღები საქონელი, როგორ, სად და ვისის პასუხისგების ქვეშ უნდა ინახებოდეს გირაო და სხვა ამისთანანი.

სასურველია, რომ მთავრობამ შეიწყნაროს და დაამტკიცოს წარდგენილი წესდება, თუმცა საფიქრებელია, დამტკიცება არ გაძნელდეს, რადგანაც ამ წესდებას შიგ ჩართული აქვს იმისთანა ოპერაცია მიწათმომქმედთა შეწყობისათვის, რომელიც არც ერთს მთავრობისაგან სამაგალითოდ ნაჩვენებ წესდებაში შეტანილი არ არის დღემდე.

ქუთაისის ბანკის შესახებ

ტფილისი, 3 დეკემბერი, 1893 წ.

კვირას, 28 ნოემბერს, ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო მწვავე წერილი „ქუთათურისა“, სადაც აღნიშნულია მართლა უცნაური ამბავი იმისა, რომ თავმჯდომარე ზედამხედველ კომიტეტისა 10 დეკემბრისათვის იწვევს თავადაზნაურობას საზოგადო კრებას და რამდენიმე წევრი ზედამხედველ კომიტეტისა-კი ამავე კრებას იწვევს მომავალ წლის 20 მარტისათვის. „ქუთათური“ სამართლიანად ეკითხება: რომელს ერთს დავუჯეროთო და ან ვინ გაგვითამამდა ისეთ. რომ ამისთანა ამბავიც საკითხი გაეგიხდაო.

მართლადა, ეს რა ამბავია? რად უნდა მომხდარიყო ამისთანა ჰკვადმოუსვლელი ამბავი იქ, საცა, თუ კი სიყვარული საზოგადო საქმისა არის, ამისთანა ამბავს ადგილი არ უნდა ჰქონებოდა და თვით ამ სიყვარულს საქმისას ადვილად უნდა მოერიგებინა ამ შემთხვევაში სხვადასხვაობა აზრისა. ვის რა დაუშავდებოდა იმით, რომ ან ერთს, ან მეორეს დაეთმო თვისი აზრი და ერთი დრო და დღე დაენიშნათ კრებისათვის?

ჩვენ იმის გამოძიებაში ვერ შევალთ ვინ არის მიზეზი ამისთანა არევ-დარევისა, რადგანაც ხელთ არავითარი საბუთი ამისათვის არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ „ქუთათურთან“ ერთად ვიკითხავთ გაოცებით: როგორ იშვნევენ ამისთანა ამბავს მთელი თავად-აზნაურობა, მთელი წევრნი ქუთაისის ბანკისა? ვისაც გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისათვის, ყველა შეძრწუნებულია ამისთანა ამბით.

აშკარაა, აქ ორი ერთმანეთის წინააღმდეგი დასი მოქმე-

დობს და ჩვენ გვიკვირს,—ნუთუ ამ ორ დასში თვითეულად ცალკე იმოდენად კეთილგონიერნი კაცნი არ მოიპოვებიან, იგრძნონ, რომ ამ გზით სვლა საზოგადო საქმისა შეუძლებელია; რომ ეს ამისთანა ამბები ბანკის საქმეს უფსკრულისკენ პირს უშვერება და დღესა თუ ხვალე თვით საქმეც დაიღუპება და თან გადაიტანს ცოდვილსაც და მართალსაც.

დასთა ბრძოლა ყველგან არის, მაგრამ ისე კი არა, რომ აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი შუაში გაიჭყლიტოს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთს დასშიაც და მეორეშიაც ამისთანა კეთილგონიერნი კაცნი ბევრნი მოიპოვებიან, და ამათი უწმინდაესი მოვალეობაა ქვეყნის წინაშე ერთად შეიყარონ, დაუკვირდნენ ამ ამბის ავ-კარგიანობას, გამოარკვიონ ვინ არის ყოველ ამ არევ-დარევაში დამნაშავე, თავის უტყუარ და საბუთიან განაჩენით ყველას თავისი მიუწყონ და შეჰკრან სამართლიანი, მარტო საქმის სიყვარულით გამსჭვალული პირობა, რომ იხმაროს ყოველივე მართებული ღონისძიება ბანკის საქმე დაიხსნან განსაცდელისაგან, გზიდამ ჩამოაცალონ ისინი, ვინც თვით საქმეს ჯანაბაში ჰგზავნიან და წყალს ამღვრევენ მარტო იმისთვის, რომ მღვრიე წყალში ჰლამობენ ზუთხი ხელთ იგდონ, საკუთარს წადილს, ჟინს და ჭირვეულობას ანაცვალონ საზოგადო, საქვეყნო საქმე, ჩვენდა სასახელოდ დადგენილი და არა სამარცხვინოდ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილგონიერთა კაცთა ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოში. იმერეთში, როგორც ყოველგან სხვაგან, არ იქნება ბევრ ჩხავანეებთან ერთად ბევრნი არ იყვნენ იმისთანანიც, რომელნიც დღეს ორ წყალ შუა დგანან და არ იციან, რა ჰქმნან, წყურვილი-კი აქვთ, გაიგონ პირუთვნელი, მიუდგომელი, საბუთიანი და მართალი ხმა და ამ ხმას რწმენით და გულდადებით შეუწონონ თავისი მოქმედება საზოგადო საქმეში. ჩვენდა სანუგეშოდ უნდა ვირწმუნოთ და გვწამს კიდეც, რომ ამისთანანი იმერეთ-გურია-სამეგრელოს თავად-აზნაურობაში ბევრნი არიან. ბევრნი არიან პირუთვნელად საქმის მოყვარენი, გულწრფელნი მსურველნი საზოგადო, საქვეყნო საქმის კარ-

გად წარმართვისა. მაგრამ რადგანაც ცალკ-ცალკე, სიშორით, თუ სხვა მიზეზით, არც დრო აქვთ, არც ღონე საქმის გამოძიებისა, ზნეობითს წამებასა და წვალებაში არიან,—რა ვქნათ. არ ვიცით სად არის ამ გაჭირებულ მდგომარეობაში მართალი, რომ იმას მივემხროთ, გამარჯვებით გავიტანოთ და ამით ჩვენი თავიც დავიხსნათ სირცხვილისაგან და ჩვენი საერთო საქმეც წაწყმედისაგანაო.

ამისთანა კაცთა შორის მართალი და საბუთიანი სიტყვა თუ ხმა ისე სჭრის, როგორც ბასრი ხმალი,. და თვით ღონეც, ციხე-სიმაგრეც საზოგადო საქმისა, სწორედ ამისთანა კაცთა ხელშია ყველგან და ჩვენშიაც სწორედ ამათს მფარველობას უნდა მიენდოს. სხვაფრივ ხსნა საზოგადო საქმისა შეუძლებელია. დასთა ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააჩვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე.

ყოველი გულშემატკივარი კაცი ჩვენის საზოგადო საქმისათვის უუწმინდაეს ვალად უნდა ჰრაცხდეს ამისთანა გულწრფელ და პირუთვნელ მართლის მოყვარე კაცთაგან შეადგინოს კრებული და მას მოაპოვებინოს ადგილი საზოგადო საქმის სარბიელზე. აქ ძალა, ხერხი და სხვადასხვა ოინები მანძილს ვერ გაივლის. აქ უნდა მტკიცე რწმენა მართლისა მოქმედობდეს, რადგანაც მარტო მართალია შემკვრელი და გამამტკიცებელი ამგვარ კაცთა კრებულისა. ამათ წინ ჩხავანა მომხრე დასისა ვერას იქმს, ფონს ვერ გავა.

დაუმტკიცეთ სად არის მართალი და მტყუანი, და გვერწმუნეთ მართალი იმოდენა მომხრეებს იშოვის, რომ ბურჯად შეექმნას ყოველ საზოგადო საქმეს. ამისი თავმდებია საზოგადოდ ადამიანის კეთილ-გონიერება, პატიოსნება და გულწრფელი სიყვარული საქმისა, ესე იგი, იგი საზოგადოებური და ადამიანური ღირსება, რომელსაც ყოველს საზოგადოებაში თავისი მომხრე, მიმდევარი და მცველი ჰყავს და ურომლისოდაც წარმოუდგენელია თვით კაცთა საზოგადოებაც.

რა მიზეზია, რა საბუთია ვიფიქროთ, რომ ამას, ამ ზოგადს ღირსებას მოკლებული იყოს იმერეთის თავად-აზნაუ-

რობა? ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ფიქრისაგან. ეს ასე რომ იყოს, მაშინ „ქუთათურის“ თქმისამებრ, გულხელი დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, ისა სჯობია.

მადლობა ღმერთს ჯერ ამაზე ძალიან შორსა ვართ და დღეს მარტო საჭიროა, ჩვენის ფიქრით, კეთილ-გონიერებას და მართლმსაჯულობას იმერეთის თავად-აზნაურობისას გზა და საშუალება მიეცეს თავის უტყუარის განაჩენის დადგენისა იმის თაობაზე, თუ ვინ არის ყოველ ამ არევ-დარევაში დამნაშავე, გზიდამ ჩამოიცალოს იგი და იმისთანა საზოგადო საქმეს, როგორც ბანკია, აწ სეირის საყურებელ მოედნად გადაქცეულს ეპატრონოს და მოუაროს.

ამ კეთილგონიერების და მართლმსაჯულობის გამოწვევა უუწმინდაესი ვალია იმათი, ვისაც გულწრფელად უყვარს საქმე და თვით იმერეთის თავად-აზნაურობაცა. კიდევ ვიტყვით: ჩვენ გვწამს რომ როგორც ორსავ ერთმანეთთან დაჯახებულ დასში, ისეც ამ დასებ გარეთ საკმაოდ მოიპოვებიან ამისთანა კაცები. ამათ და სწორედ ამათ უნდა ითავონ საქმის გამორკვევა და გამორკვეულის გამოცხადება საქვეყნოდ, რომ საზოგადოების მართლმსაჯულობას და კეთილ-გონიერებას მართალი საბუთი ჰქონდეს თავის მსჯავრის დადებისა.

ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ

ტფილისი, 16 იანვარი, 1894 წ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ 20-ს იანვრისათვის დაუნიშნავს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, „რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლისა, რათა ეხლანდელ საზოგადო კრებათა მაგიერ შემოღებულ იქნას არჩევნები მათი, რომელნიც უნდა დაესწრნენ ხოლმე ბანკის კრებას მის სხვადასხვა საქმეთა განსახილველად".

დღეს-აქამომდე ყოფილი წესი, რომლის ძალითაც შესდგებოდა ხოლმე ბანკის საზოგადო კრება, ნება და უფლებას აძლევდა ყველა წესიერ ცენზის პატრონს ბანკის წევრს თითონ დასწრებოდა კრებას და მიეღო მონაწილეობა როგორც ბანკის საქმეთა განხილვაში, ისეც გადაწყვეტაში. ამ სახით აწ არსებულის წესით თვითეულს ამისთანა წევრს სარჩევი და გადამწყვეტელი ხმა ჰქონდა კრებაში.

ეხლა, როგორც ეტყობა, განუზრახავთ ეს ფართო უფლება ცოტად თუ ბევრად შემოზღუდონ და ვიწრო ფარგალში მოაქციონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ეს შემოკლება უფლებისა საჭიროდ დაუნახავს თვით ფინანსთა სამინისტროს და წინადადება მიუცია ბანკისათვის, რომ საზოგადო კრება ბანკისა ამას იქით შედგენილ იქნას არა ცენზის პატრონ წევრთაგან, არამედ მათ წარმომადგენელთაგან, რომელნიც ამორჩეულ უნდა იქმნენ წევრთა კრებისაგანაო.

რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა განკარგულება სამინისტროსი გამოწვეულ იქმნება იმ არევ-დარევისა და ური-

გობისაგან, რამაც ამ ბოლო ხანებში ასე სამწუხაროდ ჩვენ-და იჩინა თავი ბანკის კრებებზედ ქუთაისში. ერთმანეთის წეწვა-გლეჯა ამ კრებებში, გამწვავება შენ-ჩემობისა, საომ-რად გამოსვლა კერძო ინტერესებისა და ამის გამო დას-და-სად დარღვევა და განაწილება საზოგადოებისა, ერთმანეთის გადაკიდება, მტრობა, გაუტანლობა და ათასი სხვა ვაი-ვაგ-ლახი, ბოლოს იქამდე მისვლა, რომ საჭიროდ დანახულ იქმ-ნა კრების ღირსების დასაცავად პოლიციის და ადმინის-ტრაციის მოწვევა, — ყოველივე ეს ისე არ ჩაივლიდა, რომ მთავრობას ყურადღება არ მიექცია და რაიმე ღონე არ ეღონა.

ამ არევ-დარეულობას რომ სარჩულად მაინც ბანკის საქ-მეთა სიყვარული და სიკეთე სდებოდა, კიდევ ადამიანი ასე თუ ისე შეიწყნარებდა. უბედურება ის იყო, რომ შენ-ჩემობა თავის უკადრისს ფრთასა ჰშლიდა გარყვნად და წაწყმედად საქმისა, დასამხობლად ზნეობისა, წასახდენად ხასიათისა. აშკარად სჩანდა, რომ საზოგადო საქმე, როგორიც ბანკია, სულ დავიწყებულ იქმნა. იგი მტლად დაედო და ფიანდაზად გაეშალა ცალკე კაცის წყურვილსა და სურვილსა.

ამის დასამტკიცებლად შორს ძებნა საბუთისა არ მო-გვინდება. აბა გაიხსენეთ საზოგადო კრებანი ქუთაისის ბან-კისა, თუ თვალწინ არ აგეტუზოთ ამისთანა, მართლა რომ დაუჯერებელი და უცნაური ამბავი. ყოველი კრება ბანკისა, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყება ხოლმე ყოველთ უწინა-რეს ბანკის საქმეთა განხილვითა: ჯერ ყველაზე წინათ იმის-თანა საგანსა სინჯავს ხოლმე კრება, რომელიც ასე თუ ისე არსებითს საჭიროებას ბანკისას შეადგენს და რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ბანკის ბედს შეეხება. ვიდრე ეს არ-სებითნი საჭიროებანი ბანკისა ისინჯება კრებაში, კრებაზე ასი, ას-ოცი, თუ მეტ-ნაკლები წევრი ძლივს მოდის და რა-კი არჩევანზე მივა საქმე, მაშინ ნურც ხუთას-ექვსასი კაცი გშურთ. რას მოასწავებს ეს, თუ არ იმას, რომ ბანკის გულ-შემატკივარი მეტად ცოტაა, რომ თითონ ბანკს იმოდენად ყურს არ უგდებენ და თავის მხნეობას მარტო მაშინ იჩენენ, როცა „მე თუ შენ“ დადგება ხოლმე მოედანზე მთელის თა-ვის უგემურობითა.

განა ეს ამბავი იმის მომასწავებელი არ არის, რომ ამ შემთხვევაში ხალხი მორეკილია, ასე თუ ისე განგებ მოგროვილი და მობირებულია კერძო კაცის ოსტატობით, გაძვრენ-გამოძვრენით, და არა თითონ მოსულია საზოგადო საქმის სიყვარულით და გულის ტკივილითა. რა თქმა უნდა, ამისთანა კრება ვერას დროს ვერ დადგება იმ სიმაღლეზედ, საცა მარტო საზოგადო საქმის სიყვარული და გულისტკივილი საქმობს და ჰმართავს თვით საქმის სვე-ბედსა.

აქ, ჩვენის ფიქრით, დანაშაული ის წესი კი არ არის, რომელიც თვითეულს ცალკე წევრს ბანკისას ხმას აძლევს კრებაში, არამედ ის გაიძვერაობა, ის ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკილობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ გაიძვერაობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე სხვა რამე.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად გასწმენდს და გააფაქიზებს ჩვენს მოღვაწეობას საზოგადო სარბიელზე იმისთანა კრება, რომელიც შედგენილ იქნება საზოგადოების არჩეულთაგან. უწესოებას და ურიგობას, არა გვგონია, ამ არჩეულთა კრებისაგან ბევრი რამ ეწამლოს. თბილისის საკრედიტო საზოგადოება ცხადი მაგალითია იმისი, რომ ეს არჩეულთა კრებაც ვერაფერი ციხე-სიმაგრეა, ვერაფერი ფარხმალია უწესოებისა და ურიგობის მოსაგერებლად. ბევრს კი ჩვენში იმედი აქვთ, რომ ეს არჩეულთა კრება ერთადერთი ღონეა, რომ ჩვენს საზოგადო საქმეს ეშველოს რამე და წესიერი სვლა იქონიოს. ძნელია ხელაღებით თქმა, რომ არჩეულთა კრების შემოღების სურვილს თავისი პატივსადები საბუთი არა ჰქონდეს, რაკი შესაძლო გახდა ჩვენში განგებ მორეკა წევრთა კრებაში და არა მათის საკუთარის სურვილით მოსვლა, საქმის სიყვარულით გამოწვეული. დრო და მაგალითი ქუთაისის ბანკისა დაგვანახვებს არჩეულთა კრება რამოდენად დაედება წამლად ამ ჩვენს ახლად შემოსეულს ჭირსა.

დღეს კი ქუთაისის ბანკის შესახებ მეტია იმაზე ლაპარაკი, — აწ არსებული წესი სჯობია, თუ ახლად განზრახული. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის განცხადებიდამა სჩანს, რომ ახლად განზრახულის წესის დადგენა გადაწყვეტილი საქმეა და მხოლოდ საჭიროა იმის პროექტის შედგენა, თუ როგორ და რა გზით მოხდეს ეს არჩევანი.

ყველაზე უწინარეს გამოსაძიებელი აქ ის არის, რომ ამ პროექტის შესადგენად ბანკის საზოგადო კრებაა მოწვეული, თუ თავად-აზნაურთა? სჩანს, თავად-აზნაურთა კრებაა, თორემ თუ ბანკისა ყოფილიყო, ბანკის მოხელეობას უნდა მოეწვია კრება და არა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. თუ ესეა, მაშინ თავად-აზნაურთა კრება როგორ შესცილების წესდებას ბანკისას, ესე იგი იმისთანა დაწესებულებისას, რომელიც სულ სხვა კრებას ექვემდებარება? არ ვიცით. ამ მხარეს საქმისას როგორ აუქცევს გზას მიწვეული კრება თავად-აზნაურთა, ხოლო უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაკი მოწვეულია, სჩანს საბუთი რამ იქმნება.

ესეა თუ ისე, აწ მიწვეულმა თავად-აზნაურობამ უნდა შეადგინოს პროექტი არჩეულთა კრების დასაწესებლად, სამაგიეროდ აწ არსებულ წევრთა კრებისა. რაკი გადაწყვეტილია, რომ არჩეულთა კრება უნდა უსათუოდ იქმნეს, ეხლა მარტო ისღა დაგვრჩენია, ჩვენ ჩვენი აზრი ვსთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოხდეს არჩევანი. ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით ყოველს წვლილს ამ საქმისას, ჩვენ მხოლოდ, ჩვენის შეძლებისამებრ, აღვნიშნავთ უმთავრესს საგნებს.

ჯერ ყველაზე უწინარეს უნდა გამოირკვას, რამდენი არჩეულია საჭირო, რომ წარმომადგენლობა საკმაოდ ვრცელი იყოს. ჩვენ გვგონია, საკმაო იქნება ორასი არჩეული. ეს ორასი კაცი უნდა განაწილდეს თანასწორად თვითეულ მაზრისათვის, ასე რომ თვითეულს ცალკე მაზრას თანასწორი რიცხვი შეხვდეს, არც მეტი სხვაზე და არც ნაკლები. თუმცა შესაძლოა, რომ თვითეულმა მაზრამ ცალკე ამოირჩიოს თავისი წარმომადგენელნი, მაგრამ უკეთესი იქნება, რომ არჩევანი მოახდინოს ხოლმე საზოგადო წევრთა კრებამ ქუთაისში იმ კანდიდატთა-

გან, რომელსაც თვითეული ცალკე მაზრა წარმოადგენს. ასარჩევნი უნდა არჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით და, მაშასადამე, ამ არჩევნებისათვის სამს წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ქუთაისის საერთო წევრთა კრება. ყოველს ცალკე წევრს ბანკისას ნება უნდა ჰქონდეს დაესწრას კრებას, მიიღოს მონაწილეობა საქმეთა განსჯისა და განხილვის დროს, თავისი აზრი სთქვას, ერთის სიტყვით ეგრეთწოდებული „სარჩიელი ხმა“* იქონიოს.

ეს ჩვენი აზრი იქნება ვერ მოუხდეს ადგილობრივს გარემოებას და, რა თქმა უნდა, ადგილის კაცნი უკეთ მოაწყობენ და უკეთ შეუფერებენ ამ ახალს წესს საქმისა ვითარებას და იმ მიზეზს, რომელმაც ამ ახალის წესის შემოღება საჭიროდ გახადა. ჩვენი სურვილი მარტო ეს არის, რომ ახალმა წესმა მეტად არ შეჰხუთოს სისრულე საერთო გუბერნიის წარმომადგენლობისა ბანკის საქმეში და ამ გზით ცოტაოდნად მაინც შეურჩინოს ბანკის კრებას ის ზოგადი მნიშვნელობა საერთო კრებულისა, რომელიც დღეს-აქამომდე ჰქონდა და რომელიც სასურველია კვლავაცა ჰქონდეს.

* совещательный голос.

კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის

ტფილისი, 15 დეკემბერი, 1894 წ.

ფინანსთა სამინისტროში დღეს აღძრულია გადასაწყვეტად ერთი საგანი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა ჩვენთვის და ერთობ ამიერკავკასიისათვის დიდ მნიშვნელობიანად უნდა ჩაითვალოს. სამხრეთ გუბერნიებს რუსეთისას, სახელდობრ იმ ადგილებს, საცა ვაზი ჰხეირობს, უთხოვნიათ სამინისტროსათვის, რომ ვენახებზედაც ხანგრძლივ ვადიანი სესხი ეძლიოს. სამინისტროს, როგორც სჩანს მის მიწერ-მოწერისაგან, ეს ორიოდე ადგილის თხოვნა საერთო საგნად გადაუქცევია და საერთოდ წესის შემოღებისათვის ვენახების დაგირავების თაობაზე შესდგომია საქმის განხილვასა. ამას ვამბობთ იმ საბუთით, რომ ფინანსთა სამინისტრო შეჰკითხებია სამეურნეო სამინისტროს, როგორ და რა გზით შესაძლოა ვენახები გირაოდ მიღებულ იქმნას ხანგრძლივის სესხის სათავდებოდ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამეურნეო სამინისტროს აქაურ მის ხელქვეითა მოხელეთათვის მოუწერია ამ საგანზე თავისი აზრი წარმოსთქვან და სამინისტროს გაუგზავნონ. აქაურმა უფროსმა მოხელემ სამინისტროსამ ამ საგნის გამოსარკვევად მიიწვია სახელმწიფო ქონებათა სადგურში აქაური აგრონომები და ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის ზოგიერთი წევრნი და ამ კრებულმა უკვე შეადგინა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოხსენებული იყო „ივერიაში“.

ჩვენ დღეს სრულებითაც არა გვაქვს აზრად გავარჩიოთ რაში მდგომარეობს ეს გადაწყვეტილება. ჩვენ გვსურს მხო-

ლოდ გამოვარკვიოთ მნიშვნელობა აღძრულის საგნისა ჩვენის ქვეყნისათვის.

ჯერ, როცა ჩვენი საადგილმამულო ბანკის წესდება წარდგენილ იყო დასამტკიცებლად, მაშინ ყურადღება მიქცეულ იყო სამინისტროსი იმ მუხლზე, რომელიც ვენახებსაც ჰხადიდა სათავდებოდ ხანგრძლივის სესხისა. სამინისტრომ მაშინ ძალიან იუარა ეს მუხლი და თავისი უარი იმითი დაასაბუთა, რომ ვენახი იმისთანა ქონებაა, რომლის ღირებულობა იმოდენად სავენახე ადგილზე არ არის დაფუძნებული, რამოდენადაც პატრონის პირადს გარჯასა და მხნეობაზეო; გირაოდ მიღების დროს წესაძლოა ვენახი ისე იყოს მოვლილი და ნაკეთები, რომ კარგს და ღირებულ ფასად დაფასდეს, რადგანაც კარკად ნაკეთი ვენახი ერთობ ძვირფასი ქონებაა, ხოლო ვინ გვითავდებებს, რომ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში ვენახის მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მოუვლელობით არ ამოვარდესო; მაშინ ბანკი უსათუოდ ზარალში ჩავარდება, რადგანაც კარგ ყოფაში დაფასებული ვენახი, ცუდ ყოფაში მოუვლელობით ჩავარდნილი, იმოდენას ვეღარ მისცემს პატრონს, რომ სესხის სიმძიმეს გაუძლოს და ძალაუნებურად გასასყიდად უნდა ბანკს თავზე მოახვიოსო; ბანკი კიდევ კარგ ყოფაში დაფასებულს ვენახს, მოუვლელობით ცუდ ყოფაში ჩავარდნილს, ვეღარ ამოაღებინებს ვერც თავსა და ვერც სარგებელს და უეჭველად იზარალებსო.

რა საკვირველია, ამ აზრს თავისი საბუთი აქვს: ვენახი ძვირფასი ქონებაა მხოლოდ მაშინ, როცა მართლა ვენახია. საკმარისია სამ-ოთხს წელიწადს პატრონმა ხელი არ შეუწყოს, ვენახი აბეჩხარდება და ვაზის ნაშენობით ძვირფასი ქონება ცარიელ მიწის ღირებულებაზეღა ჩამოვარდება და ამ შემთხვევაში ზარალი ბანკისა უეჭველია. ამიტომაც სამინისტრომ ვენახი მარტო მოკლევადიან სესხის თავდებად იცნო და ვადად სამი წელიწადი დასდო, რადგანაც, რაც გინდ იყოს, სამი წელიწადი ისეთი მოკლე დროა, რომ ჯერ საიმედოა მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მერე ვენახი ისე არ წახდეს, რომ ვენახის ნიშან-წყალი მაინც არ შერჩეს. ჩვენის წესდების ძალით, შესაძლოა და ამ სამს წელიწადს

კიდევ სხვა ხუთიც მიემატოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყოველ ვადის მომატებაზე ვენახი ბანკის მიერ გასინჯულ და შემოწმებულ იყოს. ვადას კიდევ როგორმე გაუძლებდა ვენახის პატრონი, მაგრამ აქ საქმე მარტო ვადა არ არის. საქმე ის არის, რომ ბანკმა მოკლევადიანი სესხი უნდა აძლიოს ნაღდ ფულითა და ამ მხრით საადგილმამულო ბანკები ერთობ დიდ დაბრკოლებაში არიან, რადგანაც უმთავრესი მათი ღონისძიება გირავნობის ფურცლებია და ნაღდი ფული, რაც აქვთ, მარტო ამ გირავნობის ფურცლის თავდებობაშია თითქმის დახაჯრებული და ამის გარეთ ხელთ არა აქვთ ნაღდი იმოდენად, რამოდენადაც სესხის მთხოვნელები არიან.

ამ ნაღდ ფულის ხელმოკლეობას ის მოსდევს რომ ბანკები ღონისძიებას მოკლებულნი არიან მოკლევადიანის სესხის მთხოვნელები სავსებით დააკმაყოფილონ, ესე იგი იმოდენა აძლიონ, რამოდენასაც მათის მამულების ღირებულება გასწვდება. ბანკები ამ შემთხვევაში იმასა ჰრჩეობენ, რომ ნაღდი ფული გამოიზოგონ, რათა ბევრს გაჭირებულს ცოტ-ცოტაობით მაინც გასწვდნენ, თორემ მამულის ღირებულებაზე რომ წავიდნენ, ათში ერთ-ორს თუ ეყოფა ნაღდი ფული ბანკისა. ამიტომაც ჩვენს ბანკს წესადა აქვს, რომ რაც გინდ დიდფასიანი მამული იყოს, ორას თუმანზე მეტი არ მიეცეს, ისიც ერთს ხელში.

ხანგრძლივი სესხი კი ღონისძიებას აძლევს ბანკს გაასესხოს ფული გირავნობის ფურცლებითა იმდენი, რამდენსაც მამულის ღირებულება შესძლებს და აიტანს. აი ამაშია დიდი მნიშვნელობა ხანგრძლივის სესხისა ვენახებზე ჩვენში. ეხლა ვენახი რომ ათას თუმნადაც ჰღირდეს, ორას თუმანზე მეტს ვერ მიიღებს სესხად პატრონი და ეს დიდი დანაკლისია პატრონისათვის, რომელსაც ქონება დიდფასიანი აქვს და გაჭირებაში კი სავსებით ვერ გამოუყენებია საკრედიტოდ, მაშასადამე, ამ მხრით ქონება მისი უქმია. გარდა ამისა, მოკლევადიანი, სესხი, რომლის ბუნება ის არის, რომ ვადის განმავლობაში სარგებელი უნდა იღოს და ვადის შემდეგ თავისი ერთბამად და სრულად დაიბრუნოს, მეტად სამძიმოა სესხის ამღებისა-

თვის ჯერ იმ მხრით, რომ ვერა უძრავი მამული მოკლე ხანს ვერ გაუსწორებს პატრონს თავნსა და სარგებელს სესხისას, მამულისათვის აღებულისას. რაკი ესეა, პატრონმა სხვა ღონე უნდა იღონოს ვალის გასასტუმრებლად და მისთვის სწორედ ეს არის ძნელი და გასაჭირი. გრძელვადიანი სესხი-კი, გირავნობის ფურცლებით აღებული, შესაძლოა მოშორებულ იქმნას ყოველწლივ ნაწილ-ნაწილად და თანდათანობით გაუჭირებლივ, თუ პატრონი მუყაითია და ვალს ვალად ჰხადის. გაუჭირებლივ ვამბობთ იმიტომ, რომ გრძელვადიანი სესხი, მამულის სარგოდ მამულზედ მიქცეული, აძლიერებს მამულის შემოსავალს და გაძლიერებული შემოსავალი გაუჭირებლივ გადიხდის ვალსა.

ეს აზრები რომ წავიმძღვაროთ წინ, დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, თუ სამინისტრომ შესაძლოდ დაინახა ვენახების დაგირავებით ხანგრძლივის სესხის აღება. ჯერ ერთი ისა, რომ სესხის სიდიდე შეზღუდული არ იქნება ნაღდის ფულის მეტ-ნაკლებობისაგან და ვენახის პატრონს კარი გაეღება სესხი მიიღოს იმოდენი, რამოდენსაც მოითხოვს ღირებულება ვენახისა, მეორე ისა, რომ სესხის ამღებს ნება მიეცემა თუნდ ერთბამად დაუბრუნოს ბანკს აღებული ვალი, თუნდ ცოტ-ცოტად და თანდათანობით იხადოს ვადის კვალობაზე, მესამე ისა, რომ ხანგრძლივი სესხი, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით სახდელი, ნებას აძლევს პატრონს კრედიტით მოშველებულ ფულით განაკარგოს გირაო მამული, გაუძლიეროს მოსაცემი მოსავალი და მით თითონაც გაღონიერდეს და ვალსაც გაუჭირებლივ გაუძღვეს.

მოკლევადიანი სესხი, 3-ის წლით აღებული, ამ უკანასკნელს შემწეობას არ მისცემს მამულის პატრონს, იმიტომ რომ შემოსავლის გაძლიერებისათვის მამულის განკარგებაა საჭირო და მამულის განკარგება კიდევ დიდის ხნით ფულის დახაფრებას თხოულობს. უძრავი ქონება, ვენახი იქნება თუ სხვა რამ, იმისთანა ბუნებისაა, რომ მასზე მიქცეული ფული პატრონს გვიან, დიდის ხნის განმავლობაში უბრუნდება თავისის სარგებლით, ისიც ერთბამად არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-

ნაწილ და თანდათანობით. ამიტომაც თვითონ საადგილმამულო კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მარტო უძრავ ქონებაზე, ამ უძრავ ქონების ბუნებაზევეა ზედგამოჭრილი: იგიც ჰთხოულობს სესხის დაბრუნებას ერთბამად კი არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით.

ვენახები კაი მოზრდილ ლუკმას ქონებისას წარმოადგენს ჩვენში, და თუ კანონი გრძელვადიან საკრედიტო საგნად გაჰხდის ამ დიდფასიან მამულს, მაშინ ვენახი, ვითარცა ამ მხრითაც გამოსაყენებელი ქონება, თავისს სრულს ეკონომიურს მნიშვნელობას მიიღებს და ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ფასს მოუმატებს.

სარედაქციო შენიშვნები

ილიას ნაწარმოებთა ტექსტისათვის

(სარედაქციო შენიშვნები)

ილიას ნაწარმოებთა მეშვიდე ტომში შევიდა ილიას წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე.

დასახელებული წერილები იბეჭდებოდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მოგვყავს ნუსხა ამ წერილებისა, მათი პირველად დაბეჭდვის ადგილის აღნიშვნით:

*

1. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი (გვ. 7 — 9). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1893 წელს, № 152.

2. ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში (გვ. 10 — 14). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1897 წელს, № 265.

*

წერილების ციკლი — **ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე:**

3. ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ (გვ. 17 — 24). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, №№ 241, 242.

4. ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება (გვ. 25 — 30) დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 26.

5. ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება (გვ. 31 — 35). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1893 წელს, № 4.

6. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი (გვ. 36 — 55). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1895 წელს, №№ 240, 243, 248, 249, 258, 262.

*

წერილების ციკლი — **ძვირფასი საადგილმამულო ჭირნახულის საქმე:**

7. ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი (გვ. 59 — 60). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, № 34.

8. ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე (გვ. 61 — 66). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1894 წელს, №№ 198, 201.

*

მელიორაციის საქმე:

9. მორწყვის საქმე წინათ და ეხლა (გვ. 67 — 69). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 61.

*

წერილების ციკლი — მევენახეობის და მეღვინეობის საქმე:

10. ღვინის ქართულად დაყენება (გვ. 73 — 145). ილიას ეს ვრცელი გამოკვლევა დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1887 წელს, №№ 37, 38, 39, 41, 44. 45, 46, 47, 49, 50, 52, 54, 57, 58, 60, 62, 63, 65, 66, 69, 71, 73.

11. ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი (გვ. 149 —163). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, № 91, 1887 წელს, №№ 28, 35. 96, 97.

12. მევენახე გლეხთა მდგომარეობა (გვ. 164 — 171). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, №№ 127, 128.

13. მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში (გვ. 172 — 175). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 31.

14. ფილოქსერა (გვ. 176 — 178). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 222.

15. ვაზის სნეულებანი (გვ. 179 — 183). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 277.

16. ვენახების წამლობის შესახებ (გვ. 184 — 185). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1890 წელს, № 64.

17. ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი (გვ. 186 — 189). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1892 წელს, № 240.

18. ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში (გვ. 190 — 192). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1900 წელს № 74.

*

მებამბეობის საქმე:

19. ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი (გვ. 195 — 199). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, № 5.

*

წერილების ციკლი — პურეულის საქმე:

20. პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში (გვ. 203—219). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, №№ 267, 268, 276, 277, 1887 წელს №№ 3, 4.

21. პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ (გვ. 220 — 223). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, №№ 96, 97.

22. ხიმინდის საქმე იმერეთში (გვ. 224 — 228). დაიბეჭდა გაზეთ „იკერიაში", 1891 წელს, № 240.

*

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ს ა ქ მ ე:

23. ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი (გვ. 231 — 237). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, №№ 104, 120.

*

წერილების ციკლი — ჩ ვ ე ნ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა დ ა გ ზ ე ბ ი ს ა დ ა ბ ა ზ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ი:

24. კახეთის რკინისგზა (გვ. 241 — 245). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, №№ 50, 51.

25. ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი (გვ. 246 —248). დაიბეჭდა „ივერიაში", 1886 წელს, № 108.

26. ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზედ (გვ. 249 — 254). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1893 წელს, № 28.

*

27. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ (გვ. 257 — 261). დაიბეჭდა კვირეულ გაზეთ „ივერიაში", 1877 წელს, № 2.

*

წერილების ციკლი — მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა ქ მ ე:

28. ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა (ლითოგრაფიის ქვის მადნის აღმოჩენის გამო), გვ. 265 — 269. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში". 1886 წელს, № 265.

29. შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე (გვ. 270 — 272). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, № 223.

30. ნავთის საქმე კავკასიაში (გვ. 273 — 282). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1887 წელს, №№ 12, 13, 14.

31. ნავთის ბაჟი (გვ. 283 — 286). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს, № 98.

32. ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო (გვ. 287 — 292). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში". 1887 წელს, №№ 32, 33.

33. ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში (გვ. 293 — 296). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1889 წელს, № 219.

*

34. საადგილმამულო გადახახადის საქმე (გვ. 299 — 309). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1900 წელს, №№ 51, 54, 58.

35. სატამოყნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი (გვ. 310 — 323). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1887 წელს, №№ 112, 113, 115, 116.

*

წერილები საქართველოს ბანკო-საკრედიტო და საფინანსო საკითხებზე:

36. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე (გვ. 327 — 339). დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, 1876 წელს, № 39.

37. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო (გვ. 340 — 348). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1886 წელს, №№ 101, 102 103.

38. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან), გვ. 349 — 418. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1886 წელს, №№№ 111, 112, 113, 114, 115, 116, 120, 121, 122, 123, 136, 144, 145, 146, 147, 150, 151, 152, 154.

39. ტფილისის და ჭუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შერთების საკითხებზე (გვ. 419 — 421). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1888 წელს, № 130.

40. საგლეხო ბანკის საკითხისათვის (გვ. 422 — 431). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1889 წელს, №№ 6, 7, 8.

41. საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის. (გვ. 432 — 438). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1890 წელს, №№ 18, 20.

42. ჭუთაისის ბანკის საქმე (გვ. 439 — 478). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1890 წელს №№ 167, 168, 169, 170, 171, 173. (გადმონაბეჭდი „ივერიიდან“ გამოიცა ცალკე წიგნაკად 1890 წელს).

43. ჭუთაისის ბანკის საქმეთა გამო (გვ. 479 — 484). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1890 წელს, № 233, 234.

44. ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება (გვ. 485 — 489). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1893 წელს, № 237.

45. ჭუთაისის ბანკის შესახებ (გვ. 490 — 493). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1893 წელს, № 262.

46. ისევ ჭუთაისის ბანკის შესახებ (გვ. 494 — 498). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1894 წელს, № 11.

47. კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის (გვ. 499 — 503). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1894 წელს, № 265.

*

ჩამოთვლილი 47 წერილიდან ილიას ხელმოწერით დაიბეჭდა მხოლოდ ორი:

36. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე (გაზეთ „დროებაში", 1876 წ., № 31);

42. ქუთაისის ბანკის საქმე (1890 წლის ცალკე წიგნაკად გამოცემა).

დანარჩენი წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა (უმთავრესად საგაზეთო მეთაურების სახით).

მათი ილიასადმი კუთვნილება ირკვევა შემდეგის მიხედვით:

ა) წერილი 1877 წლისა (27-ე) შეტანილია ილიას ნაწერების ხელნაწერ კრებულში 1722 — S, რომელიც გადაუწერინებია გამოსაცემად წარსული საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობას (ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში)[1].

ბ) ოცი წერილი 1886, 1887 და 1888 წლებისა (სახელდობრ წერილები: 1886 წლისა — 3, 20, 24, 25, 28, 29, 31, 37, 38, 1887 წლისა — 7, 10, 11, 12, 19, 21, 23, 30, 32, 35, 1888 წლისა — 39) შეტანილია მეორე ხელნაწერ კრებულში 5168 — S, რომელიც გადაწერილი იყო გამოსაცემად წარსული საუკუნის 90-იან წლებში იმავე ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის მიერ (ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში)[1].

იგივე ოცი წერილი აღნიშნულია ილიას ინიციალებით („Ი", „Ი. Ჭ") გაზეთ „ივერიის" სარედაქციო კომპლექტებში 1886, 1887 და 1888 წლებისა, რომლებიც გადმოცემული იყო „ივერიის" რედაქციიდან წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავისათვის (№№ 2241, 2242, 2651) და ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში[2].

გ) შვიდი წერილი 1889 წლისა (სახელდობრ წერილები 4, 9, 13, 14, 15, 33, 40) აღნიშნულია ილიას ინიციალებით გაზეთ „ივერიის" სარედაქციო კომპლექტში 1889 წლისა № 2651 (ბ), რომელიც ერთ ჯგუფს შეადგენს ზემოთდასახელებულ 1886, 1887 და 1888 წლების სარედაქციო ეგზემპლარებთან).

ეს შვიდი წერილი არაა შეტანილი ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის მიერ წარსულ საუკუნეში გამოსაცემად დამზადებულ კრებულებში.

---

[1] ილიას ნაწერების ხელნაწერ კრებულთა შესახებ, რომლებიც გადაწერილი იყო გამოსაცემად წარსული საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის მიერ, იხ. ტ. III, გვ. 485; ტ. IV, გვ. 399; ტ. V, გვ. 380 — 381; ტ. VI, გვ. 299.

[2] გაზეთ „ივერიის" ამ სარედაქციო კომპლექტების შესახებ იხ. ტ. III, გვ. 435 — 436; ტ. IV, გვ. 399; ტ. V, გვ. 385; ტ. VI, გვ. 299.

რადგან ამ კრებულებში საერთოდ არაა შეტანილი ილიას ნაწერები 1888 წლის შემდგომი დროისა.

დ) დასასრულ ჩვიდმეტი წერილი 1890 — 1900 წლებისა (სახელდობრ წერილები: 1890 წლისა—16, 41, 43; 1891 წლისა — 22; 1892 წლისა—17; 1893 წლისა — 1, 5, 26, 44, 45; 1894 წლისა — 8, 46, 47; 1895 წლისა—6; 1897 წლისა — 2; 1900 წლისა — 18, 34). ამ წერილების ხელნაწერი დედნები არ შენახულა; ამასთან ამ წლების არც სარედაქციო კომპლექტები მოღწეულა გაზეთ „ივერიისა“. ამ წერილების ილიასადმი კუთვნილება დაგვიდასტურეს (1925 — 1927 წლებში, როდესაც ჩვენ ვამზადებდით ილიას ნაწერების სრული კრებულის პირველ გამოცემას) — „ივერიის“ ძველმა თანამშრომლებმა: არტემ ახნაზარმა, გიორგი დასხიშვილმა, თედო სახოკიამ, ილია ზურაბიშვილმა. ამ წერილების ილიასადმი კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე მათი სტილი.

*

• ჩვენი გამოცემის ტ ე ქ ს ტ ი ს შესახებ.

წინამდებარე გამოცემაში ილიას წერილები იბეჭდება უცვლელად იმ სახით, როგორადაც იგი პირველად გამოქვეყნდა პრესაში.

აქ საჭიროა ცალკე შევჩერდეთ ს ა თ ა უ რ ე ბ ი ს საკითხზე.

ამ ტომში მოთავსებული წერილების დიდი უმრავლესობა იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში „მ ე თ ა უ რ ე ბ ი ს“ (საგაზეთო პირველი წერილის) სახით და უსათაურონი არიან. სათაურიანია მხოლოდ ორი წერილი, 36 (ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე, — გაზ. „დროება“, 1876 წ., № 39) და 42 (ქუთაისის ბანკის საქმე, — 1880 წლის გამოცემა ცალკე წიგნაკად).

როგორც წინა ტომებში დაბეჭდილ უსათაურო წერილებს, ასევე ამ ტომში მოთავსებულ უსათაურო წერილებსაც ჩვენ მივეცით პირობითი სათაურები. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ პირობითი სათაურების მიცემა უსათაურო წერილებისათვის აუცილებელი ხდება, რადგან უსათაურო წერილების რიცხვი ძალზე დიდია (ცერძოდ მარტო ამ ტომში — ორმოცდახუთი); მათი უსათაუროდ დატოვება ცხადია გააძნელებდა ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობით სარგებლობას, მითითებას ამა თუ იმ წერილზე და სხვ.

სათაურების არჩევის დროს, წინა ტომებში მიღებული წესის თანახმად, ჩვენ ვცდილობდით არ დავშორებოდით წერილების საერთო ტონს და სათაურები თითონ წერილების ტექსტთან არის შეფარდებული, ტექსტიდან არის აღებული.

პავლე ინგოროყვა

ს ა რ ჩ ე ვ ი

* * *

1. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი . . . 7
2. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა . . . 10

ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე

3. ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ . . . 17
4. ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება . . . 25
5. ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება . . . 31
6. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი 36

ძვირფასი სააღებმიმცემო ჭირნახულის საქმე

7. ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი 59
8. ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე . . . 61

მელიორაციის საქმე

9. მორწყვის საქმე წინათ და ეხლა 67

მევენახეობის და მეღვინეობის საქმე

10. ღვინის ქართულად დაყენება 73
11. ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის საჭიროებანი . . . 149
12. მევენახე გლეხთა მდგომარეობა 164
13. მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში . . . 172
14. ფილოქსერა 176
15. ვაზის სნეულებანი 179
16. ვენახების წამლობის შესახებ 184
17. ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი . . . 186
18. ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში . . . 190

მებამბეობის საქმე

19. ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი 195

პურეულის საქმე

20. პურეულით გაჭრობის საქმე ჩვენში . . 203
21. პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ 220
22. სიმინდის საქმე იმერეთში . 224

მესაქონლეობის საქმე

23. ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი 231

ჩვენი მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხი

24. კახეთის რკინისგზა 241
25. ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი , 246
26. ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე . 249

*

27. „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების“ შესახებ 257

მრეწველობის საქმე

28. ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა 265
29. შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე 270
30. ნავთის საქმე კავკასიაში . 273
31. ნავთის ბაჟი 283
32. ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო . 287
33. ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში 293

*

34. საადგილმამულო გადასახადის საქმე 299
35. სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პრო-რექციონობა 310

წერილები საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეებზე

36. ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე 327
37. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მოკლე კრების გამო . 340

38. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი 349
39. ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შეერთების საკითხებზე 419
40. საგლეხო ბანკის საკითხისათვის 422
41. საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის . . . 432
42. ქუთაისის ბანკის საქმე . . 439
43. ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო 479
44. ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება 485
45. ქუთაისის ბანკის შესახებ 490
46. ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ . . 494
47. კრედიტი საქართველოს მევენახეობისათვის 499

*

მეექვსე ინგოროყვა — სარედაქციო შენიშვნები 507

მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 2/II-55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-56 წ. უე 00094. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108. ნაბეჭდი თაბახი 32,25. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 284. ფასი 20 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიზდატის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.